780
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეცკე

5-6

1996

1996/5-6

სპონჯი

სექტემბერი
დეკემბერი

(102)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

ანტონ ჩეხოვი. შცნობი კაცის ნაამბობი. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა 3

ფრედერიკ დარი. სიკვდილი, რომელზეც შენ მიამბობდი. ფრანგულიდან თარგმნა მარინე ჭილაშვილმა 62

კრისტოფ ჰაინი. უცხო მეგობარი. გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა . . 132

ღერილები

რენდოლფ ბორნი. კულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი. თარგმნა ნანა ახობაძემ 214

ალექსანდრ კრავჩუკი. ალეოპატრა და ცეზარი. ნაწილი მეორე. პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა 220

ლასლო ესე. ვერდის რომ დლიურები ეწერა. თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა . . 273

ბჰაგვან შრი რაჯნეში. არც ეს, არც ის. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა 297

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1996 № 5—6

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

ნანა დარჩია
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია გაჭრაძე
გაჩანა გრიგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ჟიასაშვილი
გივი ძნელაძე
დავით წერედიანი

ტექნიკური რედაქტორი
ნანა გართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 29.05.96 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 23.08.96 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 300. შეკვ. № 620.

ფასი ₾ ლარი

**გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას, 14.**

ანტონ ჩეხოვი

უცნობი კაცის ნაამბობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

1.

მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, რომელთა შესახებ ახლა ლაპარაკის დრო არ არის, ლაქიად უნდა დავდგომოდი ერთ პეტერბურგელ ჩინოვნიკს, ოცდათხუთმეტიოდე წლის ახალგაზრდა კაცს, სახელად გეორგი ივანიჩ ორლოვს.

ლაქიად დავუდექი მისი მამის, ცნობილი სახელმწიფო მოხელის გამო, რომელიც ჩემი საქმის სერიოზულ მტრად მიმაჩნდა. ასე მეგონა, მისი ვაჟიშვილის სახლში რომ ვიტრიალებდი, ხან საუბარს მოვკრავდი ყურს, ხან მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებსა და ჩანაწერებში ჩავიხედავდი და ამით მამამისის გეგმებსა და გადაწყვეტილებებში გავერკვეოდი.

ყოველ დილას, თერთმეტი საათისათვის, ჩემს ოთახში ელექტროზარი რომ აწკარუნდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატონმა უკვე გაიღვიძა. ჩექმებსა და გაკრიალებულ სამოსში გამოწყობილი საძინებელში რომ შევიდოდი, გეორგი ივანიჩი ნამძინარევი, უფრო სწორად, ძილისაგან გასავათებული, მხრებჩამოყრილი იჯდა ლოგინზე, ერთ წერტილს მისჩერებოდა და ეტყობოდა, გაღვიძებით მაინცადამაინც ნასიამოვნები არ ბრძანდებოდა. მე მას ჩაცმაში ვეხმარები, ის კი ჩუმად, უხალისოდ მემორჩილება, ჩემს იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევს. მერე პირს დაიბანს, სუნამოს იპკურებს და ყავის დასალევად სასადილო ოთახისაკენ გასწევს. ზის მაგიდასთან, ყავას შეექცევა, გაზეთებს შლის, მე და მოსამსახურე ქალი პოლია კი ვდგავართ კართან და მოკრძალებით მივჩერებივართ. უნდა ვიდგეთ ეს ორი მოწიფული ადამიანი და დიდის სერიოზულობითა და თვალგაფაციცებით ვუყუროთ, ბატონი ყავას როგორ შეექცევა, ორცხობილას როგორ ახრამუნებს. ეს ყველაფერი, ცხადია, მეტად სასაცილო და უცნაურია, მაგრამ კარწინ ატუზული დგომა მაშინ რატომღაც დამცირებად არ მიმაჩნდა, თუმცა მეც ისეთივე აზნაური და ისეთივე განათლებული გახლდით, როგორიც ორლოვი.

სწორედ იმხანად ჭლექის ნიშნები დამეტყო. ჭლექი კი არა, მგონი, რაღაც უარესი მჭირდა. არ ვიცი, ავადმყოფობისაგან, არ ვიცი, იმის გამო, რომ ჩემს მსოფლმხედველობაში გარკვეული ცვლილებები ხდებოდა (თუმცა მაშინ ეს ჯერ კიდევ გაცნობიერებული არა მქონდა), დღითი დღე სულ უფრო მეტად და მეტად მეუფლებოდა ჩვეულებრივი, ობივატელური ცხოვრების დაუოკებელი წყურვილი. სულიერი სიმშვიდის, ჯანმრთელობის, კარგი ჰაერისა და მაძღარი კუჭის მეტი არაფერი მინდოდა. ფლოტის გადამდგარ ლეიტენანტს ერთთავად ზღვა, ჩვენი ესკადრა

20624

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ის კორვეტი მელანდებოდა, რომლითაც თიოქმის მთელი დედამიწა მქონდა შემოვლილი. მინდოდა, ერთხელ კიდევ განმეცადა ის ენით უთქმელი გრძნობა, ტროპიკულ ტყეში სეირნობის დროს რომ გეუჯლება, ანდა ბელგიის ყურეში ნამაგალი მზის ცქერისას აღტაცებით რომ გაირინდები და გულს სამშობლოზე სევდა შემოგაწვება. ერთთავად მუსიკა, მთები და ქალები მესიზმრებოდა. პატარა [illegible] ყველას ცნობისმოყვარეობით ვაცქერდებოდი, ყველაფერს გაფაციცებით [illegible] ამიტომაც, როდესაც კართან ატუზული ვიდექი და მივჩერებოდი, ორლოვი ყავას როგორ მირთმევდა, ჩემი თავი ლაქიად კი არა, იმ ადამიანად მიმაჩნდა, რომელსაც ამქვეყნად ყველაფერი აინტერესებს, თავად ორლოვიც კი.

გარეგნობა ორლოვს ნამდვილი პეტერბურგელისა ჰქონდა: ვიწრო მხრები, ჩაცვივნული საფეთქლები, გრძელი წელი, გაურკვეველი ფერის თვალები, თხელი, უფერული თმა და ასეთივე თხელი და უფერული წვერ-ულვაში, სახე მოვლილი, გაცრეცილი და უსიამოვნო. განსაკუთრებით მაშინ იყო უსიამოვნო შესახედი, როდესაც ეძინა, ანდა რაღაცაზე ფიქრობდა. არ ვიცი, საჭიროა თუ არა ასე უბრალო, ყოველად ჩვეულებრივი გარეგნობის აღწერა, მით უმეტეს აქ ესპანეთი კი არა, პეტერბურგია, სადაც მამაკაცის გარეგნობას თავად სასიყვარულო საქმეებშიაც კი არავინ ანიჭებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას და მხოლოდ წარმოსადეგი ლაქიებისა და მეეტლეებისათვის თუ არის საჭირო. მაგრამ ორლოვის სახესა და თმის ფერზე მხოლოდ იმიტომ წამოვიწყე საუბარი, რომ მის გარეგნობაში იყო რაღაც ისეთი, რის აღნიშვნაც, ასეა თუ ისე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია. აიღებდა თუ არა ხელში გაზეთსა ან წიგნს, რა გაზეთი და რა წიგნიც არ უნდა ყოფილიყო, ანდა შეხედავდა თუ არა ვიღაცას, სულ ერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თვალებში მაშინვე დამცინავი ღიმილი ჩაუდგებოდა. ჯერ წაკითხული და მოსმენილი არა ჰქონდა რაღაცა, რომ ირონია უკვე ფარივით ჰქონდა აფარებული სახეზე. ეს იყო ჩვეული, მისთვის სისხლხორცეული ირონია, რომელიც ამ ბოლო დროს თითქმის რეფლექსურად, საკუთარი ნება-სურვილის გარეშე აღიბეჭდებოდა მის გამომეტყველებაში. პირველი საათისათვის სახეზე აღბეჭდილი იმ თავისი ირონიული გამომეტყველებით მოჰკიდებდა ხელს ქალალდებით გატენილ ჩანთას და წაბრძანდებოდა სამსახურში. სახლში თითქმის არ სადილობდა, ამიტომაც შინ მუდამ რვა საათის შემდეგ ბრუნდებოდა. გავუბდღვრიალებდი სანთლებითა და ლამპით კაბინეტს, ჩაეშვებოდა სავარძელში, ფეხებს სკამზე დაალაგებდა და დაიწყებდა კითხვას ასე გაშხლართული. თითქმის ყოველდღე ან თვითონ მოაყოლებდა მაღაზიიდან ახალ-ახალ წიგნებს ან ვიღაცას მოჰქონდა. ჩემი ოთახის კუთხეებსა თუ საწოლის ქვეშ, რუსულსაც თუ არ ჩავთვლით, ვინ მოსთვლის, სამ ენაზე დაწერილი რამდენი წიგნი იდო უკვე წაკითხული და დაუდევრად მიგდებული. საოცრად სწრაფად კითხულობდა. ნათქვამია, მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, ვინა ხარო. ეს იქნებ მართალიც არის. მაგრამ ორლოვზე იმ წიგნების მიხედვით მსჯელობა, რასაც ის კითხულობდა, ნამდვილად შეუძლებელია. ეს იყო რაღაც დომხალი — ფილოსოფია, ფრანგული რომანები, ფინანსები, ახლად წარმოჩენილ პოეტთა წიგნები თუ „პოსრედნიკის“ გამოცემები. ყველაფერს იმ თავისი ირონიული გამომეტყველებითა და ერთნაირი გაფაციცებით ნთქავდა.

საღამოს ათი საათი რომ გახდებოდა, გამოეწყობოდა საგულდაგულოდ (უფრო ხშირად ფრაკის ჩაცმა უყვარდა, თუმცა ხანდახან კამერ-იუნკრის მუნდირსაც იცვამდა), გავიდოდა სახლიდან და შინ მხოლოდ გამთენიისას ბრუნდებოდა.

ვცხოვრობდით წყნარად და მშვიდობიანად, ისე რომ, ჩვენ შორის არავითარი გაუგებრობა არ ყოფილა... მაგრამ, როგორც წესი, ჩემს არსებობას იმდენად ვერ

ამჩნევდა, ჩემთან საუბრისას სახეზე ირონიული ღიმილიც კი არ უჩნდებოდა, ეტყობა, ადამიანადაც არ მთვლიდა.

მხოლოდ ერთხელ ვნახე გაბრაზებული. ეს იყო ჩემი ლაქიად დადგომის ერთი კვირის თავზე. ასე, ცხრა საათი იქნებოდა, შინ რომელიღაც წვეულებიდან რომ დაბრუნდა. სახეზე გაღიზიანება და დაღლილობა ეტყობოდა. სანთლების ასანთებად კაბინეტისაკენ რომ მივყვებოდი, უცებ მომიბრუნდა და მეუბნება:

— სახლში რაღაც ყარს.

— ეს-ესაა გავანიავე, — ვუპასუხე.

— მე შენ გეუბნები, რაღაც ყარს! — გაიმეორა გულმოსულმა.

— არ ვიცი, სარკმელს ყოველდღე ვაღებ...

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, რეგვენო! — იყვირა გეორგი ივანიჩმა.

მე ძალიან ვიწყინე, მინდოდა შევკამათებოდი და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, საქმეში პოლია რომ არ ჩარეულიყო, რომელმაც, ცხადია, ჩემზე უკეთესად იცოდა თავისი ბატონის ხასიათი.

— ჰო, რაღაც ცუდი სუნი დგას, — თქვა პოლიამ და წარბები აწკიპა. — ნეტავი რა სუნია? სტეპან, სარკმლები გააღე და ბუხარი გაახურე.

პოლიამ ამოიოხრა, აფაციფუცდა — დადიოდა მთელს ოთახში ქვედა კაბის შარიშურით და პულვერიზატორს დააშუშხუნებდა. ორლოვი მაინც უგუნებოდ იყო. გაბრაზება აშკარად რომ არ გამოეხატა, ეტყობა, თავს იკავებდა, იჯდა მაგიდასთან და გამალებით რაღაც წერილს წერდა. რამოდენიმე სტრიქონი რომ დაწერა, გაჯავრებულმა წაიფრუტუნა, წერილი დახია და ისევ თავიდან შეუდგა წერას.

— ეშმაკსაც წაუღია! — ჩაიბურდღუნა გეორგი ივანიჩმა, — გინდა თუ არა, საოცარი მეხსიერება უნდა გქონდესო!..

ბოლოს, როგორც იქნა, წერილის წერას მორჩა, მაგიდიდან წამოდგა და მითხრა:

— ახლა შენ ზნამენსკაიაზე წახვალ, ზინაიდა ფეოდოროვნას ამ წერილს საკუთარ ხელში გადასცემ. მაგრამ, ვიდრე გადასცემდე, შვეიცარს ჰკითხე, ქმარი, ესე იგი, ბატონი კრასნოვსკი ხომ არ დაბრუნებულა. თუ შინ დაგიხვდა, წერილს ნუღარ მისცემ, უკან გამობრუნდი. მოიცა! ზინაიდა ფეოდოროვნამ თუ გკითხა, სტუმრად ხომ არავინ ჰყავსო, ასე უთხარი, ორი საათიდან ვიღაც ბატონი უზის, რაღაცას წერენთქო.

მართლაც, წავედი ზნამენსკაიაზე. ბატონი კრასნოვსკი ჯერ არ მობრძანებულაო, მითხრა შვეიცარმა და მეც პირდაპირ მესამე სართულისაკენ გავემართე. კარი მაღალმა, შავბაკებიანმა ზონზროხა ლაქიამ გამიღო და დაუდევრად, უკმეხად და უხალისოდ, როგორც მხოლოდ ლაქია თუ დაელაპარაკება ლაქიას, მკითხა, რა გინდაო. პასუხის თქმა ვერც კი მოვასწარი, რომ დარბაზიდან წინკარში მაღალი, შავ კაბაში გამოწყობილი ქალი სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა და თვალებმოჭუტული მომაჩერდა.

— ზინაიდა ფეოდოროვნა შინ ბრძანდება? — ვკითხე მე.

— დიახ, მე გახლავართ, — თქვა ქალმა.

— გეორგი ივანიჩის წერილი მოგართვით.

წერილი მოუთმენლად გახსნა და ბრილიანტის ბეჭდებით დამშვენებულ ორივე ხელში ჩაბღუჯულ ბარათს კითხვა დაუწყო. ამასობაში მე დაკვირვებით შევათვალიერე მისი თეთრი, რბილნაკვთებიანი სახე, წინ წამოწეული ნიკაპი და გრძელი, შავი წამწამები. შესახედად ქალს, ასე, ოცდახუთ წელს თუ მისცემდი.

— მომიკითხეთ და ჩემი მადლობა გადაეცით, — მითხრა ქალმა, როდესაც კი-

თხვას მორჩა. — არის ვინმე გეორგი ივანიჩთან? — იკითხა ხალისიანად, რბილად, თითქოს ერიდება თავისი უნდობლობისაო.

— დიახ, ვიღაც ბატონია, რაღაცას წერენ, — ვუპასუხე მე.

— მოკითხვა გადაეცით და მადლობა უთხარით, — გაიმეორა ხინაიდა ფეოდოროვნამ და წერილის კითხვა-კითხვით, ოდნავ გვერდზე თავგადასული ნინკარიდან უხმაუროდ გავიდა.

მაშინ მე იშვიათად ვხვდებოდი ქალებს, ამიტომაც ქალმა, რომელსაც სულ რაღაც ერთი წუთით შევხვდი, ჩემზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. შინ ფეხით წამოვედი. მოვდიოდი, მის სახესა და სუნამოს ნაზ სურნელს ვიხსენებდი და ვოცნებობდი. უკან რომ დავბრუნდი, ორლოვი უკვე შინ აღარ დამიხვდა.

2.

ასე და ამგვარად, ვცხოვრობდით მე და ჩემი ბატონი წყნარად და მშვიდობიანად. მიუხედავად ამისა, ის რაღაც დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, რისაც ასე მეშინოდა, როდესაც ლაქიად ვდგებოდი, უკვე აშკარა იყო. ვერა და ვერ ვშველდებოდი პოლიასთან. ეს გახლდათ კარგად ნაპატიები, ნებაზე მიშვებული ქმნილება, რომელიც ორლოვს მხოლოდ იმიტომ აღმერთებდა, რომ ბატონი ბრძანდებოდა, მე კი აბუჩად მხოლოდ იმიტომ მიგდებდა, რომ ლაქია ვიყავი. ნამდვილი ლაქიასა ან მზარეულისათვის ეს ქალი შეიძლება მომხიბვლელიც ყოფილიყო — წითელი, პაჭუა ცხვირი, მოწკურული თვალები და სავსე, სიმსუქნეში გადასული სხეული... იპუდრებოდა, წარბებსა და ტუჩებს იღებავდა, იჭედებოდა კორსეტში, ატარებდა ტურნიურს, იკეთებდა მონეტებიან სამაჯურს, დადიოდა მოკლე ნაბიჯებით, ცეკვა-ცეკვით, სიარულის დროს მხრებსა და კურტუმს იქნევდა. დილდილობით მასთან ერთად ოთახებს რომ ვალაგებდი, მისი ქვედა კაბის შარიშური, კორსეტის ტკაცუნი, მონეტებიანი სამაჯურის წკარუნი, ბატონისაგან მოპარული ტუალეტის წყლის, სუნამოსა და მისი ტუჩის პომადის უხამსი სუნი ისეთ გუნებაზე მაყენებდა, ასე მეგონა, მასთან ერთად მეც რაღაც სისაძაგლეს ჩავდიოდი.

იმის გამო, რომ მასავით არ ვქურდობდი, არ ვამჟღავნებდი არავითარ სურვილს, მისი საყვარელი გავმხდარიყავი, რაც, ადვილი შესაძლებელია, შეურაცხყოფდა კიდევაც, ანდა იმის გამოც, რომ უცხოდ მიჩანდა, პოლიამ პირველი დღიდანვე შემძულა. ჩემი უნიათობა, არალაქიური გარეგნობა, ჩემი ავადმყოფობა მეტისმეტად უბადრუკი ეჩვენებოდა, მის გულში ზიზღის გრძნობას იწვევდა. იმ დროს სწორედ ძალიან მახველებდა, ჩვენს ოთახებს კი მხოლოდ ფიცრის თხელი ტიხარი ჰყოფდა და ჩემი ეს ხველა პოლიას ხანდახან ძილს უფრთხობდა.

— შენმა ხველამ არც წუხელ დამაძინა, ბატონის სახლში კი არ უნდა ცხოვრობდე, საავადმყოფოში უნდა იწვე, — მეტყოდა ხოლმე დილაობით.

ისე გულწრფელად სჯეროდა, მასთან შედარებით კაცი კი არა, მღილიც არ ვიყავი, რომ რომაელ მატრონათა მსგავსად, რომლებიც მონების თანდასწრებით ბანაობასაც არ ერიდებოდნენ, ჩემ წინ ღამის პერანგის ამარა ისე დადიოდა, ვითომც არაფერი.

ერთხელ ნასადილევს (სამიკიტნოდან ჩვენთან სადილად ყოველდღე შემწვარი ხორცი და წვნიანი მოჰქონდათ), როცა რაღაც საუცხოო გუნებაზე ვიყავი და გული ოცნებებით მქონდა სავსე, პოლიას ვკითხე:

— პოლია, ღმერთი თუ გწამთ?

— აბა, როგორ!

— ესე იგი, გწამთ, რომ დადგება განკითხვის დღე და ჩვენ ყველამ ყოველი ჩვენი უკეთური საქციელისათვის პასუხი უნდა ვაგოთ ღვთის წინაშე?

პოლიამ არაფერი მიპასუხა, მაგრამ სახე როგორღაც დამცინავად დაეძაბა. მე კი შევხედე მის მაძღარ, კერპ თვალებს და მივხვდი, რომ ამ მტკიცე, გაუტეხელი ხასიათის ადამიანს არც ღმერთი სწამდა, არც სინდის-ნამუსი, არც წესი და არც რიგი. ვიღაცის მოკვლა, გადაწვა ან მოტაცება რომ მომენდომებინა, მასზე უკეთეს თანამონაწილეს ვერავის ვიპოვიდი — ფულის გულისათვის იგი არავის და არაფერს დაერიდებოდა.

უცხო გარემოში, თანაც შენობით მიმართვასა და გაუთავებელ ტყუილს მიუჩვეველს (მაგალითად, უნდა მეთქვა, ბატონი შინ არ არის-მეთქი, მაშინ, როდესაც იგი სახლში ბრძანდებოდა), პირველ დღეებში ორლოვთან ცხოვრება, მართალი გითხრათ, გამიჭირდა. ლაქიას ფრაკში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც აბჯარში. მაგრამ მერე და მერე თანდათან მივეჩვიე. როგორც ნამდვილ ლაქიას შეეფერება, ოთახებს ვალაგებდი, ვემსახურებოდი ბატონს, სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად წინ და უკან დავქროდი. როდესაც ორლოვს ზინაიდა ფეოდოროვნასთან წასვლა არ მოესურვებოდა, ანდა როდესაც დაავიწყდებოდა, რომ მისვლას იყო შეპირებული, მე გავრბოდი ზნამენსკაიაზე, ზინაიდა ფეოდორვნას წერილს საკუთარ ხელში ვაბარებდი და რამდენსაც გნებავთ, იმდენს ვცრუობდი. საბოლოო ანგარიშში კი, გამოდიოდა არა ის, რასაც ვესწრაფოდი, რისთვისაც ვიყავი აქ მოსული, არამედ ის, რომ ჩემი ახალი ცხოვრების ყოველი ახალი დღე დაკარგული იყო როგორც ჩემთვის, ისე ჩემი საქმისათვის, ვინაიდან იმ ცნობილი სახელმწიფო კაცის შესახებ უწინდელივით მხოლოდ ის ვიცოდი, რასაც გაზეთებიდან და მეგობართა წერილებიდან ვიგებდი. ასობით ჩანაწერსა და ქაღალდს კი, რომელთაც ორლოვის კაბინეტში ვნახულობდი, შორეულადაც არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც მე ვეძებდი. თვითონ ორლოვი სრულიად გულგრილი იყო თავისი მამის მოღვაწეობის მიმართ და თავი ისე ეჭირა, ვითომც სულაც არაფერი გაეგო მისი ამ მოღვაწეობის შესახებ, ის კი არა, მამა თითქოს დიდი ხანია უკვე ცოცხალიც აღარ ჰყავდა.

3.

ყოველ ხუთშაბათს ორლოვთან სტუმრები დადიოდნენ.

შევუკვეთავდი რესტორანში როსტბიფს, ელისეევს ტელეფონით დავურეკავდი, რომ ხიზილალა, ყველი, ხამანწკა და კიდევ რაიმე საუზმეული გამოეგზავნა, ვყიდულობდი ბანქოს. პოლია კი ვახშმისათვის უკვე დილიდანვე ამზადებდა სადილისა თუ ჩაის ჭურჭელს. სიმართლე გითხრათ, ეს მცირეოდენი საქმიანობა ჩვენს ერთფეროვან ცხოვრებას ცოტაოდენ სიხალისეს მატებდა, ამიტომაც ხუთშაბათი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. იმ სამ სტუმარს შორის კი, ყველაზე დარბაისელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე საინტერესოც კი იყო ეინმე პეკარსკი — მაღალი, ხმელ-ხმელი, ორმოცდახუთიოდე წლის მელოტი კაცი, ჰქონდა გრძელი, კეხიანი ცხვირი, დიდი, შავი წვერი, მსხვილი, გადმობურცული თვალები და ბერძენი ფილოსოფოსივით დინჯი, ჩაფიქრებული სახე. მსახურობდა რკინიგზის სამმართველოსა და ბანკში, იყო რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულების იურისკონსულტი, ჰქონდა უამრავი საქმიანი კავშირი სხვადასხვა კერძო პირებთან, როგორც მეურვეს, კონკურსების თავმჯდომარესა და სხვა და სხვა. მართალია, ჩინი სრულიად უმნიშვნელო ჰქონდა, მართალია, თავისთავს ნაფიც მსაჯულს უწოდებდა, მაგრამ გავლენა მართლაც უზარმაზარი ჰქონდა. საკმარისი იყო მისი სავიზიტო ბარათი, ანდა პატარა წე-

რილიც კი, რათა ურიგოდ მიელე ცნობილ ექიმს, გზათა უფროსს ან რომელიმე დიდ ჩინოვნიკს. ამბობდნენ, მისი პროტექციით შეგიძლია მეოთხე კლასის თანამდებობა იშოვო, უკიდურესად ჩაოსრებული საქმეც კი ჩაფარცხოო. ითვლებოდა ძალიან ჭკვიან კაცად, მაგრამ ეს იყო რაღაც უცნაური, განსხვავებული ჭკუა — ერთ წამში შეეძლო სამას სამოცდაცამეტი გაემრავლებინა ორას ცამეტზე, ანდა, ყოველგვარი ცხრილებისა და ფანქრის გარეშე, სტერლინგები გადაეყვანა მარკებში, შესანიშნავად იცოდა ფინანსები, იცოდა რკინიგზა, რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეს, აქ მისთვის არავითარი საიდუმლო არ არსებობდა. როგორც ამბობდნენ, სამოქალაქო საქმეთა ადვოკატურაში ბადალი არა ჰყავდა, ისე რომ, მასთან გაჯიბრება არც ისე იოლი გახლდათ. მაგრამ ამ არაჩვეულებრივი გონების კაცისათვის მრავალი ისეთი რამ, რაც ზოგიერთი აბუეტისათვისაც კი ჩვეულებრივსა და გასაგებს წარმოადგენდა, სრულიად გაუგებარი იყო. ასე მაგალითად, წარმოდგენა არა ჰქონდა, რატომ უნდა ყოფილიყო ადამიანი მოწყენილი, საერთოდ, რა ატირებდათ ადამიანებს, რატომ ესროდნენ ერთმანეთს, რატომ კლავდა ვიღაცა ვიღაცას, რატომ ღელავდნენ ისეთ ამბებსა თუ მოვლენებზე, რომლებიც მათ არ შეეხებოდათ პირადად, რატომ იცინოდნენ გოგოლის ან შჩედრინის კითხვისას... ყოველივე განყენებული, ყოველივე, რაც აზრებისა და გრძნობების უკან იფარებოდა, მისთვის ისეთივე გაუგებარი და მოსაწყენი იყო, როგორც მუსიკა სმენადახშულისათვის. ადამიანებს მხოლოდ საქმიანი თვალსაზრისით უყურებდა, მათ იგი ორ კატეგორიად ყოფდა — ნიჭიერებად და უნიჭოებად, სხვაგვარი დაყოფა პეკარსკისათვის წარმოუდგენელი იყო. მისთვის რომ გეკითხათ, პატიოსნება მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანი იყო ნიჭიერებისა. ქეიფი, ბანქო, მრუშობა... კი ბატონო, რატომაც არა, ოღონდ, არამც და არამც ამას ხელი არ უნდა შეეშალა საქმისათვის. მისი აზრით, ღვთის რწმენა დიდ სიბრძნეს არ წარმოადგენდა, მაგრამ რელიგია უთუოდ დაცული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ხალხს რაღაც შემაკავებელი საწყისი ესაჭიროებოდა, ეს რომ არა, ხელს არავინ გაანძრევდა. რაც შეეხება დასჯას, დასჯა მხოლოდ დაშინების მიზნით იყო საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი შრომას გადაეჩვეოდა, არავინ არაფერს გააკეთებდა. კარგა ხნის დაქვრივებულ პეკარსკის არც შვილები ჰყავდა, მაგრამ მეოჯახე კაცივით ბევრს ხარჯავდა, მარტო ბინაში წლიურად სამი ათასს იხდიდა.

ორლოვის ხუთშაბათობების მეორე სტუმარი კუკუშკინი გახლდათ — დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ტანდაბალი, მეტისმეტად არასასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რისი მიზეზიც მისი სქელი, გაფიქვინებული ტანისა და პატარა, გალეული სახის შეუსაბამობა გახლდათ. გულის მოყვანილობის ტუჩები ბაფთასავით ჰქონდა შეკონილი. შეკრეჭილი ულვაში ლაქით მიწებებულს მიუგავდა. ეს იყო კაცი, რომელიც სულ ხვლიკივით იგრიხებოდა. კი არ შემოდიოდა, თითქოს მოხოხავდა, თან სულ იცინოდა და სიცილის დროს კბილებს აკრეჭდა. იყო საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი, მაგრამ არაფერს აკეთებდა, თუმცა ჯამაგირს ბლომად ღებულობდა, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც მისთვის საგანგებოდ იგონებდნენ ნაირნაირ მივლინებებს. იყო კარიერისტი სულით ხორცამდე, თანაც წვრილფეხა კარიერისტი — მხდალი, საკუთარ თავში არცთუ დაჯერებული კაცი, რომელიც კარიერას ნასუფრალზე აშენებს. ოღონდ რაიმე უცსოური ჯვრით დაეჯილდოებინათ, ოღონდ გაზეთში გაეწერათ: პარაკლისსა ან პანაშვიდს სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად ისიც ესწრებოდაო, — არაფერს მოერიდებოდა, არავითარ თავის დამცირებას, დაპირებას, ხვეწნა-მუდარასა თუ პირფერობას. იმის გამო, რომ ძალმოსილ ადამიანებად მიაჩნდა და, რაც მთავარია, იმის გამო, რომ მშიშარა და ლაჩარი იყო, პირში ეფერებოდა, ელაქუცებოდა ორლოვსა და პეკარსკის, რაკიღა გავლენიან კაცს ვე-

მსახურებოდით, გველაქუცებოდა მე და პოლიასაც. ქურქის ყოველ გახდაზე — სტეპან, ცოლი თუ გყავსო, — მეტყოდა კრეჭა-ქირქილით და, ვითომდა ჩემდამი დიდი ყურადღების ნიშნად, უწმაწურ სიტყვასაც მოაყოლებდა. ეფითლრბასებოდა ორლოვის სისუსტეებს, მის გარყვნილებას, მის მოყირჭებულობას. თავი რომ მოეწონებინა, თავს დამცინავ, ავყია კაცად აივენებდა. მასთან ერთად აკრიტიკებდა და ატრიხავებდა იმ ადამიანებს, ვის წინაშეც სხვაგან და სხვა ვითარებაში მორნურად პირმოთნეობდა. ვახშამზე სიტყვას ქალებსა და სიყვარულზე რომ ჩამოაგდებდნენ, თავი ნატიფ, დახვეწილ არშიყად მოჰქონდა. მოგეხსენებათ, პეტერბურგელ დარდიმანდებს საკუთარი გემოვნების განსაკუთრებულობაზე ლაპარაკს არაფერი უჩრევნიათ, თუმცა ზოგიერთი ახალგაზრდა სტატსკი სოვეტნიკი მშვენივრად სჯერდება თავისი მოახლისა ანდა ნევის პროსპექტზე მოსეირნე ვიღაც გაუბედურებული ქალის ალერსს. თუ დაუჯერებ, იგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყოველგვარი მანკიერებით არის დაავადებული. არის ათობით საიდუმლო საძრახისი ორგანიზაციის საპატიო წევრი, ის კი არა, უკვე პოლიციასაც ჰყავს შემჩნეული... ასე უსინდისოდ ცრუობდა კუკუმკინი თავის თავზე, მაგრამ, მისი არათუ სჯეროდათ, მის მიერ მოყოლილ მთელ ამ ზღაპრებს, უბრალოდ, ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

ხუთშაბათობების მესამე სტუმარი ქართველი გახლდათ, განსწავლული გენერლის შვილი, ორლოვის თანატოლი, გრძელთმიანი, ახლომხედველი, ოქროს სათვალიანი ახალგაზრდა ქერა მამაკაცი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მკრთალი, პიანისტივით გრძელი, ლამაზი თითები. მაგრამ მხოლოდ თითები როდი ჰქონდა ასეთი, მთელ მის აღნაგობაში იყო რაღაც მუსიკოსის, რაღაც ვირტუოზული, ასეთი აღნაგობის ადამიანები ორკესტრში პირველ ვიოლინოზე უკრავენ. სულ ახველებდა, შაკიკით იტანჯებოდა, სუსტი, ავადმყოფური გარეგნობის კაცი იყო. ბავშვივით შინ ალბათ სხვა ხდიდა და სხვა აცმევდა. დამთავრებული ჰქონდა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ერთხანს სასამართლო უწყებაში მუშაობდა, მერე სენატში გადაიყვანეს, მაგრამ მალე სენატში მუშაობა მიატოვა და პროტექციით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მოეწყო, თუმცა, არც იქ გაჩერებულა დიდხანს, ჩემს დროს უკვე ორლოვის განყოფილებაში იყო მაგიდის უფროსად და მისთვის რომ გეკითხათ, მალე ისევ სასამართლო უწყებაში აპირებდა გადასვლას. მოკლედ, სამსახურსა და სამუშაო ადგილების ამ წარამარა ცვლას მეტისმეტად ფუქსავატურად ეკიდებოდა. მისი თანდასწრებით ჩინზე, ორდენებზე, ჯამაგირზე რომ ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს, კეთილად გაიღიმებდა და პრუტკოვის აფორიზმს გაიმეორებდა: ჭეშმარიტებას კაცი მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში შეიცხობსო. ჰყავდა სახედანაოჭებული, ტანმორჩილი, ძალზე ეჭვიანი ცოლი და ხუთი გამხდარ-გაკნაჭული შვილი. ცოლს ღალატობდა, ბავშვები მაშინ ახსენდებოდა და უყვარდა, როცა ხედავდა. მოკლედ, ოჯახს საკმაოდ გულგრილად ეკიდებოდა, ის კი არა, ზოგჯერ აქილიკებდა კიდევაც. ცოლ-შვილს ვალებით არჩენდა. ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უფროსი იქნებოდა თუ კარისკაცი, ფულს ყველასაგან ერთნაირად სესხულობდა. ქარაფშუტა კაცი იყო, არაჩვეულებრივად ზარმაცი, თვით საკუთარი თავის მიმართაც კი გულგრილი. ცხოვრების ტალღებს აყოლილმა, თვითონაც არ იცოდა, საითა და რისთვის მიაქანებდა ამქვეყნიური მდინარება. იქით მიდიოდა, საითაც პირს უზამდნენ — სადმე გარყვნილების ბუნაგში წაიყვანდნენ, წავიდოდა, მიუტანდნენ ღვინოს — სვამდა, არ მიუტანდნენ — არ სვამდა; მისი თანდასწრებით ცოლებს თუ აგინებდნენ, ისიც აგინებდა, ირწმუნებოდა, რომ სწორედ იმ ქალმა აურია ცხოვრება. თუ აქებდნენ, ისიც აქებდა და, ძალიან მიყვარს ის საწყალიო, — გულწრფელად ამბობდა. ქურქი არა ჰქონდა, ეცვა პლედი, რომელსაც სულ ბავშვების სუნი უდიოდა. იჯდა ვახშამზე ჩაფიქრე-

ბული, პურის გულს აგორგლეზდა და უამრავ წითელ ღვინოს სვამდა. საოცარია, მაგრამ მაშინ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ადამიანში იყო რაღაც ისეთი, რასაც თავად იგი, მართალია, ბუნდოვნად კი შეიგრძნობდა, მაგრამ, გაუთავებელი ფუსფუსისა და ამქვეყნიურ უხამსობათა გამო, მის შეცნობასა და შეფასებას ვერ ასწრებდა. იგი ცოტ-ცოტას როიალზედაც უკრავდა. მიუჯდებოდა, ხანდახან საკრავს, ერთი-ორ აკორდს აიღებდა და ჩუმად ჩაიღიღინებდა: „ნეტავ ... მეჯლისის დღე ხვალინდელი“... მაგრამ იმავე წუთს, თითქოს რაღაცამ შეაშინაო, წამოდგებოდა და გაეცლებოდა საკრავს.

სტუმრები ჩვეულებისამებრ ათი საათისათვის იკრიბებოდნენ. დასხდებოდნენ ორლოვის კაბინეტში და დაიწყებდნენ ბანქოს თამაშს, მე და პოლია ჩაით ვუმასპინძლდებოდით. და აი, მაშინ შევიგრძენი მთელი სიღრმითა და სიგრძე-სიგანით ლაქიობის „ეშხი და სიტკბოება“: ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში იდგე კარებწინ ატუზული, თვალყური ადევნო, ჭიქა არავის ედგას ცარიელი, საფერფლე დროზე გამოუცვალო, იატაკზე დავარდნილი ცარცის ნატეხისა ან ბანქოს მისაწოდებლად თვალის დახამხამებაში მაგიდასთან გაჩნდე და, რაც მთავარია, იდგე თვალებდაცეცებული, არც ხმა ამოიღო, არც ჩაახველო, არც გაიღიმო და ასე სარჩაყლაპულივით ელოდო, გარწმუნებთ, გაცილებით ძნელი და აუტანელია, ვიდრე მიწას ჩაჩერებული გლეხკაცის ჭაპანი. ოდესღაც, ზამთრის ქარბუქიან ღამეებშიაც კი, ზოგჯერ მთელი ოთხი საათი ვმდგარვარ ვასტზე, მაგრამ, ამასთან შედარებით, ისიც კი გაცილებით იოლი მეჩვენებოდა.

ორ-სამ საათამდე ბანქოს თამაშობდნენ, მერე წამოდგებოდნენ ზმორებ-ზმორებით და სავახშმოდ, ანდა როგორც ორლოვი იტყოდა ხოლმე, წასახემსებლად სასადილოში გადიოდნენ. დასხდებოდნენ მაგიდასთან და გააბამდნენ საუბარს, რაც ჩვეულებისამებრ მუდამ იმით იწყებოდა, რომ თვალებაციმციმებული ორლოვი რომელიმე ნაცნობის, ამასწინათ წაკითხული რაიმე წიგნის, ახალი განწესების ანდა რაღაც პროექტის ამბავს წამოიწყებდა, პირმოთნე და მლიქვნელი კუკუშკინიც მაშინვე მხარს აუბამდა და, იმდროინდელი ჩემი გუნებ-განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაიწელებოდა და გაიწელებოდა მათი უხამსი და აუტანელი რატრატი. ორლოვისა და მისი ძმაკაცების ირონიას, რომ იტყვიან, საზღვარი არა ჰქონდა: ღმერთსა და რელიგიას ახსენებდნენ — ირონია, ლაპარაკობდნენ ფილოსოფიასა თუ ცხოვრების აზრსა და მიზანზე — ირონია, ხალხზე წამოიწყებდა რომელიმე საუბარს, ისევ ირონია... პეტერბურგში არის ერთი კატეგორიის ხალხი, რომელიც განურჩევლად ყველას და ყველაფერს დასცინის, არავის და არაფერს ინდობს. მშიერსა და თავისმკვლელსაც კი გვერდით ისე ვერ ჩაუვლის, რაიმე უმსგავსობა და სისაძაგლე არ მიაყოლოს. ორლოვი და მისი მეგობრები კი არ ხუმრობდნენ, კი არ ოხუნჯობდნენ, გესლს ანთხევდნენ. მათთვის რომ გეკითხათ, ღმერთი არ არსებობს, სიკვდილის შემდეგ ადამიანი სრულ არარაობად იქცევა, უკვდავება მხოლოდ ფრანგულ აკადემიაშია; ჭეშმარიტი კეთილდღეობა არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან მისი არსებობა ადამიანის სრულყოფილებით არის განპირობებული, ეს უკანასკნელი კი სრული ლოგიკური უაზრობაა; რუსეთიც ისეთივე მოსაწყენი და უბადრუკი ქვეყანაა, როგორიც სპარსეთი; ინტელიგენცია უსასოოა და იმედისწარმკვეთი. პეკარსკის აზრით, მათ უდიდეს უმრავლესობას ის ადამიანები შეადგენენ, რომელთაც არც არაფრის თავი აქვთ, არც უნარი. ხალხი გალოთებული, გაზარმაცებული, გაცულლუტებულია, იგი გადაგვარების გზაზეა დამდგარი. მეცნიერება არა გვაქვს, ლიტერატურა მოუქნელი და მოუხეშავია, ვაჭრობა სიცრუეზე — ვერ მოატყუებ, ვერ გაჰყიდიზე ანუ თაღლითობაზეა აგებული — მოკლედ ყველაფერი ასეა და ყველაფერი ეს სასაცილოა...

ვახშმის ბოლოს ღვინო თანდათან მხიარულ გუნებაზე აყენებდათ და ახლა უკვე ლაზღანდარობაზე გადადიოდნენ: ცოლის ერთგულება ზღაპარია, ქვეყნად ისეთი ქალი არ არსებობს, რომლის დაუფლებაც გამოცდილ კაცს არ შეეძლოს, ისე, რომ სასტუმრო ოთახიდან გასვლაც არ დასჭირდეს, ქმარი თუნდაც იქვე, გვერდითა კაბინეტში ეჯდეს... გოგოები პატარაობიდანვე გაფუჭებულები არიან, ყველაფერი იციან, არაფერი გამოეპარებათო... ორლოვმა თქვა, ერთი თოთხმეტი წლის გოგოს წერილი მაქვს შენახული, გიმნაზიიდან დაბრუნებისას თურმე ვიღაც ქეციან ოფიცერთან იმრუშა, რომელსაც შინ წაუყვანია და იქიდან მხოლოდ გვიან ღამით გამოუშვია, გოგოს კი, თავისი აღტაცება ვინმესთვის რომ გაეზიარებინა, მაშინვე ამხანაგთან წერილი უფრენიაო... მათთვის რომ გეკითხათ, პატიოსნება არც ყოფილა, არც არასოდეს იქნება, ესე იგი, საჭიროც არ არის, კაცობრიობა უმისოდაც შესანიშნავად გადიოდა იოლას. ამ ეგრეთ წოდებულ გარყვნილებას ადამიანისათვის დიდი ვნება მოაქვსო, რომ ამბობენ, ცხადია, გაზვიადებულია, გარყვნილება, რომლის დასჯაც ჩვენს წესდებაშია გათვალისწინებული, სულაც არ უშლიდა დიოგენს, ფილოსოფოსი და მასწავლებელი ყოფილიყო; ცეზარიცა და ციცერონიც ორივე გარყვნილი და ავხორცი, მაგრამ ამავე დროს დიდი ადამიანები იყვნენ; ბებერმა კატონმა ცოლად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ნორჩი ასული მოიყვანა, მაგრამ ბოლომდე ყველანი მკაცრ მემარცხენედ და პატიოსნების დამცველად სთვლიდნენო. მოკლედ, რაღაზე არ ლაზღანდარობდნენ — ქართველის ოჯახზე, კუკუშკინის წარმატებებსა თუ პეკარსკიზე, რომლის გასავლის წიგნშიაც ერთ გვერდს ვითომდა სათაურად ერთი ასეთი წარწერა ჰქონია: „საქველმოქმედო საქმეებისა და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისათვის“.

სტუმრები ღამის სამ-ოთხ საათზე იშლებოდნენ, ზოგჯერ ერთად ქალაქგარეთ ანდა ვიღაც ვარვარა ოსიპოვნასთან მიდიოდნენ. მე კი შევიდოდი ჩემს ოთახში და ხველისა და თავის ტკივილისაგან შეწუხებული კარგა ხანს ვერა და ვერ ვიძინებდი.

4.

იმ ამბიდან სამიოდე კვირის შემდეგ, რაც მე ორლოვს ლაქიად დავუდექი, ერთ კვირა დილას, მახსოვს, კარზე ვიღაცამ დარეკა. თერთმეტი საათი იყო და ორლოვს ჯერ ისევ ეძინა. კარის გასაღებად რომ წავედი, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი გაოცება, როდესაც კარს უკან, კიბის ბაქანზე, ვუალიანი ქალი დავინახე.

— გეორგი ივანიჩს ღვიძავს? — იკითხა ქალმა.

ხმაზე მაშინვე ზინაიდა ფეოდოროვნა ვიცანი, რომელსაც ამას წინათ ზნამენსკაიაზე წერილი მივუტანე. მის დანახვაზე ისე შეეცბი და დავიბენი, ისიც კი აღარ მახსოვს, პასუხის გაცემა მოვახერხე და მოვასწარი თუ არა. კაცმა რომ თქვას, ჩემი პასუხი არც სჭირდებოდა, თვალის დახამხამებაში გვერდით ჩამიქროლა, წინკარი თავისი სუნამოს სურნელით აავსო, რომლის კეთილსურნელება ახლაც შესანიშნავად მახსოვს, ოთახები გაიარა და მალე მისი ფეხის ხმა სრულიად მიწყდა. ყოველ შემთხვევაში, მთელი ნახევარი საათი ირგვლივ ჩამიჩუმიც არ ისმოდა. მაგრამ მალე კარზე კვლავ ზარის ხმა გაისმა. ამჯერად ვიღაც გამოპრანჭული ქალიშვილი, ეტყობა, რომელიღაც მდიდარი ოჯახის მოსამსახურე და ჩვენი შვეიცარი აღმოჩნდნენ, რომლებიც ორ ჩემოდანსა და ვეებერთელა კალათს აქოშინებულები ძლივს მოათრევდნენ.

— ეს ზინაიდა ფეოდოროვნას ბარგია, — თქვა ქალიშვილმა.

ამ სიტყვებით იგი გატრიალდა და წავიდა, მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი იდუ-

მალებით იყო მოცული, პოლიამაც კი, რომელიც დიდის მოწიწებით ეკიდებოდა ბატონის ყოველგვარ სიგიჟმაჟეს, ეშმაკურად ჩაიცინა, აქაოდა, ხედავ, როგორები ვართო!.. მთელი ეს ხანი პოლია სულ ფეხისწვერებზე დადიოდა. ბოლოს ნაბიჯების ხმა გაისმა, წინკარში ზინაიდა ფეოდოროვნა სწრაფად შემოვიდა და ჩემი ოთახის კარებში რომ დამინახა, მითხრა:

— სტეპან, გეორგი ივანიჩს ჩააცვით.

ტანისამოსითა და ჩექმებით ხელში ორლოვთან რომ შევედი, დათვის ტყავზე ფეხებგადმოყრილი იგი საწოლზე იჯდა და, ეტყობოდა, საოცრად გაოგნებული იყო. მე თითქმის ვერ მამჩნევდა, ცხადია, არც ჩემი ლაქიური აზრები და შეხედულებები იყო მისთვის ანგარიშში ჩასაგდები, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი თავად საკუთარ თავის წინაშე გრძნობდა სირცხვილსა და უხერხულობას. ისე ხმაამოუღებლად, ნელა, ზოზინ-ზოზინით იცვამდა, იბანდა, იწმინდებოდა და ივარცხნიდა, თითქოს დრო უნდა გაიყვანოს, რათა რაც შეიძლება კარგად აწონ-დაწონოს თავისი მდგომარეობაო. ზურგზედაც კი ეტყობოდა, რომ თავისი თავის უკმაყოფილო, შემცბარი და გაწბილებული იყო.

ყავა ერთად დალიეს. ზინაიდა ფეოდოროვნამ ყავადანიდან ჯერ თავისთვის დაისხა ყავა, მერე ორლოვს დაუსხა, მერე იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და გაიცინა...

— ჯერ არც კი მჯერა, — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — ისეთი გრძნობა მაქვს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ოტელში რომ მიხვალ, მაგრამ იცი, რომ მალე ისევ გზას უნდა დაადგე... რა სჯობია, თავისუფლად რომ ამოისუნთქავ.

იმ ადამიანის გამომეტყველებით, რომელსაც ძალიან უნდა იცელქოს და იგიჟმაჟოს, ზინაიდა ფეოდოროვნამ შვებით ამოისუნთქა და ისევ გაიცინა.

— მაპატიეთ, — თქვა ორლოვმა და თავი გაზეთისაკენ გადააქნია, — ყავის შემდეგ გაზეთის წაკითხვა ჩვეულებად მექცა, ვერა და ვერ ველევი. სამაგიეროდ, შემიძლია, ორი საქმე ერთდროულად ვაკეთო — წავიკითხო კიდევაც და მოგისმინოთ კიდევაც.

— იკითხეთ, იკითხეთ!.. თქვენს ჩვეულებას, თქვენს თავისუფლებას არავინ შეეხება, ხელს არავინ შეუშლის. მაგრამ, ცხვირ-პირი ასე რატომ ჩამოგტირით? დილ-დილობით მუდამ ასეთ გუნებაზე ხართ თუ მხოლოდ დღესა ხართ ასეთი? იქნებ არ გიხარიათ?

— პირიქით... მაგრამ, გამოგიტყდებით, რომ, ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ.

— რატომ? თქვენ ხომ საკმარისი დრო გქონდათ, რათა ჩემი ამ თავდასხმისათვის მიმზადებულიყავით — მე ხომ ამით ყოველდღე გემუქრებოდით?

— დიახ, მაგრამ, არ მეგონა, თქვენს მუქარას სწორედ დღეს შეასრულებდით.

— არც მე... მაგრამ, მე მგონი, ასე ჯობდა... დიახ, ჩემო მეგობარო, მოსაცვლელი კბილი დროზე უნდა მოიცვალო.

— რა თქმა უნდა.

— ო, ჩემო საყვარელო! — უთხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ და თვალები მოჭუტა, — ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. მაგრამ, ვიდრე ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, რომ იცოდეთ, რა სიმწარე გამოვიარე! იმას კი ნუ უყურებთ, ახლა რომ ვიცინი. მართალია, გახარებული და ბედნიერი ვარ, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, უფრო მეტირება, ვიდრე მეცინება... გუშინ, რომ იტყვიან, ნამდვილი ომი გადავიტანე, — განაგრძო მან ფრანგულად, — მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, რა დღეში ვიყავი... სიცილით კი იმიტომ ვიცინი, რომ არ მჯერა. ასე მგონია, აი, ახლა თქვენ გვერდით რომ ვზივარ და ყავას ვსვამ, ეს ყველაფერი ცხადში კი არა, სიზმარშია.

იმ ამბის მოყოლისას, ქმარს გუშინ როგორ გასცილდა, თვალები ხან ცრემლით ევსებოდა, ხან სიცილისაგან უბრწყინავდა, თან ორლოვს აღტაცებული შეჰყურებდა. ასე თქვა:

— ქმარი უკვე დიდი ხანია ეჭვობდა, მაგრამ ახსნა-განმარტებას ერიდებოდა; ძალიან ხშირად ვჩხუბობდით, შუა ჩხუბში უცებ დადუმდებოდა და თავის კაბინეტში გარბოდა, ეშინოდა, გაცხარებულს არაფერი წამოსცდენოდა, ანდა მეც ასეთი არ წამომეწყო ჩემი ის ახსნა-განმარტება. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ბრალეულად მიმაჩნდა, იმ ადამიანად, რომელსაც ერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო, ამის გამო საკუთარი თავიცა და ქმარიც ჩემთვის თანდათან აუტანელი ხდებოდა, ცხოვრება პირდაპირ ჯოჯოხეთად მექცა. გუშინ კი, ჩხუბის დროს, ჩემმა ქმარმა ცრემლნარევი ხმით რომ წამოიძახა — ღმერთო ჩემო, როდის... როდისღა უნდა მოეღოს ბოლო ამ ამბავსო! — და ამ სიტყვებით თავისი კაბინეტისაკენ გასწია, როგორც კატა თაგვს, ისე ვამოვეკიდე და, საშინლად ბძულხარ-მეთქი, მივაძახე, თან კარს ვეჯაჯგურებოდი, შიგნიდან ჩაკეტვის საშუალებას არ ვაძლევდი. ბოლოს კაბინეტში რომ შემიშვა, ყველაფერში გამოვუტყდი, ასე ვუთხარი, სხვა მიყვარს, ჩემი კანონიერი ქმარი ის არის, ამიტომაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ზარბაზანიც რომ მესროლონ, საცხოვრებლად დღესვე მასთან გადავიდე-მეთქი.

— მეტისმეტად რომანტიკული არსება ბრძანდებით, — შეაწყვეტინა ორლოვმა, ისე რომ გაზეთისათვის თვალი არ მოუცილებია.

ამ სიტყვებზე ზინაიდა ფეოდოროვნამ ერთი გაიცინა და განაგრძო მოყოლა. ყავით სავსე ფინჯანი წინ ისევ ხელუხლებელი ედგა. ლოყები ალეწვოდა, რის გამოც თავს, ეტყობა, უხერხულად გრძნობდა — დარცხვენილი ხან მე შემომხედავდა, ხან პოლიას. როგორც მისი შემდგომი მონაყოლიდან შევიტყე, ქმარმა ჯერ თურმე საყვედურები დააყარა, მერე დაემუქრა კიდეც, ბოლოს კი მწარე ცრემლებით ატირდა, ისე რომ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყოდით, ომი თვითონ კი არა, მისმა ქმარმა გადაიტანაო.

— დიახ, ჩემო მეგობარო, ვიდრე დაძაბული ვიყავი, ნერვები დაჭიმული მქონდა, ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, — განაგრძო ზინაიდა ფეოდოროვნამ, — მაგრამ, დაღამდა თუ არა, ფრთები ჩამოვყარე. თქვენ, ჟორჟ, ურწმუნო კაცი ხართ, ღმერთი არ გწამთ, მე კი, ცოტა არ იყოს, მორწმუნე გახლავართ, მეშინია, სამაგიერო არ მომეზღოს. ღმერთი ჩვენგან მოთმინებას, დიდსულოვნებასა და თავდადებას მოითხოვს, მე კი, აი, უარს ვამბობ ამ მოთმინებაზე და მინდა, ისე ავიწყო ცხოვრება, როგორც მესიამოვნება. მერედა, ვარგა ასე? ერთიც ვნახოთ, ღმერთისათვის მიუღებელი, უფრო მეტიც: დაუშვებელია ასეთი საქციელი, მაშინ? ღამის ორი საათი იქნებოდა, შემოვიდა ჩემი ქმარი ჩემს ოთახში და მეუბნება: აქედან ფეხსაც ვერ გადგამთ, ერთ ჩხუბსა და დაეიდარაბას ავტეხ, იცოდეთ, პოლიციის ძალით დაგაბრუნებთო. ორიოდე წუთსაც არ გაეელო, რომ გავიხედე, ისევ ლანდივით აიმართა კარებში: — შემიბრალეთ, თქვენმა გაქცევამ შეიძლება სამსახურში ზიანი მომაყენოსო. ამ სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, გული თითქოს ჩამეჭანგა — ჩანს, ღმერთი უკვე სამაგიეროს მიხდის-მეთქი, შიშისაგან აცახცახებულმა ტირილი მოვრთე. ასე მეგონა, თავზე ჭერი მექცეოდა, საცაა დამავლებდნენ ხელს, პოლიციაში გამაქანებდნენ და თქვენც გადამიყვარებდით. მოკლედ, რა აღარ ვიფიქრე! მონასტერში წავალ, ანდა მომვლელად დავუდგები ვინმეს, უარს ვიტყვი ჩემს ბედნიერებაზე-მეთქი, მაგრამ, გამახსენდა, რომ გიყვარდით, რომ მე უფლება არა მქონდა, თქვენს დაუკითხავად რაიმე გადამეწყვიტა. თავში ყველაფერი ამერ-დამერია, სასოწარკვეთ-

თილებაში ჩავარდნილს, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მეფიქრა. მაგრამ, აი, მზემ გამოანათა და გული მეც ისევ ხალისით ამევსო. მერე ცოტა ხანს შევიცადე და კარგად გათენდა თუ არა, ჩავჯექი ეტლში და თქვენთან მოვქრიალდი. ო, რომ იცოდეთ, როგორ დავიტანჯე, ჩემო საყვარელო! მთელი ორი ღამე თეთრად გავათენე.

ძალიან დაღლილი და აღელვებული იყო. თან ეძინებოდა, თან უნას არ აჩერებდა, ერთდროულად უნდოდა, ეცინა, ელაპარაკა, ეტირა, სასაუზმოდ რესტორანშიაც წასულიყო, რაოა ეჭვიც აღარ შეპპარვოდა, რომ მის თავისუფლებას აღარავინ ერჩოდა.

ყავა რომ დალია, მთელ ოთახებს ჩამოურბინა:

— მართალია, მყუდრო ბინა გაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ორი ადამიანისათვის საკმარისი არ იქნება. მე? მე რომელ ოთახს მომცემ? ეს ოთახი მომწონს, აი, ეს! იცი, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ შენი კაბინეტის გვერდითაა.

ორი საათისათვის კაბინეტის გვერდითა ოთახში, რომელსაც უკვე თავის ოთახს ეძახდა, ტანისამოსი გამოიცვალა და ორლოვთან ერთად სასაუზმოდ გასწია. სადილიც რესტორანში მიირთვეს. საუზმესა და სადილს შორის მთელი ის ხანგრძლივი დრო კი მაღაზიებში სიარულს მოანდომეს. დაღამებამდე ნოქრებისა და მაღაზიებიდან გამოგზავნილი ხალხისათვის კარის გაღებასა და ნაირ-ნაირი ნავაჭრის ჩამორთმევას ველარ ავუდიოდი. სხვათა შორის, მოიტანეს აგრეთვე არაჩვეულებრივი ტრიუმო, ტუალეტის მაგიდა, საწოლი და ასევე არაჩვეულებრივი ჩაის სერვიზი, რომელიც ჩვენ სრულებითაც არ გვესაჭიროებოდა. მოყარეს და მოყარეს სიდიდის მიხედვით ერთმანეთს მიყოლებული სპილენძის ქვაბები, რომლებიც ჩვენს ცივსა და გამოცარიელებულ სამზარეულოში თაროზე ჩავამწკრივეთ. ჩაის სერვიზს რომ ვხსნიდით, თვალებგაბრწყინებულმა პოლიამ ერთი-ორჯერ ისეთი სიძულვილითა და შიშით შემომხედა — ვაითუ იმას კი არა, მე მომეპარა პირველს ამ ნატიფ ფინჯანთაგან ერთ-ერთი. მერე ქალის საწერი მაგიდაც მოიტანეს, მეტისმეტად ძვირფასი, მაგრამ მეტისმეტად მოუხერხებელი. როგორც ჩანს, ზინაიდა ფეოდოროვნას გადაწყვეტილი ჰქონდა, მტკიცედ მოეკალათებინა ჩვენს სახლში. ორლოვი და ზინაიდა ფეოდოროვნა შინ რომ დაბრუნდნენ, უკვე ათი საათი იყო. იმ ამაყი შეგნებით აღსავსე — დიდი გაბედულება გამოვიჩინე, რაღაც არაჩვეულებრივი ჩავიდინეო — ორლოვისადმი მგზნებარე სიყვარულით გულანთებული და, როგორც თავად ეჩვენებოდა, ორლოვისათვისაც ასევე საყვარელი, — ღრმა, ნეტარი ძილის მოლოდინში, ზინაიდა ფეოდოროვნა თავისი ახალი ცხოვრების სიამით ტკბებოდა. მეტისმეტი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა, ყველაფერი შესანიშნავადაო, ამბობდა და, საუკუნო სიყვარულში ეფიცებოდა ორლოვს. და ეს ფიცი, ეს გულუბრყვილო, თითქმის ბავშვური გულდაჯერებულობა, რომ ისიც მთელი არსებით უყვართ და ასევე საუკუნოდ ეყვარებათ, სულ ცოტა, ხუთი წლით მაინც აახალგაზრდავებდა. ბავშვივით სულ რაღაც სისულელეებს როშავდა და თავის ამ ბავშვურ ტიტინზე თვითონვე იცინოდა.

— არსებობს კი ადამიანისათვის უფრო დიდი სიკეთე, ვიდრე თავისუფლებაა! — ამბობდა იგი და თავს ძალას ატანდა, რაიმე უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი ეთქვა. — ხომ წარმოგიდგენიათ, რა სისულელეა! საკუთარ აზრს, გონივრულიც რომ იყოს, არაფრად ვაგდებთ, მაშინ, როცა ლამის გვაკანკალებს ვინმე უგნურის ნათქვამზე. ამ უკანასკნელ წუთამდე ყველას ანგარიშს ვუწევდი, მეშინოდა, მაგრამ, როგორც კი საკუთარ თავს მოვუსმინე, როგორც კი გადავწყვიტე, ჩემს ნებაზე მეცხოვრა, თვალი ამეხილა, ჩემს სულელურ შიშს ვძლიე და აი, ბედნიერი ქალი ვარ, ნეტავი ყველა ასე ბედნიერი იყოს.

უცებ აზრის ძაფი გაუწყდებოდა და ახლა ახალ ბინაზე, შპალერზე, ცხენებსა

თუ შვეიცარიასა და იტალიაში მოგზაურობაზე დაიწყებდა ლაპარაკს. ორლოვს, ეტყობა, ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი მაღაზიებსა და რესტორნებში სიარულისაგან და საკუთარი თავის წინაშე ახლაც ისეთსავე უხერხულობას განიცდიდა, როგორც ამ დილას. ღიმილით მართალია იღიმებოდა, მაგრამ არა სიამოვნებისაგან, არამედ ზრდილობის გამო. წამოიწყებდა ზინაიდა ფეოდოროვნა რაიმე სერიოზულ ლაპარაკს და ორლოვი მაშინვე ირონიულად შეაწყვეტინებდა: — ოო, [illegible]

— სტეპან, სასწრაფოდ ერთი კარგი მზარეული უნდა მიშოვოთ, — მითხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ.

— ჯერჯერობით მოვეშვათ სამზარეულოს, — თქვა ორლოვმა და თან ცივად გადმომხედა, — აი, გადავალთ ახალ ბინაში და...

ორლოვს არც ცხენები ჰყოლია, არც სამზარეულოს მოწყობაზე უფიქრია არასოდეს, ვინაიდან, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „შინ ნაგვის შემოტანა“ არ უყვარდა. მე და პოლიას კი თავის სახლში მხოლოდ იმიტომ გვითმენდა, რომ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ეგრეთ წოდებული ოჯახური კერა, თავისი ჩვეულებრივი სიხარულითა და ჩვეულებრივი კინკლაობებით ისევე შეურაცხჰყოფდა, როგორც უხამსობა. ორსულობა, ბავშვების გაჩენა და მასზე ლაპარაკი ცუდ ტონად მიაჩნდა, ამიტომაც ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო, ამ ორ ადამიანს ერთ ჭერქვეშ როგორ უნდა ეცხოვრა — კარგ მზარეულსა და ცხენებზე მეოცნებე ზინაიდა ფეოდოროვნას, შესანიშნავ მეოჯახეს, იმ თავისი ნაირ-ნაირი სპილენძის ქვაბებით, და ორლოვს, რომელიც ძმაკაცებთან საუბრისას სულ იმას ამბობდა, წესიერი, სისუფთავის მოყვარული ადამიანის ბინაში, ისე როგორც სამხედრო გემზე, ზედმეტი არაფერი უნდა იყოს — არც ქალი, არც ბავშვები, არც რაღაც ფანციფუნცები და არც ჭურჭელიო...

5.

ახლა მოგიყვებით, რა მოხდა შემდეგ ხუთშაბათს. იმ დღეს ორლოვმა და ზინაიდა ფეოდოროვნამ, არ ვიცი, კონტთან ისაუზმეს, არ ვიცი, დონონთან. რესტორნიდან ორლოვი შინ მარტო დაბრუნდა, ზინაიდა ფეოდოროვნა კი, როგორც შემდეგში შევიტყე, პეტერბურგის მხარეს, თავის მოხუც გუვერნანტთან წასულა, რათა დრო გაეყვანა და შინ მანამდე არ დაბრუნებულიყო, ვიდრე სტუმრები არ წავიდ-წამოვიდოდნენ, ვინაიდან ორლოვს არ უნდოდა, იგი ძმაკაცებთან გამოეჩინა. ეს ამბავი დილით ყავაზე გავიგე, როდესაც ორლოვი ზინაიდა ფეოდოროვნას უმტკიცებდა, შენ რომ არ ინერვიულო, ხუთშაბათობებს საერთოდ მოვშლიო.

სტუმრები, როგორც წესი, მუდამ ერთსა და იმავე დროს იკრიბებოდნენ.

— ქალბატონი შინაა? — მკითხა ჩურჩულით კუკუშკინმა.

— არა, ბატონო, არ გახლავთ-მეთქი, — ვუპასუხე.

შინ რომ შემოვიდა, ეშმაკურად თვალებმინაბული კუკუშკინი სიცივისაგან დამზრალ ხელებს იფშვნეტდა და ჩუმად იღიმებოდა.

— მაქვს პატივი მოგილოცოთ, — ეუბნებოდა ორლოვს და მაამებლური, პირმოთნე სიცილისაგან სხეული უთახთახებდა, — „აღორძინდით და განმრავლდით, ვითარცა ნაძვნი ლიბანისანი“.

მერე სტუმრები საძინებელ ოთახში შევიდნენ და საწოლსა და საწოლს შუა იატაკზე ჩაფენილი ხალიჩის, საწოლის თავზე გადაკიდებული ქალის ნაცრისფერი ზედატანისა და ფეხსაცმლის დანახვაზე, ერთი ხუმრობა და ქილიკი ატეხეს. ის, რომ ეს ჯიუტი, კერპი კაცი, რომელიც აბუჩად იგდებდა ყველაფერს, თუკი რამ ქალსა და სიყვარულს შეეხებოდა, თუნდაც სრულიად ჩვეულებრივსა და მარტივსაც კი,

ანაზდად თვითონაც ასევე ჩვეულებრივად და მარტივად გაება ქალის მახეში, მეტისმეტად ამხიარულებდათ. „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო", — რამოდენიმეჯერ გაიმეორა კუკუშკინმა, რომელსაც, სიტყვამ მოიტანა და, ერთი არცთუ ისე სასიამოვნო ჩვეულებაც ჰქონდა — საეკლესიო სლავური ტექსტებით თავის მოწონება უყვარდა. — ჩ-ჩ, წყნარად! — თქვა ჩურჩულით, როდესაც [illegible] კაბინეტის გვერდითა ოთახში გაეღვიძა და თითი ტუჩებთან მიიტანა. [illegible] მარგარიტა აქ თავის ფაუსტზე ოცნებობს.

და ისე გადაფიჩინდა სიცილით, თითქოს რალაც არაჩვეულებრივად სასაცილო ეთქვას. ვუყურებდი ქართველს და ველოდი, რომ მისი მუსიკალური სული ამ სიცილს ვერ გაუძლებდა, მაგრამ შევცდი. გამხდარი, მოგრძო, კეთილი სახე იმასაც სიამოვნებისაგან უბრწყინავდა. ბანქოს სათამაშოდ რომ სხდებოდნენ, სიცილით გაგუდულმა ბლუკუნ-ბლუკუნით ძლივს წარმოთქვა, სრული ბედნიერებისათვის ჟორჟინკას მხოლოდ გიტარა და ბლის ჩიბუხილა აკლიაო. პეკარსკი თავისთვის ჩუმად, დარბაისლურად იღიმებოდა, მაგრამ დაძაბულ გამოხედვაზე აშკარად ეტყობოდა, რომ ორლოვის ეს ახალი სასიყვარულო თავგადასავალი არცთუ ისე ძალიან მოსწონდა. უბრალოდ, ვერც კი გაეგო, რა ხდებოდა.

— მერედა, ქმარი? ქმარს რალას უშვრებით? — ჰკითხა ორლოვს გაოგნებულმა, მეოთხე ხელის თამაშს რომ მორჩნენ,

— ეჰ, რა ვიცი... — უპასუხა ორლოვმა.

პეკარსკიმ თავისი დიდი წვერი თითებით ჩამოიფოცხა და ჩაფიქრდა. ვახშამმა ისე მოაწია, ხმა არ ამოუღია, მაგრამ ვახშმად რომ დასხდნენ, დინჯად, დარბაისლურად დაიწყო, თვითეულ სიტყვას წელავდა, აჭიანურებდა:

— ისე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, თქვენი — არც ერთისა და არც მეორისა არაფერი მესმის. ვინ გიშლიდათ, გყვარებოდათ ერთმანეთი, დაგერღვიათ მეშვიდე მცნება... კი ბატონო, რამდენიც გინდოდეთ და როგორც გენებოთ... მაგრამ აი, მაგ თქვენი საიდუმლოს ქმრისათვის გამხელა რატომ დაგჭირდათ, ეგ კი სრულიად გაუგებარია ჩემთვის. არა, იყო კი საჭირო?

— ვითომ რა მნიშვნელობა აქვს?

— ჰმ... — ჩაფიქრდა პეკარსკი, — იცი, რას გეტყვი, ჩემო ძმაო... თუ როდისმე მეორედ ცოლის შერთვა გადავწყვიტე, შენ კი ჩემთვის რქების დადგმა მოგეპრიანა, ისე მოიქეცი, მე ვერაფერი გავიგო. ჯობია, მოატყუო კაცი, ვიდრე ცხოვრების ნირი მოუშალო, ჩირქი მოსცხო მის სახელს. კი ბატონო, მაგრამ, თქვენ გგონიათ, ასე თუ იცხოვრებთ, ამით არაჩვეულებრივ პატიოსნებასა და ლიბერალობას გამოიჩენთ? ჩემთვის კი, მართალი გითხრათ, აი, ის თქვენი... რა ჰქვია? ის თქვენი რომანტიზმი სრულიად გაუგებარია.

ორლოვმა არაფერი უპასუხა, გუნებაზე ვერ იყო და ლაპარაკის ხალისი არა ჰქონდა. პეკარსკიმ, რომელიც ისევ ისეთი გაოგნებული ჩანდა, მაგიდაზე თითები ააკაკუნა და დაფიქრებულმა განაგრძო:

— არა, მე მაინც არ მესმის თქვენი. არც შენა ხარ სტუდენტი და არც ის არის მკერავი. თქვენ ორივენი შეძლებული ხალხი ხართ. განა არ შეგეძლო, ამდგარიყავი და ცალკე გექირავებინა ბინა ზინაიდა ფეოდოროვნასათვის?

— არა, არ შემეძლო... ტურგენევი მაინც წაიკითხე!

— რატომ უნდა წავიკითხო, უკვე წაკითხული მაქვს.

— ჰოდა, ტურგენევი თავის ნაწარმოებებში გვასწავლის, კეთილშობილი, ამაღლებული სულის, პატიოსნად მოაზროვნე ქალი მზად უნდა იყოს, საყვარელ მამაკაცს

ცხრა მთას იქითაც კი გაჰყვეს, მის იდეების მსახური იყოსო, — თქვა ირონიულად თვალებმოჭუტულმა ორლოვმა, — ცხრა მთას იქით, ეს licentia poëtica-ა[1], სამყაროცა და ცხრა მთაც ქალისათვის საყვარელი მამაკაცის სახლია, ამიტომაც ქალთან, რომელსაც უყვარხარ, ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრო, ეს იმას ნიშნავს, უარყო მისი მაღალი დანიშნულება და არ გაიზიარო მისი იდეალები... ედიახ, ასული ჩემო, ტურგენევმა დაწერა, თავში ქვა კი მე უნდა ვიხალო.

— ჟორჟინკა, ვერ გამიგია, ტურგენევი რა შუაშია? — წყნარად ჩაილაპარაკა ქართველმა და მხრები აიჩეჩა, — აი, მისი „სამ ვერსზე" ხომ გახსოვს? მიღის თავისთვის გვიან ღამით სადღაც იტალიაში და უცებ ესმის: — Vieni pensando a me segretamente![2] — წაიმღერა ქართველმა, — შესანიშნავია!

— კი მაგრამ, ძალად ხომ არ გადმოსულა? — თქვა პეკარსკიმ, — ალბათ შენც გინდოდა.

— არათუ არ მინდოდა, წარმოდგენაც არა მქონდა. უნდა გადმოვიდეო, რომ იტყოდა, მევონა, ლამაზად ხუმრობდა.

ამაზე ყველამ გაიცინა.

— რანაირად უნდა მდომებოდა! — განაგრძო ორლოვმა ისეთი ხმით, თითქოს თავი უნდა იმართლოსო, — მე ხომ ტურგენევის გმირი არა ვარ! — ოდესმე ბულგარეთის განთავისუფლება თუ მომეპრიანა, ამისათვის ქალი სულაც არ დამჭირდება... სიყვარული ჩემთვის უპირველეს ყოვლისა ჩემი ორგანიზმის მოთხოვნილებაა, ჩემი სულის მტერი და დამამცრობელი. იგი ან გონიერულად უნდა დაიკმაყოფილო, ანდა სრულიად უარი უნდა თქვა მასზე, თორემ შენს ცხოვრებაშიაც ისეთივე არაწმინდა ელემენტს შემოიტანს, როგორიც თვითონაა. სიყვარული წამებად კი არა, სიამოვნებად რომ მექცეს, ვცდილობ, გავალამაზო, ათასგვარი ილუზიებით შევავსო. ქალთან ისე არ წავალ, ვიდრე წინასწარ არ დავრწმუნდები, რომ იგი ლამაზი და მომხიბველელი იქნება. არც მაშინ წავალ, ეშხზე თუ არა ვარ. მხოლოდ ასე ვახერხებთ ერთმანეთის მოტყუებას — აქაოდა, ერომანეთი გვიყვარს, ძალიან ბედნიერები ვართო. თორემ რა გულმისასვლელი და მოსანდომებელია გაწეწილი, აბურდულ-დაბურდული თმა და სპილენძის ჯამ-ჭურჭელი. ან მე რაში მესიამოვნება, ვიღაცამ პირდაუბანელი და გუნებაარეული მნახოს. იმ თავისი გულუბრყვილობის გამო, ზინაიდა ფეოდოროვნას ჰგონია, ისეთ რამეს შემაყვარებს, რასაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვუფრთხოდი. უნდა, ეს ჩემი ბინა მაინცადამაინც სამზარეულოსა და ჭურჭლის მრეცხავების სუნით იყოს სავსე; ხმაურითა და ზარ-ზეიმით ახალ ბინაში გადასახლდეს, საკუთარი ცხენებით ისეირნოს, ჩემი თეთრეული თვალოს და ჩემს ჯანმრთელობაზე იზრუნოს; ყოველ წუთს ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს, თვითეული ნაბიჯი დამითვალოს და თან გულწრფელად დამაჯეროს, რომ არც ჩემი ცხოვრების წესს შეეხება, არც ჩემს თავისუფლებას. იგი დარწმუნებულია, ვითარცა ახალშეუღლებულნი, სულ მალე სამოგზაუროდ წავალთ, ესე იგი, სურვილი აქვს, გვერდიდან წუთითაც არ მომცილდეს, არც კუპეში, არც ოტელში და საერთოდ, არსად, მაშინ, როდესაც მგზავრობის დროს ლაპარაკს ვერ ვიტან, მირჩევნია, ვიჯდე ჩემთვის ჩუმად და ვიკითხო.

— შენც აღექი და აუხსენი, — უთხრა პეკარსკიმ.

— როგორ, შენ გგონია გამიგებს? მაპატიეთ, მაგრამ ჩვენ ხომ სრულიად სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ!.. მისი აზრით, დედიკოსა და მამიკოსთან თუ არ იცხოვრებ, ანდა ქმარს მიატოვებ და საყვარელ მამაკაცთან წახვალ, დიდი ვაჟკაცობაა,

1. პოეტური თავისუფლება (ლათ.).
2. ჩუმად შემოდი, ჩემზე ფიქრით გულავსებული (იტალ.).

2024
საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ყოველგვარ მოქალაქეობრივ გმირობას აღემატება. მაგრამ, მე თუ მკითხავ, ეს მხოლოდ ბავშვობაა და მეტი არაფერი. მისთვის კაცის შეყვარება, იმ კაცთან დაახლოება, ახალი ცხოვრების დაწყების ტოლფასია, პირადად ჩემთვის კი ეს სრულიად არაფერს არ ნიშნავს. მისი ცხოვრების დედაარსს სიყვარული და მამაკაცი წარმოადგენს. მიდი და დაარწმუნე, სიყვარული უბრალო მოთხოვნილებაა, ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც საჭმელსა და ტანსაცმელზე; რომ სულაც არ ინგრევა ქვეყანა იმის გამო, უხეირო ქმრები ან ცოლები რომ არსებობენ, რომ შეიძლება კაცი გარყვნილი და მაცდუნებელი, მაგრამ ამავე დროს გენიალური და კეთილშობილი იყოს. მეორეს მხრივ, შეიძლება უარი თქვა სიყვარულით ტკბობაზე, მაგრამ ამავე დროს უჭკუო, დესპოტი და მხეცივით მძვინვარე იყო. თანამედროვე კულტურული ადამიანი, ქვედა საფეხურზე მდგომიც კი, მაგალითად, ფრანგი მუშა, დღეში სადილზე ათ სუს ხარჯავს, ღვინოზე — ხუთ სუს, ქალზე ხუთიდან ათ სუმდე, თავის ჭკუასა და ნერვებს კი მთლიანად სამუშაოს ახმარს. რაც შეეხება ზინაიდა ფეოდოროვნას, სიყვარულისათვის იგი არათუ სუს, სიცოცხლესაც არ დაიშურებს. ჩემის ჭკუით, თითქოს ვარიგებ, მინდა რაღაც შევაგონო, გავაგებინო, ის კი გულამოსკვნილი ტირის, შენ დამღუპე, ცხოვრებაში უკვე აღარაფერი დამრჩენიაო.

— ადექი და ცალკე დაუქირავე შენც ბინა, ნურც კი ეტყვი იმას ნურაფერს.

— თქმა ადვილია...

მერე ცოტა ხანს იყუჩეს.

— სანდომიანი ქალია, — თქვა კუკუშკინმა, — მომხიბვლელი, ასეთი ქალები დარწმუნებულები არიან, რომ მათ არასოდეს გადაიყვარებენ, ისინი მუდამ დიდის პათოსით ეძლევიან სიყვარულს.

— ჰო, მაგრამ, მხრებზე თავი ხომ უნდა გებას, ხომ უნდა განსაჯო! — თქვა ორლოვმა, — ის დიდი გამოცდილება, რომელიც ჩვენთვის ყოველდღიური ცხოვრების მიერაა ნაბოძები და ასობით რომანსა და დრამის ფურცლებზეა გადატანილი, გვიმტკიცებს, რომ ყოველგვარი ადიულტერი თუ ორი პატიოსანი ადამიანის ერთად ცხოვრება, როგორი და რა სიძლიერისაც არ უნდა იყოს მათი სიყვარული დასაწყისში, ორ ან დიდი-დიდი სამ წელიწადზე მეტს არასოდეს გრძელდება. ხომ უნდა იცოდეს ეს! ამიტომაც მთელი ეს გადაბარგ-გადმობარგება, ეს ნაირ-ნაირი ქვაბები თუ ნაირ-ნაირი ჯამ-ჭურჭელი, ეს რწმენა მარადიულ სიყვარულსა თუ ურთიერთგაგებაზე, სხვა არაფერია, თუ არა ჩემი და საკუთარი თავის გაბრიყვების სურვილი. ცხადია, ზინაიდა ფეოდოროვნა მეტად სანდომიანი და მომხიბვლელი ქალია, საკამათო აქ არც არის არაფერი, მაგრამ ჩემი ცხოვრების წესი და მდინარება ამ მეტად სანდომიანმა და მომხიბვლელმა ქალმა თავდაყირა დააყენა. ის, რაც აქამდე სისულელედ და წვრილმანად მიმაჩნდა, მაიძულებს, სერიოზული საკითხის დონეზე ავიყვანო. ესე იგი, გამოდის, იმ კერპს უნდა ვემსახურო, რომელიც ღმერთად არასოდეს მიწამებია. იგი ლამაზიცაა და მომხიბვლელიც, მაგრამ ახლა სამსახურიდან შინ რომ ვბრუნდები, ჩემს სულს რაღაც უამური გრძნობა ეუფლება, ასე მგონია, შინ მოსულს რაღაც უსიამოვნო გარემო დამიხვდება. აი, მებუხრეები ყველა ბუხარს რომ დაანგრევენ და მთელი სახლი აგურის ყორეებითაა სავსე. ერთი სიტყვით, სიყვარულს სუ კი არა, მთელი ჩემი ნერვები და სიმშვიდე უნდა მივახარჯო, რაც ჩემთვის მართლაც რომ აუტანელია.

— არაფერი მინდა, ამ უკეთურის სიტყვები ზინაიდა ფეოდოროვნას გააგონა, — ამოიოხრა კუკუშკინმა, — მოწყალეო ხელმწიფევ, — წარმოთქვა მან თეატრალურად, — შემიძლია გაგანთავისუფლოთ იმ მძიმე მოვალეობისაგან, რომელიც ამ

მშვენიერი ქმნილების სიყვარულში მდგომარეობს — ზინაიდა ფეოდოროვნას მე წაგართმევთ.

— კი, ბატონო... — უპასუხა ორლოვმა.

კუკუშკინმა მთელი ერთი წუთი თავისი წვრილი ხმით იკიკინა, თან ხელული უთუხთუხებდა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— იცოდეთ, არ ვხუმრობ! კეთილისებეთ და მერე ოტელოს ლაპარაკი კარგად დამიწყოთ!

ახლა იმაზე მოპყვნენ ლაპარაკს, როგორი დაუცხრომელი იყო კუკუშკინი სასიყვარულო საქმეებში, როგორი მიმზიდველი, მომხიბვლელი იყო ქალებისათვის, მამაკაცებისათვის კი საშიში და მისი ამ გარყვნილი ცხოვრებისათვის როგორ შებრაწავდნენ იმ ქვეყანას ეშმაკები ჯოჯოხეთის გეენაში. მათ ამ საუბარს კუკუშკინი თვალებმოჭუტული, პირუჩუმრა უსმენდა და რომელიმე ნაცნობ ქალს თუ დაასახელებდნენ, ნეკა თითით ემუქრებოდა — აქაოდა, სხვისი საიდუმლოს გამხელა რა წესიაო. ორლოვმა უცებ საათზე დაიხედა.

სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ. მახსოვს, ღვინით შეზარხოშებული ქართველი ამჯერად მეტისმეტად დიდხანს იცვამდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოეწყო თავის ბავშვის კაპოტის მსგავს პალტოში, საყელო აიწია და რაღაც გრძელი ამბის მოყოლა დაიწყო. მაგრამ, როცა დაინახა, არავინ უსმენდა, ბავშვის სუნით გაჟღენთილი პლედი მხარზე გადაიკიდა და მობოდიშე, მუდარით სავსე თვალებით შემომხედა, ქუდი მომიძებნეო.

— ყორჟინკა, ჩემო ანგელოზო! — ნაზად უთხრა ორლოვს, — გეთაყვა, დამიჯერეთ, ჯობია, ქალაქგარეთ წავიდეთ!

— თქვენ წადით, ჩემთვის კი არ შეიძლება — მე ახლა დაოჯახებული კაცი ვარ.

— ისეთი დიდებული ქალია, ვიცი, არ გაბრაზდება. ჩემო კეთილო უფროსო, ჩემო კარგო, წავიდეთ! ამინდი შესანიშნავია — ყინვა, ქარბუქი... ვფიცავ, ცოტა თუ არ გახალისდით, არ შეიძლება. დალახვროს ეშმაკმა, გატყობთ, გუნებაზე ვერ ბრძანდებით...

ორლოვი გაიზმორა, დაამთქნარა და პეკარსკის შეხედა.

— წამოხვალ? — ჰკითხა ჩაფიქრებით.

— რა ვიცი, ალბათ წამოვალ.

— იქნებ დაგველია? ეჰ, რაც არის, არის, — თქვა ორლოვმაც ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, — წავალ, ფულს აეიღებ.

ორლოვმა კაბინეტისაკენ გასწია, უკან ქართველი აედევნა, მიდიოდა და პლედს იატაკზე მიათრევდა. ორიოდე წუთის შემდეგ ორივენი წინკარში იყვნენ. ოდნავ შემთვრალი და მეტისმეტად კმაყოფილი ქართველი ხელში ათმანეთიანს ჭმუჭნიდა.

— ხვალ გავსწორდებით, — ამბობდა იგი, — ზინაიდა ფეოდოროვნა კი კეთილი ქალია, არ გაბრაზდება... ჩემი ლიზას ნათლიაა, ძალიან მიყვარს, საბრალო. აჰ, ჩემო ძვირფასო! აჰ, პეკარსკი, სულო ჩემო! მართალია, ადვოკატისიმუსი ხარ, ცივი და უსულგულო, მაგრამ, აი, ქალები მაინც გიყვარს...

— სქელი ქალები-თქო, ესეც დაუმატეთ, — ამბობდა, ორლოვი და თან ჭურჭს იცვამდა, — ოღონდ ცოტა ჩქარა, თორემ აი, ნახავთ, კარის ზღურბლზე თუ არ დაგვიხვდება.

— Vieni pensando a me segretamente! — წაიმღერა ქართველმა.

ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. იმ ღამეს ორლოვს შინ არ გაუთენებია. მეორე დღეს სახლში რომ მოვიდა, სადილობა უკვე გადასული იყო.

6.

ერთ დღესაც ზინაიდა ფეოდოროვნას მამის ნაჩუქარი საათი დაეკარგა. დადიოდა ოთახიდან ოთახში შემკრთალ-შეშინებული და მაგიდებსა და ფანჯრის რაფებზე ამაოდ ეძებდა დაბნეული.

ამ ამბიდან სამიოდე დღე იქნებოდა გასული, რომ საიდანღაც დაბრუნებულ ზინაიდა ფეოდოროვნას წინკარში საფულე დაავიწყდა. ჩემდა საბედნიეროდ, იმჯერად მე კი არა, პოლია ეხმარებოდა ვახდაში.

— რა საცარია! — ამბობდა საგონებელში ჩავარდნილი ქალი, — შესანიშნავად მახსოვს, მეეტლისათვის ფულის გადასახდელად საფულე ჯიბიდან როგორ ამოვიღე... მერე კი, აი, აგერ, სარკის წინ როგორ დავდე. საცარია!

მართალია, საფულე მე არ ამიღია, მაგრამ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქურდობაზე დამიჭირეს, თვალებში ცრემლიც კი ჩამიდგა. სადილად რომ სხდებოდნენ, ზინაიდა ფეოდოროვნამ ფრანგულად უთხრა ორლოვს:

— როგორც ჩანს, ჩვენს სახლს სულები დაეპატრონენ. დღეს წინკარში საფულე დამეკარგა, ახლა კი, ვხედავ, აგერ ჩემს მაგიდაზე დევს. მაგრამ სულებს, ეტყობა, არც ისე უანგაროდ მოუწყვიათ ჩემთვის ეს ფოკუსი, გასამრჯელოდ ერთი ოქროს მონეტა და ოცი მანეთი ფული წაუღიათ.

ერთ წუთსაც არ გაეკვლო, რომ ზინაიდა ფეოდოროვნას სრულიადაც აღარ ახსოვდა სულების მიერ მოწყობილი ფოკუსი და სიცილით ჰყვებოდა, წინა კვირას საფოსტო ქაღალდი როგორ შეუკვეთა, თავისი ახალი მისამართის შეტყობინება როგორ დაავიწყდა და მაღაზიამ ქაღალდი ძველ მისამართზე — მისი ქმრის ბინაში როგორ გაავზავნა ანგარიშითურთ, რაშიაც ქმარს თორმეტი მანეთი უნდა გადაეხადა. უცებ დაჟინებული მზერა პოლიაზე შეაჩერა, თან ისე გაწითლდა, ისე შეცბა, რომ დაავიწყდა, რაზე ლაპარაკობდა და სხვა რაღაც საუბარს მოჰყვა.

კაბინეტში ყავა რომ შევიტანე, ორლოვი ბუხართან ზურგშექცევით იდგა, ზინაიდა ფეოდოროვნა კი მის წინ საკარძელში იყო ჩამჯდარი.

— არა, ცუდ გუნებაზე სრულებითაც არა ვარ, — ამბობდა იგი ფრანგულად, — მაგრამ ახლა უკვე მივხვდი... ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია... შემიძლია, დღე და საათიც კი დავასახელო, საათი როდის მომპარა. საფულე? საფულეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ო-ო! — გაიცინა ზინაიდა ფეოდოროვნამ და ყავა გამომართვა, — დიახ, დიახ, ჩემთვის ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია, ვიცი, რატომ მეკარგება ასე ხშირად ხელთათმანები და ცხვირსახოცები. შენ როგორც გინდა, მე კი ხვალვე გავუშვებ ამ ქურდბაცაცა კაჭკაჭს. ხვალვე გავაგზავნი სტეპანს ჩემი სოფიოს წამოსაყვანად. ის არც ქურდია და არც ასეთი... აუტანელი სიფათი აქვს.

— გატყობთ, ხასიათზე არა ხართ. აი, ხვალ უკვე სხვა გუნებაზე იქნებით და მიხვდებით, რომ არ შეიძლება ადამიანი გააგდო მხოლოდ იმის გამო, რომ მის საქციელში რაღაც გეეჭვებათ.

— კი არ მეეჭვება, დარწმუნებული ვარ, — უპასუხა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — ვიდრე ეჭვი ამ საცოდავი გამომეტყველების პროლეტარზე, ამ თქვენს ლაქიაზე მქონდა, ხმა არ ამომიღია, სიტყვა არ დამიძრავს. ეორე, იცით, ძალიან მწყინს — მაინც რატომ არ მიჯერებთ?

— ის, რომ მე და თქვენ სხვადასხვა აზრისა ვართ ამა თუ იმ საგანზე, სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენი არა მჯერა. დავუშვათ, მართალიც ხართ, — ამ სიტყვებით ორლოვი ბუხრისაკენ შებრუნდა და პაპიროსი ცეცხლში ჩააგდო, — მიუხედავად ამისა, განა ღირს ამაზე ფიქრი და ნერვიულობა? ისე, სიმართლე რომ გითხრათ, არ

მეგონა, ეს ჩემი პატარა მეუერნეობა ამდენ სანერვიულოსა და საზრუნავს თუ გაგიჩენდათ. დავუშვათ, დაიკარგა მონეტა, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია, თუ გინდათ, ასი მონეტა აიღეთ მის მაგივრად, მაგრამ ამ სახლში დამკვიდრებული წესის შეცვლა, ქუჩიდან ახალი შინამოსამსახურის შემოყვანა და ლოდინი, აქაურობას რიდის მიეჩვევა!.. ეს ხომ გრძელი, მოსაწყენი ამბავია, თანაც ასეთი რამეები სულაც არ შეესაბამება ჩემს ხასიათს. მართალია, ჩვენი ახლანდელი ძოახლე ზედმეტად ჩასუქებულია და ცხვირსახოცებსა და ხელთათმანებზე გიჟდება, მაგრამ საკმაოდ ზრდილი, წესრიგიანი ქალია და კუკუშკინის ჩქმეტაზე ერთ წიკილ-კივილსა და ვაიუშველებელს არ იწყებს.

— ესე იგი, არ შეგიძლიათ მასთან განშორება... არ ჯობია, პირდაპირ თქვათ?

— ეჭვიანობთ?

— დიახ, ვეჭვიანობ, — მტკიცედ უპასუხა ზინაიდა ფეოდოროვნამ.

— გმადლობთ.

— დიახ, ვეჭვიანობ, — გაიმეორა ქალმა და თვალებში ცრემლი აუბრწყინდა. არა, ეს ეჭვიანობა არ არის, ეს რაღაც ეჭვიანობაზე უარესია... მე ამის სახელის მოძებნაც კი მიჭირს. — ხელები საფეთქლებზე მიიჭირა და აღელვებულმა განაგრძო: თქვენ, მამაკაცები ისეთი აუტანელი, ზოგჯერ ისეთი საძაგლები ხართ, პირდაპირ საშინელებაა!

— მე აქ საშინელს ვერაფერს ვხედავ.

— არ ვიცი, არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ, კაცები, ჯერ კიდევ ბავშვობიდან იწყებთ შინამოსამსახურეებთან არშიყს და ისე ეჩვევით, რომ მერე უკვე ზიზღსაც აღარა გრძნობთ. ეს მე წიგნებშიაც წამიკითხავს... ჟორჟ, შენ, რა თქმა უნდა, მართალი ხარ, — იგი ორლოვთან მივიდა და ახლა უკვე კილოშეცვლილმა ალერსითა და მუდარით უთხრა, — დღეს, ეტყობა, მართლაც გუნებაზე ვერა ვარ, მაგრამ შენც გამიგე... გამიგე, რომ სხვაგვარად არ შემიძლია. ძალიან მეზიზღება, მეშინია, მისი დანახვაც კი მზარავს.

— ნუთუ არ შეიძლება, ყურადღება არ მიაქციო ამ წვრილმანებს? — ორლოვმა მხრები გაკვირვებით აიჩეჩა და ბუხარს მოშორდა, — აბა, ამაზე ადვილი რა არის? შენც ადექი და სულაც ნუ შეხედავ, მაშინ აღარც შეგეზიზღება და არც ამ სისულელეს გაიხდი დრამად.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მე კაბინეტიდან გავედი და არ ვიცი, ორლოვმა რა პასუხი მიიღო. ასე იყო თუ ისე, პოლია ჩვენთან დარჩა. ერთი კია, მას მერე ზინაიდა ფეოდოროვნას პოლიასათვის აღარაფერზე მიუმართავს, ცდილობდა, უმისოდ გასულიყო იოლად. პოლია რაიმეს თუ მიართმევდა, ანდა იმ თავისი სამაჯურების წკარუნითა და ქვედა კაბის შარიშურით, უბრალოდ, გვერდით ჩაუვლიდა, საშინლად შეკრთებოდა, ფერს კარგავდა.

ასე მგონია, ორლოვისათვის ქართველს ან პეკარსკის რომ ეთხოვა პოლიას გაშვება, ორლოვი წუთითაც არ შეყოყმანდებოდა, ახსნა-განმარტებებით თავსაც არ შეიწუხებდა. როგორც ყველა გულგრილი ადამიანი, ისიც ძალიან დამყოლი იყო. ზინაიდა ფეოდოროვნას მიმართ კი რატომღაც სიჯიუტეს იჩენდა, რაც ხანდახან უჯიათობამდეც კი მიდიოდა. მე უკვე წინასწარ ვიცოდი — ზინაიდა ფეოდოროვნას თუ მოეწონა, ესე იგი, არაფრით არ მოეწონებოდა ორლოვს. როდესაც მალაზიიდან დაბრუნებულ ქალს ერთი სული ჰქონდა, თავი მოეწონებინა ორლოვის წინაშე თავისი ახალი შენაძენით, იგი ერთს ცერად გადახედავდა და ცივად ეტყოდა — სახლში რამდენიც ზედმეტი ნივთია, იმდენად ნაკლები ჰაერიაო. ზოგჯერ ფრაკი უკვე ჩაცმული ჰქონდა, უკვე წასასვლელად იყო გამზადებული, ზინაიდა ფეოდოროვნასაც

გამოემშვიდობებოდა, მაგრამ უცებ გადაიფიქრებდა წასვლას. მაშინ ასე მეჩვენებოდა, ორლოვი შინ მხოლოდ იმიტომ რჩება, თავი განგებ უბედურად იგრძნოს-მეთქი.

— რატომ არ წახვედით, — ეუბნებოდა ზინაიდა ფეოდოროვნა მორჩვენებითი გულისტკივილით და სიამოვნებისაგან ბრწყინავდა. — თქვენ ხომ მიჩვეული არა ხართ საღამოობით შინ ჯდომას. მე კი სრულებითაც არ მინდა, ჩემი გულისათვის საკუთარი ცხოვრების წესს ულალატოთ. წადით, ძალიან გთხოვთ, წადით, თუ არ გინდათ, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდე.

— კი მაგრამ, გადანაშაულებთ თქვენ ვინმე? — ეტყოდა ორლოვი.

მერე საბრალო მსხვერპლის გამომეტყველებით სავარძელში ჩაეფლობოდა, შუბლზე ხელს შემოიდებდა და წიგნს ჩააჩერდებოდა. მაგრამ მალე წიგნი ხელიდან გაუვარდებოდა, სავარძელში მძიმედ შეტრიალდებოდა და თითქოს თვალებში მზე აჭყეტავსო, ხელს მოიჩრდილებდა. ეტყობოდა, ახლა უკვე აშკარად ნანობდა შინ დარჩენას.

— შეიძლება შემოვიდე? — მიდგებოდა ზინაიდა ფეოდოროვნა კაბინეტის კართან, მაგრამ შიგნით შესვლას ვერ ბედავდა. — აბ, კითხულობთ? მე კი მომენატრეთ, ვიფიქრე, მივალ, შევხედავ-მეთქი.

მახსოვს, ერთ-ერთ ასეთ საღამოს, აი, ასევე გაუბედავად და უდროო დროს ზინაიდა ფეოდოროვნა ორლოვთან მივიდა და მის ფერსთით იატაკზე დაფენილ ხალხე ჩაჯდა. ფრთხილ, მოკრძალებულ მოძრაობაზე ეტყობოდა, ვერ მიმხვდარიყო, ორლოვი რა გუნებაზე ბრძანდებოდა.

— სულ კითხულობთ და კითხულობთ... — დაიწყო შემპარავად, როგორც ჩანს, უნდოდა რაღაცით ესიამოვნებინა: — იცით, ჟორე, კიდევ რა არის თქვენი წარმატებების საიდუმლო? ძალიან განათლებული და ჭკვიანი კაცი ხართ... ეგ რა წიგნია, რას კითხულობთ?

ორლოვმა უპასუხა. მერე რამოდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მე მეტისმეტად გრძელი და უსასრულო მეჩვენა.

— მინდოდა რაღაც მეთქვა... — ჩუმად ჩაილაპარაკა ზინაიდა ფეოდოროვნამ და გაიცინა. — გითხრათ? ვიცი, დამცინებთ, აღსარებად ჩამითვლით, მაგრამ ძალიან... ძალიან მინდა ვიფიქრო, რომ დღეს თქვენ სახლში ჩემი გულისათვის დარჩით... რათა ერთად გაგვეტარებინა ეს საღამო. ასეა? შეიძლება ვიფიქრო ასე?

— იფიქრეთ, — თქვა ორლოვმა და თვალებზე ხელი მიიფარა, — ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც მხოლოდ ის კი არა სჯერა, რაც არის, არამედ ისიც, რაც არ არის.

— ისე გრძლად თქვით, მთლად კარგად ვერ გავიგე. ესე იგი, თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ბედნიერი ადამიანები მხოლოდ წარმოდგენებით ცხოვრობენ? ჰო, მართალია, ასეა, მიყვარს საღამოობით თქვენს კაბინეტში ჯდომა. ვზივარ და ფიქრები სადღაც შორს მიმაფრენენ. კარგია, ცოტას რომ წაიოცნებებ. ჟორჟ, მოდი ხმამაღლა ვიოცნებოთ!..

— მე ინსტიტუტში არ ვყოფილვარ, ეს მეცნიერება არ გამივლია.

— ცუდ გუნებაზე ხართ? — ჰკითხა ზინაიდა ფეოდოროვნამ და ხელზე ხელი მოჰკიდა. — მითხარით, რატომ ხართ ასეთ ცუდ გუნებაზე? იცით, როცა ასეთ განწყობაზე გხედავთ, მე თქვენი მეშინია, ვერ გამიგია, თავი გტკივათ თუ ჩემზე ხართ გაბრაზებული.

სიჩუმეში ჩაიარა კიდევ რამოდენიმე გრძელმა წუთმა.

— ასე რატომ შეიცვალეთ? — თქვა ბოლოს ქალმა წყნარად, — რატომ აღარ ხართ ისეთი ნაზი და მხიარული, როგორიც ადრე, ზნამენსკაიაზე იყავით? აგერ

უკვე ერთი თვეა, თქვენთანა ვარ, მაგრამ ასე მგონია, ჯერ ცხოვრება არც კი დაგვიწყია, წესიერად არც კი დავლაპარაკებივართ ერთმანეთს. თქვენ ან ხუმრობით მპასუხობთ ყველაფერზე, ანდა მასწავლებელივით ცივად, გრძლად და გაუგებრად. თქვენს ხუმრობაშიაც კი სიცივე იგრძნობა... რატომ დაივიწყეთ ჩემთან სერიოზული ლაპარაკი?

— მე მუდამ სერიოზულად გელაპარაკებით, სერიოზულად ... — ... — ... ...

სავარძლიდან წამოდგა, — თვითონ არ მითხარით, ჭკვიანი და განათლებული კაცი ხარო. ჭკვიანსა და განათლებულს კი ზედმეტი წვრთნა და სწავლება კი არ რგებს, პირიქით, ვნებს. ის დიდი თუ მცირე იდეა, რომელიც თქვენ მხედველობაში გაქვთ, ჩემთვის დიდი ხანია უკვე ზედმიწევნითაა ცნობილი. ჰოდა, რადგან იმ იდეებს სამსახურსა და ბანქოს ვამჯობინებ, ესე იგი, მაქვს კიდევაც ამის საფუძველი, ეს ერთი. მეორეც: თქვენ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არასოდეს ვიმსახურეთ, ამდენად თქვენი ცოდნა და მსჯელობა სახელმწიფო სამსახურზე მხოლოდ ანეკდოტებსა და უხეირო ნაწარმოებებზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, ცუდი არ იქნებოდა, შევთანხმებულიყავით ერთხელ და სამუდამოდ, რომ არასოდეს ვისაუბრებდით იმაზე, რაც ჩვენთვის უკვე დიდი ხანია ცნობილია და არც იმაზე, რაც ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის.

— ასე რატომ მელაპარაკებით? — ზინაიდა ფეოდოროვნამ შეძრწუნებულმა დაიხია: — რატომ?.. რატომ?.. ღვთის გულისათვის, ჟორჟ, გონს მოდით!

ხმა უკანკალებდა, როგორც ჩანს, ცრემლის შეკავებას ცდილობდა. ბოლოს, ეტყობა, თავს ველარ მოერია და ხმამაღლა აქვითინდა.

— ჟორჟ, ჩემო ძვირფასო, ვილუპები! — წარმოთქვა ფრანგულად, ორლოვის წინ სწრაფად დაეშვა და თავი მუხლზე დაადო. — დავიღალე, ძალა აღარა მაქვს, აღარ შემიძლია, დავიტანჯე... არა, მეტი აღარ შემიძლია... ბავშვობაში იყო და, გარყვნილი, საზიზღარი დედინაცვალი... მერე ქმარი... ახლა თქვენ — ჩემი დიდი, უზომო სიყვარულის პასუხად თქვენი ეს სიცივე და ირონია... ახლა ეს თავხედი, აუტანელი მოსამსახურეც და... — განაგრძობდა ზინაიდა ფეოდოროვნა ქვითინით, — დიახ, დიახ, ვხედავ, განა ყერა ვხედავ, მე თქვენთვის არც ცოლი ვარ, არც მეგობარი, არამედ ქალი, რომელსაც პატივს მხოლოდ იმის გამო არ სცემთ, რომ თქვენი საყვარელი გახდა... არა, აღარ შემიძლია, თავი უნდა მოვიკლა!

არ მეგონა, ქალის ეს სიტყვები და ტირილი ორლოვზე ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა. იგი გაწითლდა, სავარძელში მოუთმენლად აწრიალდა და ნაცვლად ირონიისა, სახეზე უაზრო, ბავშვური შიში აესახა.

— ძვირფასო, მე თქვენ ვერ გამიგეთ, — დაბნეულმა ჩაიბურდღუნა ორლოვმა და ქალს თმასა და მხრებზე მოეფერა. — შაპატიეთ... გთხოვთ, გემუდარებით, მაპატიოთ... რა თქმა უნდა, ვტყუი... საკუთარი თავი მეზიზღება.

— ვიცი, შეურაცხყოფთ ჩემი ამ წუწუნითა და ჩივილით... ვიცი, პატიოსანი, დიდსულოვანი... იშვიათი ადამიანი ხართ, ამას მე ყოველ წუთში ვგრძნობ, მაგრამ მე ხომ მთელი ეს დღეები აუტანელი სევდა მტანჯავდა...

ზინაიდა ფეოდოროვნამ ორლოვს მკლავები ფიცხლად მოხვია და ლოყაზე აკოცა.

— ოღონდ ძალიან გთხოვთ, ნუ ტირით, — ჩაილაპარაკა ორლოვმა.

— არა, არა, უკვე მოვიოხე გული ტირილით.

— რაც შეეხება შინამოსამსახურეს, ხვალიდან ამ სახლში იმას თვალითაც ვერავინ ნახავს, — თქვა სავარძელში ისევ ისე მოუსვენრად აწრიალებულმა ორლოვმა.

— არა, ჟორჟ, თავი დაანებეთ! გესმით? მე უკვე აღარ მეშინია მისი... მართალი ხართ, ადამიანი ამ წვრილმანებზე მაღლა უნდა დადგე, სისულელეებზე არ უნდა იფიქრო. თქვენ კი მართლაც იშვიათი... არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ!

მალე ზინაიდა ფეოდოროვნამ ტირილი შეწყვიტა. წამწამებზე ცრემლებაბრწყინებული იგი ორლოვის მუხლებზე იჯდა და ჩურჩულით რაღაც გულისამაჩუყებელს, ჩანს, თავისი ბავშვობისა და სიყმაწვილის ამბებს უყვებოდა, თან სახეზე ნაზად ეფერებოდა, ჰკოცნიდა, ბეჭდიან ხელებსა და ძეწკვზე ჩამოკიდებულ ბრელოკს გულდასმით უთვალიერებდა. ეტყობოდა, მოხიბლული იყო თავისი მონაყოლითაცა და

საყვარელ ადამიანთან სიახლოვითაც. და ალბათ იმის გამო, რომ ცრემლმა განწმინდა, გადაახალისა მისი სული, ზინაიდა ფეოდოროვნას ხმა ახლა არაჩვეულებრივად გულწრფელი და ანკარა იყო. ორლოვი კი ქალს წაბლისფერ თმაზე ეთამაშებოდა, ხელზე ნაზად, უხმოდ ჰკოცნიდა.

მერე კაბინეტში ჩაი დალიეს და ზინაიდა ფეოდოროვნამ ორლოვს რაღაც წერილები წაუკითხა. დასაძინებლად რომ წავიდნენ, უკვე პირველი საათი ხდებოდა.

იმ ღამეს ძალიან მტკიოდა გვერდი. გათენებამდე ვერ იქნა, ვერც გავთბი, ვერც დავიძინე. გავიგე, ორლოვი საძინებლიდან როგორ გამოვიდა და თავის კაბინეტში როგორ შევიდა. ერთი საათი არ იქნებოდა გასული, რომ დამირეკა. ტკივილისა და დაღლილობისაგან ყოველგვარი წესი და ზრდილობა დამავიწყდა, კაბინეტისაკენ ეგრევე საცვლების ამარამ და ფეხშიშველამ გავწიე. ხალათსა და ჩაჩში გამოწყობილი ორლოვი კაბინეტის კარებში იდგა და ძელოდა.

— როდესაც დაგიძახებენ, ჩაცმული უნდა მოხვიდე, — მითხრა მკაცრად, — სახთლები გამოცვალე.

მინდოდა ბოდიში მომეხადა, მაგრამ ერთბაშად ისეთი ხველა ამიტყდა, არ წავიქცე-მეთქი, ცალი ხელით კარის წირთხლს ჩავეჭიდე.

— თქვენ რა, ავადა ხართ? — მკითხა ორლოვმა.

მე მგონი, ჩვენი გაცნობის დღიდან ეს პირველი შემთხვევა იყო, ორლოვმა თქვენობით რომ მომმართა. მიზეზი რა იყო, ღმერთმა უწყის. როგორც ჩანს, ნიფხავ-პერანგიანმა და ხველებისაგან სახეშეშლილმა კარგად ვერ გავითამაშე ჩემი როლი, რის გამოც ახლა ნაკლებად ,ვგავდი ლაქიას.

— ავად თუ ხართ, რატომღა მსახურობთ?

იმიტომ რომ შიმშილით არ მოვკვდე-მეთქი, — ვუპასუხე.

— რა უხამსობაა! — ჩუმად ჩაილაპარაკა თავისი მაგიდისაკენ მიმავალმა.

ვიდრე მე ქურთუკმოხურული შანდლებში სანთლებს ვცვლიდი, ორლოვი მაგიდასთან იჯდა და წიგნის ფურცლებს ჭრიდა.

კაბინეტიდან რომ გამოვედი, იგი უკვე წიგნის კითხვაში იყო გართული, რომელიც გუშინდელივით ხელიდან აღარ უვარდებოდა.

7.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ბავშვობიდან ჩემს გულში ჩაბუდებული შიში — ვაითუ ვინმეს მგრძნობიარე და სასაცილო ვეჩვენო-მეთქი, ხელს მიბორკავს. ახლაც, როცა მინდა ვინმეს მოვეალერსო, ვინმეს რაიმე ნაზი სიტყვა ვუთხრა, ჩემი ეს მოქმედება გარეგნულად მუდამ ყალბი და არაგულწრფელი ჩანს. აი, სწორედ ამ შიშისა და ჩემი ამ ხასიათის გამო, ვერც ახლა ვახერხებ იმის გამოხატვას, რაც მაშინ ჩემს სულში ხდებოდა.

არა, ზინაიდა ფეოდოროვნაზე შეყვარებული არ ვიყავი, მაგრამ ის ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობა, რასაც მაშინ მის მიმართ განვიცდიდი, ორლოვის სიყვარულზე გაცილებით დიდი, ახალგაზრდული და ხალისიანი იყო.

დილდილობით, ფეხსაცმლის საწმენდი ჯაგრისი მეჭირა თუ ცოცხი, გულისფანცქალით ველოდი, ზინაიდა ფეოდოროვნას ფეხის ხმას როდის გავიგონებდი. დგომა და იმის ყურება, ყავას როგორ სვამდა ანდა საუზმეს როგორ შეექცეოდა, წინკარში ქურქის მიმარჯვება, ანდა მის პატარა ფეხებზე კალოშების მორგება (სხვათა შორის, ჩაცმისას მუდამ მე დამეყრდნობოდა ხოლმე მხარზე), ლოდინი, მის შესახვედრად ქვემოდან შვეიცარი როდის დამიძახებდა, ანდა შეციებულს, ვარდისფრად სახეშეფაკლულს, თოვლის თეთრი ფანტელებით მოფიფქულს კარებში რომ შევხვ-

დებოდი, ყინვასა ან მეეტლეზე მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოძახილს რომ გავიგონებდი, რომ იცოდეთ, რას წარმოადგენდა ეს ჩემთვის! მინდოდა, შეყვარებული ვყოფილიყავი, ჩემი ოჯახი მქონოდა, მინდოდა, ჩემი მომავალი ცოლი ასეთი ხმის, ხახის, სწორედ ასეთი შესახედაობისა ყოფილიყო. სადილად ვიჯექი თუ ქუჩაში მივდიოდი, დღე იყო თუ ღამე, სულ ოცნებაში ვიყავი. ორლოვი ზიზღით იშორებდა ყველაფერს, ქალის ჭინჭები იქნებოდა, ბავშვები, სამზარეულო თუ სპილენძის ქვაბები, მე კი ოცნებაში ველოლიავებოდი, სიყვარულით თავს ვევლებოდი ამ ყველაფერს. ერთთავად საკუთარი ოჯახი, ცოლ-შვილი, ბავშვების ოთახი, ბილიკებით მოკირწყლული ბაღი და პატარა სახლი მელანდებოდა.

რომც შემეყვარებინა, მასაც შევუყვარდები-მეთქი, ამაზე ფიქრსაც კი ალბათ ვერასოდეს გავბედავდი, მაგრამ მე ეს სულაც არ მაწუხებდა. ჩემს მოკრძალებულ, ჩუმ გრძნობაში, რომელიც შეჩვევას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიყვარულს, ორლოვისადმი არათუ ეჭვი, იოტისოდენა შურიც კი არ იყო, ვინაიდან, ძალიან კარგად მესმოდა, ლაქიასათვის პირად ბედნიერებაზე ფიქრი მხოლოდ ოცნებაში თუ შეიძლებოდა.

ღამღამობით, როდესაც ზინაიდა ფეოდოროვნა თავისი ქორეის მოლოდინში წიგნს უაზროდ ჩასჩერებოდა, ანდა ოთახში გავლილი პოლიას დანახვაზე უცებ საშინლად შეკრთებოდა, ფერი დაეკარგებოდა, მასთან ერთად მეც ვიტანჯებოდი, თავში სულ ის აზრი მიტრიალებდა, რაც შეიძლება მალე გამეხსნა პირი იმ საშინელი მუწუკისათვის, რაიმე ისეთი მომემოქმედებინა, რომ ზინაიდა ფეოდოროვნასათვის როგორმე გამეგებინებინა, რას ლაპარაკობდნენ ხუთშაბათის ვახშმობებზე, მაგრამ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მექნა, როგორ ამესრულებინა ჩემი ეს სურვილი. ზინაიდა ფეოდოროვნას სულ უფრო ხშირად და ხშირად ვხედავდი აცრემლებულს. პირველ ხანებში სულ იცინოდა, მღეროდა, თვით იმ დღეებშიც კი, როდესაც ორლოვი შინ არ იყო. მაგრამ ერთ თვესაც არ გაევლო, რომ ჩვენს ბინაში სევდის მომგვრელმა სიჩუმემ დაისადგურა.

ორლოვისაგან ერთი არაგულწრფელი ღიმილი ან კოცნა რომ დაემსახურებინა, რაღას არ აკეთებდა, ჩაიჩოქებდა მის წინ მუხლებზე და პატარა ფინიასავით ელაქუცებოდა. სარკის წინ რომ ჩაივლიდა, მაშინაც კი, როდესაც ძალიან უგუნებოდ იყო, არ შეეძლო, სარკეში არ ჩაეხედა, თავი არ შეეთვალიერებინა და თმა არ შეესწორებინა. მიკვირდა, კვლავ ძველებურად რომ აინტერესებდა ლამაზი ჩასაცმელ-დასახური, კვლავ აღტაცებაში რომ მოჰყავდა თავის ნავაჭრ-ნაყიდებს. ეს თითქოს როგორღაც არ ესადაგებოდა მის გულწრფელ მწუხარებას. მოდას რომ არ ჩამორჩენოდა, ნაირ-ნაირსა და ძვირფას კაბებს იკერავდა. ვერ გამეგო, რად, ვისთვის ან რისთვის სჭირდებოდა. განსაკუთრებით ერთი ახალი, ოთხას მანეთიანი კაბა დამახსომდა. ოთხასი მანეთი მისცე კაბაში, რომელიც სულ არ გჭირდება! და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი დღიურად მომუშავე ქალები თავის იმ კატორღულ შრომაში ერთ აბაზს იღებენ. როდესაც ვეშეციელ და ბრიუსელელ მემაქმანეებს დღეში მხოლოდ ნახევარ ფრანკს უხდიან, იმ ანგარიშით, დანარჩენს გარყვნილებითა და მრუშობით იშოვნიანო. გაოცებული ვიყავი, ვერ გამეგო, რატომ ვერ ხვდებოდა ამას ზინაიდა ფეოდოროვნა, და გული მტკიოდა. მაგრამ, საკმარისია სახლიდან გასულიყო, რომ ეს წყენა უკვე მავიწყდებოდა, ყველაფერს ვპატიობდი, ყველა მის საქციელს ახსნას ვუძებნიდი და ერთი სული მქონდა, ქვემოდან შვეიცარი როდის დამირეკავდა.

თვითონ ისე მექცეოდა, როგორც ჩვეულებრივ ლაქიასა და მდაბიოს. ძაღლს შეიძლება ბეწვზე ხელს უსვამდე, ეფერებოდე, მაგრამ ვერ ამჩნევდე. მეც ასე ვიყავი — მიბრძანებდნენ, განკარგულებებს მაძლევდნენ, მავალებდნენ, მაგრამ ჩემს

არსებობას საერთოდ ვერ ამჩნევდნენ. ჩემს ბატონებს, გარდა იმისა, რასაც წესი და საჭიროება მოითხოვდა, ჩემთან საუბარი სათაკილოდ მიაჩნდათ. მათ საუბარში რომ ჩავრეულიყავი, ანდა გამცინებოდა რაიმეზე, როდესაც სადილზე ვემსახურებოდი, ალბათ გიჟად ჩამთვლიდნენ და მაშინვე დამითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, ზინაიდა ფეოდოროვნა მოწყალეს თვალით მიყურებდა. სადმე საქმეზე მაგზავნიდა თუ იმას მიხსნიდა, ახალი ლამპა როგორ ამენთო, სახე არაჩვეულებრივად ნათელი, სიკეთით სავსე და ალერსიანი ჰქონდა, ლაპარაკისას პირდაპირ თვალებში მომჩერებოდა. ამ დროს სულ ასე მეგონა, ალბათ ის თუ ახსენდება, ზნამენსკაიაზე მასთან ორლოვის წერილები რომ მიმქონდა და ჩემი მადლიერია-მეთქი. საქმეზე რომ დამირეკავდა, პოლია, რომელსაც მის ფავორიტად მივაჩნდი, რის გამოც თვალის დასანახავად ვძულდი, — წადი, შენი „ის" გეძახისო, — გესლიანად ჩაიქირქილებდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ზინაიდა ფეოდოროვნა ისე მეკიდებოდა, როგორც მდაბიოს, მაგრამ წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ მთელ ამ სახლში თუკი ვინმე იყო დამდაბლებული, ეს თვითონ ზინაიდა ფეოდოროვნა ბრძანდებოდა. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ მე, ერთი ვიღაც უბრალო ლაქია, მისი გულისათვის ასე ვიტანჯებოდი, დღეში ოცჯერ მაინც ვეკითხებოდი ჩემ თავს, ნეტავი რას მოელის მომავლისაგან, რით დამთავრდება მისი ეს მდგომარეობა-მეთქი. მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა. სამსახურზე რომ საუბრობდნენ, იმ საღამოს შემდეგ ორლოვს, რომელიც ცრემლის დანახვასაც ვერ იტანდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ეშინოდა და მასთან საუბარს გაურბოდა. ზინაიდა ფეოდოროვნა კამათს ან ხვეწნას რომ დაუწყებდა, ანდა როცა შეატყობდა, საცაა ატირდებაო, მოიმიზეზებდა რაღაცას და მაშინვე თავისი კაბინეტისაკენ გასწევდა. ის კი არა, შეიძლება სულაც სახლიდანაც წასულიყო. ორლოვი ახლა უკვე იშვიათად ათენებდა შინ ღამეს, სადილობით ხომ თითქმის სულ აღარ სადილობდა. ზინაიდა ფეოდოროვნა კი ისევ ძველებურად ოცნებობდა თავის სამზარეულოსა, ახალ ბინასა თუ საზღვარგარეთ მოგზაურობაზე, მაგრამ მისი ეს ოცნება ოცნებადვე რჩებოდა. სადილი ისევ რესტორნიდან მოჰქონდათ, რაც შეეხება ბინას, ორლოვმა სთხოვა, საზღვარგარეთიდან დაბრუნებამდე ამის შესახებ არაფერი ეთქვა. საზღვარგარეთ გამგზავრებაზე კი ასე ამბობდა, მანამდე ვერ წამოვალ, ვიდრე თმა არ ჩამომეზრდება, ვინაიდან სასტუმროდან სასტუმროში წანწალი და იდეის სამსახური გრძელი თმის გარეშე შეუძლებელიაო.

ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ ორლოვის შინ არ ყოფნისას საღამოობით კუკუშკინმა დაიწყო ჩვენს სახლში სიარული. მართალია, მის ამ საქციელში არაფერი განსაკუთრებული არ იყო, მაგრამ ვერა და ვერ ვივიწყებდი ორლოვისადმი ნათქვამ მის სიტყვებს — იცოდე, წაგართმევ ზინაიდა ფეოდოროვნასო. კუკუშკინს ჩაითა და წითელი ღვინით უმასპინძლდებოდნენ, ის კი ხითხითებდა და ზინაიდა ფეოდოროვნას გული რომ მოეგო, ირწმუნებოდა, სამოქალაქო ქორწინება საეკლესიო ქორწინებაზე ყოველმხრივ მაღლა დგასო, და რომ თუ სადმე სამართალი იყო, ყოველ წესიერ ადამიანს თაყვანი უნდა ეცა ზინაიდა ფეოდოროვნასათვის.

8.

შობის დღეებმა უხალისოდ, რაღაც ცუდის მოლოდინში ჩაიარა. ახალი წლის წინა დღეს, დილით ყავას რომ შეექცეოდნენ, ორლოვმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ უფროსები მას განსაკუთრებული უფლებამოსილებით რომელიღაც გუბერნიაში რევიზიისათვის წასულ სენატორთან აგზავნიდნენ.

— წასვლა სულაც არ მინდა, მაგრამ, აბა, რა მოვიმიზეზო... — თქვა ვითომ გულისტკივილით და დასძინა: — სხვა რა გზაა, უნდა წავიდე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ზინაიდა ფეოდოროვნას ერთბაშად თვალები ჩაუწითლდა:

— დიდი ხნით მიდიხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაახლოებით ხუთი დღით.

— მართალი გითხრა, თუ წახვალ, გამიხარდება კიდეეაც... — ჩაფიქრებულმა წარმოთქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — ცოტას გაერთობი, გაუმიჯნურდები ვილაცას, მერე კი ჩამოხვალ და ყველაფერს მომიყვები. ხომ ასეა, ძვირფასო?

ხელსაყრელი წუთები ჩაუვარდებოდა თუ არა, ზინაიდა ფეოდოროვნა ცდილობდა, ორლოვისათვის ეგრძნობინებინა, რომ იგი მას იოტისოდენადაც არ ზღუდავდა, და რომ ორლოვს შეეძლო, ისე მოქცეულიყო, როგორც თავად მოესურვებოდა, თუმცა კი ამ გულუბრყვილო, თეთრი ძაფით ნაბლანდი სიცრუით არათუ არავინ ტყუვდებოდა, პირიქით, ამით ორლოვს ერთხელ კიდევ შეახსენებდა, რომ იგი თავისუფალი არ იყო.

— ალბათ ამ საღამოს წავალ, — თქვა ორლოვმა და გაზეთი გაშალა.

ზინაიდა ფეოდოროვნამ გადაწყვიტა, სადგურამდე გაეცილებინა, მაგრამ ორლოვმა გადაათქმევინა:

— ამერიკაში, ანდა ხუთი წლით ხომ არ მივდივარ, ხუთ დღეში უკვე აქ ვიქნები...

ხუთი საათისაკენ ორლოვმა ზინაიდა ფეოდოროვნას ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა, შუბლსა და ტუჩებში აკოცა და გამოემშვიდობა:

— აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანადაც მოიქცევი, არ მოიწყინო უჩემოდ, — ჩაილაპარაკა ისეთი თბილი, ალერსიანი ხმით, რომ მეც კი გული ამიჩუყა. — გფარავდეს უფალი.

ზინაიდა ფეოდოროვნამ სახეში ხარბად ჩახედა, რათა რაც შეიძლება კარგად ალებეჭდა გონებაში ძვირფასი ნაკვთები, მერე კისერზე მკლავები ნაზად შემოხვია და თავი მკერდზე დაადო.

— ბოდიშს ვიხდი ჩემი იმ ჭირვეულობისათვის, — თქვა მან ფრანგულად, — უჩხუბრად აბა მოყვარული ცოლ-ქმარი ვის უნახავს? მე კი გაგიჟებით მიყვარხარ... არ დამივიწყო... ხშირ-ხშირად მიდეპეშე და დაწვრილებით შემატყობინე შენი ამბავი.

ორლოვმა ერთხელ კიდევ აკოცა და ოთახიდან დარცხვენილი უსიტყვოდ გავიდა. შიგნიდან საკეტმა რომ გაიჩხაკუნა, შუა კიბეზე ჩაფიქრებული შეჩერდა და ზევით, კარისაკენ აიხედა... ასე მგონია, იქიდან ერთი უბრალო ხმაც რომ გაეგონა, უსათუოდ უკან მიბრუნდებოდა, მაგრამ ზემოდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ორლოვმა შინელი გაისწორა და საფეხურებს გაუბედავად დაუყვა.

სადარბაზოს წინ კარგა ხანია უკვე მეეტლეები ელოდნენ. ორლოვი ერთ ეტლში ჩაჯდა, მე კი ჩემი ჩემოდნებიანად მეორეში ჩავჯექი. ძლიერი ყინვა იდგა, გზაჯვარედინებზე კოცონები ბოლავდა. ცხენები სწრაფად მიაქროლებდნენ ეტლს და ამ სწრაფი ქროლვისაგან ცივი ქარი სახესა და ხელებს მისუსხავდა, სუნთქვას მიკრავდა. ვიჯექი ეტლში თვალებდახუჭული და ვფიქრობდი: მართლაცდა, რა დიდებული, რა შესანიშნავი ქალია! რა დიდი სიყვარულით უყვარს! ეზო-ეზო დღეს გადასაყრელ ნივთებსაც კი აგროვებენ, საქველმოქმედო მიზნით ახლა იმასაც კი ჰყიდიან და იყენებენ, გატეხილ მინასაც აღარავინ აგდებს, აი ასეთი ძვირფასი განძი, ასეთი იშვიათობა კი, როგორიც ამ ახალგაზრდა, გონიერი, წესიერი ქალის ნატიფი სიყვარუ-

ლია, ფუჭად და ამაოდ იკარგება. ერთ ძველ სოციოლოგს ყოველად უგვანო ვნებაც კი იმ ენერგიად მიაჩნდა, რომელიც მცოდნე, უნარიანი კაცის ხელში შეიძლებოდა დიდ ძალად ქცეულიყო. აქ კი, აი, გაჩნდა ვნება, მეტისმეტად ლამაზიც და მეტისმეტად კეთილშობილიც, მაგრამ გაჩენისთანავე დასაღუპად განწირული, ვინაიდან, არათუ გაუგეს და უთანაგრძნეს, არამედ გააუხამსეს კიდევაც.

ერთბაშად მეეტლეებმა ეტლები შეაჩერეს. თვალი რომ გავახილეთ, ვხედავ, სერგეევის ქუჩაზე, ერთი დიდი შენობის წინ, პეკარსკის სახლთან ვდგავართ. მარხილიდან ვადმოსული ორლოვი სადარბაზოს კარებში შევიდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ სადარბაზოში პეკარსკის თავშიშველა ლაქია გამოჩნდა და სიცივისაგან გულმოსულმა დამიძახა:

— ყრუ ხარ, თუ რა? მეეტლეები გაუშვი და ზევით ამოდი, გეძახიან!

მეეტლეები გავუშვი და მეორე სართულისაკენ გავწიე. ვერ გავიგე, რა ხდებოდა. პეკარსკის ბინაში უწინაც ვყოფილვარ — წინა ოთახიდან ძვირფასი ავეჯით, ბრწყინვალე ჩარჩოებიანი სურათებითა და ბრინჯაოს ნივთებით მორთული დარბაზი მოჩანდა. უღიმღამო, პირქუში ქუჩიდან შემოსული მე მას მუდამ გაოცებაში მოეყავდი. და აი, ძვირფას, მოელვარე ნივთებს შორის ოთახში თვალი ქართველსა და კუკუმკინს მოვკარი, რომლებსაც მალე ორლოვიც შეუერთდა.

— იცი რა, სტეპან, — თქვა ორლოვმა და ჩემკენ წამოვიდა, — პარასკევსა ან შაბათამდე აქ ვიცხოვრებ. რაიმე წერილი ან ტელეგრამა თუ მოვიდა, მაშინვე მომიტანე. სახლში, რა თქმა უნდა, იტყვი, წავიდა-თქო. მოკითხვა არ დაგავიწყდეს. აბა, შენ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

შინ რომ დავბრუნდი, ზინაიდა ფეოდოროვნა სასტუმრო ოთახში სოფაზე იწვა და მსხალს მიირთმევდა. ოთახში მხოლოდ კანდელაბრში ჩადგმული ერთადერთი სანთელი ციმციმებდა.

— მატარებელზე ხომ არ დაგაგვიანდათ? — მკითხა ზინაიდა ფეოდოროვნამ.

— არა, ქალბატონო... მიბრძანეს, მოკითხვა ვადმომეცა.

ვუთხარი ზინაიდა ფეოდოროვნას და მაშინვე ჩემი ოთახისაკენ გავწიე. წაკითხვა არ მეხალისებოდა, არც საქმე მქონდა არაფერი, ავდექი და ლოგინში ჩავწექი. არა, აღშფოთებული არ ვიყავი, არც გაოცებული, ოღონდ თავს ძალას ვატანდი, გონებას ვძაბავდი, რათა გამეგო, რისთვის დასჭირდა ორლოვს ეს სიცრუე. ასე ხომ მხოლოდ ცხვირმოუხოცავი ბიჭები ატყუებენ თავიანთ საყვარლებს, ნუთუ ამ მრავლის წამკითხავმა, ჭკუა-გონებით სავსე კაცმა უფრო გონივრული ვერაფერი მოიგონა-მეთქი. გამოვიტყდებით, მისი ჭკუა-გონების შესახებ მაშინ არცთუ ისე ცუდი აზრისა გახლდით. ვფიქრობდი, თავისი მინისტრის ან სხვა ვინმე ძალაუფლებით მოსილი კაცის მოტყუება რომ დასჭირებოდა, რას არ მოიფიქრებდა, რა ძალასა და ენერგიას არ დახარჯავდა, აქ კი, ქალის მოსატყუებლად, როგორც ჩანს, რაც პირველი მოაფიქრდა, ის იკმარა — ვამოვა, ხომ კარგი. არადა, არც ეს არის დიდი უბედურება, მეორედაც ასევე ურცხვად და უტიფრად იცრუებს, თავს არც მაშინ არ შეიწუხებს-მეთქი.

შუალამისას ზედა სართულზე ახალი წლის შესახვედრად სკამები რომ აახმაურეს, ვაშა რომ შესძახეს, კაბინეტის გვერდითა ოთახიდან ზინაიდა ფეოდოროვნამ დამირეკა. დიდხანს წოლისაგან მოთენთილი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცას წერდა.

— დეპეშა მინდა გავაგზავნო, — მითხრა და გაიღიმა, — სასწრაფოდ საგურში წადით, სთხოვეთ, ახლავე გააგზავნონ.

ქუჩაში რომ გავედი, ქალალდის იმ ნაგლეჯს დავხედე: „გილოცავ ახალ წელს, გისურვებ ბედნიერებას. სასწრაფოდ მიდეპეშე. ძალიან მენატრები. ასე მგონია, მთელი საუკუნე გავიდა. ვწუხვარ, დეპეშასთან ერთად ათასი კოცნისა და გულის გამოგზავნა რომ არ შემიძლია. აბა, შენ იცი, ჩემო სიხარულო, არ მოიწყინო. ზინა".

დეპეშა გავაგზავნე და ქვითარი მეორე დღეს ზინაიდა ფეოდოროვნას გადავეცი.

9.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ თავისი საიდუმლო ორლოვმა უნებლიეთ პოლიასაც გაანდო — უბრძანა, პერანგები სერგეევის ქუჩაზე მიეტანა. ამ დღიდან პოლია ზინაიდა ფეოდოროვნას ჩემთვის სრულიად გაუგებარი ზიზღითა და ნიშნის მოგებით უყურებდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, თავის ოთახსა თუ წინკარში, სიამოვნებისაგან სულ ფრუტუნებდა.

— ძალიან არ გაუტკბა! ახლა კი ეყოფა, კმარა! — ამბობდა იგი აღტაცებული. — არა, თვითონაც ხომ უნდა მიხვდეს!..

იგი უკვე ყნოსვით გრძნობდა, რომ ზინაიდა ფეოდოროვნას ჩვენს სახლში დიდხანს ცხოვრება აღარ ეწერა და შემთხვევას არ უშვებდა — თუ რამ თვალში მოუვიდოდა, ყველაფერს ჰპარავდა: ფლაკონებს, კუს ბაკნის თმის სარჭებს, თავსაფრებსა თუ ფეხსაცმელს. ახალი წლის მეორე დღეს ზინაიდა ფეოდოროვნამ თავის ოთახში მიხმო და, შავი კაბა დამეკარგაო, — ჩურჩულით შემომჩივლა. მერე კი დადიოდა ოთახიდან ოთახში და აღელვებული თავისთავს ელაპარაკებოდა:

— წარმოგიდგენიათ?! არა, გინახავთ ამისთანა თავხედობა?!

სადილზე ზინაიდა ფეოდოროვნა წვნიანს რომ ისხამდა, ხელები უკანკალებდა, ტუჩები უთრთოდა, წვნიანით სავსე თეფშს უმწეოდ დასჩერებოდა და ელოდა, კანკალი როდის გაუვლიდა. უცებ თავი ვეღარ შეიკავა და პოლიას შეხედა:

— თქვენ, პოლია, შეგიძლიათ წახვიდეთ, სტეპანიც საკმარისია, მეტი არავინ მჭირდება.

— რა გვიჭირს, ვიდგებით, — უპასუხა პოლიამ.

— თქვენი აქ დგომა საჭირო არ არის, წადით აქედან... სულ წადით! — თქვა მეტისმეტად აღელვებულმა ზინაიდა ფეოდოროვნამ და წამოდგა. — შეგიძლიათ სხვაგან ეძებოთ სამუშაო... ახლავე, ახლავე წადით აქედან!

— ვიდრე ბატონი არ მიბრძანებს, არსადაც არ წავალ, მე თქვენ კი არა, ბატონმა დამიქირავა.

— მე გიბრძანებთ, მე ვარ ამ სახლის დიასახლისი! — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ და გაწითლდა.

— რა ვიცი, შეიძლება ხართ კიდევაც, მაგრამ ჩემი დათხოვნა მარტო ბატონის საქმეა, ბატონმა დამიქირავა.

— როგორ ბედავთ! ახლავე... ახლავე წადით აქედან! — იყვირა ზინაიდა ფეოდოროვნამ და თეფშს დანა დაარტყა. — ქურდი ხართ, გესმით, ქურდი!

მერე ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და საბრალო, გაწამებული სასადილო ოთახიდან გავარდა. მალე უკან ატირებული პოლიაც გაჰყვა. იგი ხმამაღლა მოთქვამდა. წვნიანი და ბნოლი გაცივდა. რესტორნიდან მოტანილი, მაგიდაზე გაწყობილი მთელი ეს საუცხოო სადილი რატომღაც მწირი და პოლიასავით უბადრუკი მეჩვენა, განსაკუთრებით საინზე დადებული ორი ღვეზელი, რომლებიც თითქოს გეუბნებოდნენ — დღეს ჩვენ ისევ რესტორანში წაგვიღებენ, ხვალ კი ჩვენს თავს ვინმე ჩინოვნიკს ან გამოჩენილ მომღერალს მიართმევენო.

— ოჰ-ოჰ, გამომივიდა ესეც თავმომწონე ქალბატონი! — მოისმა პოლიას ოთახიდან. — რომ მომენდომებინა, სინდის-ნამუსზე ხელი რომ ამეღო, დიდი ხანია მეც ასეთი ქალბატონი ვიქნებოდი! ვნახოთ, ჩვენ ორს შორის რომელი გავა ამ სახლიდან პირველი! დიახ, დიახ!

ამ დროს ზინაიდა ფეოდოროვნამ დამირეკა. ოთახში რომ შევედი, დასველილი ბავშვივით კუთხეში მიმჯდარმა მკითხა:

— დეპეშა ხომ არ მოუტანიათ?

— არა, ქალბატონო.

— შვეიცართან მოიკითხეთ, იქნებ მასთან იყოს, ღღონდ სახლიდან არ გახვიდეთ, — მომაყოლა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — მარტო დარჩენის მეშინია.

მას მერე თითქმის საათში ერთხელ — დეპეშა ხომ არ არის-მეთქი, — შვეიცართან გავრბოდი. უნდა გამოგიტყდეთ, მართლაც რომ საშინელი დღეები იყო. ვაითუ პოლიას შეეჩეხოო, ზინაიდა ფეოდოროვნა კაბინეტიდან არ გამოდიოდა. ჩაისაც კაბინეტში სვამდა, სადილსაც იქ მიირთმევდა და ძილითაც იქვე, „ე"-ს მოყვანილობის მოკლე დივანზე ეძინა, ლოგინსაც თვითონ იშლიდა. პირველ დღეებში მის მიერ ორლოვთან გასაგზავნი დეპეშები მე მიმქონდა ფოსტაში, მაგრამ იმის გამო, რომ დეპეშებზე პასუხი არ ჩანდა და უკვე აღარ მენდობოდა, ტელეგრაფში ახლა თვითონ ზინაიდა ფეოდოროვნამ დაიწყო სიარული. მისი შემხედვარე მეც უკვე მოუთმენლად ველოდი, დეპეშა როდის მოვიდოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, ორლოვი ამჯერადაც რაიმე ახალ სიცრუეს მოიფიქრებდა, მაგალითად, განკარგულებას გასცემდა, დეპეშა რომელიმე სადგურიდან გამოეგზავნათ. ვთქვათ, თვითონ გადაპყვა ბანქოს თამაშს, ანდა უკვე მოასწრო და ვიღაც სხვა ქალითაა გატაცებული, ეჭვი არ არის, ჩვენს თავს ქართველი და კუკუშკინი უსათუოდ შეახსენებენ-მეთქი, — ვფიქრობდი. მაგრამ, ამაოდ... დღეში ხუთჯერ მაინც შევიდოდი ზინაიდა ფეოდოროვნასთან, რათა ბოლოს და ბოლოს დაწვრილებით მეთქვა ყველაფერი, სინამდვილეში რა იყო და რა ხდებოდა, მაგრამ, ისე უაზროდ შემომხედავდა, ისეთი მობუზული და მხრებჩამოყრილი იჯდა, ტუჩები ისე უთრთოდა, შევხედავდი და უსიტყვოდ უკანვე გამოვბრუნდებოდი. თანაგრძნობა და სიბრალული გამბედაობას მართმევდა, ხელ-ფეხს მიბორკავდა. სამაგიეროდ მხიარული და კმაყოფილი პოლია არხეინად დაფუსფუსებდა ბატონის კაბინეტსა და საძინებელში. კარადებში იქექებოდა, ჭურჭელს აჩხარუნებდა, ზინაიდა ფეოდოროვნას კარწინ რომ ჩაივლიდა, ხმამაღლა მღეროდა, ახველებდა, ზინაიდა ფეოდოროვნა კი რაც შეეძლო, თავს არიდებდა, ემალებოდა და პოლიაც მეტად კმაყოფილი იყო ამით. საღამოობით გავიდოდა პოლია სახლიდან და შინ ღამის ორ-სამ საათზე ადრე არასოდეს ბრუნდებოდა. ზარს დარეკავდა, გავუღებდი კარს და, რა არის, რამდენს ახველებო, მაშინვე საყვედურს მომაყოლებდა. იმავე წუთს ახლა მეორე ზარი აწკრიალდებოდა და ახლა კაბინეტის გვერდითა ოთახისაკენ გავრბოდი, სადაც ზინაიდა ფეოდოროვნა უკვე კარებში თავგამოყოფილი მელოდა. „ვინ იყო, ვინ დარეკა?" — მკითხავდა და — დეპეშა ხომ არ უჭირავსო — ხელებში მომაჩერდებოდა.

შაბათს, როცა ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, სადარბაზოს ზარი დარეკეს და კიბეზე ნაცნობი ფეხის ხმა გაისმა, ზინაიდა ფეოდოროვნა მეტისმეტი სიხარულისაგან ხმამაღლა აქვითინდა. იგი ორლოვის შესახვედრად გავარდა, გულში ჩაეხუტა, მკერდსა და სახელოებს უკოცნიდა და რაღაცას გაუგებრად ელაპარაკებოდა. მეკარემ ჩემოდნები შემოიტანა, გაისმა პოლიას მხიარული ხმა. ყველა ისეთი გახარებული იყო, თითქოს არდადეგებზე ჩამოსულ ოჯახის წევრს ხვდებოდა.

— რატომ არ მიდეპეშე? — ამბობდა ზინაიდა ფეოდოროვნა და სიხარულისა-

გან ძლივს სუნთქავდა. — რატომ? რატომ? დავიტანჯე, ლამის სული ამომხდა შენს ლოდინში... ო, ღმერთო... ღმერთო ჩემო!

— რატომ და, მე და სენატორი იმავე დღეს მოსკოვში წავედით, არც ერთი შენი დეპეშა არ მიმიღია... სადილის შემდეგ, ჩემო სულიკო, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, ახლა კი უნდა ვიძინო და ვიძინო... რომ იცოდე, როგორ დამღალა მატარებელში ჯდომამ და მგზავრობამ... — უთხრა ორლოვმა.

მართლაც, აშკარად ეტყობოდა, რომ უძილო იყო — როგორც ჩანს, მთელი ღამე სმასა და ბანქოს თამაშში გაეტარებინა. ზინაიდა ფეოდოროვნამ იგი მაშინვე ლოგინში ჩააწვინა, ჩექმები, არ გაიღვიძოსო, შებინდებამდე ფეხისწვერებზე დავდიოდით. სადილმაც იმ დღეს მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ყავის დასალევად კაბინეტში რომ შევიდნენ, ზინაიდა ფეოდოროვნამ ლაპარაკი გაუბა. რაღაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა ფრანგულად და მისი ეს საუბარი ნაკადულის რაკრაკს ჰგავდა. მერე ორლოვის ხმამაღალი ოხვრა მოესმა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ინანაც ფრანგულად, — ნუთუ სათქმელი სხვა აღარაფერი გაქვთ, როდემდე უნდა ილაპარაკოთ მაგ უკეთურ მოსამსახურეზე, არ მოგბეზრდათ ეგ ძველი ლათაიები?!

— კი, მაგრამ, ძვირფასო, მან ხომ გამძარცვა, რა აღარ მაკადრა.

— საინტერესოა, მე რატომ არ მძარცვავს, ჩემთან რატომ არ თავხედობს? რა მიზეზია, რომ მათ მე ვერასოდეს ვამჩნევ — მოსამსახურეებს, მეეზოვეებს, ლაქიებს? უბრალოდ, ჭირვეულობთ, ჩემო თვალისჩინო, არ გინდათ, ცოტა თავი შეიკავოთ. მე მგონი, ორსულად ხართ... ხომ გითხარით, გავუშვათ-მეთქი, თქვენ კი — გინდა თუ არა, იყოსო. ახლა ისევ მეუბნებით, გააგდეო. თქვენ გინდათ, წავიდეს, მე კი, აი, მინდა რომ დარჩეს. მხოლოდ ასე თუ განვკურნავ თქვენს ნერვებს.

— კარგი, კარგი! — უთხრა შეშინებულმა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — ეს ლაპარაკი ხვალისათვის გადავდოთ. ახლა კი მოსკოვის ამბები მომიყევი, რა არის, რა ხდება ახალი მოსკოვში?

10.

მეორე დღეს, შვიდ იანვარს, იოანე ნათლისმცემლობას, ისაუზმა თუ არა, ორლოვი შავ ფრაკში გამოეწყო, ორდენი ჩამოიკიდა და სახელწოდების დღის მისალოცად მამასთან წასასვლელად მოემზადა. შინიდან ორ საათზე უნდა გასულიყო, მაგრამ ორის ნახევრისათვის იგი უკვე ჩაცმული და გამზადებული გახლდათ. აღარ იცოდა, რა ექნა, ეს ნახევარი საათი როგორ გაეყვანა. დადიოდა სასტუმრო ოთახში წინ და უკან და იმ მისალოც ლექსებს ამბობდა, ოდესღაც ბავშვობაში დედასა და მამას რომ უკითხავდა. არ ვიცი, მკერავთან, არ ვიცი, მაღაზიაში წასასვლელად გამზადებული ზინაიდა ფეოდოროვნაც იქვე იჯდა და ორლოვს გაღიმებული უსმენდა. რით დაიწყო მათი საუბარი, ვერ გეტყვით. მაგრამ, ორლოვს ხელთათმანები რომ მივუტანე, იგი ზინაიდა ფეოდოროვნას წინ იდგა და გაღიზიანებული, მუდარით სავსე გამომეტყველებით ეუბნებოდა:

— ღვთის გულისათვის, ყველა წმინდანის გულისათვის, კმარა, იმაზე მაინც ნუღარ ილაპარაკებთ, რაც უკვე ყველასათვის ცნობილია! ეს რა უბედური ნიჭი და უნარია, რა სჭირთ ამ ჩვენს ჭკვიან, მოაზროვნე ქალებს, ისეთ რამეებზე მსჯელობენ დიდის გატაცებითა და სერიოზულობით, რამაც კარგა ხანია თვით გიმნაზიის მოწაფეებსაც კი თავი მოაბეზრა. ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ჩვენი ცოლქმრული ცხოვრების

პროგრამიდან ყველა ეს სერიოზული საკითხი ამოგეღოთ! რომ იცოდეთ, როგორ დამავალებდით!

— ესე იგი, გამოდის, ქალებს საკუთარი აზრი არ უნდა გააჩნდეთ!

— მე თქვენ გაძლევთ სრულ თავისუფლებას, იყავით ლიბერალი, მოიყვანეთ რომელიც გნებავთ იმ ავტორის ციტატა, მაგრამ დამდეთ პატივი და ჩემი თანდასწრებით აი, ამ ორზე — მაღალი საზოგადოების უმაკნისობა-ბოროტებასა და ქორწინების შეუსაბამობაზე ნურასოდეს იმსჯელებთ. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიხვდეთ, ხომ უნდა გაიგოთ, მაღალ საზოგადოებას მხოლოდ იმიტომ ლანძღავენ, რათა ვაჭრებს, მღვდლებს, გლეხებს, ვიღაც ნიკიტებსა და სიდორებს დაუპირისპირონ. მე ერთიც მძულს და მეორეც, მაგრამ, რომ მკითხონ, ამ ორს შორის რომელს ამოირჩევო, არც კი დავფიქრდებოდი, ისე დავასახელებდი მაღალ საზოგადოებას, ვინაიდან მთელი ჩემი გემოვნებით მაღალ საზოგადოებას ვეკუთვნი. ვთქვათ, ჩვენი საზოგადოება არის კიდევაც უხამსი, ვთქვათ, ქარაფშუტა და თავქარიანებიცა ვართ, სამაგიეროდ მე და თქვენ ფრანგულად მაინც შეგვიძლია რიგიანი საუბარი, რაღაც-რაღაცებს ანგარიშს ვუწევთ და მაშინაც კი, როდესაც ძალიან ვჩხუბობთ, არ ვიგინებით და გვერდებს არ ვუმტვრევთ ერთმანეთს. აი, სიდორებისა, ნიკიტებისა და მათი ულირსებულესობებისათვის კი — თუ არ გამიგონე, ეხლა ინგრე ჩაგცხებ მაგ თავში, თვალებს გადმოგაყრევინებო, — ჩვეულებრივი ამბავია. ჩვეულებრივი ამბავია კერპთმსახურება და უხამს ზნე-ჩვეულებათა სრული აღვირახსნილობა.

— რომ იცოდეთ, სწორედ იმ სიდორებისა და ნიკიტებისაგან გიდგათ სული, ისინი გკვებავენ.

— ვთქვათ ასეა, მერედა, რა ვუყოთ? ეს არა მარტო მე მახასიათებს ცუდად, არამედ იმათაც. მასმევენ, მაჭმევენ, თან ფეხქვეშაც მეგებიან, ესე იგი, სხვაგვარი მოქცევისათვის არც ჭკუა ჰყოფნით, არც პატიოსნება. ისე, მე არც არავის ვლანძღავ, არც ვაქებ, მე მხოლოდ ერთი რამ მინდა ვთქვა: მაღალი საზოგადოებაა თუ დაბალი, ერთმანეთს არსად წაუვლენ. სიმართლე თუ გინდათ, გულითა და გონებით მე არც ერთი მომწონს, არც მეორე, მაგრამ ჩემი გემოვნება მაინც პირველს არჩევს. რაც შეეხება ქორწინებას... — განაგრძო ორლოვმა და თან საათს დახედა, — დროა გაიგოთ, რომ ამაში არანორმალური არაფერია, არის მხოლოდ რაღაც გაურკვეველი მოთხოვნები. არ ვიცი, მაინც რა გინდათ, რას მოითხოვთ ქორწინებისაგან? თანაცხოვრების — კანონიერი იქნება იგი თუ უკანონო, ყოველგვარი კავშირის — ცუდი იქნება ის თუ კარგი — არსი ერთია. აი, თქვენ, ქალები, მხოლოდ ამით ცოცხლობთ. თქვენი ცხოვრების დედაარსი მხოლოდ ესაა, იგი თქვენთვის ყველაფერია. უმისოდ თქვენს არსებობას თქვენსავე თვალში არავითარი აზრი და მნიშვნელობა არა აქვს. იმ არსის გარდა თქვენ არც არაფერი გინდათ, არც არაფერი გჭირდებათ და ღებულობთ კიდევაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოთხრობების კითხვა დაიწყეთ, უკვე შეგრცხვათ მისი მიღებისა, ამიტომაც აქეთ-იქით აწყდებით, წინდაუხედავად, განურჩევლად იცვლით მამაკაცებს და როგორმე მთელი ეს ალიაქოთი რომ გაამართლოთ, ქორწინების შეუსაბამობას აბრალებთ ყველაფერს. ვიდრე თქვენ არ შეგიძლიათ და არც გინდათ მოიშოროთ თქვენი ეს ყველაზე დიდი მტერი, თქვენი ეს სატანა, ვიდრე თქვენ მას ასე მონურად ემსახურებით, ყოველგვარ სერიოზულ საუბარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! ყველაფერი, რაც არ უნდა მითხრათ, მხოლოდ სისულელე და თვალთმაქცობა იქნება, სულერთია, მე ვერასოდეს დაგიჯერებთ.

ამ საუბარში რომ იყვნენ, მე შვეიცართან ჩავედი, რათა გამეგო, მეეტლე იყო თუ არა მოსული, მაგრამ უკან რომ დავბრუნდი, ისინი უკვე ჩხუბობდნენ. როგორც მეზღვაურები იტყვიან, ქარიშხალი თანდათან მატულობდა.

— ვხედავ, დღეს აი მაგ თქვენი ცინიზმით გინდათ დამამარცხოთ, — ამბობდა მეტისმეტად აღელვებული ზინაიდა ფეოდოროვნა და ოთახში მიმოდიოდა. — არა, არ შემიძლია, თქვენი მოსმენა გულს მირევს. მე კი მოსანანიებელი არაფერი მაქვს, ვინაიდან სუფთა ვარ კაცისა და ღმერთის წინაშე. დიახ, მივატოვე ქმარი და თქვენთან წამოვედი, მაგრამ მე მხოლოდ ვამაყობ ამით.

— კი ბატონო, ასე იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ თქვენ პატიოსანი და წრფელი ადამიანი ხართ, თქვენც ასევე უნდა იამაყოთ ჩემი ამ საქციელით. იგი ჩვენ გვამაღლებს. მეცა და თქვენც იმ ათასობით ადამიანზე მაღლა გვაყენებს, რომლებიც სიამოვნებით მოიქცეოდნენ ისე, როგორც მე მოვიქეცი და მხოლოდ რაღაც წვრილმანი ანგარებისა თუ თავიანთი სულმოკლეობის გამო ვერ ბედავენ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ თქვენ პატიოსანი არა ხართ, თქვენ თავისუფლების გეშინიათ და სწორედ შიშის გამო დასცინით ჩემს ამ პატიოსან სწრაფვას თუ აღტაცებას. გეშინიათ, ვინმე უბირმა და უმეცარმა ეჭვის თვალით არ შეხედოს თქვენს წესიერებას... თქვენ ჩემი გეშინიათ, ყოველნაირად ცდილობთ, ნაცნობებთან არ გამომაჩინოთ, თქვენთვის ყველაზე დიდი სასჯელია, ჩემ გვერდით ქუჩაში ვინმემ რომ დაგინახოთ... რაო, განა მართალს არ ვამბობ? თუ ასეა, აქამდე მამათქვენთან და თქვენს ბიძაშვილთან რატომ არ წარმადგინეთ? რატომ?.. არა, მე უკვე მომბეზრდა ეს ყველაფერი, კმარა! — წამოიძახა ზინაიდა ფეოდოროვნამ და ფეხი დააბაკუნა. — მე მოვითხოვ იმას, რაც წესითაც მეკუთვნის და კანონითაც. კეთილინებეთ და წარმადგინეთ მამათქვენთან!

— თუ ეს თქვენთვის ასე აუცილებელია, ადექით და თქვენ თვითონ წარუდგინეთ თქვენი თავი! მილება ყოველდღე აქვს, ათიდან თორმეტის ნახევრამდე.

— რა მდაბალი ადამიანი ხართ! — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ, იგი სასოწარკვეთილებისაგან ხელებს იმტვრევდა. — თუნდაც გულწრფელი არ იყოს თქვენი სიტყვები, თუნდაც იმას არ ამბობდეთ, რასაც ფიქრობთ, მხოლოდ ამ სიმკაცრისათვისაც კი შეიძლება შეგიძულოთ ადამიანმა. ღმერთო ჩემო, რა სულმდაბალი, რა უსინდისო ხართ!

— საქმეს ჩვენ მხოლოდ შორიახლოს ვუტრიალებთ, მის ჭეშმარიტ არსზე არაფერს ვამბობთ. მისი ჭეშმარიტი არსი კი ის გახლავთ, რომ თქვენ ძლიერ შეცდით, ამისი ხმამაღლა აღიარება კი არა გსურთ... თქვენ მე გმირად წარმომიდგინეთ, რაღაც განსაკუთრებული იდეებისა და იდეალების პატრონად, ბოლოს კი ხელთ ერთი ჩვეულებრივი ჩინოვნიკი და ბანქოს მოთამაშე შეგრჩათ, რომელსაც არავითარი სურვილი, არავითარი სწრაფვა არ გააჩნია იმ ევრეთ წოდებული იდეებისაკენ, და რომ მე ერთი ღირსეული ნაშიერი ვარ იმ დამპალი საზოგადოებისა, რომელსაც თქვენ სწორედ მისი უშინაარსობისა და უხამსობის გამო გამოექეცით. არა, რატომ არ გინდათ, გულწრფელად აღიაროთ, რომ ჩემზე კი არა, საკუთარ თავზე ხართ გულმოსული, ვინაიდან ჩემში კი არა, საკუთარ თავში შეცდით.

— დიახ, ვაღიარებ... ვაღიარებ რომ შევცდი.

— ღმერთსა მადლი!.. როგორც იქნა, შევთანხმდით მთავარზე. ახლა რაც შეეხება დანარჩენს: თუ გნებავთ, თუ სურვილი გაქვთ, მომისმინეთ... თქვენამდე ამაღლება ჩემთვის შეუძლებელია, ვინაიდან უკვე მეტისმეტად გარყვნილი და გაფუჭებული ვარ. დამდაბლებით კი, არც თქვენ არ შეგიძლიათ ჩემამდე დამდაბლება, რამეთუ მეტისმეტად მაღლა დგახართ. გამოდის, რომ მხოლოდ ერთიღა დაგვრჩენია.

— რა? რა დაგვრჩენია?! — წამოიძახა ქაღალდივით გაფითრებულმა ზინაიდა ფეოდოროვნამ და სუნთქვა შეიკრა.

— რა და, საჭიროა ლოგიკას მოვუხმოთ საშველად...

— გეორგი, ასე რატომ მაწამებთ? — თქვა ხმაგაბზარულმა ზინაიდა ფეოდოროვნამ რუსულად. — რატომ? ნუთუ არ გესმით, როგორ ვიტანჯები?

არ იტიროსო, შეშინებულმა ორლოვმა კაბინეტისაკენ გასწია და წარმოდგენა არა მაქვს, რატომ და რა მიზეზით — იქნებ უნდოდა, მეტი გულისტკივილი მიეყენებინა, ანდა იქნებ ამგვარი შემთხვევების დროს, უბრალოდ, ასეა მიღებული — შევიდა თუ არა, კარი გასაღებით ჩაკეტა. ქალმა ერთი წამოიკივლა და კაბის კალთების შარიშურით უკან გაეკიდა.

— რა იყო, რა მოგივიდათ? — ეკითხებოდა და თან კარზე აკაკუნებდა. — რა დაგემართათ?.. — თქვა ბოლოს მიმქრალი, გაოცებისაგან ათრთოლებული ხმით. — აა, ესე იგი... ჰოდა, რადგან ასეა, მძულხართ, მეზიზღებით! მორჩა, ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია!..

მერე ერთბაშად ისტერიული ტირილი აუვარდა. ტიროდა და თან გიჟივით ხარხარებდა. ამ დროს სასტუმრო ოთახში მაგიდიდან, ეტყობა, რაღაც ჩამოვარდა და გატყდა. ორლოვმა მეორე კარით კაბინეტიდან წინკარში გადაინაცვლა. შინელს გამალებით იცვამდა და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს ცილინდრიც დაიხურა და სახლიდან გავიდა.

გაიარა ნახევარმა საათმა... ერთმა საათმა... ზინაიდა ფეოდოროვნა კი სულ ტიროდა და ტიროდა. გამასხენდა, რომ ამქვეყნად მას არავინ გააჩნდა, არც დედა, არც მამა, არც ნათესავი და მახლობელი, აქ კი იმ ორ მოძულე ადამიანს შორის ცხოვრობდა, რომელთაგან ერთი თვალისდასანახად ვერ იტანდა, მეორე კი, დროს იხელთებდა თუ არა, ძარცვავდა. ამის გაფიქრებაზე, ვერ წარმოიდგენთ, მისი ცხოვრება როგორი უნუგეშო და უსიხარულო მეჩვენა! მე თვითონაც არ ვიცი, რატომ შევედი მასთან სასტუმრო ოთახში. ზინაიდა ფეოდოროვნა, ბავშვივით უსუსური და უილაჯო ქალი, რომელიც ჩემთვის მუდამ სინაზისა და სინატიფის განსახიერება იყო, სნეულივით იტანჯებოდა. იგი ტახტზე იწვა, სახე ბალიშში ჩაერგო და მთელი სხეული უთრთოდა.

— რას მიბრძანებთ, ექიმი ხომ არ მოგიყვანოთ? — ვკითხე ჩუმად.

— არა, არ მინდა... არაფერია, — თქვა და ნამტირალევი თვალებით შემომხედა. — უბრალოდ, თავი მტკივა... მადლობელი ვარ.

მაშინვე ოთახიდან გამოვედი. ზინაიდა ფეოდოროვნამ მთელი ის საღამო წერილების წერაში გაატარა. ამ წერილებიდან ერთი პეკარსკისთან გამატანა, ერთი კუკუმკინთან, ერთიც ქართველთან და ბოლოს მიბრძანა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ორლოვი სასწრაფოდ მომეძებნა და ეს წერილი მისთვის გადამეცა. სად არ წავედი, სად აღარ ვეძებე, მაგრამ ორლოვი ვერსად ვიპოვე. ზინაიდა ფეოდოროვნა ხან მთხოვდა, ხან მეჩხუბებოდა, მუჭაში ფულს ჩრიდა, მემუდარებოდა, როგორმე მომეძებნა. მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იჯდა სასტუმრო ოთახში და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მეორე დღეს ორლოვი შინ შუადღისას დაბრუნდა. არ გაევლო ორიოდე წუთსაც, რომ ისინი უკვე შერიგებულები იყვნენ.

მაგრამ პირველსავე ხუთშაბათობაზე ორლოვმა ძმაკაცებთან მოიჩივლა, ცხოვრება ჩემთვის აუტანელი გახდაო. იგი ძალიან ბევრს ეწეოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ გაღიზიანებული იყო:

— ეს ცხოვრება კი არა, ინკვიზიციაა. ცრემლი, ქვითინი, პატიების თხოვნა, სინანული, მერე ისევ ცრემლი, ისევ ქვითინი და აი, გამოდის, რომ ახლა მე საკუთარი ჭერიც აღარა მაქვს, თავადაც გავწამდი, ისიც გავაწამე. მაინც რამდენ ხანს უნდა ვიყო ამ დღეში — ერთი თვე, ორი თვე...

— შენც ადექი და დაელაპარაკე, — უთხრა პეკარსკიმ.

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დამოუკიდებელ, გონებადადინჯებულ ადამიანს შეგიძლია პირდაპირ, მოურიდებლად უთხრა ყველაფერი, მაგრამ აქ ხომ ისეთ ადამიანთან გაქვს საქმე, რომელსაც არც ნებისყოფა გააჩნია, არც ხასიათის სიმტკიცე და არც ლოგიკა. მტირალი ქალის დანახვაზე მაშინვე ფარ-ხმალსა ვყრი. როგორც კი ზინაიდა ფეოდოროვნას ატირებულს დავინახავ, ცრემლი ყელში მებჯინება, მზად ვარ, საუკუნო სიყვარულიც კი შევფიცო.

პეკარსკიმ ვერაფერი გაიგო, შეფიქრიანებულმა ფართო შუბლი მოისრისა და უთხრა:

— ამდგარიყავი და დაგექირავებინა ცალკე ბინა, მაგაზე ადვილი რა არის.

— იმას ბინა კი არა, მე ვუნდივარ. რა ვიცი, უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა. — ამოიოხრა ორლოვმა. — ამდენს ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, მდგომარეობიდან გამოსავალი კი არა და არ ჩანს. უდანაშაულო დანაშავეც ამას ჰქვია! ნათქვამია, ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ატენიდნენო. მთელი ჩემი სიცოცხლე გმირის როლს გავურბოდი, ტურგენევის რომანები არასოდეს მიზიდავდა. და აი, ერთიც ვნახოთ, ნამდვილი გმირის როლში არ აღმოვჩნდი! აბა, სადაური გმირი მე ვარ-მეთქი, ვეფიცები, რა დამამტკიცებელი საბუთი აღარ მომყავს, მაგრამ ვინ გიჯერებს! რატომ არ მიჯერებს? რატომ და, ეტყობა, რაღაც გმირული მაქვს გამომეტყველებაში.

— გირჩევ, გუბერნიაში წასვიდე რევიზიის ჩასატარებლად, — უთხრა სიცილით კუკუშკინმა.

— სხვა რა დამრჩენია.

ამ საუბრიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ორლოვმა განაცხადა, სენატორთან მივლინებაში მაგზავნიანო, და იმავე საღამოს თავისი ჩემოდნებიანად პეკარსკისთან გადაბარგდა.

11.

ზღურბლზე სამოცდაათიოდე წლის კაცი იდგა, ტანთ გრძელი, მიწამდე დაშვებული ქურქი ეცვა, თავზე თახვის ქუდი ეხურა.

— გეორგი ივანიჩი სახლშია? — იკითხა კაცმა.

თავდაპირველად გავიფიქრე, ალბათ ვილაც მევახშეა, ქართველის რომელიმე კრედიტორი, ორლოვთან ხანდახან წვრილმანი ვალების მისაღებად რომ მოდიან-მეთქი, მაგრამ წინა ოთახში რომ შემოვიდა, ქურქი გაიხსნა და ფოტოებიდან ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი ჯიუტად მოკუმული ბაგე და ხშირი წარბები დავინახე. მაშინვე ვიცანი — ეს იყო ორლოვის მამა, ცნობილი სახელმწიფო მოხელე.

როდესაც ვუპასუხე, გეორგი ივანიჩი სახლში არ არის-მეთქი, ბერიკაცმა ტუჩები კიდევ უფრო მაგრად მოკუმა, გვერდზე გაიხედა და თავისი ხმელ-ხმელი, უკბილო პროფილი დამანახვა.

— ბარათს დავუტოვებ, — თქვა მოხუცმა, — კაბინეტში შემიყვანე.

კალოშები წინკარში დატოვა და თავისი გრძელი, მძიმე ქურქის გაუხდელად კაბინეტისაკენ გაეშურა. აქ იგი საწერი მაგიდის წინ სავარძელში ჩაჯდა და ვიდრე კალამს ხელს მოჰკიდებდა, რამოდენიმე წუთით, თითქოს მზეს იჩრდილავსო, შუბლზე ხელმიდებული იჯდა, ზუსტად ისე, როგორც მის შვილს სჩვეოდა უგუნებოდ ყოფნისას. მოწყენილი სახე ჰქონდა, დაფიქრებული, ასეთი მორჩილი გამომეტყველება მე მხოლოდ მოხუცებისა და მორწმუნეების სახეებზე თუ მინახავს. ვიდექი მის უკან, მელოტ თავსა და ქეჩოზე მივჩერებოდი და აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს სნეული, დაუძლურებული ბერიკაცი ახლა ჩემს ხელთ იყო, ვინაიდან მთელს იმ ბინაში

ჩემსა და იმ ჩემი მტრის მეტი არავინ ჭაჭანებდა. საკმარისი იყო ოდნავ ძალა მეხმარა, კვალის დასაფარავად მოხუცისათვის ხელიდან საათი წამეძრო, რომ იმაზე განუზომლად მეტი მიმეღო, რის მიღების იმედითაც ამ სახლში ლაქიად დავდექი. უკეთესი შემთხვევა მე ალბათ არასოდეს მომეც�eba-მეთქი, — ვფიქრობდი გულებაში. მაგრამ, იმის მაგივრად რომ მემოქმედა, ხან მის მელოტ თავს ვაკვირდებოდი გულგრილად, ხან მის ძვირფას ქურქს და თავის ერთადერთ ვაჟიშვილთან ამ ადამიანის დამოკიდებულებასა და იმაზე ვფიქრობდი, ძალაუფლებითა და სიმდიდრით განებივრებულ ადამიანებს ალბათ როგორ არ უხდებათ სიკვდილი...

— დიდი ხანია, რაც ჩემს შვილს ემსახურები? — მეკითხებოდა მოხუცი და ქაღალდზე მსხვილი ასოები გამოპყავდა.

— უკვე მესამე თვეა, თქვენო მაღალმატებულებავ.

მოხუცმა წერილის წერა დაამთავრა და წამოდგა. მოქმედებისათვის დრო ჯერ კიდევ საკმარისად მქონდა. საკუთარ თავს ვაკვირდებოდი, მინდოდა გულში როგორმე იმ ადრინდელი სიძულვილის პატარა ნაპერწკალი მაინც გამეღვივებინა, ხელებს ვმუშტავდი, ვიხსენებდი, როგორი დაუოკებელი და მოუთოკავი იყო ჩემი სიძულვილი ამ ცოტაოდენი ხნის წინათ... მაგრამ, რამდენიც არ უნდა ეცადო, ფაშარი ქვით ცეცხლს ვერ გააჩაღებ! მისი მოტეხილი, სევდიანი სახე და ვარსკვლავთა ცივი ბზინვა ჩემს გულში მხოლოდ წვრილმან, იაფფასიანსა და უმაქნის აზრებს იწვევდა, აზრებს წუთისოფლის ხანმოკლეობასა და ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობაზე...

— მშვიდობით იყავი, ძამიკო! — მითხრა მოხუცმა, ქუდი დაიხურა და გავიდა.

ვიგრძენი, რომ ერთბაშად სხვა ადამიანი გავხდი, სულ სხვა განწყობილება დამეუფლა. საკუთარი თავი რომ შემეშინებინა და ამაში კიდევ უფრო დავრწმუნებულიყავი, შევეცადე, გამეხსენებინა რაღაც-რაღაცები, მაგრამ მაშინვე შიშმა ამიტანა, ასე მეგონა, ჩემდაუნებურად ბნელ, ნესტიან კუნჭულში ჩავიხედე. გამახსენდა ჩემი ნაცნობ-მეგობრები და, პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, ახლა მე რომ რომელიმე მათგანს შევხვდე, ალბათ როგორ დავიბნევი და როგორ გავწითლდები-მეთქი. უკვე აღარ ვიცოდი, ვინ ვიყავი, რა მინდოდა, რა გამეკეთებინა, რა მეფიქრა, რა გზას დავდგომოდი, სად წავსულიყავი ან რა აზრი ჰქონდა ჩემს ცხოვრებას. საკუთარი თავისა უკვე აღარაფერი გამეგებოდა, მხოლოდ ერთიღა იყო ჩემთვის ნათელი: ჩამელაგებინა მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა და რაც შეიძლება მალე გავცლოდი აქაურობას. მოხუცის გამოჩენამდე ჩემს ლაქიად ყოფნას კიდევ ჰქონდა რაღაც აზრი, ახლა კი ეს მხოლოდ სასაცილო იყო. ჩემი ცრემლი ლაპალუპით ცვიოდა თავახდილ ჩემოდანში, გული ლამის გამხეთქვოდა, აუტანელი სევდა შემომაწვა, მაგრამ, ო, რა ძალიან მეწადა სიცოცხლე! მზად ვიყავი, მთლიანად მომეცვა, ჩემს ხანმოკლე ცხოვრებაში ჩამეტია ყოველივე, თუ რამ ხელმისაწვდომი იყო ადამიანისათვის. მინდოდა მეკითხა, მელაპარაკა, რომელიმე დიდ ქარხანაში ჩაქუჩი მეკაკუნებინა, ვახტზედაც ვმდგარიყავი, მეხნა კიდევაც და მეთესა კიდევაც. საით აღარ მიმიწევდა გული — ნევის პროსპექტისკენაც, მინდვრისკენაც და ხლვისკენაც, ყველგან, ყოველ მხარეს, რომელსაც კი ჩემი წარმოსახვა მისწვდებოდა... ზინაიდა ფეოდოროვნა რომ დაბრუნდა, კარს ვეცი, ქურქი არაჩვეულებრივი მოწიწებითა და სინაზით გავხადე და — ეს ალბათ უკანასკნელია-მეთქი, — გავიფიქრე.

მოხუცის გარდა იმ დღეს კიდევ ორი პიროვნება მოვიდა. უკვე კარგად შებინდებული იყო, რომ ორლოვს რაღაც ქაღალდები უნდა წავეღოო, — მოულოდნელად ქართველი გვეწვია. მაგიდის უჯრა გამოწია, საჭირო ქაღალდები მოძებნა, დაგრაგნა, მიბრძანა, წინკარში ჩემი ქუდის გვერდით დადეო, და თვითონ ზინაიდა ფეოდოროვნასაკენ გაეშურა. ზინაიდა ფეოდოროვნა სასტუმრო ოთახში სოფაზე იწვა, ხელები

თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. მეექვსე დღე იწურებოდა, რაც ორლოვი „რევიზიაზე“ იყო წასული. არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა. ზინაიდა ფეოდოროვნა უკვე არც ელოდა და არც აგზავნიდა დეპეშებს. პოლიას, რომელიც ჯერ ისევ ჩვენთან ცხოვრობდა, ზედაც არ უყურებდა, ვითომ ვერც კი ამჩნევდა. „ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!“ — ეკითხულობდი მის გულგრილ, ფერმკრთალ სახეზე, ორლოვის მსგავსად, მასაც ალბათ თავისი სიჯიუტე აიძულებდა, გინდა თუ არა, უბედურად ყოფილიყო; საკუთარი თავისა და მთელი ქვეყნიერების ჯინაზე, იწვა დილიდან დაღამებამდე სასტუმრო ოთახში და ცუდის მეტს არც არაფერს ელოდა, არც არაფერი ეწადა. ალბათ იმაზე თუ ფიქრობდა, ორლოვი როგორ დაბრუნდებოდა, როგორ იჩხუბებდნენ, როგორ გაუცივდებოდა ამის შემდეგ გული ორლოვს, წარმოიდგენდა მის ღალატს, მასთან განშორებას და ეს მტანჯველი აზრები იქნებ სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა. მაგრამ, ნეტავი რას იტყოდა, სიმართლე რომ გაეგო?

— ძალიან მიყვარხართ, ნათლია, — უთხრა ქართველმა და ხელზე აკოცა, — თქვენ ისეთი კარგი და კეთილი ხართ! აი, ჟორჟინკა კი გაემგზავრა. — იცრუა ქართველმა, — გაემგზავრა ის უკეთური, ,ისა!

მერე ოხვრა-ოხვრით დაჯდა და ხელზე ხელი ნაზად გადაუსვა:

— გეთაყვა, თუ ნებას მომცემთ, ამ ერთ საათს თქვენთან გავატარებ, შინ წასვლა მეზარება, ბირშოვებთან კი ჯერ ვერ მივალ, ადრეა. დღეს ბირშოვები თავიანთ კატიას დაბადების დღეს უხდიან. მართლაც რომ შესანიშნავი გოგონაა.

მე მას ერთი ჭიქა ჩაი და პატარა გრაფინით კონიაკი მივუტანე. ქართველმა ჩაი ნება-ნება, უხალისოდ დალია და ჭიქა რომ მომაწოდა, მორიდებულად მკითხა:

— ძმობილო, ხომ არაფერი გაქვს, ცოტა წაიხემსო... ჯერ ისევ უსადილო ვარ.

სახლში არაფერი გვქონდა, რესტორანში წავედი და ჩვეულებრივი, მანეთიანი სადილი მოვუტანე.

— კარგად იყავით, გეთაყვა, გაგიმარჯოთ! — უთხრა მან ზინაიდა ფეოდოროვნას და ერთი სირჩა არაყი დალია. — ჩემმა პატარა გოგონამ, თქვენმა ნათლულმა მოგიკითხათ. საწყალს, საყმაწვილო სენი სჭირს. აჰ, ბავშვები, ბავშვები! — ამოიოხრა ქართველმა, — ნათლია, მართალი გითხრათ, რაც არ უნდა იყოს, სასიამოვნოა მამობა, აი, ჟორჟინკასთვის კი გაუგებარია ეს გრძნობა.

თქვა და ისევ დალია. გამხდარი, ფერმკრთალი, გულზე ხელსახოცაფარებული საჭმელს მადიანად შეექცეოდა და პატარა ბიჭივით ხან ზინაიდა ფეოდოროვნას შეჰყურებდა მორიდებით, ხან მე. ძიმშილი რომ დაიოკა, გამხიარულებულმა ბირშოვებზე რაღაც ამბის მოყოლა დაიწყო, მაგრამ როცა მიხვდა, სასაცილო ამაში არაფერი იყო და არც ზინაიდა ფეოდოროვნას ეცინებოდა, გაჩუმდა. ერთბაშად მოიწყინა. სადილის შემდეგ ისხდნენ ორივენი ერთი ლამპით სუსტად განათებულ სასტუმრო ოთახში და ხმას არ იღებდნენ — ქართველს ტყუილის თქმა უჭირდა, ზინაიდა ფეოდოროვნას კი უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა. ასე გავიდა ნახევარი საათი. ბოლოს ქართველმა საათს დახედა:

— ოო, ჩემი წასვლის დროც მოსულა...

— არა, ცოტა ხანს იყავით... მინდა, რაღაც გითხრათ, — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ და გაჩუმდა.

ერთხანს ორივენი დუმდნენ. ბოლოს ქართველი როიალს მიუჯდა, ჯერ ერთ კლავიშს შეეხო, მერე საკრავი მთელი ხმით ააჟღერა და ხმადაბლა ჩაიმღერა: „ნეტავი რას მიქადის დღე მე ხვალინდელი...“ — მაგრამ, თავისი ჩვეულებისამებრ, მაშინვე წამოდგა და თავი გადააქნია.

— ნათლიმამ, დაუკარით რაიმე, — სთხოვა ზინაიდა ფეოდოროვნამ.

— რა დავუკრა? — თქვა ქართველმა და მხრები აიჩეჩა, — ყველაფერი დამავიწყდა, დიდი ხანია არაფერი დამიკრავს.

მაგრამ ჩაიკოვსკის ორი პიესა მართლაც რომ საუცხოოდ, არაჩვეულებრივი განცდით დაუკრა — თბილად, გონივრულად! უკრავდა და თითქოს რაღაცეს იხსენებსო, ჭერს მისჩერებოდა. სახე ისეთი ჰქონდა, როგორც ყოველთვის — არც მეტისმეტად ჭკვიანური, არც უჭკუო. მართალი გითხრათ, ის, რომ კაცს, რომლის ხილვასაც ყველაზე მდაბალ, ბინძურ გარემოში ვიყავი მიჩვეული, შეეძლო ასეთ ამაღლებულ, ჩემთვის სრულიად მიუწვდომელ, უწმინდეს გრძნობათა გამოვლენა, ასეთ სიფაქიზემდე აღზევება, ნამდვილ სასწაულად მეჩვენა. ზინაიდა ფეოდოროვნას ლოყები შეეფაკლა, სასტუმრო ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

— მოიცა, ნათლია, მოიცა, თუ გავიხსენე, მე თქვენ ერთ შესანიშნავ რაღაცას დაგიკრავთ, იგი სადღაც ვიოლონჩელოზე დაუკრეს.

და ჯერ ფრთხილად, შეპარვით, მემდეგ კი მტკიცედ, გულდაჯერებულად სენსანსის „გედის სიმღერა“ ააყღერა. ბოლომდე ჩაათავა და ისევ გაიმეორა.

— ხომ მოგეწონათ? — თქვა ბოლოს.

აღელვებული ზინაიდა ფეოდოროვნა ქართველის წინ გაჩერდა და ჰკითხა:

— ნათლიმამ, გულწრფელად მითხარით, მეგობრულად — რას ფიქრობთ, რა აზრისა ხართ ჩემზე?

— აბა, რა გითხრათ? — ჩაილაპარაკა ქართველმა წარბაწევით. — მიყვარხართ და მხოლოდ კარგს ვფიქრობ; მაგრამ, თუ გინდათ, იმ თქვენთვის საინტერესო საკითხზე გელაპარაკოთ, — განაგრძო შუბლშეკრულმა და იდაყვთან სახელო გაიფერთხა, — იცით რა, ჩემო საყვარელო, საკუთარი გულისთქმის აყოლას მუდამ ბედნიერება როდი მოაქვს კარგი ადამიანებისათვის. რათა კაცმა თავი ლაღად, ბედნიერად იგრძნოს, მე მგონი, არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, ცხოვრება თავისი კონსერვატულობით როგორი მკაცრი, უხეში და გაუტანელია. და რომ ადამიანმაც ცხოვრებას სწორედ იმითვე უნდა უპასუხოს, რის ღირსიც იგია. ერთი სიტყვით, თავისუფლებისაკენ სწრაფვაში ადამიანიც ისეთივე მკაცრი, უხეში და ულმობელი უნდა იყოს, როგორიც თვითონ ცხოვრებაა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

— სად შემიძლია! — სევდიანად ვაღიარა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — უკვე ძალიან დავიღალე, ისე ვარ დაქანცული, თითის განძრევაც აღარ ძალმიძს საკუთარი თავის გადასარჩენად.

— მონასტერში წადით, ნათლია, მონასტერში. — თქვა ხუმრობით ქართველმა, მაგრამ ამ სიტყვებზე ზინაიდა ფეოდოროვნას, მერე კი თავად იმასაც, თვალებში ცრემლი აუბრწყინდათ. — ახლა კი წაეედი, ჩემო საყვარელო ნათლია, ღმერთმა ჯანმრთელად გამყოფოთ.

მერე ორივე ხელი დაუკოცნა, ხელზე ხელი ნაზად გადაუსვა და შეპირდა, ამ დღეებში უსათუოდ მოგინახულებთო. წინკარში ბავშვის კაპოტის მსგავს პალტოს რომ იცვამდა, დიდხანს იჩხრიკა, დიდხანს აფათურა ჯიბეში ხელი, რათა ჩემთვის ფული ეჩუქებინა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— კარგად იყავით, გეთაყვა! — თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

არასოდეს დამავიწყდება ის განწყობილება, რომელიც მაშინ იმ კაცმა დაგვიტოვა. ზინაიდა ფეოდოროვნა კვლავ აღელვებული დადიოდა სასტუმრო ოთახში. რაც მთავარია, კი არ იწვა, დადიოდა, და ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. მინდოდა მესარგებლა ამ განწყობით, მინდოდა, გულწრფელად მეთქვა ყველაფერი და უმალ გავცლოდი. მაგრამ ქართველის გაცილება ძლივს მოვასწარი, რომ კარზე ვილაცამ დარეკა. ამჯერად კუკუშკინი იყო.

— გეორგი ივანიჩი შინაა? — იკითხა კუკუშკინმა, — არ ჩამოსულა? აბა, ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ არ ჩამოსულა? ოო, ძალიანაც საწყენია!.. რადგან ასეა, მივალ, დიასახლისს ერთს ხელზე ვაკოცებ და ბაიდა! მაშინვე გავიცლევი. ზინაიდა ფეოდოროვნა, შეიძლება? — გასძახა კუკუშკინმა. — მინდა ხელზე გეამბოროთ... ბოდიშს გიხდით, ასე გვიან რომ მოვედი.

სასტუმრო ოთახში დიდხანს არ დარჩენილა, სულ რაღაც ... წუთი თუ იქნებოდა, მე კი ასე მეგონა, მთელი საუკუნეა აქა ზის, ალბათ არც არასოდეს წავამეთქი. აღშფოთებისა და წყენისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი და — რატომ არ გააგდებს-მეთქი, — უკვე მძულდა ზინაიდა ფეოდოროვნა, საშინლად ვბრაზობდი, თუმცა აშკარა იყო, მასთან თავს იგი მოწყენილად ვრძნობდა.

ქურქს რომ ვაცმევდი, ვითომდა ჩემდამი განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, მკითხა, უცოლოდ როგორ ძლებო?

— ისე, ვხედავ, არც შენ დაგიღია პირი, ბუზებს არც შენ ყლაპავ, — განაგრძო კუკუშკინმა სიცილით, — შენა და ის შენი პოლია, ეტყობა, აქ დიდ არშიყ-მარშიყში ხართ... აი, შე ცელქო!

მიუხედავად ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებისა, მაშინ მე არცთუ ისე კარგად ვიცნობდი ადამიანებს. ადვილი შესაძლებელია, რაღაც უმნიშვნელოს ვაზვიადებდი, მნიშვნელოვანს კი სულაც ვერ ვამჩნევდი. მომეჩვენა, კუკუშკინი ტყუილად არ ხითხითებდა, ტყუილად არ მეთითლიბაზებოდა, ალბათ იმის იმედი თუ ჰქონდა, აქაოდა, ლაქიაო, დავდგებოდი და სხვების საფარეშოებსა თუ სამზარეულოებში ენას გადმოვაგდებდი, ორლოვის შინ არ ყოფნისას ჩვენთან როგორ დადიოდა და გვიან ღამემდე ზინაიდა ფეოდოროვნას ოთახში როგორ იჯდა. მერე კი, როდესაც ჩემ მიერ გავრცელებული ეს ჭორი მისი ნაცნობების ყურამდე მიაღწევდა, თვალებს ძირს მორცხვად დახრიდა და ნეკა თითით დამექადნებოდა. შევყურებდი იმის სპილენძისფერ, გალეულ სახეს და გუნებაში ვფიქრობდი, არც თვითონ დაიხვალიებს, დღესვე ალბათ ბანქოს სათამაშოდ რომ დაჯდება, თავს მოიკატუნებს და ვითომ ისე, სხვათა შორის წამოაყრანტალებს, უკვე წავართვი ორლოვს ზინაიდა ფეოდოროვნაო.

სიძულვილმა, რომელიც ასე მაკლდა დღეს შუადღისას ბერიკაცის მიმართ, ახლა მთელი ჩემი არსება მოიცვა. კუკუშკინი, როგორც იქნა, გავიდა, მე კი ვუსმენდი მისი კალოშების ფლატუნს და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ერთი გემრიელად არ შემეკურთხებინა. როდესაც კიბეზე მისი ფეხის ხმა მიწყდა, წინკარში შემოვბრუნდი, ქაღალდების შეკვრას, რომელიც დღეს აქ ქართველს დაავიწყდა, გიჟივით ვეცი და უპალტოო და თავშიშველა კიბის საფეხურებზე დავეშვი. ქუჩაში, მართალია, ძალიან არ ციოდა, მაგრამ ძლიერი ქარი უბერავდა და ხვავრიელად თოვდა.

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ! — ვცდილობდი დავწეოდი კუკუშკინს.

იგი ფარანთან გაჩერდა და გაოცებულმა უკან მოიხედა.

— თქვენო აღმატებულებავ! — მივაძახე სუნთქვაშეკრულმა, — თქვენო აღმატებულებავ!

და იმის გამო, რომ უცებ ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა, ქაღალდის შეკვრა ერთიორჯერ შიგ სახეში ვფერთხე. კუკუშკინი, რომელსაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა, რომელიც ისე იყო ჩემი საქციელით შეცბუნებული, გაოცებაც კი ვერ მოეხერხებინა, ზურგით ფარანს მიეყრდნო და სახეზე ხელები აიფარა. სწორედ ამ დროს ვილაც სამხედრო ექიმმა ჩაგვიარა, დაინახა, კაცს როგორ გამეტებით ვცემდი, მაგრამ ერთი გაკვირვებით შემოგვხედა და გზა განაგრძო.

მე ერთბაშად შემრცხვა ჩემი ამ საქციელის, გავტრიალდი და შინისაკენ გავიქეცი.

12.

თოვლით თმაგალუმპული და აკოშინებული ჩემს ოთახში შევკარეტა, ფალტო გავიხადე, პიჯაკი და პალტო ჩავიცვი, დავავლე ჩემს ჩემოდანს ხელი და ფანჯარაში გავედი. ახლავე, ახლავე უნდა გავიქცე! მაგრამ ვიდრე წავიდოდი, სასწრაფოდ მაგიდას ივუჯექი და წერილის წერა დავიწყე:

„გიტოვებთ ჩემს ყალბ პასპორტს, ბატონო პეტერბურგელო ჩინოვნიკო, ცრუ და თაღლითო კაცო! გთხოვთ, დაიტოვოთ სამახსოვროდ.

ალბათ იტყვით, სხვისი სახელით სხვის ოჯახში შეიპარო, ლაქიის ნიღაბს ამოფარებულმა უთვალთვალო სხვათა ინტიმურ ცხოვრებას, ყველაფერს უყურო და უსმინო, რათა შემდეგ სიცრუეში ამხილო, როცა ამას შენ არავინ გეკითხება, ეს ხომ ნამდვილ ქურდობასა ჰგავსო! დიახ, მაგრამ ახლა მე კეთილშობილებისათვის არა მცხელა. მე შევესწარი ათობით თქვენს საქმესა და ვახშამს, როცა თქვენ იმას ამბობდით და აკეთებდით, რაც მოგეპრიანებოდათ, მე კი უნდა ვმდგარიყავი და თქვენი ამ თავნება საქციელისათვის ჩუმად მეცქირა. არა, ახლა აღარ გავჩუმდები! თანაც როცა თქვენს ირგვლივ ერთი ადამიანიც არ არის ისეთი, რომელიც პირფერობას კი არ დაგიწყებდათ, სიმართლეს გეტყოდათ. ჰოდა რადგან ასეა, დაე, სტეფანე ლაქიამ მაინც ჩამოგბანოთ თქვენი ეგ დიდებული ფიზიონომია!"

მართალია, ეს დასაწყისი არ მომეწონა, მაგრამ არც გასწორების სურვილი მქონდა. განა სულერთი არ იყო?

მუქფარდებჩამოფარებული დიდი ფანჯრები, საწოლი, ძირს დაგდებული დაჭმუჭნული ფრაკი და იატაკზე აღბეჭდილი ჩემი სველი ნაფეხურები მკაცრად, სევდიანად შემომყურებდა. ირგვლივ გამეფებული სიჩუმეც რაღაც განსაკუთრებული იყო. ალბათ იმის გამო, რომ ქუჩაში წვიმან თავშიშველა და უკალოშო გამოვვარდი, ერთბაშად სიცხემ ამიწია, მუხლები მტეხდა, სახე მივარვარებდა. აზრები როგორღაც არეულ-დარეული, გაორებული მქონდა.

„მე ავადმყოფი ვარ, მორალურად დათრგუნული, — განვაგრძე, — და არ შეიძლია ისე მოგწეროთ და ის მოგწეროთ, რაც მინდა და რასაც ვფიქრობ. პირველ წუთებში მინდოდა, შეურაცხყოფა მომეყენებინა, დამემცირებინეთ. ახლა კი, ასე მგონია, ამის უფლება არა მაქვს. ჩვენ ორივენი — თქვენცა და მეც — ისე დავეცით, ალბათ ველარასოდეს წამოვდგებით. და ჩემი ეს წერილი ენამზიანი, მჭევრმეტყველური, ძალმოსილი და შიშის მომგვრელიც რომ იყოს, იგი მაინც კუბოს სახურავზე ამაო ბრახუნს ემსგავსება, ვინაიდან რამდენიც არ უნდა აბრახუნო, მკვდარს ველარასოდეს გააცოცხლებ! დიახ, ახლა უკვე არავის და აღარაფერს ძალუძს თქვენი წყეული, გაყინული სისხლის გათბობა, თქვენ ეს ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ. მაშ, **რა აზრი** აქვს, რატომღა გწერთ ამ წერილს? და მაინც განვაგრძობ წერილის წერას... გულზე ცეცხლი მიკიდია, თავი მიხურს, რატომღაც ძალიან ვღელავ, ვინაიდან მგონია, ამ წერილს ჯერ კიდევ შეუძლია თქვენი და ჩემი გადარჩენა. თავი ისე მიბრუის, აზრები ვერ დამილაგებია, კალამი ქაღალდზე უაზროდ დაწრიპინებს, მაგრამ კითხვა, რომელიც მინდა მე თქვენ დაგისვათ, ჩემ წინ ჩირაღდანივით ბრიალებს.

დროზე ადრე რატომ დავუძლურდი და რატომ დავეცი, ძნელი ასახსნელი არ არის: ბიბლიური დევგმირის მსგავსად, მთაზე ასატანად ზურგზე გაზას კარიბჭე მოვიკიდე, მაგრამ როცა უკვე ქანცი გამიწყდა, როცა საბოლოოდ შემერყა ჯანმრ-

თელობა, მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რომ იმ კარიბჭის ზიდვა არ ხელმეწიფებოდა, რომ მხოლოდ საკუთარ თავს ვიტყუებდი. გარდა ამისა, ჩემი გული ერთთავად უსაზღვრო, უმძიმესი ტკივილით იყო სავსე. რა აღარ გამოვცადე — შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, თავისუფლების დაკარგვა. პირადი ბედნიერება არც მაქვს, არც მქონია, საყუდელი და თავშესაფარი არსად გამახსნია, მკაცრია [illegible] ჩემი მოგონებები, ამიტომაც ჩემი სინდისი ხშირად თვალს უხუჭავს, [illegible] ამ მოგონებებს. მაგრამ, თქვენ? თქვენ რატომ დაეცით? რა მანკიერმა მიზეზებმა, რა სატანამ შეგიშალათ ხელი, რათა თქვენი ცხოვრება ვაზაფხულის სრული ფერადოვნებით გაშლილიყო? რატომ აჩქარდით? რატომ მოიშორეთ ჰაიპარად, ისე რომ ცხოვრებაში შესვლა ვერც კი მოასწარით, თუ რამ ღვთისმიერი იყო თქვენში, რატომ დაემსგავსეთ იმ მხდალ ცხოველს, რომელიც სხვათა შესაშინებლად მხოლოდ იმიტომ იყეფება, რომ თვითონ ეშინია? დიახ, თქვენ გეშინიათ ცხოვრებისა, გეშინიათ იმ აზიელივით, რომელიც მთელი დღეების განმავლობაში ლეიბზეა ფეხმორთხმული და ნარგილეს ეწაჩება. თქვენ ბევრს კითხულობთ, ევროპული ფრაკი ტანზე მშვენივრად გაქვთ მორგებული, მაგრამ როგორი რუდუნებით, ნამდვილი აზიელი ყაენის მზრუნველობით იცავთ საკუთარ თავს სიცივის, შიმშილისა თუ ფიზიკური დაძაბულობისაგან, ტკივილისა თუ მღელვარებისაგან... რა ადრე შეიყუჟა თქვენი სული ჭინჭებში, რა სიმხდალე გამოიჩინეთ რეალური ცხოვრებისა და ბუნების წინაშე, რომელსაც ყოველი ჯანსაღი და ნორმალური ებრძვის და ეჭიდება. როგორ მყუდროდ, თბილად, რბილად და მოხერხებულად გრძნობთ თავს ამ ცხოვრებაში, მაგრამ როგორი მოწყენილი ხართ! დიახ, ზოგჯერ მარტოდმარტო ციხეში გამომწყვდეული კაცივით, მომაკვდინებელი, შავი სევდა გეუფლებათ, მაგრამ თქვენ ცდილობთ, ამ მტერსაც დაემალოთ და ამიტომაც მთელი რვა საათი ბანქოს ქაღალდში ხართ თავწარგული.

ახლა თქვენი ირონია? ო, რა კარგად მესმის იგი! ცინცხალი, ლაღი, ჯანსაღი... აზრი მაძიებელია და ძლევამოსილი... ო, რა აუტანელია იგი ზანტი, მცონარა გონებისათვის. მსგავსად ათასობით თქვენი თანატოლისა, იმ ლაღ, ჯანსაღსა და ცინცხალ აზრს თქვენი მყუდროება რომ არ დაერღვია, სიყრმიდანვე დაეშურეთ, რათა ჩარჩოში მოგექციათ, სამაგიეროდ იარაღად ცხოვრებისადმი ირონიული დამოკიდებულება გაიხადეთ (ანდა, არ ვიცი, რაც გნებავთ, ის დაარქვით!)... თავშეკავებული. შემკრთალი აზრი კი ეკრძალება, ვერ ბედავს გადალახოს ის ზღუდე, რომელიც მის წინ გაავლეთ. როცა თქვენ ასე დასცინით იდეებს, რომელთაგან თვითეული თითქოსდა ხუთი თითივით არის თქვენთვის ცნობილი, იმ დეზერტირს ჰგავხართ, რომელიც ბრძოლის ველიდან სირცხვილნაჭამი გარბის, მაგრამ იმისათვის, რომ არავის დაანახოს ეს სირცხვილი, ომსაც დასცინის და ვაჟკაცურ შემართებასაც. ცინიზმი ტკივილს აყუჩებს. დოსტოევსკის რომელიღაც მოთხრობაში მოხუცი ფეხით თელავს თავისი საყვარელი ქალიშვილის პორტრეტს, ვინაიდან იცის, რომ თავად ტყუის მის წინაშე. თქვენ კი უხამსად, საძაგლად დასცინით სიკეთისა და სიმართლის იდეებს, ვინაიდან ძალა აღარ შეგწევთ მათთან დაბრუნების. ყოველი მართალი, გულწრფელი მინიშნებაც კი თქვენს სიმდაბლესა და დაცემაზე გაკრთობთ და გაშინებთ, ამიტომაც ირგვლივ მხოლოდ იმ ადამიანებს იკრებთ, რომელთაც შეუძლიათ ექლესონ და ეპირფერონ თქვენს სისუსტეებს... არა, ტყუილად როდი გეშინიათ ცრემლებისა!

ახლა რაც შეეხება თქვენს დამოკიდებულებას ქალებთან! ურცხვობა ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ სისხლთან და ხორცთან ერთად, მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები სწორედ იმიტომ ვართ, რომ დავთრგუნოთ და დავამარცხოთ ჩვენში პირუტყვი. მოწიფულობაში შესულს, როცა თქვენთვის უკვე ცნობილი გახდა ყველა იდეა, შეუძლებელია არ დაგენახათ და არ შეგეცნოთ სიმართლე. რა თქმა უნდა, დაინახეთ და

შეიცანით კიდევაც, მაგრამ კი არ გაპყევით იმ სიმართლეს, არამედ შეგეშინდათ და საკუთარი სინდისი რომ მოგეტყუებინათ, ხმამაღლა დაუწყეთ თავს მტკიცება, რომ დამნაშავე იყავით არა თქვენ, არამედ ქალი, და რომ ისიც ისეთივე ურცხვი და მდაბალია, როგორიც თქვენი დამოკიდებულებაა მის მიმართ. განა თქვენი გულქვა, საბრეზული ანეკდოტები, უსულგულო ხვიხვინი, მთელი თქვენი თეორიები ქორწინების არსსა და რაობაზე, მისადმი რაღაც გაურკვეველი მოთხოვნები, თეორია იმ ათ სუზე, რომელსაც ფრანგი მუშა უხდის ქალს, თქვენი გაუთავებელი მინიშნებანი დედაკაცურ ლოგიკაზე, მატყუარობაზე, სისუსტეზე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ — განა ეს ყველაფერი არა ჰგავს იმ სურვილს, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაამციროთ, ტალახში ამოსვაროთ ქალი, რათა თავად იგი და თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ ერთი დონისა იყოს, ერთმანეთს არსად წაუვიდეს? თქვენ უნიათო, უსიმპათიო, უბადრუკი კაცი ხართ".

სასტუმრო ოთახიდან როიალის ხმა გაისმა. ზინაიდა ფეოდოროვნა, როგორც ჩანს, ქართველის მიერ შესრულებული სენ-საენსის იმ პიესის გახსენებას ცდილობდა. მე წავედი და საწოლზე წამოვწექი, მაგრამ გამახსენდა, უკვე წასვლის დრო რომ იყო, დიდის გაჭირვებით წამოვდექი, სიცხისაგან თავდამძიმებული კვლავ მაგიდას მივუჯექი და წერილის წერა განვაგრძე:

„მაგრამ, საკითხავი ის არის, ასე რამ დაგვღალა? რა მიზეზია, თავიდან ასეთი მგზნებარენი, კეთილშობილები, გულადები, ღვთის სიყვარულით აღსავსენი, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის ასაკში უკვე გრძნობებისაგან სრულიად დაცლილნი და გაკოტრებულები რომ ვართ? რა მიზეზია, ერთს ჭლექი რომ სჭამს, მეორე შუბლში ტყვიას იცემს, მესამე არაყსა და ბანქოში რომ ეძიებს თავდავიწყებას? მეოთხე კი იმისათვის, რათა შიში და კაეშანი ჩაიხშოს, თავის უმანკო, მშვენიერი ახალგაზრდობის პორტრეტს ცინიკურად თელავს ფეხით. რატომაა, ჩვენ, ერთხელ დაცემულნი, წამოდგომას რომ აღარ ვცდილობთ და ერთს რომ ვკარგავთ, მეორეს აღარ ვეძიებთ? რატომ?

ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა შესძლო, კვლავ განეცადა ცხოვრების სიხარული, გულს იმედი ჩასახოდა, თუმცა, ვინ იცის, ეგებ ერთი საათის სიცოცხლეც აღარ ჰქონდა დარჩენილი. წინ თქვენ კიდევ მრავალი გრძელი წელიწადი გელით და ალბათ არც მე მოვკვდები ისე მალე, როგორც ეს ერთი შეხედვით გგონიათ. რა იქნებოდა, რაღაც სასწაულით ეს ყოველივე მხოლოდ სიზმარი, მხოლოდ კოშმარი ყოფილიყო და ამ სიზმრიდან ჩვენ ყველას განახლებულთ, განწმენდილთ, ჩვენი სიმართლით გაძლიერებულთ და ამაყებს გამოგვღვიძებოდა?.. უტკბილესი ოცნებები ცეცხლივით მწვავს და მღელვარებისაგან სუნთქვა მეკვრის. სიცოცხლე მწადია, მინდა ვიცოცხლო, მინდა ჩვენი ცხოვრება ისეთივე წმინდა, ამაღლებული და სიხარულის მომგვრელი იყოს, როგორც ეს ცის კამარაა. ამისათვის ვიცოცხლოთ! მზე დღეში ორჯერ არ ამოდის, არც სიცოცხლე ეძლევა ადამიანს ორჯერ, ჩაეჭიდეთ თქვენი ცხოვრების დარჩენილ დღეებს და გადაარჩინეთ იგი..."

წერილისათვის სიტყვა არ მიმიმატებია. გონებაში უამრავი აზრი მიტრიალებდა, მაგრამ თავს ვერ ვუყრიდი, სტრიქონებად ვერ ვალაგებდი. წერილი არ დამიმთავრებია, ჩემი გვარი, სახელი და წოდება მივაწერე და კაბინეტისაკენ გავწიე. ბნელოდა. ხელის ცეცებით მაგიდა მოვძებნე, წერილი ზედ დავდე, სიბნელეში, ეტყობა, რაღაცას წავაწყდი და დავახმაურე.

— ვინ არის? — გაისმა აღელვებული ხმა სასტუმრო ოთახიდან.

სწორედ ამ დროს მაგიდაზე დადგმულმა საათმა სუსტი ხმით დარეკა — უკვე ღამის პირველი საათი იყო.

13.

ვიდრე სიბნელეში ხელისცეცებით კარს გავაღებდი, ნახევარი წუთი მაინც გავიდა. ბოლოს ნელა შევაღე კარი და სასტუმრო ოთახში შევედი. ზინაიდა ფეოდოროვნა ტახტზე იყო წამოწოლილი, ჩემს დანახვაზე იდაყვზე წამოიწია, მომაჩერდა. მე ხმის ამოღება ვერ გავბედე და გვერდით ჩუმად ჩავუარე. ზინაიდა ფეოდოროვნამ თვალი გამომაყოლა. წამით შევჩერდი, მერე უკან გამოვბრუნდი და კვლავ უსიტყვოდ რომ ჩავუარე, ზინაიდა ფეოდოროვნამ ახლა უკვე გაოცებულმა, ის კი არა, შეშინებულმაც კი შემომხედა. ბოლოს მივუახლოვდი და ძლივს ამოვილულლულე:

— ტყუილად ელოდებით!

ქალი ფეხზე წამოიჭრა და გაოგნებული მომაჩერდა.

— ტყუილად ელოდებით! — გავიმეორე ისევ და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. — არ დაბრუნდება, რადგან პეტერბურგიდან ფეხიც არ გაუდგამს, მთელი ამ ხნის განმავლობაში პეკარსკის სახლში ცხოვრობდა.

ზინაიდა ფეოდოროვნამ გაიგო რასაც ვაბობდი, გაიგო და დაიჯერა. მე ამას იმავე წუთს მივხვდი, ვინაიდან ერთბაშად გაფითრდა, შიშითა და მუდარით სავსემ გულხელი დაიკრიფა. ეტყობა, გონებაში წუთიერად მთელმა ბოლოდროინდელმა ამბებმა გაუელვა, წუთიერად ყველაფერი გაიაზრა და მთელის სიცხადით დაინახა სიმართლე. მაგრამ მაშინვე ისიც გაახსენდა, რომ ლაქია ვიყავი, დაბალ საფეხურზე მდგარი არსება... ვილაც თმაგაბურძგნული ვიგინდარა, სიცხისაგან სახეალეწილი, იქნება მთვრალიც კი, რალაც უმსგავს პალტოში გამოწყობილი, რომელიც, ეკითხებიან თუ არა, უხეშად ერევა მის პირად ცხოვრებაში, და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

— ამას თქვენ არავინ გეკითხებათ, მომცილდით! — მითხრა მკაცრად.

— დამიჯერეთ! — ვთქვი მისკენ ხელებგაწვდილმა გატაცებით, — მე ლაქია არა ვარ, მეც ისეთივე თავისუფალი ადამიანი ვარ, როგორიც თქვენ.

მერე ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი და ვაითუ შემაჩეროს, ანდა თავის ოთახში წავიდეს-მეთქი, სასწრაფოდ ავუხსენი, ვინ ვიყავი და ამ სახლში რატომ ვცხოვრობდი. ამ მეორე აღსარებამ იგი გაცილებით მეტად განაცვიფრა, ვიდრე პირველმა. სულ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ჰქონდა რალაცის იმედი, ვინაიდან, ეგონა, ლაქია ვიყავი და შეიძლებოდა მეცრუა, ან შეცმცდარიყავი, ანდა რალაც სისულელე წამომერეოშა. ახლა კი, როცა ჩემს ვინაობაში გამოვუტყდი, უკვე აღარავითარი ეჭვი აღარ ჰქონდა. ერთბაშად თვალსა და ხელს შუა თითქოს მოტყდა, დაუშნოვდა, შნო და ლაზათი დაეკარგა, მისმა საცოდავმა გამომეტყველებამ დამანახვა, რომ იგი საშინელ დღეში იყო და რომ არც ისე კარგად მოვიქეცი, როცა ეს საუბარი წამოვიწყე. მიუხედავად ამისა, მე მაინც მგზნებარედ განვაგრძე:

— სენატორიცა და რევიზიაც მხოლოდ თქვენს მოსატყუებლად მოიგონა, იანვარშიაც, ისე როგორც ახლა, მთელი ის დრო პეკარსკისთან გაატარა, ქალაქიდან ფეხიც არ გაუდგამს. მე მას ყოველდღე ვხვდებოდი, მეც ვმონაწილეობდი იმ სიცრუეში. თქვენი აქ ყოფნა აწუხებდათ, მათთვის ეს აუტანელი იყო, აბუჩად გიგდებდნენ... ჩუმად რომ გესმინათ, ისა და მისი მეგობრები თქვენცა და თქვენს სიყვარულსაც როგორ დასცინოდნენ, ამ სახლში წუთითაც აღარ გაჩერდებოდით. ჰოდა, წადით, გაიქეცით აქედან!

— რას იზამ! — ჩაილაპარაკა ზინაიდა ფეოდოროვნამ აკანკალებული ხმით და თმაზე ხელი გადაისვა. — რაც არის, არის, დაე, ასე იყოს!

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ტუჩები უკანკალებდა, განრისხებულ სახეზე მკვდრისფერი ედო. ორლოვის უხეშ, მდაბალ სიცრუეს აღშფოთებაში მოჰყავდა,

წარმოუდგენელ სისაძაგლედ თვლიდა, სასაცილოდ მიაჩნდა; იღიმებოდა, მე კი არ მომწონდა მისი ეს ღიმილი.

— რას იზამ! — გაიმეორა ქალმა და ხელი ისევ თმაზე გადაისვა. — დაე, ასე იყოს. ჰგონია, ვერ გადავიტან, მოვკვდები ამ დამცირებისა და შეურაცხყოფისაგან, მე კი... მე კი მხოლოდ მეცინება... ტყუილად იმალება. — მერე როიალს მოსცილდა და მხრები აიჩეჩა: — ჰო, ტყუილად იმალება... ამ მალვასა და ვილაც-ვაძაკაცებს ბინებში წანწალს, განა არ ჯობდა, მოსულიყო და ყველაფერი ეთქვა? ბრმა ხომ ჯრა ვარ, მე ამას უკვე კარგა ხანია ვხვდები და მხოლოდ მის ჩამოსვლას ვუცდიდი, რათა საბოლოოდ გაგვერკვია ჩვენი ურთიერთობა.

მერე მაგიდის გვერდით სავარძელში ჩაჯდა, თავი დივნის სახელურზე ჩამოდო და მწარედ ატირდა. სასტუმრო დარბაზს ერთადერთი კანდელაბრში ჩადგმული სანთელი ანათებდა, ამიტომაც იმ სავარძელთან, სადაც ზინაიდა ფეოდოროვნა იჯდა, ბნელოდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც თითქმის გარკვევით ვხედავდი, თავი და მხრები როგორ უთრთოდა, ჩამოშლილი თმა კისერს, სახესა და ხელებს უფარავდა. მის წყნარ, ქალურ, უხმო, არაისტერიულ ტირილში შეურაცხყოფა, დამცირებული თავმოყვარეობა, წყენა და ის უსასოობა იგრძნობოდა, რომელსაც ვერც ვერაფერს უშველი, ვერც შეეჩვევი ვერასოდეს. მისი ტირილი ჩემს მღელვარე, ტანჯულ სულში ექოსებურ გამოძახილს ჰპოვებდა. მე უკვე აღარაფერი მახსოვდა ამქვეყნად, საკუთარი ავადმყოფობაც კი დამავიწყდა, დავდიოდი სასტუმრო ოთახში წინ და უკან და დაბნეული ვბურტყუნებდი:

— აბა, ეს რა ცხოვრებაა!.. არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება!.. არა, არ შეიძლება! ეს ცხოვრება კი არა სიკვდილია, დანაშაულია!

— განა შეიძლება ასეთი დამცირება! — ამბობდა იგი ტირილით, — შენთან ერთად ცხოვრობს, გიღიმის, თვალებში შემოგყურებს და თან თურმე არათუ ვერ გიტანს, სასაცილოდაც არ ჰყოფნიხარ... ო, რა დამცირებაა!

ზინაიდა ფეოდოროვნამ თავი ასწია, ჩამოშლილი თმა გადაიწია და ნამტირალევი თვალებით მომაჩერდა:

— ალბათ დამცინოდნენ, არა?

— დიახ, იმ ხალხისათვის თქვენც სასაცილო ხართ, თქვენი სიყვარულიც და ტურგენევიც, რომელიც თურმე კარგა ბლომად გიკითხავთ. აი, ახლა ჩვენ ორივეს — მეცა და თქვენც სასოწარკვეთილებით სულიც რომ ამოგვხდეს, მათთვის ესეც სასაცილო იქნება. სასაცილო ანეკდოტსაც შეთხზავენ და თქვენს მომავალ პანაშვიდზედაც იქირქილებენ. ეჰ, ღირს კი მაგათზე ლაპარაკი? — ვთქვი და ხელი ჩავიქნიე. — არა, მე აქ წუთითაც აღარ შემიძლია გაჩერება — უნდა გავიქცე, უნდა მოვშორდე აქაურობას.

ზინაიდა ფეოდოროვნა ისევ ატირდა, მე კი წავედი და როიალის გვერდით დავჯექი.

— რაღას ვუცდით? — ვკითხე ნაღვლიანად, — უკვე მესამე საათია.

— აღარაფერსაც აღარ ვუცდი... დავიღუპე, — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ.

— ასე რატომ ლაპარაკობთ? განა არ აჯობებს, ავდგეთ და ერთად მოვიფიქროთ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ. აქ აღარც თქვენი დარჩენა შეიძლება, არც ჩემი... რას ფიქრობთ, სად აპირებთ წასვლას?

უცებ წინკარში ზარის ხმა გაისმა და გული შემიქანდა: „ნეტავი ორლოვი ხომ არ არის? კუკუშკინმა ხომ არ მიჩივლა? ნეტავი რა პირით შევხედავთ ერთმანეთს?..“ ამ ფიქრებში გართული კარის გასაღებად წავედი, მაგრამ იქ ორლოვი კი არა, პოლია დამიხვდა. წინკარში შემოვიდა, მოსასხამიდან თოვლი ჩამოიბერტყა და თავისი ოთა-

ხისაკენ უსიტყვოდ გასწია. უკან რომ შევბრუნდი, მიცვალებულივით სახეგაფითრებული ზინაიდა ფეოდოროვნა შუა ოთახში იდგა და გაფართოებული თვალებით მოგჩერებოდა.

— ვინ იყო? — მკითხა მან ხმადაბლა.

პოლია მოვიდა-მეთქი, — ვუპასუხე.

ზინაიდა ფეოდოროვნამ თმაზე ხელი გადაისვა და ღონემიხდილმა თვალები მილულა.

— წავალ, ახლავე წავალ აქედან, — თქვა ბოლოს, — ჰქენით სიკეთე, გამაცილეთ... ახლა რომელი საათია?

— სამს თხუთმეტი აკლია.

14.

ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან რომ გამოვედით, ქუჩაში თითქმის არავინ იყო, ბნელოდა, თოვდა, თოვლჭყაპით გაჯერებული ქარი სახეში გვცემდა. მახსენდება, სწორედ მარტის დასაწყისი იდგა, ჰაერში უკვე სითბოს სუნი ტრიალებდა, უკვე რამოდენიმე დღე იყო ხალხი მარხილებით კი არა, ეტლებით მგზავრობდა. შავი კიბის, სუსხიანი ამინდის, ტყაპუჭიანი მეეზოვისა (რომელმაც, ვიდრე ჭიშკარში გაგვატარებდა, ყველაფერი ძირისძირობამდე გამოგვკითხა) და წყვდიადი ღამის შთაბეჭდილებებით შემკრთალი ზინაიდა ფეოდოროვნა ერთბაშად მოეშვა, ყოველგვარი სულიერი მსნეობა დაკარგა. ღია ეტლში რომ ჩავსხედით და ზევიდან სახურავი გადავიხურეთ, მთელი სხეულით აკანკალებულმა აჩქარებით ჩაილაპარაკა, თუ რაოდენ მადლობელი იყო ჩემი.

— თქვენს კეთილგანწყობაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ასე რომ გაწუხებთ, ძალიან მერიდება... — ბუტბუტებდა ზინაიდა ფეოდოროვნა, — ო, მესმის, ყველაფერი გასაგებია... დღეს აქ ქართველი რომ იყო, მაშინვე ვიგრძენი, რაღაცას ცრუობდა, რაღაცას მიმალავდა. რას იზამ, რაც არის, არის! დაე, ასე იყოს! მიუხედავად ამისა, ასე რომ წუხდებით, სინდისი მქენჯნის.

ზინაიდა ფეოდოროვნას ბოლომდე ვერ დაეჯერებინა სიმართლე, ჯერ კიდევ ეჭვობდა რაღაცას. მისი ეს ეჭვი რომ საბოლოოდ გამეფანტა, მეეტლეს ვუბრძანე, სერგეევის ქუჩით ეავლო. პეკარსკის სადარბაზოსთან რომ მივედით, ეტლი გავაჩერებინე, გადმოვედი და ზინაიდა ფეოდოროვნას გასაგონად შვეიცარს ხმამაღლა ეკითხე:

— გეორგი ივანიჩი სახლშია?

— სახლშია, — მიპასუხა შვეიცარმა, — ნახევარი საათია, რაც მოვიდა, ალბათ სძინავს კიდევაც. რა გინდა, რა საქმე გაქვს?

ზინაიდა ფეოდოროვნამ ვერ მოითმინა და ეტლიდან თავი გამოყო:

— დიდი ხანია, გეორგი ივანიჩი თქვენთან ცხოვრობს?

— უკვე მესამე კვირაა.

— ესე იგი, ამ სამი კვირის განმავლობაში არსად არ წასულა?

— არა, არსად არ წასულა, — უპასუხა შვეიცარმა და გაკვირვებულმა შემომხედა.

— ხვალ დილას გაიღვიძებს თუ არა, გადაეცი, რომ ვარშავიდან და ჩამოუვიდა, — ვუთხარი მეკარეს და გამოვემშვიდობე.

ამის შემდეგ ჩვენ ისევ გზა განვაგრძეთ. ეტლს წინა საფარი არა ჰქონდა და

თოვლი ფანტელებად გვეფინებოდა, ცივი ქარი, განსაკუთრებით ნევაზე გადასვლისას, ძვალ-რბილში გვატანდა. ასე მეგონა, რა ხანია გზაში ვართ, რა ხანია ასე ვიტანჯებით, რა ხანია ვზივარ ასე ზინაიდა ფეოდოროვნას გვერდით და ყურებში მისი მთრთოლვარე ხმა ჩამესმის-მეთქი.

ჩემმა უცნაურმა, უაზრო ცხოვრებამ წუთით თვალწინ ძილ-ბურანში მყოფივით გამიელვა და არ ვიცი, რატომ, მელოდრამა „პარიზელი ღატაკები" გამახსენდა, რომელიც ერთი-ორჯერ ბავშვობაში მქონდა ნანახი. როგორმე ბურანიდან რომ გამოვსულიყავი, გადმოხურული ეტლიდან თავი გამოვყავი. უკვე გათენებულიყო, ალიონით გაცისკროვნებულ ცას შევხედე და უცბად წარსულის ყველა ხატი, ყოველი ბურუსით მოცული აზრი ერთ მყარ, ნათელ აზრად შეირწყა: მეცა და ზინაიდა ფეოდოროვნაც სამუდამოდ დაღუპულები ვართ-მეთქი, გავიფიქრე. ისე ვიყავი ამაში გულდაჯერებული, თითქოს ეს აზრი ნაზამთრალ ზეცას ეწინასწარმეტყველებინოს. მაგრამ, ერთ წამსაც არ გაევლო, რომ მე უკვე სხვაგვარად ვფიქრობდი და სხვაგვარად მჯეროდა.

— ახლა რა ვქნა? — ამბობდა სიცივისა და ნესტისაგან ხმაჩახლეჩილი ზინაიდა ფეოდოროვნა, — სად წავიდე, რა გზას დავადგე? ქართველმა მითხრა, მონასტერში წადიო... ეჰ, წავიდოდი კიდევაც, ყველაფერს შევიცვლიდი — საკუთარ სახეს, სახელს, ტანსაცმელს, საკუთარ აზრებს... ყველაფერს, ყველაფერს, რაც კი გამაჩნია... სამუდამოდ დავიმარხავდი თავს ცოცხლად, მაგრამ, აბა, მონასტერში ვინ მიმიღებს — მონასტერში ორსულ ქალს ვინ შეუშვებს?

— ხვალვე გავემგზავრებით საზღვარგარეთ, — ვუთხარი ზინაიდა ფეოდოროვნას.

— არა, ეგ შეუძლებელია, პასპორტი ქმართანაა, არ მომცემს.

— მე თქვენ უპასპორტოდ წაგიყვანთ.

მეეტლემ ეტლი მუქად შეღებილი ორსართულიანი ფიცრული შენობის წინ გააჩერა და კარზე დავრეკე. ზინაიდა ფეოდოროვნამ პატარა, მსუბუქი კალათა, ჩვენს მიერ წამოღებული ერთადერი ხელბარგი რომ გამომართვა, როგორღაც ნაძალადევად გამიღიმა და მითხრა:

— ეს ჩემი bigoux-ა...[1]

მაგრამ ისე იყო ძალაგამოლეული, იმ თავისი bigoux-ის დაჭერის თავიც აღარ ჰქონდა. არ მახსოვს, სამი თუ ოთხი ზარის შემდეგ, ფანჯრებში სინათლე გაკრთა და ნაბიჯის ხმა, ხველა და ჩურჩული გაისმა. ბოლოს, როგორც იქნა, გასაღებმა გაიჩხაკუნა, კარებში მსხვილი, წითური დედაკაცი გამოჩნდა და შეშინებულმა შემოგვხედა. მის უკან, ოდნავ მოშორებით, მომცრო ტანის, სიფრიფანა, მოკლედ თმაშეკრეჭილი ჭალარა ღედაბერი იდგა და ხელში სანთელი ეჭირა. ზინაიდა ფეოდოროვნამ წინკარში შეირბინა, დედაბერს ეცა და კისერზე მოეხვია.

— ნინა, მომატყუეს! — თქვა და მწარედ ატირდა, — ტლანქად, საძაგლად მომატყუეს! ნინა! ნინა!

კალათი წითურსახიან დედაბერს გადავეცი. კარი უკვე კარგა ხანია მოხურული იყო, მაგრამ შიგნიდან ჯერ ისევ ისმოდა ზინაიდა ფეოდოროვნას ხმამაღალი ქვითინი: — „ნინა!.. ნინა!.." მე კვლავ ეტლში ჩავჯექი და მეეტლეს ვუბრძანე, ნევის პროსპექტისაკენ წასულიყო, თან რაც შეიძლება ნელა ევლო, რათა ამასობაში ღამის გასათენებელი ადგილი მომეფიქრებინა.

---

1. ძვირფასეულობა (ფრ.).

მეორე დღეს, ვიდრე მოსაღამოვდებოდა, ზინაიდა ფეოდოროვნასთან შევიარე. იგი საოცრად იყო შეცვლილი. მის ფერმკრთალ, მეტისმეტად გამხდარ სახეს ცრემლის ნაკვალევიც აღარ ეტყობოდა, ის კი არა, გამომეტყველებაც უკვე სულ სხვაგვარი ჰქონდა. არ ვიცი, იმის გამო, რომ სხვა გარემოში ვხედავდი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო იმ მდიდრულ გარემოსთან, არ ვიცი, ჩვენი ურთიერთობა იყო სხვაგვარი თუ იმ ძლიერმა ტანჯვამ და მწუხარებამ დაასვა ფაფარი დალი, მაგრამ ახლა უკვე ისეთი ნატიფი და მოხდენილი აღარ მეჩვენებოდა. თითქოს დაპატარავებულიყო, მოძრაობაზე, სიარულსა და სახეზე გადაჭარბებული სიფიცხე და ნერვიულობა ეტყობოდა. უკვე ღიმილშიაც აღარ ჰქონდა ის ჩვეული სათნოება და სინატიფე. ახლა მე ახალ, ძვირფას კოსტიუმში ვიყავი გამოწყობილი, რომელიც სწორედ დღეს და დღევანდელი დღისათვის შევიძინე. ზინაიდა ფეოდოროვნამ ყურადღებით შეათვალიერა ჩემი ჩაცმულობა, ხელში ჩაბღუჯული შლაპა და, თითქოს საგულდაგულოდ სწავლობსო, სახეზე გამომცდელად მომაჩერდა.

— თქვენი ეს გარდასახვა მე ჯერ ისევ სასწაულად მეჩვენება, — მითხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — მაპატიეთ, ასეთი ცნობისმოყვარეობით რომ შემოგყურებთ, თქვენ ხომ რაღაც სხვანაირი, განსაკუთრებული ადამიანი ხართ!

მე მას ერთხელ კიდევ მოვუყევი, ვინ ვიყავი და რატომ ვცხოვრობდი ორლოვთან. ვუყვებოდი უფრო გრძლად და დაწვრილებით. იგი ერთხანს დიდის ყურადღებით მისმენდა, მაგრამ დამთავრება არ მაცალა და ჩაილაპარაკა:

— მორჩა, იმასთან უკვე ყველაფერი დამთავრებულია... იცით, ვერ მოვითმინე და წერილი მივწერე. ნახეთ, რა მიპასუხა!

ფურცელზე, რომელიც ზინაიდა ფეოდოროვნამ მომაწოდა, ორლოვის ხელით ეწერა: „თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ შეცდით სწორედ თქვენ და არა მე... გისურვებთ ბედნიერებას, გთხოვთ, მალე დამივიწყოთ. თქვენი პატივისმცემელი გ. ო.

P. S. გიგზავნით თქვენს ნივთებს“.

ორლოვის მიერ გამოგზავნილი კალათები და სკივრები ჯერ ისევ სასტუმრო ოთახში ელაგა, რომელთა შორის ერთი ჩემი უბადრუკი ჩემოდანიც იყო.

— ესე იგი... — დაიწყო ზინაიდა ფეოდოროვნამ და სათქმელი აღარ დაამთავრა.

მერე ორივენი გავჩუმდით. ქალმა ბარათი ხელში აიღო და რამოდენიმე წუთი თვალი აღარ მოუშორებია. სახეზე ახლაც ისეთივე მედიდური, გულცივი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც გუშინ. მერე უცებ ატირდა, თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა — მოკრძალებული, მწარე ცრემლი კი არა, არამედ ამაყი, ბრაზიანი.

— მომისმინეთ, — თქვა მან, ფიცხლად წამოდგა და სახეზე რომ არ შემეხედა, ფანჯარასთან მივიდა. — მე უკვე გადავწყვიტე, ხვალ თქვენთან ერთად წამოვალ საზღვარგარეთ.

— შესანიშნავია... თუ გნებავთ, დღესვე წავიდეთ, მე უკვე მზად გახლავართ!

— მაქეზებთ? — მერე უცებ მომიტრიალდა და მკითხა: — ბალზაკი თუ წაგიკითხავთ? მითხარით, წაგიკითხავთ თუ არა? გახსოვთ, მისი რომანი „მამა გორიო“ რით მთავრდება? ნაწარმოების გმირი გორაკიდან პარიზს დაჰყურებს და ექადნება, ახლა კი ჩამოვეხსნებით ერთმანეთისო!.. და იმ დღიდან ახალ ცხოვრებას იწყებს. მეც ასე — როდესაც ვაგონიდან პეტერბურგს უკანასკნელად გადავხედავ, ახლა კი ჩამოვეხსნებით ერთმანეთს-მეთქი, — დავექადნები.

თავის ამ ხუმრობაზე ზინაიდა ფეოდოროვნამ გაიღიმა და რატომღაც მთელი სხეულით შეკრთა.

15.

ვენეციაში პლევრიტული ტკივილები დამეწყო. სადგურიდან Hotel bauer-ში რომ მივცურავდით, ეტყობა, სწორედ იმ საღამოს გავცივდი. რომ ჩავწექი, მთელი ორი კვირა ლოგინიდან არ ავმდგარვარ. ვიდრე ავად ვიყავი და ვიწექი, ზინაიდა ფეოდოროვნა ყოველდღე მნახულობდა, ყოველდღე შემოდიოდა ჩემს ნომერში, ჯერ ყავას დავლევდით ერთად, მერე დაჯდებოდა და იმ ფრანგულ და რუსულ წიგნებს მიკითხავდა, რომლებიც საკმაოდ ბლომად შევიძინე ვენაში. ამ წიგნებს ან უკვე დიდი ხანია ვიცნობდი, ანდა, უბრალოდ, სულაც არ მაინტერესებდა, მაგრამ იმ წუთას ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მარტო არ ვიყავი და მისი თბილი, სიკეთით სავსე ხმა მესმოდა. თავის ღიანაცრისფერ კაბასა და მსუბუქ ჩალის შლაპაში გამოწყობილი, მხიარული, გაზაფხულის მზით სავსე, სეირნობიდან რომ დაბრუნდებოდა, ჩამოჯდებოდა საწოლზე, თავს დაბლა დახრიდა, სახეს ლამის სახესთან მომიტანდა და ან ვენეციაზე მიყვებოდა რაღაცას ან მიკითხავდა და ვიყავი მეც ასე ნეტარებაში.

ღამღამობით მციოდა კიდევაც, მტკიოდა კიდევაც, მოწყენილიც ვიყავი, დღისით კი მართლაც რომ ვტკბებოდი ცხოვრებით — აივნის ღია კარსა და ფანჯრებში ბრდღვიალა მზე ჩახჩახებდა, ქვემოდან მხიარული გადაძახილ-ხადმოძახილი, ნიჩბების დვაფუნი, ზარების რეკვა. შუადღისას ზარბაზნის გუგუნი ისმოდა. მთელი ჩემი არსება საოცარ სილაღეს და თავისუფლებას მოეცვა და ეს ყველაფერი ჩემზე მართლაც რომ სასწაულებრივად მოქმედებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, მხრებზე თითქოს დიდი, ლონიერი ფრთები მესხა და, ღმერთმა უწყის, საით მიმაქროლებდა. ვერ წარმოიდგენთ, რა აუწერელ სიხარულს მგვრიდა ის აზრი, რომ ჩემი ცხოვრების გვერდიგვერდ მოედინებოდა მეორე ცხოვრება, რომ მე ვიყავი მსახური, გუშაგი, მეგობარი, აუცილებელი თანამგზავრი აი ამ ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი, მაგრამ სუსტი, შეურაცხყოფილი, მიუსაფარი არსებისა! თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანისათვის ზოგჯერ თვით ავადმყოფობაც კი სასიამოვნოა, თუ იცი, რომ შენს გამოჯანმრთელებას დღესასწაულივით ელიან. ერთხელ გავიგონე, კარს უკან ჩემს ექიმს ჩურჩულით როგორ ელაპარაკებოდა. ამის შემდეგ ჩემთან, ოთახში რომ შემოვიდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ცხადია, ეს ჩემთვის სასიკეთოს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ისე ვიყავი მისი საქციელით გულაჩუყებული, რომ ერთბაშად არაჩვეულებრივი შვება ვიგრძენი.

და აი, ბოლოს, როგორც იქნა, აივანზე გასვლის უფლება მომცეს. მზე და ზღვიდან მონაბერი გრილი სიო ნაზად ეფერება ჩემს ავადმყოფ სხეულს. გავცქერი კარგად ნაცნობ, წყლის ზედაპირზე ქალური გრაციით, ნარნარით, დიდებულად მოსრიალე გონდოლებს და ასე მგონია, ისინიც ასევე შეიგრძნობენ ამ მომაჯადოებელი, თვითმყოფი კულტურის დიდმშვენიერებას. ირგვლივ ზღვის სურნელი ტრიალებს. საიდანლაც სიმების ჟღერა და ორსმიანი სიმღერა ისმის. რა კარგი, რა მშვენიერია! როგორ არა ჰგავს პეტერბურგის იმ ავდრიან საღამოს, ქარი და თოვლჭყაპი სახეში რომ მცემდა. არხს გაღმა ზღვის ნაპირი მოჩანს. შორს, ჰორიზონტთან წყლის ზედაპირს მზე ისე ალივლივებს, თვალს ვერ გაუსწორებ. გული იქით, იმ მშობლიური, საყვარელი ზღვისაკენ მიმიწევს, რომელსაც მთელი ჩემი ახალგაზრდობა მივუძღვენი. სიცოცხლე მწყურია, მინდა, ვიცოცხლო, ვიცოცხლო და ვიხარო ამ ცხოვრებით.

ორი კვირის მერე თავისუფლად დავიწყე სიარული. მიყვარდა მზეზე ჯდომა და გონდოლიერების ყურისგდება. შემეძლო საათობით ისე მესმინა, არაფერი გამეგო, საათობით მეცქირა იმ სახლისათვის, სადაც, ხალხის თქმით, დეზდემონა ცხოვრობდა — გულლია, სევდიანი, ქალწულებრივად უბიწო პატარა სახლისათვის, რომელიც

მაქმანივით მსუბუქი ჩანდა, ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი, იფიქრებდი, რომ მოვინდომო, ცალი ხელითაც დავძრავო. ვიდექი კანოვას საფლავთან და მოწყენილ ლომს თვალს არ ვაცილებდი... დოქების სასახლეში კი გული მუდამ იმ კუთხისაკენ მიმიწევდა, უბედური მარინო ფალერო შავად რომ შეღებეს. კარგი იქნებოდა, პოეტი, მხატვარი ან დრამატურგი ვყოფილიყავი, მაგრამ რადგან ეს ჩემთვის მიუწვდომელია, ნეტავი მისტიციზმმა მაინც გამიტაცოს-მეთქი, ვფიქრობდი. ეჰ, ამ აუმღვრეველ სიმშვიდესა და კმაყოფილებასთან ერთად, რომლითაც ასე აღსავსეა ჩემი სული, რა იქნება, მცირეოდენი რწმენაც გამაჩნდეს-მეთქი.

საღამოობით ხამანწკებს შევეჭცეოდით, ვსვამდით ღვინოს, ვსეირნობდით ნავით. მახსოვს, როგორ ირწეოდა ჩვენი შავი გონდოლა წყლის ზედაპირზე. ქვემოდან ტალღების ყრუ, ძლივს გასაგონი დგაფუნი ისმოდა. აი, გლუვ ზედაპირს აქა-იქ ვარსკვლავებისა და ზღვისპირა სინათლეების ანარეკლი ათრთოლებს. სადღაც, შორიახლოს ფერადფარნებიან გონდოლაში ახალგაზრდები მღერიან, წყლის ზედაპირზე ფერადი ფარნების ანარეკლი ციმციმებს. ღამის სიბნელეს გიტარის, ვიოლინოსა და მანდოლინას ხმა არსევს, ისმის ქალებისა და მამაკაცების გნიასი. ჩემ გვერდით კი, თითქმის პირქუში, ფერმკრთალი, მეტისმეტად სერიოზული ზინაიდა ფეოდოროვნა ტუჩებმოკუმული ზის, ხელები დაუმუშტავს და, ეტყობა, რაღაცაზე ფიქრობს, მე თითქმის არ მისმენს, ზის და წარბსაც არ ატოკებს; ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი კონტრასტია — ზინაიდა ფეოდოროვნას სახე, ჯდომის მანერა, არაფრის მთქმელი, გაქვავებული გამოხედვა... წარმოუდგენლად ნაღვლიანი, შემაძრწუნებელი, თოვლივით ცივი მოგონებანი... ირგვლივ კი გონდოლები, სინათლეები, მუსიკა, სიმღერა, რომელსაც რიხიანი, ვნებით სავსე შეძახილი ერთვის: „jam-mo!.. jam-mo!..“ შევყურებ მწუხარებით მოსილ, გაქვავებულ ზინაიდა ფეოდოროვნას და ასე მგონია, რომელიღაც ძველებური რომანის გმირები ვართ, რომანისა, რომელსაც სახელად „ბედშავი“, „მიტოვებული ქალი“ ან რაღაც ამდაგვარი ჰქვია. დიახ, ორივენი — ზინაიდა ფეოდოროვნაცა და მეც, მისი ერთგული, თავდადებული მეგობარი, მეოცნებე, თუ გნებავთ, ხელმოცარული, ზედმეტი ადამიანიც კი, რომელსაც ხველის, ოცნებისა და თავგანწირვის მეტი არაფერი შეუძლია (მაგრამ, ვაი, რომ ჩემი ეს თავგანწირვა მას სულაც არ სჭირდებოდა)...

საღამოობით, სეირნობის შემდეგ, დავსხდებოდით მის ნომერში, დავიდგამდით ჩაის და ვსაუბრობდით. არც ძველ, ჯერ კიდევ შეუხორცებელ ჭრილობებს ვერიდებოდით, პირიქით, როდესაც ორლოვთან ჩემი ცხოვრების ამბებს ვუყვებოდი, რატომღაც სიამოვნებასაც კი ვგრძნობდი. ასე იყო მაშინაც, როდესაც დაუფარავად ვესებოდი იმ ურთიერთობას, რომელიც ძალიან კარგად ვიცოდი და რომელიც შეუძლებელია არ მცოდნოდა.

— იყო წუთები, როდესაც მძულდით კიდევაც, — ვუთხარი ერთხელ ზინაიდა ფეოდოროვნას. — როდესაც ის ცრუობდა, ჭირვეულობდა, თავს მაღლა იჭერდა და ქედმაღლობდა, მიკვირდა, რატომ ვერაფერს ხედავდით, მაშინ, როცა ყველაფერი ასე ღღესავით იყო ნათელი. ხედავდით კი არა, მის წინაშე მუხლებზე დგებოდით, ხელებს უკოცნიდით, როგორ აღარ ეპირფერებოდით...

— ხელებს იმიტომ... იმიტომ ვუკოცნიდი, მუხლებზე იმიტომ ვდგებოდი, რომ... მიყვარდა, — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ და გაწითლდა.

— ნუთუ ასე ძნელი იყო მისი გამოცნობა? თუმცა, ის ხომ სფინქსია! კამერიუნკერი სფინქსი! ღმერთმა დაიფაროს, მე თქვენ არაფერს გსაყვედურობთ, — ვეუბნებოდი და თან ვგრძნობდი, რომ ჩემი ეს საქციელი ხეპრე კაცის საქციელი იყო. ვგრძნობდი, მაღალი წრისათვის ჩვეული დელიკატურობა და ის დახვეწილობა მა-

კლდა, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ მაშინ არის საჭირო, როდესაც მეორე ადამიანის სულთან გაქვს საქმე. უწინ, ვიდრე ზინაიდა ფეოდოროვნას გავიცნობდი, ჩემს ამ ნაკლს ვერ ვამჩნევდი. — არა, მაინც როგორ ვერ მიხვდით, როგორ ვერ გამოიცანით? — გავიმეორე ახლა უკვე ჩუმად, გაუბედავად.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ გძულთ, უგულებელყოფთ ჩემს წარსულს და მართალიც ხართ, — ამბობდა იგი აღელვებული, — თქვენ ეკუთვნით ადამიანთა იმ განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელთაც ჩვეულებრივი არშინით ვერ გაზომავ, თქვენი ზნეობრივი მრწამსი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა და ეს გასაგებია ჩემთვის. მიუხედავად ამისა, ხანდახან თუ მაინც გეწინააღმდეგებით, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს თქვენგან განსხვავებულად ვუყურებდე საგნებსა და მოვლენებს. უწინდელ სისულელეებზე კი მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი ძველი სამოსისა თუ ძველი ცრურწმენების მოშორება. მე თვითონვე მძულს ჩემი წარსული, ორლოვი და ჩემი სიყვარული... აბა, ეს რა სიყვარულია! ის ყველაფერი ჩემთვის ახლა სასაცილოც კია. — ზინაიდა ფეოდოროვნა ფანჯარას მიუახლოვდა და არხს ჩახედა. — ყოველგვარი ასეთი სიყვარული გაურკვეველს ხდის შენს სინდისს, თავგზას გიბნევს. ცხოვრების აზრი მხოლოდ ბრძოლაშია. ქუსლით ისე უნდა გაუჭეჭყო თავი საზიზღარ უხსენებელს, სულის ამოთქმა ვერ მოასწროს. აი, რა არის მთავარი, აი, რასა აქვს აზრი! ან ეს, ან არაფერი!

მე მას ჩემი ცხოვრების რა გრძელი ამბავი, რა საოცარი, რა გაუგონარი თავგადასავლები აღარ მოვუყევი, მაგრამ იმ ცვლილებებზე კი, რომელიც ჩემს არსებაში მოხდა, სიტყვა არ დამიძრავს. ზინაიდა ფეოდოროვნა ყურადღებით მისმენდა და როცა რაღაც უფრო საინტერესოს ვუყვებოდი, ხელებს ისე იფშვნეტდა, თითქოს სწყინდა, თვითონაც ამ ამბის, ამ შიშისა და სიხარულის მოზიარე და მონაწილე რომ არ იყო. მერე უცებ ჩაფიქრდებოდა, თავისთავში ჩაიკეტებოდა და სახეზე ვატყობდი, აღარ მისმენდა...

მერე არხისაკენ გამავალ ფანჯრებს ჩავკეტავდი და, ბუხარი ხომ არ ავანთო-მეთქი, — ვკითხავდი.

— არა, რა საჭიროა, არა მცივა, — მიპასუხებდა უხალისო ღიმილით. — ეტყობა, ძალიან დავსუსტდი. იცით, ასე მგონია, ამ ბოლო დროს ზედმეტად დავჭკვიანდი. თავში ახლა მეტისმეტად ორიგინალური, არაჩვეულებრივი აზრები მიტრიალებს. აი, როდესაც ჩემს წარსულზე, ჩემს მაშინდელ ცხოვრებაზე... როდესაც ადამიანებზე ვფიქრობ, ეს ყოველივე ერთ სახედ, ჩემი დედინაცვლის ხატებად წარმომესახება: უხეში, უტიფარი, ცრუ, გარყვნილი და უსულგულო, ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად ნარკომანიც... მამამ, უნებისყოფო, სუსტი ხასიათის კაცმა დედა-ჩემი მხოლოდ ფულის, სიმდიდრის გამო ითხოვა და მალე დააჭლექა კიდევაც, იმ თავის მეორე ცოლზე კი ვნებიანად, თავდავიწყებით იყო შეყვარებული... ღმერთო, რა არ გადავიტანე! ეჰ, ღირს კი ახლა ამაზე ლაპარაკი!.. ყველაფერი ცუდი ერთ სახედ — ჩემი დედინაცვლის ხატებად წარმომესახება-მეთქი, მაგრამ აი, იმასაც კი ვნატრობ, ნეტავი ის მაინც იყოს ცოცხალი.

— რატომ?

— არ ვიცი... — მიპასუხა სიცილით და თავი ლამაზად გადააქნია. — ღამე მშვიდობისა. მალე გამოჯანმრთელდით. როგორც კი კარგად გახდებით, ჩვენს საქმეებს მივხედოთ, დროა...

ხელი უკვე კარის სახელურზე მევლო, ის-ისაა ოთახიდან უნდა გავსულიყავი, რომ ზინაიდა ფეოდოროვნამ შემაჩერა:

— როგორ გგონიათ, პოლია ისევ ცხოვრობს მასთან?

— ალბათ.

ამ სიტყვებით გამოვემშვიდობე და ჩემი ნომრისაკენ გავწიე. ასე ვიცხოვრეთ მთელი თვე. ერთ ღრუბლიან შუადღეს, ჩვენ ორივენი ჩემი ნომრის ფანჯარასთან ვიდექით, ჩუმად შევყურებდით ზღვიდან დაძრულ ღრუბელსა და ლურჯად მოლიცლივე არხს და ველოდით, წვიმა თქრიალით როდის წამოვიდოდა. და აი, როდესაც წვიმის ფარდა ბლონდივით ჩამოეფარა ზღვისპირეთს, ანაზდად ორივემ მოწყენილობა ვიგრძენით. იმავე დღეს მე და ზინაიდა ფეოდოროვნა ფლორენციაში გავემგზავრეთ.

16.

ეს ამბავი უკვე შემოდგომაზე, ნიცაში მოხდა. ერთ დილას მასთან ნომერში რომ შევედი, ფეხი ფეხზე გადადებული, წელში მოხრილი, მხრებჩამოყრილი ზინაიდა ფეოდოროვნა სავარძელში იჯდა, სახეზე ხელები აეფარებინა და მწარედ, გულამოსკვნით ტიროდა, გრძელი, დაუვარცხნელი თმა მუხლებზე ჰქონდა ჩამოშლილი. საუცხოო, განსაცვიფრებელი ზღვით აღტაცებულს, საიდანაც ეს-ეს არის დავბრუნდი, მინდოდა, ჩემი აღტაცება მისთვისაც გამეზიარებინა, მაგრამ შევხედე თუ არა, ერთბაშად ყველაფერი გადამავიწყდა და გული მწარედ შემეკუმშა.

— რა მოხდა, რა გატირებთ? — ვკითხე ზინაიდა ფეოდოროვნას, მან კი ხელი ამიქნია და, გადით, მანიშნა. — მაინც რა იყო, რა მოხდა? — გავიმეორე მე და მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე პირველად ვაკოცე ხელზე.

— არა, არა, არაფერი! — ჩაილაპარაკა სწრაფად, — არა, არაფერი... გადით, ხომ ხედავთ ჩაცმული არა ვარ.

ოთახიდან შეცბუნებული გამოვედი. ის ბშვიდი, სასიამოვნო განწყობილება სიბრალულმა ერთბაშად ჩამიშხამა. გულმხურვალედ მეწყადა, მუდარით ფეხებში ჩავვარდნოდი და მეთხოვა, ჩემთვისაც გაეზიარებინა თავისი მწუხარება, ასე მარტო არ ეტირა. ზღვის წყნარი შრიალი ყურებში ახლა უკვე რაღაც ავის მაუწყებლად ჩამესმა, თითქმის თვალნათლივ ვხედავდი — ახალ ცრემლს, ახალ მწუხარებას, ახალ-ახალ დანაკარგს... რა? რა ატირებს? — ვეკითხებოდი ჩემს თავს და მის სახეს, მის ტანჯულ გამოხედვას ვიხსენებდი. მერე მომაგონდა, რომ ორსულად იყო. ყოველნაირად ცდილობდა, დაემალა თავისი მდგომარეობა, დაემალა არა მარტო გარეშეთათვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც. შინ მუდამ განიერი ბლუზა ან მკერდზე ფართონაკეცებიანი კოფთა ეცვა. სასლიდან სადმე თუ წავიდოდა, კორსეტს ისე იჭერდა, სეირნობისას ორჯერ გულიც კი წაუვიდა. თავისი ორსულობის შესახებ ჩემთან არასოდეს არაფერი უთქვამს. და აი, ერთხელაც, როცა მე გაუბედავად შევაპარე, ცუდი არ იქნებოდა, ექიმისათვის რჩევა-დარიგება გეკითხათ-მეთქი, სახეზე ცეცხლი წაეკიდა და არაფერი მიპასუხა.

ცოტა ხნის შემდეგ ზინაიდა ფეოდოროვნასთან რომ შევედი, იგი უკვე ჩაცმულ-დახურული და დავარცხნილი დამიხვდა.

— კმარა, კმარა! — ვუთხარი მე, როდესაც დავინახე, რომ ისევ სატირლად იყო გამზადებული, — იცით რა, მოდი, ზღვაზე გავისეირნოთ, თან ვისაუბროთ კიდევაც.

— არა, არ შემიძლია. მაპატიეთ, მაგრამ ისეთ განწყობაზე ვარ, როცა კაცს ყველაფერს მარტოობა ურჩევნია. ვლადიმერ ივანოვიჩ, შემდეგში ჩემთან შემოსვლა რომ მოგინდებათ, ძალიან გთხოვთ, წინასწარ დააკაკუნოთ და ისე შემოხვიდეთ.

მისი ეს „წინასწარ" ახლა რაღაც სხვაგვარად, არაქალურად იყო ნათქვამი. მე

მაშინვე ოთახიდან გავედი. ვიგრძენი, ისევ მეუფლებოდა ის წყეული პეტერბურგული განწყობილება და ყველა ჩემი ნათელი ოცნება ისე იმცრობოდა და იგრაგნებოდა, როგორც ცეცხლში ჩაგდებული ფოთოლი. ისევ მარტო ვიყავი, ჩვენს შორის არავითარი სიახლოვე არ იყო. ვხედავდი, ზინაიდა ფეოდოროვნასათვის მეც იგივე ვიყავი, რაც აი იმ პალმისათვის ის შემთხვევით ჩამოკონწიალებული აბლაბუდა, რომელსაც საცაა ქარი მოსწყვეტდა და წაიღებდა. ერთხანს იმ სკვერში ვისეირნე, სადაც მუსიკას უკრავდნენ. მერე კაზინოში შევედი. ვათვალიერებდი ლამაზად გამოპრანჭულ, სუნამოს სუნით გაჟღენთილ ქალებს, რომელთაგან თვითეული ისე შემომყურებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მარტო ხარ და ძალიანაც კარგი, მარტო რომ ხარო... მერე ტერასაზე გავედი და დიდხანს, დიდხანს ვუცქირე ზღვას. შორს, ჰორიზონტზე არც ერთი აფრა არა ჩანდა. მარცხენა ნაპირზე მთები ლილისფერ ბურუში იყო გახვეული. კოშკებს, სახლებს, ბაღებს — ყველაფერს ირგვლივ მზის ჩახჩახა სხივები დასთამაშებდა, მაგრამ ჩემს გულს ახლო არაფერი ეკარებოდა, ჩემთვის ყოველივე სრულიად უცხო და გაუგებარი იყო.

17.

ზინაიდა ფეოდოროვნა დილაობით ისევ ძველებურად მოდიოდა ჩემთან ყავის დასალევად, სადილობით კი უკვე აღარ ვსადილობდით ერთად. როგორც თვითონ ამბობდა, მადა სულ არ ჰქონდა, ამიტომაც ყავით, ჩაითა და სხვა ამგვარი უმნიშვნელო რამითაც კმაყოფილდებოდა, მაგალითად, ფორთოხლით ან კარამელით.

ახლა აღარც საღამოობით ვსაუბრობდით ჩვეულებისამებრ. არ ვიცი, რა მოხდა, რატომ იყო ასე. მას შემდეგ, რაც ატირებულს შევუსწარი, როგორღაც სხვაგვარად დამიწყო მოქცევა, ზოგჯერ დაუდევრად, ის კი არა, ირონიულადაც კი. ახლა რატომღაც „ბატონო ჩემოო" მომმართავდა. ის, რაც უწინ გმირობად და საოცრებად ეჩვენებოდა, ის, რაც მის გულში შურსა და აღფრთოვანებას იწვევდა, ახლა უკვე სრულიად აღარ აღელვებდა. მშვიდად, უხალისოდ მომისმენდა, ოდნავ გაიზმორებოდა და სხვათა შორის მეტყოდა:

— პო, იყო ამგვარი ამბავი პოლტავასთან, ბატონო ჩემო, იყო...

ხანდახან რამოდენიმე დღე ისე გაივლიდა, საერთოდ ვერ ვხვდებოდი. ვაკაკუნებ კარზე გაუბედავად, მორიდებით, შიგნიდან კი ჩამიჩუმი არ ისმის. ისევ ვაკაკუნებ კარზე, ისევ არ ისმის ჩამიჩუმი შიგნიდან... ვდგავარ კარს უკან, ვუსმენ, ვაყურადებ... მაგრამ, აი, ჩამოვლის გვერდით მოახლე და ვითომც არაფერი, ცივად გამომიცხადებს: „madam est partie"[1]. მერე დავდივარ სასტუმროს დერეფანში წინ და უკან, დავდივარ, დავდივარ... ირგვლივ ვიღაც ინგლისელები, ვიღაც მკერდსავსე დიაცები, ფრაკში გამოწყობილი გარსონები ტრიალებენ... დიდხანს, დიდხანს დავცქერი დერეფნის მთელ სიგრძეზე გაფენილ გრძელ, ზოლიან ხალიჩას და უცებ გონებაში გამიელვებს, რომ იმ ქალის ცხოვრებაში რაღაც უცნაურ, ყალბ როლს ვთამაშობ და რომ ამ როლიდან გამოსვლა ახლა უკვე სრულიად აღემატება ჩემს ძალ-ღონეს. შევვარდები ჩემს ნომერში, დავეცემი ლოგინზე, ვფიქრობ, ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია, მხოლოდ ერთი რამ არის ჩემთვის ნათელი — ის, რომ სიცოცხლე მწყურია, რომ რაც უფრო უშნო, ცივ, უხალისო გამომეტყველებას ღებულობს მისი სახე, მით უფრო ძვირფასი და მახლობელი ხდება იგი ჩემთვის, მით უფრო ძლიერად და მტკივნეულად შევიგრძნობ მასთან სიახლოვეს. დაე, „ბატონო ჩემო" ვიყო, დაე, ზერელე და აგდებული იყოს შენი ხმა და კილო, რაც გინდა ის

1. ქალბატონი გაემგზავრა (ფრ.).

ქენი, როგორც გინდა ისე მოიქეცი, ოღონდ კი ნუ მიმატოვებ, ჩემო საუნჯევ, ჩემთვის უკვე აუტანელია მარტოობა-მეთქი, — ვფიქრობ.

მერე ისევ დერეფანში გავდივარ და ისევ შეშფოთებული ვაკვირდებ... მთელი დღე ისე დადამდა, პირში არაფერი ჩამიდვია, ისიც კი ვერ გავიგე, დღე როგორ მიილია. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ ნაცნობი ფეხის ხმა შემომესმა და კიბის მოსახვევში ზინაიდა ფეოდოროვნაც გამოჩნდა.

— სეირნობთ? — მკითხა და გვერდით ჩამიარა. — სჯობდა გარეთ გესეირნათ... ღამე მშვიდობისა!

— კი მაგრამ, ველარ ვნახავთ დღეს ერთმანეთს?

— მე მგონი, უკვე გვიანია. ისე, როგორც გენებოთ.

— სად იყავით? — ვეკითხები ზინაიდა ფეოდოროვნას და მასთან ერთად ნომერში შევდივარ.

— სად ვიყავი? მონტე-კარლოში. — იგი ჯიბიდან ათ ცალ ოქროს მონეტას იღებს და მეუბნება: — აი, ნახეთ, ბატონო ჩემო, მოვიგე... ეს მე რულეტში მოვიგე.

— თამაში დაიწყეთ?!

— რატომაც არა? აი, ხვალაც წავალ.

წარმოვიდგინე, როგორ იდგა სათამაშო მაგიდასთან, შელახული, გადაფითრებული, ორსული, კორსეტგაქაჩული, კეკლუცი ქალებისა და გამობენტერებული დედაბრების ბრბოში, რომლებსაც ისე იზიდავთ ოქრო, როგორც ფუტკარს თაფლი, და გამახსენდა, რომ მონტე-კარლოში იგი ჩემს უჩუმრად წავიდა...

— არა, მე თქვენი არა მჯერა, — ვუთხარი ერთხელაც ზინაიდა ფეოდოროვნას, — არა, თქვენ იქ აღარ წახვალთ.

— ნუ ღელავთ, ბევრს არ წავაგებ.

— წაგება რა შუაშია? — ვუთხარი დანანებით, — თამაშის დროს ნუთუ აზრად არასოდეს მოგსვლიათ, რომ ეს ოქროც, ეს ქალებიც, მოხუცია და ახალგაზრდაც, ეს კრუპიეცა და მთელი ეს გარემოც, ხალხის შრომისა და გარჯის, შრომაში მოდენილი ოფლის ბინძური დაცინვაა.

— რომ არ ვითამაშო, აბა, აქ სხვა რა გავაკეთო? — თქვა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — გარჯა, შრომაში მოდენილი ოფლი... თქვენი ეგ მჭევრმეტყველება სხვა დროისათვის შეინახეთ, ახლა კი, მართალია, თქვენ დაიწყეთ, მაგრამ ნება მომეცით, მე გავაგრძელო და პირდაპირ დაგისვათ კითხვა: რა ვქნა, ან ახლა და ან მომავალში რა ვაკეთო აქ?

— რა აკეთოთ? — ვთქვი მე და მხრები ავიჩეჩე, — ვერაფერს გეტყვით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთბაშად შეუძლებელია.

— ვლადიმერ ივანიჩ, მე მინდოდა თქვენგან კონკრეტული და გულახდილი პასუხი მიმეღო, — მითხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ და სახეზე სიბრაზე დაეტყო, — ეს კითხვა იმიტომ კი არ დაგისვით, პასუხად ზოგადი ფრაზები მომესმინა, — თქვა და მაგიდაზე ხელი ისე აათამაშა, თითქოს ტაქტს აყოლებსო, — აი, გეკითხებით, რა ვქნა, რა გავაკეთო? მხოლოდ აქ კი არა, ნიცაში, საერთოდ, რა ვქნა?

გაჩუმებული ვიდექი და ფანჯრიდან ზღვას გავცქეროდი. გულმა საშინელი ძგერა დამიწყო.

— ვლადიმერ ივანიჩ, — მითხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ ჩუმად, ძლივს სუნთქავდა, ლაპარაკი უჭირდა. — ვლადიმერ ივანიჩ, თუ თქვენ თვითონაც არ გჯეროდათ ამ საქმისა, თუ თქვენ თვითონვე გულგატეხილი ხართ, მაშინ... მაშინ რაღას მომათრევდით პეტერბურგიდან? რატომ აღმითქვით, რატომ აღძარით ჩემს გულში ეს გიჟური იმედები? ის რწმენა აღარ გაქვთ, ახლა თქვენ სხვა ადამიანი გახდით.

რას იზამ, ამაში ვერავინ დაგადანაშაულებთ, რწმენა რწმენაა, შენს სურვილზე არაა, მაგრამ... მაგრამ, ვლადიმერ ივანიჩ, ღვთის გულისათვის, რატომ ხართ ასე არაგულწრფელი? — განაგრძობდა ჩუმად და თან მიახლოვდებოდა. — როდესაც მთელი იმ თვეების განმავლობაში ხმამაღლა ვოცნებობდი, ვბოდავდი, აღტაცებული ვიყავი საკუთარი გეგმებით, ახლებურად ვფიქრობდი ცხოვრების აწყობას, რატომ არ მეუბნებოდით სიმართლეს, რატომ დუმდით? ანდა რატომ მიყვებოდით [illegible] ამბებს, რითაც მაქეზებდით კიდევაც, და თავი ისე გეჭირათ, ვითომ ძალიან [illegible] ობდით? რატომ?

— ძნელია საკუთარი ბანკროტობის აღიარება, — ჩავილაპარაკე ჩუმად და შემოვბრუნდი, ისე რომ არ შემიხედავს მისთვის, — აღარაფრის მეჯერა, დავიღალე, სულით დავეცი... მიჭირდა ყველაფრის გულწრფელად თქმა, ძალიან მიჭირდა, ამიტომაც ვდუმდი. ის, რაც მე გამოვცადე, ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს.

მომეჩვენა, საცაა ავტირდები-მეთქი და გავჩუმდი.

— ვლადიმერ ივანიჩ, — ზინაიდა ფეოდოროვნამ ორივე ხელი ხელში ჩამავლო, — ბევრი გადაიტანეთ, ბევრი გამოსცადეთ, ცხადია, ჩემზე მეტი იცით; კარგად დაფიქრდით და მითხარით — რა ვქნა, როგორ მოვიქცე? დამარიგეთ, მასწავლეთ რაიმე. თუ თქვენ უკვე აღარ შეგიძლიათ, წინ იაროთ და სხვებიც გაიყოლიოთ, მაშინ ის მაინც მითხარით, მე რა ვქნა, რა გზას დავადგე? მე ხომ ცოცხალი ადამიანი ვარ, რომელიც გრძნობს, აზროვნებს, განიცდის. ჩავარდე ასეთ ყალბ მდგომარეობაში, ითამაშო რაღაც უაზრო, სულელური როლი... აბა, წარმოიდგინეთ, რა ძნელი და აუტანელია ეს ჩემთვის. არა, კი არ გსაყვედურობთ, კი არ გადანაშაულებთ, გთხოვთ.

ამ დროს ჩაი შემოიტანეს.

— რას მეტყვით? — მითხრა ზინაიდა ფეოდოროვნამ და ჩაი მომაწოდა, — რას მიპასუხებთ?

— ზინაიდა ფეოდოროვნა, კიდევ რამდენი ადამიანია ჩემ გარდა...

— მაშინ მიმითითეთ, ვინ არიან ის ადამიანები? მეც მხოლოდ იმას არ გთხოვთ! — გამოცოცხლდა ზინაიდა ფეოდოროვნა.

— კიდევ ერთსაც გეტყვით, — განვაგრძე მე, — თუ კაცს უნდა იდეას ემსახუროს, ამისათვის მხოლოდ ერთი სარბიელი როდია. შეგეშალა ან ერთზე გული აგიცრუვდა? ადექი და მეორე აირჩიე, რამეთუ ფართოა და ამოუწურავი იდეების სამყარო.

— იდეების სამყარო! — ჩაილაპარაკა ზინაიდა ფეოდოროვნამ და თვალებში დამცინავად შემომხედა, სახეზე გულისწყრომა და ზიზღი აღებეჭდა. — ყველა ეგ თქვენი მშვენიერი იდეა, ვატყობ, ერთადერთი, გარდაუვალი ნაბიჯისაკენ მიბიძგებს — ესე იგი, მე თქვენი საყვარელი უნდა გავხდე. აი, რა არის საჭირო. იყო იდეებით გატაცებული და არ ეკუთვნოდე იმ იდეებით გატაცებულ უპატიოსნეს ადამიანს, ეს იმას ნიშნავს, რომ სულაც არაფერი გაგეგება იმ შენი იდეებისა. სწორედ ამით უნდა დამეწყო — საყვარელი უნდა გავმხდარიყავი, დანარჩენი თავისით აეწყობოდა.

— თქვენ ახლა, უბრალოდ, გაღიზიანებული ხართ.

— არა, გულწრფელად გეუბნებით! — იყვირა სუნთქვაშეკრულმა, — დიახ, გულწრფელად გეუბნებით!

— შეიძლება გულწრფელადაც მეუბნებით, მაგრამ გეშლებათ. აი, ჩემთვის კი გულსატკენია თქვენი ეგ სიტყვები.

— მეშლება, არა? — გაიცინა ზინაიდა ფეოდოროვნამ, — სხვას რომ ეთქვა, კიდევ მესმის, თქვენ კი, ბატონო ჩემო... დაე, მკაცრ, არადელიკატურ ადამიანად

ჩამთვალეთ, მაგრამ, ასეა თუ ისე, ხომ გიყვარვართ? თქვით, ხომ გიყვარვართ?

მე მხრები ავიჩეჩე.

— აი, ხედავთ, მხრებს იჩეჩავთ! — განაგრძო კვლავ დამცინავად, — ავადმყოფობის დროს თქვენი ის ბოდვა, თაყვანისცემით სავსე გამოხედვა, ოხერა, სულიერ ნათესაობაზე, სიახლოვეზე თქვენი ის კეთილგანზრახული საუბრები... რაც მთავარია, რატომ არ იყავით აქამდე გულწრფელი? რატომ ფარავდით იმას, რაც არის და რატომ ლაპარაკობდით იმაზე, რაც არ არის? გეთქვათ თავიდანვე, კერძოდ, რომელმა იდეამ გაიძულათ, პეტერბურგიდან გამოგექცეთ და მეც მეცოდინებოდა, რა იყო და როგორ იყო. მოვიწამლავდი თავს, როგორც მაშინ მქონდა გადაწყვეტილი და გათავდებოდა ამით ყველაფერი, აღარ იქნებოდა ახლა ეს მომაზეზრებელი, გულისგამაწვრილებელი კომედია... ეჰ, ღირს კი ამაზე ლაპარაკი! — ზინაიდა ფეოდოროვნამ ხელი ჩაიქნია და დაჯდა.

— ისეთ კილოზე მელაპარაკებით, თითქოს უპატიოსნებაში მდებდეთ ბრალს, — ვუთხარი ნაწყენმა.

— რაც არის, არის. ახლა ამას რა აზრი აქვს. ეჭვი მე თქვენს განზრახვაში კი არ მეპარება, არამედ იმაში, რომ არავითარი განზრახვა არ გქონიათ. რომ გქონოდათ, მეცოდინებოდა კიდევაც. მაგ თქვენი იდეებისა და მაგ თქვენი სიყვარულის გარდა, სწორედაც რომ არაფერი გქონდათ. ამჟამად იდეა და სიყვარული, პერსპექტივაში კი თქვენი საყვარლობა — აი, რა ბელის მომავალში. როგორც წესი, ასეა ცხოვრებაში და ასეა რომანებშიაც... აი, თქვენ სულ კიცხავდით იმას, — თქვა და ხელი მაგიდას დაარტყა. — მაგრამ, გინდა თუ არა, იძულებული ხარ, დაეთანხმო — ტყუილად კი არ დასცინის მაგ იდეებს!

— კი არ დასცინის, ეშინია! — ვიყვირე გაბრაზებულმა, — მშიშარაა, მფრთხალი და მატყუარა.

— კი ბატონო, ასე იყოს! დავუშვათ, მშიშარაა, მფრთხალი, ცრუპენტელა და მეც მომატყუა, მაგრამ, თქვენ? ბოდიშს ვიხდი ამ გულახდილობისათვის, თქვენ? თქვენ რაღას წარმოადგენთ? იმან მომატყუა და პეტერბურგში მიმაგდო ბედის ანაბარა, თქვენც მომატყუეთ, მაგრამ არა პეტერბურგში, არამედ აქ... აქ დამტოვეთ ასევე ბედის ანაბარა. ტყუილთან ერთად ის იმ იდეებით მაინც არ მიტენიდა ყურებს, თქვენ კი...

— ღვთის გულისათვის, აბა რაებს ლაპარაკობთ! — ვუთხარი მეტისმეტად შეწუხებულმა და ხელების ნერვული ფშვნეტით სწრაფად მივუახლოვდი, — არა, ზინაიდა ფეოდოროვნა, არა, ეს მხოლოდ ცინიზმია და მეტი არაფერი, განა შეიძლება ასეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა! იცით, რას გეტყვით, — განვაგრძე მე და თავში გაელვებულ ბუნდოვან აზრს გამწარებული ჩავეჭიდე, ვინაიდან მომეჩვენა, რომ მას ჯერ კიდევ შეეძლო ჩვენი — ჩემი და ზინაიდა ფეოდოროვნას გადარჩენა, — იცით, რას გეტყვით, ბევრი რამ გადავიტანე მთელი ცხოვრების მანძილზე, იმდენად ბევრი, რომ მარტო გახსენებაზეც კი თავბრუ მესხმის. და აი, ახლა მთელი ჩემი გონებით, ჩემი ტანჯული სულით ჩავხვდი, რომ ადამიანის ცხოვრებას ან არავითარი აზრი და დანიშნულება არა აქვს, ანდა მხოლოდ ერთში — მოყვასისადმი თავდადებულ სიყვარულშია მისი ეს აზრი და დანიშნულება. აი, საით უნდა წავიდეთ, აი, რა არის ჩვენი ცხოვრების აზრი და მიზანი... აი, რა არის ჩემი რწმენა!

მინდოდა საუბარი ახლა გულმოწყალებასა და ყოვლისშემწყნარებლობაზე გამეგრძელებინა, მაგრამ ვიგრძენი, რომ სმაში სიყალბე გამერია და შევცბი.

— სიცოცხლე მწყურია! — ჩავილაპარაკე გულწრფელად, — მინდა ვიცოცხლო, ვიცოცხლო... მინდა სიმშვიდე, სიწყნარე, მინდა სითბო, მინდა აი, ეს ზღვა და თქვენ-

თან სიახლოვე. ო, როგორ მწადია, თქვენც ასევე შთაგაგონოთ სიცოცხლის ეს დაუოკებელი წადილი! აი, ახლა სიყვარულზე ლაპარაკობდით, ჩემთვის კი თქვენ გვერდით ყოფნა, თქვენი სახის დანახვა, თქვენი ხმის გაგონებაც საკმარისია...

ზინაიდა ფეოდოროვნა გაწითლდა და ლაპარაკის გაგრძელების საშუალება რომ არ მოეცა, სხაპასხუპით მომაყარა:

— აი, თქვენ გიყვართ ცხოვრება, მე კი მეზიზღება. მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენი გზები სხვადასხვაა.

მერე ჩაი დაისხა, მაგრამ ხელი არ მიუკარებია, საძინებელ ოთახში გავიდა და დაწვა.

— მე მგონი, უმჯობესია, შევწყვიტოთ ეს საუბარი, — გამომძახა საძინებელი ოთახიდან. — ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულია, მე უკვე აღარაფერი მჭირდება... ახლა ამ ლაპარაკს აზრი აღარა აქვს.

— არა, არ არის ყველაფერი დამთავრებული!

— კარგით, კარგით, ვიცი, რასაც ვამბობ! მე უკვე მომბეზრდა ყველაფერი, კმარა!

ერთხანს გაოგნებული ვიდექი, მერე ოთახში გავიარ-გამოვიარე და დერეფანში გავედი. უკვე გვიანი ღამე იყო, მისი ოთახის კართან რომ მივედი და მივაყურე — ოთახიდან ტირილი შემომესმა.

მეორე დღეს, დილით, ლაქიამ ტანისაცმელი შემომიტანა და ღიმილით შემატყობინა, ქალბატონი, რომელიც მეცამეტე ნომერში ცხოვრობს, მშობიარობსო. სასწრაფოდ ჩავიცვი და ამ ახალი ამბით გაოგნებული, ზინაიდა ფეოდოროვნას ნომრისაკენ გავიქეცი. ნომერში ექიმი, ბებია ქალი და ხანშიშესული ხარკოველი ბანოვანი — დარია მიხაილოვნა დამიხვდნენ. ჰაერი ეთეროვანი წვეთების სუნით იყო გაჟღენთილი. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, ზინაიდა ფეოდოროვნას ჩუმი, საწყალობელი კვნესა შემომესმა და თითქოს რუსეთიდან ნიავმა მოიტანაო, ერთბაშად ორლოვი, მისი მწარე ირონია, პოლია, ნევა, ფანტელ-ფანტელ წამოსული თოვლი, უწინასაფრო ღია ეტლი, დილის გათოშილ ცაზე ჩემ მიერ ამოკითხული წინასწარმეტყველება და ზინაიდა ფეოდოროვნას განწირული „ნინა!.. ნინა!..“ გამახსენდა.

— შემოგრძანდით, — მითხრა დარია მიხაილოვნამ.

ნომერში რომ შევდიოდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე ვიყავი ბავშვის მამა. ზინაიდა ფეოდოროვნა თვალებდახუჭული იწვა, გამხდარი, ფერმიხდილი, თავზე თეთრი, მაქმანებიანი ჩაჩი ეხურა. ახლაც ნათლად მახსოვს მისი სახე — უხალისო, გულგრილი, მიუკარებელი, თან საოცრად ბავშვური და უმწეო, ალბათ, იმ თეთრი ჩაჩის გამო. ოთახში როგორ შევედი, არ გაუგია. არ ვიცი, იქნებ გაიგო კიდევაც, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია. მე კი ვიდექი, ვუყურებდი და ველოდი...

და აი, სახე უცებ ტკივილისაგან მოექცა, თვალი გაახილა და ჭერს ისე მიაჩერდა, თითქოს უნდოდა გაერკვია, სად იყო ან რა ხდებოდა მის თავს. მერე სახეზე ზიზღი გამოეხატა და ჩუმად წაიჩურჩულა:

— რა საძაგლობაა...

— ზინაიდა ფეოდოროვნა, — დავუძახე ძლივს გასაგონად.

ზინაიდა ფეოდოროვნამ ცივად, უხალისოდ გადმომხედა და ისევ თვალები მილულა.

ნომერში დიდხანს აღარ დავრჩენილვარ.

ღამით დარია მიხაილოვნამ შემატყობინა, რომ დაიბადა გოგონა და დასძინა, მშობიარის მდგომარეობა ჯერ კიდევ მეტად მძიმე არისო. მესმოდა, როგორ დარ-

ბოდნენ, რა ხმაური და ფაცაფუცი იდგა დერეფანში. მერე ისევ მოვიდა დარია მიხაილოვნა და სახეშემლილმა ხელების ფშვნეტით მითხრა:

— ღმერთო, რა საშინელებაა! ექიმს ეჭვი ეპარება, რომ საწამლავი აქვს დალეული! ო, რა საშინლად იქცევიან აქ რუსები!

მეორე დღეს ნაშუადღევი იქნებოდა, რომ ზინაიდა ფეოდოროვნა გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.

გაიარა ორმა წელმა. იმის გამო, რომ გარემოება შეიცვალა, მე კვლავ პეტერბურგში დავბრუნდი, სადაც შემეძლო ახლა თავისუფლად, დაუფარავად მეცხოვრა. ახლა უკვე აღარ მეშინოდა იმისა, რომ შეიძლებოდა ვინმეს მგრძნობიარე ადამიანად ჩავეთვალე, აღარ მეშინოდა, მთელი ჩემი არსებით მამობრივ ანუ უფრო სწორად, კერპთაყვანისმცემლურ გრძნობებს მივცემოდი, გრძნობებს, რომელსაც ჩემს გულში სონია, ზინაიდა ფეოდოროვნას ქალიშვილი იწვევდა. მე მას ჩემი ხელით ვაჭმევდი, ვბანდი, ვაძინებდი, ღამეებს ვუთენებდი. ხანდახან მომეჩვენებოდა, ბავშვი გადიას ხელიდან უვარდება-მეთქი, და შეშინებული ვკიოდი. ჩვეულებრივი ობივატელური ცხოვრებისადმი სწრაფვა სულ უფრო მეტად და მეტად მეძალებოდა, მაგრამ ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნებები სონიას არ სცილდებოდა, თითქოს მხოლოდ მასში აღმომეჩინოს ის, რაც მე მსურდა და მეწადა. მართლაც რომ თავდავიწყებით მიყვარდა გოგონა, მასში მე ჩემი ცხოვრების გაგრძელებას ვხედავდი, არათუ მეჩვენებოდა, ვგრძნობდი, თითქმის მწამდა კიდევაც — როდესაც ჩემი სიცოცხლე ჩემს გაძვალტყავებულ, აწოწილ, ბანჯგვლიან სხეულს მიატოვებდა, იგი ამ პატარა ცისფერთვალებში, აბრეშუმის ამ ქერა თმასა და ფუნთუშა ხელებში გააგრძელებდა არსებობას, რომლებიც ასე სიყვარულით დაფათურობდნენ ჩემს სახეზე და კისერზე მეხვეოდნენ.

მე უკვე მაფიქრებდა სონიას ბედი. ბავშვის მამა სინამდვილეში ორლოვი იყო, დაბადების მოწმობაში იგი კრასნოვსკაიად იყო ჩაწერილი, იმ ერთადერთ ადამიანს კი, ვისაც მისი არსებობა ახსოვდა და ვისაც მისთვის გული შესტკიოდა, ესე იგი, მე, დიდი დღე აღარ ეწერა. საჭირო იყო, ეკვე სერიოზულად მეფიქრა სონიას ბედიღბალზე.

პეტერბურგში ჩამოსვლის მეორე დღესვე ორლოვისაკენ გავეშურე. კარი ვიღაც წითურმა, უულვაშო, ბაკებიანმა სქელმა კაცმა, როგორც შემდეგ გამოირკვა, გერმანელმა ლაქიამ გამიღო. პოლიამ, რომელიც ამ დროს ოთახს ალაგებდა, ვერ მიცნო, სამაგიეროდ, ორლოვმა მიცნო მაშინვე.

— ა-ა, ბატონო კრამოლნიკო! — მითხრა ორლოვმა სიცილით და ცნობისმოყვარედ ამათვალიერ-ჩამათვალიერა. — რა ქარმა გადმოგაგდოთ?

იგი სრულიად არ იყო შეცვლილი — იგივე უსიამოვნო, ნაპატივები სახე, იგივე ირონია... მაგიდაზეც ისევ ისე იდო სპილოს ძვლის დანით ჩანიშნული რაღაც ახალი წიგნი, რომელსაც, როგორც ჩანს, კითხულობდა ჩემს მოსვლამდე. ორლოვმა დამსვა და სიგარა შემომთავაზა. ცდილობდა, დაეფარა ის უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც ჩემი სახე და გალეული ტანი აღუძრავდა. მერე კარგად აღზრდილი ადამიანისათვის ჩვეული დელიკატურობით აღნიშნა, რომ სრულიად არ ვიყავი შეცვლილი და რომ მან მაშინვე მიცნო მიუხედავად მოშვებული წვერისა. ვისაუბრეთ ამინდზე, პარიზზე... ბოლოს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან ის მძიმე, გარდაუვალი კითხვა, რომელიც ორივეს გვტანჯავდა, მითხრა:

— ზინაიდა ფეოდოროვნა გარდაიცვალა?

— გარდაიცვალა.

— მშობიარობას გადაჰყვა?

— დიახ, მშობიარობას გადაჰყვა. ექიმი ეჭვობდა, მისი აზრით, სიკვდილის მიზეზი სხვა რამ უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ასეა თუ ისე, ჩვენ ორივენი, ძეცა და თქვენც უფრო მშვიდად ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ იგი ნამდვილად მშობიარობას გადაჰყვა.

ორლოვმა ზრდილობისათვის ერთი ამოიოხრა და დადუმდა.

— ჰოო... აი, ჩემს ცხოვრებაში კი არაფერი შეცვლილა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, — თქვა ბოლოს ხალისიანად. — მამა, როგორც მოგეხსენებათ, სამსახურიდან გადადგა, უკვე აღარ მუშაობს, მე ისევ ძველ ადგილასა ვარ. აი, პეკარსკი კი — ხომ გახსოვთ, პეკარსკი? — ზუსტად ისევეა, როგორც იყო. ქართველი დიფტერიით გარდაიცვალა შარშან... რაც შეეხება კუკუშკინს, ცოცხალია და თავსაც შესანიშნავად გრძნობს, თქვენც ხშირად გახსენებთ. ჰო, მართლა, — თქვა ორლოვმა და თვალები მორცხვად დახარა, — კუკუშკინმა რომ გაიგო, ვინც იყავით, ყველას უყვებოდა, თითქოს თავს დაესხით და მისი მოკვლა გინდოდათ... ძლივს გადავრჩიო, ამბობდა...

მე ხმა არ ამომიღია.

— ყოფილი მსახურები არ ივიწყებენ თავის ყოფილ ბატონებს... ეს მეტად საინტერესო საქციელი გახლავთ თქვენის მხრივ, — იხუმრა ორლოვმა. — ღვინოს ან ყავას ხომ არ მიირთმევდით? ახლავე ვუბრძანებ, მოიტანონ.

— არა, გმადლობთ... მე თქვენთან, გეორგი ივანიჩ, მეტად მნიშვნელოვან საქმეზე ვარ მოსული.

— მართალი გითხრათ, „მნიშვნელოვანი საქმეების" არცთუ ისე დიდი მოყვარული გახლავართ... რას მიბრძანებთ?

— მოგეხსენებათ, — დავიწყე მე აღელვებულმა, — ზინაიდა ფეოდოროვნას გოგონა ამჟამად ჩემთანაა, აქამდე მე ვზრდიდი და ვპატრონობდი, ახლა კი, როგორც ხედავთ, დიდი დღე აღარ მიწერია. არ მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, მისი მომავალი ცხოვრება მოგვარებული არ მეგულებოდეს.

ორლოვს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, შუბლი შეიკრა და წამით მკაცრი მზერა შემავლო. როგორც ჩანს, ასე უსიამოვნოდ მასზე „მნიშვნელოვანმა საქმემ" კი არა, დიდი დღე აღარ მიწერია-მეთქი, ჩემმა ამ ნათქვამმა უფრო იმოქმედა.

— ჰო, რაღაც უნდა მოვიფიქრო, — თქვა ორლოვმა და თითქოს მზეს იჩრდილავსო, თვალებზე ხელი მიიფარა. — გმადლობთ... მგონი, გოგონაა, არა?

— დიახ, გოგონაა. არაჩვეულებრივი გოგონა!

— რა თქმა უნდა, სერიოზული მოფიქრებაა საჭირო. მოპსი ხომ არ არის, ადამიანია... მზად ვარ, მონაწილეობაც მივიღო და... დიდად დავალებული ვარ თქვენგან...

იგი წამოდგა, ფრჩხილების კენეტით ოთახში გაიარა და სურათის წინ შეჩერდა.

— რაღაც უნდა მოვიფიქრო, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჩემკენ ზურგშემობრუნებულმა ორლოვმა. — დღეს პეკარსკისთან მივდივარ, ვთხოვ, კრასნოვსკისთან შეიაროს, ვფიქრობ, კრასნოვსკი ბევრს არ გვახვეწნინებს, უარს არ იტყვის გოგონას წაყვანაზე.

— მაპატიეთ, მაგრამ, კრასნოვსკი რა შუაშია? — ამ სიტყვებზე მეც წამოვდექი და კაბინეტის მეორე კუთხეში დაკიდულ სურათთან მივედი.

— იმედი მაქვს, გოგონა კრასნოვსკის გვარს ატარებს? — შემიბრუნა კითხვა ორლოვმა.

— დიახ, კანონით შეიძლება იგი ვალდებულიც არის მიიღოს და უპატრონოს

გოგონას, არ ვიცი, ვერაფერს ვეტყვით. მაგრამ, ვეორგი ივანიჩ, მე თქვენთან კანონებზე სასაუბროდ არ მოვსულვარ.

— დიახ, დიახ, მართალი ხართ, — სწრაფად დამეთანხმა ორლოვი, — მგონი, სისულელეებს ვროშავ. მაგრამ, ნუ ღელავთ, ვიმსჯელოთ, გავარჩიოთ და ისე გადავწყვიტოთ, როგორც უკეთესი იქნება. ასე თუ არ დაგვიჯდება, [illegible] სხვაგვარად მოვიფიქროთ, ისედაც თუ არ მოგვეწონება, მესამე გზა ავირჩიოთ. ასე [illegible] ასე, ამ საჩოთირო საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, პეკარსკი ყველაფერს მოაგვარებს. დამდეთ პატივი, თქვენი მისამართი დამიტოვეთ და გადავწყვეტთ თუ არა რაიმეს, მაშინვე შეგატყობინებთ. სადა ხართ გაჩერებული, სად ცხოვრობთ?

ორლოვმა მისამართი ჩაიწერა, ამოიოხრა და ღიმილით მითხრა:

— ღმერთო ჩემო, რა ძნელია პატარა გოგონას მამობა! არა უშავს, პეკარსკი ყველაფერს მოაგვარებს, ჭკვიანი კაცია. დიდხანს დაპყავით პარიზში?

— დაახლოებით ორ თვეს.

მერე ორივენი გავჩუმდით. ორლოვს, ეტყობა, ეშინოდა, ისევ გოგონაზე არ დამეწყო ლაპარაკი და ჩემი ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, მითხრა:

— თქვენ ალბათ დაგავიწყდათ კიდევაც ის წერილი, მე კი ვინახავ. მე კარგად მესმის თქვენი მაშინდელი განწყობილება და გამოგიტყდებით, რომ პატივისცემით ვეკიდები. „ცივი სისხლი", „აზიელი", „ხვიხვინი", „სალახანა"... შესანიშნავია. შესანიშნავი და ზუსტი... — განაგრძო ორლოვმა ირონიული ღიმილით, — წერილის ძირითადი აზრიც, მართალი გითხრათ, სინამდვილესთან ახლოსაა, თუმცა შეიძლება დაუსრულებლად იკამათო ამაზე, ანუ, — ორლოვი ერთხანს შეყოყმანდა, — იკამათო არა საკუთრივ აზრის, არამედ საკითხთან თქვენი დამოკიდებულების, ასე ვთქვათ, თქვენი ტემპერამენტის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩემი ცხოვრება ნორმალური არ არის, უხეიროა და არაფრის მაქნისი, ხოლო ახალი ცხოვრების დაწყებას სიმხდალე არ მანებებს — ამაში ცამდე მართალი ხართ. მაგრამ, აი ის, რომ ყველაფერი გულთან ასე ახლოს მიგაქვთ, ასე ღელავთ და სასოწარკვეთილებაში ვარდებით, უაზროობაა, ამაში სრულიად არა ხართ მართალი.

— ცოცხალმა ადამიანმა შეუძლებელია გულდამშვიდებით უცქიროს, როგორ იღუპება თვითონაც და როგორ იღუპებიან მის ირგვლივ მყოფი ადამიანებიც.

— რა თქმა უნდა! მე გულგრილობას სულაც არ ვქადაგებ, მე მხოლოდ ცხოვრებისადმი ობიექტური დამოკიდებულება მინდა მქონდეს. რაც უფრო ობიექტურია დამოკიდებულება, მით უფრო ნაკლებია შეცდომის რისკი. ძირისძირობამდე უნდა ჩასწვდე, ყოველი მოვლენის მიზეზთა მიზეზი უნდა ეძიო. ჩვენ სულ უფრო ქვევითა და ქვევით ვეშვებოდით, ვუძლურდებოდით, ბოლოს დავეცით კიდევაც. მთელი ჩვენი თაობა ნევრასთენიკები და არაფრის მაქნისები ვართ, მარტო იმაზე ვჯღავით, ქანცი გაგვიწყდა, დავიღალენითო. მაგრამ არც თქვენ ხართ ამაში დამნაშავე და არც მე. ჩვენ მეტისმეტად უმნიშვნელონი ვართ იმისათვის, რათა მთელი თაობის ბედი ჩვენზე იყოს დამოკიდებული. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უფრო დიდი, ზოგადი მიზეზებია საძებარი, მიზეზები, რომელთაც ბიოლოგიური თვალსაზრისით თავიანთი სოლიდური არსი აქვთ. დიახ, ჩვენ ყველანი ნევრასთენიკები, განდგომილნი და დუნენი, უსიცოცხლონი ვართ, მაგრამ ეს ყოველივე შეიძლება საჭირო და სასარგებლოც კი იყოს იმ თაობისათვის, რომელიც ჩვენ შემდეგ იცხოვრებს. ადამიანის თავიდან ერთი ღერი თმაც კი არ ვარდება მამაზეციერის ნება-სურვილის გარეშე, ანუ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, არც ბუნებაში და არც საზოგადოებაში შემთხვევით არაფერი ხდება. თუ ეს

ასეა, მაშინ რაღას ვნერვიულობთ და სასოწარკვეთილებით სავსე წერილებს რაღატომ ვწერთ?

— ეს კი ასეა... — ვთქვი დაფიქრებულმა. — დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობებისათვის ცხოვრება უფრო იოლი და ნათელი იქნება, ჩვენი გამოცდილება დაეხმარებათ. მაგრამ, მარტო მომავალი თაობებისათვის კი არა, გინდა შენ-თვისაც იცხოვრო. სიცოცხლე ერთხელ გეძლევა ადამიანს და მხნედ, აზრიანად, ლამაზად გინდა გაატარო ეს ცხოვრება. გინდა გამორჩეული, დამოუკიდებელი, კეთილშობილი როლი შეასრულო, შექმნა ისტორია, რათა იმ თაობას უფლება არა ჰქონდეს, თვითეულ ჩვენთაგანზე თქვას — არარაობა იყო, ანდა რაღაც ამაზე უარესი. ყველაფერი, რაც კი ჩვენ ირგვლივ ხდება, ვიცი აუცილებელიცაა და მიზანშეწონილიც, მაგრამ, აბა, რაში მეკითხება მე ეს მიზანშეწონილობა, რატომ უგულებელვყო ჩემი თავი, რატომ ჩავატარო ფუჭად ჩემი ცხოვრება?

— რას იზამ! — ამოიოხრა ორლოვმა და წამოდგა, რითაც მანიშნა, რომ საუბარი უკვე დასრულებული იყო.

მეც წამოვდექი და ქუდი ხელში ავიღე.

— წარმოგიდგენიათ, მხოლოდ ნახევარი საათი ვისხედით, უამრავი საკითხი კი გადავჭერით. — ამ სიტყვებით ორლოვმა წინკარამდე მიმაცილა. — იმაზე უსათუოდ ვიზრუნებ, ეჭვი არ შეგეპაროთ... დღესვე ვნახავ პეკარსკის.

ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიცვამდი და როდის გავიდოდი სახლიდან.

— გეორგი ივანიჩ, დამიბრუნეთ ჩემი წერილი, — ვუთხარი ორლოვს წამოსვლის წინ.

— კი ბატონო.

ამ სიტყვებით იგი კაბინეტიდან გავიდა და ერთ წუთსაც არ გაეკლო, რომ წერილით ხელში უკანვე დაბრუნდა. ორლოვს მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

მეორე დღეს მისგან ბარათი მივიღე, რომელშიაც იგი საქმის კეთილად დაგვირგვინებას მილოცავდა: პეკარსკის ერთ ნაცნობ ქალს პანსიონი აქვს გახსნილი, რომელიც საბავშვო ბაღი უფროა, ვიდრე პანსიონი, მთლად პაწაწინა ბავშვებსაც კი იღებენ, შეგიძლიათ, თავისუფლად ენდოთ იმ ქალს, მაგრამ ვიდრე შეუთანხმდებოდეთ, ცუდი არ იქნება, კრასნოვსკის მოლაპარაკებოდით, ამას ფორმალობა მოითხოვსო, — მწერდა ორლოვი და მირჩევდა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი პეკარსკისთან, თან ბავშვის დაბადების მოწმობაც წამეღო, თუკი საერთოდ არსებობდა ასეთი რამ და ბოლოს ასე ამთავრებდა: „ერწმუნეთ თქვენი მონა-მორჩილის გულწრფელ პატივისცემასა და ერთგულებას“...

წერილს რომ ვკითხულობდი, სონია მაგიდაზე იჯდა და ისე ყურადღებით, ისე თვალდაუხამხამებლად მომჩერებოდა, თითქოს იცოდა, მისი მომავალი ბედი რომ წყდებოდა.

ფრედერიკ დარი

სიკვდილი, რომელზეც შენ მიამბობდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუძღვნი ჟან კოკტოს

ფრანგულიდან

თარგმნა მარინე ჯილავშვილმა

ფრანგი მწერალი ფრედერიკ დარი (1921 წ.) არაერთი ე. წ. „პოლიციური რომანის" ავტორია. მის განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა რომანმა „სან ანტონიომ", რომელიც 1961 წ. დაიბეჭდა და მაშინვე ბესტსელერად იქცა.

„სიკვდილი, რომელზეც შენ მიამბობდი" ფსიქოლოგიური ხასიათის დეტექტივია. იგი 1957 წ. გამოიცა წიგნად პარიზში.

წინამდებარე თარგმანით ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა ფრ. დარის შემოქმედებას.

ჯერ კიდევ ბაკუმაში ვმუშაობდი, როდესაც გაზეთში გამოცხადებული საგანგებო განცხადების მეშვეობით სახლი შევიძინე. მისმა ყოფილმა პატრონმა ადგილსამყოფელის უკეთ გასაცნობად უხარისხო ფოტოსურათები გამომიგზავნა. დაახლოებით კი წარმოვიდგინე იქაურობა, მაგრამ როცა სახლი მოვინახულე, ნინამდვილეში უფრო მომეწონა. ფოტოსურათებზე პატარა ბაღში ჩადგმული ორსართულიანი თეორი შენობა, გზის პირას ბენზინის სავაჭრო ფარდული და ზეთის გასაყიდი შემინული ჯიხური ჩანდა... ამ სურათების მიხედვით სახლის მესაკუთრე, გულახდილად რომ გითხრათ, კარ-მიდამოს ვერ ამშვენებდა. ის დონდლო სახის, ტანდაბალი, ღიპიანი კაცი იყო. მისი ნაღვლიანი მზერა ამაოდ დასმულ შეკითხვას გამოხატავდა. არასოდეს არ შევხვედრივარ მას, რადგან, როგორც გითხარით, ყველაფერი დაუსწრებლად მოხდა.

კაცი ქვრივი იყო და სახლსაც ამიტომ ჰყიდდა. თავის პირველ წერილში მიზეზად სწორედ ამას მისახელებდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, წერილს ფოტოსურათებიც ჰქონდა დართული. ჰო, კიდევ ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ბენზინის საფასურიც. საწვავით ვაჭრობა ოღლი საქმე კი იყო, მაგრამ ჩემთვის, სოლონის იმ მიყრუებულ გზაზე, ბენზინის გაყიდვა ზედმეტ ტვირთად მიმაჩნდა. ეს საქმიანობა თითქოს ჩემს ნაადრევ სიმარტოვეს კიდევ უფრო მახსენებდა. ოცდათექვსმეტი წლის კაცი ვიყავი და მიუხედავად ჩემი შეძლებისა, მიჭირდა საკუთარი თავის რანტიედ წარმოდგენა.

აფრიკიდან დაავადებული ღვიძლით და უსიამოვნო ილუზიებით ვბრუნდებოდი, მაგრამ მაინც მჯეროდა იმ ბედნიერებისა, რასაც მშვიდი ცხოვრება მომანიჭებდა. უბანგას ჯოჯოხეთურ სიცხეში მყოფი სოლონის მშვიდ ცხოვრებაზე

ოცნებობდი, მის პატარა ქალაქთა ქუჩებზე, რომლებიც სუფთა ტყეებისკენ, ბედნიერებისკენ, შემოდგომის ღამეებივით სევდიანი ტბებისკენ წამიყვანდნენ.

სახლს კოხტა ღობე ჰქონდა შემოვლებული. მოკირწყლული ხეივანი ბენზინის სადგომიდან ეზოში შემოდიოდა. ჩემი სახლ-კარის სილამაზით მართლაც მოვიხიბლე. შენობა დაბალი და ოთხკუთხედი კი იყო, მაგრამ ფართო, სიფრიფანა ბადეებიანი ფანჯრები სახლს სიმსუბუქეს მატებდნენ.

ბაკუმადან დაბრუნებული კაცისათვის აქაურობა სამოთხეს ჰგავდა, მითუმეტეს იმ კაცისათვის, რომლისთვისაც ფიქრშიც კი სატანჯველი იყო აფრიკაში ცხოვრება. მანქანა იქვე, ბეტონის ტროტუარზე, ბენზინის ამოსაქაჩ ტუმბოსთან შევაჩერე. ბაბუაწვერას ყლორტები თამამად გაშლილიყო, ხოლო რამდენიმე თვეში სარეველა ბალახს ისე დაეფარა იქაურობა, რომ არაეთარი სწორი ხაზი აღარ მოჩანდა იმ არემარეში. ხის ღობე უბრალოდ ურღულით იკეტებოდა. კარის გამოსაღებად ხელი გადავყავი. საკეტს ყანვი მოჰკიდებოდა და ისეთი უსიამოვნო, ყურისმომჭრელი ღრჭიალი გაიღო, რომ სახლის ერდოზე წამომჯდარი ნაცარა ფრინველი უმალ გაფრინდა, ობობასაც დაექსელა შესასვლელი. ოთახის კარს ხელი ვკარი და შეეაღე. მეგონა, ოთახიდან დახუთული ჰაერი მეცემოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, მთელი სახლი ხის წმინდა სურნელით იყო გაჟღენთილი.

ბინა დიდი, თეთრად შელებილი ჰოლით იწყებოდა. სიღრმეში ასასვლელი კიბე მოჩანდა. მარცხნივ საერთო ოთახი იყო, სამი დიდი ფანჯრით, მარჯვნივ მისაღები და პატარა სამზარეულო. მზის სუსტი შუქი ისე ეფინებოდა ბინას, რომ ცარიელ ოთახებს სიცოცხლეს ჰმატებდა.

მეორე სართულზე ავედი და სამივე ოთახი დავათვალიერე, ნასყიდობის საბუთებში რომ იყო მოხსენიებული. კედლებზე ყვავილებიანი შპალერი კოხტად იყო გაკრული, რის წყალობითაც ეს ცარიელი ბინა ხალისიანად გამოიყურებოდა.

მეორე დღეს ბარგი მივიღე. ძველი ავეჯის გამო ბინამ კოპწია იერი დაკარგა. ავეჯი სოფლის სასტუმროს უბრალო სტილისა არ გახლდათ, მემკვიდრეობით მქონდა მიღებული დედაჩემისაგან, ამიტომ ვერ შეველეოდი. ძველი, ნორმანდიული საათის მარჯვენა კუთხეში ერთმანეთზე მიყოლებული ამოკვეთილი ჭდეები ჩემი დავაჟკაცების საფეხურებს მახსენებდნენ.

თითქმის ერთი კვირა დამჭირდა, ვიდრე ჩემი ძველი სამუზეუმო ავეჯი განვალაგე. ოთახები მოვაწყე, მაგრამ სახლი მაინც ცარიელი მეჩვენა. მის კედლებს შორის უფრო მიჭირდა გზის გაკვლევა, ვიდრე იმ უღრან ტყეში, რომელიც აფრიკაში დავტოვე. სიმარტოვე, განსაკუთრებით საღამოობით, ყინულის ნემსებივით მერჭობოდა ზურგში. ვცდილობდი წიგნი წამეკითხა, მაგრამ გულს ვერ ვუდებდი. ყოველი ფრაზა უჩვეულო მეჩვენებოდა. უარესიც მემართებოდა. ვერა და ვერ ვიძინებდი. სიჩუმეში ყოფნა, ბაკუმაში გატარებული აუტანელი ღამეებივით, ისეთი დამღლელი იყო, რომ მაშინვე წამოვხტებოდი ხოლმე და გარეთ გავდიოდი, გზის პირას, რათა მთვარის შუქს მაინც შეევსო ჩემი სიცარიელე. ტყის იდუმალება ნაღველს მიქარწყლებდა. სახლიდან მოშორებული ჩემს ციხე-კოშკს უფრო ვეგუებოდი, შინ კი თავი პატიმარი მეგონა, რადგან არც ტყის ექო და არც ხეთა ჩურჩული აღარ მესმოდა.

ხანდახან ბენზინის გამო ვინმე მძღოლი თუ გამოისროდა ერთ-ორ ქვას ჩემი ფანჯრის დარაბებისკენ, რომ ლოგინიდან წამოვეყენებინე კარბიურატორის შესავსებად. ვერ ვაჯერებდი, რომ ცისტერნა ცარიელი იყო და ლანჯლვა-გინებით მამკობდა.

ერთფეროვანი დღეები ნელინელ მიიზლაზნებოდნენ. გვიან ვდგებოდი, ვიმზადებდი ყავას (ძველი სამხედრო ჩვეულებით) და პირდაუბანელი, გაუპარსავი

მივდიოდი ტყეში სასეირნოდ... რის გამოც ტყეებს თავვანს სცემენ, ამათ სწორედ ის აკლდათ. მე კი ისინი სწორედ ამ მეჩხერობის გამო მხიბლავდნენ. ირგვლივ ქვიშიან მიწას ხავსი არ მოჰკიდებოდა. ბალახი ულონოდ მოხდებოდა ნიადაგს. აქაურობა პროვანსს მაგონებდა. ჩამოვჯდებოდი ხოლმე ხის ძელზე და ყურს ვუგდებდი ჩემთვის უცნობ ფრინველთა ფარფატს, [illegible] აფრიკის ფრინველებთან შედარებით ბევრად უფერული ბუმბული [illegible] მერე შინ ვბრუნდებოდი, რომ თავი წესრიგში მომეყვანა და შუადღისას სასაუზმოდ სოფლის სასადილოში წავსულიყავი. ისიც გზის პირას, ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. მისი პატრონი ერთი სქელი, ზინზლიანი ქალი გახლდათ. მძაღე სუნი ასდიოდა. ალბათ სასმელის გადაკვრაც უყვარდა. ბევრს ქაქანებდა ყველაფერზე და არაფერზე. იმ ხალხზე მელაპარაკებოდა, ვისაც მე არ ვიცნობდი. მაინც მიყვარდა ეს ფარდული, მისი ფერადი ქაღალდებით, სარეკლამო კალენდრებით, მდაბიო ნახატებით გულდასმით აჭრელებული კედლები.

ქალი ცუდი მზარეული არ იყო, არც ღვინო ჰქონდა ურიგო. მასთან ყოფნისას დრო უქმად არ გადიოდა. თითქმის მთელ დღეს იქ ვატარებდი. ჩემი ღვიძლის მიუხედავად, მეტისმეტსა ვსვამდი. ხანდახან მე და ფარდულის პატრონი შაშის თამაშს გავაჩაღებდით ხოლმე. საცოდავი მეტოქე ვიყავი. ქალი იგებდა და სახეზე კმაყოფილება ეხატებოდა. გამარჯვებას უთუოდ ვასველებდით. მერე ვსეირნობდით... ჩვენს საზიარო დღეს ვახშმით ვამთავრებდით. მერე კი ის უძილო ღამეები იწყებოდა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ერთ საღამოს ფარდულის პატრონს დარაბების რკინის საკეტის შეკეთებაში მივეხმარე. ის იყო ამ გადაკარგული ფარდულიდან გამოვდიოდი, რომ ქალი ცნობისმოყვარეობამ უფრო გაათამამა, ვიდრე სასმელმა, თვალები მოწკურა და შემეკითხა:

— მაგ სახლში ღამე მარტო ყოფნა არ გიჭირთ?

მე გულიანად გამეცინა.

— ვალენტინა, ალბათ ვერ ამჩნევთ, რომ სრულწლოვანი ვარ? თანაც ვაი რომ ორჯერ მეტი ასაკის!

მან მხრები აიჩეჩა:

— ეს კი აშკარაა, მაგრამ... შიშის დროს ასაკს რა მნიშვნელობა აქვს. მე ვერ დაეიძინებდი თქვენს სახლში მარტო. ის ქალი ხომ იქ მოკვდა...

ბოლო სიტყვა, რომელიც ვალენტინამ წარმოთქვა, ყოველთვის უსიამოვნოა მოსასმენად, განსაკუთრებით კი იმ უკუნეთ ღამეში, ლეგა ღრუბლებით მოქრუშულ ცის ქვეშ. მე შემოვბრუნდი:

— ვინ ქალი?

— ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სახლის ყოფილი პატრონის ცოლი მანდ მოკვდა?

— არა... — ავღელდი მე. — თუმც რა, ადამიანი საღღაც ხომ მაინც უნდა მოკვდეს, ისევ საკუთარ სახლში არა სჯობია?

— კი, ბატონო, მაგრამ ასეთნაირად?

— რანაირად?

— მოიწამლა....

— სოკოთი?

— სოკოთი კი არა, თავი მოიწამლა... საწამლავი დალია.

დიახაც არ მესიამოვნა, რომ ჩემი სახლის ჭერქვეშ, რომლითაც ასე ვამაყობდი, თურმე ასეთი დრამა მომხდარა.

— რატომ? ქმარს უკან დასდევდა?

— დიახ, ქმარი ღალატობდა.

გამახსენდა მისი ფოტოსურათი. ის ტანსრული, დინდლო სახის კაცი იყო, მოწყენილი იერით. იგი უფრო ჰგავდა ნევრასტენიკს, ვიდრე ცოლი.

— თქვენ იცნობდით იმ კაცს? — მკითხა ქალმა.

— პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ფოტოსურათებზე მყავს ნანახი, კაზანოვასი არაფერი სცხია.

— მაინცდამაინც კაზანოვა კი არ უნდა იყო, რომ გოგოებს დაზდევდე. გეთანხმებით, ბლანშენი ლამაზი კაცი არ იყო, მაგრამ ფული უყვარდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალები გრძნობენ, როდესაც მამაკაცებს ფული უყვართ და ისინი ყველაფერს ურჩევნიათ, თუნდაც ძალზე შეუხედავები იყვნენ.

უცებ მკვეთრად შეეიგრძენი სიკვდილის არსი. სხვა დროს ამაზე არასოდეს მიფიქრია. ძლიერი ბუნების კაცი ვიყავი, ოდნავ ველურიც კი. ცხოვრების კანონებს ყოველგვარი შესწავლის გარეშე ვემორჩილებოდი, მაგრამ სოლონის ამ გზაზე, ამ პატარა, ნახევრად ბნელი ფარდულის წინ უიმედობამ შემიპყრო. ვგრძნობდი ცხოვრების უჩინარ მუქარას.. სიკვდილი... ის ყველგან სუფევს, ყველგან არის ჩასაფრებული.

— მაშ იმ ქალმა თავი მოიკლა?

— დიახ, სწორედ იმ საღამოს, მისი ქმარი აქ, სასადილოში იმყოფებოდა... ხანდახან შემომივლიდა ხოლმე... ზოგჯერ მეგობრებისთვის განკუოვნილ ოთახს ნაცნობებზე ვაქირავებდი. მაშინაც მდგმურებს წიწილას ვუწვავდი... ისინი ღამისთევით იყვნენ.. სწორედ იმ ღამეს მოკვდა ის ქალიც... დილით ბლანშენი შინ დაბრუნდა, ნახევარი საათის შემდეგ მობრუნდა, ფერწასული, როგორც...

— სიკვდილი, — წავიჩურჩულე..

— ბლანშენს თავისი მეუღლე საწოლზე გაშოტილი უნახავს... ქალი მძინარეს ჰგავდა. ცხენოსანი პოლიცია ექიმთან ერთად მოსულა. ისინი ქალალდის პატარა ნაგლეჯს წააწყდნენ თურმე მაგიდაზე, რომელზეც ეწერა: „მშვიდობით! ჟერმენი“.

უცბად უხამსობად მომეჩვენა ამ თვითმკვლელობაზე ვალენტინასთან ჭორაობა. ხელი ჩამოვართვი.

— ხვალამდე...

ის იყო გზიდან უნდა გადამეხვია, რომ მომაძახა:

— ბატონო პოლ, ძილი ნებისა!..

შინ დავბრუნდი თუ არა, გადავწყვიტე აღარ მეფიქრა მადამ ბლანშენის სიკვდილზე. მერე რა, რომ ვილაცამ ჩემს ჭერქვეშ მოიკლა თავი? დიდი ხნის აშენებულ სახლს უთუოდ ჰყავს თვისი მიცვალებული, ისევე როგორც გზებს, გზაჯვარედინებს, მინდვრებს. ნეშო, გახრწნილი ფოთლებიდან რომ იქმნება, განა ახლად ამოსულ ბალახს არ ანოყივრებს? ეს არის სიცოცხლის უსასრულობის კანონი. ქალბატონ ჟერმენ ბლანშენის სიკვდილმა ხომ გამითავისუფლა სახლი, ალბათ ჩემი სიკვდილითაც სხვას გავუთავისუფლებ ადგილსამყოფელს, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მანამ ამ სახლის კედლებს ჭინჭარი არ გადაუვლის. კარი მოვიხურე და გავყუჩდი. ბინაში ყოველთვის ისმის რაღაცის ხან ჭრიალი, ხან ღრჭიალი. ახლა კი ჩამიჩუმიც არსაიდან ისმოდა. სახლი ერთიანად დამუნჯებულიყო.

ძლივს ავდგი ფეხი კიბეზე და, ვიდრე მეორე სართულზე ავიდოდი, შევჩერდი, ნეტავ რომელ ოთახში მოკვდა ის ქალი? ნუთუ იმ ოთახში, სადაც მე მძინავს? ეს კითხვები ეროსა და იმაკე აზრებს მგვრიდა. თითქოს ვლამობდი, განვლილი დროის მიუხედავად, მეყნოსა სიკვდილის მოტკბო შმორის სუნი, მაგრამ,

ჩვენი გრძნობები ხშირად სდუმან. ცხვირში მხოლოდ ტყის იშვიათი სურნელი მცემდა.

დავწექი. წიგნისკენ ხელიც არ წამცდენია. ეგრძნობდი, გულს ვერ დაეუღებადი. ვფიქრობდი ქალბატონ ბლანშენზე და ვცდილობდი წარმოშედგინა მისი სახე. ვერ ვახერხებდი. როგორც კი მოვხაზავდი ბაგეს, თვალებს, ნიკაპი ისე ჩამოიღვენთებოდა, როგორც ნახატი დაორთქლილ მინაზე... ქალის სხვა გამირბოდა. რებუსივით ძნელი იყო მისი შევსება. გატანჯულს ჩამეძინა.

მეორე დღეს კარგი დარი დადგა. თუმცა ცოტა აგრილდა. ვფიქრე: ცეცხლის სურნელი აქაურობას გაანჯანსაღებს-მეთქი, და სარდაფში ჩავედი. მინდოდა ღუმელი დამენთო. იქ შეშასთან ერთად ქვანახშირიც დამხვდა (იმ დროს ჯერ კიდევ იყიდებოდა). ოთახის კუთხეში ძველი, ქაღალდებით სავსე დიდი ყუთი იდგა. ავიღე რამდენიმე გაზეთი და, მანამ ღუმელის შავ ხახაში ჩავუძახებდი, ჯერ დავხიე. უცებ იასამნისფერი, გუნდად დაგმუჭნული ქაღალდი ჩემს ფეხებთან დაეცა. მივხედი, წერილი იყო. ეჭვიც არ შემპარვია, ქალის ხელით იყო დაწერილი. მოგრძო, წვეტიანი ასოებით. წერილი გავშალე. ქალბატონ ბლანშენის წერილი იყო თავისი მეუღლისადმი:

„ჩემო ძვირფასო შარლ!

რახან არ მალაპარაკებ, იძულებული ვარ მოგწერო. ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება. რაკი მიმატყუე და მასხარა გამხადე, ამ წერილით მინდა გამოვხატო ჩემი აღშფოთება და ვიყვირო — კმარა! გაფრთხილებ, თუ არ შეიცვლები, გაგეყრები და ისე გავმორდები აქაურობას, არც კი გეტყვი...“

წერილი უცებ წყდებოდა ფურცლის ბოლოს. მეორე მხარეს არაფერი ეწერა. ვფიქრე, საბრალო ქალმა ალბათ წერილი სხვა ფურცელზე გააგრძელა-მეთქი, მაგრამ როცა წერილი უფრო ახლოს მივიტანე თვალებთან, დავინახე, რომ ფურცელს ბოლო მოხეული ჰქონდა. წარმოვიდგინე, რომ ამ უიმედო წერილს ჟერმენ ბლანშენი ასე დაასრულებდა: „...და ისე გავშორდები აქაურობას, რომ არ გეტყვი მშვიდობით!

ჟერმენი“.

როგორც ჩანს, ქმარმა მოახია წერილს ბოლო და ცოლი მოწამლა. სწორედ ამ ბოლო ორმა სიტყვამ დაიფარა იგი უბნის პოლიციის პირისპირ ყოფნისას (რადგან მაგიდაზე წერილის სწორედ ის ნაგლეჯი იდო, სადაც ეწერა — „მშვიდობით! ჟერმენი“).

წერილი მოკეცე და თაროზე შემოვდე. ფიქრმა შემიპყრო. ვჩქარობდი დასკვნები ჩამომეყალიბებინა. წინა დღეს არაფერი ვიცოდი ამ თვითმკვლელობის შესახებ, დღეს კი მკვლელიც აღმოვაჩინე და ეჭვიც არ მეპარებოდა ჩემს სიმართლეში.

ქაღალდს ღუმელში ერთიანად მოედო ცეცხლი და სარდაფი გაანათა. მერე ხმელი შეშაც მივუმატე. ცეცხლს საამოდ გაჰქონდა ტკაცატკუცი. მხოლოდ ეს ცეცხლი იყო სიცოცხლის ნიშანწყალი ამ გაციებულ კერაზე. დავიცადე, მანამ ღუმელში ალი კარგად დატრიალდებოდა, რომ მერე შეშები ნიჩბით გამეწ-გამომეწია და ცეცხლი გამელვივებინა. ისევ წერილზე ვფიქრობდი. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ბლანშენმა ცოლი თვითონ მოკლა. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „უნდა წახვიდე, ნახო პოლიციელი და დაწვრილებით გამოჰკითხო რა იცის ამ გახმაურებული გამოსამშვიდობებელი უსტარის შესახებ“. შემდეგ კი... მერე რა? ბოლოს და ბოლოს მე რაში მეკითხებოდა, ამ სახლის ყოფილი მობინადრე იყო თუ არ იყო მკვლელი? ზნეობა ბუნდოვანი რამაა. ასეა თუ ისე, მადამ ბლანშენი

მკვდარია. თუ იგი საკუთარმა ქმარმა მოკლა (ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან წერილი არ იყო ისტერიული ადამიანის მიერ დაწერილი, პირიქით, ნაწერში ქალის დინჯი ბუნება გამოსჭვიოდა), სინდისს უთუოდ უნდა შეეწუხებინა.. სამართალს მაშინ შეუძლია შეამსუბუქოს სასჯელი, თუ კაცი გამოტყდება დანაშაულში.

ცეცხლი კარგად აგუზგუზდა. ოთახში ავედი. სიმშვიდე დამეუფლა, ფიქრობ მოკეშვი კიდეც. იქნებ მკვლელს მივუტევოთ კიდეც, თუ დანაშაული ოსტატურად არის ჩადენილი და არა არის მოკვლეული? სიკვდილი ადამიანის კანივით უსუსურია და ცვალებადი. სხვადასხვა სახით გვევლინება, ახლობელი, თითქმის უცოდველი. ქალბატონი ბლანშენი სიცოცხლეს იმიტომ გამოესალმა, რომ თავისი წერილის ბოლო წინადადება ერთ ხაზზე ვერ დასტია. მისმა ხელწერამ უნებლიეთ მოითხოვა, რომ ქალს ცალკე სტრიქონზე დაეწერა სიტყვა „მშვიდობით“ და ეს სიტყვა ზუსტად მისი ხელმოწერის ზემოთ მოხვედრილიყო. ხომ ხდება, როცა ადამიანები ამაზე უფრო უბრალო საბაბის გამო კვდებიან.

თავი II

საიდუმლო, რომელიც ის-ის იყო აღმოვაჩინე, მარტოხელა კაცისთვის ვერაფერი თავშესაქცევი გახლდათ. რამდენიმე დღეში დაბეზღების ისეთმა სურვილმა შემიპყრო, რომ გადავწყვიტე, თავიდან ამომეგდო ეჭვის ჭია და ამ მიზნით კომბოსტოს ჩითილების გადარგვას შევუდექი, მაგრამ თუ კაცი მარტოხელაა, რაში ადგება ან ჯანმრთელობა ან ქონება.

სწორედ ამიტომ, ერთ მშვენიერ დილას, როცა პირს ვიპარსავდი, სარკეში ყურადღებით დავაკვირდი საკუთარ თავს. ჩემს სახეს ბერბიჭას იერი დასტყობოდა. მარტოხელა ცხოვრებას თავისი დალი დაესვა. ამაზე მეტყველებდა ბაგის კუთხეები და თავკერძა კაცის პირქუში მზერა, რომელიც სიკეთეს არ მოასწავებდა. დამუწული პირი ნაოჭივით დასმოდა სახეს. როგორც მეგობარს ისე ვურჩიე საკუთარ თავს, — წყალწაღებულივით ნუ ეხეთქები აქეთ-იქით, დროა, ძმაო, ოჯახს მოეკიდო-მეთქი!..

ეს აზრი ყოველთვის სიცილს მგვრიდა, სათაკილოდაც კი მიმაჩნდა ფიქრი იმაზე, რომ ერთ-ერთი ქალთაგანი სამუდამოდ ჩემთან დარჩებოდა, შიშით მავსებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეეიტყვე, თუ რას უქადის კაცს წყვილად ცხოვრება. ქალთმოძულეობა ხომ არ იყო მიზეზი იმისა, რომ დონდლოსახიანი მკვლელის, ბლანშენის საქციელი შევიწყნარე?

დილით, მოვწესრიგდი თუ არა, სავარჯიშო კოსტუმი გადავიცვი და პიანინოს მივუჯექი. ყოველთვის ერთი საცოდავი დამკვრელი ვიყავი, მაგრამ ახალგაზრდობაში ხანდახან, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარ-პატარა რომანტიკულ პიესებსაც კი ვთხზავდი... ერთი საათი ეტანჯავდი კლავიატურას. მერე ინსტრუმენტი დავხურე და თითების ტკაცუნით წამოვდექი.

მორჩა და გათავდა! - ცოლი უნდა შევირთო, სახლს უფრო ესაჭიროებოდა დიასახლისი, ვიდრე მე, რადგან სახლი თვითონ ხომ ვერ გასწევდა ქალის მაგივრობას?

ჰოლის კუთხეში ჩამოვჯექი, რომ იქაურობისთვის რჩევა მეკითხა.

— სწორია ჩემი საქციელი? — ეკითხე და ამოვიოხრე.

ჩემ ირგვლივ ყველაფერი თანხმობას მიცხადებდა. ქალის ხელს მოწყურებული ავეჯი თითქოს ქალბატონის თეთრეულს უცდიდა შესანახად... სამზარეულო მარჯვე მზარეულს ნატრობდა, სარდაფიდან სხვენამდე აზიდული სიჩუმე

ქალის ნარნარა ხმას, სიმღერას ელოდა. სულ ეს ფიქრი მიტრიალებდა თავში. ამ საქმეს სიჩქარე არ მოუხდებოდა. ჩემში გამჯდარ მარტოხელა კაცის ჩვევებს ახალგაზრდა ქალი ბოლოს მოუღებდა, თუმც ახალგაზრდა ქალი შვილებს გამიჩენდა... მერე კი შეიძლება უარესიც მომხდარიყო, — შემყვარებოდა. არა, მე უფრო ეკონომი ქალი მჭირდებოდა, ვიდრე მეუღლე. საშუალო ასაკის, მშვიდი, ჭკვიანი, რომელთანაც ლოგინს არ გავიზიარებდი. ჩემს წარმოდგენაში-ს ღირსეული პიროვნება უნდა ყოფილიყო. კეთილი, არცთუ ისე დიდი ჭკუის პატრონი, მომთმენი, ალერსიანი, გამოცდილი ქალი. ასეთმა შეფასებამ სიხარულით ამავსო. ჭკუაში დამიჯდა დასახული გეგმის შესრულება.

ვალენტინას კაფეში მაგიდას მივუჯექი თუ არა, ავჭიკჭიკდი.

— რა ბედნიერი სახე გაქვთ, — შემამჩნია ვალენტინამ, — რა მოხდა?

— ბედნიერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კმაყოფილი კი ვარ... ჩემო ძვირფასო მეგობარო, გაუწყებთ, რომ ცოლს ვირთავ!

ვალენტინა წინ ჩამომიჯდა, კმაყოფილება დაეხატა სახეზე, რადგან ახალმა ამბავმა სალაპარაკო გაუჩინა. ცოტა კი დანაღვლიანდა — ბედნიერი შემთხვევით მოვლენილ კლიენტს რომ კარგავდა.

— ცოლის შერთვა გადაწყვიტეთ?

— დიახ, გადაწყვეტილება ამ დილით მივიღე...

— ყოჩაღ! მეტი რაღა გითხრათ! — ვალენტინამ თავი ნაზად გაიქნია. — რა ჰქვია ქალბატონს?

— არ ვიცი.

ვალენტინას ეგონა დავცინოდი.

— როგორ, ქალის შესახებ არაფერი იცით?

— ჯერ კიდევ მოსაძებნი მყავს... — ძლივს გავბედე მეთქვა.

— მაშ, ჯერ საცოლე არა გყავთ?

— არა. თქვენ გარდა არც ერთ ქალთან არა მაქვს ურთიერთობა.

ამ ნათქვამზე ვალენტინას გაეცინა. ალბათ იფიქრა, ჩემი საქორწინო გეგმები ხუმრობა იყო და სხვა არაფერი.

— ტყეში ხომ არ აპირებთ კანონიერი ცოლის პოვნას?

— მეეჭვება, რომ იქ იყოს, რაღა იქ მოვძებნო?

— მაშ, რას აპირებთ?

— გაზეთში გამოვაცხადებ.

— რაო?

— სპეციალური გაზეთები არსებობს... ნახეთ, რამდენ პასუხს მივიღებ.

— იქნებ ორი ათასიც მიიღოთ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ იცით, ვინ იქნებიან თქვენი მოპასუხეები? კუზიანები, მარტოხელა დედები; ნორმალურ ქალს არ სჭირდება პატარ-პატარა განცხადებები შესაფერისი მამაკაცის საპოვნელად! პატარ-პატარა განცხადებები! მე რომ მკითხოთ, ერთ ძროხასაც არ ვიყიდი მაგ პატარა განცხადებების საშუალებით, ბატონო ჰოლ!

— ძვირფასო ვალენტინა, მინდა შეგახსენოთ, რომ ძროხას სულაც არ ვეძებ, ჩემი საცხოვრებელი სახლი განა ამ წესით არ შევიძინე? მაშ, რატომ ვერ შევხვდები ამ გზით უნაკლო ქალს?

ქალმა ცხვარ-პირი იდაყვით მოიწმინდა. მერე კი რახან თავისი მსხვილი მკლავი ჰაერში ჰქონდა აქნეული, მაგიდას მუშტი დაჰკრა:

— უნაკლო ქალი არ არსებობს!

— ჭეშმარიტებაა, ჩემო ვალენტინა, მაგრამ იცოდე, რომ ყოველ მამაკაცს

ჰყავს ქალის საკუთარი იდეალი და სწორედ ამით აფასებს ქალს... მაშ უნდა მოვძებნო ისეთი, რომელიც ჩემს იდეალთან ახლოს იქნება.

— ო, რას გავიცინებთ! — იწინასწარმეტყველა ჩახუქებულმა დედაკაცმა. ნეტა რა იყო აქ სასაცილო?!

— — — —

ამ განცხადების ნაცნობი ტექსტის შედგენისას ვიგრძენი, თუ რა ენელა ყოფილა ორი სიტყვით გამომეხატა ამაღლებული მისწრაფებანი. მინდოდა ჩემი შედგენილი ტექსტი საკმაოდ გამორჩეული, თანაც სიტყვაძუნწი ყოფილიყო, ისეთი, რომ ჭკვიანი და თავდაჭერილი ბუნების ქალი მიეზიდა. წერილი მრავალჯერ შევასწორე, გადავწერე და საბოლოოდ გადავწყვიტე ასეთი შინაარსისა გამეგზავნა:

„ორმოცი წლის კაცი ვარ (თაკი განგებ დავიბერე) პროვინციიდან, სოლოსნში საკუთარი სახლი მაქვს, ორი ადამიანისათვის საკმარისი შემოსავალი გამაჩნია. გარეგნობით თავს ვერ მოვიწონებ. ველი ქალის პასუხს. თუკი შესაფერისად ჩავთვლი, ცოლად შევირთავ. გამომიგზავნეთ ფოტოსურათი".

ჩავაგდე თუ არა ჩემი წერილი მეზობელი სოფლის საფოსტო ყუთში, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ჩაძირული გემის მგზავრივით უკანასკნელი ბოთლი მოვისროლე ზღვაში.

ერთი სიამოვნებაა, როცა ბედისწერას ფულის მონეტასავით გაეთამაშები და უცდი, გაგიმართლებს თუ არა. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად მხიბლავდა ამ ხერხით ქალის მოპოვება. ამ გზით გავთავისუფლდი ყოველგვარი ტრაფარეტისაგან. არც ქალისადმი ყვავილების თაიგულის მიტანა დამჭირდებოდა, არც სასიყვარულო სერენადების სიმღერა იქნებოდა აუცილებელი ნავზე ან მთვარის შუქზე. ასე შეირთავ ცოლს კაცი თუ ისე, შეიძლება წრფელი გულით მოქმედებდე. ჩემს შემთხვევაში ადამიანი ქორწინებას უკარგავს თავის ეშხს, უფრო მის შინაარსზე ფიქრობს, ორი პიროვნების ერთობაზე, რომელთაც ოჯახური ცხოვრება სურთ.

ისღა დამრჩენოდა პასუხებს დავლოდებოდი.

— — — —

როგორც მეგონა, პასუხების რაოდენობამ ვერც ათასს მიაღწია, ვერც ხუთასს, ვერც ასს და ვერც ათს, მაგრამ ცხრა პასუხი მაინც მივიღე, რამაც ის მაფიქრებინა, რომ უოჯახო ქალები სინამდვილეში უფრო ნაკლები ყოფილან, ვიდრე წარმომედგინა.

რვა წერილს ქალთა სურათებიც მოჰყვა. ისინი ფოტოგრაფის მიერ შერჩეული კუთხიდან კი იყვნენ გადაღებული, მაგრამ ისეთი გაუბედურებული იერი ჰქონდათ, რომ ობიექტივმა მათი შეცვლა ვერ შეძლო. გაჭირვება სახეზე ეწერათ. ამ უშნო ქალთა გამოფენის ნახვით ისეთ გუნებაზე დავდექი, რომ წერილების წაკითხვის სურვილი სულ დამეკარგა. მხოლოდ მეცხრე წერილს გავეცანი, რადგან მას ფოტოსურათი არ მოჰყოლია.

„ბატონო ჩემო!

წერილი ალბათ შემდეგი ტრაფარეტული ფრაზით უნდა დამეწყო „თქვენმა განცხადებამ, რომელიც დღეს ამოვიკითხე, ჩემი ყურადღება მიიქცია..." მაგრამ ასე არ მოვიქეცი, რადგან ამ განცხადებამ მხოლოდ ღიმილი მომგვარა. თუ წერილს გწერთ, ეს იმიტომ, რომ თქვენი განცხადების ტექსტის სტრიქონებს შორის გონიერება ვიგრძენი. ეს ოვისება დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი

იშვიათია, რომ სიამოვნებით გავყვებოდი ასეთ კაცს, თუ ცოტაოდენ წარმოსადეგიც იქნებოდა. ეჭვი არ მეპარება თქვენ ჩემი მოსაწონი ადამიანი ბრძანდებით. ვფიქრობ, ჩემი ფოტოსურათის გამოგზავნა ჩვენს შემთხვევით გაბრორებულ შეხვედრას იდუმალებას დაუკარგავს. თუ თქვენ ცნობისმოყვარეობა გძლევთ და ჩემი ნახვის სურვილი დაგებადებათ, მომწერეთ. პარიზი, ფურის ქუჩა, ფოსტი განყოფილება. ქალბატონი გრიზარი. მოკითხვამდე (ეს ფორმა უმჯობესია). პაემანის დანიშვნა თქვენთვის მომინდვია, მე დროით შეზღუდული არ გახლავართ. ირწმუნეთ ჩემი თქვენდამი იქნებ ნაადრევი სიმპათიაც". ხელმოწერა მკვეთრი და ელვასავით დაგრაგნილი ჰქონდა. წერილი ორჯერ გადაიკითხე და პასუხის დასაწერად ყველაზე კარგი კალამი მოვიმარჯვე.

„ქალბატონო!

რახან შეხვედრის არჩევანი მე მომანდეთ, მომავალ ოთხშაბათს, სამ საათზე, რესტორან „ფლორში" დაგელოდებით. მე მგონი, უაზრო გარეგნულ ნიშნებზე წინასწარ შეთანხმება. თუ გვიწერია, ერთმანეთს შევხვდებით.

პოლ დიუტრა".

მიხარიოდა, რომ მომავალი ცივი გონებით განეჭვრიტე და ბედ-იღბალს ლაგამი ამოვდე.

თავი III

ქალბატონი გრიზარი რესტორან „ფლორში" შესვლისთანავე შევამჩნიე. ის დარბაზის სიღრმეში, სკამის კუთხეში ჩამომჯდარიყო და ირგვლივ გულგრილად, მშვიდად იმზირებოდა. მაგიდაზე ერთი ბოთლი ლუდი ედგა, რამაც ცოტა არ იყოს გამაკვირვა. ქალები იშვიათად სვამენ ლუდს. ამ სასმელს უფრო მამაკაცები ეტანებიან. ქალს თვალი ვერ გავუსწორე და სულელივით ბოთლის მოოქროულ ეტიკეტს დავუწყე ყურება... კაფეში შესვლისთანავე მიეხედი, რომ ქალბატონს თავისი ადგილი სათვალთვალოდ კარგად ჰქონდა შერჩეული. მის მზერაში საოცარი სევდა ჩამდგარიყო.

ქალბატონ გრიზარის მაგიდასთან დავიხარე. არ ველოდი, თუ ასეთ ქალს შევხვდებოდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეგონა, მამაკაცური, ხმელ-ხმელი გარეგნობისა იქნებოდა, გამოკვეთილი ცხვირით, წინ წამოწეული ნიკაპით. ნაკლებად მოსაწონი ქალის ნაცვლად ჭაღარათმიანი ახალგაზრდა ქალი დამხვდა. მის დახვეწილ, ჭკვიან სახეს ფერუმარილის ნატამალიც არ ემჩნეოდა. ნაადრევი ჭაღარა და უჩარჩოო სათვალე მის ახალგაზრდობას ვერაფერს აკლებდა. სახეზე ერთი ნაოჭიც არ ჰქონდა. ამ პირიყნებაში რაღაც დაგუბებული შმაგი სული ტრიალებდა, რაც მის თავდაჭერილ საქციელში არ იხატებოდა, ის არც თავის ლამაზად მოყვანილი სხეულის გამოჩენას ცდილობდა...

ტანთ რუხი ფერის პიჯაკი ეცვა, თეთრი აბრეშუმის ბლუზა, თავზე ტანსაცმლის შესაფერისი პატარა, შავი ქუდი ეხურა. ქალბატონ გრიზარს რომ მოესურვა, შეძლებდა კიდეც ათასგვარი ფერის მაკიაჟით თავი გაეახალგაზრდაებინა, მაგრამ გამოგიტყდებით და ვაფასებ, როცა ქალს თავისი ასაკის არ ეშინია და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მოდის პაემანზე. მისი გულწრფელი საქციელით მოვიხიბლე.

— თუ ნებას დამრთავთ... — ვუთხარი და თან სკამი გავწიე.

მან დინჯად შემათვალიერა.

— ესეც მე... — ვთქვი და ამოვიოხრე... — ეს კი თქვენ ბრძანდებით... მაპატიეთ, ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ მერწმუნეთ ამ როლში პირველად ვარ.

მან სათვალე მოიხსნა. სახე გაუახალგაზრდავდა, გაუნათდა კიდეც.

— თქვენ სულ ახალგაზრდა ყოფილხართ! — თქვა მან.

— ოცდათექვსმეტი წლისა გახლავართ...

— თქვენ კი წერდით, რომ...

— განცხადებაში ჩემი ასაკი ხასიათით განესაზღვრე. გულახდილად გეტყვით, რომ ჩემი გუნება-განწყობის შესაბამისად უფრო დიდი ასაკი ვსწერ ხოლმე.

— ნუთუ?!

— დიახ.

— ო, თქვენ უდავოდ სცდებით, უხასიათო მამაკაცი ამ ნაკლს თავის თავს ვერ ამჩნევს; აი, სწორედ ეს არის ხნოვანების პირველი ნიშანი.

— ფილოსოფიაში გადაეშვით?

— მე თქვენზე უფროსი ვარ, — წაიჩურჩულა ქალმა.

— შეიძლება შეგეკითხოთ, რამდენი წლით?

— ექვსი წლით.

— ესე იგი, ორმოცდაორი წლის ბრძანდებით?

— დიახ.

— ვერ დავიჯერებ... მე ვიტყოდი, რომ დაახლოებით...

— რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყოდით, მთავარია, მე რამდენი წლისა ვარ. ქმარსა და ცოლს შორის ექვსი წელი სხვაობა ნორმალურად ითვლება, როცა ქმარია უფროსი, ჩვენს შემთხვევაში კი... ცოტა უხერხულია.

— არა ხართ მართალი! — ისე წამოვიყვირე ეს ფრაზა, რომ ქალს სევდიანად გაელიმა. — არა ხართ მართალი. თქვენ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით, ვიდრე მე. პირიქით მგონია, რომ ეს სხვაობა წინასწორობის კანონის ძალით წაიშლება.

— რა ძალით წაიშლება?

— ნუთუ ქალთა ყოველკვირეულ გაზეთში არ წაგიკითხავთ? ქალები უფრო მეტხანს ცხოვრობენ, ვიდრე მამაკაცები.

ეს ნათქვამი, ეტყობა, ესიამოვნა ქალბატონ გრიზარს.

— ჩვენ ხომ ჯერ არ დავბერებულვართ!

— საბედნიეროდ, არა... მინდოდა თქვენი ეჭვები გამექარწყლებინა.

ყოველგვარი შელამაზების გარეშე, რაც შეიძლება მოკლედ მოვყევით ჩვენ-ჩვენი თავგადასავალი. პირველად შევამჩნიე, რომ ჩემი ცხოვრება საკმაოდ ცარიელი და უფერული ყოფილა: ნებიერ ბავშვობას საშუალო სკოლაში სწავლა მოჰყვა, მერე მშობლები ავტოკატასტროფაში დამელუპნენ, მერე ჩრდილოეთ აფრიკის სამხედრო პოლკის ბაზაში ლეიტენანტის წოდებით ვიმსახურე. შემდეგ უფრო დაბალ თანამდებობაზე მოვინდომე სამსახური... ამას მოჰყვა ჩემი დემობილიზაცია და მერე უბანგაში დავიწყე მუშაობა ადმინისტრატორის თანამდებობაზე... იქაურმა ექიმმა ჩემი ღვიძლის რენტგენის სურათი რომ ნახა, მირჩია იქაურობა დამეტოვებინა...

ქალბატონი გრიზარი ისეთი ყურადღებით მისმენდა, თითქოს თითოეული ჩემი წარმოთქმული სიტყვა უფაქიზესი აპარატის ხმარების წესს ეხებოდა. მომწონდა მისი მოცისფრო-მონაცრისფერო თვალები, სავსე ტუჩები, რუხი თმა. მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახის იდუმალი სევდა ჩემზეც გადმოდიოდა.

— ესეც ჩემი ცხოვრება, — ვუთხარი ჩურჩულით. — ხომ ხედავთ, ერთი ჩვეულებრივი ცხოვრება მქონია.

მან მოწყალედ გამიღიმა.

— ყველა ხომ მარკო პოლოსავით ვერ იცხოვრებს. ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო უღიმღამოა; დეიდა მზრდიდა, მშობლები თქვენსავით, ახალგაზრდები დამელუპნენ. დეიდაჩემის აუტანელი ხასიათის გამო თვრამეტი წლისა გავთხოვდი, მაგრამ მეუღლეს უარესი ხასიათი აღმოაჩნდა. ამ მიზეზით ჩვენ ძალე დავცილდით, როგორც კი ვაჟი შემეძინა.

ბოლო ფრაზა ცივი წყალივით გადამესხა თავზე. ვაჟი! მე ხომ დიდზე დიდი შიში მქონდა ბავშვებისა... მე ხომ იმიტომ გადავწყვიტე მოწიფული ქალი შემერთო, რომ ბავშვები არ მყოლოდა!

მან შეამჩნია ჩემი იმედგაცრუება, ან კი როგორ ვერ შეამჩნევდა, ღმერთო ჩემო, მე ხომ ყველაფერი სახეზე მაწერია.

— მეოცნებე ხართ? — ხმადაბლა წარმოთქვა ქალმა. მის ხმაში ირონიასთან ერთად გულგატეხილობაც გამოსჭვიოდა.

— მაპატიეთ, მაგრამ მამობრივი გრძნობა არა მაქვს განვითარებული.

— ჩემი ვაჟი ოცდასამი წლისაა...

— რა თქვით?

— შვილი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ შემეძინა. აბა გამოთვალეთ: თვრამეტს მივუმატოთ ერთი წელი — ცხრამეტი, ცხრამეტს მივუმატოთ ოცდასამი ხომ ორმოცდაორია?

ამ გამოთვლამ შვება სულაც არ მომგვარა.

„ჩემო პატარა პოლ, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — შენ რა, ოცდათექვსმეტი წლის ასაკში ხომ არ აპირებ ისეთი ქალის შერთვას, რომელიც დღეს ხვალ ბებია შეიძლება გახდეს?“ სასაცილო იყო და, როგორც თვითონ ქალბატონმა გრიზარმა აღნიშნა, უხერხულიც.

— მე მგონი, ამაოდ ჩამოხვედით, — წაიჩურჩულა ქალმა. — პარიზში ჩამოსულ კაცს გერჩივნათ თეატრში წასულიყავით და საინტერესო პიესა გენახათ, მაშინ საღამოც უქმად არ ჩაივლიდა,

მხრები ავიჩეჩე. შემეძლო ისე მოვქცეულიყავი, თითქოს ეს ყველაფერი მე არ მეხებოდა, ვითომც აქ არაფერიო, ფეხის წვერებზე გავპარულიყავი, მაგრამ ჩემი ბუნება არ მაძლევდა ამის ნებას.

— ამ შემთხვევას აშკარად არ ველოდი, უნდა მოვიფიქრო...

— ჰო, უნდა მოიფიქროთ...

ქალბატონი გრიზარი გაღიზიანდა. ჩემმა ნათქვამმა, მგონი, გააბრაზა კიდეც, იმიტომ კი არა, რომ საკუთარ თავზე ვიფიქრე, მისთვის გასაგები იყო ჩემი საქციელი, არამედ იმიტომ, რომ ჩემი წამონაროში „უნდა მოვიფიქრო“ ქორწინების იმედს უნახევრებდა.

შევეცადე სულელური ნათქვამი გამომესწორებინა:

— ...ჩემი აზრი ასეთია: არა მგონია წამომყვეთ და თავი დაიმარხოთ იმ მიყრუებულ სოლონში.

მან პასუხი არ გამცა. ორივე გავჩუმდით. თითქოს ეს გარინდება ორივესთვის აუცილებელი იყო...

დარბაზში, სადაც ჩვენ ვისხედით, სიხალვათე შეინიშნებოდა, მომსვლელები უფრო ტერასაზე გადიოდნენ, მცხუნვარე მზეს ეტანებოდნენ.

— თქვენი ვაჟი ცოლიანია?

ეს აზრი უცებ მომივიდა თავში და მოულოდნელად წარმოვთქვი.

— არა, სტუდენტია, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს.

— კი მაგრამ...

მომერიდა შეკითხვისას მორიგი სისულელე არ წამომცდენოდა. ქალს ინტუიციასთან ერთად ჭკუაც უჭრიდა.

— ჰო, — ღრმად ამოიოხრა, — ის ჩემთან ერთად ცხოვრობს. წინასწარ ვიცი, გავხდები თუ არა დედამთილი, ოჯახს უნდა გავეცალო. იმ ეზოს მეხუც დედებს არ ვეკუთვნი, შვილებს რომ თავს აბეზრებენ.

მან ჭიქა ბაგეთან მიიტანა და ფრთხილად მოსვა, ისე, როგორც პომადაწასმული ქალები ცდილობენ ხოლმე სალებავის შენარჩუნებას, თუმცა თვითონ შეუღებავი ტუჩები ჰქონდა. მერე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— გამომშვიდობების დროც მოვიდა... გამოგიტყდებით, გულში სულაც არ ვნანობ თქვენთან შეხვედრას. ჩვენდა უნებურად პატარა თავგადასავლის მონაწილენი გავხდით. ქალი ასეთ შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, კიდეც რომ კეთილი ბოლო არ ჰქონდეს.

ქალბატონი გრიზარი წამოდგა. მე სულელივით ვიჯექი და თევზივით გაყინული თვალებით შევყურებდი.

— ცოტა ხანს დაიცადეთ...

ის მაგიდას მიეყრდნო. კოსტუმის ქვედატანი მრგვალ თეძოებზე მჭიდროდ ჰქონდა მომდგარი და მის უნაკლო ტანს ამშვენებდა... სწრაფად წამოვდექი. ვგრძნობდი, თუ გრიზარი წავიდოდა, ვერასოდეს ვნახავდი. ამ აზრთან შეგუება კი მიჭირდა. მხოლოდ მისი მოხდენილი ხელწერის წყალობით შევძელი მთელი ერთი კვირა მეფიქრა მასზე... ახლა კი თავად იდგა ჩემ წინაშე უცნაური და მშვენიერი, მშვიდიც და მღელვარეც. ხან მაწყნარებდა, ხან ვნებას მიშლიდა. მოსწრებული შეილის, უბრალო ჩაცმულობის და ჭალარაშერეული თმის მიუხედავად, მაინც თვალში მოსახვედრი ქალი გახლდათ. უცნაურია ქალის ბუნება — დღეა თუ ღამე, ერთდროულად სიმშვიდისა და მღელვარებისათვის არიან შექმნილნი.

გრიზარის გამონაკვთული ტანი ისეთ მხურვალებას გამოსცემდა, რომ ვგრძნობდი, მისი სხეული მწყუროდა.

— არ წახვიდეთ!

— კი მაგრამ...

— დაბრძანდით!

ჩამოჯდა. არ იცოდა, რა ელოდა. მე რაღაც უნდა მეთქვა, რაღაც მომეხერხებინა.

— თქვენთვის მოულოდნელი იქნება ალბათ... ამ საღამოს ერთად ვისადილოთ თქვენს ვაჟთან ერთად. მე მგონი, აუცილებელიც არის გავიცნოთ ერთმანეთი.

— თქვენი ნებაა.

— თქვენმა ვაჟმა იცის ჩვენი ამბავი?

— ასე იცის, რომ მე წერილი მივიღე სამხედროში მყოფი დიდი ხნის მეგობრისაგან...

გრიზარს ნიადაგი შეუმზადებია, რა მეთქმოდა, სხვა ახსნა-განმარტება არც იყო საჭირო.

— წავიდეთ აქედან... — შევთავაზე.

— სად?

— სად? მეც არ ვიცი. სხვაგან წავიდეთ... ჩვენ ხომ ქუჩაში ერთმანეთის ჯვერდით არასოდეს გვივლია...

— მართალი ხართ, — წაიჩურჩულა,—ნაბიჯის შეწყობა არცთუ ისე იოლი საქმეა, იქნებ უფრო ძნელი, ვიდრე სხვა რამ.

ანგარიში გავასწორე და სენ-ჟერმენის ბულვარზე გამოვედით. ამ ადგილებში დიდი ხანია არ გამეცლო. უკანასკნელად, როცა ამ გზაჯვარედინზე ვიდექი, ზანგები თითო-ოროლა თუ გამოჩნდებოდნენ, ხმაური არ ისმოდა, მოძრაობაც ნაკლები იყო... ახლა კი ბრბოს რიგ რიგ ცოტა არ იყოს მაშინებდა. ამ აურზაურის შემდეგ ნუთუ საღამოს გაზეთები არც ერთ საავტომობილო კატასტროფას არ გამოაცხადებდნენ? სენ-მიშელის მიმართულებით ასაოლ ბეტრი გავიარეთ.

— ერთად სიარული არ გვიჭირს, არა? — მითხრა მან.

მე შევჩერდი.

— რა გქვიათ?

— საბუთებით ანა-მარია მქვია, ისე კი მინას მეძახიან.

„ეძახიან" — ეს სიტყვა არ მესიამოვნა. მაშასადამე, ეიეჭვიანე. მინა! — ეს სახელი ცოტა ღიმილს კი მგვრიდა, მაგრამ ქალბატონ გრიზარს უხდებოდა.

თავი IV

მინას ვაჟს დომინიკი ერქვა. ჩემმა წარმოდგენამ არც აქ გამიმართლა. დედას არ ჰგავდა. მაღალი, ჩაფსკვნილი ყმაწვილი გახლდათ. უხეშ სახეზე რკინის სავარცხლით დაყენებული ქერა, ოფოფივით აჩეჩილი ქოჩორი ედგა. მუქი ფერის მხიარული თვალები ჰქონდა. ტრადიციულად არ ეცვა — არც უჯრედებიანი პერანგი, არც ველურის ნაჭრის შარვალი, არც ხელოვნური ბეწვის ქურთუკი, მის ღიღილოსფერ პერანგს და შარვალს აქლემის ბეწვის მოხდენილი ქურთუკი ამშვენებდა. ერთობ მოდური ვინმე იყო. მის შემხედვარეს ცოტა არ იყოს ღიმილი მომერია. შევშინდი კიდეც: რა საშინელი ბავშვია-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ დომინიკი, მართალია, თავნება ბიროვნება ჩანდა, მაგრამ საკმაოდ თავდაჭერილიც გახლდათ. მინამ ერთმანეთი გაგვაცნო. ჩვენ უნდობლად, მოკრიჟეებივით შევყურებდით ერთიმეორეს, რომელთაც ჯერ ერთმანეთის ძალა არ მოუსინჯავთ. მე ხელი გავუწოდე.

— მოხარული ვარ! — ვთქვი ხმადაბლა.

მან დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი.

— მაშ, თქვენ დედაჩემის მეგობარი ბრძანდებით, არა? ბოლო ხანს სულ თქვენზე მელაპარაკებოდა...

მინა გაწითლდა, თვალი ამარიდა. იქნებ ჩემი მხრივ სისულელე იყო, მაგრამ ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა გავიგე, რომ მინა ჯერ არ მიცნობდა და თავის შეილს მაინც სულ ჩემზე ელაპარაკებოდა.

— როგორც გავიგე, აფრიკიდან ჩამობრძანდით, არა?

— დიახ.

— ღირს იქ წასვლა?

— გააჩნია რა მიზნით.

— მხატვრისთვის არის საინტერესო?

—არა, იქ მეტისმეტად მჭახე ფერებია... რას იზამ, ღმერთის ნებაა ყველაფერი! ვან გოგის ნახატები ნისლიანი მოგეჩვენებათ იქაურ ფერებთან.

ვაჟმა გადაიხარხარა.

— გიყვართ მხატვრობა?

— გააჩნია... ხომ უნდა მომეწონოს. კარგ ნახატებად ითვლება ზოგი, მაგრამ მათი სილამაზე ჩემს გულს არ ეკარება.

— ჩემს ნახატებს გიჩვენებთ.

— სიამოვნებით ვნახავ.

სასადილოდ ელისეის მინდვრების ერთ დიდ რესტორანში წავედით, საუბარი დომინიკს მიჰყავდა. მე დროდადრო ვეხმიანებოდი. დედამისი გვისმენდა. ისინი ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და და-ძმას უფრო ჰგავდნენ, ვიდრე დედა-შვილს.

მართალია, დომინიკი მხატვრობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ [illegible] ვრცელი გასტოლებია. დროდადრო საუბრის ძაფი მიწყდებოდა, რადგან ყურადღება ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაზეც გადამქონდა. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება მოულოდნელი. ვიჯექი დიდ რესტორანში ქალთან ერთად, რომელსაც დღეს დილითაც კი არ ვიცნობდი, თან ვაჟის თანდასწრებით, რომელიც მიმტკიცებდა მხატვრობაში ბრაკის გავლენას მოდერნისტულ მიმდინარეობაზე.

ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ მართლაც ვაპირებდი ამ ქალის ცოლად შერთვას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ქერა გოლიათის მამინაცვალი უნდა გავმხდარიყავი. სუფრასთან სიჩუმე ჩამოდგა. ოცნებიდან გამოვეხიზლდი. დომინიკი ღიმილით შემომცქეროდა.

— თქვენ სხვა რაღაცაზე ფიქრობთ, — მითხრა მან თითქმის საყვედურით.

— მართალი ბრძანდებით, მაპატიეთ... მე...

— რა თქვენ?

ჭაღარათმიან ქალს შევხედე. სათვალის მოელვარე მინებიდან იასამნისფერი მზერა არ მცილდებოდა.

— დომინიკ, მინდა ახლავე გითხრათ, რომ დედათქვენის ცოლად შერთვას ვაპირებ, თუ მისი სურვილიც იქნება...

ვაჟს პირზე ღიმი შეაცივდა. ერთი წუთით გაშეშდა. მერე თავი მინისკენ მიაბრუნა.

— მართლა?

მინა თვალს არ მწყვეტდა. წესით ეს ჩემი მოურიდებელი განცხადება ძალმომრეობად უნდა მიეღო და არ დამნებებოდა.

— ჰო, დომინიკ, მართლა.

თითქოს განგაშის ზარმა ჩამორეკა ჩემს სულში. მოელი არსებით ავფორიაქდი.

დომინიკმა შესვა თავისი ჭიქა ბურგუნდიული ღვინო. გრძნობდა, რომ მის საქციელს ვუთვალთვალებდით, და ყურადღება აღიზიანებდა.

— მერედა რა, — ჩაიბურდღუნა მან, — ნუ მიყურებთ ისე, თითქოს ჩემს თანხმობას ელით.

მე მხრები ავიჩეჩე.

— დიახ, ველით...

— ჩემგან რა პასუხს ელით, მამამისი ხომ არა ვარ, შვილი ვარ.

— სწორედ რომ მამის თანხმობის გარეშე შეიძლება გადაწყვეტილების მიღება, შვილის გარეშე კი არა!

— რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები, ისედაც ვიცი, რომ დედაჩემი ქალია. კეთილი, დაქორწინდით, იყავით ბედნიერნი და გამიჩინეთ პატარა დაიკოები.

მინამ პირისახე თავისი ვაჟისკენ მიაბრუნა. ის გაჩუმდა, გაწითლდა, მერე წაილუღლუღა:

— ჩემთვის მოულოდნელია ეს ამბავი, ხვდები თუ არა?

— ვხვდები...

— გამზარდე, ცხოვრება გაიმწარე, არა, დე, უარს ნუ იტყვი; მე ვიცი, რასაც ვამბობ, სამაგალითო იყავი... იფიქრე საკუთარ თავზე, გავიგებ, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, კარგი გარეგნობა გაქვს...

— კმარა, დომინიკ! — არ ესიამოვნა დედას.

— თქვენც ხომ მეთანხმებით, ბატონო დიუტრა...

მე სიცილი ამიტყდა.

ასე მოგვარდა ჩვენი ამბავი.

იმავე საღამოს ქორწინების თარიღი დავთქვით და სამი კვირის შემდეგ მეათე რაიონის მერიაში ხელი მოვაწერეთ.

მანამდე მინას არ სურდა რონშიეში ჩასვლა.

„თქვენს მამულს ხომ არ მივყვები ცოლად ან თქვენს სახლ-კარს, თქვენ უნდა გამოგყვეთ, — მეტყოდა ხოლმე, როცა შევთავაზებდი ჩემს მხარეში გასეირნებას, — თუ თქვენსას მაინც არ მოიშლით, პოლ, ჩვენი საქორწილო მოგზაურობა იქ მოვაწყოთ“.

ასეც მოხდა. ერთ დილით ჩვენ დავქორწინდით. მოწმეებად მერიის თანამშრომლები დავისწარით. დომინიკმა ამ ცერემონიალზე არ ინება მობრძანება. წინა დღით ამხანაგებთან ერთად იტალიაში გაემგზავრა. შეგვპირდა, ჩამოვიდოდა თუ არა, გვინახულებდა.

ვშიშობდი, ვაჟის არყოფნა მინას დაანაღვლიანებდა, მაგრამ პირიქით, ქალი უდარდელად გამოიყურებოდა, თუმცა მეტისმეტად ღელავდა. მერიიდან რომ გამოვედიოდით, მთხოვა, რონშიეში წავიდეთო. მანქანაში ჩემ გვერდით იჯდა, ამ გარემოში სატრაბახოდ რაკეტაში ჩამჯდარ კაცს ეგავდი, შორეულ ვარსკვლავეთში რომ მიდის სამოგზაურიოდ. ამიერიდან კანონიერი ცოლი მყავდა. ჩემს ულიმლამო, ეგოისტურ ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა.

მინამ წინა დღით ტანსაცმელი ჩემოდნით გააგზავნა რონშიეში. თავისი პატარა ბინის ავეჯი კი შვილისთვის უნდოდა დაეტოვებინა. ან კი რა საჭირო იყო, ჩემიც კმაროდა. ვცდილობდი ისეთი გარემო შემექმნა მინასთვის, რომ თავისი წარსული არ მოგონებოდა. ჩვენი ქორწინება სიცელქეს კი წააგავდა, მაგრამ იქიდან თავს ვერ დავაღწევდით. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვრჩებოდით, როგორც თაროზე დაწყობილი წიგნები...

ისე მივედით პიტივიემდე, ერთმანეთისთვის სამი სიტყვაც არ გვითქვამს. ჩემი მეუღლე გაშეშებული იჯდა და ბუნებას ათვალიერებდა. მე კი ვითომ მისი საქციელით ვიხიბლებოდი. ქალაქი გავიარეთ. უცებ მოვედი აზრზე, რომ შუადღე გადასულიყო და ალბათ გვშიოდა კიდეც.

— სასაუზმოდ აქ ხომ არ შევჩერდეთ?

— თქვენი ნებაა.

სურითი დაფარული ერთი სასტუმრო შევამჩნიე და მანქანა მის ფართო ეზოში დავაყენე. შენობა სხვა სასტუმროებისაგან არ განსხვავდებოდა, გოთური წარწერებით და სპილენძის მოსართავებით. მინა ჩამოჯდა, მეც მის პირდაპირ ვაპირებდი დაჯდომას, მაგრამ მან თავის გვერდით მდგომ სავარძელზე მანიშნა:

— პოლ, ჩემ გვერდით დაჯექით...

შევყოყმანდი. ვერ გამეგო, მეპატიჟებოდა თუ მიბრძანებდა. გზას ვადექი და სჯობდა გაუგებარ სიტუაციაში არ ჩამეყო ცხვირი, მაგრამ მინა ისე მიღიმოდა, უარი ვერ შევბედე.

მას ტანთ რუხი ფერის შალის კაბა და იმავე ქსოვილის გამოყვანილი მანტო ეცვა. ტუჩები ოდნავ ჰქონდა შეღებილი, ღაწვებიც ოდნავ მოეფიფქა პუდრით.

მართლაც ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მინა უფრო მასწავლებელ ქალს ჰგავდა, რომელსაც ყმაწვილების კლასი ჩააბარეს და ცდილობდა მკაცრი გამომეტყველება ჰქონოდა.

სადილად შემწვარი ხორცი მუხუდოთი და ბაყაყი შევუკვეთეთ. მინა თავის თეფშს დაჰყურებდა. საჭმლის ორთქლმა სათვალე დაუნისლა. მან სათვალე გასაწმენდად შეიხსნა. უსათვალოდ ისეთი ახალგაზრდა გამოჩნდა, რომ გაოცებისაგან წამოვიყვირე:

— უსათვალოდ ათი წლით პატარას ჰგავხართ!

— ვაი რომ...

სათვალე გამოვართვი და ცხვირზე ისე წამოვიცვი, როგორც ისინი, ვინც არ ატარებს.

— სათვალეს ყური არ მოწყდეს, — შემახსენა მინამ.

სწრაფი მოძრაობით სათვალე ხელთ მოიგდო. წარბშეჭმუხნულმა დავუთმე.

— მითხარით, ძვირფასო მინა...

მას თავისი დარბაისლური მშვიდი იერი დაუბრუნდა.

— გისმენთ, პოლ!

— თქვენს სათვალეს უბრალო მინები აქვს, არ ადიდებენ, არა?

— როგორც ჩანს, — წაიჩურჩულა, — მხოლოდ დამცველი თვისება აქვთ. არც ბეცი ვარ და არც შორსმხედველი, მაგრამ სუსტი თვალები მაქვს, ადვილად მიღიზიანდება. თუ სათვალეს არ გავიკეთებ, ერთ საათში რუსული ჯიშის წითელთვალება კურდღელს დაუემსგავსებიან. მოგეწონებათ?

უგულოდ გამეცინა. გულახდილად გეტყვით, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი მინასთან. არც ის მინდოდა სულელივით ალერსიანი მეუღლის როლი მეთამაშა; ჩვენი ნაცნობობა ისე დაიწყო, რომ დიდ თავდაჭერილობას ითხოვდა... მეორე მხრივ ჩემი დაძაბული საქციელი ეკლესიის მსახურს მამსგავსებდა. ჭამის დროს ცოტას ვლაპარაკობდი. სიმუნჯის კარგი მიზეზი გვქონდა: ხორცი გემრიელი იყო.

მანქანაში ჩაჯდომისას ვიგრძენი, რომ სათქმელი უნდა მეთქვა და წერტილი უნდა დამესვა.

— მომისმინეთ, მინა...

მან თავი გაიქნია.

— პოლ, არ არის საჭირო, მე ყველაფერს ვხვდები...

— რას ხვდებით?

— რასაც ფიქრობთ. რაც პარიზიდან მოვდივართ, სულ თქვენს თავს უჩიჩინებთ, რომ სისულელე ჩაიდინეთ და თუ, გულისთქმას აჰყვებით, შეიძლება ზეად სადმე ჩამომსვათ კიდეც, არა?

— არა, მინა... ამას არ ვფიქრობ...

მუშტები შუბლზე ვიკარი.

— მინა, გამიგეთ, სულაც არ ვნანობ თქვენს შერთვას, მხოლოდ არ ვიცი... არ ვიცი, როგორ მოვიქცე, გესმით? ქორწინება ისეთი ცივი გონებით გადავწყვიტეთ, რომ...

ის წუთით გაიყუჩა.

— გასაგებია, პოლ, მე თქვენი თანამეცხედრე არ ვიქნები!

მინა სცდებოდა. ბოლმა მახრჩობდა. მანქანა უცებ დავამუხრუჭე და ფერდობზე შევჩერდი.

— ო, რა სულელი ხართ, ვერაფერს ხვდებით, მე... მე... — არ ვიცი, როგორ მოვაგვარე საქმე. გახსენებაც არ მინდა. ისე მოხდა, რომ ერთი წუთის შემდეგ

მინა სკამის ზურგზე აღმოჩნდა გადაწოლილი. ჩვენი ბაგეები შეერთდნენ, ჩემი მოუხერხებელი ხელები კი მისი კაბის კალთისკენ მიიწევდნენ.

თავი V

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შევუდგები იმის მოყოლას, თუ რა დღეები დამიდგა ჩვენი ქორწინების შემდეგ. ვიქნები სიტყვაძუნწი. ჩემს ცხოვრებაში ამ ბედნიერ დღეებს ვერასოდეს დავივიწყებ.

მართალია, ქორწინება ცივი გონებით გადავწყვიტე, მაგრამ ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ სიცხადე ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა. მინა მხოლოდ გარეგნულად იყო დინჯი და მშვიდი, შინაგანად ნამდვილ ტაიფუნს ჰგავდა. საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი: "თუ ქორწინებას ასეთი ბედნიერების მოტანა შეეძლო, მაშ, ჩამოყალიბებული კრეტინი ვყოფილვარ, რომ ეს ნაბიჯი ადრე არ გადავდგი-მეთქი.

ხანდახან ისევ დაედიოდით ფაშფაშა ვალენტინას სასადილოში. გზად ცოტა სუფთა ჰაერსაც ვყლაპავდით, მაგრამ ვალენტინა ჩვენ არ გაგვკარებია. მგონი, ეთაკილებოდა, რომ მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. სეირნობა მის სასადილოს არ სცილდებოდა. მთელი დროის ცხრა მეათედს ჩვენს თეთრ სახლში ვატარებდით, რომელიც მინას უზადო გემოვნებით იყო მოწყობილი. ყველაზე მეტად თვალი ლოგინისკენ გვეჭირა. დაუსრულებლად ვეხვეოდი, ეკოცნიდი, გულში ვიხუტებდი, ყურში სისულელეებს ვეჩურჩულებოდი. მართალია, მინა მღელვარე ბუნების ქალი იყო, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ქალიშვილურ მოკრძალებას და ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობის ყველაზე ვნებიან წუთებში ისეთი თავშეკავება იცოდა, რომ სისხლს მიმღვრევდა.

ასეთი ცხოვრება ზუსტად ცხრა დღე გაგრძელდა. მეგონა, ბედნიერებას დასასრული არ ექნებოდა. ჩვენი სიმყუდროვე მინას ვაჟის მიერ გამოგზავნილმა წერილმა დაარღვია. ჯადოსნური დღეები შეწყდა, როგორც ანაზდად მიწა გამოგეცლება! წერილი თავისთავად თბილი იყო. ახალგაზრდა კაცი გვატყობინებდა, რომ იტალიიდან ჩამოვიდა, ბედნიერებას გვისურვებდა და ბოდიშს იხდიდა, რომ, როგორც შეგვითანხმდა, რუანშენში ვერ გვეწვია. მიზეზი ის იყო, რომ ჩამოსვლისას ფეხი უტკენია და სახლიდან ვერ გამოდიოდა. ეს ამბავი ჩვენს ვნებით სავსე ცხოვრებას ცივი შხაპივით გადაეკარა. მინა გიჟ დელად გადაიქცა. უარესი ამბის შიშმა შეიპყრო.

— უნდა დაებრუნდე, — მითხრა მან.

— ერთად წავიდეთ, ძვირფასო...

ქალმა ფარული ცრემლი მოიწმინდა.

— მარტო ნახვა არ კმარა, პოლ, ხომ გესმის. დომინიკს ჭრილობა აქვს და სულ მარტოა ჩვენს პატარა ბინაში...

მინდოდა მეთქვა, რომ საღელვებელი არაფერი იყო, რადგან ვეჭვობდი, დომინიკს ქალის ხელი მოაკლდა და მოსავლელად დედა გამოიძახა. თავი შევიკავე. არაფერი მითქამს. მინას ჩემი ეჭვი შეიძლება ვერც გაეგო.

მაშინვე გავემგზავრეთ. ორი საათის შემდეგ პარიზის ბინაში ვიყავით. კარი გასაღებზე არ იყო დაკეტილი. ჩარჩოში ქაღალდი იყო გაჩხერილი. „ნუ დარეკავთ, ისე შემოდით". ჩვენც ასე მოვიქეცით.

ლამაზი დომინიკი მარტო იჯდა შინ, საშინაო ხალათში გამოწყობილი, გრძელ სკამზე ხატავდა. მარცხენა ფეხის კოჭი მაგრად ჰქონდა გადახვეული და ნატკენ ფეხს პუფზე ასვენებდა. როგორც კი დაგვინახა, ხატვა მიატოვა.

— ერთი შეხედეთ, შეყვარებულები ჩამოსულან! — ხმადაბლა წარმოთქვა. მინა ტირილით გადაეხვია. მე კი მოწყენილი ვიდექი. დომინიკზე ვბრაზობდი. თაფლობის თვე ჩაგვიმწარა. მაინც გაკუღიმე.

— რა მოგიკიდა, მეგობარო?

— ნუ გამახსენებთ; მატარებლიდან ჩამოვდიოდი და უცებ ტყაპანი მოვიღე. ორი კვირა მაინც ვერ შევძლებ სიარულს.

მინდოდა ვცემოდი და მომეკლა... სიმპათიური კი იყო... ლამაზი, ხალვლიანი თვალებით მიყურებდა.

— ერთმანეთს როგორ შეეწყვეთ? თქვენ გეკითხებით!

მე გავწითლდი. ეტყობა, შვილი განიცდიდა დედის გათხოვებას. თავი კი თამამად ეჭირა, ღირსებას ინარჩუნებდა.

— გტკივა? — წუხდა მინა, ხედავდა რა, რომ დომინიკს ტკივილისაგან სახე ემანჭებოდა.

— ჰო, საკმაოდ მტკივა...

მინა ჩემკენ შემობრუნდა.

—მე აქ დავრჩები, პოლ, მანამ ბიჭი არ წამოდგება. იმედი მაქვს არ მიწყენთ...

იმ წუთში არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მთელ ჩემს სხეულში მწუხარებამ დაისადგურა. მინას გარეშე ყოფნაზე ფიქრიც კი ავად მხდიდა... ამ მდგომარეობის გამოსწორებას რამდენიმე დღე არ ეყოფოდა. მინა მჭირდებოდა. მეორე მხრივ მისი საქციელიც გასაგები იყო. ავადმყოფ შვილს ცარიელ სახლში მარტოდ ხომ არ დატოვებდა.

— დომინიკ, იქნებ ჩვენთან წამოხვიდეთ... სოფლის ჰაერი მოგეხდებათ...

მან შემომხედა. სახე უცნაურად გაუხათდა.

— მართალს მეუბნებით?

მინამ მთელი ძალით ხელი ჩამჭიდა. მისი ვნებიანი ალერსი ცეცხლის ალივით მომედო მთელ სხეულში.

— რა სულგრძელი ხართ, პოლ!..

— სულგრძელობა რა შუაშია, უბრალოდ, უნდა შევეგნოთ, რომ დღეიდან ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

ყველაფერი სწრაფად მოგვარდა... მინამ უცებ ჩაალაგა შვილის ჩემოდანი. მე დომინიკს ჩაცმაში მიეხმარე, მერე ზურგზე მოვისვი და მანქანამდე მივიყვანე.

———

დომინიკი ჩემი სახლ-კარის ქებად იქცა. ყმაწვილ კაცს ყველაფერი აღაფრთოვანებდა. ჩემი დახვეწილი გემოვნება მოსწონდა და სულ მიმეორებდა, რომ ჩემნაირ ადამიანს არ შეხვედრია. დომინიკს საერთო ოთახში მივუჩინეთ კუთხე, ფართო ფანჯარასთან, რომელიც ტყეს გასცქერიდა. ვაჟმა სახატავი ქაღალდები იქვე მოიწყო და უბედნიერეს კაცად იგრძნო თავი.

მოსაწონად ვერ ხატავდა. არ ვიცი, მხატვრობის რომელი სკოლის მიმდევარი იყო, მაგრამ ძალზე სუსტი მოსწავლე კი გახლდათ... ხატვას რომ დაამთავრებდა, მთელ ნამუშევარს თეთრი საღებავით გადაჯღაბნიდა ხოლმე. სიამოვნებას ჰგვრიდა ამგვარი საქმე და მეც მის ბოლო აკორდს მოსაწონად ვთვლიდი.

რონშიეში ვაჟის ჩამოსვლის შემდეგ ჩვენს ბედნიერებით აღსავსე ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. ოჯახში რაღაც რიტმი შეიქმნა. ყველა მის წესს დავემორჩილეთ. ადრე ვდგებოდით, დროულად ვჭამდით. მინა გამირბოდა. შვილის ჩამოსვლამ თითქოს მთლიანად შესცვალა. თავდაჭერილად იქცეოდა და არაფერს გა-

მოხატავდა. ხანდახან, შვილის თანდასწრებით, როცა ქალს წელზე ხელს მოვხვევდი, ელდანაკრავივით მიცილებდა.

უფრო მეტიც, მან ლოგინი გამიყო. განსაკუთრებით არც მე შრომითხოვია ჩემი უფლებები, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ქრებოდა ბედნიერება. დამეწყო მოუსვენარი ღამეები. ამეკვიატა ქალბატონ ბლანშენზე ფიქრი, სულ იმის ძიებაში ვიყავი, თუ რომელ ოთახში მოკვდა, ან საკუთარმა ქმარმა, მართლა მოწამლა თუ არა. მაგრამ ყველაზე მეტად დომინიკის მიმართ მისი სიობო და მზრუნველობა მიღრღნიდა სულს. სულ ერთად იყვნენ. როცა კი ოთახში მოულოდნელად შევიდოდი, სადაც ვაჟბატონი გაშხლართულიყო, ყოველთვის ერთმანეთის ალერსში ვხედავდი. მინდოდა მეყმუვლა. მათი ერთობა მაფორიაქებდა. მინამ ჩემგან პირი იბრუნა. იმ საღამოს შემდეგ, რაც მინა დაეპატრონა აქაურობას, პირველად ვიგრძენი, რომ ის შემოიჭრა ჩემს სახლში, რომ საკუთარი სახლიდან მაძევებდნენ, სადაც უკვე უცხოდ ვგრძნობდი თავს. ისინი ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, თუ მივუახლოვდებოდი, ჩუმდებოდნენ....

ერთ დღეს ველარ მოვითმინე და წამოვიყვირე:

— თუ ხელს გიშლით, ისიც მითხარით...

დედა-შვილი გაოგნებით შემომაცქერდა. მინა ჩემი ოთახისკენ წამოვიდა, სადაც პროტესტის ნიშნად ვიკეტებოდი ხოლმე.

— პოლ, — წამჩურჩულა, — ვერ გამიგია თქვენი საქციელი...

თითქოს ყელში რაღაც წამიჭირესო, ისე გამაღიზიანა თქვენობით მომართვამ.

— რას ბრძანებთ...

— მე მგონი, თქვენ ვერ გვიტანთ ვერც დომინიკს და ვერც მე...

მისი გამოხედვა ისეთი იასამნისფერი და სევდიანი იყო, როგორც არასდროს.

მზერაში არ იყო საყვედური, უფრო გაოცება და გულისტკივილი გამოსჭვიოდა.

— მინა, გამაგებინეთ, ოდესმე მაინც გიკითხიათ თქვენი თავისთვის, ამ კაცს მართლა ვუყვარვარ თუ არა?!

ამ შეკითხვამ შეაკრთო.

— პოლ, დამიჯერეთ...

— გაჩუმდით, დამაცადეთ ვთქვა სათქმელი.

თავი ვერ შევიკავე და მინა ჩემკენ მივიზიდე. გული ძალუმად მიცემდა.

ის ოდნავ უკან გადაიხარა და ვიგრძენი, როგორ შემეხო მისი სხეული. მთელ არსებაში ცეცხლმა დამიარა.

— მინა, აკი გითხარი, რომ შემიყვარდი, სიგიჟემდე შემიყვარდი... ჩემთვის მინდიხარ, მხოლოდ ჩემთვის.... შენთან ერთად მინდა ვიყო... მენატრება ჩვენი ღამეები...

მან მკვახედ მომიშორა.

— პოლ, არსებობს რაღაც, რასაც თქვენ ვერასოდეს გაიგებთ...

— ვიცი, დედაშვილურ სიყვარულზე მეუბნებით... თანახმა ვარ, თქვენ დედა ხართ, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, დომინიკი აღუა ხომ არ არის, კაცია!.. წამდაუწუმ ეჩურჩულებით, ყურზე კბენთ, თმაზე ეთამაშებით... გულწრფელად გეუბნებით, უხერხულია!

— ოჰ!

— მით უარესი, თუ ჩემი არ გესმით, მე სიმართლეს ვამბობ. თქვენი საქციე-

ლი მწყინს. ხან მეჩვენება, რომ ხელს გიშლით. იმის მაგივრად, რომ თავი უცხოდ თქვენმა შვილმა იგრძნოს, მე მეუფლება ასეთი განცდა...

— კეთილი, პოლ, ჩვენ წავალთ... მხოლოდ იმას გთხოვთ, სადგურამდე გაგვაცილეთ...

თითქოს სილა გამაწნესო.

— რაო?

— ასეთი სიტყვების შემდეგ აღარაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი... — ალბათ კიბოსავით გავწითლდი. სახე მეწვოდა, თვალები ნაღვერდალივით მიხურდა.

მინას ვეცი და მოვიმწყვდიე. ის შემეწინააღმდეგა, ეცადა მოვეშორებინე. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ვერაფერი შემიშლიდა ხელს, და ბედს დაემორჩილა. ქალს დავეუფლე. ეს მალული ხვევნა-კოცნა, მგონი, უფრო ველური და შმაგი იყო, ვიდრე ადრინდელი.

———

ამ შემთხვევის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გაუმჯობესდა. მხატვარს ნაკლებად ეალერსებოდა. მართალია, ცალკე იწვა, მაგრამ ჩემთვის კარი არ გამოუხურავს. ამ ვითარებაში სამი დღე გავიდა. გულწრფელად მინდოდა დომინიკი მალე გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობის გამოსწორებას პირი არ უჩანდა. კოჭი ძალზე სტკიოდა და ფეხს მიწაზე ვერ აკარებდა. კარგ სპეციალისტს რომ გაესინჯა, არ მეთანხმებოდა. ამტკიცებდა, რომ თავისი ექიმის რჩევით მანამ ფეხის მოძრაობა მთლიანად არ აღდგებოდა, სახვევი არ უნდა მოეხსნა.

მეოთხე დღეს შუადღის შემდეგ შევამჩნიე, რომ მინას თვალის უპეებში სილურჯე გასჩენოდა, ფერი დაჰკარგვოდა. ცუდად გამოიყურებოდა.

— მინა, ავად ხომ არა ხართ?

დომინიკის წინაშე ვცდილობდით თქვენობით გველაპარაკა.

მან ხელი უნებურად გაიქნია.

— თავი მტკივა, მაგრამ არა უშავს, მალე გაიელის...

— სულ სახლში ზიხართ და აბა რა იქნება... ცოტა ჰაერზეც გჭირდებათ გავლა...

დომინიკი დამეთანხმა.

— დედა, დაუჯერე პოლს. სახეზე მიწისფერი გადევს... წადი, გაისეირნე პოლთან ერთად. ტყეში ამ დროს ხეტიალს რა სჯობს?.. მე რომ შემეძლოს...

ნაცნობ ბილიკს დავადექით, რომელიც ქვევით, ჭალისკენ მიიკლაკნებოდა, მერე ერთ ძველ ტბისკენ მივყავდით. გვიმრების საფარქვეშ ტბის წყალი დაჭაობებულიყო...

როგორც კი სახლს გავცდით, მინას წელზე ხელი შემოვხვიე. გამხმარი ტოტები სიარულის დროს ფეხქვეშ ტკაცუნობდნენ.

— მინა, ბედნიერი ხარ?

— ძალიან, პოლ, შენ გვერდით ყველა ბედნიერად იგრძნობს თავს.

— კარგი ერთი...

— ჰო, გეფიცები. ბევრი ვიფიქრე... უნდა გელაპარაკო...

ნაბიჯი არ შემინელებია, ველოდი. მან ლაპარაკი მაშინვე არ დაიწყო. გადახვეულებმა თითქმის კილომეტრი გავიარეთ. ულრანი ტყის სურნელი გვათრობდა, როგორც იყო ნათელში გამოვედით, სადაც გარინდებული ტბის ზედაპირი დაბინდულ სარკეს გვაგონებდა. ერთი ხის კუნძზე ჩამოვსხედით. დიდხანს ვუყურებდით მომწვანო წყალს, სადაც დროდადრო ჰაერის ბუშტები ჩნდებოდნენ

და სკდებოდნენ.

მინამ გაიმეორა:

— ჰოლ, მინდა გელაპარაკო...

— გისმენ, ჩემო სიყვარულო.

მინამ ნერწყვი ჩაყლაპა. ასეთი შეწუხებული და საცოდავი სახე არასოდეს ჰქონია.

— ჰოლ, მე მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ ჩვენს ამბავს... დამიჯერე, თავი სიზმარში მგონია... შენნაირ კაცს წლობით ველოდი...

ეს სიტყვები ჩემს გულს მალამოსავით დაედო. თავზე მივუალერსე. ვიგრძენი, როგორ კანკალებდა.

— ჰოლ, რაც ჩემი შვილი ჩამოვიდა, მიწაზე ორივე ფეხით დავდექი. ერთი მხრივ კი დასანანია, მაგრამ მეორე მხრივ სულ მეცხრე ცაზე ყოფნაც არ არის ადვილი.

რისი თქმა უნდოდა მინას? თავი დინჯად ეჭირა და თვითდაჯერებულად ლაპარაკობდა.

— ერთი ისეთი რამ მინდა გითხრა, რომელზეც არასოდეს გვილაპარაკნია. თქმაც ვერ მოვასწარი. ყველაფერმა გრიგალივით გადაიარა. საკითხი ფინანსებს ეხება.

მე მხრები ავიჩეჩე.

— რას ამბობ, რა ავი ფიქრები გქონია. მართალია, ძალიან მდიდარი არა ვარ, მაგრამ პატარა ქონება მაინც გამაჩნია. მადლობა ღმერთს, შემოსავალზე ფიქრი არ მჭირდება...

— შენ არ გჭირდება, მაგრამ მე... მე ღარიბი ვარ. ჩემი მცირე შემოსავალი ძლივს მყოფნის, რომ დომინიკს გავაწვდინო... მანამ მარტო გაიკვლევს გზას... ასე რომ, მე შენი შესანახი ვიქნები!

— რა უაზროდ მელაპარაკები! შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ?

— კი მაგრამ...

— მაშინ საკითხი ამოწურულია, გავანებოთ თავი...

მინას დაძაბულობისაგან სახე შეეცვალა.

— არავითარ შემთხვევაში, მე ისევ ჩემს აზრზე ვარ და გთხოვ გაიზიარო... უნდა დაშითმო.

— კარგი, გისმენ, რა უცნაურობა გინდა მითხრა?

— ჰოლ, მე უფროსი ვარ შენზე... მოიცა, არ შემაწყვეტინო. უფრო მეტიც... მე, მე ავად ვარ...

კიდევ ერთხელ ვიგრძენი, როგორ დამეფუფქა გული. წინ ჩავუცუცქდი. გაფაციცებით შევყურებდი. მინდოდა ავადმყოფობის კვალი მეპოვა მის დაღლილ სახეზე.

— მინა, ავად ხარ?

— ჰო, გული მაწუხებს. მე და ჩემი ექიმის გარდა არავინ იცის... ინფარქტი გადავიტანე... ძლიერი შეტევა მქონდა ორი თვის წინ... კინალამ მოვკვდი... ჩემი ხელახალი გათხოვების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო... ალერსისა და სიმშვიდისათვის გავთხოვდი, რომელიც ყოველთვის მაკლდა, გესმის ჩემი?..

— ჩემო ძვირფასო, ჩემო სიყვარულო, შენ მოვლა გჭირდება. კარგ სპეციალისტებთან წაგიყვან, აი ნახავ...

— არა, არ არის საჭირო. ყველასთან ვიყავი... მხოლოდ ერთი აზრი აქვთ: ჩემი სიცოცხლე შეიძლება გახანგრძლივდეს და შემოკლდეს კიდეც... ხომ უნდა მეთქვა ეს ყველაფერი? ახლა თავს ვერ ვგრძნობ კარგად, ბევრი ვიღელვე, მერე

შენ განგირისხდი... — თავი ამიწია და მითხრა: — პოლ, წინასწარ რომ არ გაგაფრთხილე, ხომ არ გამაგდებ? შენი ნდობა ბოროტად გამოიყენე, არა?

— გაჩუმდი, მინა, მიყვარხარ... აუცილებლად მოგარჩენ...

— მე ჩემი გეგმა ბოლომდე არ მითქვამს შენთვის...

მინამ ნაზად მაკოცა ბაგეზე. საოცრად რბილი და თბილი ტუჩები ჰქონდა.

— მითხარი, რა გეგმა გაქვს?

— საბოლოოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა ყველა საქმეს მოვაწესრიგებ და შენ წინაშე ჩემს მორალურ ვალს მოვიხდი.

— შენ ჩემი არაფერი გმართებს.

— ვიცი, რასაც ვამბობ. თავი უნდა დავიზღვიო, ჩემო ძვირფასო!..

ამ სიტყვებმა გამაოგნეს.

— მინა, რამ გაგაგიჟა?

— შენს კისერზე უნდა ვიცხოვრო, ასე თუ მოვიქცევი, სინდისი სუფთა მექნება. თუ მოკვდები, მეცოდინება, რომ ჩემი წილი რაღაც დაგიტოვე.

— შენ თუ რაიმე მოგივა, ყველაზე ძვირფასი სახსოვარი შენგან დატოვებული მოგონებები მექნება... თანხა, რომელსაც შენი სიკვდილი მომიტანს, უმძიმესი იქნება ჩემთვის.

— მე ასე მსურს, ნუ მეწინააღმდეგები!

— ჩემო ანგელოზო, თუ შენსას არ იშლი, მაშინ შენი შვილის სახელზე დაიზღვიე თავი!

მან თავი გაიქნია.

— დომინიკს ფული არ სჭირდება. ბიჭმა თვითონ უნდა გაიკვლიოს გზა... შენ თუ მოისურვებ, ანდერძით შეგიძლია დაუტოვო თანხა.

მინას სიჯიუტე მაღიზიანებდა. ეს აზრი ისე ჰქონდა აკვიატებული, რომ ვერაფერს ვხდებოდი.

ბოლოს შევთანხმდით. ქალს სადარდებელი მოვაშორე. ის თავის თავს დაიზღვევდა ხუთი მილიონის თანხაზე ჩემს სასარგებლოდ, მე კი ანდერძს დომინიკის სახელზე დავწერდი. მშობლები არ მყავდა, ამიტომ ზარალი არავის დაადგებოდა. გულახდილად რომ გითხრათ, ფინანსური საქმეების მიმართ გულგრილი ვიყავი, ჩვენი საუბრიდან მხოლოდ ერთი რამ ჩამრჩა გულში: მინა ძალზე ავად იყო, ყოველ წუთს შეიძლება დამეკარგა. აი, ეს მიკუმშავდა გულს.

მამულის შეძენის შემდეგ უცნაური ავადმყოფობა დამჩემდა... ჟერმენ ბლანშენის გარდაცვალების გაგებისთანავე სიკვდილზე ფიქრი ამეკვიატა და მტანჯავდა.

— პოლ, ხომ მპირდები, რომ ამ საქმეს ხვალვე მოვაგვარებთ?

— გეფიცები!

— მერე კი დავწყნარდები, ლაღად ამოვისუნთქავ!

მინას უპეები უფრო ჩალურჯებოდა.

— მინა, ცოტა ხანს უნდა დაწვე, მიხედო შენს თავს, არ უნდა გადაიღალო, დღეიდან მოსამსახურეს დავიქირაველ...

— მეტისმეტია, პოლ, ნუთუ ჩვენი სიახლოვე უნდა მოიშალოს?

მე თვალი მოვარიდე. ჩვენი სიახლოვე! ჰმ, შენს შვილს უთხარი მადლობა!

დომინიკი თავის გრძელ სკამში ჩამჯდარიყო. დახეული სახატავი ფურცლები იატაკზე დაეყარა. სთვლემდა. ჩვენ რომ მივედით, შეკრთა.

— რა მოხდა, დომინიკ, რა მოგივიდა? — მინამ ხელში აიღო დაფხრეწილი ნახატები. ვაჟბატონი აგზნებული დაგვხვდა. ყვრიმალები წითლად ულვიოდა.

— არაფერი არ მომხდარა, თუ ხდება, ახლა ხდება, გესმით? საცოდავი ვარ, საცოდავი!

— ახლა ნუ დაიწყე!

— ჰო, ასეა, ერთი მჯლაბნელი კაცი ვარ!

ცნობისმოყვარეობამ მძლია და მივუახლოვდი. ბრისტოლიან ხახატავ ქალალდებს რომ ვკრეფდი, მისი ამონასუნთქი ვიყნოსე: ალკოჰოლის სუნი ეფინა. ამ ამბავმა შემაკრთო, რადგან სასმელი მეორე ოთახში მქონდა შენახული. დომინიკი ნასვამი იყო, მაგრამ არც ერთი ბოთლი არ ედგა ოთახში. ესე იგი, სასმელის გამოსატანად დერეფნის მეორე მხრიდან გავიდა. მაშ, სიარული შესძლებია... ისე კი იქცეოდა, თითქოს ფეხზე დგომა უჭირდა. ეშმაკობდა?

დედამისის წინაშე აღარაფერი ვთქვი, რომ არ აღელვებულიყო. დომინიკის ნაჯლაბნებს შევხედე. ნატურმორტის დახატვა უცდია. მოდელისთვის მუსიკალური ინსტრუმენტი და ერთი ბოთლი შიანტი დაუდგამს. საგნების შინაარსის გადმოცემის მაგივრად გეომეტრიული ფორმების აბდაუბდა გამოუვიდა.

— ო, ბატონო პროფესორო, — ჩაიცინა მან, — როგორი აზრი გაქვთ?

მინა ოთახიდან გასულიყო. დომინიკი ბოროტად მიმზერდა. ეტყობოდა, ჩემზე ბრაზობდა, ვერ გაშეგო, რატომ...

— სწორედ მოიქეცით, რომ ქალალდები დახიეთ, — განვუცხადე ცივად. — ვერაფერი ბედნაა...

დომინიკი გაფითრდა, აწითლებული ყვრიმალები იისფერი გაუხდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ უნიჭო ვარ, არა?

—მე არაფერს ვფიქრობ, თქვენ თვითონ აღიარებთ. ალალი კაცი ვარ, რასაც მეუბნებიან, მჯერა.

დომინიკი ისე დაიბნა, რომ კარგ გუნებაზე დავდექი. ამ ამბის შემდეგ ის არარაობად იქცა.

— იმუშავე, ჩემო კარგო, — ვურჩიე. — კარგი ნახატის შექმნა ადვილი რომ იყოს, ფუნჯს ყველა შეიძენდა.

თავი VI

მეორე დღეს მინა თითქოს უქეიფოდ აღარ გრძნობდა თავს. დასვენებული იერი ჰქონდა. გამხიარულდა კიდეც. დაჟინებით მოითხოვდა, რომ ჩვენი საქმე დილიდანვე მოგვეგვარებინა. მის სურვილს უსიტყვოდ დავემორჩილე. ამიერიდან სულ შიშში უნდა მეცხოვრა, რომ მინა გულის შეტევის გამო წაქცეული არ მენახა. მის სახეს ისე ეაკვირდებოდი, როგორც მეთევზე უამინდობის შესატყობად გასცქერის ჰორიზონტს. სულ თან დავყვებოდი. ჩემი შინაყუდა კაცის ჯავშანი ჰა და ჰა უნდა დამსხვრეულიყო. განგებამ ასე ინება და მეც ბედნიერი ვიყავი.

ორლეანში გავემგზავრეთ. მინას არ დაუჩემებია, რომელ სადაზღვევო კომპანიისთვის მიგვემართა. შევარჩიეთ უფრო ცნობილი სადაზღვევო საზოგადოება. მინა მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეედგინათ სადაზღვევო აქტი. მისმა ასეთმა დაჟინებამ გააოცა კომპანიის მოსამსახურე. როცა შეიტყო, რომ მე ის კაცი ვიყავი, ვისაც დაზღვევის თანხა ერგებოდა, თვალი ვერ მოიშორა. ბოლომდე ვერ ჩავწვდი მის ფიქრს. იქნებ მოელანდა, რომ მეც მკვლელობა მქონდა ჩაფიქრებული როგორც ჩემს წინამავალ მობინადრეს?

დაზღვევის ცერემონიალი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. მინა ღელავდა, უხაროდა. პირველი შესატანი საკუთარი თანხიდან გადაიხადა და, როცა საქმე მთლიანად მოთავდა, ღრმად ამოიოხრა.

კიბეზე ჩამოსვლისას ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— ჩიტივით ვარ, ასე მგონია, დარჩენილ სიცოცხლეს შენს სიყვარულში გავლევ.

— დამშვიდდი, ძვირფასო, ჯერ ნოტარიუსი უნდა ვნახო.

— რა საჭიროა?

— ხომ გადავწყვიტეთ, რომ ანდერძით შენს შვილს უნდა ერგოს მემკვიდრეობა. ნათქვამ სიტყვას წინ რაღა უდგას?

— რა საჩქაროა, პოლ, ძვირფასო... დრო საკმაო გვაქვს.

მე მხრები ავიჩეჩე.

— განა ვინმეს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს სიკვდილის ჟამი როდის დაუდგება? რახან გადავწყვიტეთ ამ წვრილმანი საკითხების მოგვარება, ბარემ მოვაგვაროთ.

— ნება შენია...

მთელი დღე დაგვჭირდა, რომ ამ საქმის ფორმალური მხარე მოგვეგვარებინა. დაღამდა. დავბრუნდით რონშიეში. მინამ გზად ძეხვი იყიდა. სადილისთვის კი ერთი ქათამი შეარჩია. დიასახლისი საჭმლის მზადებას შეუდგა, მე კი დომინიკს დავუწყე ძებნა. ვაჟბატონი ფეხზე ვერ იდგა, ისეთი ნასვამი დაგვხვდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენს არყოფნაში წამომდგარა კიდეც. სიბრაზისაგან სისხლი თავში ამივარდა. ამ უსაქმურმა ვითომ ფეხიც აიტკივა, რომ ჩვენთან ყოფილიყო, ძილით გამობრუჟულიყო და თან ჩემი მემკვიდრეობის მიღების მოლოდინშიც ბრძანებულიყო.

— კიდევ გტკივათ კოჭი? — პირდაპირ მივახალე ეს შეკითხვა.

— ისე რა... — ძლივს ლუღლუღებდა.

— ჰოდა, შევეცდები დროულად გამოგაჯანმრთელო, მეგობარო!

მის საწოლს ბოლოდან მოვკიდე ხელი და გადავყირავე.

დომინიკი გაცოფებული წამოხტა.

— რა მოგელანდათ, როგორ იქცევით...

თავი ველარ შეეიკავე.

— ო, რა ლოთბაზარა ბრძანდებით! რა მომელანდა და სიცრუეს ვერ ვიტან, გესმით? თქვენ ისევე გტკივათ ფეხი, როგორც მე. ტყუილი კი იმიტომ მოიგონეთ, რომ აქ ჩამოსულიყავით და საცოდავ დედათქვენს თქვენთვის ძილი არ მოეშალა, არა?

ისეთი სილა გავაწანი, რომ ხმაურზე შეშინებული მინა მოვარდა.

ერთმანეთის პირისპირ შემართულები რომ დაგვინახა, შეჰკივლა და გულზე ხელი იტაცა:

— პოლ, დომინიკ, მითხარით, რა ხდება!..

მინდოდა თავი შემეკავებინა, მაგრამ სიბრაზე მომაწვა:

— ის ხდება, რომ ამ პატარა კრეტინს ფეხი სულაც არ აქვს ნატკენი, როცა შინ არა ვართ, დგება და ყელს იკოკლოზინებს....

დომინიკს ისეთი მუჯლუგუნი ვკარი, რომ შეტორტმანდა და გარკვეული მანძილი ბარბაცით გაიარა. მერე სავარძელში ჩაეშვა და ათი წლის ბავშვივით აწუწუნდა:

—მარტო ცხოვრება გამიჭირდა, — ქვითინებდა, — ისეთი სევდა შემომაწვა, რომ...

დედამისი, ბუნებრივია, მისკენ გაექანა და დამშვიდება დაუწყო. ისეთი აუტანელი სცენა მოაწყვეს, რომ იქაურობას ზიზღით გავეცალე. ჩემს ოთახში ავედი. საწოლის დანახვამ გული გამიწურა. მერე მინას ოთახში შევედი. იქ მაინც გავიხსენებდი მის სურნელს. მისი საწოლი ბედნიერ წუთებს მახსენებდა. გულ-

ხელდაკრეფილი სარკის წინ, მაგიდასთან ჩამოეჯექი და სარკეში ოთახის თვალიერება დაიწყე. ოთახი სულ სხვანაირი მეჩვენა. აქ ხომ არ მოკვდა ქალბატონი ყერმენ ბლანშენი?

ნაზად შეეხე მინას პირად ნივთებს. საპკურს, სამკაულების ყუთს, სახის კრემს (რომელსაც იშვიათად ხმარობდა), ფრჩხილების ნაკაწრებს, სავარც... უცებ გაქქაუდი, ვიგრძენი, რომ სხეული გამეყინა. ხანდახან გული გონებაზე ადრე ხვდება საფრთხეს ან უჩვეულო ამბავს. ტანი ზამბარასავით დამეჭიმა, მანამ გონებით მიეხვდებოდი სინამდვილეს.

მინას სავარცხელი ხელში ავიღე. კბილებს შორის ჩარჩენილი თმა ყურადღებით შევათვალიერე. მერე ერთად მოვუყარე თავი და ახლოს დავხედე.

ბუნებრივია, როცა ადამიანი თმას იღებავს, მის ძირებთან საკუთარი ფერი რჩება ხოლმე. რაც მეტად იზრდება თმა, საკუთარი ფერიც მეტად მოჩანს. მინას რუხი ფერის თმა კი ძირებთან წითური ფერის იყო. დავასკვენი: ის თმას იღებავდა. თუ შეიძლება ასე ითქვას „უკულმა იქცეოდა", რადგან მისი ბუნებრივი, ქერა მშვენიერი თმა შეღებილი — უსიამოვნო რუხ ფერად გამოიყურებოდა. ეს აღმოჩენა რას მოასწავებდა, ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცოდი, მაგრამ თანდათან ვხვდებოდი, რომ მნიშვნელოვანი გახლდათ, ძალზე მნიშვნელოვანი!

თავი VII

აღარ ღირს იმის ახსნა, თუ რაოდენ ულიმღამო და დამქანცველიც კი იყო იმ საღამოს ვახშამი. სამივე ერთად პირველად ვისხედით მაგიდასთან. დომინიკი დედამ დატუქსა, ხოლო ჩემმა სილამ კარგად გამოიფხიზლა. ჭამისას პირს ლუკმას ძლივს აკარებდა. ჩვენკენ არ იყურებოდა. ტკბილი აღარ მიირთვა. წამოდგა და დიდ ოთახში, თავის საწოლში ჩაწვა.

— პოლ, ძალზე ვწუხვარ...

— ჰმ...

მინას ეჭვის თვალით გადავხედე. აღარც მახსოვდა დომინიკთან გადამხდარი უსიამოვნება. ჩემი აღმოჩენა, რომელიც მინას თმას ეხებოდა, მოსვენებას არ მაძლევდა.

— პოლ, გემუდარები, იყავ ლმობიერი...

— ჰო, მეც გთხოვ, ნუღარ გაიხსენებთ, რაც იყო...

— ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ახალგაზრდებს... ახალგაზრდები ეძებენ თავის თავს...

— აი, თურმე რა ყოფილა! მაგ ეაჟბატონს ღვინის ბოთლებში სურს იპოვოს თავისი თავი, არა?

— უნდა გავუგოთ. შენ არ იცი, ჩვენმა ქორწინებამ როგორ იმოქმედა მის ცხოვრებაზე.

— ოცდასამი წლის კაცი ჩემთვის აღუა არ არის...

— შენით ნუ სჯი, ჩემო კარგო, ზოგი თხუთმეტი წლის უკვე კაცია, ზოგი სამოცი წლის ასაკშიც ბავშვია.

— კეთილი, ვეცდები ასეთი განსაზღვრა დავიმახსოვრო.

— პოლ, ჩემო ძვირფასო, ერთი სათხოვარი მაქვს. ჩვენი სიყვარულის სახელით გთხოვ, იმ ლამაზი სიყვარულის სახელით, რომელიც შენ მიმართ გამაჩნია, გაიღე მსხვერპლი.

ის სკამიდან წამოდგა და მუხლებზე ჩამომიჯდა. უცებ მისი ბარძაყების სითბომ სხეულში დამიარა. მინა ორთოლვით შემეხო ბაგეზე.

— თანახმა ვარ, — ვუთხარი, — დარჩეს, რამდენ ხანსაც უნდა.

ამ ფრაზამ მინა დააბნია. მან ხელები თავზე მომხვია, რომ სახეზე არ შემეხედა. მისი თვალები თითქოს გამირბოდნენ, რადგან სათვალის მინებში თვალთა შუქი მოუსვენრად დათამაშობდა.

— პოლ, იმიტომ იტანჯები, რომ დომინიკი ჩვენთან არის, არა?

— უფრო მეტიც, თავი მომაბეზრა... როცა კაცს უნდა ცხოვრება, მოიწყოს, თავისი საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება სურს, დედის ვალთაში არ უნდა ყოფდეს თავს. მაპატიე, რომ ამას გეუბნები შენ, დედას, მის დედას, მაგრამ ამის ატანა შეუძლებელია.

— ჰო, პოლ, განა არა ხარ მართალი, მაგრამ... რამდენიმე დღე კიდევ მოვიცადოთ და მერე საყვედური გამოვუცხადოთ.

მინა გავიდა. ამ დღიდან დაიწყო ჩემი შეფიქრიანებული ან, უფრო სწორად, დასკვნებით აღსავსე ცხოვრება.

მინამ თითქმის მოამთავრა სუფრის ალაგება. მე თვალს ისევ ვერ ვაშორებდი. ვცდილობდი წარმომედგინა ქერათმიანი, უსათვალო, უფრო თანამედროვედ ჩაცმული... ჩემს წარმოდგენაში ისეთი ქალი შევქმენი, რომელიც სრულებით არ ჰგავდა ჩემს მეუღლეს. როცა მის სხეულს ვიხსენებდი, — ეს იყო ახალგაზრდა ქალის ტანი! ამ შემთხვევაში არ ვცდებოდი.

— მინა, ეს ღვინის ბოთლი არ აიღო!

მან გამიღიმა.

— გწყურია?

— ძალზე!

მართლაც ძალზე მწყუროდა. ზედიზედ ორი ჭიქა გადავყლურწე. არაფერმა მიშველა. წყურვილი ვერ მოვიკალი, მაგრამ ღვინომ სითამამე მომცა. ერთდროულად მრავალი ფიქრი ამეშალა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება კი მიჭირდა. მინას სათვალეც მოვირგე და დავასკვენი, რომ შუშები ჩვეულებრივი იყო. სათვალის ვერსია თავისთავად შეიძლება დიდად საეჭვო არ ყოფილიყო, მაგრამ სხვა ნიშნებთან ერთად...

ო, რა საშინელ სიტყვებს ვხმარობდი! ნიშნები! რა მიზნით აგროვებს ადამიანი ნიშნებს? ჩადენილი დანაშაულის დასამტკიცებლად? კი მაგრამ, მინას რაში ვდებდი ბრალს? იმაში, რომ თავს იბერებდა... ეს ბრალდება ყველას გააცინებდა ჩემ გარდა.

ვცდილობდი მიზეზი მეპოვა; რად უნდოდა მინას უფრო ასაკოვანი გამოჩენილიყო? გამახსენდა, ჩემს განცხადებაში ვწერდი, რომ ორმოცი წლის კაცი ვიყავი. თუ მინამ ასაკს მიაქცია ყურადღება, უდავოდ ეცდებოდა ხნით ჩემი შესაფერისი ქალი ყოფილიყო... გასწიე-გამოსწიე, მინა ორმოცდაორი წლის გახლდათ, საბუთებშიც ასე იყო აღნიშნული.

— პოლ, არ აპირებ დაწოლას?

მის ხმაში დაპირება გამოსჭვიოდა. ეჭვი ცხრა მთას იქით მოვისროლე. ღამემ ბედნიერება მომანიჭა.

———————

მეორე დღეს დომინიკი სხვა ოთახს დაეპატრონა, რადგან საერთო ოთახში ასე ხანგრძლივად დაბანაკება აღარ შეეძლო. შვილის სამყოფელის შეცვლამ და ასეთმა საჩქარო დამეზობლებამ მინას ხელ-ფეხი შეუკრა. სიყვარულში თავისუფლება მოესპო. „მხატვარი" თითქოს სასიკეთოდ შემობრუნდა. ბოდიში მომიხადა და შემპირდა, რომ სასარგებლო საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ჯერ ბაღში დაი-

წყო მუშაობა. მთელი დღე საქმიანობდა. ბარავდა, ეკალ-ბარდებს აშორებდა იქაურობას. სალამოს დომინიკს ქანცი აღარ ჰქონდა.

— ფეხნატკენი კაცისთვის ამდენი მუშაობა საზიანოა, — წაიქირქილე.

მან მკვახედ მიმმართა:

— ნუ დამცინით, პოლ, გეყოფათ, შეიბრალეთ სუსტი არსება! — შეხედეთ მაინც, როგორ დავამუშავე თქვენი ქვასავით მიწა!

მასთან ერთად გავხედე მამულს. ბინდბუნდში მართლაც ერთ შეხედვად ღირდა. მოთიბული ბალახის და დაბარული მიწის სუნი ტრიალებდა;

— ყოჩაღ, ბიჭო, მართალია, ჯერ რენუარი არ ბრძანდებით, მაგრამ ლენოტრამდე არაფერი გიკლიათ!

— ნუ დამცინით.

გულის სიღრმეში მიხარიოდა, რომ დომინიკი გამოცოცხლდა. საცოდავი კოჭლი კაცის როლი არ უხდებოდა... მოძრაობა, სიცილი და ოხუნჯობა თუ უშველიდა...

— ჰო, მართლა, ბარეისას რაღაცას წავაწყდი, მინდა გაჩვენოთ...

დომინიკმა ქვის გროვასთან მიმიყვანა. ის რაღაცის ასაღებად დაიხარა და პატარა მოყავისფერო კონუსური ფორმის ბოთლი მომაწოდა. თავზე რეზინის საცობი ჰქონდა მორგებული. ბოთლის ზედაპირზე იარლიყის ნაწილი შემორჩენილიყო. იარლიყი წითელი ფერის გახლდათ. მოხეულ ნაწილში იკითხებოდა ...ამი, ესე იგი, შხამი ეწერა.

— მგონი, ვხვდები რაც არის, — წავიჩურჩულე. — ამით ქალი მოკლეს.

— რაო?

შინ შევედით და დედა-შვილს ქალბატონ ჟერმენ ბლანშენის „თვითმკვლელობის“ ამბავი მოეუყევი. წერილის ნაგლეჯიც გავიხსენე...

— როგორც ჩანს, ქმარმა ეს ბოთლი საქმის გამოძიების შემდეგ გადამალა... — დავასკვენი. მინამ გახსნა პატარა ბოთლი და ჭურჭელში დარჩენილი სითხე დაყნოსა.

— არაფრის სუნი არა აქვს.

— მაშ, მკვლელობის ჩემეული ვერსია მტკიცდება. სახლის პატრონმა არ იჩქარა ცოლის მოკვლა. ვფიქრობ, ბოთლში ჩასხმული სასაძაგლის ნაწილი იმ წამალში გაურია, რომელსაც მისი მეუღლე ყოველდღე ღებულობდა, ხოლო როცა შინ დაბრუნდა, ქალი მკვდარი დახვდა. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რახან ცოლის თვითმკვლელობას ამტკიცებდა, შხამიანი ჭურჭელი მაგიდაზე საჯაროდ უნდა დაედგა. პოლიციამ ბოთლი ნახა და მამხილებელ საბუთად ჩათვალა. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ თითების ანაბეჭდი აეღოთ, მაშინ საბრალო მსხვერპლის კვალი იქ არ აღმოჩნდებოდა.

— უი, — წამოხტა მინა, — წამლის დალევა სულ გადამავიწყდა.

—ჩემო კარგო, ისეთი უსიამოვნო საუბარი გვქონდა, რომ...

მინამ გადაიკისკისა და თავის ოთახში ავიდა წამლის მოსაძებნად. მე ავდექი და ბოთლი სარდაფში ჩავიტანე. პატარა თაროზე შემოვდგი ნაპოვნ წერილთან ერთად.

— რას აპირებთ? — მკითხა დომინიკმა.

— როგორ რას ვაპირებ?

— აი, თქვენი წინამორბედი სახლის პატრონის გამო... თქვენ ისეთი მამხილებელი საბუთები გაქვთ, რომ შეგიძლიათ ის კაცი ჩამოახრჩობინოთ.

— მხოლოდ ნიშნები მაქვს, საბუთები არა... მოსამართლეს სხვა ჭკუა აქვს...

— ის კაცი, ეტყობა, კარგი არხეინა ვინმეა...

— საიდან იცით? კაცი, რომელიც მკვლელობას ჩაიდენს, „არხეინა“ არ შეიძლება იყოს.

დომინიკმა ხელი ქოჩორზე გადაისვა. თითქოს ჩაფიქრდა.

— გააჩნია...

ამ სიტყვამ შემაკრთო.

— თქვენი აზრით რაზეა ეს დამოკიდებული?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე და, მკვლელობის სახეობაზე. თუ კაცმა მკვლელობა შემთხვევით ჩაიდინა ჩხუბის დროს, ან სიბრაზის გამო მოუხდა, დასაშვებია, რომ სინდისმა შეაწუხოს, მაგრამ თუ მკვლელობა წინასწარ მოფიქრებულია, ჭკვიანურად დაწყობილი და კაცი განზრახ ჩაიდენს ამ საქციელს, საქმე შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

— ხომ არ გაგიჟდით? — გონზე ვერ მოვდიოდი.

— რატომ, პოლ? პირიქით, მე სწორად ვმსჯელობ. რატომ ხდება ასე, რომ საზოგადოება ომებში ხოცვა-ჟლეტას იტანს და ერთ, ცალკე ჩადენილ მკვლელობას კი წინ აღუდგება? ყოველი თაობა ხშირად უდიდესი სისხლისღვრის მონაწილეა. დაღუპულ ხალხს წუთიერი დუმილით სცემენ პატივს და ყვავილებით ამკობენ მათ წმინდა საფლავებს... მაგრამ თუ ერთი კაცი მეორეს განზრახ მოკლავს, მას უსათუოდ მოუსპობენ სიცოცხლეს.

მინა თავისი პატარა ბოთლით ხელში ოთახში შემოვიდა. თვალი მოავლო აქაურობას. დამინახა, რაოდენ გაოცებული ვიყავი მისი ვაჟის ძალზე თავისებური თეორიების მოსმენით.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— დომინიკი თავგამოდებით იცავს დანაშაულს და ხელოვნებად თვლის...

— ხუმრობს, პოლ!

ამ სიტყვებთან ერთად მინამ ქორივით გადახედა თავის ვაჟს. ასეთი მზერა შეუფერებელი იყო მინას ბუნების ქალისთვის. ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

ამჯერადაც სადილმა მშვიდად ჩაიარა. დომინიკმა ერთი ნაჭერი ცივი შემწვარი ხორცი გადაყლაპა და გვთხოვა, დაღლილი ვარ და დავწვებიო.

ამ დროს მინა გულდასმით ითვლიდა თავის წამლის წვეთებს და ხელი თანხმობის ნიშნად დაიქნია. უხმოდ ვისადილეთ. ღამე ჩამოდგა და ჩემი ფიქრებიც აიშალა. უსიამოვნო აზრები მიტრიალებდა თავში.

— ავიდეთ, დავწვეთ? — შევეკითხე მინას.

— ადით... ცოტას მივხედავ აქაურობას.

მე გაზეთს წამოვაწექი ხელი და დასაძინებლად ავედი. მინას გამოჩენას ველოდი.

როგორც კი მისი ფეხის ხმა დერეფანში გავიგონე, ხმადაბლა გავძახე:

— მინა!

მან ეს დაძახება ღამემშვიდობისად ჩამითვალა და არც კი შეჩერებულა, კუშტად მომაძახა:

— ღამე მშვიდობისა, პოლ!

მერე თავის ოთახში შეეიდა. გავიგე, როგორ გადაატრიალა გასაღები და კარი ჩაკეტა. ის უთუოდ გაურბოდა ჩემს ვიზიტს და ეს სურვილი გასაღების ჭრიალით გამოხატა. იცოდა, მივუხვდებოდი.

გულნატკენმა და გაბრაზებულმა გაზეთი ოთახში მოვისროლე.

ისე ჩამეძინა, ძალაგამოცლილმა სინათლეც კი ვერ ჩავაქრე. ნათურის მჭრელმა შუქმა ერთი საათის შემდეგ გამაღვიძა. სინათლე კი გამოვთიშე, მაგრამ ძილი გამიტყდა. წინასწარ ვიცოდი, მთელ ღამეს თვალს ვერ მოვხუჭავდი.

ეულად ვიგრძენი თავი... ნაღველი შემომაწვა და სული ამიწრიალა. სხვა გზა არ იყო. თავი უნდა დამემშვიდებინა და ვნებები დამეცხრო. ფრთხილად წამოვდექი და მინას ოთახის კართან მივედი. ჩემდა უნებურად სახელურს მივაწექი. მერე გამახსენდა, რომ მინამ ოთახი გასაღებით ჩაკეტა. რატომღაც ისევ მოვსინჯე სახელური და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კარი გაიღო. სიტყვა სუნთქვას გავაყოლე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მინა, მე ვარ!

არავინ მიპასუხა, სუნთქვაც კი არ ისმოდა. მაშინ შევედი და სინათლე ავანთე. საწოლი ცარიელი დამხვდა. ოთახში არავინ იყო. სავარძელზე მინას ტანსაცმელი ეწყო. ალბათ სადღაც ახლოს თუ გავიდა-მეთქი, ვიფიქრე. იქვე სარკესთან ჩამოვჯექი და დაველოდე. სავარცხელში ჩარჩენილ ჰაეროვან მოქერაო თმის ღერებს თითებით მოვეალერსე. რაღაც იდუმალება სუფევდა მინას თმაში...

უცბად ზიზღი ვიგრძენი და სავარცხელს ხელი გავუშვი. არ ვიცი რატომ დამემართა ასე. ჩემი უცნაური საქციელის გამო მინას წამლის ბოთლი, რომელიც იქვე იდგა, გადამიყირავდა. ავიღე, რომ ისევ ისე მაგიდაზე დამედგა. ბოთლზე წარწერა ამოვიკითხე „კარდიოლინი". ამ წამალს ვიცნობდი.. ბაკუმაში ყოფნისას ერთ-ერთი ჩემი კოლეგა სვამდა. წამლის გულისამრევი სუნიც კი გამახსენდა, მკვეთრი, უსიამოვნო. ჩემი ყნოსვითი მეხსიერება ხომ შემემოწმებინა, ბოთლს სახურავი მოვხსენი და ცხვირთან მივიტანე... წამალს სუნი არ ჰქონდა, გამიკვირდა. უფერო სითხის ერთი წვეთი თითზე დავისხი და ენის წვერით დავიგემოვნე.

წამალი უბრალო წყალი აღმოჩნდა.

თავი VIII

ალბათ თქვენც მოგსვლიათ ჩემსავით, როცა შუაღამისას, ხმაურის გამო ან სიზმრიდან გაჭირვებით გამოფხიზლების შემდეგ ისევ ძილს წაურთმევია თავი. ნახევრად მძინარეს სინამდვილის მოშორებაც გდომებიათ, მაგრამ თქვენდა უნებურად სიცხადე ნელ-ნელა გამოკვეთილა და ის წუთიც გიგრძვნიათ, თქვენი მოსვენება რომ დასრულებულა.

სწორედ ეს განცდა დამეუფლა, როცა მივხვდი, რომ ბოთლში უბრალო წყალი ესხა. სულ გამოვფხიზლდი. ჩემდა უნებურად მინას ჯადოსნურ ხიბლს თავი დავაღწიე... იყო დრო, როცა ყველა ამ უცნაური წვრილმანის დანახვაზე მხოლოდ კოპებს ვიყრიდი, ახლა ღრმად ჩავწვდი და თითქოს გონება გამინათდა. დიახ, თითქოს მჭახე სინათლე შემოიჭრა ჩემში, რომლის წინაშე გულისთქმა და ეშმაკობა უძლური აღმოჩნდა.

ბოთლი უჩუმრად სარკის წინ დავდგი და დერეფანში გავედი. დომინიკის ოთახში ხრინწიანი ხმით გაურკვეველად ლაპარაკობდნენ. მინა თავის ვაჟის ოთახში იყო. რას არ გავიღებდი, რომ გამეგო, რაზე საუბრობდა დედა-შვილი. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ თუ დღევანდელი ღამის საუბარი დამისხლტებოდა, დანარჩენი უფრო გაუგებარი აღმოჩნდებოდა ჩემთვის.

უცბად გონება გამინათდა და ვერაგული გეგმა დამიტრიალდა თავში. შევედი თუ არა ოთახში, სინათლე ჩავაქრე. ბალიში მაღლა ავწიე, ხელები გულზე დავიწყვე და ღამის სიბნელეში ფიქრს მივეძალე.

ბოლო წუთამდე სიცრუის ბადეში ვიყავი გახვეული. დომინიკს ფეხი არ ჰქონდა ნაღრძობი. მინა ცრუ სათვალეს ატარებდა, რომელსაც არავითარი დანიშნულება არ გააჩნდა! მისი ჭალარა თმა სინამდვილეში ქერა ფერისა იყო. გულით ავადმყოფად რომ მოჰქონდა თავი, ესეც სიცრუე აღმოჩნდა, რადგან წამლის ბოთლში უბრალო წყალი ჰქონდა ჩასხმული...

ამ სიცრუის გამოაშკარავება შესაძლებელი იყო. სიამოვნებით ჩამოვხსნიდი ნიღაბს ყოველივეს, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ სიცრუეთა იქით სხვა სიცრუე იდგა... უფრო მზაკვრული... თამაშს ბოლომდე უნდა მივყოლოდი. ამგვარად, მინა სიყვარულს მიმტკიცებდა ისე, რომ არ ვუყვარდი, მიმტკიცებდა, რომ პატივს მცემდა, მაგრამ... შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

რატომ წამოიწყო მინამ დაზღვევის საქმე? რატომ გააფორმა მან ეს თანხა ჩემს სახელზე? რა მახეს მიგებდა? ჭეშმარიტება აღმოვაჩინე — დაზღვევის თანხამ, რომელიც ჩემს სახელზე გაფორმდა, მაიძულა, რომ ანდერძი დომინიკის სასიკეთოდ შემედგინა. გაოგნებული ვიყავი ასეთი ოსტატური გაიძვერობით. როგორც ჩანს, მინა კარგი ფსიქოლოგი იყო, რადგან შესძლო მიხვეულ-მოხვეული გზებით საქმე ისე წარემართა, როგორც თვითონ ჰქონდა ჩაფიქრებული. მან კარგად ამომიცნო. მიხვდა, რა ბიჭიც ვიყავი, — მართალი, წრფელი. დარწმუნებული იყო, რომ თავისი ეგრეთ წოდებული ავადმყოფობით ამაფორიაქებდა. ჩემ› ბუნების კაცს უდავოდ სინდისი შეაწუხებდა, როდესაც დაზღვევის თანხის პატრონი გახდებოდა, შეეცდებოდა ქალის სიკეთისთვის სიკეთითვე ეპასუხა...

საამისოდ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა — გასაგებია თქვენთვის? ეს საშუალება მან ნელ-ნელა მომახვია თავს და მაიძულა მე თვითონ წამომეწყო ანდერძის შედგენის საქმე.

ნერწყვი ძლივს გადავყლაპე. სიჩუმეში გული ისე ძალუმად მიცემდა, თითქოს გაფრენას ლამობდა. გულის ძგერამ თავი მომაბეზრა.

პირველივე წერილის შედგენიდან მინას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: ანდერძი შემდგარიყო მისი შვილის საკეთილდღეოდ. კეთილი, ეს საქმე მოგვარდა... მაგრამ სწორედ ამ აზრის გამო თმა ყალყზე მიდგებოდა. მე ხომ დომინიკზე თორმეტიოდე წლით ვიყავი უფროსი.... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წესის მიხედვით ჩემი გარდაცვალებიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ დომინიკის სიცოცხლის დასასრულიც დადგებოდა... მაშასადამე, თუ ქალმა გადაწყვიტა ცოლად გამომყოლოდა იმისთვის, რომ ჩემთვის ანდერძი დაეტყუა, მაშ ისიც იცოდა, რომ სიკვდილი მალე მომიკაკუნებდა კარს.

საწოლიდან წამოვხტი. შიში გულს მიფორიაქებდა. ფანჯრისაკენ წავედი და ფართოდ გამოვაღე... მონაბერი სიო სიკვდილს მოასწავებდა. სიკვდილი! **მინამ იცოდა, რომ მალე გამოვესალმებოდი წუთისოფელს, რადგან ჩემი სიკვდილი წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. მინაც და მისი ვაჟიც ორივე მკვლელები იყვნენ.**

რადგან საქმის ყველა ფორმალური მხარე განვიხილე, მე უნდა გავმქრალიყავი. მინა სულელი ხომ არ იყო დაზღვევის დიდი თანხა მეორედაც შეეტანა... დედაც და შვილიც ამ წუთებში ჩემ გვერდით იყვნენ და სიბნელეში ჩემი სიკვდილის გეგმებს აწყობდნენ. ჩემი მოკვლა ადვილი საქმე არ იყო. რადგან თუ ჩემს გარდაცვალებაში ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა, დანაშაული უთუოდ ორივეს შეეხებოდა. დედა და შვილი მემკვიდრეები ბრძანდებოდნენ...

საწოლში მხარი ვიცვალე, ვკანკალებდი. თითქოს შიშის ზარები რეკდნენ ჩემს სხეულში. სიკვდილის გამო კი არა, მიზეზი დედა-შვილი გახლდათ.

სოფლის მამლებმა იყივლეს თუ არა, ალიონზე ჩამეძინა.

———

დილით ქვემოთ ჩავედი. მინა მისალებ ოთახში იატაკზე მასტიკას უსვამდა. მოახლის წინსაფარი გაეკეთებინა და კეკლუცა გოგოს დამსგავსებოდა. მან გამიღიმა და სახეზე ბედნიერება გადაეშალა. მომიახლოვდა, ბაგეზე მაკოცა. ფან-

ჯრიდან „მეორე სულიერი“ დავინახე. ვაჟბატონი ძკლაეებდაკაპიწებული ბაღში მუშაობდა და მთელი ძალ-ღონით გაჰკეთდა მოდურ ჰანგს.

— ო, ბატონო ზარმაცო, — მითხრა მინამ, — იცით, რომელი საათია?

— არა!

— თერთმეტი... დილის ძილი გყვარებიათ.

— მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, — წავიჩურჩულე და გვერდზე გავიხედე.

მინა ლოყაზე მომეალერსა.

— შენი პატარა ცოლი ხომ არ გენატრებოდა, პოლ?

მზად ვიყავი ძაღლივით ვცემოდი და გამეგლიჯა. ქალმა ჩემს გამეხებულ იერს არ მიაქცია ყურადღება.

— არც დომინიკს სძინებია კარგად... გაავდრებას აპირებდა...

— ჰო, აპირებდა!

— დომინიკს კოშმარები სტანჯავდა, ხან კვნესოდა. ისე შემაშინა, რომ გასალვიძებლად წავედი...

ამ ნათქვამმა ეჭვი გამიჩინა. მზიანი დღე იყო, მგალობელ ჩიტებს ცა აეკ-ლოთ. სიცოცხლე ჩქეფდა... ჰო, ღამეულ დასკვნებში ეჭვი მეპარებოდა. იქნებ მე შევთხზე ეს საძაგელი ამბავი? საშინელებაზე უნიჭო ფელეტონი ავაგე? მინამ გულწრფელად მითხრა, ჩემს შვილთან ვიყავიო, ესე იგი, აღიარა. ნაადრევი ხომ არ იყო ჩემი დასკვნები?..

— შენი საუზმე მზად არის, პოლ! გინდა სუფრა გარეთ, ბაღში გავშალოთ? მზეზეც გათბები...

ამ სიტყვების მთქმელს განა შეიძლებოდა ჩემი სიკეთილი მოესურვებინა? მინას ყურადღებით დავაკვირდი.

— რა დაგემართა, ძვირფასო? — შეწუხდა მინა, — რა უცნაურად გამოიყურები?

თავს ძალა დავატანე, რომ წინააღმდეგობა არ გამეწია.

— არა, მინა, არაფერი, მგონი, გამოვსულელდი... — მოვეხვიე, მისი სხეული უკვე ნაკლებად მაღელვებდა.

შუადღის შემდეგ მინამ მთხოვა სოფელში ერთად გაგვესეირნა. უარი ვუთხარი. დაღლილობა მოვიმიზეზე. ის მარტო წაიდა. დომინიკი ისევ ბაღში მუშაობდა. სიმღერის სისწორეში დარწმუნებული ვაჟბატონი აუტანელი ყალბი ხმით ისევ იმ სულელურ ჰანგს გაჰკეთდა. როგორც კი თავი დავიმარტოხელე, მაშინვე სხვენზე ავძვერი. მაგნიტოფონი უნდა მოვძებნა. აფრიკაში ხან ტყის ხმაურს, ხან ზანგების სიმღერას, ხან ტროპიკული წვიმის შხაპუნს ვიწერდი. ეს საქმე მართობდა. აქ კი მიდამო სდუმდა. თითქოს სული წაერთმიათ მისთვის. მაგნიტოფონი მოვძებნე. წესრიგში აღმოჩნდა. უხმარი ბობინა ცალ მხარეს გადაყვანილი მქონდა. ტექნიკით აღჭურვილი დომინიკის ოთახში შევედი. ის ისევ ბაღში მუშაობდა. მესმოდა, დროდადრო როგორ ურტყამდა ქვას ბარის პირს; მიწის მსხვილ ბელტებს ბალახეულს აცლიდა და ასუფთავებდა.

ზუსტად თაბაშირის ორნამენტის უკან, ჭერში ხვრელი გავბურღე. მიკროფონის მავთული ჭუჭრუტანაში გავატარე და ორნამენტის ღრმულში მოლუნულ ლურსმანზე ჩამოვკიდე. ოთახის კუთხეებში ნიშები იყო გამოკვეთილი: ერთ-ერთ ნიშში, ხელოვნური ყვავილების თაიგულში მიკროფონი ჩავდგი. წინასწარაც რომ სცოდნოდა კაცს მოწყობილობის ადგილი, თუ გულდასმით არ მოძებნიდა, ვერც კი შეამჩნევდა, ისე იყო ჩამალული.

მერე სხვენზე აკეკერი, მიკროფონის გაყვანილობა მაგნიტოფონს შევუერ-

თე, უხმარი ბობინა მოვარგე და ხელსაწყოს ჩამწერ ღილაკს ხელი დავაჭირე. ხმას ბოლომდე ავუწიე. მზად ვიყავი. როგორც კი დრო მოვიდოდა, ღილაკს ჩავრთავდი და მაგნიტოფონი თავის საქმეს შეასრულებდა.

ეს ორი ჩემი აღმოჩენა არ გახლდათ. ჯაშუშობაზე დაწერილ რომანებში ხშირად აღწერდნენ ხოლმე ასეთ შემთხვევებს, მაგრამ მე ხომ ნაწარმოების გმირი არ ვიყავი... ეს ამბავი ჩემს პირად ცხოვრებაში ხდებოდა. მასალამოვებას დაველოდე.

თავი IX

მაინტერესებდა, როგორ მიიღებდა ჩემს ნათქვამს მინა და ამ მიზნით შევთავაზე დასაძინებლად ან ჩემს ოთახში შესულიყო, ან თავის ოთახში მოესვენა. სიმართლე რომ გითხრათ, მასთან სიყვარულობანას არავითარი სურვილი არ გამაჩნდა. მან საჩვენებელი თითით უარი მანიშნა და თან მესამე ოთახისკენ გაიშვირა. მერე ისევ ისე მოიქცა, როგორც წინა დღეს, თავის ოთახში შეიკეტა. ტანსაცმელი არც გამიხდია. სინათლე ჩავაქრე და კართან სავარძელში მოვთავსდი. სიგარეტისთვის არ მომიკიდებია, ისე ჩავიღე პირში. ვცდილობდი კანკალს არ ავეტანე და დაძაბულობისაგან თამბაქოს ღეჭვა დავიწყე...

თუ მინამ სიმართლე თქვა, მაშინ ეჭვი არ იყო, ის თავის შვილთან არ წავიდოდა, და თუ გინდ ეცრუა, ამ შუალამისას რა უნდა ელაპარაკა დომინიკთან, როცა დღისითაც საკმაო დრო ჰქონდა საუბრისათვის.

და მაინც...

და მაინც გული მკარნახობდა, რომ მინა წავიდოდა!

სიგარეტის ქაღალდი ტუჩებზე მეწებებოდა, ნერვიულად ვიშორებდი. თითქოს მოვდუნდი. შიში დავკარგე. ძილს კი რა სჯობდა, მაგრამ...

არ ვიცი, რამდენ ხანს მომიხდა სავარძელში ყოფნა და მოძალებულ ძილბურანთან ჭიდილი. უცებ ოდნავი ფხაკუნი მომესმა. ნეტავი ღამე როგორ ხმაზე ჭრიალებს კარგად დაზეთილი კარი?

— აი, ისიც — ჩავიჩურჩულე.

ვიღაცამ ჩემს კარს ჩაუქროლა, უფრო მივხვდი, ვიდრე გავიგონე. თავი მოვიმძინარე და აწყობილი მშვიდი სუნთქვა დავიყენე. ქროლვის ხმა ქსოვილის შრიალს მივამსგავსე. საკეტის ჩხაკუნი მომესმა, მერე ისევ... მერე ხმადაბლა ლაპარაკი მოისმა; დარწმუნებული ვიყავი, ჩურჩული უთუოდ გაიმართებოდა. მაშინ სხვენზე ამავალ პატარა კიბეს მივადექი. ფეხის ხმას ისინი ვერ გაიგებდნენ, რადგან დომინიკის ოთახი დერეფნის მეორე ბოლოს იმყოფებოდა. ყოველი შემთხვევისათვის ფეხსაცმელი მაინც გავიხადე, მანამ სხვენზე ავძვრებოდი. სარკმლიდან შემოსულ მკრთალ შუქზე მაგნიტოფონი ჩავრთე.

პატარა მწვანე შუქი, რომელიც ხმის სიძლიერეს აჩვენებს, ჩაიროთ და ღამის სიბნელეში აციმციმდა. ეს კი იმას იუწყებოდა, რომ მინა და დომინიკი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. დიდხანს დავცქეროდი ნათურას. ველოდი. ნათურა ხან სრულიად არ ციმციმებდა, ხან კი ისე ძლიერად ირხეოდა, რომ ვფიქრობდი, ალბათ დახოცეს-მეთქი ერთმანეთი...

სხვენში სიძველის და მტვრის სუნი იდგა... კრამიტის ქვეშ ისეთი სიმხურვალე ტრიალებდა, რომ სუნთქვა ჭირდა.

ისევ ჩემს ოთახში დავბრუნდი. მაგნიტოფონმა კი განაგრძო ჯაშუშის ბინძური საქმე. დაჯდომის მაგიერად ფანჯარასთან მივედი და სიგარეტი გავაბოლე. სიგარეტს სიგარეტზე ვაბოლებდი. ერთი საათი თამბაქოს წევაში გავიყვანე. გადავყურებდი არემარეს; სოფელს ეძინა. ღამის სიჩუმე ტანში ატანდა და მაკან-

კალებდა, იქნებ ამის მიზეზი სულაც მოწოლილი სევდა-კაეშანი იყო. მინა თავის ოთახში დაბრუნდა. მე ისევ სხვენზე ავედი, რომ ჩამწერი მოწყობილობა გამომერთო. ისეთმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, რომ მაშინვე მოვინდომე ჩანაწერის მოსმენა. ამისათვის მიკროფონი უნდა გამომერთო... ეს კი რისკი იყო. შეიძლება დომინიკს შევემჩნიე...

მოთმინება! მოთმინება!

სჯობდა გათენებას დავლოდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინას დანახვამ სევდანარევი ღიმილი მომგვარა. ხელში ჭიქა დაეჭირა და დიდი ამბით შიგ ჩამავალ წყლის წვეთებს ითვლიდა. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ „სითხის" გადაყლაპვისას სახის დამანჭვას ახერხებდა.

— ცუდი გემო აქვს? — შევეკითხე.

— ვერც კი წარმოიდგენ...

ვაი რომ ვიცოდი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

დილის საუზმეს ვამთავრებდით...

დომინიკი მიწასთან ჭიდილმა დაქანცა. მერე მოლბერტს დაავლო ხელი და მახლობელ ტყეში გაიჭრა მორიგი შედევრის შესაქმნელად.

სუფრიდან წამოვდექი. იმ წუთიდან, რაც თვალი გავახილე, სულ მაგნიტოფონზე ვფიქრობდი, მის იდუმალ ჩანაწერზე. აპარატი ყულაბასავით უნდა დამენჯღრია და იქიდან სიტყვების კორიანტელი დამეტრიალებინა...

— პოლ, ამ დილით რას აპირებ?

— საქმე მაქვს სხვენზე... ჩემოდნები უნდა ამოვალაგო.

— შუადღისას რაღა საქმე გაქვს, ძვირფასო? ხომ იცი, დღეს ხორციანი საჭმლის დღე გვაქვს.

— შენი ნებაა...

— განა სწორედ ასეთ ცხოვრებაზე არ ვოცნებობდი? განა ამ ალერსიან ურთიერთობას არ ვნატრობდი? განა არ მინდოდა ჩვენი ცხოვრება წმინდა და ფაქიზი ყოფილიყო? და მაინც...

მინა მომიახლოვდა, უნდოდა ეკოცნა. უცებ პირი იქით ვიბრუნე, რომ ამბორი ამეცდინა.

— არ გინდა მაკოცო?

ხელები მოვმუშტე.

მის ტუჩებს ძველებური სურნელი აღარ ასდიოდა.

— ჰო, კმარა, წავედი...

საბედნიეროდ, სხვენის კარი ურდულზე იკეტებოდა. ვერავინ შემომიღებდა კარს. ხელის კანკალით ჩავრთე მაგნიტოფონი. ცოტა ხანს მოეიცადე. უცებ ამუშავდა. წინადადებიდან რაღაც ნაწყვეტი გავიგონე:

„...უსათუოდ რაღაც!"

სიჩუმე ჩამოდგა; მერე დომინიკის ჩურჩული გაისმა.

„გჯერა?"

უცებ უცნაური ხმა შემომესმა. კოცნას წააგავდა. მერე მინას წკრიალა ხმამ (ყველაზე კარგად ისმოდა) წარმოთქვა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მოერიდე მას"...

მაშასადამე — მე.

სიჩუმე კვლავ დიდხანს გაგრძელდა. ეს სიჩუმე მაგნიტოფონის მწვანე ციმციმა შუქზეც შევამჩნიე, როცა ლაპარაკს ვიწერდი. მერე ბგერები ახმაურდნენ. არა, ეს სიტყვები არ იყო... ამ ხმას ვიცნობდი, ვიცნობდი... ხმა, რომლის დაჯე-

რება წარმოუდგენელი გახლდათ ჩემთვის... ეს იყო ხმა, რომელიც მამაკაცის და ქალის შეერთებას თან სდევს ხოლმე. ისმოდა ჭრიალი, ოხვრა, კოცნის ხმა... წამოძახილი... იდგა იმ ველურ ხმათა კორიანტელი, რაც შმაგ სიყვარულს სდევს ხოლმე. ყურებს არ ვუჯერებდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არ ვცდებოდი... ამის მოსმენა აუტანელი გახდა...

მანამ ამ პატარა დაკვირვებას ეაწარმოებდი, მეორე სიცრუეს მივხვდი! სიცრუე, რომელიც გვირგვინად დაედგა დანარჩენ ტყუილს. მინა არ იყო დომინიკის დედა. ის მისი საყვარელი გახლდათ. სრულიად ახალგაზრდა ქალი. მან სხვისი პირადობის მოწმობა ხელში ჩაიგდო, რათა თავი გაესაღებინა და შემდეგ ორივე უფრო გულადად ჩაბმულიყვნენ ამ ავანტიურაში. მე შევირთე ის, რომელიც არ არსებობდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ამ ქორწინების შესახებ არაფერი იცოდა.

სასიყვარულო ალერსის შემდეგ ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მეგონა, ბობინა თვითონ დაიხვია-მეთქი, მაგრამ ჩამრთველს ხელი რომ დავაჭირე, საუბარი განახლდა...

„ჩემს ოთახში უნდა დავბრუნდე".

„ნუ ჩქარობ, ჩემო მტრედო, დრო კიდევ გვაქვს!"

ოჰო, მისი მტრედი ყოფილა!!!

„არა, სახიფათოა. იმ იდიოტს ისეთი ფხიზელი ძილი აქვს..."

გესმით, რა თქვა. ეს შეურაცხყოფა ჩემთვის ყველაზე მძიმე ასატანი იყო.

ისე გავბრაზდი, რომ მინამ მერე რა თქვა აღარ გამიგია. ბობინა უკან დავატრიალე, რომ ბოლო ნაწილი კიდევ მომესმინა.

„არა, სახიფათოა, იმ იდიოტს ისეთი ფხიზელი ძილი აქვს".

„თავზე რომ წამოგვადგეს იმ დროს, როცა..."

„უნდა დავარწმუნოთ, რომ სახსრების რევმატიზმს ვმკურნალობთ".

ქალმა გაიცინა. მისმა სიცილმა დომინიკი ჩემდამი ზიზღით განაწყო. მეტი ლანძღვა და ბილწსიტყვაობა ძნელი წარმოსადგენია, რითაც მამკობდა ვაჟბატონი... მერე მოლბა:

„ეგ შენი პოლი სულელი უნდა იყოს, როგორ დაიჯერა, რომ შენ და ორმოცი წლის? შენნაირი ლამაზი ყელზე არ დაადგეს! ო, ეგ არამზადა, ეტყობა, გამჩენ დედას მაგისთვის არაფერი უსწავლებია..."

ისევ ვნებიანი კოცნის ხმა გაისმა. მერე კი კარი აჭრიალდა. ალბათ მინამ კარის საკეტი ზევით ასწია, რომ გაღებისას ხმაური ნაკლები ყოფილიყო.

თავი X

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა — ბავშვობაში დედამ მაღაზიაში წამიყვანა. ხუთი წლის თუ ვიქნებოდი. დედა ერთ-ერთ დახლთან შეჩერდა და ჩვენ ერთმანეთი თვალიდან დავკარგეთ... მას შემდეგ ისეთი სულის წრიალი აღარ განმიცდია. ვიდექი მარტო. ირგვლივ ბრბო შემომხვეოდა. თითქოს თითოეულ მათგანს საშინელი ნიღაბი ეკეთა.

ჩანაწერი რომ მოვისმინე, ისევ ისე ამიწრიალდა სული, როგორც მაშინ. მე კიდევ ერთხელ დავკარგე დედა...

უნებლიე მოძრაობით ისევ ჩავრთე მაგნიტოფონი. მრცხვენოდა. ამ ოთხკუთხა ყუთში ერთი ტომი დრამა ჩაბუღებულიყო. ყუთიც ისეთივე ვერაგი გახდა, როგორც მომხდარი ამბავი. გონებას მოვუხმე. აფრიკაში რომ ვმუშაობდი, მტაცებელ ცხოველებზე გავინადირებდი ხოლმე, მაგრამ შიში რა იყო, არ ვიცოდი. პირიქით, ხიფათი ვაჟკაცობის გუნებაზე მაყენებდა. ბოლო ხანს ეჭვმა შემჭამა.

ახლა კი, თითქოს ჯადოსნური ხელი გადაესვაო, ყველაფერს ნათელი მოეფინა; თურმე ორი თაღლითი შევიფარე. ისინი ჩემს მოსპობას აპირებენ.

ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ...

სული რომ არ დამხუთოდა, სარკმელთან ახლოს ჩემოდანზე ჩამოვჯექი. ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი უნდა ამერჩია: ან ორი არამზადისათვის ნიღაბი ჩამომეხსნა და სამართალში გადამეცა, ან „გავჩუმებულიყავი, მიმეშვა და მერე შემერცხვინა.

ჩემი ბობოქარი ბუნების კაცს უდავოდ პირველი გადაწყვეტილება უფრო მიმიზიდავდა, მაგრამ ბრაზმორეულმა და შეურაცხყოფილმა მოცდა ვარჩიე და ჩავუსაფრდი. თუმც მოლოდინი ძალზე სახიფათო იყო. ამ არამზადებს, როგორც ჩანს, კარგად მოფიქრებული გეგმა ჰქონდათ. შესაძლოა ჩემი დუმილის მსხვერპლი გავმხდარვიყავი... ასე თუ ისე, სიფხიზლე მმართებდა...

სულ შევიცვალე. სიბრაზე ისე მომერია, რომ შიში დავკარგე. ჩემს სიკვდილზე აღარ ვდარდობდი, რახან შურისძიების საშუალება მომეცა. გულწრფელად გეტყვით, გამასხარავებულ კაცს მხოლოდ ეს აზრი უნდა უტრიალებდეს თავში... კიბე საფეხურ-საფეხურ ჩამოვლიე. ვგრძნობდი, როგორ მეუფლებოდა სიძულვილი, მაგრამ ამავე დროს წონასწორობას ვინარჩუნებდი.

საერთო ოთახში ჩავედი თუ არა, სადაც მინა სადილისთვის ბოსტნეულს ასუფთავებდა, სახეზე ღიმილი მოვირგე.

— რა ჰქენი, დაალაგე იქაურობა?

მივუახლოვდი.

—მოგვიანებით კიდევ განვაგრძობ. გამახსენდა, ერთი გარაჟის პატრონს უნდა შევხვდე, მანქანის ამორტიზატორი მაქვს შესაცვლელი, მაგვიანდება... უჩემოდ ისაუზმეთ.

— ძვირფასო, ხომ არ გამოგყვე?

— რა გინდა გარაჟში, კარგა ხანს შევრჩები, ხომ გაგიჟდები...

ქალს ნიკაპი ავუწიე. თვალებში უსაზღვრო სიწმინდე ჩაჰლვროდა. ასეთი მშვიდი და სინაზით აღსავსე სახე არასოდეს მენახა. მინა მაშინებდა, მაგრამ მისი სახე მაინც მიწევდა. მიწევდა, მაგრამ სხვანაირად. ისე როგორც არენა იზიდავს თავის ტორეადორს...

— დროებით... მითხარი, ჩემო სიყვარულო, ამაღამ მქონდეს შენი იმედი?

მინამ ვნებიანად გამიღიმა.

— მაპატიე პოლ, ჩემი შვილი რომ აქ არის... მალე პარიზში გაბრუნდება, ცოტაც მოითმინე...

ამის თქმა იყო და მივხვდი — „მალე“ ჩემთვის სიკეთეს არ მოასწავებდა.

გულდაწყვეტილი კაცის კვალობაზე ამოვითხრე და წავედი.

ერთი საათის შემდეგ ნოტარიუსთან ვიყავი. ანდერძი უნდა გამეუქმებინა. ახალი შევადგინე, რომლის მიხედვით მთელ ჩემს ქონებას აფრიკის მისიას ვუტოვებდი. უფრო მეტიც, ნოტარიუსს წერილი მივანდე, რომელსაც მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ გახსნიდნენ. წერილში პოლიციას ვუმხელდი იმ საოცარ ამბავს, რომელიც სულ ახლახანს თავს დამატყდა.

ბიუროდან რომ გამოვედი, ამოვისუნთქე. ამ ახალმა ნაბიჯმა ტკივილი დამიყუჩა. ახლა რომც რაიმე დამმართვოდა, მინა და მისი კომპანიონი ცარიელზეც დარჩებოდნენ და თან მათი ბინძური საქმეც გაიხსნებოდა... ეს გამარჯვება უთუოდ უნდა აღმენიშნა და მეც კაფეში გავწიე. ზედიზედ ორი წილი ვისკი გადავყლურწე. მართალია, ჩემი ღვიძლი შევაწუხე, მაგრამ ბოლო ხანებში ასე კარ-

გად ვუელოდი, რომ ეს ერთი სულელური საქციელი უნდა ეპატიებინა.

ალკოჰოლმა კარგ გუნებაზე დამაყენა. ჩემს მდგომარეობას უფრო ჩავულრმავდი. საბუთი ხელთ მქონდა. მინას ნამდვილი სახელი და გვარი, ესე იგი, ჩემი ცოლის, ანა-მარია გრიზარი არ იყო. მინდოდა მისი ნამდვილი ვინაობა გამეგო და ისიც, არსებობდა თუ არა ვინმე მინას ახლანდელი გვარით და სახელით. ეს ორი საკითხი რომ გამერკვია, დრო მჭირდებოდა, რათა თავისუფლად მყოფოდა. როგორ ჩამეგდო ხელში ერთიც და მეორეც ისე, რომ მინას რაიმე არ ეცნობა? გაქნილმა ჯაშუშმა, ეტყობა, იგრძნო ჩემი დაძაბული საქციელი, რადგან დომინიკი დატუქსა...

ერთი აზრი მომივიდა. წავედი ფოსტაში და აფრიკაში მუშაობისას ბაკუმაში ჩემს მოადგილეს — ბერტონს შემდეგი შინაარსის დეპეშა გავუგზავნე: „ცოლი შევირთე. მჭირდება ალიბი, რომ დავტოვო აქაურობა. გამომიგზავნე დეპეშა, რომელშიც რამდენიმე დღით ბაკუმაში გამოძახებას მაუწყებ, გიძღვნი მეგობრულ სალამს“. დეპეშას ბოლოს ჩემი მისამართიც მივაწერე.

ამ საქმის შემდეგ კაფეს მივაშურე. კარგად დავნაყრდი. მანამ შინ დავბრუნდებოდი, კინოშიც შევედი. ფილმის შინაარსი ჩემს ამბავთან შედარებით საკმაოდ უფერული მომეჩვენა, ისე რომ, სეანსის დამთავრებამდე ვერც მოვიცადე. იქაურობას გავეცალე.

———

მეორე დღეს საუზმობისას, ბერტონის დეპეშა მივიღე. ყოჩაღ, ბიჭო, დროზე მიშველე! „ხანძრის გამო მთელი არქივი დაიწვა. შენი ჩამოსვლა აუცილებელია. სამინისტროდან ქაღალდი გამოგზავნე. სასწრაფოა. გიძღვნი მეგობრულ სალამს. ბერტონი“.

ეს ამბავი ჩვენს სახლში მეხიეთ გავარდა. როცა დეპეშას ვკითხულობდი, მინა და თავისი... (კინაღამ შეილი წამომცდა) უნებურად ერთმანეთს შეაცქერდნენ. სახეზე შეწუხება დაეტყოთ, ჩემი თანდასწრებით მათი საქციელი გამარილებული კი იყო, მაგრამ იქნებ ცდილობდნენ სინამდვილე დაემალათ.

— მაშ მიემგზავრებით? — შემეკითხა მინა.

— სხვა გზა არა მაქვს... დამშვიდდი, ძვირფასო, ალბათ ორ კვირაში საქმეს მოვაგვარებ და... — ორივე არამზადამ ჯიდევ უფრო შეწუხებულებმა გადახედეს ერთმანეთს. ტანში გამცრა. დიდება შენდა ღმერთო! ეტყობა, ამ არამზადებს ორ კვირაზე უფრო ადრე უნდა მოესწრაფებინათ ჩემთვის სიცოცხლე!

ცუდად გავხდი. სიცოცხლე ალარ მინდოდა. იქაურობა აუტანელი გახდა ჩემთვის. წამოვდექი და ბაღში გავიჭერი. იქ თავისუფლად მინდოდა მესუნთქა.

მინა წამომეწია.

— პოლ, რა მოგივიდა?

— მგზავრობას რომ წარმოვიდგენ, ლამის გავგიჟდე... რა წამიყვანს აფრიკაში, იმ ჯოჯოხეთში...

— წასვლაზე ძალას გატანენ?

— არა, მაგრამ სინდისი მავალებს. თუ მთელი არქივი დაიწვა, ჩემს მერე მოსული თანამშრომლები დიდ გასაჭირში ჩაცვივდებიან, თუ მე არ დავეხმარე.

— მაშ მიდიხარ?

— დიახ.

— როდის?

— ხვალ დილით... თვითმფრინავი ორლის აეროდრომიდან შუადღის მერე მიფრინავს... სამინისტროში უნდა დავრეკო.

— ვწუხვარ, პოლ!

— ჩემზე მეტად ხომ არ განიცდი?

— შენ ასე გგონია. გული მტკივა, რომ მიდიხარ. იცი, როგორ შეგეჩვიე...

ო, ერთ კარგ სილას იმსახურებდა ჩემგან ქალბატონი, მაგრამ ნებისყოფა მოვიკრიბე და თავი შევიკავე...

— თუ მოვახერხე, ადრეც ჩამოვალ...

— იქნებ წასვლამდე ორი-სამი დღე დარჩენილიყავი?

— ვერა, ვერ შევძლებ, მაგრამ გპირდები, რომ ამ სატანჯველიდან რაც შეიძლება მალე დავიხსნი თავს!

მან წარბები ოდნავ შეჭმუხნა.

— რა გაეწყობა...

ჩემოდანში თეთრეულის ჩასალაგებლად გავემართე. მერე სამინისტროში დავრეკე. მინას თანდასწრებით გამგზავრებაზე დავიწყე ლაპარაკი... ტელეფონში ჩემი თანამოსაუბრეც ვერაფერს მიხვდა. გაოგნებული მიგდებდა ყურს...

— რახან საბუთები გაგიმზადებიათ, თექვსმეტ საათსა და ოც წუთზე მიმავალ თვითმფრინავს გავყვები... ხვალ შუადღემდე სამინისტროში შემოგივლით და ბილეთს და ფულს მაშინ ავიღებ, გმადლობთ...

ყურმილი დავდე. ტელეფონში ვინც მისმენდა, ალბათ გიჟი ვეგონე.

— ესეც მოვაგვარე, — წავილულლულე.

ამის შემდეგ მინამ ტბისკენ გასეირნება შემომთავაზა. ჯერ უარზე ვიყავი, მაგრამ ქალბატონი დაჟინებით მოითხოვდა.

— პოლ, ნუთუ წასვლის წინ ამაზე უარს მეუბნები?

დავუთმე, მაგრამ ვიგრძენი, ეს დაჟინება კარგს არაფერს მოასწავებდა.

ვიცოდი, ჩემი ხელში ჩაგდება გამგზავრებამდე უნდა მოესწროთ... შიშის ზარმა დამკრა. სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. როგორ გაართმევდნენ თავს ამ საქმეს? სიკვდილი ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. რა უნდა ელონათ ჩანაფიქრის აღსასრულებლად?

ვგრძნობდი, გეგმა მოფიქრებული ჰქონდათ... სანამ მე ტელეფონზე ვსაუბრობდი, ისინი განზე იდგნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, მერე კი დამშვიდდნენ, როგორც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება ხოლმე. სიმშვიდე დამეუფლა. გონება გამინათდა.

„ფხიზლად იყავი, პოლ... გაფრთხილდი... ამ წუთიდან ხვალ დილამდე ეს არამზადები შენს მოკვლას შეეცდებიან. ჭკვიანები არიან, ცბიერებაც არ აკლიათ... ისიც გაითვალისწინე, რომ **ორნი მოქმედებენ!**"

მინას წელზე მოვხვიე ხელი და ტყისკენ გავსწიეთ. ჩვენთვის ნაცნობი მიმართულებით მივდიოდით. უცებ გამიელვა, რომ სწორედ ამ ჩვეულ გზაზე შეეძლო მინას ჩემთვის მახე დაეგო.

— მინა, მოდი სხვა გზით წავიდეთ. მომბეზრდა ამ აშმორებული გზის ყურება.

— შენი ნებაა, პოლ...

არა, არა, სეირნობის დროს არ აპირებდა, იქნებ პისტოლეტით... არა, ეს აზრიც მოვიშორე.

ლაპარაკ-ლაპარაკით მივდიოდით. ორივეს დაბნეულობა გვეტყობოდა. ის იმაზე ფიქრობდა, როგორ მოვეკალი, მე კი იმას ვფიქრობდი, როგორ ამეცდინა ეს განაჩენი. მოლოდინის ისეთი განცდა გვქონდა, ჰოლივუდსაც კი შეშურდებოდა ასეთი თამაში. ჩამოცვენილი ფოთლები ჩვენ ფეხქვეშ იტკეპნებოდნენ.

— პოლ, უშენოდ დღე საუკუნედ მომეჩვენება...

— შენი შვილი ხომ შენთან არის...

— ჰო, მაგრამ, შენ სხვა ხარ და შვილი სხვა...

— მანამ მე ჩამოვალ, რას აპირებთ?

მინამ ჩაიღიმა და პასუხი დააყოვნა.

ჩემი არყოფნა ამ მეძავ დედაკაცს სამუდამო წასვლად ჰქონდა ჩაფიქრებული.

— აქ დარჩებით თუ...

— არა, აქ არ დავრჩებით, პარიზში წავალთ. კარგი მიზეზია, რომ დომინიკი გადაბარგდეს, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ალბათ...

მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ორი-სამი კილომეტრი ვიარეთ... მერე შინ დაუბრუნდით. ნისლი ჩამოწვა და ღამეს შეერია.

ფიქრებმა მომიცვა...

სეირნობის დროს მინას წინასწარ არაფერი ჰქონდა დაგეგმილი. მაშ რატომ ითხოვდა ასე დაჟინებით გასეირნებას? როგორც ჩანს, იმიტომ, რომ უნდოდა დომინიკი მარტო დარჩენილიყო შინ. მაშ, იმ ნაძირალას უნდა ეშმაკა... რა უნდა მოემოქმედა? თუ მოწამვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ამას წინასწარი შემზადება რად უნდოდა? უცაბედი მოწამვლით სიკვდილი სარისკო საქმე იყო. პოლიციის ყურამდე მივიდოდა. თანდათანობით მოწამვლისთვის კი დრო აღარ ჰქონდათ. არა, არა, საწამლავი გამორიცხული იყო... უფრო უცაბედი, წუთიერი რამ ჰქონდათ მოფიქრებული. ისეთი, რომ გაოცება არ გამოეწვია.

უბედური შემთხვევა!!!

ჩაფიქრებულმა ჩემი ოთახისკენ გავსწიე. იქაურობა გარინდულიყო. სულელივით ვეცი საწოლს, თითქოს ვილაცას მოკვლას ეუპირებდი, იქიდან გადმოგდებას. აშკარად ყველაფერი თავის ადგილზე იყო...

მაინც ეჭვი მეპარებოდა, რომ ჩვენს არყოფნაში დომინიკმა რაღაც „მოამზადა". რომ შევხედე, თვალი ვერ გამისწორა. ტყიდან რომ დავბრუნდით, ტელოსთან იჯდა და ითხიპნებოდა. ნატურმორტს ხატავდა. ო, სადა ხარ, სამართალო!

მაინც რა მოიფიქრა? მთელი სახლი დავყნოსე. მეგონა, რაღაცას წავაწყდებოდი. ჩემი თავი იმათ ადგილზე წარმოვიდგინე. რას დავაპირებდი? ამაოდ ვიჭყლეტდი ტვინს. არც ერთი აზრი არ მომწონდა.

— აბა, სუფრას შემოუსხედით, — დაიძახა მინამ.

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი საწამლავზე არ მქონდა, მაინც გადავწყვიტე თვალი მჭეროდა პურზე, ღვინოზე, თუ დომინიკი არ დალევდა, არც მე მივეკარებოდი სასმელს...

ტუალეტისკენ გავემართე. ხელის დაბანისას ჩემი ყურადღება ფაიფურით მოპირკეთებული კედლის ფილაზე მისხურებულმა რამდენიმე შავმა ლაქამ მიიპყრო. ეს ლაქები, ხელის დაბანის დროს გაჩენილ ლაქებს ჰგავდნენ. ჯერ მეგონა, რომ დომინიკის საღებავიანი ხელის მიზეზით იყო იქაურობა მოთხუპნული, მაგრამ ვაჟბატონი ჩემს მერე შევიდა ხელის დასაბანად. თითები წითელი ფერის საღებავით ჰქონდა შეღებილი. მერე მისი ნახატისკენ გავიწიე, თვალი გადავავლე. შავი ფერი არ ეხმარა...

როცა დომინიკი ტუალეტიდან გამოვიდა, ფარულად პირსაბანთან მივბრუნდი. შავი შხეფები კედელზე კვლავ მოჩანდა. თითით მოვწმინდე. ახლოს შევათვალიერე და დავრწმუნდი რომ შავი ლაქა საპოხი ზეთი იყო.

გონება გამინათდა: მანქანა! — გამიელვა თავში.

ამ ნაძირალას მანქანაში უფათურებია ხელები!

მინამ კვლავ მოგვიხმო.

— მამაკაცებო, გთხოვთ სუფრასთან!

დაჯდომისას ორივეს ალერსიანად მივმართე:

— რახან პარიზში გადაგიწყვეტიათ დაბრუნება, მაშ, დილით ჩემთან ერთად წამოდით!

დომინიკი შეკრთა. მინასთან შედარებით თავის შეკავება არ ეხერხებოდა. ქალმა ვითომ აწონ-დაწონა ჩემი წინადადება.

— არა, პოლ, ზეგ ავტობუსით წასვლა გვირჩევნია. ჯერ ახლს მინდა მივხედო...

— სახლს არაფერი სჭირს, ბარგის ჩალაგებას კი რა უნდა...

— მეც ნახატი მაქვს დასამთავრებელი, — თქვა დარწმუნებით დომინიკამ.

— პირიზში გამომშვიდობება უფრო გამიჭირდება, — მოკლედ მოჭრა პასუხი მინამ. — აქ კი ისეთი გრძნობა მექნება, თითქოს აქვე ხარ და შორს არსად წასულხარ...

დომინიკს სიცილი წასკდა.

მინამ ცივად გახედა ყმაწვილს.

— რა გაცინებს დომინიკ?

ვაჟი ჯერ გაქვავდა, მერე აჩეჩილ თმაზე ხელი გადაისვა.

— შენს ნათქვამზე მეცინება, დე... შორს არსად წასულხარო, რომ ამბობ, აფრიკას გულისხმობ?

დავრწმუნდი, ხიფათი მანქანაში მელოდა.

თავი XI

მალვიძარა ექვს საათზე დავაყენე, მაგრამ მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. ოთხ საათზე უკვე ფეხზე ვიყავი. საჩქაროდ ჩავიცვი და უხუმრად გარაჟში ჩავედი. ვაჟბატონს მართლაც ყველა ჭანჭიკი დაეხსნა მანქანისთვის. პირველივე, ოღნავ მკვეთრ მოსახვევში მანქანა ხელში შემრჩებოდა. ო, რა მწარედ მეხუმრებოდა დომინიკი. ხელში ავიღე ინგლისური გასაღები და მანქანის წესრიგში მოსაყვანად მოვემზადე, როცა ერთმა კარგმა აზრმა გამიელვა თავში... ამ აზრის გამჟღავნება სულაც არ იყო საჭირო. მიეიღე გადაწყვეტილება და დასაბანად გავემართე.

გამომშვიდობებამ მღელვარედ ჩაიარა. ისე გამაცურეს, თქვენი მოწონებული. ამ მეძავმა დედაკაცმა ცხვირსახოციც კი მომცა, რომ გულთან ახლოს მეტარებინა, როგორც სახსოვარი.

მადლობა ვუთხარი და ვაკოცე.

დომინიკმა ხელი ჩამომართვა, მერე სინანულით თავი გააქნია და მითხრა:

— უნდა გაკოცოთ, პოლ, მართლაც მიჭირს თქენთან განშორება... — მინამაც გადმოაგდო ცრემლი და მაკოცა.

გავოგნდი. ამ ხალხს სინდისის ნატამალი არ გააჩნდა. სასიკვდილოდ სრულიად მშვიდად მისტუმრებდნენ.

მანქანა დავქოქე. ჩემოდანი უკან დასაჯდომზე დავაგდე და ხელის ქნევით ადგილიდან დავიძარი.

არ მეშინოდა, რომ ვთქვა, სიცრუე იქნება. რა დაგაწყნარებს კაცს, როცა მანქანა მიგყავს და ყოველ ნაბიჯზე შენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია... პატივცემულებს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდათ, ჩვეულებრივ სწრაფად დავძარი მანქანა. საბედნიეროდ, სახლის წინ გზა ლარივით იყო გაჭიმული.

გზას ნელა, ნაპირ-ნაპირ მივყვებოდი. ვალენტინას ყავახანას ჩავუარე. საწყალი ფაშფაშა... კარგა ხანია მიტოვებული მყავდა. კარებში იდგა... ხელი დიდი

ამბით დავუქნიე და კიდევ ხუთასიოდე მეტრი გავიარე... შევჩერდი. ჯიბიდან ლურსმანი ამოვიღე, მანქანის წინა საბურავში ჩავარჭე და დავფუშე. მერე სანაცვლო საბურავი ამოვიღე და ისიც დავჩუტე.

მანქანასავით ზუსტად და მეთოდურად ვმოქმედებდი. ჩემოდანს ხელი წამოვავლე და ფარდულისკენ გამოვბრუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგემართათ? — მკითხა ფაშფაშამ.

— სიკვდილს გადავრჩი... საბურავის გამოცვლა მინდოდა, თურმე სათადარიგოც უვარგისი მქონია... ავტობუსი, მგონი, ათ წუთში გამოივლის, არა?

— დიახ...

— დროშა გამოკიდეთ, რომ გამიჩეროს. ჩემი წასვლის შემდეგ კი, თუ ძნელი არ იქნება, დარეკეთ ჩვენებთან, სახლში და უთხარით, რაც დამემართა. ჩემი გერი მოვა და მიხედავს მანქანას. აქედან ხუთას მეტრში გავაჩერე.

— გასაგებია ყველაფერი. რით გაგიმასპინძლდეთ?

— მუსკატის ნაყენზე უარს არ ვიტყოდი.

ქალმა ორი ჭიქა გადმოიღო. ისე მივუჭახუნე, რომ ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს. ქორწინებამდე ჩვენ შორის მეგობრობა ის იყო ფეხს იკიდებდა, ახლა კი ამ ურთიერთობის კვალიც გამქრალიყო.

— ოჯახს როგორ შეეგუეთ?

— ჰო, ძალზე კარგად...

— ანუ ბედნიერი ხართ.

— სრული ბედნიერება არ არსებობს...

— თქვენი მეუღლე კარგი ქალი ჩანს, მგონი, მეტისმეტად კარგიც, არა?

ქალი უკეთესად სჯის მეორე ქალის სიაეკარგეს, ვიდრე ჩვენ, მამაკაცები. ცბიერი ფიქრი არაფრად ჩავუთვალე. ამ დროს ავტობუსმა შორიდან ნიშანი მოგვცა. ეტყობა, მძღოლმა მწვანე დროშა შეამჩნია. გზაზე გავედი.

— მაშ იმედი მექნება, ვალენტინა... ნახვამდის.

ავტობუსში ავედი და ადგილი დავიკავე. თავისუფალი კაცი გახლდით. სიკვდილს თავი დავალწიე. დამიჯერეთ, ეს დიდი ბედნიერება იყო.

თავი XII

პარიზში ჩასვლისთანავე ტაქსში ჩავჯექი და ორლის აეროდრომისკენ გავეშურე. იქ ბარში შევედი და ჩემი უიღბლო გამგზავრებისა და სიყვარულის ნაჩქარევი წერილი დავწერე მინას სახელზე. გულში მეცინებოდა. ნეტავ რას მოიმოქმედებდნენ, წერილს რომ წაიკითხავდნენ? ალბათ ბედისწერის ძალას ირწმუნებდნენ. პარიზში დავბრუნდი, საცხოვრებლად პატარა სასტუმრო შევარჩიე სადგურთან ახლოს და მუშაობას შევუდექი.

———

სიმართლე გითხრათ, საქმე საიდან დამეწყო არ ვიცოდი. თან საკუთარი მარცხის შიშიც მქონდა, თან არც პოლიციაში წასვლას ვაპირებდი. საზოგადოების მსჯელობის საგანი არ მინდოდა გამხდარიყო ჩემი უბედურება. არც სასამართლოს საბოლოო განაჩენი მიზიდავდა. საქმე საიდანაც არ უნდა დამეწყო, მჯეროდა, ობიექტურად მივუდგებოდი.

სასტუმროს საწოლში პირქვე დავწექი. საწერი კალამი და ქაღალდი მოვიმარჯვე და პატარ-პატარა სასაცილო ნახატებით ფურცლის შელამაზება დავიწყე. ამ საიდუმლო და მეტისმეტად უბრალო ოთახში თავს თავისუფლად ეგრძნობდი. მინას ჯადოს თავი დავალწიე. მთელი დრო ჩემ წინაშე დასმული ამოცანის ფიქრსა და ამოხსნაში ვიყავი.

კაცი, რომლის ვინაობაში ეჭვი არ მეპარებოდა, რადგან ის ჩემი მემკვიდრეობის მისაღებად იყო ჩასაფრებული, დომინიკ გრიზარი გახლდათ. ოფიციალურად მე ცოლად შევირთე მისი დედა, მაგრამ რადგან მინა მისი საყვარელი აღმოჩნდა, მაშ ვინ იყო მისი ნამდვილი დედა? თუ ის ცოცხალია, მაშინ მოქალაქეობის ოქმიდან არ იქნება ამოშლილი. აი სად იყო ძაღლის თავი დამარხული... ერთი პირობა გადავწყვიტე კერძო პოლიციისთვის მიმეშართა, თუმცაღა ჩემთვის სარისკო იქნებოდა, თუ პოლიცია ამ საქმეს გახსნიდა. გამახსენდა, რომ ქალბატონი გრიზარი (მირჩევნია ესე მოვიხსენიო, ვიდრე მინა) ქვრივი არ გახლდათ, ქმართან გაყრილი იყო. მაშასადამე, მისი „პირველი" ქმარი კიდევ ცოცხალი იქნებოდა.

ცოლქმრული ურთიერთობის საქმეთა მოკვლევაში არავითარ ნდობას არ ვუცხადებდი სპეციალიზებულ კერძო კანტორებს, რომელთა პირველადი მიზანი ხშირ შემთხვევაში ის არის, რომ თუ ოდნავ მაინც გაანძრიეს ხელი, დიდი ფული დაგტყუონ. ის იყო გადავწყვიტე შემერჩია რომელიმე სამომსახურეო ბიურო, რომ გამახსენდა, ჩემი სკოლის ერთ-ერთი ახლო ამხანაგი პოლიციის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

როგორც იქნა, გადაწყვეტილება მივიღე და ძმაკაცს ვეწვიე. მეკარემ ჩემი საბუთი აჩვენა თუ არა, მიმიღო. ჩვენი ბოლო შეხვედრიდან თხუთმეტი წელი გასულიყო. შეცვლილი მეჩვენა. ღიპი დასდებოდა, თმა გასცვენოდა.

— რა გამეხარდა შენი ნახვა, — მითხრა თბილად და კარგად ნაპატიები მოხელის მსუქანი ხელი გამომიწოდა.

— მეც გამეხარდა, რომ გნახე, ვენსან!

— სულ არ შეცვლილხარ.

— გულს მიკეთებ!

— არა, გეფიცები, ცოტა კი გამხდარხარ, არა?

— რასაც შენზე ვერ ვიტყოდი!

ჩემმა შენიშვნამ სულაც არ წაუხდინა გუნება ვენსანს, პირიქით, ღიპზე ნაზად წაითათუნა ხელი. მგონი, ღიპით ისევე ამაყობდა, როგორც თანამდებობით. ერთმანეთს მოკლედ მოვუყევით ჩვენ-ჩვენი ცხოვრება. მან მორიდებით საათს დახედა.

— ვენსან, ბარემ ახლავე გეტყვი, შენთან იმიტომ მოვედი, რომ...—ყველანაირი საჩივრის მოსმენას ჩვეული ვენსანი ჩემს სათქმელს დაელოდა.

— ჩემო ვენსან. დიოგენივით მეც ვეძებ კაცს. ვიფიქრე, გამოცდილ ვინმეს დამახმარებს-მეთქი.

— კაცს? — გაიმეორა გაოცებულმა.

— დიახ.

— რატომ?

— ერთ ყმაწვილს ჩვენი ოჯახის საკმაო ვალი ჰქონდა... იმედი არა მაქვს, რომ ამდენი წლის შემდეგ ხელიდან რამე გავაგდებინო, მაგრამ იქნებ დაველაპარაკო.

მან კალამი და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— ჰო, გისმენ...

— საქმე ეხება ვინმე ევარისტ გრიზარს... არც მისი დაბადების თარიღი ვიცი და არც მისამართი. ზუსტად მარტო ის ვიცი, რომ მან ცოლად შეირთო ანამარია მოპიუი, რომელთანაც შეეძინა შვილი, სახელად დომინიკი... ამის მეტი არაფერი ვიცი...

ვენსენმა ჩაიწერა ჩვენება, მერე წამოდგა, ამით მანიშნა, რომ გამოკითხვა დამთავრებული იყო.

— მომეცი შენი მისამართი, ინფორმაციას დღის ბოლომდე მიიღებ, თუ რამემ არ შეუშალა ხელი...

— ასე მალე?

— შენ რა, პოლიციაზე სხვა აზრი გქონდა?

სასტუმროს მისამართი გადავეცი. ვენსანი ცოტა არ იყოს გაკვირვებულ ტონზე გაიგო, რომ მესამე კლასის სასტუმროში ვცხოვრობდი.

როგორც კი პოლიციიდან თავი დავიხსენი, ფიქრების მოსაშორებლად კინოში შევედი, მაგრამ აკვიატებულ აზრებს ვერაფერი მოვუხერხე, ისინი ხის ჭიებივით დამსეოდნენ. მალე დარბაზიდან გამოვედი და კაფესკენ გავსწიე. ზღვის ნობათით ვისადილე და სასტუმროში დავბრუნდი. ოთახი თითქოს ისე გულღიად აღარ შემხვდა, როგორც დილით. გულგატეხილობა მომეძალა. ქორწინებაში ბედმა მწარედ მიმტყუნა. ბაკუმაში გატარებული დრო სანატრელი გამიხდა. ბედის უკულმართობა გულს მიკლავდა.

უბრალო, გულახდილი ბუნების კაცი ვიყავი... ამ მეძაუმა დედაკაცმა ნამდვილი სიყვარული მაგრძნობინა, მაგრამ რამდენიმე დღეში ყველაფერი თავზე დამამხო.

დღეიდან ჩემი სიცოცხლე მათთვის აუტანელი გახდებოდა, სიცოცხლე, რომელიც არამზადებსა და ჩემს ქონებას შორის აღიმართა. ამიტომაც არ მოისვენებდნენ, სანამ საბოლოოდ არ გამომასალმებდნენ წუთისოფელს. ცხადია, ვერ მივაღწევდი საწადელს, თუ ძალებს არ მოვიკრებდი.

ერთ პატარა სასურსათო მაღაზიისკენ გავეშურე. ის ყველაზე ახლოს იდგა სასტუმროსთან. ბედმა გამიღიმა და ერთი ბოთლი ირლანდიური ვისკი აღმოვაჩინე, რომელიც ყველაზე ადვილად მოსანელებელი გახლდათ ჩემი აზრით. დაკბილული ჭიქა შევივსე. უცხო სასმელი ერთი ყლუპით ჭადავკარი. გავითიშე. სასტუმრომდე ძლივს მივიტანე ტანი და საწოლზე გავიშხლართე. უძილობისა და მღელვარებისაგან არაქათგამოცლილს მკვდარივით დამეძინა.

———

ტელეფონის ზარმა გამომაფხიზლა. წკრიალი კი არა, ნამდვილი ჟღარუნი იყო. ყურთასმენა დამეხშო. გიჟივით წამოვხტი. ოფლმა დამასხა. ხელის ფათურით მივაგენი ყურმილს. ქუჩის მხოლოდ ერთი დაბრეცილი აბრის მილეული შუქი დროდადრო აღწევდა სიბნელით მოცულ ოთახს. შემოსასვლელიდან სასტუმროს მოლარის ხმა გაისმა.

— პოლიციის განყოფილებიდან გკითხულობენ...

სიბრაზისაგან ცეცხლი მომედო. ჩემი გასაჭირი მყოფნიდა, ვერა და ვერ გამოვდიოდი ბახუსის ბურუსიდან. აზრებს ვერ ვუყრიდი თავს.

მანამ ლაპარაკს დაეიწყებდი, ერთი პირობა გადავწყვიტე თავი წყალქვეშ შემეშვირა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ყურმილში უხეში, ბოხი ხმა გაისმა:

— ბატონი დიუტრა ბრძანდებით?

— დიახ, გისმენთ.

— ბატონ ვენსანის დავალებით გირეკავთ...

— დიახ, დიახ.

თავს ძალას ვატანდი, რომ გამეგო, რას მეუბნებოდა ეს ადამიანი. ყველაზე უბრალო სიტყვის მნიშვნელობაც კი მავიწყდებოდა, აზრს ვერ ვხვდებოდი.

— თქვენ რომ კაცს ეძებთ, იმასთან დაკავშირებით გირეკავთ...

— დიახ. დიახ.

— კაცი, რომლის სახელი და გვარია ევარისტ გრიზარი, ცხოვრობს რუენში, მუშათა ახალ დასახლებაში... მოითმინეთ, ზუსტ მისამართს გეტყვით: ბართლომე-ჟონკეს ქუჩა, 14... ჩაინიშნეთ?

ვერაფერიც ვერ ჩავინიშნე, მაგრამ „დიახ" ვუპასუხე.

— სულ ეს არის...

მანამ ყურმილს დავკიდებდი, მადლობა ჩავიბურდღუნე და ტაბაკზე დაგებულ ფარდაგზე დავეშვი. ღვიძლმა თავი გამახსენა. თავბრუ მეხვეოდა, ჩემ გარშემო ყველაფერი ცეკვავდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ფეხზე წამოვდექი. როგორც იყო, პირსაბანთან მივედი. თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. კარგა ხანს კეფა წყალს შევუშვირე. ცოტა მოვმჯობინდი.

მიმღებში ვთხოვე, წამალი მოეტანათ, რომელსაც ასეთ შემთხვევაში ვსვამდი ხოლმე. წამლის მოლოდინში გაზეთის არეზე მივაწერე: ბართლომეს ქუჩა 14. მისამართი მთლიანად ვერ გავიხსენე. ამაოდ ვცდილობდი. თავში ბურუსი მიტრიალებდა. ეს ბურუსი გულს მირევდა და ცუდად მხდიდა. მეორე დღეს მაინც გავემგზავრე რუანში.

თავი XIII

ერთ სახლს მივუახლოვდი, თანამედროვე, მუშათა კლასის შესაფერის ყაიდაზე აგებული შენობა გახლდათ, როგორც იტყვიან, „ყველა სათავსოთი აღჭურვილი". გარედან კარგი შესახედაობა ჰქონდა, რადგან ახალი აშენებული იყო, მაგრამ მშენებლობის ხარისხზე ეტყობოდა, რომ ეს უბრალო ბინები წლებს ვერ გაუძღებდნენ. ზარი დავრეკე. ქალის ხმა მომესმა. ტინო როსის რეპერტუარიდან რაღაცას ღიღინებდა. არ ეშლებოდა, მაგრამ იმდენად ცხვირში მღერიდა, რომ ვამეღიმა. ქალმა ვოკალის დემონსტრირება უცებ შეწყვიტა. კარი გამიღო. ჩემ წინაშე პატარა ტანის ფუნთუშა ქალბატონი იდგა. ცალ ხელში აბოლებული სიგარეტი ეჭირა, ცალში კარტოფილის საკეპი. ისიც ვერ მოეფიქრებინა, რომ საკეპი დაედო და ისე წამოსულიყო კარის გასაღებად. საკეპს კარტოფილის წვენი გასდიოდა და ლინოლიუმზე თეთრ ლაქებად ემჩნეოდა.

— რა გნებავთ?

— თუ შეიძლება, ბატონ გრიზარს სთხოვეთ.

ქალმა ეჭვით შემათვალიერა. ისეთი გამოწკეპილი ვიყავი, რომ აფორიაქდა, ვინმე შემოწმებაზე ხომ არ მოვიდა უშიშროებიდანო, ან იქნებ სულაც ეილაც აბეზარ კაცად ჩამთვალა.

— რატომ დავუძახო?

— პირადი საქმე მაქვს მასთან....

ქალბატონს, ეტყობა, არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი. წარბი შეიკრა. პატარა სახე ჯიუტად მოკუშტა, ფინიას დაემსგავსა.

— მე მითხარით, მისი ცოლი ვარ.

შევკრთი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს ქალი არ შეიძლებოდა დომინიკის დედა ყოფილიყო.

— ისეთი არაფერია, საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი ვარ... საქმე მის პირველ ცოლს ეხება...

— შემობრძანდით...

ქალი სასადილო ოთახში შემიძღვა. ოთახი პატარა იყო, ლევიტანის ავეჯით გაწყობილი,

— კი მაგრამ, სანამ ამ ოჯახში შემოვიდოდი, „ის“ ხომ უკვე გამოსული იყო? — მკითხა ფუნთუშამ.

შევეცადე სახეზე გაოცება არ გამომეხატა.

— საიდან უნდა გამოსულიყო? — დაბნეულად შევეკითხე.

— როგორ თუ საიდან, ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, მტერს იქაურობა, ექიმები ამბობენ, ვერ განიკურნებაო.

ეს ახალი ამბავი რომ შევიტყვე, ბევრ რამეს მივხვდი. ამკარა იყო — მინამ ოსტატურად გამოიყენა ოჯახის მდგომარეობა და ადვილად მიითვისა ნამდვილი ანა-მარია გრიზარის პირადობის მოწმობა.

— სწორედ ამ საკითხის დაზუსტებას ვაპირებდი. დიდი ხანია, რაც გრიზარი იქ იმყოფება?

— ევარისტს რომ ვაჭყვა ცოლად, სულ რამდენიმე წლის შემდეგ... შეიძლება მოვწიო?

გავიღიმე. რას იზამ, სამყარო ნერვებდაწყვეტილია... სიგარეტის მოსაკიდებლად ცეცხლი მივაწოდე.

უცებ კარგ გუნებაზე დადგა.

— ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელი იყო მამაკაცისთვის ამდენი უსიამოვნების და სიგიჟის ატანა? თურმე რომ მოუვლიდა, ორივეს დასახოცად იმეტებდა, ქმარსაც და შვილსაც... ცოლი რომ საავადმყოფოში დააწვინა, მე მერე გავიცანი ევარისტი... ერთმანეთი მოგვეწონა და ევარისტი შემპირდა, ცოლად შეგირთავო, მაგრამ ამ შეშლილ ქალთან გაყრა ვერა და ვერ მოხერხდა... თითქმის ათი წელი დაგეჭირდა ამ საქმის მოსაგვარებლად. აი, ამის თქმა მინდოდა...

— რა ადგილზეა ის საავადმყოფო?

— ექს-ან პროვანსში... იმ დროს მათი ოჯახი სამხრეთში ცხოვრობდა. მე მარსელში შევხვდი ევარისტს, კანებიერის კინოთეატრში...

ამ ქალის სათუთი ცხოვრება აინუნშიც არ მომდიოდა.

— რა ჰქვია იმ საავადმყოფოს?

— არ ვიცი... რა უნდა ერქვას, რაითნის საავადმყოფოა, ერთზე მეტი ხომ არ იქნება?

რას ვერჩოდი, ქალი მართალი იყო.

— შვილი?

ამ შეკითხვაზე ცოტა არ იყოს დაიბნა, სახე წამოუწითლდა.

— ევარისტმა ბავშვი ბებიას, დედის დედას მიაბარა.. მერე კი აღარაფერი გაგვიგია... რას იზამთ, ცხოვრება ასეთია, სადაც დაოჯახდები, გულისყურიც იქ გაქვს...,

კარგად მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ამ ფინიას არ უნდოდა გიჟი ქალის შვილი გაეზარდა. თავისი ქმრის წარსული ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეშორებინა, რომ თვითონაც გულდაჯერებული ყოფილიყო. ჩემთვის სასარგებლო ცნობები შევიტყვე.

— დიდი მადლობელი ვარ... ისღა დამრჩენია, რომ...

ქალმა სიტყვა არ მათქმევინა.

— მითხარით, რაში გჭირდებათ ეს ცნობები?

ცნობისმოყვარეობისაგან ცალი პატარა შავი თვალი აუკიაფდა, მეორე კი სიგარეტის ბოლისაგან ეჭუტებოდა.

დამაჯერებელი მიზეზი სწრაფად უნდა მეპოვა.

— მითხარით, ბატონი გრიზარის ვაჟი მუშაობს თუ არა? გადასახადთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ მისი ოჯახური მდგომარეობა..

— თვითონ მას ჰკითხეთ, არ შეიძლება?

ქალი თავისი შეკითხვებით მაღიზიანებდა.

— ქალბატონო გრიზარ, მე შემმოწმებელი ვარ, კაცი, რომელსაც მხოლოდ შემოწმება ავალია, გასაგებია?.. კარგად ბრძანდებოდეთ.

იქაურობა დავტოვე. ჩემი კანონიერი ცოლი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა და იქაურობას ბრდღვნიდა, დიახ, თურმე ოფიციალურად ბატონ ქალი შემირთავს...

სინდისი რომ მშვიდად მქონოდა, მე მაინც დავრეკე ექს-ან პროვანსის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, როგორც ქალბატონ გრიზარის ქმარმა. ეს ადგილი არა მგონია სამხრეთში ყოფილიყო. ისიც იყო შესაძლებელი, რომ ტელეფონით არავითარი ცნობები არ გაეცათ, მაგრამ უნდობლობა არ გამომიცხადეს. ტელეფონთან ქალი შემხვდა. იქაურ კილოზე დამელაპარაკა. მითხრა, რომ ქალბატონი გრიზარი ისევ ძველებურად ვერ იყო კარგად. ეს ნათქვამი ჩემთვის საკმარისი გამოდგა. მადლობა გადავუხადე. დავრწმუნდი, რომ ანა-მარია გრიზარი, ჩემი **მეუღლე,** ისევ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

ჯიფიქრე, სწორად მოვიქცეოდი, თუ ჩემს პატარა მეგობრებს მივაკითხავდი, შევაშინებდი და დავაჭერინებდი. ისიც უნდა გამეთვალისწინებინა, რომ მკვლელობის მცდელობის დასაბუთება გამიჭირდებოდა. ესე იგი, მათი დანაშაული მხოლოდ პირადობის მოწმობის მითვისებით ამოიწურებოდა, თან მინას მომხიბლავი გარეგნობის წყალობით მისი პატიმრობა რამდენიმე ოვეში დასრულდებოდა. საკმაოდ რბილი სასჯელი გახლდათ იმ ქალისათვის, რომელმაც ადამიანი ჯერ სიცრუის ბადეში გაახვია, მერე კი მოკვლა დაუჭირა... ისევ მოცდა ვამჯობინე. უფრო დიდ რისკზე მივდიოდი, დიახ, უფრო დიდ რისკზე ჩემი უმნიშვნელო სიცოცხლის ფასად. გატეხილ ღამეებს და დიდ გულისტკენას თუ გავუძლებდი, შემეძლო მკვლელობის მცდელობა დამემტკიცებინა. მეყოფოდა კი მოთმინება? ჩავჯექი მატარებელში და პარიზში დავბრუნდი. ჩემი მოსაზრებების მიუხედავად მათი ბინისკენ გავეშურე. კიბეზე ასვლისას სარწმუნო მიზეზი მოვიგონე. ვითომ ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდი მარსელის ნავსადგურში ჩამოვსულიყავი. ამრიგად, ჩვენ ისევ ერთად დავიწყებდით ოჯახურ ცხოვრებას და ისინი თავიანთი განზრახვის აღსრულებას შეეცდებოდნენ. კარზე ზარი დავრეკე. პასუხი არავინ გამცა. ნუთუ რონშიედან კიდევ არ იყვნენ ჩამოსულები? დასარწმუნებლად სახლის კონსიერჟს შევეკითხე. მან მიპასუხა, რომ ქალბატონი გრიზარი და მისი ვაჟი წინა დღით ჩამოსულან და ჩემს მოსვლამდე ათი წუთით ადრე სახლიდან წასულან. მათ კონსიერჟისთვის უთხოვიათ, თუ რაიმე წერილი მოვიდოდა მათ სახელზე, კანში გაეგზავნა, მოკითხვამდე. რალა უჭირდათ ჩემს ვითომ ცოლს და ჩემს ნამდვილ გერს (დიახ, სწორედ ასე გახლდათ), წუთიც არ დაუკარგავთ ბედნიერი დღეების გასატარებლად. ბოლო კვირების მანძილზე ფრთამოტეხილი ჩიტებივით იყვნენ, ცხოვრებამ გადაქანცა. რახან კონსიერჟს დაველაპარაკე, შევეკითხე კიდეც, რამდენი ხანი ცხოვრობდნენ დედა-შვილი ამ სახლში. მან მითხრა, რომ ისინი ახალი მდგმურები იყვნენ და რომ ბინა ადრინდელი მობინადრისაგან ჰქონდათ დაქირავებული, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა.

ჩემი ვარაუდი ასეთი იყო. მინა ახალგაზრდა ქალი გახლდათ და ორმოცი წლის მანდილოსნის როლის დიდხანს თამაში გაუჭირდებოდა.

კარგა დიდხანს ვიხეტიალე პარიზის ქუჩებში. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ხან რა გადაწყვეტილება მიტრიალებდა თავში, ხან რა. ჩიხიდან თავი

უნდა დამელწია! იქნებ განქორწინების საჩივარი შემეტანა? ან იქნებ ჯობდა დამევიწყა ეს უსიამოვნო თავგადასავალი და გული გადამეყოლა სადმე შორს, მოწმენდილ ცის ქვეშ; ან იქნებ დეპეშა გამეგზავნა პატივცემულებისთვის, რომ პარიზში დაბრუნებულიყვნენ და ამბის მსვლელობას დაელოდებოდი? ან იქნებ ეს საქმე სულაც ღიად დამეტოვებინა და ცოტა დამესვენა? მეოთხე გზა ვარჩიე, გზა, რომელიც სამხრეთისკენ გამაქროლებდა... რა უშნოდ გავლენილვარ.

იმავე დღეს კანისკენ მიმავალი მატარებლის საძილე ეკიპაჟის ბილეთი შევიძინე.

არ ვიცი, რამ ან ვინ მაიძულა ეს ნაბიჯი გადამედგა.

იქნებ ეშმაკმა?!

თავი XIV

მგზავრობისას მანძილის გადასერვა უფრო მახალისებს, ვიდრე მიდამოს თვალიერება. ასე მგონია, მანძილი უძრავი დროა. მიჰქრიხარ შენი შერჩეული ტრანსპორტით, არც მართვა, არც გეზი და არც სიჩქარის შეცვლა გეხება. ცხოვრების მძიმე ფიქრები ნელ-ნელა გშორდება და შენი თავის ბატონ-პატრონი ხდები.

მატარებელი თავის გზას ედგა, მე კი ისევ ჩემს თავზე დამტყდარ უბედურებაზე ვფიქრობდი. ეს ნათქვამი არ არის გაზვიადებული. რაც თავს გადამხდა, სწორედ რომ უბედურება იყო.

ორმა არამზადამ, რომელთაც არ ვიცნობდი, მესამე პიროვნების ქონების ხელში ჩასაგდებად გადაწყვიტეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი. შემთხვევითობამ გამწირა. დიახ, სულს მიმღვრევდა იმის განცდა, რომ უხილავმა ხელმა სწორედ მე გამხადა მათი რჩეული. შიში მიტანდა, როცა შემთხვევითობის საოცარ ძალაზე ვფიქრობდი, რომელმაც დამატოვებინა სამსახური ბაკუმაში და ეს დაწყევლილი სახლი მაყიდინა. მინას და ჩემ შორის ბედისწერის ხიდი იყო გადებული, რომელზეც იღბალს მრავალი წვრილმანი შეეკოწიწებინა. მინას რომ მარტოს ემოქმედა, აქამდე საქმეც მოგვარებული ექნებოდა. დომინიკმა აამღვრია ყველაფერი. ის გახდა ჩემი ეჭვების მიზეზი. ახლა კი მათი ბედი ჩემს ხელთ იყო. როგორც მინდოდა, ისე წარვმართავდი საქმეს... მაგრამ ჩემი სვლა არ იყო იოლი. კოზირი კი მქონდა ხელთ, მაგრამ თამაშის წესი არ ვიცოდი.

ძილს თავი ვერ გავართვი და მატარებლის ნანინას ხმაზე ტკბილად ჩამეძინა.

კანში შემოდგომის მიწურული იდგა. ქალაქი მზის ქვეშ ელვარებდა. სადგურიდან გამოვედი თუ არა, საოცრად მსუბუქად ვიგრძენი თავი. ასეთი ნეტარება საუკუნეა არ მწვევია. ჩემოდნით ხელში პალმის ძირში შევჩერდი. მინდოდა ეს უსასრულო ცა ჩემს თვალებში მომექცია. ჰაერი მათრობდა...

მერე მომაგონდა, რომ „ისინი" სადღაც ახლოს იმყოფებოდნენ, და სიხარული ცაში ამიორთქლდა.

პირველსავე სასტუმროში გავჩერდი. ტანი უნდა გადამებანა და მადიანად მესაუზმა. როცა ორივე დავასრულე, ფიქრები ამერ-დამერია. როგორ უნდა მოვქცეულიყავი? მომეძებნა, თავს დავტყდომოდი და უწმაწური სიტყვებით გამომელანძღა? იმ სიტყვებით, რომელიც კარგა ხანია მიმღვრევდა სულსა და გულს.

სასტუმროდან გამოვედი და უაზროდ დავადექი გზას პლიაჟისაკენ. იქ ცოტა ხალხი დამხვდა... რამდენიმე მოხუც, უფორმო ინგლისელ ქალს, მზისკენ მიეშვირათ რბილი ადგილები... ახალგაზრდები ფერად ბურთს თამაშობდნენ ქვიშაზე... შეზლონგს ხელი წამოვავლე და განმარტოებით მოვთავსდი. ხელები კე-

ფაზე დავიწყე და... ზღვას მივაცქერდი. თეთრი გემი სასაცილოდ მიცურავდა, ბაჯბაჯით მიიწევდა წინ. ღმერთმანი, სხვა არაფერზე ვფიქრობდი... უცებ დომინიკმა წინ ჩამიარა. ცისფერი შორტები ეცვა და ხარხარებდა. მოსაწონი გოგონა მოსდევდა, ქერა, მომღიმარი, დრო დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი — ლამაზი ქმნილება მინა გახლდათ; ასეთი თუ იყო, არ ვიცოდი. დაბრუნებია... თავისი ოქროსფერი თმა, გარეგნობა, თავისი ყმაწვილქალობა.

როცა შევიტყვე, რომ მინა ცრუობდა, ხშირად ვცდილობდი მისი ნამდვილი გარეგნობა წარმომედგინა, მაგრამ ჩემი წარმოდგენა ვერ სჯობნიდა ნამდვილ მინას — ნატიფ, ვარსკვლავივით ქალს.

ქალ-ვაჟმა ჩახუტებულებმა ჩამიარეს. სიყვარულში ჩაძირულებმა ვერც კი შემამჩნიეს... გავყურებდი, როგორ მშორდებოდნენ. ძარღვებში სისხლი ამემღვრა... გამახსენდა ჩვენი ალერსი. აი, თურმე რა ძალა ჰქონია სილამაზეს... დედის როლში სულ სხვა საქციელის ქალი იყო, ახლა კი მისი ნამდვილი ბუნება დავინახე... ვხვდებოდი, რატომ ცდილობდა მინა რაც შეიძლება სწრაფად ჩამოეცილებინა დარბაისელი ქალის იერი, ისეთი ქალისა, როგორიც რონშიეში იყო. დედის ჯავშანი ალბათ სულს უხუთავდა.

ვუყურებდი თხელ, ელეგანტურ სილუეტს. მას ყვითელი ფერის მხოლოდ ქვედა საბანაო სამოსი ეცვა. ქერა თმა უბრწყინავდა. ოცდახუთი წლისაც არ იყო... ნუთუ თმის ფერმა და სათვალემ ასე შეცვალეს? აქ რაღაც სხვა იყო მიზეზი... უფრო მთავარი და უფრო მარტივი. რონშიეში ის თავისი გმირივით ცხოვრობდა, ნამდვილ ორმოცი წლის მორიდებულ ქალს თამაშობდა, შინაგანად ისწრაფვოდა ყოფილიყო ასაკოვანი ქალი და სწორედ ეს შველოდა გარდასახვაში და არა ის სასაცილო სამოსელი, რომელსაც მინა არ ივიწყებდა.

მე საცოდავი კი სულელი აღმოვჩნდი. მყავდა ცოლი და არ ვიცოდი რა სიმდიდრის პატრონი ვიყავი. განგებას ჩემთვის პატარა გოგო უბოძებია, მე კი მოწიფულ ქალად მივიჩნიე.

სულ მოვიფუტკნე. წარსულს შევნატროდი, გესმით? ხელახლა მინდოდა დამეწყო ცხოვრება. აღარაფრად მიმაჩნდა, რომ მინას ჩემი მოკვლა უნდოდა, რომ კვლავაც სურდა ეს საქმე აღესრულებინა. ვგრძნობდი, მინა ნამდვილად მიყვარდა, მისი სიყვარულით დავსნეულდი.

დიდხანს შევრჩი შეზლონგზე გაშოტილი. ვერც კი ვგრძნობდი, როგორ მწვავდა მცხუნვარე მზის სხივები.

რადიო ისევ აფრქვევდა ტკბილი მუსიკის ჰანგებს. პატარა თეთრი გემი ანძამდე მიცურდა, ზღვის დასალიერთან.

ერთხელ კიდევ ვიგრძენი მარტოობა. მინდოდა მეყმუვლა. მუშტი კბილებთან მივიტანე და ისე ძლიერად ვიკბინე ხელზე, რომ ყბა მეტკინა.

კანში რვა დღე დავრჩი. მთელი ეს დრო დიდი, ნიჟარისჩარჩოებიანი ფერადი სათვალით შენიღბული, თავზე ფართო, წინაფრიანი ქუდით თითქმის სულ პლიაჟზე ვიყავი. ისინიც სულ იქ იყვნენ, მაგრამ ვერ მამჩნევდნენ; ვცდილობდი განცალკევებით ვყოფილიყავი... შევიძინე ჭოგრიტი და ყოველ მათ მოძრაობას ვუთვალთვალებდი. ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, თითქოს ეთამაშებოდნენ. საოცარი სიწმინდე შევნიშნე ამ ორი დამნაშავის ურთიერთობაში. ორივესი შემშურდა. მინდოდა მათთან ერთად მეც ბავშურად მეთამაშა, მათთან ერთად მეევირა, მომეხვია მინასთვის ხელი წელზე და თბილ ქვიშაზე გამეკოტრიალებინა მშურდა დომინიკის და ველარ ვიტანდი. აქამდე ჩემი მისდამი ცუდი განწყობა მსხვერპლის სიავე იყო თავისი მტრისადმი. ახლა კი ჩემი სიბრაზე მოტყუებული ქმრის რისხვა გახლდათ საკუთარი ცოლის საყვარლის მიმართ. დომინიკის სა-

ცოცხლე ჩემთვის აუტანელი ხდებოდა. იმ დახკვნამდე მივედი, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ამ პიროვნების გაქრობა გამახარებდა.

ნელ-ნელა შევადგინე მოქმედების გეგმა, რომელიც უფრო ვერაგად აღმოჩნდა, ვიდრე მათი. თუ ამ ჩანაფიქრს აღსრულება ეწერა, მე კი მჯეროდა, რომ ეწერა, მინა საშუდამოდ ჩემი გახდებოდა. მისი მფარველი ვიქნებოდი. ზღვის ნაპირზე მის უკან ვირბენდი და თან ჰაერში ზღვის ქაფს ყვავილებად ვაქცევდი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იმ დღეს (ეს დღე შავი ფერით უნდა შემოიხაზოს) სანოტარო კანტორაში დავრეკე, სადაც რონშიეს მაძული შევიძინე. გაეცანი თუ არა ნოტარიუსს, ვუთხარი, რომ შესყიდულ სახლში ბევრი ღირებული ნივთი აღმოვაჩინე, რომლის წაღება, როგორც ჩანს, ადრინდელ პატრონს დაავიწყდა-მეთქი. ვთხოვე ახალი მისამართი მოეცათ, რომ ნივთები გამეგზავნა. ნოტარიუსმა ქალალდებს დაუწყო ძებნა. მერე კი მითხრა, რომ ბლანშენი ამჟამად მარსელში ცხოვრობდა; იმ ღიპიან კაცთან ავტობუსით ორ საათში ჩავიდოდი. ბედმა გამიღიმა. სახლის ადრინდელ პატრონს ახლოს უცხოვრია. მეორე დღესვე ვეწვიე.

ᲗᲐᲕᲘ XV

მისი კოპწია, გაჯით შელესილი ერთსართულიანი სახლი ისმაილის ჩიხში მდებარეობდა. სახურავი რომაული კრამიტით ჰქონდა გადახურული. სახლის გვერდით ყვავილების ბაღი ჰყვაოდა. ხის კარზე ოქროსფერი ზარი იყო მიმაგრებული. როგორც კი კარი გაიღებოდა, ზარის ხმას ყურთასმენა მიჰქონდა.

ბლანშენი სავარძელში იჯდა და ილუსტრირებულ ყოველკვირეულ გაზეთს ათვალიერებდა, მზეზე თბებოდა, მარჯვენივ ერთი ჭიქა აპერიტივი ედგა...

შესვლისას ქალი შემეგება, ხელთ სურსათის ბადე ეჭირა. ორმოცდაათი წლის იქნებოდა, წითური, უზარმაზარმკერდიანი. ნამდვილ უზნეო დედაკაცს ჰგავდა.

სახლის პატრონმა გაზეთი დასწია და ჩემს დანახვაზე წარბები შეიჭმუხნა. ქალი კი, რახან კიბე გაუჭუჭყიანდა, კონსიერჟივით აქოთქოთებული ჩემკენ გამოემართა.

— რა გნებავთ? — ერთი ისეთი დამჭყივლა, ზრდილობიან მასპინძელს რომ არ შეეფერება.

მე გულგრილად გავიშვირე ხელი ბლანშენისკენ, რომელიც ტირიფის სავარძელში მოკუნტულიყო. სახეზე მოუსვენრობა დასთამაშებდა. ცხოვრებაში უფრო სრული ბრძანებულა, ვიდრე ფოტოზე... სურათზე არ ჩანდა მისი გაქონილი ყვითელი კანი.

— რაღაც ცნობები მინდოდა გამეგო ბატონ ბლანშენისაგან... რონშიეში მისი სახლი მე შევიძინე.

ქალი მოლბა.

— მობრძანდით, სასიამოვნოა, რომ გვინახულეთ... მაპატიეთ, დაგტოვებთ, საჩქარო საქმეები მაქვს.

მეპატიებინა კი არა, სიხარულით ცას ვეწეოდი, ოღონდაც კი ეს ქალი აქაურობას მოშორებოდა. ბლანშენი თვითონ მოვიდა ჩემთან.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, ბატონო დიუტრა...

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ცივი ხელი ჰქონდა. მოუსვენრად იყო. თვალის გარსი ყვითელი ხაზებით დასერილა. გულისამრევი შესახედი იყო...

მის მამულს თვალი გადავავლე და შემფასებლის კილოზე ვუთხარი:

— აი, თურმე რატომ დატოვეთ სოლონი... არაფერი სჯობს სამხრეთს, როცა ნანტიე ხარ...

მან ოდნავ გამიღიმა.

— მართალი ბრძანდებით, მოგწონთ აქაურობა?

— ძალზე მომწონს.

— მაშ რამ შეგაწუხათ? — წაიბურდღუნა ბლანშენმა და მზერა მომაცილა. მისი ფაშფაშა მატრონა ის იყო სახლიდან გავიდა, ოქროსფერი ზარი აწკრიალდა.

მე გავუღიმე. დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი. დავრწმუნდი, რომ ბლანშენმა ნამდვილად მოკლა თავისი ცოლი. ამის თქმა ცოტა საჩოთირო იყო...

მის შეკითხვაზე პასუხი არ გამიცია. მან შინ შემიპატიჟა. ყვავილებიანა ქსოვილით აკრული პატარა ოთახი ძველი, პროვინციული ავეჯით ლამაზად ჰქონდათ მოწყობილი.

ჩემი სიჩუმე უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. ბლანშენი ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა.

— თქვენ... თქვენ რა გაინტერესებთ?..

— არა, ბატონო ბლანშენ... თქვენს მეორე ცოლს ეს იმიტომ ვუთხარი, რომ მისი ცნობისმოყვარეობა გამექარწყლებინა.

მე ხაზი გავუსვი სიტყვებს „მეორე ცოლი".

ბლანშენს მწვანე ვაშლის ფერი დაედო.

— მაშ რისი თქმა გინდათ.

უცებ მღელვარება სადღაც გამიქრა, როგორც მსახიობს ემართება ხოლმე პირველი სიტყვის თქმისთანავე:

— ბატონო ბლანშენ, ჩვენ ხომ კაცები ვართ? ჰოდა, მოდით, კაცურად ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი.

— გეთანხმებით...

— ჰო, აი, რისი თქმა მინდა: მე ვიცი, რომ თქვენ პირველი ცოლი მოკალით!

უმალ ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე და ხელის აუკანკალებლად პირში ვიტაცე. რა პოზა დამეჭირა, არ ვიცოდი...

უბადრუკი ბლანშენი ჩემ წინაშე იდგა. დაჭმუჭნული ნაჭერივით ეკიდა მისი სხეული საკუთარ ჩონჩხს, პირი დაეღო და ენა დორბლით გავსებოდა.

— როგორ მიბედავთ?.. — შემომიტია მან.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი საქციელის განსჯა სხვისთვის მიმინდვია...

თითქოს საუკუნით დაბერდაო. მკვდრისფერი დაედო.

— თქვენ... თქვენ მართალი არა ხართ... მე...

სიგარეტს მოვუკიდე და კვამლი ღრმად შევისუნთქე.

— რატომ უარობთ, ბატონო ბლანშენ, საბუთი რომ არ მქონოდა, თქვენს საპოვნელად აქ არ ჩამოვიდოდი...

— რა საბუთი? — სიტყვა გულიდან ამოსკდა.

— თქვენი ცოლის ეგრეთ წოდებულ გამოსამშვიდობებელ წერილს, რომელიც მან თქვენ მოგწერათ, ბოლო მოახიეთ!

ბლანშენი აღარ შეიხედებოდა.

— კი მაგრამ...

— თქვენ დაგავიწყდათ ის ავადსახსენებელი წერილი მოგესპოთ. მე ის ხელთა მაქვს. ამ წერილის დასასრული კი პოლიციის არქივში ინახება, თუ თავსა

და ბოლოს შევაერთებთ, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება... გარდა ამისა, მიწას რომ ვბარავდი, სწორედ ის შხამით სავსე შუშა ვიპოვე, რომელმაც თქვენი ცოლი სიცოცხლეს გამოასალმა. აი, საბუთი...

ის ჩამოჯდა და ისე მიყურებდა, როგორც ჯოჯოხეთიდან გამოგზავნილს. მისი უაზრო მზერა მრისხანებას კი არა, უნდობლობას გამოხატავდა. თვითონ ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. ჩადენილი საქციელი [illegible] ალბათ ღამღამობით შეშინებულს ეღვიძებოდა, ავკაცობა არ ასვენებდა. ერთ დილით კი თავი მსუბუქად იგრძნო, მოეჩვენა, რომ სამშვიდობოს იყო გასული. დრომ საფრთხეს ძალა დაუკარგა. ადამიანებს მოგვწონს დროის ეს თვისება. დრო კი ჩვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

მე ბლანშენის წინაშე ვიდექი. მშვიდი, საკუთარ თავში დაჯერებული. ქალალდის ნაგლეჯით შეიარაღებულმა, სიმშვიდე დავუფრთხე.

დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში არც ერთს სიტყვა არ დაგვცდენია. დამწვარი სიგარეტი საფერფლეზე დავდე. მეორე მოვიმარჯვე ისე, რომ სიგარეტის კოლოფი ჯიბიდან არ ამომიღია.

ბლანშენმა თავისი საზიზღარი ენა გამოყო და გამომშრალ მსხვილ ტუჩებზე შემოატარა. ლაპარაკი უნდოდა... უცებ ისეთი ხმა ამოუშვა, ცხოველის ღმუილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის მეტყველებას.

— რამდენი გინდათ?

ბლანშენს თავი აუმუშაედა. დარწმუნებული იყო, რახან ნაპოვნი ნივთის პოლიციაში გამოცხადების მაგივრად ეგ მოვძებნე, მაშასადამე, მინდოდა მეწრუწუნებინა... მაშინვე პასუხი არ გამიცია. ყველაზე დიდი განსაცდელი ახლოვდებოდა. საცოდავი ღიპიანი ფანჯრისკენ იყურებოდა. ეშინოდა, ცოლი არ დაბრუნებულიყო. ისე კი იმასაც ეკუთვნოდა ქმრისათვის გამოეტანა განაჩენი. ბლანშენს ძვირი დაუჯდა თავისუფლება, და ასე ადვილად იმას ვერა ეშმაკი ვერ წაართმევდა. მან ამჯერად გარკვევით გაიმეორა:

— რამდენი გნებავთ?

ახლად აღებული სიგარეტი ნამწვავს მივაჭყლიტე და, კანკალი რომ დამეფარა, ხელი თმაზე გადავისვი.

— ძალზე ძვირს ვითხოვ, ბატონო ბლანშენ...

— რამდენს?

ბლანშენს მარტო ეს სიტყვა უტრიალებდა თავში. მის ცხოვრებას სულ შვიდი ასო წყვეტდა — რამდენი? ექნებოდა კი იმდენი, რომ ჩემი სიჩუმე ეყიდა?

ბლანშენს ჩემი სიტყვებით ცივი წყალი გადავასხი.

— მე თქვენზე მდიდარი ვარ, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი ფული არ არის მთავარი, ზომიერება სჯობს.

ის გაოგნებული შემომყურებდა.

— მერე?

— ვისაუბროთ გულახდილად; არის ერთი კაცი ახლობლების წრიდან, რომელიც ძალზე მიშლის ხელს... თქვენ მკვლელი ხართ, მე — არა. თუ თქვენ ამ ვიღაცას მომაშორებთ, წერილს დაგიბრუნებთ და გავქრები.

მან თავი გაიქნია.

— არა, არა!

ვიცოდი, ჩემი გამარჯვება ჩემს საქციელზე იყო დამოკიდებული. ოდნავი სიყალბე ან ზედმეტი სიტყვა მიმართვისას და ბლანშენი უარს მეტყოდა. წამოვდექი.

— კეთილი, როგორც ჩანს, ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არა აქვს, —

ვთქვი და ოთახიდან გავედი. სახლის წინ მზით განათებული ადგილი გავიარე, ხის კარს ხელი ვკარი, ზარი აზრიალდა, რომელიც ბლანშენის გულს სამგლოვიარო რეკვად მოედო და არა მარტო მის გულს, საფრთხეს მეც ვიზიარებდი.

უცებ მისი საცოდავი ხმა მომესმა:

— ჰეი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა განვაგრძე. დათმობას არ ვაპირებდი.

— ჰეი, ბატონო დიუტრა!

მაშინ კი შევჩერდი. ბლანშენი წამომეწია. ჩემკენ რომ მორბოდა, მაშინ შევამჩნიე, როგორ დაჩიავებულიყო, მსხვილს დამსგავსებოდა.

— რა მოხდა? — ვთქვი ჩურჩულით, როგორც კი გამისწორდა.

— ნუ წახვალთ, დაიცადეთ...

— ჩემო ძვირფასო, აბა რაღა გვაქვს სათქმელი? აღარ ღირს დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს...

ბლანშენი ფეხის წვერებზე იწევდა და ჩამოშვებული ყბები უქანაოებდა.

— რას აპირებთ? — წაიბურდღუნა მან.

— ეს ჩემი საქმეა...

— დაბეზღებას მიპირებთ?

— მოვიფიქრებ... დოკუმენტები ნოტარიუსთან ინახება. გულახდილად გეტყვით, რომ ჯაშუშობა არა მჩვევია...

ბლანშენმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა.

ვცდილობდი ლაპარაკი ამეწყო.

— ამ შემთხვევაში ჯაშუშს კი არა და მონიძლავეს უფრო ვგავარ. ხელთა მაქვს ყველა მონაცემი, რომ მოსვენება დაგიკარგოთ, ბატონო ბლანშენ, სინდისი შეუბნება, რომ თქვენ წინააღმდეგ ვიმოქმედო... დღეიდან კი საკუთარ თავთან გაუთავებელ ბრძოლაში უნდა ვიყო... მიხვდით, რაშია საქმე?

ის ვერაფერსაც ვერ ხვდებოდა. შიშმა კი აიტანა...

— შეუძლებელს მთხოვთ, გესმით?!

ბლანშენს შევხედე.

— ეს რომ შეუძლებელი ყოფილიყო, თქვენს მოსაძებნად აქ არ ჩამოვიდოდი, საკმაოდ დარბაისელი კაცი გახლავართ...

— სიგიჟეა და მეტი არაფერი...

ბლანშენი მაღიზიანებდა. დრო გადიოდა, ჩვენს ლაყბობას კი დასასრული არ უჩანდა. შალის ჟილეტზე მის ერთ ღილს ჩავებლაუჭე.

— კარგად მომისმინეთ, ძვირფასო, თქვენი ცოლის მოკვლაც სიგიჟე იყო.

— ჩუ, — ისეთი სასაცილო სახე ჰქონდა, რომ გამეღიმა. აზრი კი მაინც დავასრულე:

— ის მკვლელობა უფრო სახიფათო იყო, ვიდრე ეს, რომელსაც მე გთხოვთ. იმ შემთხვევაში თქვენ გილიოტინა არ აგცდებოდათ.

ბლანშენმა თრთოლვით ამოიკვნესა. ნელ-ნელა ლღვებოდა.

— ცოტა თქვენი მარიფათი, და ჩემი მოთხოვნა აღსრულდება. თქვენზე ეჭვს არავინ მიიტანს, შეიგნეთ. მკვლელს მხოლოდ მსხვერპლის ნაცნობობა ამჟღავნებს. ეს შემთხვევა გამორიცხულია, თქვენ ხომ არ იცნობთ მსხვერპლს... თქვენ მხოლოდ ნსხვერპლსა და უბედურ შემთხვევას შორის იქნებით შუამავალი.

მან თავი გაიქნია... არც უარი იყო და არც თანხმობა.

— საკითხს არასწორად სჯით, ძვირფასო ბლანშენ, — შევუტიე, — მე კი არ ვიყენებ თქვენ მიერ ჩადენილ დანაშაულს, დაუკვირდით, თქვენ მიერვე პირველად ჩადენილმა საქციელმა თქვენი ახლანდელი მდგომარეობა განაპირობა... გე-

გონათ, დანაშაულში ვერავინ გამოგიჭერდათ, შეცდით, რადგან ვიღაცამ მოგაგნოთ. ეს ვიღაცა მე ვარ. სპორტის ამ სახეობაში ფრე არ არსებობს. ან უნდა მოიგო, ან უნდა წააგო. რაც თქვენ ჩაიდინეთ, სასჯელს იმსახურებს. თუ ამ სასჯელს სასამართლო ტრიბუნალი გამოიტანს, თავს მოგკვეთენ, ხოლო თუ მე მეორე მკვლელობას ჩაგადენინებთ და ამით გამოგიტანთ განაჩენს... მურაბისპარია ბავშვებს ასე სჯიან ხოლმე... აიძულებენ კიდევ შეჭამონ მურაბა...

ბლანშენს ვერ გადაეწყვიტა. უცებ დრუნჩი გაუსწორდა.

— შემოდით...

პროვანსის ყაიდაზე მოწყობილ სასადილო ოთახში შევბრუნდით. ღია ფანჯრიდან დაფნის კრიალა ფოთლებში ცელქი ჩიტუნები დავინახე.

— ჰო, მერე? — შემეკითხა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბლანშენმა ფარ-ხმალი დაყარა.

— აიღეთ ფანქარი და თვითონ ჩაინიშნეთ მისი სახელი და მისამართი...

ბლანშენი დამემორჩილა. ცხვირის ნესტოებზე ოფლი წვეთ-წვეთად ეკიდებოდა. დომინიკის მონაცემები ვუკარნახე. მერე ისევ მისი ჟილეტის ღილს ჩაებლაუჭე.

— ახლა კი მისმინეთ... საქმე როგორც გინდათ ისე წარმართეთ. არჩევანი თქვენზეა. მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ ყველაფერი ერთ კვირაში მოამთავროთ. გასაგებია?

მან თავი გაიქნია:

— მესმის, მაგრამ გეთქვათ მაინც, როგორ...

— თქვენს ადგილზე ლობე-ყორეს არ მოვედებოდი. პირველ რიგში მანქანას დავაზღვევდი. გადამცემ ღილვს ოდნავ მოვუშვებდი და ერთ მშვენიერ დღესაც, დღისით, მზისით საქმის აღსასრულებლად გავემართებოდი მთელი სიჩქარით... თუ საქმის მსვლელობას ოფიციალურ სახეს მისცემთ, გართულებებიც მოიხსნება, ხომ ასეა? დიდი-დიდი, ტარების უფლებას დროებით გაგიუქმებენ, იმედია, დარდს არ გადაჭყვებით... საქმეც დასრულდება!—ჩაცინებას აღარ ვაპირებდი. ჩემი სათქმელი ვუთხარი. თავისი საქმისა თვითონ იცოდა.

— როგორც კი შეეიტყობ ამ საქმის შედეგს, იმ წერილს გამოგიგზავნით... ღამე მშვიდობის...

უცებ შევამჩნიე, რომ ბლანშენის ჟილეტის ღილი ხელში შემრჩენოდა. მაგიდაზე დავდე და ხმადაბლა ვუთხარი:

— მაპატიეთ!

თავი XVI

ვაღიარებ, პარიზში დაბნეული ჩამოვედი. ბლანშენის დაყოლიებას მთელი ჩემი ძალ-ღონე შევალიე. ახლა კი, როცა საწადელს მივაღწიე, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. მკვლელი უნდა გავმხდარიყავი. თუმც ჩემს შემთხვევაში დანაშაული მიმსუბუქდებოდა, რადგან დომინიკი იმსახურებდა თავის ხვედრს. მაგრამ ისიც ხომ სინამდვილე გახლდათ, რომ შუამავალი პირის საშუალებით კაცი უნდა მომეკლა...

ეს საქციელი არცთუ იხე დიდ სიამოვნებას მგვრიდა, როგორც ადრე მეგონა, მაგრამ მინას რომ ვიხსენებდი, ნამდვილ, მხიარულ და ლამაზ მინას, ყოველგვარი ყოყმანი მიქრებოდა. მჯეროდა, შურისძიება დამაშოშმინებდა და საქმე ჩემს სასიკეთოდ მობრუნდებოდა. ასეთი რწმენის ღირსი გახლდით. სანამ ეს დაუჯერებელი ამბავი თავს დამატყდებოდა, განა ამ ქვეყანაზე კეთილშობილური

სურვილები არ მამოძრავებდა? ჯერ მსხვერპლი გავხდი, მერე მოსარჩლე აღმოვჩნდი. საქმე სწორად ეწყობოდა, თითქმის ლოგიკურად.

ბაკუმაში ამხანაგს დავურეკე და ჩემი იქიდან ჩამოსვლის ტექსტი ვუკარნახე, რომელზეც ჩემ მაგივრად ხელი უნდა მოეწერა და გამოეგზავნა. პარიზში ორი დღე დავყავი. ვცდილობდი ოდნავ მაინც ჩავყუჩებულიყავ[illegible] პატრიოტყვარეობის ჟინი, რომელიც ბლანშენთან შეხვედრამდე მასულდგმულებდა, ახლა აღარ მაწუხებდა. მინასადმი გიჟური, ვნებიანი სიყვარული მეუფლებოდა. ქალს ჩემად მხოლოდ მაშინ დავიგულებდი, როცა დომინიკი მოსცილდებოდა აქაურობას. გამარჯვების გარდუვალობა სიამოვნებას მგვრიდა.

შინ ნაშუადღევს დავბრუნდი ავტობუსით. კარს ხელი ვკარი და კინაღამ წავბარბაცდი... ყველაფერი ისევ ისე დამხვდა. მე რომ სინამდვილე არ მცოდნოდა, მეგონებოდა, რაღაც სიზმარი მესიზმრა-მეთქი. მინა იქ იყო, კართან, ისევ ისეთი, როგორც პირველად ვნახე. ჭაღარა, სათვალიანი, ქუთუთოებთან პატარა ნაოჭი შევამჩნიე, თვალების მოჭუტვის გამო თუ გასჩენოდა... იდგა მშვიდი, შარავანდედით მოსილი. ჩამავალ მზის შუქზე ნამდვილ ქანდაკებას ჰგავდა. კერავდა, ფარდას ბოლოს უკეცავდა...

ხეივნის გავლისას თავი მოვთოკე და შინ ისე შევედი. მან თავი ასწია. დაღლილ სახეზე სიხარული მოეფინა. საკერავი სკამის საზურგეზე გადადო და ჩემკენ გამოექანა.

— პოლ, ჩემო ძვირფასო, როგორ მიხარია, რომ გხედავ!

მინა გულთან მივიკარი. ვიცოდი, ამ დარბაისელი ქალის ყალბი გმირის ნაცვლად რა განძსაც ვეხვეოდი... ფიქრი მისი მოქნილი და ლამაზი სხეულისკენ გამირბოდა, მისი ნორჩი სახისკენ... დიახ, განძი იყო, განძი, რომელიც მე ჯერ არ მეკუთვნოდა, მაგრამ მალე...

მინას ტუჩებში ვკოცნიდი. მის სუნთქვას ყოლოს სურნელი ასდიოდა:

— მინა, ჩემო პატარა ქალო, აი, ნახავ, რა ბედნიერები ვიქნებით...

— კარგად მოიარე?

— ჰო, ძალიან.

— დაღლილი ხარ?

— საკმაოდ... თქვენ როგორღა ხართ?

— არა გვიშავს... რომ იცოდე, დრო რა საშინლად გაიწელა ჩემთვის.

— მართლა?

ო, რა ოსტატურად მატყუებდა.

— ჰო, მართლა! შენ რა, ეჭვი გეპარება?

— აქ იყავით?

— არა, დომინიკმა ამხანაგის ნახვა მოისურვა და მთხოვა, კანში გავყოლოდი...

კარგი ტყუილი მოიგონა. შემთხვევითობაც კი გაითვალისწინა. ხომ შეიძლებოდა რონშიეში ჩამოსვლამდე პარიზში, მათ სახლში შემეარა...

— კანში?!

— ჰო, დომინიკს უნდოდა, ხომ იცი მისი ხასიათი?

ისიც მობრძანდა, შავ შარვალსა და მეწამული ფერის პერანგში გამოწყობილი.

— ო, სალამი მოგზაურს, ყველაფერი რიგზეა?

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— დედამ გითხრათ? სანამ თქვენ მთა-ბარი შეაჯერეთ, არდადეგები მოვიწყე...

ვუყურებდი დომინიკს, ვაკვირდებოდი მის ლაპარაკს, მოძრაობას, ღიმილს... ვგრძნობდი, მისი დასასრული გარდუვალი იყო. ამ საქმის აღსასრულებლად პარიზში უნდა გამეგზავნა....

— გატყობთ, კარგი დრო გიტარებიათ...

— ეჰ, რა დრო გვიტარებია... დრო გავიყვანეთ, თორემ სხვა რა!

— თითქოს მზეც მოგკიდებიათ!

—არა მგონია, ოქტომბრის მზეს რაღა ძალა აქვს, ზღვის პირზეც კი...

მინას ყოველი შემთხვევისთვის მრავალფეროვანი ვახშამი მოემზადებინა. მინას დანახვამ ისე გამახარა, რომ სიამოვნებით მივუჯექი მაგიდას. მუხლებზე ხელსაწმენდს რომ ვიფარებდი, გული შემიქანდა. მათ ხომ ჩემი მოკვლა გამგზავრების წინ ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ არ გამოუვიდათ. ალბათ, ახლა ჩემს ჩამოსვლას უმიზნებდნენ. სიკვდილი მიახლოვდებოდა. ის აქ იყო, ამ ოთახში, კატასავით ცეცხლის წინ თვლემდა... მე ჩამსაფრებოდა... მარჯვედ მოკალათებულიყო, იცოდა, რა უნდა ექნა.

— ჰო, მართლა, მანქანა მეორე დღესვე შეაკეთეთ? — შევეკითხე.

— აბა რა, თქვენ რაღა დაგემართათ?

— თქვენც ხომ ნახეთ, ლურსმანი გამიხდა მიზეზი. მიმართულება ვერ ავიღე, შეკჩერდი. ვნახე, რომ წინა მარცხენა საბურავს სული გაეცხო. გამოცვლა რომ დავაპირე, შევამჩნიე, რომ არც სათადარიგო იყო კარგ დღეში. კიდევ კარგი ავტობუსმა გამოიარა;

— სათადარიგო საბურავს რაღა მოუვიდა?

— სარქველი ჰქონდა ამძვრალი... უვარგისი საცხის ბრალია. სულ ცოტაც და ცომივით ავიზილებოდი.

დომინიკმა მინას გახედა. ჩანდა მეთანხმებოდა.

— მართალია, — თქვა ხმადაბლა, — ცოტაც და ცომივით აიზილებოდით... ერთი სული მქონდა მიმეხრჩო...

მინამ სუფრაზე სატაცური მოიტანა. ჯერ მე მომაწოდა, მერე დომინიკს. მაშასადამე, ჩემი იმქვეყნად გასტუმრება ახლა ჰქონდათ ჩაფიქრებული. მინამ საწებელით სავსე ჯამი მომაწოდა.

— მინა, გთხოვთ, ჯერ თქვენ მიირთვით, — შევთავაზე.

მან თავი გაიქნია.

— სატაცური ლიმონის ფილეთი უფრო მომწონს.

— მეც ლიმონით მინდა, — განაზდა დომინიკი.

ერთი კოვზი საწებელი გადავიღე... ის იყო ვაპირებდი სატაცურის ამოვლებას, რომ გამახსენდა, ჩემი გამგზავრების წინა დღეს ვახშმად პატისონი გვქონდა. **საჭმელს ორივემ საწებელი მიაყოლა.**

შევეცადე გულგრილად მეთქვა:

— მინა, ნუთუ საწებელი არ გიყვართ?

— არა, კუჭის წვა ვიცი.

მინა აშკარად ტყუოდა. ფიქრი მომეძალა... ნუთუ ახლა მიპირებდნენ მოწამვლას? დიდ რისკს კი სწევდნენ... არა მგონი. მათ ხომ ნამდვილად იცოდნენ, რომ მე აფრიკიდან ჩამოვედი. იქ ჩემი ავადმყოფი ღვიძლი ხომ შეიძლება გამღიზიანებოდა. საჭმელში ალბათ იმდენი დოზა გაურიეს, ნელ-ნელა რომ იმოქმედოს. უცბად არ მომკლას. ამასობაში ავადმყოფობასაც დავიწყებდი, ისინი თავიანთ ექიმს მომიყვანდნენ. იმას უკვე ეცოდინება, რომ ადრე ცირროზი მქონდა და თანაც ბაკუმიდან ახალი ჩამოსული ვიყავი...

— პოლ, რატომ არ მიირთმევთ?

ალბათ საწებელში ყველაზე ადვილი შესარევი იქნებოდა ის სისაძაგლე. დომინიკმა მინას გადახედა. მის მზერაში ჩემი სიკვდილი ამოვიკითხე. ჩემთვის ნანატრი დღეც დაუდგათ...

— მაინტერესებს, — ლიმილით, ოდნავ გასაგონი ხმით ვთქვი.

— მინამ სატაცური გადაიღო და შესაჭმელად შეაზავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოლ, რა გაინტერესებთ?

— რა შხამი გიურიეთ ამ საწებელში?

მინამ არაფერი შეიმჩნია. არც განძრეულა, თვალიც არ დაუხამხამებია... მხოლოდ გაფითრდა, მერე კი საჩქაროდ გამიღიმა.

— პოლ, რატომ არ მოგწონთ საწებელი?

— გასინჯვას არ ვაპირებ...

ლაპარაკის დროს დომინიკს ვაკვირდებოდი. მასაც ფერი დაჰკარგოდა. სისხლიანი თვალებით იყურებოდა. შიშისგან ძრწოდა, მაგრამ შიშის მიღმა რისხვა იმალებოდა.

— რა ზღაპრებს ჰყეებით, პოლ?! — გამყინავი ხმით გამოსცრა დომინიკმა.

— ჰმ, მითხარით, დომინიკ, რახან კანში იმყოფებოდით, დედათქვენის შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათ ექსის თავშესაფრიდან? — კეტივით დაუცხე ვაჟბატონს. ნათქვამის შემდეგ გასულმა წამებმა ნაღველი გამიქარწყლეს და სიძულვილი დამიოკეს. მინამ, ეითომც აქ არაფერიო, გონება მოიკრიბა. თითქოს განიმუხტაო. მისი ფსევდო-ვაჟი კი პირღია დარჩენილიყო. სადღა იყო დომინიკის ანთებული მზერა?

მე ვითომც გულგრილად ავიღე სატაცურის ერთი ღერი და მინას იმ წუთებში გამოწურულ ლიმონის წვენში ამოვავლე... ნელ-ნელა მივირთმევდი.

— მინა, თქვენ მართალი ბრძანეთ, მართლაც რა მშვენიერი ყოფილა ლიმონიანი სატაცური. რეცეპტს ხომ დამაწერინებთ?

დომინიკმა ძლივს წაიბურდღუნა:

— რა ამბავია, რა ხდება?

— დანაშაული, — ვეცი დომინიკს, — თითქმის სისხლის სამართლის დანაშაული... მინა, გულახდილად გეტყვით, ქერათმიანი უფრო მომწონხართ, ჭახჭახა ყვითელი ფერის საბანაო სამოსიც გიხდებათ. — ოთოეული ჩემი სიტყვა, ელდად ხვდებოდათ და გაოგნებულები იდგნენ. — მინა, აღარ მახსოვს გითხარით თუ არა. მე არ წავსულვარ ბაკუმაში... გამგზავრება იმიტომ მოვიმიზეზე, რომ მოსაფიქრებელი დრო მქონოდა... კანის პლიაჟზე გიცქერდით და თქვენით ვიხიბლებოდი. თქვენ კი ძვირფას „ბავშვთან" ერთად იყავით! ჰმ... — ჩავიქირქილე, — მეტსაც გეტყვით, დომინიკ, მოშვებული სარქველი, საბურავში ჩარჭობილი ლურსმანი — ყველაფერი მე მოვიგონე... ვცდილობდი ჩემი მანქანით მგზავრობა ამეცდინა. მეშინია ისეთი მანქანის საჭესთან ჯდომა, რომლის მუხრუჭების ბედი ძაფზე ჰკიდია.

მათ, როგორც ჩოგბურთის მატჩის დროს, ისე ეუყურებდი: ხან ერთს, ხან მეორეს. კისერი გამიშეშდა. ო, რა სიამოვნებას მგვრიდა ორივეს დამცირება. ვხარობდი, რომ დავცინოდი, რომ ორივე გამოჭერილი მყავდა... ჩემი საიდუმლოს გმირებს, ორ არამზადას დანაშაულზე წავასწარი. ძალიანაც უნდოდათ ჩემთან ლაპარაკი, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. საბაბსაც ვერ პოულობდნენ. თავზარდაცემულები იდგნენ. არ იცოდნენ, ბედისწერა რას უქადდათ...

— პირველ რიგში ჩემი ანდერძი გავაუქმე. თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ, შიგ რაც ეწერა. მის მაგივრად ნოტარიუსს დაწერილებითი წერილი დავუტოვე,

სადაც ვიუწყებოდი, რომ პოლიციისთვის ეცნობებინათ მომხდარი ამბავი. წერილს გახსნიან, თუ ჩემს სიკვდილს გაიგებენ...

საწებელს კოვზით ვურევდი, ხან ზემოდან ნელ-ნელა ვაწვეთებდი. სიჩუმე იდგა. ავბედითად გაისმოდა საწებლის წვეთების წკაპუნი.

— ჰო, ამიერიდან თქვენთვის ყველაზე დიდი ქონება ჩემი ანმრეთობა იქნება! — გამეცინა. — ხომ სასაცილოა?

მინა გონს მოეგო... ფერი მოუვიდა.

— როდის მიხვდით, რომ...

— რას, საიდუმლოს? კარგახანია... ჩემო პატარავ, როცა ასაკოვანი ქალი თავს ახალგაზრდად გაჩვენებს, შეიძლება წუთით მოტყუვდე და დაიჯერო. როცა ძალზე ლამაზი ახალგაზრდა ქალი თავს იბერებს, მაშინაც იგივე ხდება. — მიუხედავად არასახარბიელო მდგომარეობისა, მინამ ქაოსიანური შეიფერა. ისე შემომხედა, რომ სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მისი მზერა მიწვევდა. აქამდე სულელი მსხვერპლი გახლდით, დღეს კი ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა, სადაკეები მე მეჭირა ხელში, ჩემი დასაცინი გახდა ერთიც და მეორეც. მინამ სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას და შემეკითხა:

— პოლ, რას აპირებთ?

— აბა, გამოიცანით!

ქალმა გამიღიმა.

— რომ გამოვიცნო, თქვენს ხასიათს უნდა ვიცნობდე. გარდა ამისა, აზრი რომ შევიცვალო თქვენზე, ამას დრო სჭირდება.

წამოვდექი, რომ მუხლები გამეშალა... სამზარეულოდან დამწვარი ხორცის სუნი გამოდიოდა.

— მოდით ჯერ ხორცი გამოიღეთ ქურიდან...

ჩემი სიმშვიდით და იუმორით ორივე არამზადას ლაგამი მოვდე.

მინა არ განძრეულა. მე გავედი და ელექტროქურა გამოვრთე. როცა მოვბრუნდი, ორივე ისევ ისე იდგნენ, როგორც დავტოვე, გაშეშებულები, ერთმანეთისთვის არც კი შეუხედავთ.

— ახლა რა ვიღონოთ? — თქვა ხმადაბლა ქალმა.

მე დომინიკს მივუახლოვდი. მოშვებული გულგრილად იდგა. ლამაზ, წითელ პერანგში ვწვდი და სამჯერ სილა გავაწანი.

— სილა სახეზე ფერს მოუყვანს, — აღმომხდა. ნატკენი ხელი შარვალზე მოვისვი, — რა უნდა ვიღონოთო, მკითხეთ. — ისევ ჩავიცინე, — აი, რა უნდა ვიღონოთ. ეს უმსგავსი ბიჭი ერთ ხელში თავის სათხუპნ საღებავებს დაიჭერს, მეორეში — ჩემოდანს და ჰაიდა, აქედან მოუსვამს!

დომინიკი ისევ გაუნძრევლად იჯდა. ველარ მოვითმინე. მის სკამს წიხლი ვკარი. ვაჟბატონი იატაკზე გაიშხლართა. სასაცილო შესახედი იყო. სწორედ ეს მიხარებდა გულს. თმაში წავწვდი, მინდოდა წამომეყენებინა, სიმწრისაგან კვნესოდა.

— ოთხ წუთს გაძლევ კარვის ასაშლელად, პატარა ბიჭიკო. ცუდი არაფერი ჩაიფიქრო, თორემ მობრუნებას ვერ მოასწრებ, საკანში ამოყოფ თავს. მე წინასწარ გავთვალე ყველაფერი... ერთი გამოსავალი გაქვს. წაბრძანდი და თვალით არ დამენახო, ვითომ მოკვდი, გაიგონე?!

მან რაღაცნაირად მანიშნა, რომ მეთანხმებოდა, და მეც პანჩურით გავაგდე ოთახიდან. მინა ფიქრმა წაიღო. მივუახლოვდი. ეგონა, ცემას ვუპირებდი, და უნებურად ხელი ამიქნია. სათვალე შევხსენი, იატაკზე დავაგდე და ფეხით შევდექი.

მან წამჩურჩულა:

— პოლ, რას აკეთებ?

— გალამაზებ, ისეთივე მშვენიერი მინდა იყო, როგორიც კანის პლიაჟზე... ისეთი მომწონხარ, ყვითელ საბანაო სამოსში... ყვითელი ფერი ხომ გამარჯვების ნიშანია, არა?

მინას ნიკაპი ავუწიე. ნალვლიანი და ფიქრიანი საყვარელი მეყურებდა. ავდელდი. თვალები დავხუჭე და მის ბაგეს დავეწაფე. მინდოდა ასეთი წარმომედგინა, როგორც იქ, კანში, ზღვის ნაპირზე ვნახე. კოცნა მანამდე გაგვიგრძელდა, სანამ შემოსასვლელი კარი ბოლომდე თვითონ არ მიიხურა!

თავი XVII

უცნაური რამ მოხდა. დომინიკის არყოფნა ორივეს დაგვეტყო. ჩვენი შემთხვევის გამო მე და მინას გვიჭირდა პირისპირ დარჩენა. ის ფრთხილობდა, განმარტოებით ყოფნას ამჯობინებდა... როგორც ქალებს სჩვევიათ, მდგომარეობას მედიდურად იტანდა. გულის სიღრმეში ვერ გამეგო, რომელი ჩვენთაგანი ართმევდა თავს უკეთესად საკუთარ როლს.

მინას წინ დავუჯექი. ხელები მაგიდაზე დავაწყობინე. თითები გაჰყინვოდა... საჩვენებელი თითით პულსს დავუწყე ძებნა, მაგრამ ამაოდ.

— მინა, ჩემს ადგილზე სხვა კაცი პოლიციას შეატყობინებდა. მე ასე არ მოვიქეცი, იმიტომ რომ მიყვარხარ...

მან წარბი ასწია.

— ჰო, ხომ ვიცი, რა დღეში ჩამაგდე, მაინც მიყვარხარ... ვალიარებ, არ მრცხვენია... გინდა თუ არა, სიყვარულში უნდა მითანაგრძნო. დაუბრუნდები შენს ყმაწვილქალობას, ჩემ გვერდით იცხოვრებ. იმ ქალაჩუნას სიყვარულიც გაგივლის...

მან თავი გაიქნია.

— შენს ხელში ვართ, სხვა რა გზა მაქვს, უნდა დაგემორჩილო, მაგრამ მაგის იმედი ნუ გექნება, დომინიკი დავივიწყო...

სიბრაზისაგან ავენთე. მის ხელებს ისე ძლიერად მოვუჭირე ხელი, რომ მინამ ტკივილისაგან შეჰყვირა.

— სწორედ რომ დაგავიწყდება! ეგ რა კაცია, ლაჩარია და სხვა არაფერი, მაგ ჭიის სიყვარული რა შენი საკადრისია.

მინას ულიმლამოდ გაეღიმა.

— ქალები არ გცნობია, პოლ! დომინიკი სწორედ იმიტომ მომწონს, რომ უსუსურია. სწორედ დომინიკისათვის მინდოდა შენი ფულიც... როცა გავიცანი, შიმშილით კვდებოდა, იმისი ძალაც არ ჰქონდა თავის უბედურ ხვედრს შეჰბრძოლებოდა. ბავშვობაც...

— მინა, მომეცი ხელი, მიმიფურთხებია მაგისი ბავშვობისათვის, ვიცი, რომ გიჟის გაჩენილია, ხომ შევუწყვე ხელი გაქცეულიყო...

მინამ გაყინული ხელები ჩემგან გამოითავისუფლა...

— მეზიზღები, პოლ!

წავბარბაცდი.

— მოიცა, მინა, ნუ მიშორებ თავიდან... შენ...

— რა მე?

— ინანებ!..

— მაინც გეტყვი, რახან ყველაფერი დამთავრდა. ისე მეზიზღები, როგორც არავინ არასდროს მზიზღებია... შენი ხელის შეხებაზედაც გული მერევა... რაღაცნაირი უნიათო, საცოდავი და სულელი ხარ... ჰო, სულელი... ხელში კი ჩაგვი-

გდე, მაგრამ მაინც იდიოტი ხარ. მინდა იცოდე, მარტოხელა კაცი ყოველთვის ავადმყოფია. შენ კი გგონია, რომ ძლიერი ხარ, შეგიძლია დომინიკს მუშტი ჰკრა, მაგრამ იცოდე, ეს არ არის ძალა... ძალა სილამაზეა, მოხდენილობა, გესმის? შენ ერთი დაკუნთული შტერი კაცი ხარ! ის კი...—მინას ხმა ჩაუწყდა. ცრემლებმა თვალები აუელვარეს. — დომინიკს განგებამ ყველაზე დიდი ჯილდო აჩუქა — სილამაზე... ისე მსუბუქად დადის, თითქოს ცეკვავსო... როგორ მეზიზღება, ხორციელად ბედნიერი ცას ვწვდები, ჩემი სიყვარული ლამაზი და წმინდა ამაღლებული...

მინას სილა მოვუქნიე. მან აიცდინა და მოქნეული ხელი ცხვირში მოხვდა. სისხლი წასკდა... არ განძრეულა. ცხვირიდან სისხლი წვეთ-წვეთად მოსდიოდა, ტუჩებს გვერდს უვლიდა და ნიკაპზე ჩამოსდიოდა...

— მინა, რაღას უყურებ, მოიწმინდე სისხლი!

მინა გაქვავებული იდგა. მე ხელსაწმენდს დავავლე ხელი და წყლის ქილაში დავასველე... ცხვირიდან სისხლი შევუჩერე და გადაგდებული თავი დავუჭირე. სახე ნიკაპთან სისხლით ჰქონდა მოთხუპნული და აუშნოებდა.

— წადი, დაიბანე!

მინა წავიდა, ტუალეტამდე მივყევი, რომ დამენახა, რას აკეთებდა.

— მინა!

— რა იყო?

— რაც არ უნდა მითხრა, გადაწყვეტილებას არ შევიცვლი. ამოირჩიე — ან ორივე ციხეში ამოყოფთ თავს, ან ჩემთან დარჩები... თუ გინდა მომკალი... შენ გამო ჭკუას ვკარგავ, ჩემი იმედი ხარ, მხოლოდ შენ ხარ ჩემი ცხოვრების აზრი... როგორც გინდა ისე მიმსახურე. მეზიზღებით, რომ მითხარი, კეთილი, ეგრე იყოს... მე იმ აზრსაც კი შევეგუე, რომ დამნაშავე ხარ, იმასაც, რომ გინდოდა მოგეკალი... მარტოსული ვარ, ჰო, შენც ხომ მითხარი, მარტოსული ხარო, გესმის, მინა?!.. მარტოსული ვარ, მარტოსული!.. — ვყვიროდი გაუთავებლად. საბაზანოს ფილაქანზე მუხლებზე დავეცი და ავქვითინდი!

მინა მომიახლოვდა... ცრემლებს მიღმა მისი მოხდენილი ფეხები დავინახე, ვიწრო ქვედატანში მისი მიშველი სხეული შევიგრძენი.

მან თავზე მომხვია ხელი და თავის თბილ სხეულზე მიმიკრა.

— მეცოდები, ჰოლ, მეცოდები...

მთელი ღამე ჩაცმულებმა ჩემს საწოლზე გავათენეთ. მინა თავის ნამდვილ ცხოვრებას მიყვებოდა... მისი სახელი და გვარი ჟენევიევ პარდონი ყოფილა. მამა ქალაქ ლილის კომერსანტი გახლდათ. ყოყლოჩინა მშობლებმა მინას დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ ლტოლვა ვერ აიტანეს და ერთ მშვენიერ დღეს პარიზში გაუშვეს... მალე ხმა მიუვიდათ, მინამ თავაშვებული ცხოვრება დაიწყოო, და სამუდამოდ გამოუკეტეს კარი...

მინა დაიბნა ქალაქში, მარტო... რა აღარ გადახდა თავს, მერე დომინიკ გრიზარს შეხვდა და დიდი სიყვარულიც ეწვია...

მინა მშვიდად, წყნარად მიყვებოდა, მეც ბოლომდე ვუგდებდი ყურს, მაგრამ მისი ცხოვრების ამ ნაწილის მოსმენა არ მსიამოვნებდა.

— გაგვიჭირდა ცხოვრება. დომინიკი მოუხერხებელი კაცია, მე კიდევ უბრალო სამსახურის გამო მარტოს ვერ დავტოვებდი... ჰოდა, ერთ დღესაც გადავწყვიტეთ „საქმე" გვეკეთებინა. ჯერ შანტაჟის მოწყობაში დავოსტატდით... გამოვიჭერდი ერთ მდიდარ ვინმეს, ხელში ჩავიგდებდი მისი სახელის გამტეხ წერილებს, თუ აუცილებელი გახდებოდა, საჭირო ფოტოებსაც მიეყოლებდით და მერე...

თავი ველარ შევიკავე:

— ო, რა ბინძური დედაკაცი ყოფილხარ, მინა!

მან თავი გაიქნია:

— შენ არაფერი გაგეგება, პოლ...

— ჰო, კარგი, განაგრძე...

— ერთ დღეს რესტორანში ვიყავით, ეტყობა, ვიღაცას გაზეთი ეჭირა მაგიდაზე. დომინ შენი განცხადება წაიკითხა და სიცილით მანიშნა: აი, ვიპოვეთ, ვისაც ვეძებდით. ამ საცოდავს საქორწინო განცხადებების ნაგავში მარგალიტი უნდა იპოვოს და ამის გამო კიდეეაც გარჯილა, სტრიქონში ორასი ფრანკი გადაუხდიათ.

სიმწრისაგან ტუჩზე ვიკბინე. მინა ღიმილით მიმზერდა.

— დომი მართალი იყო, შენც ხომ იცი, რა მშვენიერი გეგმა შეეადგინეთ, ალიარე, ხომ ცოტალა გვაკლდა, ჩანაფიქრი ალგვესრულებინა...

— სწორედ შენმა დომინიკმა ჩაგიფუშა ყველაფერი; მიხვლი, რომ დიდი ვერაფრის მაქნისია ეგ შენი ვაჟბატონი.

— ჰო, ბავშვია... იმიტომაც მიყვარს. ვერ ვიტან ძლიერ და უხეშ მამაკაცებს... დომინიკი ჩემთვის ყოველთვის ბავშვი იქნება, გესმის, პოლ? მთელი სიცოცხლე მეყვარება...

მინას სიტყვები ალარ მაბრაზებდა, რალაც უცნაურ, სასიამოვნო ტკივილს განმაცდევინებდა.

— კარგი, გიყვარდეს...

სხვა ალარაფერი გვითქვამს. სინათლე ჩავაქრე. ერთმანეთის გვერდით მოკუნტულები ვიწექით, როგორც ორი ავადმყოფი ძაღლი. ჭერში მოციმციმე მთვარის შუქს შევცქეროდი. მას ბლანშენის ფერი დასთამაშებდა... ჰო, ბლანშენის, ავადმყოფის უსიამოვნო მომწვანო-მოყვითალო ფერი... ბლანშენზე დიდ იმედებს ვამყარებდი.

თავი XVIII

მინამ პირველმა გაიღვიძა. საწოლიდან წამოხტა და კიბეზე ჩაირბინა. უცებ რალაც უნდობლობა დამეუფლა. წამოვდექი და უკან გავყევი. ვიცოდი, რისთვისაც ემზადებოდა. მინდოდა ხელი შემეშალა... როცა საერთო ოთახის კარი შევალე, მინას ტელეფონის ყურმილი უკვე ხელში ეჭირა.

უცბად შევედი. შემომხედა. არ შემცბარა, არც წინააღმდეგობა გაუწევია, როცა ტელეფონი გამოვართვი და მარმარილოს მაგიდას დავახეთქე. ყურმილს ხელი კი წავაშველე, მაგრამ აპარატი დაიმსხვრა.

— მინა, — მივმართე უფრო ამღვრეულმა, — ხომ გაგაფრთხილე, იმ კაცთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვიტო-მეთქი... დამთავრდა ყველაფერი! გესმის? **დამთავრდა!** ერთადერთი ადგილი, სადაც მისი ნახვის შესაძლებლობა გეძლევა — სასამართლოს დარბაზია...

მან თავი გაიქნია.

— კარგი, პოლ, მაგრამ გაფრთხილებ, რომ აუტანელი პატიმარი ვიქნები... — ქალი მშვიდად ლაპარაკობდა. ლოყაზე მიეფერე.

— მჯერა, რასაც ამბობ... მეც გაფრთხილებ, დიდზე დიდ მოთმინებას გამოვიჩენ!

დილის საუზმე ერთად მოვამზადეთ... მოწამვლის ალარ მეშინოდა. ვგრძნობდი, არც ჩემს მუქარას ეწერა ალსრულება, მაგრამ სიკვდილის არ მეშინოდა. მერ-

ჩავნა მინას ხელით მოვმკვდარიყავი, ვიდრე სხვა უბედურება დამტყდომოდა თავს.

— პოლ, მითხარი, რას აპირებ?

— ორლეანში მივდივართ...

— ანდერძის ტექსტი კიდევ ერთხელ უნდა შეცვალო?

— არა, მინდა ვადასხვანაირად, შენი სახე დაიბრუნო. შენ ... ოცი წელი... ისე, ზუსტად რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაექვსის...

მინას სახეზე ვაკვირდებოდი, უსათვალოდაც დასტყობოდა სიმკაცრე.

— მოემზადე!

— შენი ნებაა...

მინა ორლეანის საუკეთესო პარიკმახერთან მივიყვანე. ყველას გასაოცრად სალონშივე დავჯექი და დავუცადე. წუთიც არ მინდოდა მარტო დამეტოვებინა, რომ იმ კრეტინისთვის არ დაერეკა... მაინც რა ფარული ხიბლი ჰქონდა ისეთი იმ ვაჟბატონს? მინა მის სილამაზეზე მელაპარაკებოდა. მე კი არ მესმოდა, რა მოსწონდა იმ სულელის? ახალგაზრდა კაცი იყო, ეს იყო და ეს. ბლანშენი რომ ვნახე, სწორად მოვიქეცი. მხოლოდ სიკვდილით მოვიშორებდი დომინიკს...

სალონში კარგა ხანს ვიცდიდი. ორი საათის შემდეგ მინა გამომეცხადა. სილამაზე დაბრუნებოდა. უფრო მომხიბვლელი იყო, ვიდრე იქ, ზღვის ნაპირზე... შევხედე და ნერწყვი გამიშრა.

— ესეც ასე, — წაიჩურჩულა მინამ და ჩემკენ შემობრუნდა.

მინას დიდებული გარეგნობა ეინით მავსებდა.

— ასეთი მოგწონვარ?

— შენს ცქერას არაფერი სჯობს...

— ფულს დიდი ძალა აქვს.

მგონი, ოსტატიც ამ აზრზე იყო.

გარეთ რომ გამოვედით, ისე ვუცქერდი, თითქოს თვალებით შეჭმას ვუპირებდი.

მინას ჩემი ქათინაურები მაინც უტკბობდა სმენას. შერიგების პირველი ნაბიჯი გადაიდგა.

— ახლა საით მივდივართ, ბატონო მცველო?

— ახლა შენი ასაკის შესაფერისი ტანსაცმელი შევარჩიოთ...

ვუყიდე ყვითელი მოდური კოსტუმი, ჩალისფერი კაბა, შავსარჩულიანი ყვითელი მოსასხამით... თეთრეული და საშინაო ლამაზი ხალათიც მივამატე.

— ალბათ მადლობა უნდა გითხრა, — სიტყვა ოხვრას ამოაყოლა მინამ, როცა მანქანაში ჩავსხედით.

— პირიქით, მე უნდა გითხრა მადლობა...

— ჰო, რატომ?

— შენი სილამაზისთვის. ჩემი სიხარული ხარ, გესმის? აღარ ვნანობ იმ უაზრო, უცნაურ განცხადებას...

მან არაფერი მიპასუხა. მანქანის კარისკენ მიიყუჟა და ხმა აღარ ამოუღია. ერთხანს არ ვიცოდი, როგორ მიმეპყრო მისი ყურადღება.

— დომინიკზე ფიქრობ?

— ჰო, თავი გამანებე...

მე თურმე აქსელერატორზე მიმეჭირა ფეხი და მანქანა წინ გაქანდა... ეს იყო ჩემი პროტესტის ერთადერთი გამოხატვა. კიდევ უნდა მომეცადა... ვიცოდი,

მინას რისი იმედიც ჰქონდა... არ ჩქარობდა. ნელ-ნელა მახვევდა სიცრუის ბადეში. ბოლოს და ბოლოს მომბეზრდებოდა ეს ვითარება და მინას დანახვა ჩემთვის აუტანელი გახდებოდა. დომინიკის წასვლამ გეგმები ჩაუშალა.

— მტკიცედ გადაწყვიტე, რომ ვაჟბატონს მოინახულებ? — შევეკითხე.

— დიახ.

— გჯერა, რომ დაგელოდებოდა?

— დარწმუნებული ვარ.

— იმსახურებს კი შენს ნდობას? ხომ ამბობდი — სუსტია, უსუსურიო. ჰოდა, სხვა ქალი გამოუჩნდება. დომინიკის ფარული ხიბლი იმასაც მოაჯადოებს...

— არა, არა მგონია.

— მინა, რა შენი ბრალია, ასე ხდება ხოლმე, ადამიანი ცდილობს მოიწყოს თავისი ცხოვრება. ის შენზე აღარ იფიქრებს.

მან ტუჩზე იკბინა...

— ასე მგონია, გინდა გამექცე, მართალია?

— შეიძლება!

— იცოდე, შეცდომას დაუშვებ... იფიქრე დომინიკზე; რა ცხოვრებაც აქვს, ისიც არ ექნება...

მან ამოიოხრა.

— არ მავიწყდება, პოლ, მენდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღიდან ჩვენი ცხოვრება იმ ბედნიერ დღეებს დაემსგავსა, ადრე, დომინიკის ჩამოსვლამდე რომ გვქონდა. გადიოდა უღრუბლო დღეები, ძილისგუდებად ვიქეცით. ლოგინიდან შუადღემდე არ ედგებოდით, მადას არ ვუჩიოდით. მინას ხშირად ხელში აეიტაცებდი ხოლმე. ქალი სუსტად გრძნობდა თავს, წინააღმდეგობას ვერ მიწევდა და იძულებული იყო ჩემი სიხარული გაეზიარებინა.

ერთი კი კარგად ვიცოდით, ჩვენს ცხოვრებას შხამი წვეთ-წვეთად ერეოდა. ხანდახან საცემრადაც კი ვიმეტებდი. ის მოთმინებით იტანდა ჩემს სილაქებს. ხანდახან მეგონა, სიამოვნებდა ასეთი ყოფა. მინა იმ ქალთაგანი იყო, რომლებიც ამ ქვეყანაზე იმიტომ ჩნდებიან, რომ იტანჯონ ან თავი გასწიონ... ამბოხი სული ჰქონდა.

ასეთ ყოფაში რამდენიმე დღე გავიდა. ბლანშენისთვის მიცემული დრო ამოიწურა... რას იქმოდა ნეტავ? ხომ არ გადაიფიქრა იმ ღიპიანმა თავისი მზაკვრული გეგმის აღსრულება? ან იქნებ იმ საღამოს მომხდარი ამბით შეშინებული დომინიკი პარიზიდან შორს გადაიკარგა? ეჭვი მეპარებოდა... თითქოს თვალით ვხედავდი, როგორ იჯდა თავიანთ პატარა, აკეჯით გაჭედილ ოთახში და ელოდა მინასაგან ახალ ამბავს! ალბათ შინიდან იშვიათად გამოდიოდა. იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი ბლანშენის უმოქმედობისა? რომ დავწყნარებულიყავი, რონშიედან წერილი გავუგზავნე. კონვერტში ცარიელი ქაღალდი ჩავდე. მხოლოდ იმ საცოდავის მისამართი ჩავწერე. მინდოდა ბლანშენი გამომეფხიზლებინა და გამეხსენებინა დანაპირები. თუ ეგონა, რომ ხელიდან დამიძვრებოდა, ძალზე სცდებოდა.

სამი დღე გავიდა... კარგი დარი იდგა.

ერთ დილით, როცა ვსაუზმობდით, სოფლის ყავახანის პატრონმა, მწუხარე სახით, მინას სახელზე დეპეშა მოგვიტანა. ცისფერი ქაღალდი გამომიწოდა და ადგილიდან მოწყდა...

— რა მოხდა? — იკითხა მინამ...

მიხვდა, რომ დეპეშის ადრესატი თვითონ იქნებოდა. მღელვარებას ველარ ფარავდა.

— ჰო, შენს სახელზეა. ალბათ ეაებატონი გწერს...

მინამ მოკეცილი ქაღალდი ხელიდან გამომგლიჯა და ფრენხილის ეაკვრით გადახსნა. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ნეტავი რა ამბავი მოუტანა ამ ფიერუზისფერმა მართკუთხა ქაღალდმა მინას?

მინამ დეპეშა გადაიკითხა. მომეჩვენა, თითქოს სახე ჩამოუგრძელდა და აკრული ნიღაბი მისი სახიდან ნელ-ნელა ჩამოიშალა. მინას მშვიდად ეჭირა თავი. მან ქაღალდი მაგიდაზე დადო. წავიკითხე: „დომინიკ გრიზარი გარდაიცვალა. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. მარი ბერტრანი".

მეც გავფითრდი.

— ვინ არის მარი ბერტრანი?

— მგონი, ჩვენი სახლის კონსიერჟია...

მინას ხმა არ შეცვლია.

— რა უნდა მოსვლოდა? — ვთქვი ჩურჩულით.

მან ტელეგრამა ხელში აიღო და კელავ გადაიკითხა, მერე თითზე დაიხვია და მითხრა:

— პოლ...

— თქვი, რა გინდა?

— იცი რა?..

— თქვი...

— თუ დომინიკმა თავი მოიკლა, იცოდე, მოგკლავ!

სასმელის გორგოლაჭებიანი მაგიდა ფეხით ჩემკენ მოვაგორე, რომ ერთი ბოთლი შვედური ვისკი აშეღო. ჭიქა შევავსე და მინას გავუწოდე.

— ხომ იცი, ალკოჰოლს არ ვეტანები?

მისი სიმშვიდე სულს მიფორიაქებდა... მე ვისკი მოვსვი.

— ძლიერი ქალი ხარ, მინა...

— ჰო, ძალზე ძლიერი ვარ, პოლ! მანქანას არ გამოიყვან?

— რად გინდა?

— მისი ცხედარი უნდა ვნახო. მინდა დავრწმუნდე, რომ ცოცხალი არ არის...

მე მკლავებში ჩავჭიდე ხელი.

— რა გიკვირს, ასეთი შემთხვევები ხშირია!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ მინდა ვიცოდე, როგორ მოხდა ყველაფერი.

მივხვდი, რომ მინას ვერ გადავათქმევინებდი.

— კეთილი, მოვემზადოთ, მაგრამ გაფრთხილებ, შენი გამოჩენა სარისკოა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ მამამისს უეჭველად შეატყობინებდნენ... ის თუ ჩამოვა და შენს თავს ანა-მარია გრიზარად გააცნობენ, ის ალბათ...

მინამ სიმწრისაგან დაიღმუვლა:

— მიმიფურთხებია ყველაფრისთვის... ჩემთვის სულერთია, ვინ რას იტყვის...

მინას მაინც გადავათქმევინე, რომ კონსიერჟი არ ენახა. მისი ოცი წლის გოგონას პირის კანი შეიძლება სკანდალის მიზეზი გამხდარიყო. მინა მანქანაში მელოდა, მათი ქუჩიდან ორი სახლის დაშორებით...

კონსიერჟმა ჩემს დანახვაზე ცრემლები გადმოყარა.

— ო, ჩემო ბატონო, რა საშინელება მოხდა! კიდევ კარგი, რომ თქვენი მისამართი მქონდა...

— როგორ მოხდა ეს ამბავი?

— მანქანა დაეჯახა, აი, ღღევანდელ გაზეთშიც არის დაბეჭდილი... გუშინ საღამოს მოხდა ყველაფერი, ქუჩაში... დომინიკი ქუჩაზე გადადიოდა... მანქანას მიმართულება აერია და... ნუ წახვალთ სანახავად, საშინელია შესახედავი.

— სად არის?

— მორგში, სად იქნება!

მადლობა გადაეუხადე.

— როგორ მეცოდება მადამ გრიზარი, რით დავეხმარო?

— სამწუხაროდ, არაფრით...

მანქანაში ჩავჯექი. მინას ფრჩხილებით დაეგლიჯა სკამზე გადაკრული ნაჭერი, სახეზე მკვდრისფერი ედო, სადღა იყო მისი ლამაზი, ცისფერი თვალები...

— როგორც შენ გეგონა, დომინიკს თავი არ მოუკლავს, — ვუთხარი მე, — მანქანა ტროტუარზე ამხტარა და გაუტანია. აი, ამ შემთხვევის გამო გაზეთშიც დაუბეჭდიათ წერილი!

მინამ გაზეთის გვერდი ხელში აიღო, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, ვერაფერი წაიკითხა.

— შენ წამიკითხე.

მეც კითხვა დავიწყე. როგორც ჩანს, ლიპიან ბლანშენს ამ საქმის ნიჭიც ჰქონია.

ყველაფერი ისე მოუწყვია, როგორც მე ვუკარნახე... მოულოდნელი უბედური შემთხვევა იმდენად სარწმუნოდ ჩათვალეს, რომ ბლანშენი მორალურად სუფთა აღმოჩნდა, არც კი დაუკავებიათ.

— ხომ წაგიკითხე...

— ჰო, ახლა მორგში წავიდეთ.

— მაინც გინდა, რომ....

— ჰო...

— კონსიერჟმა მითხრა, რომ...

— იმ სულელმა რა იჩერჩეტა, სულ ფეხებზე მკიდია, პოლ, წამიყვანე მორგში...

— ვინ ბრძანდებით მიცვალებულისო, რომ გვკითხავენ, რა ვუპასუხოთ? ღედაო, რომ ვთქვათ, არ დაგვიჯერებენ... თუ იტყვი, ნათესავიო, არც ეს გამოდგება, ასეთ დროს მორგს არ მიადგებოდი.

— ჰო, კარგი, ვიტყვი, მისი საცოლე ვარ-მეთქი. ღვთის გულისათვის, პოლ, წამიყვანე!

— ღვთის გულისათვის! ჰო, მინა, შენშიც არის რაღაც ღვთიური! — ვთქვი ჩურჩულით.

მინამ გაზეთი გამომართვა და მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელს მორგის გზას ვეკითხებოდი, წერილი ყურადღებით ჩაიკითხა და ისე შეინახა ჩანთაში.

თავი IXX

სახლის კონსიერჟს არ გაუზვიადებია, როცა გვითხრა, რაღაც საშინელი შესახედავიაო. დომინიკს ნახევარი სახე აღარ ჰქონდა. მანქანამ თითქოს მიზანში ამოიღოო, დაეჯახა და თავი შადრევნის ქიმზე მიაჭყლეტინა... ცინკის კუბოში გაშოტილი ყმაწვილი რომ დავინახე, გული არ გადამიქანდა... მართალია, ის ჩემი მიზეზით დაიღუპა, მაგრამ არ დამნანებია: რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამაო.

დომინიკი მაშინვე მომკვდარა „ადგილზე დალია სული“,—წერდნენ გაზეთში... ისეთი ჭრილობა ჰქონდა, ტკივილი არ უნდა ეგრძნო. ეს ყოფილა ამ კაცის ხვედრი.

დომინიკს რომ ეცოცხლა, უპატრონობისა და უსაქმურობის გამო ცხოვრება მაინც გადათელავდა. ერთი უზნეო კაცი იყო, სიბერე დააბეჩავებდა. ერთადერთი ხელრიანი საქმე, რაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მოიმოქმედა, ის იყო, რომ მინას ჩემი განცხადება წააკითხა... დომინიკის ულიმლამო ცხოვრებას ეს საქციელი ამართლებდა.

მინამ ცხედარს დახედა. მოსახმარებლად მზად ვიყავი, მაგრამ მისი შემხედვარე გავოცდი. იგი მშვიდად იდგა. ტუჩები ზიზღით მოემუწა. ეს იყო და ეს!

წავიდეთ... — ხელი მოვკიდე...

მინა მორჩილად წამომყვა. ფეხსაცმლის ქუსლებს მორგის ქვაფენილზე კაკუნი გაჰქონდა, ყურს სჭრიდა მათი საშინელი გამოძახილი.

გარეთ გულიანად ამოვისუნთქე. ხრწნის საზარელი სუნი არ მშორდებოდა. შენობაში თითქოს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ გარეთ გამოყოლილი შმორის სუნი გულს მირევდა.

რა მექნა, არ ვიცოდი... დომინიკის დაკრძალვა თავგზას მიბნევდა. კონსიერჟი უთუოდ შეხვდებოდა დომინიკის მამას. ცერემონიალის დროს რომელიმეს სიტყვა დასცდებოდა — ეს კი მოსალოდნელი გახლდათ — ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მინას ნიღაბი ჩამოეხსნებოდა.

ეს ფიქრი მინას გავუზიარე. მან მხრები აიჩეჩა.

— რა უნდა ვქნა, არ წავალ დაკრძალვაზე და ეს იქნება!

ასეთ დათმობას მისგან არ ველოდი.

— მართალს მეუბნები?

— კატაფალკის უკან სეირნობა ჩემთვის რა ნუგეშია, პოლ!

ვიფიქრე, ეს აზრი სიმწარემ ათქმევინა-ძეთქი, მაგრამ...

— არა აქვს მნიშვნელობა, სად დამარხავენ, მთავარია აქ... — მან გულზე დაიდო ხელი. — აქ არის მისი ნამდვილი სასუფეველი, მერწმუნე, პოლ, ის ჯერ არ დახურულა!

———

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. კონსიერჟს სახელდახელოდ შეთხზული ამბავი მოვუყევი: საცოდავმა დედამისმა ეს ამბავი რომ გაიგო, ცუდად გახდა და ვერ ჩამოვიდა-მეთქი. ყოველ შემთხვევისათვის მთელი ცერემონიალის მანძილზე ამ საცოდავი კონსიერჟისათვის თვალი არ მოშორებია. ამაოდ ველოდი. დომინიკის მამას არაფერი გაუგია... სანამ ის თავის შვილის „უბედური შემოხვევის“ ამბავს გაიგებდა, დომინიკი კარგა ხნის დამარხული იქნებოდა. და მერწმუნეთ, არა მხოლოდ მინას გულში.

დომინიკის დასაფლავების დღეს მინა სასტუმროში მელოდა. როცა მიებრუნდი, ქალი თვალცრემლიანი დამხვდა. ბევრი ეტირა. დავწყნარდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წუხილის ასეთი გამოხატვა ბოლოს და ბოლოს ადამიანური საქციელი იყო, მერე იმიტომ, რომ ცრემლი აშუშებს ჭრილობებს, — ამას კი დავიწყება ჰქვია.

სიმშვიდე დამეუფლა. ამიერიდან ცხოვრება აეწყობოდა. უსიამოვნო ამბებს წერტილი დაესვა.

ოთახში ბოლთას ვცემდი. იატაკზე დაგებული წითელი ფარდაგი ალაგ-ალაგ გაცრეცილიყო. ოთახის ავეჯი ისე სევდიანად გამოიყურებოდა, თითქოს არავის

არაფერში გამოსდგომიყო და მხოლოდ ვიღაცის სურვილის საპატივსაცემოდ იდგა.

— მომისმინე, მინა...

ქალს შევხედე... მისმა სევდამ გამათბო. ისე მეამა, როგორც ვანცხულის შებინდება. ამ განცდისათვის თავს არ დავზოგავდი.

— მინა, მომისმინე...

— გისმენ...

— ჰო, რა უნდა მეთქვა... მიყვარხარ, მინა, გესმის, მიყვარხარ, მუდამ მეყვარები... მაგრამ... უნდა შეგელიო. ადრე მშურდა შენი, ახლა კი შემეცვალა აზრი, მირჩევნია არ გეზიზღებოდე... ცოტა ფულსაც მოგცემ და გზა დამილოცნია...

მინა მიყურებდა. ჯიბიდან კონვერტი ამოვიღე.

— აი, გამომართვი, კონვერტში ორასი ათასი ფრანკია...

ასეთი მინა პირველად დავინახე. ჩემ წინ სუსტი ქალი იდგა. თვალებში შევხედე, მინდოდა სიმართლე მერწმუნა... არ ვცდებოდი.

— მშვიდობით, მინა...

როგორც ბლანშენთან, აქაც კარისკენ წავედი ისე, რომ არ მოვბრუნებულვარ. როგორც მაშინ, ახლაც კარი გამოვაღე და გავედი... იქნებ ეს ოინი მაიძულებდა ძლიერი ადამიანის როლი მეთამაშა? მაგრამ მინა ხომ ბლანშენი არ იყო... დავცქეროდი იატაკს და დაძენძილ, გაცრეცილ ფარდაგს. ის იყო ლიფტთან მივედი, რომ კარის გაღების ხმა შემომესმა. ყელში რაღაც გამენასკვა...

— ჰოლ!

გავხედე. მინა კარს მიყრდნობოდა, აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მისი დუმილი მიხმობდა. შემოვტრიალდი. ზურგით სინათლისკენ აღმოვჩნდი და ძლივს დავინახე მინას სათნო სახე. სევდიან თვალებს შუქი ჩასდგომოდა. ერთი წუთი გაუნძრევლად ვიდექით, ხმა არ ამოგვიღია.

— ჰოლ, — წაიჩურჩულა მინამ, — არ დამტოვო...

იმ წუთის განცდას ვერ გადმოგცემთ. ვხარობდი. არ გეგონოთ, რომ გამარჯვება მიესებდა გულს, არა, ეს სხვა რამ იყო, უფრო სუფთა და წმინდა; მისი სიყვარული... გზა ძლივს გავიკვლიე, მინა მომეხვია. მომავალი მიღიმოდა. მინდოდა ლამაზი ყოფილიყო. იმედი ჩამესახა. მინას მოვხიბლავდი. დავავიწყებდი მისი ცხოვრების უსიამოვნო წუთებს...

ქალი ოთახში შევიდა. მეც შევყევი.

— ბევრი იფიქრე, მინა?

— ბევრი ფიქრი რა სიკეთეს მომიტანდა?!.. უცებ გადავწყვიტე, ასე სჯობს...

— გეთანხმები.

მინა მაგიდას მიუჯდა და კონვერტი შეხსნა.

— წაიღე, ჰოლ!

— კი მაგრამ...

— აიღე, გეუბნები!

ფული მალულად ჩავიდე პალტოს ჯიბეში. მინამ თითქოს ამოისუნთქა.

— ვიცი, რასაც ფიქრობ, — მითხრა მინამ, — ხომ ისე მოვიქეცი, როგორც შენ გინდოდა?

— კარგი ერთი რა...

— ჰო, სიმართლეს ვამბობ. შენ იცოდი, რომ დაგიძახებდი, ამიტომაც მოაწყეე წასვლის სცენა...

მინა ფიქრს მიმიხვდა და გამანადგურა.

— ნუ უარყოფ, პოლ... ქალები ადვილად გრძნობენ სიყალბეს, მათი გაცურება არ არის იოლი.

— კი მაგრამ...

— პოლ, მე შენთან ვრჩები, მაგრამ იცოდე, გულზე არ მეხატება.

— მაშ რისთვის? — მოთმინება დავკარგე.

მინა თითქოს თავის თავში ჩაძირულიყო, დაძაბული, გაურკვევლად იქურებოდა.

— არც შენი ფულის გამო, მეცინება ფულზე!

მე წამოვიყვირე:

— მაშ რიღასთვის, მინა, მითხარი!

— იმის გულისთვის, პოლ, გესმის, იმის გულისთვის!..

აღარაფერი მესმოდა. მინამ თავისი მზერა ერთ წერტილს მოაშორა, თითქოს გამოერკვაო.

— მე ისევ დომინიკთან ერთად ვიგრძნობ თავს, თუ შენს სახლში დავრჩები. შენთან ერთად ვიცხოვრებ, გესმის? როგორ აგიხსნა, არ ვიცი... ამიერიდან შენი დანახვით დომინიკი გამიცოცხლდება... იქნებ უაზროდაც მოგეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ სიმართლეს გეუბნები, ასე განვიცდი... იქნებ იმ ადამიანთან სჯობდა შემეფარებინა თავი, ვისაც დომინიკი უყვარდა, მაგრამ სხვას რომ არავის ჰყვარებია ის საცოდავი?.. ამიტომ ვარჩიე, მისი სიყვარული იმ ადამიანის ჭერს შევაფარო, ვისაც სძულდა. ყველაზე მეტად გულგრილი ადამიანების მეშინია.

გამოგიტყდებით და შემეშინდა. სიკვდილის შემეშინდა. მივხვდი, რომ დომინიკის მოშორების მაგივრად მას სამუდამო სიცოცხლე მივანიჭე. ანგარიშში მოვტყუვდი... ეს უტვინო დომინიკი მინასთვის ლეგენდის გმირი გამხდარიყო. იგი ჩემ გვერდით იდგა, შეუპოვარი და გამარჯვებული... ბედნიერებას ხელიდან მაცლიდა. სიბრაზე მომერია. საშინელი, საძაგელი, ულმობელი გავხდი.

— რა გახდა ეგ შენი დომინიკი! — წამოვიყვირე — კი ბატონო, ვილაპარაკოთ მაგ კაცზე! ეგ ანგელოზი ხომ ნახე მორგში ყბადაჩეჩქვილი! მგონი, ყველაზე დიდი მადლი ამ ქვეყანაზე — სილამაზეა, ასე არ არის? მერე, სადღა აქვს სილამაზე იმ შენს ძვირფასს! იმ დომინიკზე იფიქრე, რომელიც მორგში ნახე, გესმის, ქეციანი ძალლიც კი სჯობს ახლა იმას, სული მაინც უდგას.

ჩემი სიტყვების მრცხვენოდა, მაგრამ სათქმელი უნდა მეთქვა. ამბობენ, ჭირს ჭირით მიევლებაო.

— გაიხსენე, მკვდარი კურდღლის ბეწვივით როგორ მიჰკვროდა ქერა თმა გაპოხილ კეფაზე, იმ ფუქსავატის მშვენიერი სახე სიკვდილს როგორ დაემანჭა, დაესახიჩრებინა... გაიხსენე მისი გაყინული კანი. იმას ხომ ვეღარ მიეალერსები, იფიქრე, აი ამაზე იფიქრე, გესმის?.. მე კი ჩემი მხრივ ვეცდები, ის უნიათო მკვლელი არ დაგავიწყო. გეფიცები, ხშირად ვილაპარაკებთ მასზე... — ბოლოს ძალაგამოლეული დავლუმდი. მინა მიცქერდა და ელიმებოდა.

— ო, რა დიდი არამზადა ხარ, პოლ! შენ გვერდით ნამდვილად არ დამავიწყდება დომინიკი...

თავი XX

ჩვენ რონშიეში დავბრუნდით. მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული, როცა მოთეთრო ხის კარს მივადექით. შევაღეთ. შემოდგომის მზე ოქროსფრად ეფინებოდა ვაზს. მეშინოდა, მინასათვის ნერვებს არ ემტყუნა, მაგრამ სახლის დანახვაზე მან სიმშვიდე შეინარჩუნა, მხოლოდ შესასვლელთან ჟანგისფერი საღებავის ლაქასთან შეჩერდა.

— აქ მოლბერტი ედგა და სურათების გადახატვას ცდილობდა, დიდ ნიჭს აფრქვევდა, — ვუთხარი.

მინამ მხრები აიჩეჩა.

— ,ნიჭი რომ ჰქონოდა, ძლიერიც იქნებოდა, პოლ...

მან გზა განაგრძო.

— თუ გინდა ამ ლაქას ადგილზე მისაგონარი დაფა დავდგა...

მინამ ღიმილით შემომხედა:

— არ არის საჭირო, ლაქა რომ გაქრეს კიდეც, ჩემი გულიდან არასოდეს ამოიშლება.

დროდადრო ერთმანეთს ადარ ვინდობდით ორი უგუნური მტაცებელივით. ეს საქციელი ჩვენად მექცა. მინა რომ გაბრაზდებოდა, ხილამაზე უქრებოდა. მისი სახე აუტანელი სისასტიკის ნიღაბს ირგებდა. მეც მინასადმი სიყვარულში სიძულვილის ძაფებს ვეძებდი.

ორი დღე უსიამოვნებაში გავიდა. მინამ დომინიკის ოთახში მოისურვა დაწოლა და კარსაც გასაღებზე კეტავდა. ჩვენ არავითარი ურთიერთობა არ გვქონდა. გამოგიტყდებით, სურვილიც არ გამაჩნდა. გარდაცვლილზე ფიქრმა ისე აურია გონება, რომ ვერც კი ვეკარებოდი.

დღის განმავლობაში კამათის მიზეზი არ გველეოდა, ხან მაგიდასთან მდგარი დომინიკის ცარიელი სკამი გვიხდებოდა მიზეზი, ხან ჰალსტუხი, ხან წიგნი... ორივე ისე ავბრიალდებოდით ხოლმე, ცეცხლმოკიდებულ ფიჩხს რომ ნავთს დაასხამენ.

ამ ამბებით გაოგნებულს სულ დამავიწყდა ბლანშენი. ერთ დილით ფოსტალიონის დანახვაზე წამოვხტი. ბარათი მოგვიტანა. მარსელიდან იყო გამოგზავნილი. ეს ბარათი უსიტყვო პასუხი იყო იმ საქმის გამო, რომელიც ბლანშენს ჩავადენინე. ღია ბარათს მხოლოდ ჩემი მისამართი ეწერა. მეორე მხარეს პარიზის ლეთისმშობლის ტაძრის ხედი იყო აღბეჭდილი.

მინამ წერილების ყუთიდან ბარათი ამოიღო და საუზმის დროს მომიტანა.

— ხედები, რას უნდა ნიშნავდეს?

მე ღია ბარათზე გამოხატულ ქანდაკებას შეეხედე, რომელიც გუმბათივით ედგა ბაზილიკას.

— ,ეიახ!

— ,ინ გიგზავნის?

— ,რთი მეგობარი.

— ,ატომ არაფერს გწერს?

— იმიტომ, რომ ოთხკუთხედი თეორი ქაღალდი უვრო მეტს მეუბნება...

— ამით ერთობი?

— რითი?

— გამოცანობანას თამაშობ და ერთობი?

— არა, აკი გითხარი, გამოცანობანას კი არ ვთამაშობ, ეს საქმე მე და ჩემს მეგობარს გვეხება... ასე უსიტყვოდ მეხმაურება და მეუბნება, მახსოვხარო...

— მაგ კაცის ვალი გაქვს?

— არა, ვალზე მეტია, რაც მაკავშირებს...

მინა გაჩუმდა. მე სარდაფში ჩავედი, რომ თაროდან ჩემი დატოვებული ჟერმენ ბლანშენის დახეული წერილი ამეღო. ისევ იქ იდო, ცოტა კი დანესტიანებულიყო, საწამლავიანი შუშის გვერდით. თავიდან გადავიკითხე: უნდა ითქვას, რომ ამ საბრალო ქალმა თავისი წერილით უნებლიეთ ორი ადამიანი გაისტუმრა

საიქიოს. წერილი კონვერტში მოვათავსე და ზემოდან ბლანშენის მისამართი დავაწერე. მერე მოკეცილი კონვერტი ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე... არ მინდოდა გამოსაჩენ ადგილზე ყოფილიყო...

წერილის გაგზავნას ვჩქარობდი. ბლანშენის მოვალედ ვგრძნობდი თავს. ამ კაცის ნამოქმედარმა არავითარი სარგებლობა არ მომიტანა. თუმც ამ საქმეს ვაჭრული სარგებელი არც გააჩნდა.

მინა საბაზანოში ბანაობდა. ის გამოვიდა და მე შევედი. ქალს ლაბაზ-თმაზე პირსახოცი გადაეკრა. ტანთ გავიხადე და დასაწყნარებლად ცივი შხაპი გადავიღე. ერთი წუთის შემდეგ მინა მობრუნდა, ხელ-პირის დასაბან ოთახში შემოვიდა.

— რა გინდა? — გამოვძახე საშხაპედან.

— ჩემი წინდები...

მინა კვლავ გავიდა. კარგა ხანს ნემსებივით მჩხვლეტდა ცივი შხაპი. სიცოცხლე აღარ მინდოდა. უსაზღვრო სიმარტოვე ვიგრძენი. საკუთარ თავს ველარ ვიტანდი. ჩვენი ერთად ცხოვრება სიკეთეს არ გვიქადდა. მერჩივნა გავცლოდი მინას და აფრიკაში დავბრუნებულიყავი. აფრიკაში მინა ჩემთვის აღარ იარსებებდა. მეც შევეშვებოდი მის განდიდებას... ჩემს წარმოდგენაში იმ სიმაღლემდე ავიყვანდი, სადაც ჩემი სიყვარული დაუდებდა ბინას, მერე კი ნელ-ნელა საკუთარი სიმდაბლე ქვევით ჩამოაბრძანებდა.

წყალი გადავკეტე და ძუის ხელთათმანით ტანი სწრაფად დავიზილე. მერე პიჟამო ჩავიცვი და თხელ ქურთუკში გაეყავი ხელი თუ არა, ჩემდა უნებურად ხელი ჯიბისკენ წავიღე: წერილი იქ აღარ დამხვდა. გამახსენდა, საბაზანოში მინა რომ შემოიჭრა. სწრაფად გამოვვარდი.

მინა მისაღებ ოთახში დაბალ მაგიდასთან იჯდა. მას ჩემი კონვერტი გაეხსნა და წერილი ამოეღო. მასთან ერთად ამოეღო გაზეთიდან ამოჭრილი ინფორმაცია, რომელიც დომინიკის დაღუპვას ეხებოდა.

ქალი ისე ჩაჰკირკიტებდა ქაღალდებს, როგორც მოსწავლე დასცქერის ხოლმე ძნელ გაკვეთილს. წარბები შეეჭმუხნა. როგორც კი შევედი, კარი მივეხურე და მიეყრდენი. მინამ გამოიხედა. ძველებური მინა გამქრალიყო. სახე დაგრძელებოდა, ცხვირი წაწვეტოდა. ამოშავებულ თვალებში სიკვდილი ჩაბუდებოდა და ორ ჩამქრალ ნაღვერდლად ქცეულიყო.

არაფერი მითქვამს, ის ყველაფერს მიმიხვდა.

— არ მეგონა, თუ ასეთი არამზადა იყავი, პოლ...

— მადლობთ!

— შენი საქმე სხვისი ხელით მოაკვარახჭინე...

— მაშ რა გეგონა?

— მე და დომინიკის დანაშაული შენთან შედარებით რაღა მოსატანია!..

— ჩემთვის უნდა გეკითხათ რჩევა.

მინა თვალს არ მაშორებდა.

— თქვენ, კეთილშობილო ადამიანებო, თქვენი კეთილდღეობისთვის შეგიძლიათ კაცი მოაკვლევინოთ...

— აჭარბებ, მინა... მე საკმაოდ მოკრძალებული კაცი ვარ. ჩემი საქციელით კანონიერად დავიცავი თავი!

მინა ისევ მიყურებდა. მის უსიცოცხლო თვალებში ჩემი სიკვდილი ამოვიკითხე.

მინა ჩემს მოკვლას აპირებდა. ეს ჩემი ბედისწერა იყო. სევდა შემომაწვა.

თანახმა ვიყავი.. სიკვდილი ჩემთვის იდუმალი და გონიერი გამოსავალი იქნებოდა.

— ამ ლაპარაკის შემდეგ ალბათ მომკლავ, არა?

მან თავი გაიქნია.

— მეც ვფიქრობ, პოლ, რა მოვიმოქმედო ისეთი, რომ დომინიკი გავახარო.

— კეთილი, რაც გინდა ის მოიმოქმედე, ოღონდ წინასწარ მინდა, გაგაგებინო...

— რა უნდა გამაგებინო?

— რატომ მოვიქეცი ასე...

მან თავი გაიქნია.

— ვერასოდეს ვერ დამარწმუნებ, პოლ...

— მაინც გამომყევი...

მინა ჯერ კი შემეწინააღმდეგა, მერე გამომყვა.

ჩვენ სხვენზე ავედით. მაგნიტოფონი ჯერ კიდევ იქ იდგა.

— მოუსმინე, მინა... წარმოიდგინე, რა განცდა უნდა ჰქონოდა შეყვარებულ კაცს, ამ ჩანაწერს რომ მოისმენდა.

მაგნიტოფონი ჩაერთე... აწ მკვდარი კაცის ოხვრა და ქლოშინი აუტანელი მოსასმენი იყო... ყურებზე ხელები ავიფარე. მინა აყვირდა, ატირდა. ხელებს გაშმაგებით იჭერდა საფეთქლებზე. — დომინიკ, ჩემო დომინიკ, — მუდარით მოსთქვამდა, — რატომ აქ არა ხარ... გელოდები, ჩემო სიყვარულო, გელოდები... მოდი! დომინიკ, ძვირფასო, შენი ხმა მენატრება, შენი სითბო, შენი ღიმილი!

ჩანაწერი გამოვრთე. მისი შემყურე მეც ავტირდი. ჩვენი გრძნობები შეერთდნენ, ორივე საკუთარ სიყვარულს ვტიროდით. მინა სწრაფად გამშორდა. მესმოდა, როგორ ჩაირბინა კიბის საფეხურები. ვგრძნობდი, იარაღს ეძებდა, რომ საქმე მოეთავებინა...

მეც ვიცდიდი...

სხვენზე ცხელოდა. მტვრიანი სამერცხლურიდან სოლონის მორკალური ცა მოჩანდა. ვხედავდი, როგორ მიჰქონდა ქარს შემოდგომის ყვითელი ფოთლები...

ჰო, მინა მოკვლას მიპირებდა... აქ უნდა დამესრულებინა ჩემი ცხოვრება, ამ თბილ სხვენზე... ასეთი სიკვდილი მომწონდა კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე ისევ მინას ფეხის ხმა გაისმა. ამჯერად ნელა ამოდიოდა... სრული სიმშვიდე შეინარჩუნე, მაგრამ ერთი ვერ გამეგო, რა იარაღი მოჰქონდა. როგორც იქნა, შემოვიდა. ქერა თმის ფონზე სახე უფრო გაფითრებული მოუჩანდა. ხელში საწამლავიანი ბოთლი ეჭირა, რომელიც დომინიკმა მიწის ჩიჩქნის დროს იპოვა, თურმე დომინიკს, ვიდრე მე მოვიფიქრებდი, ჩემზე ადრე მოუმზადებია ჩემი სიკვდილი. მინა სკივრზე ჩამოჯდა.

— პოლ, ისევ ჩართე ფირი...

— არა.

— მე ასე მსურს, გესმის, მე ასე მსურს...

ხელი ღილაკს დაეჭირე. ფირი ოდნავ უკან გადავახვიე და ჩავრთე. დომინიკის წამოყვირება გაისმა. სიამოვნების ყვირილი იყო, ავხორცული და გაუმაძღარი. მინამ უსიტყვოდ მოისმინა. აღარ ტიროდა. თვალი ვერ მომეშორებინა საწამლავიანი ბოთლისთვის... ხომ არ უნდა დამალევინოს-მეთქი? — ვფიქრობდი. როგორც კი ფირი ჩათავდა, მინამ საწამლავიან ბოთლს სახურავი მოხადა, პირთან მიიტანა და ხელიც ვერ ავუკარი, ისე სწრაფად დალია.

ბღავილი მოვრთე:

— რა დროს შექსპირობანაა, მინა!!!

ყავისფერი ბოთლი ხელიდან გამოვგლიჯე და სხვენზე მოვისროლე. რაღაცას ვბოდავდი... „მინა, რალაც უნდა ვიღონოთ, მინა, გესმის?!“. მინდოდა ექიმი გამომეძახა, მაგრამ ტელეფონის აპარატი მოშლილი მქონდა. რა მეღონა არ ვიცოდი. იქნებ ძალით წამეყვანა სოფელში? მან ხელით მანიშნა, გაჩუმდიო.

— ჩუ, პოლ, დამაცადე მშვიდად მოვკვდე...

მინას გარშემო დავრბოდი კბილებაკაწკაწებული... თითებს [illegible]ტენდა...

— მინა, არ მოკვდები, გესმის, არ გამამწარებ... არ [illegible]! ისევ მარტოს, მარტოს!

მას სუსტად გაეღიმა:

— ნუ გეშინია, მარტო არ დარჩები. მე ხომ დაზღვევა შენზე გავაფორმე. ბევრი გამოჩნდება შენი მსურველი...

აღარ დავფიქრებულვარ, შეიძლებოდა თუ არა ისედაც უკანასკნელ წუთებში მყოფი ადამიანის დაწყევლა, მაგრამ მინას შურისძიება დემონური იყო.

— მინა, შენ... წყეულიმც იყავ, მინა!..

მან ჩურჩულით მითხრა:

— მადლობთ, პოლ, შენი სიტყვები ლოცვაა ჩემთვის... გაფითრდა, ხელი გულისკენ წაიღო, სახის ნაკვთები მოეღრიცა.

— ამ სახლში ქალებს ბედი არ სწყალობთ, — ძლივს წარმოთქვა.

თავს მოვერიე. მინას ვუყურებდი. მაგნიტოფონი კვლავ ჩართული იყო და რაღაც სიგნალებს გამოსცემდა.

მინას სახეს ისევ დაუბრუნდა სილამაზე. ქანდაკებას ჰგავდა. ცხოვრების სიმუხთლეს მარმარილოსავით ცივი დიდებულებით შეხვდა. მის წინ დავიჩოქე.

— მაპატიე, მინა... ძალზე მიყვარდი... არასოდეს დამავიწყდებით არც შენ და არც ის.

ბოლო სიტყვამ მოალბო, ქუთუთოები ასწია და ძლივს გამაგონა:

— პოლ...

ლაპარაკი კიდევ შეეძლო.

—ილაპარაკე, ძვირფასო... ილაპარაკე... გისმენ...

— ყველა მარტოა, პოლ, — წაილულლულა მინამ, — ნეტავ მკვდრებიც მარტონი არიან?!

წამოვდექი, მინა ავიყვანე და ბარბაცით ჩამოვედი ხის კიბეზე... დივანზე რომ დავაწვინე, მინა აღარ სუნთქავდა. მაშინღა ვუპასუხე მის შეკითხვას:

—არ ვიცი, მინა, მკვდრები მარტონი არიან თუ არა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემზე მარტო ვერ იქნებიან!..

კრისტოფ ჰაინი

უცხო მეგობარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა მაია მირიანაშვილმა

თანამედროვე გერმანელი მწერალი (დრამატურგი, პროზაიკოსი, ესეისტი) კრისტოფ ჰაინი დაიბადა 1944 წელს. მისი ნაწარმოებები მრავალფეროვანია სიუჟეტის, დროისა თუ მოქმედების ადგილის მიხედვით, მაგრამ მთავარი, რაც მათ აერთიანებთ, ესაა მორალური შეშფოთება იმის თაობაზე, თუ როგორია გზა, გამოსავალი ადამიანის შემდგომი ემანსიპაციისა, რა აბრკოლებს ამ ემანსიპაციას, რა არის მიზეზი ადამიანთა გაუცხოებისა. სწორედ ამ პრობლემას ეხება მოთხრობაც „უცხო მეგობარი", რომელიც ბერლინში 1982 წელს გამოვიდა და დიდი პოპულარობა მოიხვეჭა არა მარტო გერმანიაში, არამედ საზღვარგარეთაც. ნაწარმოები ორმოცი წლის ექიმი ქალის მონოლოგია. ვეცნობით რა მთავარი პერსონაჟის კლაუდიას ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ასე გვგონია, იგი კმაყოფილია თავისი ცხოვრებით; რაც სიამოვნებას ანიჭებს, იმას აკეთებს; რისი მიღწევაც შეეძლო, მიაღწია; აქვს კარგი სამსახური, ბინა, მანქანა, ჰობი; პაციენტები და კოლეგები კმაყოფილნი არიან მისით. მაშ, რა აკლია? თითქოსდა არავითარი პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც მარტოა სულიერად, ნამდვილი მეგობარიც არა ჰყავს და არც ჰყოლია. **უცხო მეგობარი,** რომელიც ხანმოკლედ იჭრება მის ცხოვრებაში, მოულოდნელად ქრება. რა თქმა უნდა, მათ ერთმანეთთან ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებდათ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური ლტოლვა, რასაც არ შეეძლო მათი სულის გაძოკვება. მათ შორის იყო რაღაც გაურკვეველი გრძნობა, რაც ერთდროულად აკავშირებდათ და აშორებდათ კიდეც ერთმანეთისაგან.

ურთიერთგაგება, თანაგრძნობა, სითბო, სიყვარული, რაც ბედნიერებისათვის აუცილებელია, სწორედ ეს აკლდათ კლაუდიასაც და ჰენრისაც. თითქმის მთელს ნაწარმოებში აუტანელი სიცივე იგრძნობა. საიდან აქვს კლაუდიას ასეთი უსულგულობა, გულგრილობა და ამავე დროს უაზრო გულის ტკივილი? საკუთარი მშობლებისადმიც კი არავითარი გრძნობა არ გააჩნია, მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ჩადიოდა მათთან. ყოველივე ამის ახსნას ცდილობს მწერალი, რის გამოც ზოგჯერ კლაუდიას ბავშვობას, ახალგაზრდობას გვამცნობს. ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთ გერმანიაში და დემოკრატიულ რესპუბლიკაში მწვავე გარდატეხა მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც და პიროვნებაშიც. სწორედ ეპოქამ, XX საუკუნისათვის დამახასიათებელმა ნდობისა თუ იმედების გაცრუებამ, ირგვლივ დასადგურებულმა შიშმა თუ გულგრილობამ გამოიწვია ადამიანთა ფსიქიკის დამახინჯება.

პირველად იყო... პეიზაჟი. შორს მწვანედ მოხასხასე კვიპაროსები ჩანდა. სუფთა, ბრილიანთ გამჭვირვალე ჰაერში წვრილ-წვრილი ხაზები ირეკლებოდა... ხევში მდინარე ჩაედინება. მიახლოებისასლა შევნიშნე ხიდი მთლად განადგურებულა, ნანგრევებად ქცეულა. პირდაღებული უფსკრული ორი ძელის ამარაღა დარჩენილა. აქ კი მე, თუ ის ვიღაც, რომელიც შესაძლოა, რომ თავად მეც ვარ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირგვლივ ყველაფერი ბურუსშია. ჩემი თანმხლები, იქნებ ნაცნობი, თუ მეგობარი, [illegible] სადაც ბუნდოვნად ვხედავ, ხელებს მაღლა სწევს. ჩვენ უნდა გადავიდეთ. უკან დახევა შეუძლებელია. უნდა მივაღწიოთ უფსკრულის მეორე მხარეს. ქვემოდან კლდის ნამსხვრევები, კურდღლისცოცხას ბუჩქები და ძნელად აღსაქმელი მდინარე შემოგვცქერის, ხიდზე ვდგამ ფეხს, ვითოშები. სამი-ოთხი ნაბიჯიც და მოაჯირი, ეს ერთადერთი იმედიც ხელიდან გამოგვეცლება. უფსკრულზე დაკიდებული ხიდი ავისმომასწავებლად ქანაობს. ჩემი თანმხლები ერთ-ერთ ძელზე იკიდებს ფეხს და მეც მიწედის ხელს. ნელ-ნელა მივიწევთ წინ. ვიხდი ფეხსაცმელს, ვეჭიდები ჩემი თანმხლების მთლად გაოფლიანებულ ხელს; უნდა გამიშვას, ვფიქრობ მე. მაგრამ ის ხელს არ მიშვებს, მებღაუჭება. გაშტერებული მხოლოდ წინ ვიყურები, საიდანაც ტყის ზოლი შემომცქერის. დაბლა დახედვის შეშინია, ვიცი, რომ დავიხედო, ჩავვარდები. სადღაც თავში ვართ, ხიდს კი ბოლო არ უჩანს. ნელ-ნელა მივიწევთ წინ. სადღაც შორს კვიპაროსებთან მოულოდნელ ცვლილებას ვამჩნევ: ტყის მხრიდან გამორბის ხუთი კაცი, ერთიმეორის მიყოლებით, თეთრი შორტები აცვიათ, ხოლო მაისურებზე რაღაც აქვთ გამოსახული. მინდა ჩემს თანამგზავრსაც დავანახო ისინი, ვეძახი, ვყვირი, მაგრამ საკუთარი ხმა თავადვე არ მესმის. ხიდს უახლოვდებიან, ჩვენს ხიდს. ელეგანტური, თანაბარი, რობოტისეული მოძრაობები აქვთ. ძლიერი ყმაწვილები ჩანან, სახენათელნი. ხმამაღლა, მაგრამ მსუბუქად სუნთქავენ. მაოცებს მათი მსგავსება. ტყუპები ხიდისკენ მოიჩქარიან, ეუყვირი, შეჩერდით. სიჩუმეა, უხმოდ ვამოძრავებ ტუჩებს. მაშინებს ის, რომ მათ სახეებს ცხადლივ ვხედავ. ეს არაა ჩემი თანმხლების ბუნდოვანი ნაკვთები. გამოკვეთილად ვხედავ. თითოეულ მათგანს, მათ მამაკაცურ სახეებს. უკვე მოაღწიეს ხიდამდე. ნაბიჯსაც არ ანელებენ. გვიახლოვდებიან. მეორე ძელზე გადმორბიან. აი, გვერდითაც ჩაგვირბინეს. ნაპირსაც მიაშურეს. კვლავ ვხედავ მათ თანაბარ მოძრაობებს, ქოშინისაგან პირდაღებულ სახეებს. კვლავ სიჩუმეა, ყველაფერმა უხმოდ ჩაიარა. უეცრად ჩემი თანამგზავრი მძლავრად მებღაუჭება, ვგრძნობ, როგორ მესობა მისი ფრჩხილები მკლავში. გაქვავებულივით ვდგავართ ერთ ადგილას. მეორე ძელი, წელან რომ იმ ყმაწვილებმა ჩაირბინეს, საცაა შეწყვეტს რხევას. უკვე შეგვიძლია გზის გაგრძელება. იქნებ სჯობს უკან დაებრუნდეთ? მაგრამ ჩვენთვის მოჭრილია უკან დასახევი გზა. უნდა გავიდეთ გაღმა. ნელ-ნელა ყველაფერი ბურუსში იძირება. ბურუსი?! ნისლი?! თუ რაღაც არარაობა?! და ამ დროს ისევ იმ ყმაწვილების ნაბიჯების ხმა, საათის მექანიზმივით ზუსტი... ძელების ჩუმი, თანაბარი ღრჭიალი. და ბოლოს გაბმული, გამაყრუებელი გამოძახილი გამოსახულების გარეშე. ასინქრონული.

კარგა ხნის მერე, შევეცადე, აღმედგინა ეს სურათი. რამენაირად მივახლოვებოდი, ჩავწვდომოდი, რა იყო ეს, ხილვა თუ შორეული მოგონება. სურათი ჩემთვის მიუწვდომელი, საბოლოოდ გაუგებარი. თუმცა კი ჩემში რეალურად არსებული და მაინც დამამშვიდებელი, რადგან ეს ისევე უსახელო და აუხსნელია, როგორიც თავად მე ვარ. და ბოლოს ახსნის სურვილიც გამიქრა, ეს

ზენამდვილი რეალობაა და მას ფარავს აშკარა, ჭრელი და ხმაურიანი, გულმავიწყი და ამავე დროს მაინც მკურნალი ყოველდღიურობა. მხოლოდ დაძლეული უმწეობის შეგრძნება რჩება ჩემში მოუხელთებელი და წარუშლელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

დაკრძალვის დღესაც ვორჭოფობდი, არ ვიცოდი წავსულიყავი თუ არა სასაფლაოზე. შუადღემდე კიდევ მქონდა ფიქრის დრო და ყოველ შემთხვევისათვის გადაეწყვიტე თან წამელო შუქი ყავისფერი, კურდღლის ბეწვით გაწყობილი საგაზაფხულო პალტო. ცოტა არ იყოს მეუხერხულებოდა ზაფხულში ამ პალტოს ჩაცმა, მაგრამ მთელ დღეს შავებში ყოფნას ისევ ასე ვამჯობინე. ერთი სიტყვით, თუ წავიდოდი, ამ პალტოს კომპრომისის როლი ენიჭებოდა.

კარგა ხანს ვიდექი ლიფტთან. ოფიცერი, ქალბატონი რუპრეხტის ბინაში რომ ცხოვრობდა, შუაში იდგა და ხან ერთ ღილაკს აჭერდა ხელს, ხან მეორეს. ხელში მასაც პალტო, უფრო სწორად, სამხედრო ლაბადა ეკავა. იქნებ პოლიციელიც იყო რა ვიცი, ფორმებში ვერ ვერკვევი. საწვიმარის ქვეშ ხელჩანთა თუ დიპლომატი მოუჩანდა. როგორც კი მივუახლოვდი, თავი დამიკრა და კვლავ მიაჭირა ღილაკს თითი. თან ჩექმის წვერს ნერვიულად აბაკუნებდა.

ქვემო სართულზე ხმაური შემომესმა. ფოლადის გვარლი იმედის მომცემად შეირხა და მალე პატარა შუშის მიღმა სინათლეც გამოჩნდა. ჯერ ოფიცერი შევიდა. ხელზე გადაკიდებული პალტო მჭიდროდ მივიკარი ტანზე და მეც მივყევი. უსიცოცხლო უცხო სახეებით გარემოცულნი მდუმარედ დავეშვით დაბლა. სიმჭიდროისაგან უაზროდ მივშტერებოდით ერთმანეთს სახეებში და ჯიუტად ვათვალიერებდით ერთიმეორეს. ამგვარ არასასურველ გარემოში საკმაოდ დაძაბულია ყველა გრძნობითი ორგანო, განსაკუთრებით კი ყნოსვითი ორგანოა მგრძნობიარე.

დაბლა რომ ჩავედით, საფოსტო ყუთისაკენ გავაპარე თვალი, მხოლოდ გაზეთები მოჩანდა. წერილები უფრო მოგვიანებით მოჰქონდათ. სამგლოვიარო დაფაზე ისევ ეკიდა შავ ჩარჩოში ჩასმული განცხადება. სახლმმართველმაც ფოსტით მიიღო ალბათ ეს უწყება. როდისმე ყველაზე, ვინც ამ სახლში მოკვდება, მოვა ამგვარი უწყება. მხოლოდ ამ ერთადერთ შემთხვევაში უხდება სახლმმართველს მაცხოვრებლებთან კონტაქტი.

არა მგონია, ვინმე დაემწუხრებინოს ამგვარ უწყებას. ამ სახლში მკვიდრნი ხომ მეტწილად მოხუცები არიან და სიკვდილიანობაც ხშირია. საეჭვოა, რომ ჰენრი აქ ჩემ გარდა ვინმეს სცნობოდა. ალბათ მეტყოდა.

პალტო მანქანის უკანა სავარძელზე გადავდე და პოლიკლინიკაში წავედი. ვაბინეტის კარქვეშ რაღაც ბარათი დამხვდა. მთავარი ექიმი მთხოვდა, სადილობის შემდეგ ბურგომისტრთან გავყოლოდი. როგორც იქნა, შემდგარიყო ეს შეხვედრა. საბინაო კომისიამ ორი ოთახი გამოყო კლინიკისათვის, მაგრამ ღღემდის არ ჩანდა. არადა, ოთახები მართლაც გვესაჭიროებოდა მედდებისათვის. ეს უკანასკნელნი ბერლინში იმ პირობით ჩამოდიოდნენ პროვინციიდან, თუ საცხოვრებელს მისცემდნენ. მაგრამ რაში სჭირდებოდა უფროსს ჩემი გაყოლა, არ მესმოდა. შეიძლება ფიქრობდა, ისევ მე მეკისრებოდა სოცუზრუნველყოფის სექტორი. გასულ წელს სხვას გადავაბარე ეს საქმე. ან იქნებ ჩემი მხარდაჭერა უნდოდა. უფროსს ხომ ყოველთვის უყვარდა ექსკორტით სიარული. ბარათში მთხოვდა მისვლისთანავე დამერეკა.

ცხრას ხუთი აკლდა, ოთახში კარლამ — ჩემმა მედდამ შემოირბინა. რო-

გორც ყოველთვის ახლაც მოჰყვა ახსნა-განმარტებებს, რატომ დააგვიანდა. რაღა თქმა უნდა, ბავშვების გამო. არადა, თითქმის ყოველდღე აგვიანებს და ბავშვებს იმიზეზებს. ალბათ ცდილობს თავისი ბავშვებისადმი სიბრალული აღმიძრას. ის ხომ ქალთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, მზრუნველი დედის როლი რომ შეურჩეიათ და ბედნიერად მოაქვთ თავი. კაცმა რომ თქვას, ვერც ვერავინ წაართმევს ამ ბედნიერებას. იციან რისთვისაც ცხოვრობენ — თავიანთი შვილებისათვის, მერე ეს უკანასკნელნიც ასევე თავიანთი შვილებისათვის იცხოვრებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, კაცობრიობის განვითარება უზნეო წრიულ არეშია მოთავსებული. შეიძლება ჩაითვალოს, რომ კაცობრიობის არსებობა მცდარი წანამძღვრების შედეგია?! რაშიც ითქოს სილოგიზმის ხელოვანად ეშმაკი გვევლინება. ხომ არ გამოიღებს ეს საზიანო შედეგს?! თუმცა ამგვარ ცხოვრებას მაინც აქვს თავისებური მომხიბვლელობა, ყოველ შემთხვევაში კარლასნაირებისათვის. კარლას აზრით, ჩემი ქორწინებაც ხომ სწორედ იმიტომ დაირღვა, რომ ჩემს ქმარს პუტკუნა ბავშვი არ ვაჩუქე. ან იქნებ იმიტომ, რომ ხორცსავსე მკერდი არ მქონდა, შეიძლება იმიტომაც, რომ არ ვიღებებოდი?!

პალტოს დანახვისთანავე მკითხა კარლამ, დაკრძალვაზე ხომ არ მიდიხართო. ბრაზი მომივიდა ჩემს თავზე, მანქანაში მაინც დამეტოვებინა. ახლა კი აუცილებლად წავიდოდი, კარლას შეკითხვამ გადამაწყვეტინა ასე. ნერვიულობისაგან მთელი სხეული ზამბარასავით დამეჭიმა.

დაიწყო ჩვეული შეკითხვები: ნათესავია? აჰ, მეგობარი? ჰო, საშწუხაროა! ახალგაზრდა იყო? რა საშინელებაა! კარგად მესმის თქვენი. ძალიან ფერმკრთალი მეჩვენებით. თავი ისე მეჭირა თითქოს ავადმყოფების საქმეებს ვათვალიერებდი. რადგან წინა ოთახში კარადა და კარტოთეკა იდგა, ჰქედდებს ჩემს ოთახში უხდებოდათ ტანსაცმლის გამოცვლა. კარლა კი მეტად დიდ დროს ანდომებდა ყოველივე ამას. მთელი საათი ლიფის ამარა დადიოდა, თან ფრჩხილებს იქლიბავდა და ნელსაცხებელს ისმევდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, საშინლად ოფლიანი ვარო, არადა, ერთი ასეთი სიტყვაც ჩემში საშინელ ზიზღს აღძრავს. სანამ კარლა ჩაიცმევდა, უფროსს გადავურეკე და გავენთავისუფლე. ავუხსენი, დაკრძალვაზე მივდივარ-მეთქი, მას არაფერი უკითხავს, თანაგრძნობის გამოხატვაც კი არ უცდია და არც შემწინააღმდეგებია. შვება ვიგრძენი. გამომშვიდობებისას ვუთხარი, რომ ამჟამად სოცუზრუნველყოფის სექტორი ოფტალმოლოგიის განყოფილებაში რომ ახალი კოლეგა იყო, იმას ებარა, ისიც დავძინე, რომ ის ჩემზე ახალგაზრდა და სიმპათიური იყო, რაზეც უფროსს გაეცინა და ქათინაურიც მესროლა: ყოველთვის ვაფასებ თქვენს იუმორის გრძნობასო. ლაპარაკიც ამით დავამთავრეთ.

სადილობამდე ჩემთან ბატონი დოიე შემოიჭრა, ეს გახლდათ სამოცდათორმეტი წლის ჰუგენოტი, ცოლი პარალიზებული ჰყავდა, მაგრამ მისი თქმით ეს ხელს არ უშლიდათ ცოლქმრულ ურთიერთობაში. მოხუცს ძალიან უყვარდა ლაპარაკი და ხშირად მოდიოდა ჩვენთან, გაუთავებლად ყვებოდა სექსზე, ისე, ჯანმრთელობას არ უჩიოდა, სულ თავის სიძლიერეზე ტრაბახობდა, ზოგჯერ მოთმინებიდან გამოვყავდი და გარეთ ვისტუმრებდი, ისიც კარლასთან შედიოდა ან დერეფანში ჯდებოდა და იქ განაგრძობდა ლაპარაკს. გასულ კვირას ტუჩების საცხი მომიტანა და მოხოვა მაშინვე გამესინჯა. გავხსენი და ხელში შემრჩა ხისგან გაკეთებული სათამაშო. თვითონვე მოიხიბლა თავისი ოხუნჯობით და სიცილით დასძინა, ჩვენ ორს გვესმის მხოლოდ ასეთი ხუმრობაო. დოიე ცოტა

არ იყოს არასასიამოვნო, აუტანელი, მაგრამ მაინც თავაზიანი პიროვნება გახლდათ. ხან სიამოვნებითაც კი ვუსმენდი, ხან ისე მაღიზიანებდა, რომ მაშინვე გარეთ ვაგდებდი.

დღეს კარლასგან გაუგია, იმ შტერს უთქვამს, დაკრძალვაზე ბიდისო და ათასი კითხვით გამომიჭედა ყურები, აინტერესებდა, რა [illegible] მქონდა ჰენრისთან, როგორც იქნა, მოვიშორე თავიდან და ახლა [illegible] გავიდა. კარლა ხშირად შემომჩიოდა, ბატონი დოიე შეარშიყებაო. არადა, დარწმუნებული ვარ, თავად მასაც სიამოვნებდა. კარლა ხომ იმ ქალებს განეკუთვნებოდა, რომლებთანაც ძამაკაცები თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. ყოველ შემთხვევაში ამის გამო ვერ მოვიმდურებდი მოხუცს. კარლა უკვე იმ ასაკში იყო, რომ თავად შესძლებოდა თავის დაცვა. რატომ მეწყენინებინა ვიღაცის გამო საცოდავი მოხუცისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დროის მოკვლის მიზნით შემოდიოდა ჩემთან, ვიდრე ტელევიზიის პროგრამა დაიწყებოდა.

სადილობისას შევამჩნიე, უფროსის მაგიდასთან ახალი კოლეგა იჯდა. უფროსმა თვალი ჩამიკრა და შეუმჩნეველად მანიშნა მასზე. ვიჯექი ჩემს მაგიდასთან და ბოსტნეულის წვნიანს შევექცეოდი. კოლეგებმა უკვე იცოდნენ დაკრძალვის თაობაზე და მხოლოდ და მხოლოდ თავაზიანობის გამო, ისე რომ არც კი აინტერესებდათ, ათასგვარ შეკითხვებს მაძლევდნენ, მერე კი კვლავ ჩვეულებრივ საუბარს უბრუნდებოდნენ. ყველა იმას მიყვებოდა, როგორ მოუპარავთ ჩვენი ერთი კოლეგისათვის ამ სამი კვირის წინ მანქანა. სულ სამი თვის ნაყიდი ჰქონია, თანაც ორმაგ ფასში. პოლიციაში უთქვამთ, ვერაფრით დაგეხმარებითო და სახელმწიფო დაზღვევაში გაუგზავნიათ. დაზღვევა კი მანქანის მინიმალურ ღირებულებასაც კი არ ფარავდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო საცოდავი და თითქმის ყველას ამას შესჩიოდა. დარწმუნებული ვარ, სადმე რომ შეხვედროდა მანქანის ქურდი, ადგილზევე მიასიკვდილებდა. ზოგჯერ ჰიპოკრატეს ფიცსაც, ისევე როგორც ყველაფერს, თავისი ზღვარი გააჩნია.

სადილობის შემდეგ მე და ანა ყავის დასალევად ჩავედით. პროფესიით ანა ექიმი-სტომატოლოგი იყო, ჩემზე სამი წლით უფროსი. ხუთი წლის წინ სახსრების ანთების გამო იძულებული გახდა პროფესია შეეცვალა და კვლავ გაეგრძელებინა სწავლა. ამჟამად ანესთეზიოლოგია. ოთხი შვილი ჰყავს და როგორც თავად ამბობს, ქმართან კარგი ურთიერთობა აქვს. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კვირაში ერთხელ ქმარი ძალას ხმარობს მასზე, რაზეც ანა ირწმუნება, რომ ეს მისი ბრალი არაა, უბრალოდ, სხვაგვარად არ შეუძლიაო. გაყრითაც ვერ გაეყრებოდა ბავშვების გამო. ესეც რომ არ ყოფილიყო, მარტოდ დარჩენისაც ეშინოდა. ამიტომაც იტანდა ყველაფერს. საერთოდ ვცდილობდი დისტანცია დამეჭირა ანასთან, რადგან არ მიყვარს, როცა ქალი თავის დამცირებას ეგუება. ქმარი ანაზე თოთხმეტი წლით უფროსია და ანას ერთადერთი იმედიც სწორედ ესაა, მალე მოხუცდება და აღარაფრის თავი აღარ ექნებაო. საოცარია როცა სიბერე ერთადერთ იმედად გესახება, მაგრამ რას ვიზამთ, ამგვარი უცნაური იმედებიც არსებობს.

კაფეში ანას დარბაისლურად ეჭირა თავი. ქალბატონი ექიმი ყავას მიირთმევდა, თან კაფეს მეპატრონესაც ეარშიყებოდა. თუმცა ამ უკანასკნელს მხარზე ხელი რომ დაედო ანასთვის, მიიღებდა კიდეც. ანა თავის ახლად შეძენილ პიჯაკს მიჩვენებდა. შავი იყო, საყელო ლილისფერი ჰქონდა. ძალიან ძვირი ღირებულა, მაგრამ უსიტყვოდ უყიდია ქმარს. ეს იყო ხაჩუქარი, მაგრამ რის საფასურად? შერიგებისა? საბრალო ანა. ეგებ სჯობდა, რადგან შემომთავაზა, გა-

მომერთმია პიჯაკი. მართლაც გამომადგებოდა დაკრძალვაზე წასასვლელად. მაგრამ არ მინდოდა რაიმე შეხების წერტილი მქონოდა მის პრობლემებთან, თუნდაც ამ სახით. უფალმა უწყის მხოლოდ, რით დაიმსახურა ანამ ამგვარი მძიმე ტვირთი, რომელიც ალბათ მარტომ უნდა ზიდოს.

ანა რაღაც ლიტერატურულ საღამოზე მესაუბრებოდა, რომელიღაც ეკლესიაში ჩატარებულ გასულ კვირას. ხალხს საოცრად უხერხული [illegible] დაუსვამს ორატორისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს დიპლომატიურად [illegible] ებია თავი პასუხისთვის. საუბრისას ყველანაირად ეცდილობდი ანას თეფშზე არ დამეხედა. ის უკვე მესამე ნაჭერ ნამცხვარს შეექცეოდა. ვიცოდი, ერთი სიტყვაც რომ დამცდენოდა ამაზე, პირს აღარაფერს დაადებდა. ამიტომაც ვიჯექი ჩუმად, რამდენიც უნდოდა, იმდენი ეჭამა, ფიგურა მაინც უწყობდა ხელს. თითო კონიაკი კიდევ შევუკვეთეთ და მერე მალევე დავშორდით. კაბინეტში რომ შევირბინე პალტოს გამოსატანად, კარლა პაციენტს ელაპარაკებოდა. ხელით მანიშნა, ცოტა ხნით შეიცადეთო, მაგრამ მეც ხელითვე ვანიშნე, ძალიან მეჩქარება-მეთქი და წამოვედი.

სადილობის ჟამს, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც დაცარიელებულიყო ქუჩები. ასე რომ, სწრაფად შემეძლო მევლო. გზაში ყვავილების მაღაზიასთან შევჩერდი, თეთრი მიხაკები ვიყიდე. რაც მეტად ვუახლოვდებოდი სასაფლაოს, მით უფრო მიმძიმდებოდა გული. არადა, მთელი დღის განმავლობაში საერთოდ არ მიფიქრია ჰენრიზე. ახლაც თავს ძალა დავატანე, მინდოდა რაიმე გამეხსენებინა მასზე, მაგრამ ამაოდ. ჯერ კიდევ არ იყო გვიანი, მომებრუნებინა მანქანა და შინ დაებრუნებულიყავი. ამელო ჩემი ფოტოაპარატი და სადმე ქალაქგარეთ გავსულიყავი. თავად ჰენრისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ მე მას უკანასკნელ გზაზე გავაცილებდი. მას ხომ ტყუილუბრალოდ დროის გაფლანგვად მიაჩნდა ნაცნობების დაკრძალვაზე სიარული და ავადმყოფების მონახულება. ყოველივე ეს ჰენრისათვის სხვის ცხოვრებაში უხეშად შეჭრას ნიშნავდა. ეს ხომ წინაპართაგან გადმოშთენილი უსიამოვნო და დამტანჯველი რიტუალი იყო. უფრო სწორად, ეს იყო მარადიული თამაში, ღვარძლიანი ტრიუმფი იმისა, თუ ვინ ვის მიაცილებდა საფლავამდე. ბოლოს და ბოლოს ამისთვის ხომ არსებობდა დამკრძალავი ბიურო, რომელიც პროფესიულად გაუძღვებოდა ამ საქმეს? მაშ, რისთვისღაა საჭირო ამდენი ადამიანის დასწრება? რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მიცვალებულისადმი თავიანთი დამოკიდებულების დემონსტრირება მოაწყონ? საიდან უჩნდებათ ამგვარი სურვილი, დაესწრონ ვილაცის მიწაში ჩამარხვისა თუ გვამის დაწვის პროცესს? რატომ მიაჩნიათ მათ ეს თავიანთ მოვალეობად? მკვდარი ხომ ის ადამიანი აღარაა, ვისაც ვიცნობდით, ვინც გვიყვარდა? ერთი პირობა ვიმედოვნებდი, ჰენრის დრეზდენში დაკრძალავდნენ, იქ კი სიშორის გამო ვერ ჩავიდოდი.

მოულოდნელად ძრავამ კაკუნი დაიწყო, სიჩქარიდან ამოვაგდე, ორჯერ დავაჭირე გაზს, მაგრამ უშედეგოდ, როგორც ჩანს, საწვავი აღარ მქონდა.

სასაფლაოსთან მანქანების სადგომზე უამრავი თავისუფალი ადგილი იყო, მაგრამ მანქანა იქვე მოპირდაპირე ქუჩაზე გადავაყენე. კარგა ხანს უაზროდ ვიჯექი მანქანაში, ვყოყმანობდი, მერე კი ავიღე ყვავილები, პალტო ხელზე გადავიკიდე და მანქანიდან გადმოვედი.

სასაფლაოზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. სამლოცველოსთან ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ. როგორც ჩანს, დამკრძალავი კომიტეტი აგვიანებდა. უცბად შევჩერდი, გამახსენდა, რომ ჰენრის ნათესავთაგან

არაეის ვიცნობდი. ნეტა რომელ ჯგუფთან უნდა დავმდგარიყავი?! ყველა მე შემომცქეროდა. უხერხული სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ლოდინით გაბეზრებული ადამიანების ჩურჩული. ჩანთიდან სიგარეტი ამოვიღე, მაგრამ იმდენი თვალი მომჩერებოდა, მაშინვე გადავიფიქრე. მივხვდი, შეუძლებელი იყო აქ მოწევა. მეც და მათაც ერთი ფიქრი გვიტრიალებდა: ეს ბიჭი რომელ ჯგუფთანაა? ვისთანაა მოსული? რა ვქნა, უნდა მივესალმოს? რომ არავის ვიცნობ?! რომ ვერაფერი მოვიფიქრე, იქვე სასაფლაოს კარს უკან ყვავილების მაღაზიას მიეშურე. შესვლისას კარზე ჩამოკიდებული ზარი გაწკრიალდა. იატაკი კაფელის იყო და სინესტე შეიგრძნობოდა. ირგვლივ თვალში საცემი სიმწვანე და თეთრი ბაფთებით შემკული კალათები იდგა. აქედან კარგად მოსჩანდა ეკლესიასთან მომლოდინე ხალხი. ჩემი შესვლისთანავე, მეორე ოთახიდან, რომლის შესასვლელშიც მძივებიანი ფარდა ეკიდა, ხმელ-ხმელი, შავებში ჩაცმული ქალი გამოვიდა, სახე ნაოჭებისაგან ჰქონდა დაღარული, თითქოს და ესეც სიკვდილთან, სასაფლაოსთან ყოველდღიურ სიახლოვეზე მიუთითებდა.

— გნებავთ რამე? — მკითხა და თან ჩემს მიხაკებს გადახედა.

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყოდით, ვისი დაკრძალვის ცერემონიალი ტარდება ახლა?

— იქ მომსახურე პერსონალს ჰკითხეთ. — ხმაზე ემჩნეოდა დაღლილი იყო. მიხვდა, არაფრის ყიდვას არ ვაპირებდი.

— მოძღვარის ნახვა სად შემიძლია? — არ მოვეშვი მაინც.

— იქ! — მიმითითა სასაფლაოზე და კვლავ მეორე ოთახში გაუჩინარდა. ვიდრე მაღაზია არ დავტოვე, ვგრძნობდი, ფარდიდან მითვალთვალებდა.

ვიტრინაში გამოფენილ ყვავილებს მივჩერებოდი და აღარ ვიცოდი, რა მელონა. იქნებ სხვა სასაფლაოზე მოვხვდი და ჰენრის სხვაგან ასაფლავებენ?! მინაში დავინახე სამლოცველოს კარი გაიღო და ვიღაც გამოვიდა. მაშინვე იქითკენ გავეშურე. სამლოცველოსთან ვიღაც კისერმოღრეცილი კაცი იდგა და რაღაცას ამბობდა. რა თქვა, ვერ გავიგე, მაგრამ მის ნათქვამზე ერთი ჯგუფი სამლოცველოსკენ დაიძრა, ფეხს ავუჩქარე . სამლოცველოს მივუახლოვდი და ის იყო პირი გავაღე, რომ თავად შემეკითხა: თქვენ ჰენრი ზიმერის დაკრძალვაზე ბრძანდებით? თავი დავუქნიე. დაკრძალვის ცერემონიალი რამდენიმე წუთში დაიწყება. მეც იმ ოც კაციან ჯგუფს შევუერთდი. ცნობისმოყვარე მზერა კიდევ უფრო გაძლიერდა. პალტო გავისწორე და უხერხულობისაგან ჩემს ყვავილებს დავაჩერდი.

სამლოცველოს კარი გაიღო, ოთხმა კაცმა მიცვალებულის სასახლე მოიტანა. უკან სამი ახალგაზრდა იდგა, არც ერთი არ იქნებოდა ოც წელზე მეტის. გრძლად ჩამოშლილი თმა უწესრიგოდ ეფინათ მხრებზე. მე მათ ვაკვირდებოდი. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ შეამჩნია ჩემი მზერა, წამით თვალი თვალში გავუყარეთ. მას ჩაეცინა, მაშინვე სამლოცველოსკენ მივტრიალდი. ორჯერ გაიღეს და მიხურეს სამლოცველოს კარი. მეტისმეტად მძიმე ყოფილა სამგლოვიარო ცერემონიალი. იმ პატარა კისერმოღრეცილმა კაცმა გვანიშნა, შემოდითო. ყველაზე ბოლოს შევედი. სასახლე საკურთხეველთან დაესვენებინათ. მიტანილი გვირგვინები და ყვავილები იმ კაცმა ჩამოგვართვა და იქვე ფიცარნაგზე მოხერხებულად განალაგა. ჩემი მიხაკები სადღაც ჩაიკარგა...

წინა რიგში ჰენრის ცოლ-შვილი მოთავსდა. ქალი ასე ოცდაათი წლისა იქნებოდა. თვალს არ მაშორებდა. თავაუღებლივ გავიჭერი პირდაპირ ბოლო რი-

გებისაკენ. რეპროდუქტორში მსუბუქი წკარუნი, მერე კი ფირფიტის შრიალი გაისმა. მალე შრიალი მუსიკის ხმამ დაფარა. ჰაერში საორღანო მუსიკა დაირხა. საკურთხევლის გვერდით კარი გაიღო და მოძღვარი გამოვიდა. კათედრას მიუახლოვდა, წინ წიგნი დაიდო და ლოცვას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია, იქვე მდგომ მედავითნეს გადახედა და მოკრძალებით ჩაახველა. მედავითნემ საკრავი გამორთო. მუსიკა დადუმდა. მოძღვარმა ქადაგება დიდწყალ შიგადაშიგ ჰენრის სახელს ახსენებდა. ერთ წამს სულელურმა აზრმა გამიელვა თავში, თითქოს მოძღვარი ჰენრის პირად საქმეს კითხულობდა, მიელოთ თუ არა თავიანთ სამსახურში. სასიამოვნო ხმა ჰქონდა მოძღვარს, სიტყვებიც საოცრად დახვეწილი და გამორჩეული. მის ამაღელვებლად საამო ხმაში საოცარი იმედი და დამაჯერებლობა გაისმოდა. ნეტავი ჰენრის მეუღლემაც თუ შეამჩნია ეს. მოძღვარი ხომ მას მიმართავდა? საინტერესოა, თუ ღალატობენ მოძღვრები თავიანთ ცოლებს? ჩემ წინ ფსალმუნების წიგნი იდო, გადავფურცლე, ყველაფერი ეწერა, თუკი რამ შემოგვრჩენოდა საუკუნეების მანძილზე: საეკლესიო სიმღერები, სხვადასხვა ცერემონიალები, ადათ-წესები. იქ, იმქვეყნად ადამიანს აღარ სჭირდება ჩაცმაზე ზრუნვა. ადამიანი ხომ არ კვდება, მხოლოდ მისი სული მიემგზავრება იმქვეყნად. სიკვდილი მარადიულ სასუფეველში დაბრუნებაა. მორწმუნე იყო თუ არა ჰენრი, თავადაც არ იცოდა ალბათ. კორექტივი ყოველთვის ჩვენი სიკვდილის შემდეგ შეაქვთ ხოლმე. სავსებით შესაძლებელია, რომ ინდური სექტის წარმომადგენლებს რომ ჩაუვარდეთ ჩემი გვამი, თავიანთი ადათ-წესებით დამკრძალავდნენ ალბათ. კვლავ გაისმა მუსიკა. სამწუხაროა, კიდევ დიდი ხიამოვნებით მოვუსმენდი მოძღვარს. ბებიაჩემისა არ იყოს, თუ ვინმე მოეწონებოდა, იტყოდა ხოლმე, რა მშვენივრად მეტყველებსო ეს ადამიანი. მართლაც და მშვენივრად ღაღადებდა მოძღვარი. ნამდვილად მოეწონებოდა ბებიაჩემს.

ჩუმად, თავჩაქინდრული იჯდა ჰენრის მეუღლე. შიგადაშიგ ბავშვებს თუ გადაუჩურჩულებდა რაღაცას, შენიშვნებს აძლევდა ალბათ. მე მხოლოდ მის ზურგს ვხედავდი.

მუსიკა კვლავ დადუმდა. მოელ ამ ცერემონიალს საოცრად ორგანიზებულად ხელმძღვანელობდა ის ჩია, ხეიბარი კაცი, პირველად რომ შემომხვდა ეკლესიასთან. მისი მითითებით იმ ოთახიდან, სადაც წელან მოძღვარი შეიყვანა, ოთხი მამაკაცი გამოვიდა. ეს ისევ ის ოთხი მამაკაცი იყო, პირველი მიცვალებულის სასახლე რომ გაიტანეს. წყვილ-წყვილად დადგნენ. ცერემონიალის „დირიჟორმა“ სწრაფად აალაგა გვირგვინები და ყვავილები. მოძღვარი ჰენრის მეუღლეს მიუახლოვდა და მიუსამძიმრა. ამასობაში იმ ოთხმა კაცმა მხრებზე დაიდგეს სასახლე და ის იყო რამოდენიმე ნაბიჯიც გადადგეს, რომ „დირიჟორმა“ კვლავ შეაჩერა. მოძღვარი ქალისა და ბავშვების თანხლებით სასახლეს მიუახლოვდა. ყველამ თავ-თავისი გვირგვინები და ყვავილები მოძებნა და სამგლოვიარო ცერემონიალიც მოეწყო. ბოლოს ვიჯექი, და ვიდრე ჩემს მიხაკებამდე მივაღწიე, გასასვლელთან ყველაზე გვიან მივედი. სამგლოვიარო მსვლელობა დაიძრა.

გზა უსასრულო აღმოჩნდა. დამცხა, მაგრამ პალტოს ვერ ვიხდიდი. როგორც იქნა, საფლავიც გამოჩნდა. სასახლე ორმოზე გადებულ ფიცარნაგზე დაასვენეს, ქვემოდან გრძელი ღვედები ამოსდეს და მხრებზე გადაიდეს. ერთ-ერთმა მესაფლავემ ფიცრები გამოაცალა, დანარჩენებმა კი ნელ-ნელა ჩაუშვეს სასახლე ორმოში. ისე დავდექი, რომ ჰენრის ცოლი დამენახა, განუწყვეტლივ რაღაცას ჩასჩურჩულებდა ბავშვებს. მოძღვარმა მიწის გროვასთან მიიყვანა ქვრივი. ჯერ

თვითონ მიაყარა საფლავს ერთი მუჭა მიწა, მერე ჰენრის ცოლმა და ბავშვებმა და იქვე თხრილთან გაჩერდნენ. დაიწყო ჩვეული მისამძიმრება. მიწა გასაოცარი სიჩუმით ეყრებოდა კუბოს. არადა, რატომღაც აუტანელ ხმას მოეელოდი. სადღაც ამოძიკითხავს: მიწის ბელტები ხმაურით ეხეთქებოდა კუბოს სახურავს. ეცდილობდი შეუმჩნევლად, ცალი ხელითვე ჩამომეფშვნიტა ფოლებზე შერჩენილი მიწა. ჰენრის ცოლს რომ ვუსამძიმრებდი, ეიგრძენი ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. წამით მიეაშტერდით ერთმანეთს. თვალებში ზიზღნარევი სევდა ჩასდგომოდა. ისე მომჩერებოდა, თითქოს ცდილობდა სამუდამოდ ჩაებეჭდა ჩემი სახე. ეს იყო შეუხედავი გაბოროტებული ქალი, დღემდე რომ ვერ გაეგო, ვინ დაედანაშაულებინა თავისი ცხოვრების და იმედების დამსხვრევაში.

„ახლა რომ გამარტყას. აქ, პირდაპირ ქმრის საფლავთან რომ გამაწნას სილა", — ამის გაფიქრებაზე უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა და სასწრაფოდ გავითავისუფლე მისგან ხელი. მოძღვარს მიეუახლოვდი, ვიმედოვნებდი, რამეს მეტყოდა და კიდევ ერთხელ გავიგონებდი მის საამო ხმას. მაგრამ მან მხოლოდ თანაგრძნობით გაიღიმა და მდუმარედ ჩამომართვა ხელი. სამწუხაროა! ყველა იქვე საფლავიდან რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით იყრიდა თავს და ცერემონიალის დამთავრებას უცდიდა. ნაბიჯს ავუჩქარე, მინდოდა სწრაფად გაეშორებოდი იქაურობას. ზურგითაც ვგრძნობდი ჰენრის მეულლის მზერას. პირველსავე მოსახვევში, როგორც კი თვალს მივეფარე, პალტო გავიხადე. უკან რომ მივიხედე, საფლავებისა და გაძარცვული ხეების მეტი ვერაფერი დავინახე.

მთელ დღეს უაზროდ დავეხეტებოდი ქალაქში. ბოლოს ჩემს სახლთან ახლოს კაფეში შევედი. კონიაკი შეეუკვეთე. მინდოდა რაიმე მომეგონებინა ჰენრიზე, ვალდებულიც ვიყავი ალბათ. ვიღაც ორი შეზარხოშებული მამაკაცი მოუჯდა ჩემს მაგიდას. ერთ მათგანს მუქი წითელი ლაქა ჰქონდა მარჯვენა ლოყაზე. ჩემთვისაც შეუკვეთეს არაყი, მაგრამ ვიუარე. მარტო მინდოდა ვყოფილიყავი, მეფიქრა ჰენრიზე, აღმედგინა მისი სახე, დაკრძალვის ცერემონიალი, მოძღვარის ჰაეროვანი ხმა, მაგრამ ამაოდ.

თავი მეორე

წელიწადი იქნებოდა, რაც ჰენრის ვიცნობდი. ერთ სართულზე ვცხოვრობდით. ჩვენს შენობაში მხოლოდ ერთოთახიანი ბინებია. დღეს ამას „აპარტამენტს" უწოდებენ. ბავშვობაში და ცოტა მოზრდილიც რომ ვიყავი, მაშინაც კი ჩემს წარმოსახვაში, სულ სხვაგვარად მესახებოდა „აპარტამენტი". ყოველთვის მეგონა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ძვირფასი ფარდებითა და ოქროთი მოოჭვილი ჭაღებიანი ოთახები, სადაც მხოლოდ სალამოს კაბებსა და ფრაკებში გამოწყობილი ბატონები და ქალბატონები ცხოვრობდნენ. და იქ ყველაფერს თვალისმომჭრელი სილამაზე დაჰკრავდა. ეს აპარტამენტი კი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სულ სხვაა. ესაა ნავსაყუდელი მარტოხელებისა თუ მოხუცებისათვის და ჩემისთანა შინაბერებისათვის, სადაც ზაფხულობით ნაგვის ბუნკერიდან, ზოგჯერ ტუალეტიდანაც შემზარავი სუნი ამოდიოდა, მთელ ბინაში, ყველა სართულზე, კვირადღესაც კი რადიოს გამაყრუებელი ხმა ისმოდა. ამ გაუთავებელ ხმაურსა და გუგუნს, კედლებსა და მილებშიც რომ აღწევს, ბოლოსა და ბოლოს ეჩვევი კიდეც. აქ მხოლოდ გვიან ღამით ისადგურებდა სიჩუმე, თუმცა გათბობის მილების ჩხრიალი მაინც არ წყდებოდა.

როდის შემოსახლდა ჰენრი ამ სახლში, არ ვიცი. აქ ხომ ხშირად იცვლებიან მაცხოვრებლები. ახალგაზრდები თხოვდებიან ან ქორწინდებიან, მოხუცე-

ბი იხოცებიან. ერთი სიტყვით, ეს სახლი მხოლოდ დროებითი თავშესაფრის როლშია. ამიტომაც არ ღირს მათთან გაცნობა. თუმცა ისედაც არ მიყვარს მეზობლებთან ურთიერთობა, არის აქ რაღაც მოსაბეზრებელი: ყოველდღიურად აუტანელი შეხვედრები, გარდაუვალი საუბრები, იძულებითი თავაზიანობა — ეს ყველაფერი მხოლოდ ტვირთია და მეტი არაფერი. თანაც ქმართან გაყრილი ქალი ყოველთვის სიმარტოვეს ეძებს, ისედაც მობეზრებული აქვს გვთავაზებელი მონოტონური ვალდებულებები და გაურბის ამ უინტერესო ურთიერთობებს უცხო ადამიანებთან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ერთ ბედ ქვეშ არიან. ესაა მოსაწყენი ერთფეროვნება, საიდანაც გსურს თავი დააღწიო. მე ჩემი ავეჯის მოკრძალებული დუმილი მირჩევნია, თავს მაინც არ შეგაწყენენ თუმცა ჩვენთვის ესეც სულერთია.

აპრილი იყო თუ მაისი, ზუსტად არც მახსოვს, ლიფტს ველოდებოდი. ყოველთვის დიდხანს გვიწევდა ლიფტთან ლოდინი. ალბათ მოხუცები შეცდომით თუ აჭერდნენ ღილაკს ხელს და სულ დაკავებული იყო. ამხელა სახლისთვის ნამდვილად არ კმარობდა ორი ლიფტი.

დერეფნის ბოლოს ჩემი მეზობელი, ქალბატონი რუპრეხტი გამოჩნდა. მოხუცი თავის კანტურით მოდიოდა. ის იყო მომიახლოვდა, რომ უცებ შეჩერდა და საფეთქლებზე მოისვა ხელი. მის ამოღამებულ, ჩაცვივნულ თვალებში უმწეობა ამოვიკითხე. ხომ ვერაფრით დაგეხმარებით-მეთქი, ვკითხე, მაგრამ ის ხმას არ იღებდა, მიყურებდა ანგარიშმიუცემლად და საფეთქლებს ისრესდა, თითქოს პანიკური შიშის განდევნას ლამობსო.

მოგვიანებით ქალბატონი ლუბანიც შემოგვეერთდა. ის ნაგვის ბუნკერის გვერდით რომ ბინაა, იქ ცხოვრობდა. ქალბატონი ლუბანი კოჭლი იყო და ქუჩაში თითქმის სულ არ გადიოდა. ყველა სართულზე ნაცნობი ჰყავდა და მთელ დღეს ზევით-ქვევით დადიოდა. ხან ვისთან მიირთმევდა ყავას და ხან ვისთან.

ქალბატონი ლუბანი მომესალმა. სახლმმართველზე მოჰყვა ჩივილს: უხეში, გამოუსადეგარი კაცია, ვერაფერს სთხოვო. რატომ არ შემოდიხარ ჩემს სანახავად? — მკითხა მან ბოლოს. მთელმა სართულმა იცოდა, რომ ექიმი ვიყავი და რატომღაც მიაჩნდათ, რომ ყველა მე უნდა მომენახულებინა. ხშირად წამლებისთვისაც მაკითხავდნენ.

მე მოუცლელობა მოვიმიზეზე და მანაც თანამიგრძნო. ქალბატონი ლუბანი შვილოთი მომმართავდა, რაც ცოტა არ იყოს, მეუცნაურებოდა. რაღაც საიდუმლო მინდა გაგიმხილოთ, — წამოიწყო უცბად მან. იმედის თვალით შევცქეროდი ლიფტს, მაგრამ ჯერ არ ჩანდა. მოხუცი კი თავისას განაგრძობდა: „მე ამ სახლის კომიტეტის წევრი ვარ; ერთხელაც პოლიციელი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, თუ რაიმეს ან ვინმეს საეჭვოს შეეამჩნევდი, აუცილებლად მეცნობებინა მათთვის". ლაპარაკისას ვხედავდი სათვალის მიღმა როგორ უფართოვდებოდა თვალები ქალბატონ ლუბანს. პოლიცია არაფერს იტყვის ტყუილუბრალოდო, — დაასკვნა მან და ჩემი რეაქციის მოლოდინში გაჩუმდა. ქვემოდან ლიფტის ხმა შემომესმა, მაგრამ ისევ გაჩერდა სადღაც. რამოდენიმეჯერ კვლავ მივაჭირე ღილაკს ხელი და ის იყო ფეხით ვაპირებდი ჩასვლას, რომ ქალბატონი ლუბანი კიდევ უფრო მომიახლოვდა და განმიცხადა: ჩვენს მეზობლად ერთი მეტად უცნაური პიროვნება ცხოვრობს, არ შეგიმჩნევიათ? უარის ნიშნად თავი გავაქნიე და დავძინე, მეზობლების თვალთვალი არ მჩვევია-მეთქი. „ეგ რა შუაშია?" — გაწიწმატდა ქალბატონი ლუბანი. ის ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ სახეზე სქლად წასმული ფერუმარილის სუნიც კი მცემდა. ვუყურებდი ამ მოხუცებულ

ქალს და ვფიქრობდი, რა ვიქნებოდი მე ოცდაათი წლის შემდეგ, როცა ადამიანი ყოველი ახალი დღის გათენებას, თავის კიდევ ერთ გამარჯვებად მიიჩნევს, რადგან ერთ მშვენიერ დღესაც შეიძლებოდა აღარც მიეღწია გათენებამდე. უეცრად ქალბატონი ლუბანი ხელზე შემეხო. „შეხედეთ!" — ჩამჩურჩულა მან, შემოვტრიალდი. ჩვენსკენ ვიღაც კაცი მოდიოდა. ფეტრის ქუდი ეხურა თავზე. „აი ისიც", — ჩაილაპარაკა ქალბატონმა ლუბანმა და კაცს თვალი [illegible]

მან ფეხით გამოაღო შუშის კარი და ჩვენს გვერდით დადგა. მოჭრიდებლად მაკვირდებოდა. მეც მივჩერებოდი. მისი სახე ერთმანეთთან შეუსაბამოდ, თითქოს და ორი სხვადასხვა ნაწილისაგან შეედგინათო. ქუდიც სასაცილო ეხურა, თუმცა მთავარი ქუდი როდი იყო, რაღაც უცნაურად ეხურა, მაშინვე თვალში გეცემოდა.

როგორც იქნა, ლიფტი მოვიდა და ჩვენც შევედით. მოხუცი ქალი ჩემ გვერდით დადგა. იმდენად უსიამოვნო გრძნობა მქონდა, რომ ჩვენს შორის ჩანთა ჩავჭედე. ის უცხო კაცი კი ჩემს უკან იდგა. სიჩუმე რომ დაერღვია, ისე აყმუვლდა, თითქოს ძაღლს თათზე დააბიჯესო ფეხი. შეშინებული ქალბატონი ლუბანი ხელში მწვდა. კაცი ლიფტის კედელს მიყუდებოდა და მოწყენილი მისჩერებოდა სართულების მაჩვენებლებს. ერთმანეთს გავუღიმეთ. ლიფტი რომ გაჩერდა, თავაზიანად მომესალმა და კარიც დაგვიჭირა.

საღამოს ჩემთან მოვიდა ჰენრი. უკვე ვიწექი, ზარმა რომ დარეკა. ხალათი შემოვიცვი და გავიხედე. ტაფით ხელში იდგა ზღურბლზე და მთხოვდა, რამეთი დამეხმარეო. „უკვე გვიანია, მეძინება", — ვუთხარი მე. მაგრამ ის მოჰყვა წუწუნს, მშიერი ვარო, მერე კი გვერდი ამიარა და დაუპატიჟებლად შემომეჭრა ოთახში. სავარძელში ჩაჯდა და კედელზე გამოფენილი ფოტოების თვალიერებას მოჰყვა. მე კი ისევ კართან ვიდექი და ჩემსას ვიმეორებდი, დავიღალე, ძალიან მეძინება-მეთქი, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა. „ბევრ დროს არ წაგართმევთ, შეეჭამ და მაშინვე წავალ". იძულებული გავხდი სამზარეულოში გავსულიყავი. ჰენრი ოთახში დარჩა და იქიდან მელაპარაკებოდა. მოგვიანებით კი უკვე მაგიდასთან იჯდა და შეექცეოდა. თან მეხვეწებოდა, შენც ჩემთან დაჯექიო. მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი და საწოლში შევწექი. თვალდახუჭული ვუგდებდი ყურს ჰენრის ხმას. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მსიამოვნებდა მისი იქ ყოფნა, თითქოს დაღლილობაც სადღაც გამიქრა. თვალდახუჭული ვუსმენდი ჰენრის გაუთავებელ შეკითხვებს. ჯერ ის მკითხა, თავად თუ ვიღებდი და ვამჟღავნებდი ამ ფოტოებს. მერე ოთახის მოწყობილობაზე მოჰყვა ლაპარაკს: „თითქმის ყველას ერთნაირად გვაქვს ავეჯი განლაგებული, რადგან თვითონ პროექტი გვკარნახობს, სად დავდგათ მაგიდა, და სად საწოლი. მხოლოდ ერთი განსხვავებაა, ესეც პროექტით გათვალისწინებული: თუ წიგნების თაროები გვაქვს, საწოლი ფანჯარასთან უნდა ჩავაცუროთ. ზოგჯერ წიგნების განლაგებაც კი ერთნაირია. მოკლედ, სურვილი გაგიჩნდება შუბლში დაიხალო ტყვია". ჰენრის ხმა ისე საამოდ ჟღერდა, რომ რულიც კი მომერია. ცოტა ხნით წამოდგა ჰენრი, ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯარაში გადაიხედა და კვლავ მაგიდას მიუბრუნდა. ვიწექი და თვალს ვადევნებდი მის მოძრაობას. უცბად კუთხეში ჩემი მაღალქუსლიანი ოქროსფერი ფეხსაცმელები დაინახა. დაიჭინა, გინდა თუ არა, ახლავე ადექი და ჩაიცვიო.

„ჭამას ხომ მორჩით, ახლა წადით, უნდა დაეიძინო". — მაგრამ ჰენრი აინუნშიაც არ აგდებდა ჩემს სიტყვებს, ისევ ხელში ეჭირა ჩემი ფეხსაცმელები და ხოტბას ასხამდა. ბოლოს სავარძელში ჩაჯდა. მდუმარედ ეწეოდა სიგარეტს,

თან ფანჯრისაკენ იყურებოდა: „გიყვართ აივანზე გასვლა? მე პირადად არ მიყვარს". „რატომ? სიმაღლისა გეშინიათ?" — დავინტერესდი. მაგრამ ჰენრიმ მაშინვე შეცვალა საუბრის თემა: „როგორ ფიქრობთ, არსებობს ურთიერთგაგება?" უამრავ კითხვას მისვამდა, რომლებზეც მე არ გამაჩნდა პასუხი. და არც მესმოდა ხუმრობდა თუ სერიოზულად მეკითხებოდა. იქნებ ეს თამაშიც კი იყო, ტესტისებური, რომლითაც ჩემს შეცნობას ცდილობდა? ჰენრი მშვიდად იჯდა სავარძელში და წითელ ღვინოს შეექცეოდა.

„რატომ მკითხეთ წელან აივანზე? რა კავშირშია აივანი ყველაფერ ამასთან, რასაც თქვენ ლაპარაკობთ?" — კვლავ შეეუბრუნე კითხვა.

„მეშინია, არ გადავფრინდე, უფრო პროზაულად რომ აგიხსნათ, მეშინია, იმაზე ადრე არ გადავვარდე აქედან და მოკვდე, ვიდრე თავისთავად მომელის. მაინტერესებს რისთვის ვცხოვრობ, ხომ უნდა ჰქონდეს რაიმე აზრი ჩემს დაბადებას, ჰოდა, მეც ველოდები, გაეიგო რისთვის მოვევლინე ამ ქვეყანას".

რატომღაც მომწონდა ჰენრი. „ცხოვრებისეულ გამოცდილებებს თუ გავითვალისწინებთ, ამგვარ ხუმრობებს უბრალო და ჩვეულებრივი ბოლო აქვს. ასე რომ, რაც არ უნდა შეთხზათ, არც თქვენი ბოლო იქნება უკეთესი".

„ჰო, ჰო, — ამოიოხრა მან და შემრიგებლურ კილოზე ჩაილაპარაკა, — ცხოვრებისეული გამოცდილება, არა?! მართლა ძალიან დაღლილი ხარ?"

თავი დავუქნიე. არც კი ვიცოდი, რა უნდა მეფიქრა ჰენრიზე. თუმცა ფიქრის თავი სადღა მქონდა. იჯდა იგი სავარძელში და სიგარეტს ეწეოდა. ბოლოს წამოდგა და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე ლოგინში შემოწვა. გაოცებისაგან ენა ჩამოვარდა.

იმ ღამეს მოუსვენრად ეძინა ჰენრის. ადრე გაეღვიძა. მინდოდა საუზმე მომემზადებინა მისთვის, მაგრამ მთხოვა არ ავმდგარიყავი. მერე მაკოცა და წავიდა ისე, რომ არც არაფერი უთქვამს. ისევ ჩამეძინა. გამოღვიძების შემდეგაც კარგა ხანს ვიწექი ლოგინში და ვცდილობდი გამომეცნო რომელი საათი იქნებოდა. რატომღაც ქალბატონი ლუბანი გამახსენდა უცბად, კარის ჭუჭრუტანიდან რომ უთვალთვალებდა მეზობლებს.

მერე კი ვიკადრე ადგომა, ტანი გადავიბანე და ვიდრე ყავისთვის წყალი ადულდებოდა, დაბლა ჩავედი გაზეთების ამოსატანად. როცა დავბრუნდი, სამზარეულოში ორთქლი ტრიალებდა. ყავა მოვიმზადე და ოთახში ვისაუზმე, თან ჩემს თავს ვესაუბრებოდი. სხვა დროს არ მსიამოვნებდა ამგვარ საუბრებში რომ ვიჭერდი საკუთარ თავს. ახლა კი თითქოს ერთგვარ შვებასაც კი მგვრიდა. რადიოში მუსიკა უკრავდა, თან სახლში ვიღაცის ლაპარაკიც ისმოდა, მერე რა, რომ ეს ჩემი საკუთარი ხმა იყო.

ჰენრი გამახსენდა, წამოვდექი, აივნის კარი გამოვაღე და ქუჩაში გადავიხედე, მერე ისევ მაგიდასთან მივბრუნდი და საუზმობა განვაგრძე. გვერდით გაზეთი მედო, განცხადებებს ვკითხულობდი.

გაზეთებში, საერთოდ, განცხადებები უფრო მიზიდავდა, მომწონდა ეს სახალისო, ოფიციალურად სააშკარაოზე გამოტანილი, ცოტა არ იყოს, სასაცილო ამბები. მაგალითად: „დაიკარგა ძაღლი, სახელად ტრიქი (არ იკბინება)". „იყიდება საძინებელი ავეჯი (გარანტიით)". ზოგჯერ ასეთ განცხადებებსაც კი ვაწყდებოდი: „ეარ ასეთი და ასეთი, მიყვარს კითხვა, თეატრი, ოუმორი, სიგარეტს არ ვეწევი". ამგვარი რეკლამით ეძებდნენ ცხოვრების თანამგზავრს. ხანდახან სამგლოვიარო განცხადებებსაც გადავკრავდი ხელმე თვალს. „ეიზიარებთ ღრმა გულისტკივილით და ენით აუწერელი მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვა-

ლა ესა და ეს". მეტწილად კი ამგვარ ამბებს პოლიკლინიკაში ვიგებდი საოცრად ინფორმირებული და მოლაყბე კოლეგების წყალობით, რომელთაც ზოგჯერ ისიც კი იცოდნენ, ვინ სად და როგორ დაიღუპა.

ყიდვა-გაყიდვის განცხადებებით ხომ მთლად აჭრელებული იყო გაზეთი. რა გულუბრყვილოები და თაღლითები ბრძანდებიან?! ზოგი იმედოვნებს მზამზარეული ბედნიერება იპოვოს, ზოგს უჭირს და ცდილობს თავისი წუხელი საქვეყნოდ გამოფინოს. მოკლედ, ეს გაზეთი კი არა, დიდი ქალაქის ენციკლოპედიაა, უფრო სწორად, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა კრებულია.

უცბად ქალის ხმა შემომესმა, ვილაცას უხმობდა თავისთან. ფანჯრიდან დავინახე, ვერდით აივანზე, შავ შალში გახვეული ქალბატონი რუპრეხტი იდგა და ჩიტებს უყრიდა საჭმელს, თან თავს აკანტურებდა. აივნის გისოსებს შორის ხელს ყოფდა და ჩიტებს უხმობდა. მაგრამ ჩიტები ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ქარი აქეთ-იქით ფანტავდა ნამცეცებს. ქალბატონი რუპრეხტი იშვიათად თუ შემოვიდოდა ჩემთან წამლისთვის. მეტად მორიდებული იყო, თავს არავის აბეზრებდა.

საუზმის შემდეგ ყველაფერი მივალაგ-მოვალაგე სამზარეულოსა და ოთახში. თუმცა ჩემს პატარა ბინას ბევრი ლოლიავი არც სჭირდებოდა. რაკი საქმე აღარ მქონდა, ცოტა ხანს კიდევ დავჯექი და სიგარეტი მოვწიე. ნახევარი საათის შემდეგ უკვე სამსახურში ვიყავი.

თავი მეხუთე

სამ დღეს აღარ გამოჩენილა ჰენრი. ამას სამსახურში ჩემი მორიგეობაც დაემატა. საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა ამ მორიგეობამ. რა თქმა უნდა, ახლაც იყო სიმთვრალის შემთხვევები, უამრავი ავადმყოფიც, თუმცა სერიოზული არაფერი მომხდარა. გამთენიისას, ექვს საათზეც ატყდა განგაში, მაგრამ რვა საათამდე, ვიდრე მეორე სამუშაო დღე დაიწყებოდა, მაინც დამრჩა საუზმობის დრო.

ძალიან მღლიდა მორიგეობა. მთელ დღეს გაბრუებული ვიყავი და ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდი სახლში. ძლივს ვინარჩუნებდი წონასწორობას და ეცდილობდი გულისხმიერად მოვპყრობოდი პაციენტებს. ისინიც თავის მხრივ თანამიგრძნობდნენ. კარლასგან თუ იყვნენ გაფრთხილებულნი, მთელი ღამის უძილოათ.

პარასკევს, სრულიად შემთხვევით, სადარბაზოში შევეჯახე ჰენრის. საპარიკმახეროდან ვბრუნდებოდი და საშინლად გამოვიყურებოდი. მინდოდა შეუმჩნეველად ჩამევლო და სასწრაფოდ მომეწესრიგებინა თავი, მაგრამ დამინახა თუ არა, ხელზე მეამბორა: „სწორედ შენ გეძებდი, რა კარგია, რომ გნახე". მაღლა კი ერთად ავედით, მაგრამ ჩემს კართან დავშორდით იმ პირობით, რომ საღამოს სადმე წავიდოდით.

ორზე გამომიარა. ქალაქგარეთ გავედით ჰენრის მანქანით. შესანიშნავად, მაგრამ ისე სწრაფად მართავდა ჰენრი საჭეს, რომ ვუოხარი კიდეც. „შენ რა, გეშინია? თუ გინდა ნელა ვიოლი", — თქვა მან და ცოტა არ იყოს ირონიულად გამიმხედა. „რისა უნდა მეშინოდეს, პოლიციასთან შენ შეგხვდება უსიამოვნება და არა მე".

ჩემს პასუხზე ჩაეცინა ჰენრის და კიდევ უფრო მოუმატა სიჩქარეს. იძულებული ვიყავი კარის სახელურს ჩავჭიდებოდი, რაც კიდევ მეტად ართობდა მას.

ერთ პატარა რესტორანთან შევჩერდით. მეპატრონეს რიხარდი ერქვა. ეტ-

ყობა, კარგად იცნობდა ჰენრის. რიხარდი პალმის ძირში რომ მაგიდა იდგა, იქ-ითკენ გაგვიძღვა. ეს იყო ჯმუხი, ასე ორმოცი წლის კაცი, ღიპი მჩვარივით გადმოჰკიდებოდა შარვლიდან. ცოტა ხანს ჩვენთან ჩამოჯდა და თავის ცოლზე მოჰყვა ლაპარაკს. მერე თავისი წუხილიც გაგვანდო, იქ ახლოს ვიღაც მოუკლავთ და მისი ოფიციანტი ყოფილა მოწმედ. ბოლოს მიხვდა, რომ ლაპარაკი გაუგრძელდა და მენიუ შემოგვთავაზა, თან თვითონვე გვირჩია, რა შეგვეკვეთა. ჰენრი, ეტყობა, ენდობოდა მის გემოვნებას და უსიტყვოდ დასთანხმდა. რიხარდი რომ წავიდა, ჰენრიმ მომიბოდიშა: „შენ ველარ გკითხე, რა შეგვეკვეთა, ვიცოდი, ეწყინებოდა“.

მართლაც შესანიშნავი სადილი მოგვიტანეს. მოგვიანებით კიდევ შემოგვეერთდა რიხარდი და ახლა თავის მანქანაზე მოჰყვა წუწუნს. ჰენრის ეხვეწებოდა, როგორმე იქნებ მოიცალო და ნახო, რა სჭირსო. ამ დღეებში გამოგივლი და ვნახავო, — შეპირდა ჰენრი. „რა კაუშირი გაქვს მანქანებთან?“ — დავინტერესდი მე „არაფერი. უბრალოდ, ჰობია ჩემი. ისე კი არქიტექტორი ვარ და ჩემი მოვალეობაა ვაშენო ყოველად გამოუსადეგარი, სტანდარტული ტიპის ავტომატური ელექტროსადგურები, რომელთა განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ სად ავაგებთ, მდინარის მარჯვენა თუ მარცხენა ნაპირზე“, — ამიხსნა მან.

იმ დღეს ბევრი დავლიეთ. როგორც ყოველთვის ახლაც ლაპარაკის გუნებაზე მომიყვანა ღვინომ. აგრესიულობაც კი შემმატა. ცოტა არ იყოს მაღიზიანებდა ჰენრის ცინიკური სიმშვიდე და ეცდილობდი, როგორმე გამომეყვანა მოთმინებიდან. მიზეზი თავადაც ვერ გამეგო, მაგრამ მინდოდა გამემწარებინა. ის მაინც მშვიდად იღიმებოდა.

ყავა რომ მოგვიტანეს, რიხარდი ისევ ჩვენთან ჩამოჯდა და კვლავ თავისას ლაპარაკობდა. ჰენრი ხვდებოდა, რომ არ მაინტერესებდა ეს საუბარი და უხერხულად გრძნობდა თავს.

შუაღამე იქნებოდა, წამოსვლა რომ დავაპირეთ. ვიცოდი, აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვთხოვე ჰენრის, იქ დაგვეტოვებინა მანქანა და ტაქსით წავსულიყავით. „ხომ არ გეშინია?“ — ირონიულად გადმომხედა ჰენრიმ. „შიში რა შუაშია. ვერც ვერაფერს ვხედავ ამაში ორიგინალურს“. — მიეუგე წყენით და და მაინც ჩავჯექი მანქანაში.

ვაკვირდებოდი ჰენრის და ვგრძნობდი, რა სიამოვნებას ჰგვრიდა მანქანა. საოცრად მოხერხებულად, თითქმის არც კი ეხებოდა, ისე ეჭირა საჭე. სიჩქარეებს მალიმალ სცვლიდა. დახვეწილი, მოქნილი მოძრაობები ჰქონდა. ჰენრიმ შეამჩნია ჩემი მზერა და უხერხულად გამიღიმა.

„ასე მგონია, ბევრს ნიშნავს შენთვის მანქანა“. მან თავი დამიქნია და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: „მხოლოდ საჭესთან შევიგრძნობ სიცოცხლეს“. „ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არაა?“ „შეიძლება“, გამომიტყდა იგი. „ნუთუ სხვა აღარაფერი არსებობს შენთვის?“ „იქნებ არსებობს, მაგრამ ამას არა შეედრება რა“. „ეგ კი ნამდვილად არ მესმის შენი და ვერც დაგეთანხმები“. „არც მოვითხოვ. ეს ხომ ჩემი, საკუთარი ნეტარებაა და სხვა ვერც ჩასწვდება ამას“. „ნეტარება? იდუმალი ნეტარება, არა?“ — დავაკონკრეტე მე. ჰენრი დამეთანხმა და ამ შედარებამ გაამხიარულა კიდეც. „თავიდან რომ დაგეწყო ყველაფერი, რას აირჩევდი?“ „მოტომსრბოლელობას ან კასკადიორობას“. — მიპასუხა მან დაუფიქრებლად. „ეს ხომ საშიში პროფესიებია?!. „კი, მაგრამ სწორედ მაგაშია სიცოცხლე“. — ჩაიცინა ჰენრიმ. „მერე კატასტროფების არ გეშინია?“ ექიმები

რიღასთვის არიანო, თან მე გადმომხედა. „კი, მაგრამ სიკვდილის საშიშროებაც ხომ არსებობს?“ აქ ცოტა ხანს გაჩუმდა, ტუჩები აიბზუა, მერე კი ისევ წამოიწყო: „მე არ მეშინია სიკვდილის. განა სიკვდილზე უარესი არაა მოკვდე ისე, რომ ჭეშმარიტი ცხოვრება ვერ იგემო?“

ეტყობა, ღვინო მომერია, ცუდად ვიგრძენი თავი და საზურგეს მივეყრდენი. „შეშლილი“, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და თვალები დავხუჭე.

გვიანი იყო, შინ რომ დავბრუნდით. გამომშვიდობებისას მაკოცა ჰენრიმ. „საოცრად უცხო ხარ ჩემთვის“, „რატომ?“ — გაიკვირვა მან. მე აღარ მოვყოლილვარ ახსნა-განმარტებებს, თუმცა რა უნდა მეპასუხა, თავადაც არ ვიცოდი. უბრალოდ, რაღაც მეუცნაურებოდა მასში და ეს გაუცხოების შეგრძნებაც იმიტომ გამიჩნდა ალბათ, ისეთი ნასვამი ვიყავი, ფიქრის თავიც აღარ მქონდა. მოგვიანებით კი ბევრს ვიმტკიცებდი თავს ამ საკითხზე. მაგრამ სინამდვილე რომ ვთქვა, არც მინდოდა მომეძებნა, რა იყო მიზეზი ამ გაუცხოებისა. სწორედ ასეთი მომწონდა ჰენრი.

იქნებ ამ გაუცხოებისა თუ დისტანციის გამო იყო ჩვენი ურთიერთობა საოცრად დაუძაბავი და თითქმის უბოდიშო. ალბათ ვერც ავიტანდი კიდევ ერთხელ გადამეშალა ვინმესთვის გული. მე მხოლოდ უცხო სხეულის ფერება მომწონდა და არავითარი სურვილი არ გამაჩნდა სხვის სულში მეფათურა ხელები და კვლავ სხვაზე ვყოფილიყავი დამოკიდებული.

არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი აზრები ასაკის ბრალიც იყო, მაგრამ ეს მე არ მანაღელებდა. ხელს მაძლევდა ასეთი ურთიერთობაც.

მეორე დილით ერთად ვისაუზმეთ. კარგ გუნებაზე ჩანდა ჰენრი. დანა-ჩანგლითა და მოხარშული კვერცხით ფოკუსებს მიჩვენებდა. „მშობლებთან ვაპირებ წასვლას“, — წამოვიწყე მოულოდნელად. „ხომ არ გამოგყვე?“ „ამჯერად არ ღირს“, — ვიუარე მე და აღარც ის ჩამციებია. რატომღაც უცბად ყოველგვარი სურვილი გამიქრა წასვლისა. არადა, დედას შევპირდი, კვირის ბოლოს აუცილებლად ჩამოვალ-მეთქი. დარეკვასაც ველარ მოვასწრებდი, მაგრამ წასვლასაც არ ვჩქარობდი.

ერთი პირობა ჭადრაკის სათამაშოდაც დავსხედით მე და ჰენრი, მაგრამ ფიქრებით სხვაგან ვიყავი, არაფერი გამომდიოდა და თავი დავანებე. როცა მშობლებთან ვაპირებდი წასვლას, ყოველთვის ასე მემართებოდა. მთელ დღეს შეშლილს ვემსგავსებოდი. მაღიზიანებდა ეს ვალდებულებებით აღსავსე ურთიერთობა. არა და, მშობლები ყოველთვის ჯიუტად იცავდნენ საკუთარ უფლებებს და ცდილობდნენ თავს მოეხვიათ თავიანთი გამოცდილება, დაერიგებინათ ჭკუა, რასაც მოთმინებიდან გამოვყავდი და მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი თავაზიანობით ეუსმენდი. ვგრძნობდი, აღარაფერი მაკავშირებდა მათთან. მთლად უცხონი გამხდარიყვნენ ჩემთვის. იქნებ ჩემი ბრალიც იყო, ასე იშვიათად რომ ჩავდიოდი, მაგრამ მე ვფიქრობ, ამგვარი ნათესაური კავშირი, რომელიც მხოლოდ შემთხვევითობაზეა დაფუძნებული, უაზრობაა. რა თქმა უნდა, ჩემი მშობლებისათვის ვერც გავბედავდი ამის გამხელას. მათთვის ხომ უმთავრესი იყო ბოლომდე შეენარჩუნებინათ ეს არაფრის მომცემი ურთიერთობა, ყოველგვარი ვიზიტებითა და მისვლა-მოსვლით.

გამომშვიდობებისას ჰენრის ვკითხე: „რას აპირებ ამ შაბათ-კვირას?“ გაკვირვებულმა შემომხედა. „განსაკუთრებულს არაფერს“ — ჩაილაპარაკა მან. მაკოცა და წავიდა.

საღამოს უკვე მშობლებთან ვიყავი. გვიანი იყო და ტელევიზორს უყურებ-

ლნენ. ეტყობა, მელოდებოდნენ, მაგიდაც არ აელაგებინათ. მისაყვედურეს: „გვეგონა სულ დაგავიწყდით. დეიდა გერდაც აქ იყო, აქამდე გელოდებოდა და წავიდა. ხვალ მაინც შევუაროთ, ხომ იცი, როგორ უყვარხარ". ძლივს გიკავებდი თავს ,ისეთი დაღლილი და უხასიათოდ ვიყავი. ყოველ ჩამოხვლაზე დედა წამლების სიას მახვედრებდა. ზოგი თავისთვის უნდოდა, ზოგი მეზობლებისთვის. თან მარიგებდა: „ექიმი ხარ და ვალდებული ხარ დაეხმარო ხალხს, თორემ იფიქრებენ, არ გვკადრულობსო". ერთი ასეთი სია ახლაც ედო ბუფეტზე. თერთმეტი საათი იქნებოდა რომ დავწექი. მამა ტელევიზორთან დარჩა და როგორც ყოველთვის, პროგრამის დასასრულს ელოდებოდა.

ვიწექი, დედა რომ შემოვიდა, საწოლზე ჩამომიჯდა და მითხრა: „მინდა მოგელაპარაკო. რამდენი რამაა, შვილო, ჩვენს შორის უთქმელი". „მაინც რა გაქვს მხედველობაში?" — ვკითხე გაკვირვებულმა. „რატომ ხარ ასე ცივი და უგულო?" ცოტა არ იყოს გავოცდი, მაგრამ არ შევკამათებივარ, ჩხუბის თავი არ მქონდა.

მებრალებოდა ეს ქალი, ნაღვლიანად რომ იჯდა ჩემს წინ, მაგრამ სხვა გრძნობა არ გამაჩნდა მისადმი. ვერ გამეგო, რატომ წუწუნებდა, რას მოითხოვდა ჩემგან. ჩვენ ხომ ისე იშვიათადღა ვხედავდით ერთმანეთს, რომ შორეულიც კი უნდა გავმხდარიყავი მისთვის. ან რა გულითად საუბარზე იყო ლაპარაკი. დედამ ცოტა წაიტირა კიდეც. მერე მამაზე მოჰყვა წუწუნს: „მამაშენის საქმეც ვერ არის კარგად. ქარხნიდან პენსიაზე გაუშვეს, არადა, ჯერ კიდევ შეეძლო მუშაობა. ვილაც მოწაფისთვის სილა გაუწნავს და საბაბიც ეს გაუხდა. უთხრეს, ან პენსიაზე გახვალ, ან ოსტატობას ჩამოგართმევთო. მამაშენი მეორე დღესვე წამოვიდა ქარხნიდან. სამოცდახუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით ჯილდოზე უნდა წარედგინათ, მაგრამ ამ ფაქტის გამო ამაზეც უარი უთხრეს. დაპირდნენ კი ორი წლის შემდეგ წარგადგენთო, მაგრამ საქმე ეს როდია. მთავარი ისაა, რომ ამ დღიდან მამამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ქარხანასთან და თავის კოლეგებთან. ასე რომ, მთლად უმეგობროდ დარჩა. მთელი დღე სახლში ზის. ძალიან აუტანელი ხასიათი გაუხდა. მიჭირს, შვილო, მასთან ურთიერთობა". ლაპარაკისას დედა ხელზე მეფერებოდა. მე არც მიცდია მისი თანაგრძნობა, ვიცოდი ატირდებოდა. ან რა აზრი ჰქონდა, საკუთარ პრობლემებს თავადვე უნდა გამკლავებოდა.

„იცი, ჰინერი შემხვდა, — წამოიწყო ისევ დედამ (ჰინერი ჩემი ყოფილი ქმარია). ზედმიწევნით თავაზიანად მომეპყრო. შეს წარმოიდგინე ქალაქშიც კი წამიყვანა და ჩემს გამო გზა გაიგრძელა. თურმე უფროსი ექიმის წოდებას ჰპირდებიან. სხვათაშორის ცოლი აღარ შეურთავს. მოგიკითხა და შენთან შეხვედრის სურვილიც კი გამოთქვა". „რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. არ მიყვარს წარსულის გახსენება. მით უმეტეს თუ წარმატებებისათვის მიულწევია, ქალებსაც ადვილად იშოვის". „ჰინერი წესიერი კაცია, — შემეწინააღმდეგა დედა. — იქნებ ნანობს კიდეც თავის საქციელს. უნდა შეგეძლოს შვილო, პატიება, არ უნდა იყო ასეთი გულბოროტი. ეგეც რომ არ იყოს, ცოტა შენს თავზეც იფიქრე, ასაკი ხომ გემატება".

„ჰინერს მისი სასიყვარულო თავგადასავლების გამო არ გავყრილვარ, — შევეკამათე დედას. — უბრალოდ, მიეხვდი, შეცდომა იყო ჩვენი ქორწინება. გეყოფა მაჭანკლობა", — დავძინე ცოტა არ იყოს უკმეხად. ისევ წაიტირა დედამ. მერე ცოტა მეზობლების ამბებსაც მოყვა. გასვლისას მკითხა: „შენი აზრით,

ხანდახან საჭირო არ არის ასეთი გულითადი საუბრები?“ რას გულისხმობდა დედა, ვერ მივხვდი, მაგრამ მაინც დავეთანხმე.

დედამ შვებით ამოიოხრა და ვავიდა. კარგა ხანს კიდევ ვერ დაგძინე, ვიდრე ორი საძილე აბი არ ჩავყლაპე.

მეორე დღეს საუზმობისას უამრავი შეკითხვა დამაყარეს მშობლებმა. „კიდევ ბევრს ეწევი?“ — დაინტერესდა დედა. მას არც მამა ჩამორჩენია: „ჩინეთზე რა იცი ახალი?“ მეც ორივეს ინტერესი ერთდროულად დავაკმაყოფილე: „კიდევ ბევრს ვეწევი და ჩინეთზე არაფერი ვიცი“. კარგა ხანს მიხსნიდა მამა, რამდენად მწველი პრობლემა იყო ჩვენთვის ჩინეთი: „თვალს თუ ადევნებ, რა ხდება სურინამში?“ და როცა გაიგო, სურინამი სად იყო არც კი ვიცოდი, გამწარდა და მიყვირა: „ნასწავლად მოგაქვს თავი და უვიცი ხარ. გაზეთებს შენ არ კითხულობ და პოლიტიკა შენ არ გაინტერესებს“. მამა ბავშვობიდანვე ცდილობდა ორივე ქალიშვილი პოლიტიკით დავეინტერესებინეთ, მაგრამ მე თავიდანვე გავუცრუე იმედები. ახლაც შევეკამათე: „მსოფლიოს პოლიტიკის გარეშეც ჰყოფნის პრობლემები“. ისე კი პირობა მივეცი, როგორც მოვნახავდი დროს, აუცილებლად გაეცნობოდი გაზეთებს. რაზეც გამწარებულმა მამამ ისე ძლიერად დაარტყა მაგიდას მუშტი, რომ ჭიქებმა ჟღრიალი დაიწყო. დედა ჩემს დაცვას შეეცადა, მაგრამ იმასაც შეუტია და ოთახიდან გავიდა. „ყურადღებას ნუ მიაქცევ, — მთხოვა დედამ, — ამგვარ სცენებს მეც ხშირად მიმართავს“.

მერე მაგიდა ავალაგეთ და საქმეებს რომ მოვრჩით, ასე, შუადღისთვის დეიდა გერდასთან გადავედით. დეიდაჩემი ჩვენგან ორი ქუჩის მოშორებით ცხოვრობდა.

დედაჩემის და მსუქანი, წითელლოყება ქალი იყო. მასაც და თავის ქმარსაც ცოტა არ იყოს უხერხული, ხმამაღალი ლაპარაკი სჩვეოდათ. როცა მივედით, ცოლ-ქმარი სამზარეულოში იყო და კურდღელს ატყავებდა. ჩვენ სასტუმრო ოთახში დავსხედით. ბიძია პაულმა თავისი გაკეთებული მოცხარის ლიქიორი მოგვართვა, ძალიან ტკბილი იყო.

სამივენი ჩემზე ლაპარაკობდნენ: „როგორ შეიძლება ამისთანა მშვენიერი ქალი ამდენ ხანს მარტო დადიოდეს? ნამდვილად არ მესმის დღევანდელი მამაკაცებისა. ჩვენ დროს სულ სხვანაირები ვიყავით“. — აღნიშნა ბიძია პაულმა და თან მკერდზე წამატანა ხელი, რამაც მოთმინებიდან გამოიყვანა დეიდა გერდა და ხელებში ჩახცხი. დედაჩემმაც შეიცხადა. „რაც გინდათ, ისა თქვით, ეს მაინც ყველაზე ძალიან მიყვარს“, — არ შეეპუა ბიძია პაული. დეიდა გერდამ კიდევ დაალევინა ერთი ჭიქა ლიქიორი და სამზარეულოში გაისტუმრა. სადაც მივდიოდი, აქაოდა, ექიმი ხარო, ყველა თავის ავადმყოფობაზე შემომჩიოდა. ახლაც დეიდა გერდამ თავისი დაბერილი ვენები მიჩვენა. მერე უბნის ექიმის დანიშნულებაც მომიტანა. ჩემი აზრი აინტერესებდა. მეც დავამშვიდე, ყველაფერი წესრიგშია-მეთქი. ვიდრე დედაჩემი დეიდა გერდას ესაუბრებოდა, მე სამზარეულოში გავედი ბიძია პაულის მისახმარებლად. მწვანილი გავურეცხე, კარტოფილი გავთალე. თან გაოცებული ვუყურებდი, რა ოსტატურად ხმარობდა ბიძია პაული დანას, არადა, მარჯვენა ხელზე სამი თითი არ ჰქონდა. წითელ, სქელ ცხვირზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა. მოულოდნელად მან თავი დაანება კურდღელს, ხელები გადაიბანა და უსიტყვოდ გავიდა სამზარეულოდან. როცა დაბრუნდა, ხელში ქაღალდი ეჭირა. თან ეცინებოდა: „დაბადების დღისთვის ჩემს ცოლს სიურპრიზს ვუმზადებ. ეს საგზურია, შავ ზღვაზე მინდა გავუშვა დასასვენებლად. მთელი ორი წელიწადი ამისთვის ვაგროვებდი ფულს“. მთხოვა არა-

ფერი მეთქვა დეიდაჩემისათვის: „ზუსტად წასვლის დღეს უნდა ვაჩვენო, თორემ ისე ეშინია თვითმფრინავში ჩაჯდომის, ვიცი უარს იტყვის. არასოდეს მჯდარა თვითმფრინავში და სულ იმას გაიძახის, რაღა დროს ჩემი თვითმფრინავია, უკვე ბებერი ვარო“.

წინასწარ ხარობდა ბიძია პაული თავისი მოგონილი ოინით: „ოჰ, როგორ დავაშინებ ჩემს ბებერ ქათამს?!“ თან ისე გულიანად იცინოდა, [illegible] თვალები აღარ უჩანდა. მელოტი თავი წითლად ულაპლაპებდა. კიდევ ერთხელ შეიახსენა, ეს საიდუმლო ჩვენს შორის დარჩესო და საბზარეულოდან გავიდა, რომ კვლავ საგულდაგულოდ გადაემალა საგზური.

ამასობაში დედაც შემოვიდა, წავიდეთო. გამომშვიდობებისას თვალი ჩამიკრა ბიძია პაულმა და ისევ თავისებურად წაიოხუნჯა. დეიდა გერდამ ვითომ ხუმრობით, მაგრამ აღშფოთებულმა შეჰკივლა. დედას არ უყვარდა ბიძაჩემის ამგვარი ხუმრობები და მიაძახა: „ნამდვილი ბებერი თხა ხარო“. ბიძია პაული შემრიგებლურად მიეფერა ლოყაზე.

შინ რომ დავბრუნდით, მამა ისევ ტელევიზორთან იჯდა, პოლიტიკურ მიმოხილვას უსმენდა. „სადილიც არ მოგიმზადებია“, — უსაყვედურა დედამ და სამზარეულოში გამიყვანა. ვიდრე მე სალათის ფოთლებს ვრეცხავდი, დედამ ხორცი შემოდგა გასაცხელებლად. „არ გიჭირს მარტო?“ — მკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ. „მშვენივრად ვგრძნობ თავს“, — მივუგე მშვიდად. „თანაც ასე უფრო მეტი დრო მრჩება ჩემთვის. ადრე მთელი დღე წვრილმანებზე ფიქრს მიჰქონდა“. „ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ვინმე თუ გყავს?“ — „არა“. „აბა, უკაცოდ როგორ სძლებ?“ — გამეცინა და დავამშვიდე. „მაგას თუ გულისხმობ, ეგ არაა პრობლემა“. „რა თქმა უნდა, ვიდრე ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, არაა პრობლემა, მაგრამ მერე ხომ მოხუცებულობაში მარტოკას გაგიჭირდება“.

„ყოველშემთხვევისთვის, მე ჯერ არ მანაღვლებს ეგ საკითხი“, — ვთქვი და ორივენი გავჩუმდით. ვგრძნობდი, რაღაცაზე ფიქრობდა დედა. მერე კი გამოიხედა და მითხრა: „რა ვიცი, იქნებ მართალიც ხარ“.

სადილობისას შეცბუნებული იჯდა მამა და ისე გულმოდგინედ აქებდა ჩემს სალათას, რომ დედას ცოტა არ იყოს ეწყინა კიდეც; სადილობის მერე მალევე მინდოდა წავსულიყავი, რომ დღის სინათლეზე ჩამეღწია ბერლინში. მაგრამ დედამ მთხოვა, ცოტა ხანს კიდევ შეიცადეო. ეტყობა, დღევანდელი გულახდილი საუბრით კმაყოფილი იყო. მამამ კი რატომღაც ანდერძის ჩვენება მოიწადინა, დაიჟინა, გინდა თუ არა, უფრო მშვიდად ვიქნებიო. როგორც იქნა, დავიყოლიე, შემდეგ მოსვლაზე ვნახავ-მეთქი.

გამომშვიდობებისას ორმოცდაათ მარკას მჩუქნიდა მამა. მივხვდი, დილანდელი საქციელის გამოსწორებას ცდილობდა ამით. თუმცა არაფერიც არ იყო საბოდიშო, მერე რა, რომ ჩვენ სხვადასხვა აზრი გვქონდა პოლიტიკაზე, რა იყო აქ განსაკუთრებული.

„მე ჩემი ხელფასიც მყოფნის, უმჯობესია, დედას უყიდო რამე“, ფული უკან დავუბრუნე და ვაკოცე.

ორჯერ შევჩერდი მარკში (ბრანდერბურგში). დანგრეული სასიმინდისა და ქარხნის ფოტოზე აღბეჭდვა მინდოდა. ქარხნის აბრაზე ჯერ კიდევ შემორჩენოდა წარწერა: მფლობელის გვარი, სახელი, სამუშაო დრო და სახერხი მასალის პრეისკურანტი. გამვლელ-გამომვლელი ჩერდებოდა და გაოგნებული მიმჩერებოდა. ერთმა ჩემი მანქანის ნომერიც კი ჩაიწერა. ჩამეცინა, რაში გამოიყენებს ნეტა?!

ბერლინში მოსაღამოვებულზე დავბრუნდი. ჰენრი სახლში არ დამხვდა. დაღლილი ვიყავი და აბაზანაში შევედი. დიდხანს დავყავი წყლის ქვეშ. დაძინებამდე წიგნის წაკითხვა ვცადე, მაგრამ ისე ენერვიულობდი, გული ვერ დავუდე. ერთი პირობა, წაკითხული წიგნიც კი გადმოვიღე და აქაც რომ ვერაფერს გავხდი, ყავა მოვიდულე და პასიანსი გავშალე.

მოგეიანებით ჰენრის გადავურეკე, ყურმილს არავინ იღებდა. ვერ ვიხსენებდი, რა გამეკეთებინა არ ვიცოდი. ჯერ საჭმელი მოვამზადე, მერე ტელევიზორი ჩავრთე, რაღაც ფრანგული ფილმი გადიოდა, კინოკომედია ჩანდა. მაგრამ აქაც რომ ვერაფერი გავიგე გამოვრთე და დავწექი. ათასი ფიქრი მომაწვა თავში. მშობლებიც გამახსენდა, მაგრამ ყველაფერი, მოგონებებიც კი, გაურკვევლად აბურდულიყო ერთმანეთში. როგორც იქნა ჩამეძინა.

თავი მეოთხე

ჩემს გარშემო თითქმის ყველას ედგა აივანზე დეკორატიული მცენარეები. მაგრამ ქარისა თუ მოუვლელობისაგან შესაბრალისად დასჭკნობოდათ და ჩამომტვრეოდათ ფოთლები. ამის ცქერას რომ ვერ ავიტანდი, სწორედ ამიტომაც არ მქონდა ყვავილები. ისე კი ძალიან მიყვარდა.

ჩემთან პოლიკლინიკაში იშვიათად მოდიოდნენ მძიმე ავადმყოფები. მეტწილად ისეთები იყვნენ, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ რეცეპტების გამოწერა უნდოდათ.

სამშაბათს შეწუხებული მოვიდა ჩემთან კარლა და მითხრა: „ოვოზისტონის“ ხმარება შევწყვიტე, ძლიერ დამასუსტა. ისე კი მეშინია, ფეხმძიმედ არ დავრჩე, ჩემი ქმარი ხომ საოცრად აქტიურია“. ამ საუბარმა ცოტა არ იყოს უსიამოვნო შეგრძნება დამიტოვა.

მაშინვე ის ამბავი გამახსენდა, შარშან რენდგენოლოგიის განყოფილების ერთი ასისტენტი რომ მომიყვა. იმ დღეს ჩვენი პოლიკლინიკა ჯანმრთელობის დღეს აღნიშნავდა. დიდი ბანკეტი გექონდა. შუა ქეიფის დროს ამ ასისტენტს კარლასთვის და ჩვენი უფროსისათვის რომელიღაც კაბინეტში წაუსწრია. კარლაზე ყოველთვის ეჭვობდნენ, უფროსისაგან კი არავინ მოელოდა ამას. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ამ ამბავმა. ზოგს გაუხარდა კიდეც, თითქოს შვებაც კი იგრძნეს, ჩვენხაირი ყოფილაო: „კეთილი იყოს, ძმაო, შენი მობრძანება ჩვენთან, უმსგავსოებათა საყუდარში, ამ ბანალურ, გასაცოდავებულ, ინტიმურ წრეში“.

კარლა კი, ეს გარყვნილი, ჩაპუტკუნებული ქალი, იდგა ახლა და თავის ქმარზე წუწუნებდა ჩემთან. მთხოვდა, მეშოვა მისთვის ჩასახვის საწინააღმდეგო, უცხოური წარმოების სპირალი. მე კი ორც შემიხედავს, ისე ვუპასუხე: „უფროსს მიაკითხე, შესანიშნავი ნაცნობობა აქვს ყველასთან“. კარლა უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

მიუხედავად ყველაფრისა, საღამოს მაინც გადავურეკე ჩემს ერთ მეგობარს, რომელიც მთავრობის საავადმყოფოში მუშაობდა. მოკლედ მოვუყევი კარლაზე და ვთხოვე ერთი სპირალი ემოვა. შეპირებით არ შემპირებია, მაგრამ მითხრა, ყველანაირად შევეცდებიო.

პოლიკლინიკიდან რომ გავდიოდი, კარლას წავაწყდი და მაინც ვუთხარი ამ სატელეფონო საუბარზე. ყოველგვარი გაოცების გარეშე მადლობა გადამიხადა და მაინც გულთბილად გამომემშვიდობა. კარლამ მშვენიერად იცოდა, რა-

ტომაც გავაკეთე ეს. ცოტად თუ ბევრად მე მაინც მასზე ვიყავი დამოკიდებული და ის ჩემთან ვალში არ იყო. გამომშვიდობებისას ერთი პირობა მომეჩვენა, რომ კარლა ხელის ჩამორთმევასაც აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა. მან მხოლოდ თავი დამიკრა და წავიდა. იმის წარმოდგენამაც კი, რომ კარლას ხელი უნდა ჩამოერთმია ჩემთვის, საოცრად შემზარა. რადგან ხშირად შემთხვევითი ექსტაზი უაზრო და გაუთავებელ ჩვეულებაში გადაიზრდება. დროთა განმავლობაში კი ეს ფამილარობა ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ყველაფერს ვშველით.

მანქანის სარკიდან კიდევ ერთხელ გავხედე კარლას. შეიძლება ეს მეტისმეტი სიფრთხილის ბრალიცაა, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი დავრჩი, რომ ამგვარი დაახლოება ჩემთვის უცხო ადამიანთან არ შედგა. იქნებ ეს უფრო შიშია. დიახ, დაახლოების შიში. თუმცა არ ღირს ამის დადგენა. ხომ შეიძლება, ყოველივე ამას სხვა კუთხითაც მიეუდგეთ: უბრალოდ, არ მინდოდა შეეხებოდი კარლას და მორჩა. რა საჭიროა ახსნა-განმარტებები და გაანალიზება. მაგრამ ჩვენს ეპოქაში მეცნიერები ყველაფერს დიაგნოზს უსვამენ და მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად აქცევენ.

ვიდრე მანქანას დავძრავდი კიდევ ერთხელ შევავლე კარლას თვალი. მიდიოდა მსუბუქი მოქნილი ნაბიჯებით და თან თმებს მიარხევდა. სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა მისდამი.

მთელი კვირა არ მენახა ჰენრი. მის საფოსტო ყუთში უამრავი წერილი ეყარა. ამაზე ეხვდებოდი, რომ შინ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ვრეკავდი და გული მტკიოდა, რომ არავინ მეხმიანებოდა. სად იყო ჰენრი? რატომ არაფერი მითხრა, რომ სადმე აპირებდა წასვლას? ეფიქრობდი ამას და თავადვე მიკვირდა: ჩვენ ხომ ვალდებულები არ ვიყავით, ანგარიში ჩაგვებარებინა ერთიმეორისათვის. საკუთარ თავზე მომდიოდა ბრაზი და ყოველნაირად ვცდილობდი თავიდან ამომეგდო ეს აზრი. რა მალე დავთმე ჩემი პრინციპები, მართლაც და, რატომ უნდა ეთქვა ჩემთვის ჰენრის, სად ან რატომ მიდიოდა? ნუთუ ისევ ბანალური ურთიერთობისაკენ მივისწრაფოდი?! ეს ხომ იგივეა, რაც ოჯახური ურთიერთობით დაკისრებული ათასი ვალდებულება თუ წვრილმანი?! ნუთუ ერთი გამოცდილება არ მეყო?!

ოთხშაბათს, სამსახურის შემდეგ ქიმწმენდაში შევიარე, ბეწვის ქურქის ჩაბარება მინდოდა. მაგრამ აქაც ერთ უცნაურობას გადავეყარე. ერთი უცნაური ქალის მეტი არავინ იყო. ჩემს შეკითხვებზე მიკიბულ-მოკიბულად მპასუხობდა, ასე რომ, არსებითი აზრი ვერ გამოვიტანე. ერთი კი თქვა, უამრავი ბეწვის ქურქი მოაქვთ აქ შესანახადო, თან თავის მართლებას მოჰყვა, დიდი ხანი არაა, რაც აქ ვმუშაობ და კარგად ვერ გავრკვეულვარ აქაურ წესებშიო. „ერთი წლის წინ ქმარს გავეყარე. ორი წელი კი ვისწავლე ინსტიტუტში, მაგრამ ბავშვების გამო იძულებული გავხდი თავი დამენებებინა. ახლა კი აქ ვმუშაობ. ძალიან ძვირი გვიჯდება სიყვარული. ისე ძალიან მიყვარს ხელოვნება. კერამიკით ვარ გატაცებული. ფული რომ მქონდეს ძოდური ქსოვილებისა და ტყავის ნაწარმის მაღაზიასაც გავხსნიდი“.

რატომღაც ეს ქალი ნდობით განიმსჭვალა ჩემდამი და გული გადამიშალა. ვგრძნობდი, როგორ სჭირდებოდა ვინმესთან გულახდილი საუბარი. ყველაფერი გამანდო: „ქმარმა მიმატოვა და შეილებს მარტო ვზრდი. ბიჭი უკვე თხუთმეტი წლისაა. ფულს მპარავს, სვამს, სკოლას აცდენს, სახლშიც იშვიათად ათევს ღამეს“. ამდენი რომ ილაპარაკა, ბოლოს ჩემი პროფესიითაც დაინტერესდა. და

როცა გაიგო ექიმი ვიყავი, შეცბა და შეშინებულმა ჩაილაპარაკა: უკაცრავად, ქალბატონო ექიმო, ამდენი რომ გელაპარაკეთ".

უცბად თითქოს სადღაც გაუქრაო ნდობა, მაშინვე ქურქზე წამოიწყო ლაპარაკი. ეტყობა, არ ესიამოვნა, ვიღაც ექიმს რომ გადაუშალა გული, მართლაცდა, რით უნდა დავხმარებოდი. ქურქი დავტოვე და თავაზიანად გამოვემშვიდობე.

კიდევ კარგა ხანს ვიხეტიალე ქალაქში. ერთ პატარა მაღაზიაში თეთრი კოფთაც შევიძინე. ისე პატარა იყო მაღაზია, რომ გაზომვაც კი ვერსად მოვახერხე. ვორჭოფობდი, არ ვიცოდი, მეყიდა თუ არა, მაგრამ გამყიდველმა იმდენი მელაპარაკა, სწორედ თქვენზეა გამოჭრილი, ძალიან მოგიხდებათო, რომ სიძვირის მიუხედავად მაინც ვიყიდე. გამყიდველი ჩემზე თავით მაღალი იყო. გაუთავებლად ლაპარაკობდა და თან ხელით აწვალებდა ყელზე ჩამოკიდებულ მძივს. რაც შევედი, ენა არ გაუჩერებია, სულ ჩემს ფიგურაზე ლაპარაკობდა, თან დაჟინებით მაკვირდებოდა. ფული რომ გადავიხადე, შენობა მოვათვალიერე და ვკითხე, ტუალეტი სად გაქვთ-მეთქი. გაოცებულმა შემოძხედა და უარის ნიშნად თავი გადააქნია. „კი მაგრამ, ვინც აქ მუშაობთ, როგორ ითმენთ?" — დავინტერესდი მე. გამყიდველს ნერვიულად ჩაეცინა. ცოტა არ იყოს უადგილოდ მომეჩვენა სიცილი და ჩემთვის ჩავილაპარაკე. „გასაგებია"... გამყიდველი გაწითლდა, უსიტყვოდ გამომიწოდა ჩემი შეხვეული კოფთა და თავშეკავებულად მითხრა მადლობა. მერე კი ვინანე, ასე რომ დავაბნიე ჩემი უადგილო შეკითხვით, არადა, მართლაც არ მქონია სხვა ჩანაფიქრი. ისე გამაკვირვა შენობის სივიწროვემ, რომ მართლაც მაინტერესებდა. ჩემთვის ეს ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ზოგიერთისთვის პრობლემა ყოფილა. ახსნა-განმარტებებს აღარ მოვყოლილვარ, ვიცოდი, ამით კიდევ უფრო გავამძაფრებდი უხერხულობას. კარი გამოვიხურე და კიბეზე ჩავედი; უკან რომ მივიხედე, გამყიდველის თვალებს შევეჯახე. ვიტრინასთან იდგა გულხელდაკრებილი, მაგრამ შევხედე თუ არა, ანგარიშმიუცემლად ჩამოუშვა ხელები.

მთელი ქუჩა მანქანებისა და ტრამვაის ხმაურს მიჰქონდა. ერთ ნაკადს მეორე მოჰყვებოდა. ფარების შუქზე ბურუსით მოსილ უკიდეგანო ცას მთლად ნაცრისფერი გადაჰკერიოდა.

სადამოს კრამერებთან მივედი სტუმრად. შარლოტა კრამერი ჩემი სტუდენტობის მეგობარი იყო. ამჟამად უნივერსიტეტში მუშაობდა. მეუღლე ფარმაცევტულ საწარმოში, ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. მიხაილი შარლოტაზე ათი წლით უფროსი იყო და უკვე გამელოტებოდა თავი საოცრად გაწონასწორებული გულისხმიერი ცოლ-ქმარი იყვნენ. მიყვარდა იქ მისვლა, რატომღაც მიადვილდებოდა მათთან ურთიერთობა.

შენობის სიძველის გამო მთელ სადარბაზოში სიმჟავის სუნი იდგა. ცხვირსახოცაფარებულმა ძლივს ავიარე კიბე. ზარას ხმაზე მთელი ოჯახი გარეთ გამოეფინა. კრამერებს სამი ბიჭი ჰყავდათ. ბავშვებს შოკოლადი დავურიგე. მათაც ხელი ჩამკიდეს და მაშინვე ოთაეანთი ოთახისაკენ გამაქანეს, გინდა თუ არა ჩვენი ელექტროძრავიანი მანქანა უნდა გიჩვენოთო. მაგრამ წაიჩხუბნენ და შარლოტამ აბაზანაში გაყარა. შვებით ამოვისუნთქე. მიხაილის ხელიდან ყველაფერი გამოდიოდა. ათას რამეს იგონებდა. ამჟამად მოძრავი ჭერის კონსტრუქცია დაუდგამს დერეფანში. საკმაოდ შემზარავად გამოიყურებოდა, მაგრამ ზრდილობის საკითხი იყო და მაინც მივაწონე. კბაყოფილებისაგან სახე გაუბრწყინდა მიხაილს. ზუსტად არ მახსოვს რომელი ფილმის, მაგრამ ერთი ფრანგული კინოკომედიის მსახიობს მაგონებდა იგი.

ამ პატარა ექსკურსიის მერე სასტუმრო ოთახში გავედით და ყველის კვერები მივირთვით. ბავშვების ოინების მოყოლაში ერთძანეთს ეცილებოდა ცოლქმარი. თან საოცრად ხარობდნენ. მიხაილმა ლუქსემბურგში მოგზაურობისას გადაღებული ერთ-ერთი დიაფილმიც გვიჩვენა. მოწყენილობის გამო ბევრი დავლიე, შარლოტაც კარგად გამოთვრა და თავის ქმარს ამასხრებდა, ხომ ხედავ, გამელოტდი, უკვე მოხუცდიო. როგორც ჩანს, მიხაილი შეჩვეული იყო ცოლისგან ამგვარ ხუმრობებს და უწყინრად იცინოდა.

შარლოტამ სამზარეულოში გამიყვანა, ვგრძნობდი, რაღაც აწუხებდა, აკი გამიმხილა კიდეც: „სასიყვარულო თავგადასავალი მაქვს ჩემს ერთ სტუდენტთან, დაუსწრებელზე სწავლობს, მაგრამ ყოველ კვირას ჩამოდის და დაქირავებულ ბინაში ვხვდებით ერთძანეთს“. ის ბიჭი ცოლშვილიანი ყოფილა. შარლოტამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა თუ არა მიხაილისათვის.

„გაყრას თუ აპირებ?“ — ვკითხე მე. „არა, — სასწრაფოდ იუარა მან და მაშინვე დასძინა: თავადაც ვერ გავრკვეულვარ, რა ხდება. ამას ხომ სიყვარულიც არ ჰქვია. ეს უფრო საწოლთან დაკავშირებული ურთიერთობაა. არადა, ისე კეთილია მიხაილი ჩემდამი, რომ თავი მეზიზღება. საოცრად მიმძიმს ეს ღალატი. როგორ მოვიქცე აღარ ვიცი, ვერც იმ სტუდენტთან ვწყვეტ კავშირს. შეგიძლია გამიგო?“ მე თავი დავუქნიე. შარლოტა ყავას ადუღებდა, მაგრამ ისე იყო ლაპარაკში გართული, რომ გადმოუვიდა და ხელი დაიწვა. ხმაურზე მიხაილი შემოვარდა სამზარეულოში და დამწვარ კანზე პანთპეონოლი მოასხურა.

ყავაც დავლიეთ და გამოვემშვიდობე. მიხაილმა გამომაცილა. ქუჩაში ხელი გადამხვია და კოცნას შეეცადა, მაგრამ მე თავაზიანად მოვიშორე მისი ხელი და ეუთხარი: „ასეთი რამ ჩვენ არ შეგვფერის. სჯობია ახვიდე, მარტო დაველოდები ტაქსს“. მიხაილი უხერხულობაში ჩავარდა, თუმცა ჩემი თხოვნის მიუხედავად მაინც დარჩა.

როგორც იქნა, ტაქსიც მოვიდა. გამომშვიდობებისას კიდევ შეეცადა ეკოცნა, მაგრამ უცბად სათვალე დაუკარდა. სათვალის გარეშე ვერაფერს ხედავდა. მოვუძებნე და მივაწოდე. ტაქსში ჩავჯექი და უკან რომ მოვიხედე, მიხაილი ისევ ქუჩის ბოლოს იდგა და ხელს მიქნევდა.

თავი მეხუთე

შაბათ დილით ვიღაცამ დარეკა კარზე. გავაღე და ჰენრი შემრჩა ხელში. იდგა ზღურბლზე, ქუდი უკან შეებრუნებინა და უხმოდ მიღიმოდა. „სად იყავი?“ პასუხი არც გაუცია, ხელი მომხვია და პირდაპირ საწოლისაკენ წამიყვანა. ტანსაცმელი გამხადა და ისე შემიტყუა ალერსში, რომ წამში ყველაფერი გადაგვავიწყდა ორთავეს. შუადღე იქნებოდა, წამოვდექი, რომ სადილი მომემზადებინა. ვიდრე მე ვსაქმიანობდი, ჰენრი თავის ამბებს მიყვებოდა. უნგრეთში ყოფილა ეს ერთი კვირა და ლაპარაკზე ეტყობოდა, მშვენიერი დრო გაუტარებია. ქალაქიც ძალიან მოსწონებია. საქმეს რომ მოვრჩი, ისევ დავწექი. ვერ მოვისვენე და მაინც ვკითხე: „თუ მიდიოდი, რატომ არ გამაფრთხილე?“ ამაზე გაბრაზდა ჰენრი, მაგრამ ეს უკვე სულერთი იყო ჩემთვის. „ვიფიქრე, ჩვენი ურთიერთობისათვის ამას არ ჰქონდა აზრი“, — ჩაილაპარაკა მან და სიგარეტს მოუკიდა. „ვნერვიულობდი“. „მომავალში ნულარ შეიწუხებ თავს ნერვიულობით. მგონი, ცოლქმარი არა ვართ“, — მომიგო უკმეხად და გვერდი იცვალა.

ისევ ავდექი და სამზარეულოში გავედი. ჭურჭელი დავრეცხე. უკან რომ

შემოვბრუნდი, ჰენრი ისევ ლოგინში იწვა და გაზეთს კითხულობდა. საწოლზე ჩამოვჯექი და ჩუმად ეუთხარი: „იცი, მომწონხარ“. „ფრთხილად იყავი, ამისთვის მე ნამდვილად ვერ გამოვდგები“, — გამაფრთხილა ჰენრიმ და ისევ საწოლში ჩამითრია.

ნაშუადღევს ქალაქგარეთ გავედით, თან ფოტოაპარატი და ობიექტივები გავიყოლიე. ქალაქს რომ გავცდით, რომელიღაც რესტორანთან შევჩერდით. ერბოკვერცხი და ყველი შევუკვეთეთ. სადილობის ჟამი უკვე გადასულიყო და ჩვენი შეკვეთა ცოტა არ იყოს უხალისოდ მიიღეს. ჩვენს გარდა კიდევ იჯდა სამი კაცი. შესვლის წუთიდანვე შემოგვაცქერდნენ და უხმოდ გვაკვირდებოდნენ. მალე იმ სამ კაცს სასტუმროს მეპატრონეც შეუერთდა.

„ერთი შეხედე, ეს კაცები როგორ მოგვჩერებიან. არცერთი ჩვენი მოძრაობა არ გამოპარვიათ“. „რა გასაკვირია, — მაშინვე აიტაცა ჰენრიმ ჩემი ნათქვამი, — ჩვენ ხომ გვეძებენ, ყველგან მხოლოდ ჩვენი სურათებია გამოკრული... რესტორნის მეპატრონეს მე მოვუელი, თუ რაშეს შევამჩნევ, ადგილზევე მივახვრეტ. იმ სამ მოხუცს შენ მოუარე, ვიდრე მე მანქანასთან მივირბენ და დავქოქავ“. ამ სიტყვებზე ჰენრიმ ეშმაკურად გამომხედა და სახეზე ქუდი ჩამოიფხატა. „ვაითუ სასტუმროს მეპატრონემ მოასწრო და წელან სამზარეულოდანვე დარეკა პოლიციაში? იქნებ უკვე მოდიან კიდეც“, — მეც ავუბი ჰენრის მხარი.

„სავსებით შესაძლებელია. მაშინ კი მართლა ძვირად დაუჯდებათ“, ჩვენ შეთქმულებივით ვადავხედეთ ერთმანეთს.

ამ საუბარში ვიყავით, რომ სამზარეულოდან ვიღაც ქალი გამოვიდა. ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა და გვკითხა: „როგორ მოგეწონათ ჩვენი სადილი? ისე, ცოტა ადრე რომ მოსულიყავით, უკეთეს მენიუს შემოგთავაზებდით. საიდან ხართ? — დაინტერესდა იგი და როცა გაიგო, ბერლინში ვცხოვრობდით, შემოგვჩივლა: „უკვე კარგა ხანია, ჩემი ქალიშვილი იქითაა გათხოვილი, ვიღაც მცხოებელს გაჰყვა ცოლად და მას მერე აქეთ აღარც კი მოუხედავს“.

წამოსვლა რომ დავაპირეთ, მან სასტუმროს მეპატრონეს დაუძახა. ამ უკანასკნელმა კი, წარბიც არ გაუხსნია, ისე უხეშად გვიანგარიშა. გამომშვიდობებისას ქალმა ბედნიერი მგზავრობა გვისურვა.

გამოსვლისას მოხუცებს გავხედე. კვლავ გაუნძრეველად ისხდნენ და ჩვენ მოგვშტერებოდნენ. მე თავი დავუკარი. პასუხად მათაც თავაზიანად გამიღიმეს და თავი დამიკრეს.

იქვე შორიახლოს რესტორანიან მოტოციკლისტთა ჯგუფი იდგა. ზოგი გაჩერებული იყო, ზოგიც იქვე მოედანს უვლიდა გარს. ჩვენს მანქანას ორი, დაახლოებით ასე თხუთმეტი წლის გოგო მოუახლოვდა და გვკითხა, ხომ ვერ წაგვიყვანთო? ჩემს შეკითხვაზე, საით მიდიხართ-მეთქი, ასეთი პასუხი გამცეს, გააჩნია თქვენ საით წახვალთო და ჩაიცინეს. რა უპასუხა ჰენრიმ, ვერ გავიგე, მაგრამ გოგონებმა ენა გამოუყვეს და ბინძური სიტყვაც მიაძახეს.

მანქანაში რომ ჩავსხედით, ბიჭებმაც მოგვაძახეს რაღაც და სიცილი დაგვაყარეს. ის იყო მანქანა დავძარით, რომ ქვიშის კენჭების წვიმა დაგვიშინეს. მაშინვე დაამუხრუჭა ჰენრიმ და გადმოსვლა დააპირა, მაგრამ შეეეხვეწე, ყურადღებას ნუ მიაქცევ-მეთქი და დამიჯერა.

„რა უთხარი ამისთანა ამ გოგონებს?“ „არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, უარი ვუთხარი წაყვანაზე“. უკან მიეხედე, მოტოციკლისტთა ჯგუფი აღარ ჩანდა. „მოკლედ, უსაქმურობისაგან რა მოიგონონ ამ საცოდავებმა, აღარ

იციან". „მართალი ხარ, — დამემოწმა ჰენრი, — მთელ თავიანთ სიცოცხლეს ასე უაზროდ ატარებენ".

მუხლებზე სამოგზაურო რუკა გადავშალე. მინდოდა რაიმე კარგი ადგილი შემერჩია. არჩეული მდინარის პირას გაშენებულ ერთ პატარა დასახლებაზე შეკაჩერე. რუკიდან მივხვდი, რომ აქ ერთ დროს წისქვილი უნდა ყოფილიყო და საინტერესო გადასალებად ჩავთვალე.

როგორც ყოველთვის, ახლაც მიაქროლებდა მანქანას ჰენრი, ასფალტერდამის არხებზე მესაუბრებოდა. ბავშვობაში ენახა და ისე აღფრთოვანებულიყო, რომ დღესაც ესიზმრებოდა.

ჩვენს წინ, გვერდითა გზაზე ტრაქტორი მოდიოდა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გააზრებაც ვერ მოვასწარი; მე რუკას ვაკვირდებოდი, ვიგრძენი, ჰენრიმ სიჩქარეს მოუმატა და საპირისპირო მხარეს გადავიდა. უცბად მკვეთრად დაამუხრუჭა. მაღლა რომ ავიხედე, ჩვენს წინ ტრაქტორი იდგა. ჰენრი ორივე ხელით საჭეს ჩაეჭიდა და სწრაფად გადასწია მანქანა გვერდზე. მე წინ გადავქანდი და საქარე მინას მივეხეთქე. შიშისაგან სარტყელს ჩავეჭიდე. ტრაქტორის უკანა ბორბალი ისე დაეძგერა ჩვენს მანქანას, რომ მთლად შეაჯანჯღარა. რამოდენიმე წამის განმავლობაში ისე ჯანჯღარებდა მანქანა, რომ ერთიორჯერ ჭერსაც მივარტყი თავი. ჰენრიმ მანქანა სიჩქარიდან ამოაგდო და როგორც იქნა, ძრავი გამორთო. მაშინვე უკან მივიხედე: ტრაქტორი გზიდან გადავარდნილიყო, მძღოლი უძრავად დამხობოდა საჭეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მკვდარი იყო. შიშისაგან ენა ჩამოვარდა. ჰენრიმ ხელი მომკიდა და მკითხა: „რა მოგივიდა?" ხმა ვერ ამოვიღე, ისღა მოვახერხე, რომ ტრაქტორისაკენ მივახედე. მაგრამ სწორედ ამ დროს ტრაქტორის მძღოლიც შეინძრა და კაბინიდან გადმოძვრა.

„გადავრჩით", — ჩემს დასამშვიდებლად ძლივს გაიღიმა ჰენრიმ. ჩვენი მანქანა გზისა და მინდვრის გამყოფ ვიწრო, ღრმა თხრილს გადააფრინდა და ახლაც იქვე თხრილთან ახლოს ვიდექით. ტრაქტორის მძღოლი ჩვენს მანქანასთან მოვიდა, ჰენრის კარს ეცა და ულრიალა: „მთლად გაგიჟდი თუ დაბრმავდი?" ჰენრი მანქანიდან გამოვიდა. „ძალიან დაზიანდა თქვენი ტრაქტორი?" მაგრამ გამწარებულ გლეხს არაფერი ესმოდა, ისევ თავისას გაჰყვიროდა: „მე ხომ უკვე შემხვედრ გზაზე ვიყავი გადმოსული. რამდენი განიშნე, მაგრამ შენ მაინც გადამისწარი..." ჰენრი კი ისევ იმას იმეორებდა. გაოგნებულმა მძღოლმა თავი გადააქნია და სვიტრში წასწვდა ჰენრის: „შენ რა, მართლა ვერ ხვდები, რომ კინაღამ გადაგთელე ჩემი ტრაქტორით? მთლად გადაგსრისავდით ალბათ, როგორც..." და მღელვარებისაგან აღარ დაასრულა სათქმელი.

„ბეწვზე გადავრჩით, — ჩაიბურდღუნა ჰენრიმ. ჰენრის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, იღიმებოდა. — ჰო, ბეწვზე, — გაიმეორა ისევ, — მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გადავრჩით".

საცოდავი მძღოლი დაიბნა, ხელი შეუშვა ჰენრის, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და უაზროდ შეაჩერდა, მაგრამ მოულოდნელად გამწარდა და მოთმინებიდან გამოსულმა სახეში გაარტყა. ჰენრიმ თავი ველარ შეიმაგრა, წაბორძიკდა, მანქანის რკინას ჩამოარტყა თავი და დავარდა. აღარც განძრეულა. შემეშინდა, სასწრაფოდ გადმოვხტი მანქანიდან და ჰენრის მივვარდი. ის უგონოდ ეგდო.

„ჩქარა წყალი!" — მივაძახე მძღოლს. ეს უკანასკნელი კი მანქანის წინ იდგა გაფითრებული და აღარ იცოდა რა ელონა. წყალი-მეთქი, გავუმეორე მე.

ვიდრე მან თავისი ტრაქტორიდან ლიმონათის ბოთლი მოარბენინა, ჰენრიმ გაახილა თვალები და ჩაილაპარაკა, ყველაფერი წესრიგშია. ჩემი რჩევის მიუხედავად ცოტა ხნით წოლილიყო, მაინც ადგა, თან საფეთქლებზე ისვამდა ხელს. დაბნეულობისაგან გაშეშებული გლეხი რაღაცას ბურდღუნებდა, გაბრაზებული აღარ ჩანდა. „შეგიძლიათ წახვიდეთ. ყველაფერი წესრიგშია", — დავამშვიდე მე, მაგრამ გაურკვეველობაში მყოფს ვერ გადავწყვიტა, რა ექნა, ასე ორმოცი წლის კაცი იქნებოდა, მაგრამ გაუპარსავი იყო და უფრო ასაკოვანს ჰგავდა.

„ცოტაც და, რაღაც უბედურება მოხდებოდა ალბათ", — ვერ ისვენებდა გლეხი. ჰენრი მანქანასთან ჩაცუცქულიყო და რაღაცას ამოწმებდა. მივხვდი, გლეხი წასვლას არ აპირებდა, ისევ ორჭოფობდა და შევეცადე დამემშვიდებინა: „ნუ გეშინიათ, მე ექიმი ვარ". „დალახვრის ეშმაკმა", — ჩაიბუტბუტა მან, შებრუნდა და წავიდა. ვიდრე ტრაქტორს დასძრავდა, კიდევ ერთხელ გადმოგვხედა და თავი გადააქნია.

საჭეს რომ მე მივუჯექი, ჰენრიმ გაკვირვებით გადმომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვიდრე გზაზე გასასვლელს ვიპოვიდი, კარტოფილის მინდორს მივუყვებოდი. საბურავები ფხვიერ მიწაში ეფლობოდა.

როგორც იქნა, გავედით გზაზე. მაშინღა ვკითხე ჰენრის: "ნუთუ ვერ დაინახე, როგორ გადმოუხვია ტრაქტორმა მარჯვნივ?"

„მეგონა გადავასწრებდი, მაგრამ ერთი წამით დამაგვიანდა. ეს სწორედ ის წამი იყო, როცა შენზე გავიფიქრე ,სიჩქარეს ვერ აიტანს-მეთქი". ისეთი პასუხი გამცა, მერჩივნა არაფერი მეკითხა, ძალიან ვინანე. ყოველნაირად ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა, რომ ყურადღება არ გამფანტვოდა საჭესთან.

წისქვილისაგან ჩამონგრეული კედლები და დამპალი კოჭებიღა შემორჩენილიყო. იქაურმა მაცხოვრებლებმა თუ გაჩიდეს ყველაფერი. ირგვლივ სარეველა მოდებულიყო. ფრთხილად _მივაბიჯებდით.

ფოტოაპარატზე აღვბეჭდე დაცარიელებული, მთლად გაძარცვული სხვენი, სადაც პატარა არყის ხე ამოსულიყო. ფოთლები სულ გახუნებოდა და გასცრეცოდა. გადავწყვიტე მაღლა ავსულიყავი. ჩამონგრეულ კედლებზე ავცოცდი. შიგ სხვენში ათასგვარი ნაგავი ეყარა: ვინმეს თუ გაფუჭებული ან დაჟანგებული ნივთი ჰქონდა, აქ მოეტანა. ბრმად, ხელის ცეცებით მივაღწიე ხემდე. ტოტები გარეთ,- მინდვრისაკენ გადმოხრილიყო, თითქოს ტყეს მისტიროდნენო. რადგან ობიექტივში ხის შორიახლოს მიგდებული ბორბლებდაცლილი საბავშვო ეტლიც ხვდებოდა, შევეცადე ცოტა წინ წამეწია. მაგრამ უეცრად ფეხქვეშ რაღაც დამეფშხვნა და ძირს ჩაიყარა. იფლმა დამასხა. კედელს წავეპოტინე და უკან დავიხიე. ბრაზი მომივიდა საკუთარ თავზე, ასე გაუფრთხილებლად რომ ვიქცეოდი. როგორც იქნა, მივაღწიე იქამდე, საიდანაც ავედი. ჰენრი დაბლა მელოდებოდა. ვერ შემამჩნია, იდგა და ჩექმის წვერით ჩიჩქნიდა მიწას. გაკრიალებულ შავ ჩექმაში, ტანზე მჭიდროდ მომდგარ ჟილეტში და ქუდში, ცოტა არ იყოს უცხაურად გამოიყურებოდა. იდგა მოწყენილი მდინარის პირას ჩაბნელებულ, მიტოვებულ მდელოზე, ნარშავისა და ჩამომტვრეული ხის ტოტებს შორის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სადღაც შორეულ კუნძულზე მოხვედრილიყო, სადაც მიტოვებულად უცხოდ გრძნობდა თავს და ერთი სული ჰქონდა, გაშორებოდა იქაურობას. ჩემს დაძახებაზე მაღლა ამოიხედა ჰენრიმ და მკითხა: „ჩამოდიხარ?" „მოიწყინე?" „არც ისე", — თქვა მან და ჩასვლაში მომეხმარა. ვერაფრით ვერ გაეგო, რა იყო იქ, მაღლა გადასაღები. შევეცადე ამეხსნა, მაგრამ ისეთი გაოგნებული მომჩერებოდა, გამეცინა და მოვეხვიე.

მერე კი ტყეში გავედით სასეირნოდ. ჰენრი ტოტებსა და ბუჩქებში იხლართებოდა, ვგრძნობდი, არ სიამოვნებდა და უაზრობად მიაჩნდა ჩემი ეს ახირება. მე კი მომწონდა ხეებს შორის ხეტიალი, ტყის ხმაური, ფოთლების შრიალი, მიწის სურნელი, მწვანედ მოხასხასე ხავსი. აქა-იქ ჩამომტვრეული ტოტების შორის გახლართული აბლაბუდებიც კი თავისებურ სილამაზეს აძლევდა ტყეს. ჰენრის გაბეზრებული სახე ჰქონდა. ვგრძნობდი, არაფერს ნიშნავდა [illegible] ეს ყველაფერი. უჭირდა კიდეც სიარული. ის მკვიდრი ქალაქელი — [illegible] ვცდილობდი, როგორმე მისთვისაც გადამედო ჩემი განცდები. ხელით ვეხებოდი, ვეალერსებოდი ყველაფერს, რაც მომწონდა ირგვლივ, ჰენრისაც ვუჩვენებდი, მაგრამ ეერაფერი რომ ვერ გავაწყე, შევეცადე აინუნშიაც არ ჩამეგდო მისი მოწყენილობა. ერთგან ჰენრიმ მელიის სოროს წამოჰკრა ფეხი და შეიკურთხა.

„რას აპირებ კეირას?“ — ვკითხე მე. მაგრამ მას ჩემთვის არ ეცალა, ნატეენ ფეხს იზელდა ხელით. მერე ფრთხილად დააბიჯა მიწაზე და კოჭლობით გამოიარა. და მაშინღა მიპასუხა: „ხვალ ცოლთან უნდა წავიდე“.

სუნთქვა შემეკრა. გონება დამებინდა. ველარაფერს ვხედავდი. ერთადერთი სიტყვაღა მიტრიალებდა თავში „ცოლი“. არ მინდოდა რაიმე შეემჩნია ჰენრის, შევეცადე მეთქვა რაღაც, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ისე ვიყავი გამწარებული, შემეძლო ხმამაღლა მეკივლა.

„ნუ სულელობ, შენ ხომ არც ისეთი გულუბრყვილო ხარ?“ — ვამშვიდებდი საკუთარ თავს, მაგრამ მეტისმეტად დამცირებულად, მოტყუებულად ვგრძნობდი თავს. მას ხომ არასოდეს არ უთქვამს, ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, რომ ცოლი ჰყავს. და ახლა ასე სახხვათაშორისოდ მეუბნება, ცოლთან უნდა წავიდეო. რატომ, რატომ მითხრა მხოლოდ ახლა?.. ძალიან მტკიოდა გული. სადღაც გავიქეცი, სად თავადაც არ ვიცოდი, მაგრამ იქ გაჩერება აღარ შემეძლო. მარტოდ მინდოდა დაერჩენილიყავი, მიწაზე დავმხობილიყავი და ხმამაღლა მეღრიალა.

არასოდეს მიფიქრია, ჩემი გამხდარიყო ჰენრი, კარგა ხანია შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ აღარ გავთხოვილიყავი. მყარად მქონდა გადაწყვეტილი მამაკაცთან ურთიერთობაში საკმაო დისტანცია დამეჭირა, რომ არც ერთს არ გვეგრძნო ერთიმეორისადმი ვალდებულება და არ დაგვეკარგა ჩვენ-ჩვენი დამოუკიდებლობა. აღარ მინდოდა მოტყუებულის როლში ყოფნა, ამისთვის ერთი გამოცდილებაც კმარიდა. მაგრამ ახლა რა მემართებოდა. ნუთუ მზად ვიყავი დამეთმო ჩემი პრინციპები. ეტყობა, კვლავ ინფანტილიზმი, ლამაზი ოცნებები მიმორჩილებდა. მინდოდა კვლავ ეზრუნათ ჩემზე, მომფერებოდნენ და შემეგრძნო ამ სითბოს საამო სურნელი, როგორც ჩანს, საკუთარი სისუსტისაგან ვიცავდი თავს.

რა საშინელი შეგრძნება დაბადა ამ ერთმა სიტყვამ ჩემში. ისევ მომატყუეს. სიმწრისაგან გული მეკუმშებოდა. კი მაგრამ, რატომ, რატომ? ნუთუ მე მხოლოდ საყვარელი ვიყავი ცოლიანი კაცისა, და ეს იყო მხოლოდ? ეს ხომ ჩვეულებრივი სცენარია - ჩვენი ბანალური ცხოვრების, თანაც არაერთხელ გათამაშებული სცენარი: მოსაწყენი, მოსაბეზრებელი ოჯახური ვალდებულებებისაგან გაქცევა საყვარელთან, ესაა სტანდარტული შესაძლებლობა დროებით მაინც გადააყოლონ გული და ამასთან დაიცვან თავიანთი ოჯახური ინტერესები. სირცხვილისაგან სახე მეწვოდა. სად გავქცეულიყავი, სად დავმალულიყავი, აღარ ვიცოდი. ტოტები სახეზე მეხეთქებოდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. შორიახლოს ჰენრის ნაბიჯების ხმა შემოესმა. უცბად ჩემს ახლოს, ფეხებთან ანკარა გას-

რიალდა და ბუჩქებში შეძვრა. შიშისაგან რაღაცას წამოვკარი ფეხი. კოჭლობით, მაგრამ მაინც ვავრბოდი. ეს დაწყევლილი მაღალი ქუსლებიც მიშლიდა ხელს. მოულოდნელად ჰენრი წამწვდა ხელში, თავისკენ მიმაბრუნა და ჩამძახა: „რა მოგდის, სად გარბიხარ?“ — სულს ძლივს ითქვამდა. სახეზე მომეფერა, მაგრამ მე უკან გადავხტი. მარცხენა თვალი მთლად ჩალურჯებოდა ჰენრის. ასე მეგონა, გროტესკული ნიღაბი დამყვიროდა თავს. ჰაერი არ ეყოფნიდა, ქოშინებდა და უაზროდ მომჩერებოდა.

„რა გაცინებს? — შემანჯღრია მან — არა, მაინც რაზე იცინი?“ — გამიმეორა ჰენრიმ და ისე ძლიერად ჩამებღაუჭა ხელში, რომ მეტკინა.

„შენს თვალზე“, — როგორც იქნა, ამოვღერღე მე და მაშინღა მივხვდი, რომ ისტერიულად ვიცინოდი და ველარ ვჩერდებოდი. სადაცაა სიცილისაგან ხმა წამიერა, — გავიფიქრე გულში, მაგრამ სიცილს მაინც ვერ ვწყვეტდი. მინდოდა ისევ გავქცეულიყავი, მაგრამ ჰენრიმ ისე მომქაჩა, ვიფიქრე სადაცაა, სახეში შემომკრავს-მეთქი.

„რატომ იცინი?“ — ყურებთან ისევ ჰენრის ხმა მესმოდა.

როგორც იქნა, თავი გავითავისუფლე მისგან და ის იყო ხელიდან უნდა დავსხლტომოდი, რომ ჰენრი მხარში ჩამებღაუჭა და ისეთი ნახტომი გააკეთა, რომ ორივე მიწაზე აღმოვჩნდით. ზურგში რაღაც მაგარი მომხვდა, ხის ფესვი იქნებოდა. ჰენრი ტანსაცმელზე მექაჩებოდა. მე ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ არ მეშვებოდა. კაბა მთლად წამოიხადა, სახე ისე ახლოს ჰქონდა ჩემს თავთან, რომ ყურებში მისი მძიმე სუნთქვა ჩამესმოდა. თან ისევ იმეორებდა, რა გაცინებსო. მერე კი რა მოხდა აღარაფერი მახსოვს... მხოლოდ მონანავე ხის ფოთლებსღა ვხედავდი. ცრემლები კისერში ჩამდიოდა. დროდადრო საიდანღაც მზის შუქიც აღწევდა და ჩამობურულ ტყეს ნათელს ჰფენდა. და ზოგჯერ ჩრდილი და ზოგჯერ ნათელი, ხან სიახლოვე, ხან კი სიშორე, მიწის სინესტე, თუ ფესვის სიმაგრე, ზურგში რომ ვგრძნობდი, ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ. არა, არა! — ვიმეორებდი ჩემთვის, მაგრამ მალე, ჩემდა უნებურად თავსდატეხილმა ვნებამ სადღაც გააქრო ჩემში ჩაბუდებული ბრაზი თუ სასოწარკვეთა და მის ნაცვლად ჰენრის გახშირებული სუნთქვალა დამრჩა. და ბოლოს მაინც სრული სიმარტოვის გრძნობა დამეუფლა.

ნახევრად შიშველნი უძრავად ვიწექით ერთიმეორის გვერდით. ჩემდა გასაოცრად უცბად ერთი კითხვა ამეკვიატა, ნეტავ სად დავტოვეთ მანქანა? არადა, ეს ჩემთვის სულერთი იყო. ტყეში საოცარი სიმშვიდე გამეფებულიყო, მზე ჯერ კიდევ აღწევდა ტოტებს შორის... თვალს ვერ ვახელდი, არ მინდოდა ჰენრის დანახვა. არც მისი შეკითხვების თავი მქონდა. რა მემართებოდა, თავადაც ვერ გამეგო.

მანქანაში რომ ჩავსხედით, ძალიან მციოდა, ვცახცახებდი. ხმას ვერ ვიღებდი. სიჩუმის დასარღვევად ჰენრიმ რადიო ჩართო.

ათისთვის უკვე ბერლინში ვიყავით. ჰენრიმ კარამდე მიმაცილა. ორივე გავურბოდით რაიმეს თქმას. გამომშვიდობებისას შუბლზე მაკოცა და ძილი ნებისა მისურვა. მეც გავულიმე და შინ შევედი.

გვიანი იყო უკვე. მაგიდას მივუჯექი და გადავწყვიტე დედისთვის წერილი მიმეწერა. მაგრამ ბოლოს მაინც დავხიე. მერე კი ძილის წამალი დავლიე და ჩავწექი. კარგა ხანს ვიწრიალე, ძილი არ მეკარებოდა. საკუთარ თავზე მომდიოდა ბრაზი. ავდექი და ტელევიზორი ჩავრთე. წამით მივაშტერდი უგამოსახულებო, ხმაურიან ცარიელ სივრცეს და ისევ გამოვრთე. წიგნის წაკითხვაც ვცა-

დე, მაგრამ ამაოდ... მერე სამზარეულოში გავედი, ერთი ბოთლი არაყი ალმოვაჩინე, ჩაის ჭიქა გავივსე და საწოლთან დავიდგი. არყის არც სუნი, არც გემო არ მსიამოვნებდა, მაგრამ მაინც ესვამდი. თან ჭერს მივშტერებოდი. უკვე ორი სრულდებოდა. ლიფტის ხმა შემომესმა. „კმარა, ცოტა ხომ იტირე, ახლა დაიძინე", — ვუთხარი საკუთარ თავს. „არ გინდა დიდი გოგო გაიზარდო? შენ ჯერ კიდევ წინა გაქვს ყველაფერი". „არა, დედა, არ მინდა. მე არ მინდა დიდი გაიზარდო".

თავი მეექვსე

ივნისის ბოლოს კუოვნილი შეებულება ავიღე და ზღვაზე წავედი. ცოტა ხნით განმარტოება მინდოდა, რომ მოვწყვეტოდი ამ ულიმლამო რეალობას და ყოველგვარი ვალდებულებებისაგან დამესვენა. მე და ჰენრი შევთანხმდით, ცალცალკე გაგვეტარებინა ეს შეებულება. შეიძლება ეს გადაწყვეტილება ჩემმა გაუცნობიერებელმა შიშმა მიმაღებინა. ეს იყო შიში დაახლოებისა თუ შეჩვევისა იმ ადამიანთან, რომელსაც ყოველი დღე და ღამე, მთელი ოცდათხი საათის განმავლობაში უყურებ და იძულებული ხდები ყველაფერში შეუწყო ხასიათი. ჰენრისაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო. ჩემი აზრი რომ გაიგო, თითქოს შეებითაც კი ამოისუნთქა. იმ დღეს გვიან წავიდა ჰენრი სამსახურში და მე გამაცილა. ერთ ახლოს მდებარე კაფეში შევედით. ჰენრის ჩემი ხელი ეჭირა და მდუმარედ მიყურებდა. ჩვენს წინ მაგიდასთან ორი ქალი იჯდა. დაახლოებით ასე ორმოცი წლის იქნებოდნენ. ერთს ქერად ჰქონდა შეღებილი თმა, მეორეს — წაბლისფრად.

ქერას მარჯვენა ხელის გულზე ბეჭედი და ძეწკვი ედო და დაბნეულობისაგან უაზროდ აწვალებდა. ცრემლი ღველფებად ჩამოსდიოდა და ფერუმარილწასმულ სახეზე ლაქებად აჩნდებოდა. წაბლისფერთმიანი ცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა. ერთი პირობა, ქერა გაჩუმდა კიდეც და უმწეოდ მიაჩერდა თავის მეგობარს, რომელიც ვიღაც მამაკაცს ლანძღავდა: „მოკვლაც კი არ კმარა მაგისთვის, უნდა ჩაქოლოს კაცმა. მაინც რა გითხრა ამისთანა? — ჩაეძია იგი და რადგან ქერას მის შეკითხვაზე რეაქციაც არ ჰქონია, თვითონვე განაგრძო. — გაგონილი მაქვს, ვისაც მაგისთანა ყურის ბიბილოები აქვს, არაადამიანები არიანო". ამასთან ჭიქა აიღო და მოსვა. ლაპარაკისას სახეზე ოფლს ასხამდა.

გამეცინა, ყურის ბიბილოზე მეც მქონდა გაკეთებული. ქერამ თავი გადააქნია ისე, რომ თვალიც კი არ მოუწყვეტავს ბეჭდისა და ძეწკვისათვის, ჩაილაპარაკი: „არა, ის ცუდი არაა, უბრალოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა". მეორეს სახეზე შეეტყო არ ესიამოვნა ნათქვამი, მაგრამ არ შეკამათებია მეგობარს. კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ, ვიდრე ისევ წაბლისფერთმიანმა არ დაარღვია სიჩუმე: „მაინც რა გითხრა?" მაგრამ პასუხი არც ამჯერად მიუღია.

ჰენრიმ მსუბუქად გამკრა მხარი, ხელი მუცელზე დამადო და მითხრა: „როგორ მინდა ახლა შენთან". ხელი ავაღებინე და წამოვდექი: „უკვე წასვლის დროა. ვიდრე გრილა, მინდა ჩავასწრო".

გამოსვლისას კიდევ ერთხელ გავხედე იმ ორ ქალს. ახლაღა შევამჩნიე, ქერას თმაზე დიდი წითელი პეპელა ეკეთა და ცოტა არ იყოს სასაცილოდ გამოიყურებოდა. ეს სულ არ შეეფერებოდა მის დამჭკნარ და ნაღვლიან სახეს.

გამომშვიდობებისას მაკოცა ჰენრიმ. მანქანის სარკმლიდან რომ გავხედე, ისევ იქ იდგა ჯიბეებში ხელჩაწყობილი და დიდხანს მადევნებდა თვალს.

ყოველ წელს ერთსა და იმავე სოფელში, ერთი გლეხის ოჯახში ვატარებდი შვებულებას. იქაურ მაცხოვრებლებს უფლება არ ჰქონდათ გაექირავებინათ ბინა. ამიტომ მე ოჯახის ნათესავად ვითვლებოდი.

ერთი პატარა ოთახი მეკავა, სადაც საწოლისა და კარადის მეტი არაფერი იდგა ან რაში მჭირდებოდა სხვა რამ? აქ ყოველთვის ადრე ვიძინებდი.

ზოგჯერ სამზარეულოში ვიჯექი სახლის პატრონებთან ერთად. ყველაფერი რომ იქ ვმჯდარიყავი, მაინც არ მობეზრდებოდათ თავიანთ ქალიშვილზე ლაპარაკი. უმცროსი მზარეულად მუშაობდა რაიონის ცენტრში. უფროსი კი გასულ შემოდგომას გაუთხოვებიათ მეზობელ სოფელში. ქორწილი თორმეტი ათასი მარკა დასჯდომიათ. სტუმრები ორი ავტობუსით წაუყვანიათ ეკლესიაში. გერტრუდა და ოიახიმი განუწყვეტლივ ამ ქორწილით ტრაბახობდნენ.

ცოლ-ქმარი რომ შინ ბრუნდებოდა, მე უკვე ვიწექი. დიდი მეურნეობა ჰქონდათ და საქმეც არ ელეოდათ. ქათმებივით დილის ხუთ საათზე დგებოდნენ და რვა საათამდე ფუსფუსებდნენ. არ ვიცი ფულის გამო მუშაობდნენ ამდენს თუ, უბრალოდ, მუშაობის გარეშე ვერ წარმოედგინათ ცხოვრება. ერთხელ ვკითხე კიდეც, მაგრამ ვერ გამიგეს თუ არ უნდოდათ გაგება, არაფერი მიპასუხეს. თუმცა რა ჩემი საქმე იყო, როგორც სურდათ, ისე ცხოვრობდნენ. ან რა ვალდებულნი იყვნენ რაიმე აეხსნათ ჩემთვის. მე მხოლოდ იმიტომ ვკითხე, რომ ცოტა არ იყოს აბსურდულად მომეჩვენა მათი ცხოვრება. თუმცა თვითონ სავსებით კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ბედით. მათი სწორედ ეს თვითკმაყოფილება მშურდა, რაღა თქმა უნდა, კეთილი გაგებით. განა სისულელე არაა, იმუშაო ამდენი და მერე ერთი ხელის მოსმით დახარჯო შვილის ქორწილში, თან იამაყო ამით?

ადრე ხანდახან ვეხმარებოდი ცოლ-ქმარს სხვენიდან ძნების ჩამოყრაში, ან ქათმების დაპურებაში. ერთი-ორჯერ მე და გერტრუდამ ფრთებიც დავაჭერით ქათმებს. მაგრამ მივხვდი არ სიამოვნებდათ ჩემი მიხმარება. ერთხელ იოახიმმა პირდაპირ მითხრა კიდეც: „თქვენ დასასვენებლად ხარო ჩამოსული, ნუ წუხდებით. ამ სამუშაოს ჩვენც კარგად აუვალთ“. იმ დღის მერე მოვიმზადებდი თუ არა სამზარეულოში სადილს, მაშინვე ჩემს ოთახში გავიდოდი და დაძინებამდე წიგნს ვკითხულობდი. ზღვის ჰაერი ისე მღლიდა, რომ მალევე მეძინებოდა.

მთელ დღეს ზღვის სანაპიროზე ვატარებდი. ერთი-ორი დამსვენებელი თუ იყო სოფელში ჩამოსული და ამიტომაც სიწყნარე იყო. ზოგჯერ სრულიად მარტოც ვიყავი. შიგადაშიგ ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდებოდა ხოლმე. შორიახლოს ჩერდებოდნენ და მალევე მიდიოდნენ.

პირველ დღეებში საბანაო კოსტიუმის გარეშე ვბანაობდი, ალბათ იმედოვნებდნენ, რომ კვლავ შიშველს მნახავდნენ, არდადეგები ჰქონდათ და მათი ერთადერთი გასართობი ვიყავი. მაგრამ მერე გადავიფიქრე, ვიცოდი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა სოფელში და არ მინდოდა სახლის პატრონი ჩემს გამო რაიმე უსიამოვნებას გადაჰყროდა. ასე რომ, ახალგაზრდებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ორი ბარათი გაუგზავნე ჰენრის: სულ რამოდენიმე უაზრო და სულელური ფრაზა, თავადაც რომ არ მომწონდა, მაგრამ რა ვქნა, წერა არ მეხერხება. ესეც რომ არა, თვითონ ღია ბარათის მოცულობა გაიძულებს მოკლედ და შეზღუდულად თქვა სათქმელი. გაუნათლებელ ადამიანებს სჩვევიათ ასე წერა. ბარათზე აღბეჭდილი ნახატი და წარწერაც კი ძალაუნებურად შენი თანამონაწილე ხდება. ერთი სიტყვით, ძალიან მაღიზიანებდა ბარათის წერა. რაღა თქმა უნდა, შე-

მეძლო წერილი მიმეწერა ჰენრისთვის, მაგრამ ამდენი სათქმელიც რომ არ მქონდა?! ან რა უნდა მეთქვა: „მენატრები, უშენოდ ვერ ვძლებ“. ეს სიტყვები ხომ მაინც ვერასოდეს გამოხატავს ჩემს გრძნობებს. არადა, ჩვენ, ადამიანებს, ხომ გრძნობები გვაკავშირებს ერთმანეთთან?.. ჩვენი სევდა-ნაღველი კი წმინდა ძაფებით ჩახლართულ ობობას ქსელს წააგავს და ამ ხლართებში გახლართულნი, მარტოობისათვის განწირულნი ვკვდებით და ვნადვრდებით.

მეორე შაბათს მეზობელ სოფელში გადავედი. ერთი ნაცნობის აგარაკზე ეიყავი დაპატიჟებული. რამოდენიმე წლის წინ აქ ზღვაზე გავიცანი, მეუღლესთან ერთად ესვენებდა. ბერლინშიც ვიგებდით ერთიმეორის ამბებს, მაგრამ მხოლოდ ტელეფონით.

ფრედი გარეთ გამომეგება, გადამკოცნა და შინ შემიპატიჟა. აპერიტივს შევექცეოდით და თან ქათინაურებით ვამკობდით ერთმანეთს. კმაყოფილებისაგან ხმამაღლა ლაპარაკობდა. კიდევ უნდოდა შეეესო ჭიქა, მაგრამ მე ვიუარე... ენას არ აჩერებდა, არ ვიცი ჩემი მისვლით იყო ასე გახარებული, თუ რაღაცას ნერვიულობდა, ბევრს სვამდა და თან ამ აგარაკის გარემონტებაზე მებაასებოდა: „ოცი მოჩუქურთმებული ლელქაშის ფული გადავიხადე, არადა, მხოლოდ თორმეტი მომიტანეს. ცუდი ზამთარი იყოო, მოიმიზეზეს ხელოსნებმა. ლელქაში ხომ მხოლოდ ზამთარში იჭრება, როცა ყურე იყინება“.

ფრედი სავარძელზე გადაწოლილიყო და ფეხები ჩემს სკამზე შემოეწყო; „ლელქაშით დღეს აღარავინაა დაინტერესებული. ერთი ორი მოხუცია შემორჩენილი, იმათაც იმდენი მუშტარი ჰყავთ, ველარ აუდიან. არადა, მინდა სახლი ლელქაშით გადაეხურო. მართლაც შეუდარებელი გამოვა... მერე ფეხსაცმლის წვერი გამკრა და მკითხა: „— ჰა, ისევ მარტო დადიხარ?“

მოულოდნელობისაგან დავიბენი. „კი“. მერე კი მალევე მივაყოლე დაახლოებით-მეთქი. ფრედს გაეცინა. „გასაგებია“, — ჩაილაპარაკა და თან ორაზროვნად, გამჭოლად შემომხედა: „დაახლოებით არა?!“ — ამასთან ჭიქა გამოსცალა და ისევ თავის აგარაკზე განაგრძო ლაპარაკი.

მოგვიანებით ოთახში მარია შემოვიდა. მაგიდასთან მივიდა და არაყი დასხა. ფრედი ნერვიულად უთვალთვალებდა. ბოლოს კი უთხრა: „ჩვენთან კლაუდიაა სტუმრად“.

მარია შემობრუნდა, თავი დამიკრა, რაღაც მისასალმებელი სიტყვებიც ჩაიბურდღუნა და ჭიქით ხელში ოთახიდან გავიდა. ფრედმა თვალები დახუჭა და დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა: „სულ გაგიჟდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია“.

თავადაც არ ვიცოდი, რატომ, მაგრამ მეცინებოდა. მარია ფრედისთვის მესამე ცოლი იყო. „პირველი ორი ცოლი ხომ მედდებად მუშაობდნენ ჩემთან, ახლანდელ მედდაზეც ეჭვიანობს მარია“, — შემომჩივლა ფრედიმ.

სასაუზმოდ სამზარეულოში გავედით. ფართო, შესანიშნავად მოწყობილი სამზარეულო ჰქონდათ. ისეთი ლამაზი და რბილი სკამები ედგათ, ჯდომაც კი მეუხერხულებოდა. არადა, ამ ავეჯს ერქვა „გლეხური“. რა თქმა უნდა, პირობითად, თორემ გლეხებს ხომ სიზმრადაც არ ექნებათ ნანახი ასეთი ავეჯი. თევზის ფილე და შემწვარი კარტოფილი ჰქონდათ, ორივე კონსერვად. მარია არ ჭამდა, იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ბოლოს მე მომიტრიალდა და მთხოვა: „მომიყევი რა რამე, თუნდაც ანეკდოტი“. „თან აუხსენი კიდეც ანეკდოტის არსი“, — მაშინვე გამხიარულდა ფრედი.

მარიას აინუნშიაც არ ჩაუვლია ფრედის ნათქვამი. დაღლილი, ფერმკრთა-

ლი სახე ჰქონდა. შეიძლება წამლებისაგან. მარიამ შემამჩნია, რომ ვაკვირდებოდი, ხელი გადაისვა ქერა თმაზე და გამიღიმა. თვალში მომჩვდა მისი თითები. განაცრისფერებულ, დაკვნეტილ ფრჩხილებზე მთლად დასკდომოდა წითელი ლაქი. გამახსენდა, თექვსმეტი წლის რომ ვიყავი, მიყვარდა ადამიანებზე ფრჩხილებისა და ყურის ბიბილოების მიხედვით მსჯელობა. იდიოტური მანია მქონდა. ზოგი ქებით ცამდე ამყავდა, ზოგს კი მიწასთან ვასწორებდი, ლაქის ვატირებდი. საოცრად მიზიდავდა ეს თამაში, რაც ყოველგვარ ლოგიკასა და საღ აზრს იყო მოკლებული. ჩემი ასაკისათვის დამახასიათებელი ქედმაღლური თავდაჯერებულობით ვსჯიდი და ვამყარებდი „წესრიგს“ ჩემს ბავშვურ სამყაროში. ახლაც მარიას დაკვნეტილ ფრჩხილებზე გამახსენდა ეს სულელური, ღვარძლიანი გასართობი და რატომღაც მაშინვე დამებადა სურვილი, თმა გადამეწია მარიასათვის და ყურის ბიბილოებზეც შემეხედა.

ფრედმა შეამჩნია, თვალს რომ არ ვაშორებდი მარიას. წამოდგა და მიუახლოვდა მას, ხელით შეეხო მარჯვენა თვალის უპეზე და დაბლა ჩამოუწია: „ნახე, ეს ხომ ზუსტი გამოხატულებაა ნარცისტული ჰიპოხონდრიის, მე ვიტყოდი, კლასიკურიც კი“. „ღორო“, — მშვიდად ჩაილაპარაკა მარიამ და არც განძრეულა. ქმარმა ყურადღება არ მიაქცია მის რეპლიკას და განაგრძო: „საქმე გვაქვს ისტერიისადმი მიდრეკილებასთან და ესაა შედეგი დათრგუნვილი სწრაფვისა და სუსტი ნერვებისა. წარმოგიდგენია, ის იტანჯება, მისი არ ესმით. სადღაც ამოუკითხავს, თანამედროვე პატივმოყვარე ქალი ნამდვილად უბედური იქნებაო. ესეც პრეტენზიას აცხადებს თანამედროვე პატივმოყვარე ქალბატონობაზე. და ალბათ დეპრესიის მიზეზიც ამაში უნდა ვეძებოთ. აჰ, ღმერთო ჩემო, მერედა, როგორი დეპრესიის! თუმცა ყველაფრის თავი და თავი ხომ ქმარია, უფრო სწორად, მტარვალი, პატრიარქატი, რომელიც განუწყვეტლივ ძალადობს მასზე და თავს ახვევს თავის ნებასურვილს. ეს ნამდვილად ნევროზია. წარმოგიდგენია, ბალიშის ქვეშ სამზარეულოს დანას ინახავს იმ შემთხვევისთვის, თუ მასთან მიკარებას განვიზრახავ. როგორც ქმარი და როგორც ექიმი ასეთ დიაგნოზს ვსვამ: კულინარიული ხელოვნება, რაშიც ის არც არასდროს გამოირჩეოდა, მთლიანად ჩაკვდა მასში, სამაგიეროდ თავი იჩინა იდიოტიზმმა. სიგიჟის ზღვრამდეა მისული. ასე რომ, როგორც ექიმი ორი წლის ვადას ვაძლევ, მაგრამ როგორც ქმარი, მინდა ცოტა ოპტიმისტურად ვიყო განწყობილი“.

ფრედი ლოყაზე მიეფერა მარიას. ის კი იჯდა უძრავად და თავის სიგარეტს დასჩერებოდა. ყურადღებას არ აქცევდა ქმრის ლაპარაკს. დაღლილობა ეტყობოდა, ცოტა ხანს მინდოდა დამესვენა და გასვლა დავაპირე. ფრედი კარში გადამიდგა: „სულ დამავიწყდა შეთქვა შენთვის, რომ ჩემი ცოლი ყოველ შემხვედრს უწვება ლოგინში. ერთხელ წავასწარი კიდეც“.

მე გვერდი ავუარე ფრედის და ჩემთვის განკუთვნილ ოთახში გავედი. შევეცალე დამეძინა, მაგრამ თვალიდან არ მშორდებოდა მარიას გამხდარი, ფერმიხდილი სახე. ვნანობდი, რომ ჩამოვედი, რად მინდოდა ყოველ წელს შესმინა ერთი და იგივე და მარიას უბედურებისათვის მეცქირა? მარიას და ფრედს, მიუხედავად ამდენი კონფლიქტისა, მაინც აკავშირებდათ რაღაც.

როცა გამომეღვიძა, ჩემი საწოლის წინ ფრედი იდგა: „ჰენრი ჩამოვიდა“, — ჩაილაპარაკა მან. ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, ისევ ძილბურანში ვიყავი და გაოგნებული შევაჩერდი ფრედს.

„ჰო, ჰო, შენი „ დაახლოებით“ რომაა, ის ჩამოვიდა“. — ძლივს გავიგე ვისაც გულისხმობდა. ვთხოვე: ჩადი და მეც ახლავე ჩამოვალ-მეთქი, მაგრამ ფეხს

არ იცვლიდა. „უნდა ჩავიცვა“, — გავუმეორე მას, არც განძრეულა, იდგა და უაზროდ იცინოდა. მერე ჩემი ტანსაცმელი აიღო და გამომიწოდა. ერთ წამს უსიტყვოდ შევაცქერდით ერთმანეთს. მივხვდი, რასაც აპირებდა. რომც შეეხვეწნოდი, მაინც არ გავიდოდა. უნდოდა ჩხუბი და ყვირილი ამეტეხა, რომ ამ ხმაზე ჰენრი და მარია ამოცვინულიყვნენ, თვითონ კი, რალა თქმა უნდა, სიცილს ატეხავდა: „ამ პატარა სულელის შეშინება მინდოდა, თანაც მაინტერესებდა, რამდენად კომპლექსიანიაო“. მერე მთელ დღეს აღარ გაათავებდა, ტვინს წაუღებდა ჰენრის, ნამდვილად თანაგიგრძნობო, ვიცი, უყვარდა ასეთი ხუმრობა. თავისი ჭკუით ამას ფრედი ფსიქიანალიზს უწოდებდა. უფრო სწორად, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ადამიანი ცივილიზაციის პირობებში სექსუალურ მექანიზმად გადაიქცევა და ეს ძლიერი, დაუმორჩილებელი ინსტინქტი პრევალირებას მოახდენს სხვა მოთხოვნილებებზე“. ამ ხერხით ფრედი ცდილობდა შეეღწია ადამიანის სულის წიაღში. როგორც თავად ამბობდა, ეს იყო სტუმრობა ველურ მხეცთან, ღორთან. ფრედის ამ თამაშს უამრავი ვარიაცია ჰქონდა, რომელთაც ათასი სისაძაგლე ახლდა თან. ზოგჯერ ამ ხუმრობით ცრემლებამდეც კი მიჰყავდა ადამიანი, თვითონ კი ერთობოდა.

„კარგი“, — საბანი გადავიძრე და წამოვდექი, ვცდილობდი არ ავნერვიულებულიყავი, ყურადღება არ მიმექცია მისი რეპლიკებისათვის, ჩემი მკერდისა და თეძოების მისამართით რომ ისროდა. თუმცა ისედაც არ მესმოდა მისი ხმა. სიმწრისაგან ყურები მქონდა დახშობილი, თავში სისხლი მაწვებოდა.

დაბლა ჩავედი, ჰენრი სამზარეულოში მელოდებოდა. ერთი ფეხით გამომისწრია. გერტრუდასთან და იოახიმთან უკითხავს და მათაც აქ გამოუგზავნიათ. არც მეგონა, თუ ჰენრი ჩამოსვლას დააპირებდა, ეტყობა, უნდოდა სიურპრიზი გაეკეთებინა ჩემთვის. მარია ყავით გაგვიმასპინძლდა მე და ჰენრის. მერე ჩვენ სანაპიროზე წავედით. ცივი ქარი უბერავდა. სოფლის ერთადერთი ცენტრალური ქუჩა მთლად დაცარიელებულიყო. აქა-იქღა შემორჩენილიყვნენ ყვითელ საწვიმარებში გამოწყობილი დამსვენებლები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთი საავადმყოფოდან ან სანატორიუმიდან გამოსულანო.

ზღვასთან ახლოს ჩავედით. ტალღები თეთრ-მონაცრისფერო ქაფს ტოვებდა ქვიშაზე. საკმაოდ ძლიერი ქარი იყო, მაგრამ მსიამოვნებდა. ნაპირს თითოეროლა ადამიანიღა შემორჩენოდა. მზისგან თაეშესაფარი ქოლგებიც ერთიმეორეზე მიეწყოთ და ჯაჭვით დაებათ.

რატომღაც მეგობრობაზე ჩამოვარდა საუბარი. „კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცი მყავს კი მეგობრები?! სოფელში, სადაც გავიზარდე ერთი მეგობარი მყავდა, მაშინ ჯერ კიდევ ნაწნავებიანი გოგო ვიყავი და ერთმანეთს ვეფიცებოდით, რომ არასოდეს დავშორდებოდით. მართლაც საოცარი მეგობრობა გვქონდა. მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ და ეს მეგობრობაც ბავშვური და მიამიტური იყო. ახლა კი ზუსტად ვერც ვიტყვი, რა არის მეგობარი. შეიძლება თავად მე დავკარგე ადამიანებისადმი ნდობის უნარი. არადა, მეგობრობაში ხომ სწორედ ნდობაა მთავარი. იქნებ მე არც მჭირდებიან მეგობრები. მყავს უამრავი ნაცნობი და ახლობელი, ხანდახან ვხვდებით ერთმანეთს და ამითაც კმაყოფილი ვარ. დიდ აუცილებლობას, რომ გითხრა, ვერც ვხედავ მათში. კი, მიყვარს საზოგადოება, ადამიანებთან საუბარი, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი მიყვარს. მხოლოდ დროდადრო მაქვს ისეთი წუთები, როცა მტანჯავს რაღაც, ჩემთვისაც გაურკვეველი სწრაფვა თუ მოთხოვნილება მეგობრისა, თუმცა ესეც ერთადერთ ადამიანზე ვრცელდება — ბავშვობის მეგობარზე. ასეთი წუთები კი ძალზე იშვიათად

მაქვს, ისიც მხოლოდ უნებლიე ტირილით მთავრდება; ვტირი და არც კი ვიცი, რა მატირებს. მოკლედ, ასეა საქმე“.

ჰენრი ყურადღებით მისმენდა, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია. მდუმარედ მივაბიჯებდით დაჭუჭყიანებულ და მიტოვებულ ზღვის სანაპიროზე. ქარისაგან სახეში ქვიშა მეყრებოდა და თვალები მეწვოდა. ფეხსაცმელები დავიხადეთ, მსიამოვნებდა ცივ ქვიშაზე ფეხშველა სიარული.

„რა ხდებოდა მაშინ შენს ცხოვრებაში? — მკითხა ჰენრიმ. თავიდან ვერ მივხვდი რას გულისხმობდა და ამიხსნა. იქ იმ პატარა სოფელში“.

„იცი, ბუნდოვნად მახსოვს ის დრო. მოგონებები კი წლიდან წლამდე მეცვლება. ისე, რატომღაც მგონია, მაშინ სხვანაირი ვიყავი. შენ წარმოიდგინე, გარკვეული წარმოდგენებიც კი მქონდა ცხოვრებაზე და უკვე მეშინოდა. ან იქნებ არც ვყოფილვარ სხვანაირი და, უბრალოდ, მაშინ იწყებოდა ჩემში იმის განვითარება, რაც ახლა ვარ“.

ჰენრი დუმდა. გზადაგზა ნიჟარებს ვაგროვებდით. მოულოდნელად ჰენრიმ ზღვაში შესვლა მოისურვა და მეც შემომთავაზა. ვერაფრით ვერ წარმოვედგინა ამ სიცივეში წყალში შესვლა და უარი ვუთხარი. ჰენრიმ სასწრაფოდ გაიხადა ტანთ და ტალღების შესაგებებლად გაექანა. მერე კი ჩაყვითთა და გაცურა. მძლავრად, გაშმაგებით მიაპობდა ტალღებს. წყლიდან რომ გამოვიდა, მთლად ცახცახებდა. ჩემი პულოვერით შევამშრალე და გავიქეცით სახლში. აქოშინებულები შევცვივდით მარიასთან.

საღამოს ფრედის მეგობრები მოვიდნენ. ისინიც აქვე შორიახლოს ისვენებდნენ. ჩვეულებრივი სიტუაცია იყო: ვინ ანეკდოტს ყვებოდა, ვინ ხუმრობდა, თან ღვინოსა და არაყს სვამდნენ. მთელი საღამო ჩუმად იჯდა მარია, მაგრამ არავის გაუმახვილებია ამაზე ყურადღება. მე და ჰენრი ძალზე დაღლილები ვიყავით და მალევე დავაპირეთ დასაძინებლად ასვლა, მაგრამ ფრედი არ მოგვეშვა: „დარჩით უსათუოდ, საინტერესო სანახაობა გელით“.

ამ საღამოს ერთი მხატვარიც ესწრებოდა. გაშმაგებით ლაპარაკობდა ხელოვნებაზე: „ჩვენ მხატვრები კი არა, დეკნილები ვართ ნამდვილად. ხელოვნება მკვდარია, თავის საქებ ობიექტად ასოციალი — რაღაც ერთი კონკრეტული ტიპის ადამიანი აურჩევია; არადა, საუკუნეების მანძილზე ობივატელის გემოვნებით სარგებლობდა ხელოვნება. ყველა სუფრაზე თუ თაყვრილობაზე მხოლოდ ხელოვნებაზე საუბრობდნენ და ეს იყო ერთადერთი პარაზიტი, რაც ასაზრდოებს სულს. ჭეშმარიტი ხელოვნება ანარქიულია, ეს კი საზოგადოებისათვის მათრახის გადაჭერას ნიშნავს. ამგვარი ხელოვნების ერთადერთი ესთეტიკა ტანჯვაში მდგომარეობს, ხოლო მისი მხატვრულობის კრიტერიუმი — კივილი და გოდებაა. ჩვენ უნდა გავხდეთ ასოციალები, რათა მივხვდეთ რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივექანებით. დიახ, ამ ჭუჭყზეა ლაპარაკი, და ესეც თქვენთვის მომიძღვნია“. ამ მხატვარს ერთი საოცრად ლამაზი, წითელთმიანი გოგონა ახლდა თან, სულ თვალებში შესცივცივებდა, თავზე ხელს უსვამდა და ცდილობდა დაეშშვიდებინა იგი. მაგრამ მხატვარი მაინც ბობოქრობდა. ფრედიც კი გამოლანძღა, რიცა მის დაწყნარებას შეეცადა. თუმცა მალევე შერიგდნენ და მეგობრობისაც დალიეს.

ბუხარს მივუჯექი და ცეცხლს მივაჩერდი. ვიგრძენი სიცხისაგან როგორ ამეწვა სახე, მაგრამ სითბო მესიამოვნა. ერთ-ერთი სტუმართაგანი გვერდით მომიჯდა, სიგარეტი შემომთავაზა და ლაპარაკი გამიბა: სადაცაა ზღვები დაშრება, დედამიწას თერმული სიკვდილი ემუქრებაო. მერე ლათინური ამერიკის

ენერგეტიკულ კრიზისსაც გადასწედა და ამის შემდეგლა გამაცნო თავი — პლურომედიალური ესთეტიკისა და კომუნიკაციის პროფესორი გახლავართ და ბიხუმში ვცხოვრობო. გაკვირვებული შევცქეროდი. ვერაფრით ვერ ჩავწვდი რას ნიშნავდა „პლურომედიალური ესთეტიკა". ჩემის აზრით, ეს კაცი კომიკოსი ან მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, წამით ჩემი პროფესიაც დაინტერესდა, მაგრამ წამსვე ახალ თემაზე წამოიწყო ლაპარაკი. დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის, მშვიდი, თავდაჯერებული კაცი იყო. თვალში მოსახვედრი, ლამაზი კბილები ჰქონდა, მაგრამ რატომღაც მისი ღიმილი მაღიზიანებდა. პროფესორს არ შეჰფერიდა ასეთი ღიმილი, თითქოს რაღაც საეჭვო საქმეში გიპირებსო ჩათრევას.

ჰენრი რომ მოგვიახლოვდა, პროფესორმა ხელახლა წარმოგვიდგინა თავი და თავისი სავიზიტო ბარათითაც დააჯილდოვა ჰენრი. თან აღნიშნა: ორივე ძალიან მესიმპათიურებითო. სულ ცოტა ხანში პროფესორმა თავისი პოლიტიკური შეხედულებებიც გადმოგვილაგა: ზომიერი მემარცხენე ყოფილა და კაპიტალიზმისადმი მეტად კრიტიკულად განწყობილი. ჰენრისაც ჰკითხა, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით გერმანიაზეო: „იცით, მთელ დღეს ზღვის ნაპირას დავეხეტებოდი და ისე გამომეტენა ქვიშით თავი, რომ თუ არ დავიბანე, ვერაფერს გიპასუხებთ". პროფესორი ისე მოიხიბლა ჰენრის ამ ოხუნჯობით, რომ გულიანად იცინა. მერე კი დასძინა: „შესანიშნავად მესმის თქვენი. რა პროფესიის ბრძანდებით?" ჰენრის პასუხს არ დაელოდებივარ, სამზარეულოში გავედი.

მარია მარტო იჯდა სამზარეულოში, ყავასა და ნაყინს ამზადებდა. „ხომ არ მოგეხმარო?" — ვკითხე მე. ჭიქების დარეცხვა მთხოვა. სტუმრებზე ვკითხე რაღაც, მაგრამ, ეტყობა, არც ერთს არ იცნობდა: „მოწყენილობის გამო სრულიად შემთხვევით გაცნობილსაც კი თავისთან ეპატიჟება ფრედი. მხატვარია მხოლოდ ჩვენი ერთადერთი ხშირი სტუმარი. საოცრად არაპრაქტიკული კაცია. ხან ჭიქა უვარდება ხელიდან, ხან თეფშები ემსხვრევა, განუწყვეტლივ რაღაც უბედურება სდევს თან". მარია რაღაც-რაღაცებს მიყვებოდა ამ მხატვარზე და მაცინებდა. ჩვენ შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს.

სამზარეულოში ფრედმა შემოიხედა, აინტერესებდა, რაზე ვიცინოდით. მარიამ სტუმრებთან ყავა და ნაყინი გაატანა. მერე დაჯდა და უცნაურად გამომხედა.

„შეამჩნიე?" — მკითხა მან დაძაბულად.

„რა? — ვკითხე მე, — რა უნდა შემემჩნია?"

„ჩემი სახე, — ჩაილაპარაკა მან, — შეხედე, რა დღეში ვარ".

მე გავუცინე: გიყურებ, მაგრამ რას ერჩი შენს სახეს, მშვენივრად გამოიყურები-მეთქი. მან ნელი მოძრაობით, მაგრამ ენერგიულად გადააქნია თავი, ისე, რომ არც შემოუხედავს.

„არა, არა, — გაიმეორა მან, — შენ მაინც უნდა დაინახო ეს, მე აშკარად ვამჩნევ".

„რა უნდა შევამჩნიო, მარია?"

„მე რა ვიცი", — გამომეხედა უნდობლად და გაჩუმდა.

არ ჩავძიებივარ, ასე ვამჯობინე.

სასტუმრო ოთახიდან მუსიკის ხმა გამოდიოდა. მარია თავჩაქინდრული იჯდა და ხარბად ეწეოდა სიგარეტს.

„ჩემის აზრით, — წამოიწყო მან, — ძალიან ვავხდი, ცარიელი ძვლებიღა დავრჩი, ჩონჩხს დავემსგავსე". — და ისევ სახეში მომაჩერდა, რომ დავკვირვე-

ბოდი. მერე კი მოწყენილად ჩაიღიმა. მარიას ქცევასა და ღიმილში აშკარად ჩანდა, რომ ძალიან იტანჯებოდა.

„რას ლაპარაკობ, რატომ შთააგონებ შენს თავს ასეთ რაღაცებს?“ — ვუთხარი დამამშვიდებელი, ჩემი, როგორც ექიმის დამრიგებლური ტონით, თავადაც რომ მეჯავრებოდა. ასეთი ინტონაცია ექიმებს პაციენტებთან საუბრისას უმუშავდებათ. ყველა ექიმი ხომ დამაჯერებელი ტონით არწმუნებს [illegible] ავადმყოფს, რომ მისი ჯანმრთელობა წესრიგშია. ესაა ჩვენი უმწეობის ნიღაბი.

„იცი, — განაგრძო ისევ მარიამ, — ყოველ დილა ერთი ბღუჯა თმა მცვივა“.

„მასეც უნდა იყოს“.

მან თავი გადააქნია — ამდენი მაინც არაა ნორმალური, რატომ მატყუებო.

„ნუ ლაპარაკობ მასე, თავს გაიგიჟებ. ადამიანი ყოველდღე კარგავს ერთ ბღუჯა თმას, არც სახეზე გჭირს რამე. თავადაც იცი, რომ ყოველთვის ფერმკრთალი იყავი და გიხდება კიდეც“.

„ფრედიც ამას მიმტკიცებს“. „რას?“ „რასდა, შეშლილი ვარ და სადაცაა გავგიჟდები“.

მოთმინებას ვკარგავდი უკვე. მარია იჯდა ჩემს წინ თვალებდახუჭული და თავს იტანჯავდა. ვერ გამეგო, რატომ შეუბნებოდა ყველაფერს მე. რატომ არ შედიან ეს მგრძნობიარე არსებები სხვის მდგომარეობაში?!

„მომისმინე, შენ ხომ იცი, არ მიმაჩნიხარ სულელად და რატომ მაყენებ ასეთ უხერხულობაში?“

მაგრამ მარია უკვე აღარ მისმენდა. იჯდა გათიშული და სიგარეტს ეწეოდა, თან თითებით მაგიდაზე რაღაცებს ხატავდა.

„რატომ არ ეყრები ფრედს? იქნებ ეს არის შენი პრობლემის ძირითადი მიზეზი?“

„ეგ შენ არ გეხება, — მიპასუხა და თან თითებს არ აჩერებდა. მე ჭიქებს ვამშრალებდი და კარადაში ვაწყობდი.

„მიზეზი უფრო ღრმაა და ეს ყველაფერი უფრო ადრე დაიწყო“, — ჩაილაპარაკა მარიამ. მინდოდა მივფერებოდი და სახეზე შევეხე. მან კი ხელის გულზე მაკოცა და ლოყა მკლავზე დამადო. მერე ერთიმეორისაკენ გადავიხარეთ და პატარა გოგონებივით ავკისკისდით.

დავიღალე, დაწოლა მინდაო, მითხრა მარიამ. მე ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი. ჰენრი პროფესორ ჰორსტთან ერთად ისევ ბუხართან იჯდა. მე მიეუახლოვდი მათ და ჰენრის ყურში ჩავჩურჩულე, ხომ არ წავიდეთ-მეთქი. პროფესორი ამჟამად „ეკოლოგიის იმმანენტურ კრიტიკაზე მსჯელობდა. ვერც მე და ვერც ჰენრიმ ვერ გავიგეთ რას ნიშნავდა ეს. ჰორსტი შეეცადა აეხსნა, მაგრამ მალევე მიხვდა, არ გვაინტერესებდა, და მაშინვე შეცვალა საუბრის თემა: „გერმანულ ენას საშინლად აჭუჭყიანებენ ამერიკანიზმებით“. ერთი სიტყვით, ყველა თემაზე შეეძლო ამ ჩვენს პროფესორს საუბარი. რატომღაც იგი იმ კომიკს მაგონებდა, რომელიც ფრაზების ნაცვლად უზარმაზარ ბურთულებს უშვებს და ეს ბურთულები სადღაც ქრებიან.

„ეტყობა, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენას თუ გაურბის და ამიტომაც ლაპარაკობს ამდენს“, — ზუსტად შენიშნა ჰენრიმ.

დასავლეთ ევროპელ პროფესორს ნერვიული ღიმილი დასთამაშებდა: „ჩემის აზრით, აქ ყველაფერი მეცხრამეტე საუკუნის დონეზე დარჩა. ერთ მიტოვებულ სოფელს, უფრო ზუსტად გეტყვით, ადალბერტ შტიფტერის ქვეყანას მა-

გონებს". როცა ვუთხარი, არაფერი წამიკითხავს შტიფტერისა-მეთქი, ასე მიპასუხა: „რად გინდათ წაკითხვა, თავად ცხოვრობთ ასეთ ქვეყანაში".

გამომშვიდობებისას ჰორსტმა სურვილი გამოთქვა: „მოხარული ვიქნები თუ როდესმე კიდევ შევხვდებით. ჩვენ ხომ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის".

„ნამდვილად", — დავუმოწმეთ ორივემ. წამოვედით და [illegible] გალიმებული ჰორსტი. იმ წუთას იგი მართლაც საოცრად [illegible] მომეჩვენა.

ნაპირზე უამრავ დამსვენებელს მოეყარა თავი. თავისუფალი ადგილის ძებნაში მე და ჰენრის ძალიან შორს მოგვიწია წასვლა... წყალი ცივი იყო და სწრაფად, სუნთქვაშეკრულნი მივაპობდით ტალღებს. სიცივისაგან სხეული გვეწყოდა. ჰენრის მალევე უნდოდა, რომ დაბრუნებულიყო ნაპირთან, მაგრამ შევეხვეწე, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ-მეთქი. ჰენრი მომიახლოვდა, წელზე შემოჭდო ფეხები და მაკოცა. მე კი გავეხუმრე, წყალში ჩავაყვინთინე თავი და თავად ნაპირისაკენ გამოვცურე. ძლივს დამეწია ჰენრი. ცოტა ხანში ორივე ქვიშაზე ვიდექით და ერთიმეორეს ვამშრალებდით. თან ეხტუნაობდით, რომ ყურებში დაგუბებული წყალი გამოგვედევნა. გვცივოდა და მალე დავბრუნდით შინ.

არ ვიცი, მარიამ თუ იმ წითელთმიანმა გოგომ მოხარშული კვერცხი და ყავა დაგვახვედრა. ისე გვშიოდა, ხალათებიანებიანე მივუსხედით მაგიდას და ვისაუზმეთ. სამზარეულოში წითელთმიანი გოგონა შემოვიდა და ლაპარაკი გაგვიბა: „მინდა მთელი ზაფხული ზღვაზე დავრჩე, არადა, ღამის გასათევი არა მაქვს. ხან სად მიწევს ყოფნა და ხან სად. იქნებ ერთ ღამეს თქვენც შემიკედლოთ?" „ერთი პატარა ოთახი მაქვს", — მოვუბოდიშე და ძალიან შევწუხდი, რომ უარი ვუთხარი". ისევ თვითონ დამამშვიდა, რას ვიზამ, არა უშავსო.

„რა ლამაზი გოგოა, არა?" — ხმამაღლა ვკითხე ჰენრის, რაზეც დაბნეულობისაგან მთლად გაწითლდა და რაღაც ჩაიბურდღუნა. წითელთმიანს გაეცინა. „შენ და მარიაც ლამაზები ხართ", — მოიღუშა ჰენრი. ამ სიტყვებზე უნდობლად გამომხედა მარიამ. მივხვდი, რაც გაიფიქრა. არადა, ჩვენს საუბარზე ჰენრისთვის მართლა არაფერი მომიყოლია. უსიამოვნო გრძნობა გამიჩნდა. რატომ უნდა შეპარვოდა ჩემში მარიას ეჭვი? რა მეთქვა, რომ გამექარწყლებინა ეს ეჭვი, არ ვიცოდი და ისევ გაჩუმება ვამჯობინე.

რატომღაც იმ წუთას, სავსებით უადგილოდ ერთი ლექსი გამახსენდა. კარგა ხნის უკან მოვისმინე რადიოში. შინაარსი ასეთი ჰქონდა: „როცა შენგან ადამიანურ დიდსულოვნებას მოითხოვენ, იძულებული ხარ უფრო მეტი ინტენსიურობით მოურიო შენს ფინჯან ყავას". რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ახლაც არ ვიცი, ან რა დიდსულოვნებას მოითხოვდნენ ჩემგან. ერთი კი ვიცი, მეც სხვა აღარა დამრჩენოდა რა, ჩემი ყავისთვის უნდა მომერია. ეს ჩვევა გახლდათ ერთი იმ უცნაურობათაგანი, ბავშვობაში რომ შევიძინე.

უხერხული დუმილი ისევ წითელთმიანმა გოგონამ დაარღვია: „სადღაც დუმილის ანგელოზმა გადაიფრინა", — თქვა და გაიცინა.

გამომშვიდობებისას მარიას ვაკოცე, არც განძრეულა, გულგრილად გამომხედა. ფრედი ჯერ არ იყო ამდგარი და მოკითხვა დავუბარე მასთან. თავი კი დამიქნია, მაგრამ მთლად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მისმენდა. უკვე მანქანაში ვიჯექი, წითელთმიანმა რომ მომაძახა, ერთ წამს მომიცადეო. დიდი მომწვანო ვაშლი ეჭირა ხელში: „ამაზე უკეთესი რამ მინდოდა მეჩუქებინა, მაგრამ მეტი არაფერი მაქვს," — თქვა და ვაშლი გამომიწოდა,

ჰელას სახეს ვერ ვხედავდი, მზე მიჭვრიტინებდა თვალებში. მადლობის ნიშნად ხელი მოვკიდე მკლავზე და ბედნიერება ვუსურვე.

მანაც გამიღიმა. მერე კი მზის სათვალე გავიკეთე და მანქანა დავქოქე. ჰენრიც უკან მომდევდა თავისი მანქანით. ვიდრე ჩვენს სოფელს მივუახლოვდებოდით, ზღვის ნაპირისაკენ გადავუხვიეთ. უკვე სადილობის დრო [illegible] და იქვე ნაპირთან, ბალახზე გავშალეთ სუფრა. ჰენრის ერთი კონსერვი [illegible], გაეხსენით, ზემოთ მოდებული სიმსუქნე მოვხადეთ და ცივი წვნიანი და ფრიკადელები მივირთვით.

სიგარეტი აღარ გექონდა, მაგრამ ამისთვის სოფელში გასვლა დაგვეზარა. ისეთი დაღლილები ვიყავით, იქვე თბილ, გამხმარ ბალახზე მიგვეძინა. რამდენი ხანი გვეძინა, არ ვიცი, მაგრამ სოფლის ბავშვების ხმაურმა გამოგვაღვიძა. საღამოს წვიმა წამოვიდა. ჰენრის მანქანას შევაფარეთ თავი. სამყარო მინების მიღმა მოვიტოვეთ. მანქანის რადიო ჩართული კი იყო, მაგრამ ცივილიზაციის ამ უკანასკნელი გამოგონების ხმა ჩვენამდე არ აღწევდა.

წვიმამ გადაიღო. მზე ღრუბლების მიღმა დარჩა. შებინდებისას ქარი ამოვარდა და ზღვაც შავ საბურველში გაეხვია. მანქანიდან გადმოვედით, ფეხები ტალახში გვეფლობოდა. ფოთლებიდან წვიმის წვეთები გვეცემოდა.

არ მინდოდა დალამებულზე რომ ეარა ჰენრის და ვაჩქარებდი, დროზე წადი-მეთქი. გამომშვიდობებისას ვთხოვე, გაუფრთხილებლად აღარ ჩამოსულიყო. თავი კი დამიქნია, მაგრამ მკითხა: „განა ეს უფრო ლამაზი არ იყო, ასე მოულოდნელად რომ ჩამოვედი?“

„კი, ძალიან ლამაზი იყო. და გამეხარდა კიდეც, მაგრამ არ მიყვარს მოულოდნელობები. არ მიყვარს უეცარი თავდასხმები, შენგანაც კი“.

მერე კი ვაკოცეთ ერთმანეთს და ასე დავშორდით. ჰენრი წავიდა, მე კი ვიდექი და გზას გავცქეროდი, ვიდრე მანქანა თვალს მიეფარებოდა.

სოფელში რომ დავბრუნდი, გერტრუდამ და იოახიმმა დანახვისთანავე მკითხეს, ჰენრი თუ ნახეო. კი-მეთქი, ვუპასუხე და ვახშმის მოსამზადებლად სამზარეულოში გავედი. დაძინებამდე, ცოტა ხანს მათთან ერთად ტელევიზორს ვუყურე. იოხენმა ლუდი შემომთავაზა. უკვე რამოდენიმე საათი იყო, რაც სიგარეტი არ მომეწია, და მონატრებულივით მოვწიე. დაღლაც და შეებაც მაშინდა შევიგრძენი მხოლოდ.

თავი მეშვიდე

შვებულების შემდეგ იმდენი უსიამოვნება დამხვდა პოლიკლინიკაში, რომ განცხადებაც კი დავწერე წამოსვლის თაობაზე, მაგრამ უფროსმა არ მომიწერა ხელი.

შემცვლელ ექიმს მთლად დაუბნეევია ჩემი პაციენტები. ზოგისთვის სხვა მკურნალი ექიმი ურჩევია, ზოგიც ჩემს მიერ დასმულ დიაგნოზში დაუეჭვებია და სხვა დანიშნულება მიუცია. ერთი სიტყვით, ყველაფერი აურეე-დაურევია. პირველსავე დღეს ვიგრძენი პაციენტების უნდობლობა. კარლაც ყველაფერს მომიყვა. თითქოს შეწუხებული ლაპარაკობდა, მაგრამ ვამჩნევდი, ცოტა არ იყოს ართობდა ეს ამბავი. მშვენივრად ვიცნობდი კარლას.

იმ დღესვე დავურეკე ამ ექიმს და ვუსაყვედურე. მაგრამ ისე უხეშად მელაპარაკა, რომ ყურმილი დავუხეთქე. ჯერ კი ვიფიქრე, პასუხს ვაგებინებმეთქი, მაგრამ ვიცოდი ატყდებოდა ერთი მითქმა-მოთქმა, გაიმართებოდა დისკუსია და ბოლოს კომისია ორივეს მკურნალობის მეთოდებს მართებულად მი-

იჩნევდა და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმით დამთავრდებოდა, რომ ორივეს საყვედურს გამოგვიცხადებდნენ და ურთიერთპატივისცემისაკენ მოგვიწოდებდნენ.

განცხადება კი დავწერე, მაგრამ წასვლას არც ვაპირებდი, უბრალოდ, მინდოდა ამ სახით გამომეთქვა პროტესტი. იმავე დღეს დამირეკა უფროსმა და მითხრა, დღეს საღამოს ჩემთან სახლში გელოდებიო...

რას მიპირებდა უფროსი, ჩხუბს თუ დამშვიდებას, არ ვიცი, მაგრამ მისი მეუღლისათვის ვარდები შევიძინე და მივედი.

პირველად მივდიოდი უფროსის სახლში. ქალაქის სამხრეთით ცხოვრობდა. ბაღის შესასვლელთან ტელეფონი იყო დამონტაჟებული, არადა, აქედან სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯით იყო მოშორებული სახლი. რა დანიშნულება ჰქონდა ამ აპარატს, ვერ მივხვდი.

კარი თვითონ ჩემმა უფროსმა გამიღო. მომესალმა და ხელზე თავაზიანად მაკოცა. რატომღაც „შვილითი" მოიმართა, და მივხვდი, საჩხუბრად რომ არ დავუბარებივარ. ცოლიც გამაცნო. სამინაო ხალათში გამოწყობილი იქვე იდგა მოკრძალებულად და მიღიმოდა. ხელებზე ეტყობოდა, ჯაფა არ აკლდა.

ვახშმად ღორის მწვადი ჰქონდათ სატაცურთან ერთად და თეთრი ღვინო „Bordeaux". დესერტად ნამცხვარიც მოიტანეს. ათას წვრილმანზე ლაპარაკობდა ჩემი უფროსი: იქ ვიღაც ჩვენი კოლეგა ბავარიაში გაქცეულა; ვიღაც ყალთაბანდს ისე გაუკრიტიკებია ამერიკული სამედიცინო ჟურნალის რედაქტორები, რომ ამ სოლიდურ ჟურნალს დიდი უსიამოვნება დასტეხია თავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მის ცოლს ხმა არ ამოუღია. ეტყობოდა, ქმარს პატივს სცემდა. მერე ბიბლიოთეკაში გამიყვანეს. „უამრავი სპეციალური ლიტერატურა აქვს ჩემს მეუღლეს, თითქმის ყველა ენაზე კითხულობს", — აღნიშნა ცოლმა. „ბევრს ნუ ლაპარაკობ", — შენიშვნა მისცა მან ცოლს, და სთხოვა, მარტო დაგვტოვებო. ცოლი არც კი შეპასუხებია, უხმოდ გავიდა სამზარეულოში. მეტად თავაზიანად მესაუბრებოდა უფროსი. მომწონდა მისი მშვიდი ლაპარაკი. ხმა საოცრად დამაჯერებელი ჰქონდა, რაც ცოტა არ იყოს მშურდა კიდეც. თუმცა შური მე არ მახასიათებს. ამისთვის საკმაოდ თავმოყვარე გახლავართ.

„არ გეგონოს, მხარი დაგიჭირო. ისტერიული ქალივით იქცევი. თუ სამსახური ან წასვლა განგიზრახავს, გზა დამილოცნია. მაგრამ იცოდე, ამით მხოლოდ შენს მტერს გაახარებ. ვინდა სხვას გაუნთავისუფლო ადგილი, ხომ?!"

ძალზედ მსიამოვნებდა უფროსის ლაპარაკი, ნამდვილად კარგი ბაბუა დადგებოდა მისგან. დავპირდი, აუცილებლად უკან წამოვიღებ ჩემს განცხადებას-მეთქი.

მოგვიანებით მისი ცოლიც შემოგვიერთდა, ყავა მოგვართვა. „ჩვენი შვილები და მეტი წილი მეგობრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობენ. ამიტომაა, რომ მე და ჩემი ქმარი თითქმის სულ მარტონი ვართ. სტუმრებსაც დანატრებულები ვართ, — შემომჩივლა ქალმა და ქმარს სიყვარულით გადახედა. მან კი უხერხულობისაგან რაღაც ჩაიბურდღუნა და ჟილეტზე ჩამოისვა ხელი. გამომშვიდობებისას ცოლმა მთხოვა, კიდევ შემოგვიარეთო: „ძალიან გაგვიხარდება თქვენი მოსვლა. არა, ძვირფასო?" — და ისევ ქმარს გახედა. ჩემი უფროსი კი თავაწეული იდგა და თავის ცოლს უღიმოდა. მერე თვალები მოჭუტა და გაიხუმრა: „ვის რაში სჭირდება ჩვენისთანა მოხუცები, დედიკო". მართლაც უცნაური, ცოტათი ამაღელვებელი, მაგრამ მაინც სასაცილო სანახაობა იყო:

საღამოს პიჯაკში, ჟილეტსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ჩემი უფროსი „დედიკოთი“ რომ მიმართავდა თავის ხანში შესულ ნაჯაფარ მეუღლეს.

ჰენრის კვირაში სამჯერ ეხედავდი. მეტწილად ვახშმად მოდიოდა, იშვიათად გავდიოდით სადმე. სამსახურში ვიღლებოდი და სახლში მერჩივნა ყოფნა. საერთოდ, შვებულების მერე ყოველთვის მიძნელდებოდა სამუშაო რიტმში ჩართვა. ზოგჯერ მიფიქრია კიდეც, იქნებ არც ღირს შვებულების აღება, რადგან ხანმოკლე დასვენება ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. გასულ საუკუნეებში ხომ არც იცოდნენ, რა იყო შვებულება.

შაბათ-კვირას უფრო მარტო ვატარებდი. მინდოდა, ეს დღეები მხოლოდ ჩემთვის გამომეყენებინა. ასეც რომ არ ყოფილიყო, ზოგჯერ შაბათობით მორიგეობა მიწევდა. ჰენრიც სამ კვირაში ერთხელ თავის ცოლ-შვილთან მიდიოდა და არ მინდოდა ჩემთან დამოკიდებულებაში რაიმე წინააღმდეგობას შეხვედროდა.

ჰენრის ცოლ-შვილი დრეზდენში ჰყავდა. ადრე ჰენრი იქ ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქიმიკოსად მუშაობდა. მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ბერლინში ჩამოვიდა იმ იმედით, რომ მალე ცოლსაც უშოვიდა სამსახურს და იმასაც ჩამოიყვანდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ორი წლის განმავლობაში შეეჩვევნენ ცალ-ცალკე ცხოვრებას. ცოლმა სხვა კაცი გაიჩინა. ასე რომ, ორივე შეეგუა ამგვარ ცხოვრებას. გაყრაზე არც უფიქრიათ, რადგან ახალი ოჯახის შექმნას არც ერთი არ აპირებდა. ბავშვების გამო კი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მეგობრული ურთიერთობა. ჩემის აზრით, სწორედაც იქცეოდნენ: რა საჭიროა შენს პირად საქმეში სახელმწიფოს ჩარევა. ეს ხომ მხოლოდ ცოლ-ქმარს ეხება? რიცა მახსენდება გაყრასთან დაკავშირებული მთელი სიძნელეები, ცუდად ვხდები. რა უფლება აქვს რომელიმე ინსტანციას ორი ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაერიოს?! ზის სამი კაცი და ერთი ქალი მაგიდასთან და ვისვამენ ყოვლად დამამცირებელ, უაზრო და უტაქტო შეკითხვებს: რატომ აღარ გინდათ ერთად ცხოვრება? აღარ გვინდა და მორჩა, რა თქვენი საქმეა? არადა, იძულებული ხარ იდგე მათ წინაშე დამნაშაულესავით და ისმინო მათგან მორალი.

თვით ქორწინების რეგისტრაციაც ხომ ასეთივე მტანჯველი ფარსია. ვიღაც უცნობი, პიჯაკში გამოწყობილი ქალბატონი გიქადაგებს ურთიერთმოვალეობებზე, ვალდებულებებზე და თან სიცხისაგან, წურწურით ჩამოსდის ოფლი. ფოტოზე მეც და ჩემს მეუღლესაც ბავშვური, გამოუცდელი სახეები გვაქვს. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ სხვათა საქორწინო ფოტოების დათვალიერებისას აღმოვაჩინე ორ უმწეო დამფრთხალ არსებათა მზერაში ანარქია! ისინი ბედნიერებისა და ათასი იმედებით მომლოდინე ორ მეამბოხეს უფრო წააგავდა, რომელნიც ცდილობენ თავი დააღწიონ ამ დამამცირებელ სიტუაციას. ესაა მათთვის ერთადერთი ალტერნატივა. თუმცა ეს დღეც მალე დამთავრდება. და სულის ამბოხიც მათივე მიამიტობისა და გამოუცდელობის გამო რომ უჩნდებათ, სადღაც გაქრება. არადა, ამას ხომ საკუთარი ნებით ვაკეთებთ. თუმცა იმ წუთას ვერ ვხვდებით, მაგრამ ქორწინების აქტი, რეგისტრაციის წიგნი და ეს ჯგუფური ფოტოც ჩვენი დამცირების აშკარა გამოხატულებაა.

აგვისტოს პირველსავე კვირას გამოვამჟღავნე ფოტოები. საოცრად მიყვარს ეს საქმე. დრო და ენერგია ბევრი მეხარჯება, მაგრამ დიდ სიამოვნებასაც ვღებულობ. წელიწადში ორჯერ ზოგჯერ სამჯერაც კი მთელი ჩემი სახლი სა-

ხელოსნის ემსგავსება, სამზარეულოს და აბაზანას ფოტოლაბორატორიად ვიყენებ. ჭამითაც მახლობელ რესტორანში ვჭამ. ზოგჯერ ერთდროულად მიწევს ოცდაათი ხან სამოცდაცამეტი ნეგატივის გამომჟღავნებაც კი, ზოგჯერ ღამეც არ ვიძინებდი.

თითქმის ყველა ფოტო ბრანდერბურგში მქონდა გადაღებული, [illegible] ორი თუ მქონდა უზედმეტი გადაღებული. ერთხელ დედას დაეინტერესა, რატომ ვიღებდი მხოლოდ ბუნებას, გამხმარ ხეებს, ნანგრევებსა და ბილიკებს. საგონებელში ჩამაგდო ამ შეკითხვამ, მაგრამ პასუხი ვერ ვიპოვე. ალბათ გაუცნობიერებლად ვაკეთებდი ამას, თუმცა მაინც არ მიყვარდა ადამიანების ფოტოზე აღბეჭდვა. მიზეზი კი ისაა, რომ არ მიყვარს სხვის ცხოვრებაში შეჭრა. მარტო იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ვინმე სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს ფოტოზე. სადღაც წამიკითხავს, რომელიღაც ეკლესია კრძალავს ადამიანების ფოტოგრაფირებას. ეს ფაქტი კარგად დამამახსოვრდა, რადგან ჩემს ხასიათში ჯდებოდა. ისე კი არც რელიგიით, არც მისტიკით არასოდეს ვყოფილვარ დაინტერესებული. და არც მიზეზი მიძებნია, რატომ. მხოლოდ ერთხელ ბავშვობაში, ისიც, ძალიან მცირე ხანს, გამიტაცა რელიგიამ.

ძალზე მაღიზიანებდა ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანების არაბუნებრივი სახეები. ბუნების ქმნილებანი კი არასოდეს არ ცდილობენ გამოიყურებოდნენ უკეთ, ვიდრე სინამდვილეში არიან. ერთი სიტყვით, ჩემი ინტერესი მხოლოდ უბრალო რეალობას დასტრიალებს თავს, ესე იგი, იმას, რაც ბუნებრივია.

ზოგჯერ შემთხვევიდან შემთხვევამდე ისე გადის თვეები, რომ არაფერს ვიღებ და არც არავითარ მოთხოვნილებას არ ვგრძნობ. გამომჟღავნებითაც მხოლოდ ზოგიერთ ნეგატივს ვამჟღავნებ. მთელი კარადა ფოტოებით მაქვს გამოჭედილი. ფოტოგამოფენის მოწყობას ნამდვილად არ ვაპირებ, არც ვინმეს ვუჩვენებ. საერთოდ, რა აზრი აქვს ჩემს ფოტოხელოვნებით გატაცებას, თავადაც არ მესმის. მიკვირს კიდეც. არც მინდოდა ჩავღრმავებოდი ამ შეკითხვას, რადგან პასუხს მაინც ვერ ვიპოვიდი და მეშინოდა, ამ შეკითხვებით საკუთარი თავი არ დამეყენებინა ეჭვქვეშ. ერთი სიტყვით, არავითარი სურვილი არ გამაჩნია ჩავწვდე ჩემი საქმიანობის არსს; მიყვარს და მორჩა. შეიძლება ზოგმა დამძრახოს კიდეც, მაგრამ მე არ მიმაჩნია მართებულად და ვერც ვერავითარ მოთხოვნილებას ვერ ვგრძნობ, ჩავუფიქრდე ცხოვრებისეულ გამოცანებს. არც ეს საყვედური მწყენია, ერთხელ ჩემმა თანაკურსელმა რომ მითხრა: „ცხოველივით გაუცნობიერებლად ცხოვრობ". უბრალოდ, მე ვერ ვეგუები მისტიკას. ჩემთვის კი ყველაფერი, რაც ბიოლოგიის სფეროს სცილდება, მისტიკაა. პირიქით, ეს ჩემს ძლიერებადაც მიმაჩნია.

თვითონ პროცესი — როგორ ისახება გამოსახულება თეთრ ქაღალდზე — აი ეს მსიამოვნებს. მაშინ ვგრძნობ შემოქმედებითობას და თითქოს ხელახლა ვიბადები. სითეთრიდან ჯერ რაღაც გაურკვევლობაში გადაიზრდება, მერე სრულიად მოულოდნელად გამოსახულება წარმოიქმნება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მე თავად ვმართავ ამ პროცესს. ჩემზეა მისი შეწყვეტაც დამოკიდებული. ჩემთვის ეს იგივეა, რაც ნაყოფის ჩასახვა, ოღონდ ქიმიის მეშვეობით. და აქ მთავარი ფიგურა მე ვარ. მე ამ პროცესის თანამონაწილე გახლავარ. საპირისპიროდ ამისა, ვერ ვიტყვი, რომ თანამონაწილედ ვგრძნობდი ბავშვის ჩასახვის პროცესში. ის პროცესი ჩემდა უნებურად მოხდა. იქნებ მოგვიანებით, როცა ჩემში ცოცხალი არსება შეირხეოდა, მაშინ დამბადებოდა ასეთი გრძნო-

ბა, მაგრამ საქმე იქამდე არ მისულა. ყველაფერი მხოლოდ ორი აბორტით დამთავრდა.

პირველი ბავშვი უდროო დროს ჩაისახა. მე და ჩემი ქმარი ჯერ სტუდენტები ვიყავით და სხვა საზრუნავი გვქონდა. მერე კი თავად აღარ მოვისურვე. ვიცოდი, უფრო სწორად, ინტუიცია მკარნახობდა, მასთან ველარ დავრჩებოდი. ერთმანეთს ველარ ვეგუებოდით და ბავშვი რაღა საჭირო იყო. ჰინერმა რომ გაიგო, შეშინებული მოვარდა საავადმყოფოში. წინასწარ არაფერი მითქვამს, მაგრამ, ეტყობა, ისიც გრძნობდა, რომ გაყრას ვაპირებდი. საყვედურიც კი არ უთქვამს ჩემთვის, საოცრად შეშინებული ჩანდა. მაშინ კი შემეცოდა, მაგრამ მარტო შეცოდება არ კმარა, რომ დაბადო ბავშვი.

ორმა აბორტმა ფიზიკურად გამანადგურა. გადავიღალე და მარტოობა მინდოდა.

სასოწარკვეთაში ჩავვარდი, მაგრამ რატომ, თავადაც ვერ გამეგო. კეფის გამუდმებული ტკივილი არ მაძინებდა. რომ ეთქვა, დანაშაულის გრძნობა მაწუხებდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მე ხომ არაფერი მაკავშირებდა იმასთან, რაც ჩემში ისახებოდა. მისი დაკარგვა სრულიად არ მაშფოთებდა. სასოწარკვეთა, უფრო ფიზიკური სისუსტის ბრალი უნდა ყოფილიყო. ჩემში ჩასახულ ბავშვებთან ვერავითარ საერთოს ვერ ვგრძნობდი. ეს ჩემი ნების, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა. მე მხოლოდ მუცლის ღრუ ვიყავი, ემბრიონს რომ ატარებდა. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ობიექტი ვიყავი. არც არავის უკითხავს, არც არავინ შემთანხმებია. მახსოვს, როგორ ჩამჩურჩულებდა ჰინერი ყურში, მეფიცებოდა სიყვარულს, ოხრავდა, მიმტკიცებდა მთელი სიცოცხლე შენთან ვიქნებიო. რა შემზარავად ჟღერდა ეს სიტყვები. ასე მეგონა, ვიღაცა ხელყოფით ემუქრებოდა ჩემს მომავალ ცხოვრებასა და თავისუფლებას. მე და ჰინერი შესანიშნავად ვეწყობოდით ერთმანეთს სქესობრივად. ამ მხრივ პრობლემა არ გვქონდა. მაგრამ საქმე ეს როდი იყო. თუმცა ჰინერს როგორც კი ვუთხარი, გაყრას ვაპირებ-მეთქი, მაშინვე ამ საკითხს გადასწვდა. შევეცადე ამეხსნა, მაგრამ ვერ გამიგო. ბოლოს დაასკვნა, თავი და თავი ალბათ ჩემი სასიყვარულო თავგადასავლებიაო. ყველა ჩვენს პრობლემას ჰინერი ლოგინს უკავშირებდა. როგორც კი საკითხი მისი მამაკაცობის შელახვას ეხებოდა, აღარაფერი გაეგებოდა. ეს ყველა მამაკაცისთვის დამახასიათებელი რეაქციაა — პატრიარქატიზმის მრავალსაუკუნოვანი გადმონაშთი, როცა მამაკაცობის ბატონობის ხარჯზე ადამიანობას კარგავენ. და ამგვარ ბატონობაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სქესობრივ უპირატესობას ითვალისწინებს, ძალაუნებურად სქესს ენიჭება უპირველესობა. მამაკაცის ფიქრის, ფანტაზიის, საუბრისა თუ ხუმრობის თემაც კი სქესია. მათი აზრით, სწორედ ამაში ვლინდება მამაკაცის სიძლიერე და ყოვლისშემძლეობა. ამის გარეშე მათთვის ყველაფერი იმპოტენციამდე, აბსურდამდე დადის. მამაკაცები მხოლოდ სქესში ეძებენ შვებას, და ამ დროს თავისუფლდებიან ყოველგვარი დამთრგუნველი მოვალეობებისაგან. ხშირად მამაკაცს თავიც კი მოაქვს სხვადასხვა ქალებთან ურთიერთობით. ამით ისინი თავიანთ პრივილეგიაზე მიუთითებენ. და ხმამაღლა ტრაბახობენ კიდეც, როცა სინამდვილეში უნდა დამალონ. მაგრამ არა, პირიქით, ამით ისინი ლამობენ, მფლობელად წარმოაჩინონ თავი. ჰინერის რეაქციაც სწორედ ასეთი იყო. ჰინერი შეეცადა დაეცვა ის, რისი დაკარგვისაც ყველაზე მეტად ეშინოდა.

ჩემის აზრით, ქალებს უფრო სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ სექსისადმი. ეს ალბათ იმიტომ, რომ ქალებს ბუნებისაგან მომადლებული ღედობის უნა-

რი გაჩნიათ. სწორედ მშობიარობა იცავს ქალს გადაჭარბებული ემოციებისაგან, და შეიძლება ითქვას, გადაჭარბებული შიშისაგანაც კი. მამაკაცებში კი შიში ჭარბობს. ისინი ებრძვიან ყოველგვარ გადახრებს, იტანჯებიან, და მთელი ძალით ცდილობენ ჩაებღაუჭონ თავიანთ სათაყვანებელ და ერთადერთ ჭეშმარიტებას, რის დაკარგვასაც ისინი ვერ შეეგუებიან. შიშის ექსტრემალურ მდგომარეობაში მამაკაცებს.

ჰინერის საყვედურებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, არც მისი თანაგრძნობისათვის მიმიკლავს თავი. ჩემთვის უცხო იყო მისგან ჩახახული შვილი, ამიტომაც იყო, რომ არც ნაყოფის ჩასახვაში ვგრძნობდი ჩემს წვლილს და არც მოშორებაში. მე მხოლოდ სხვისი ზემოქმედების ობიექტად ვოვლიდი თავს. ნაწილზე ფეხებით მიმაჯაჭვეს და ოპერაციისათვის გამამზადეს. ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა: მხოლოდ ნემსის მსუბუქი ჩხვლეტა შევიგრძენი. მერე კი ნარკოზმა ძილ-ბურანში ჩამიორია. დანაწევრებული ბგერებიღა აღწევდა ჩემს ყურამდე. მე უკვე სადღაც შორს ვიმყოფებოდი, იქ სადაც ცნობიერება მთავრდებოდა, სადაც თავშესაფარს ვეძებდი და ვიპოვე კიდეც. მეშინოდა ამ საიმედო სამყოფელიდან დაბრუნება, რადგან ცნობიერებადაბრუნებულმა ძალაუნებურად უნდა შეიგრძნო შენი დაბმული სხეული, გარს მოხვეული ქირურგთა ფუსფუსი, და ისევ ჰინერის ოხვრა და ჩურჩული. თვალებმილულულს უსიამოვნოდ მიჭვრიტინებდა უზარმაზარი მზე. იმ წუთას მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი, სრულიად მარტო: „დამტოვეთ, — ვბუტბუტებდი ჩემთვის, — აღარ მინდა, აღარ". ენას ძლივს ვატრიალებდი პირში, საკუთარი ენა შახრჩობდა და გულს მირევდა. საღმა აზრმა მიღალატა და მიმატოვა. მიულოდნელად სადღაც უკიდეგანო ტყეში აღმოვჩნდი. თავს ოვალუწვდენელი ცა გადმომცქეროდა. ერთ მხარეს მდინარისაკენ ეშვებოდა გზა. ირგვლივ მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩენილიყო. ხის ძირას ბალახზე დავეშვი და ვიგრძენი, როგორ დამკბინეს ეკლიანმა ტოტებმა. მიწის სიცივეც და ფოთლების სინესტეც შევიგრძენი.

არა, ეს სავარძელზე მიჯაჭვული სხეული მე არ მეკუთვნის. არა, არა, ეს მე არა ვარ, არაფერი მაკავშირებს მე ამ სხეულთან.

სველი ფოტოები ერთმანეთს ეკვროდა. ყოველთვის მეგონა და ვიმედოვნებდი, რომ ფოტოაპარატს შეეძლო ისეთი რამ აღებეჭდა, რაც თავადაც ვერ შევამჩნიე გადაღებისას. მაგრამ დროთა განმავლობაში გამიქრა ასეთი სასწაულის იმედი. აღარ ველოდი სიურპრიზებს. აპარატი მხოლოდ იმას აღბეჭდავს, რაც შეუძლია, არც მეტი, არც ნაკლები.

ის იყო ფოტოები გასამრობად დავაწყე, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ზღურბლზე ჩემი მეზობელი, ქალბატონი რუპრეხტი იდგა. სქელი პირსახოცის ხალათი შემოეცვა, თეთრი თმა მთლად გასწეწოდა; გამიკვირდა, ყოველთვის შეკრული ატარებდა, და არ მეგონა თუ ასეთი მოკლე თმა ჰქონდა.

ქალბატონმა რუპრეხტმა მოიბოდიშა ასეთი გვიანი შეწუხებისათვის. საათს დავხედე, უკვე პირველი დაწყებულიყო. „არაფერია, ჯერ არ დავწოლილვარ", — ვუთხარი მე. ქალბატონმა რუპრეხტმა გულის ტკივილის გამაყუჩებელი წამალი მთხოვა. ისე მტკივა მარცხენა ფერდ ქვეშ, რომ ვერ ვიძინებ, ძალიან მოუსვენრად ვარო, — დაიჩივლა მოხუცმა, თან შეშინებული, ნაცემი ძაღლივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. დავამშვიდე და შევპირდი, შემოვალ-მეთქი.

წამალს რომ ვეძებდი, დაღლილობა ვიგრძენი. სახე ცივ წყალს შევუშვირე, შევიმშრალე და მეზობელთან გავედი.

ქალბატონი რუპრეხტი სავარძელში იჯდა. აბი მივაწოდე და ვთხოვე არ

ამდგარიყო. წყლის მოსატანად სამზარეულოში გავედი. ოთახი სუფთა ჩანდა. მაგრამ არასასიამოვნო სუნი იდგა, ალბათ ჩიტების გამო. კედელზე ჩარჩოში ჩასმული სურათებივით ეკიდა გალიები. წყალი რომ მივუტანე, ხელზე მომკიდა ხელი და მითხრა: „ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რაღაც უბედურება მოხდება. არადა, ვერ ვხვდები, რა უნდა მოხდეს. შვილები მე აღარა მყავს და ქმარი. ეს ერთი ჩიტებიღა გამაჩნია“.

„არ გიჭირთ ამდენი ჩიტის მოვლა?“ — ვკითხე მე, რაზეც გაოცებით შემომხედა.

ქალბატონმა რუპრეხტმა მითხოვა: მარტო დარჩენისა მეშინია, ცოტა ხანს დარჩითო; იმ ღამეს თავისი ქმარ-შვილის ამბავი გაიხსენა. სხვა დროსაც ჰქონდა ეს ამბავი მოყოლილი, მაგრამ მაინც ვუსმენდი. „ქმარი თორმეტი წლის წინ დამეღუპა ფილტვების ემბოლიით. შვილი კი ავტოკატასტროფაში დაიმსხვრა. ორიეულერ საშინელი წინათგრძნობა მქონდა. ამიტომ მეშინია, ახლაც რამე არ მოხდეს“, — მარწმუნებდა მოხუცი.

ქალბატონ რუპრეხტს ჩემი ხელი ეკავა და თვალები მიელულა. მეგონა ჩაეძინა და წამოვდექი, მაგრამ მაშინვე ალაპარაკდა: „ვერც კი ვიფიქრებდი, შვილს თუ ასეთი ტკივილის მიყენება შეეძლო“. — და ხელახლა წამოიწყო იმ უბედური შემთხვევის მოყოლა.

„ახლა როგორ გრძნობთ თავს?“ — ვკითხე ცოტა ხნის მერე. „უკეთ“, მადლობა მომიხადა და მომიბოდიშა. დაწოლაში მივეხმარე და შინ დავბრუნდი. მშიოდა, მაგრამ სახლში არაფერი მქონდა. მთელი სამზარეულო ფოტოებისათვის საჭირო მასალებით იყო გადაჭედილი. ცოტა კონიაკი დავლიე და დავწექი.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე ავდექი. სადილობამდე არ ვაპირებდი სამსახურში წასვლას. ქალბატონ რუპრეხტსაც შევუარე, მხნედ გამოიყურებოდა. ისევ ბოდიშების მოხდა დამიწყო, მაგრამ მე შევაწყვეტინე, არაა საჭიროო-მეთქი. ქალბატონმა რუპრეხტმა ყავაზე მიმიპატიჟა, მეჩქარებოდა და ის იყო უნდა წამოვსულიყავი, რომ მკითხა: „ესპანეთში გუშინ სამგზავრო თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა, თუ გაიგეთ? ხომ შეიძლება მაგიტომაც ვიყავი ასე მოუსვენრად?“ „ვერ გეტყვით, ასეთი რაღაცების არ მჯერა“.

„რაებს ვლაპარაკობ, რა სულელი ვარ, სულ გამოვფრუტუნდი ამ მოხუცებულობაში“, — დასცინა მან საკუთარ თავს.

გამიხარდა, უკეთ რომ გრძნობდა თავს ქალბატონი რუპრეხტი და წამოვედი. სადილობამდე ფოტოებიც გაშრა, აბაზანა და სამზარეულო მივალაგე, სადილი მოვიმზადე, სადღაც შუალედში დაბლაც ჩავირბინე ფოსტის ამოსატანად. ყუთში მხოლოდ სატელეფონო ქვითრები დამხვდა. ყველაფერს რომ მოვრჩი, პოლიკლინიკაში წავედი. გზაში ჩემს ახალ ფოტოებზე ვფიქრობდი, სად წამელო, აღარ ვიცოდი. ოთახში რომ ჩამომეკიდა ცოტა ხნით მაინც, ადგილი არ მეყოფოდა. ისევ უჯრაში უნდა ჩამეწყო და ხელსაყრელ მომენტს დაელოდებოდი, რაც ალბათ არასოდეს დადგებოდა. მშობლებს ხომ ვერ გავუგზავნიდი ამ ფოტოებს, ან რა აზრი ჰქონდა: მოჰყვებოდა დედა მათ თვალიერებას, ეგება რამეს ჩავწვდე ჩემი შვილისასო. მას ხომ ყველაფერი აინტერესებდა ჩემს შესახებ. უნდოდა კვლავ ჩემი ცხოვრების თანაზიარი ყოფილიყო.

რატომღაც ისევ ქალბატონი რუპრეხტი მომაგონდა. გადავწყვიტე უფრო ხშირად მომენახულებინა მოხუცი, მარტოობისაგან რომ იტანჯებოდა. მისი მოუსვენრობის მიზეზიც ალბათ მარტოობა იყო მხოლოდ და სხვა არაფერი.

პოლიკლინიკასთან მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ მოვნახე და გვერდით ქუჩაზე მომიწია დაყენება.

თავი მერვე

ქალაქი გადაჭედილი იყო ტურისტებით, მაგრამ როგორც კი მაღაზიები იკეტებოდა, მაშინვე ცარიელდებოდა ქუჩებიც.

მე და ჰენრი ხშირად ესეირნობდით ჩვენს პარკში. ორჯერ კინოშიც წავედით. ტიპიური ამერიკული ფილმები ვნახეთ: ერთიმეორეს რომ [illegible] განუწყვეტლივ და ისვრიან. მაგრამ დარბაზში დიდხანს ვერ ვჩერდებოდი. [illegible] მეხუთებოდა და შუა ფილმიდან გამოვდიოდი. საშინელებაა იყნოსავდე ამდენი გაოფლილი სხეულის სუნს. ამ უჰაერო სივრცეში ამოხრჩობის შიში მეუფლებოდა.

ერთ შაბათ დილას მე და ჰენრი მაღაზიებშიც გავედით. ორბორტიანი პიჯაკი ვუყიდე. პიჯაკს წვრილი ზოლები დასდევდა და ძალიან უხდებოდა. თავიდან სასტიკ უარზე იდგა, მე ამ პიჯაკის ჩამცმელი არა ვარო, მაგრამ მაინც დავითანხმე. ჩემთვის კერამიკის ნაწარმს დაეძებდი და ჰენრიც მოთმინებით დამყვებოდა.

უამრავი საქმე მქონდა პოლიკლინიკაში. თითქმის ყველა ექიმი შვებულებაში იყო გასული და სხვისი პაციენტების მიღებაც მე მიწევდა. მორიგეობაც უკვე ორჯერ მომიხდა. ისე ვიღლებოდი, შინ ველარაფერს ვაკეთებდი. კიდევ კარგი დიდი სახლი არ მქონდა. ამ პატარა ოთახს კი ბევრი ლოლიავი არ სჭირდებოდა. ასე, რომ, ზოგჯერ სავსებით კმაყოფილიც ვარ ჩემი ბინით.

იმ წელს ცხელი ზაფხული დაიჭირა. ოთახში შემხუთველი სიცხე იდგა. საღამოობით აბაზანის კარს ვაღებდი და ცივი წყლის ონკანს ბოლომდე ვუშვებდი. ასე ვაგრილებდი ოთახს, მაგრამ ეს ნაკლებად მშველოდა. ძილითაც ცუდად მეძინა, ქუჩის ხმაურიც არ მასვენებდა.

სექტემბრის დასაწყისში დედამ დამირეკა, მამა თავს კარგად ვერ გრძნობსო. მაგრამ როცა შევთავაზე, ჩამოვალ-მეთქი, მითხრა, მაგისთვის არ დამირეკავსო, უბრალოდ, შენი ხმის გაგონება მინდოდაო.

ყურმილი რომ დავკიდე, ერთ წამს გავიფიქრე, ჰენრისთან ერთად ჩავსულიყავი მშობლებთან. მაგრამ დედაჩემის ამბავი რომ ვიცოდი, უხერხულობაში ჩაგვყრიდა ორივეს თავისი გადამეტებული ყურადღებით.

საღამოს გადავწყვიტე მამასთვის წერილი გამეგზავნა. ვცდილობდი გულისხმიერი ვყოფილიყავი. მაგრამ ნახევარი გვერდი ძლივს გამომიყიდა. არ ვიცოდე, რა მომეწერა. ესეც გზაში დავხიე, ვიდრე ფოსტის ყუთს მივაღწევდი. არა და, მართლაც მინდოდა მომეკითხა მამა, მაგრამ ცარიელი ფურცლის წინაშე როგორც აღმოვჩნდი, სათქმელი გამიქრა. შეიძლება, უბრალოდ, მე არ შემეძლო წერა. ბოლოს ისევ წასვლა ვამჯობინე.

კრების დამთავრების შემდეგ უფროსმა მთხოვა, ცოტა ხნით შეიცადეთო. სიგარეტი შემომთავაზა. ხელში სათვალეს აწვალებდა, რატომღაც შეცბუნებული ჩანდა. ვიფიქრე, საყვედური უნდა მითხრას და რით დაიწყოს, არ იცის-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, წამოიწყო: „ჩვენთან თუ შემოივლით, საოცრად გაახარებთ ჩემს მეუღლეს". ცოტა არ იყოს, დავიბენი, რადგან ჩემი უფროსის ხმაში ირონია შევამჩნიე. ვერაფერი გავიგე. იქნებ მართლაც მისი მეუღლე მეპატიჟებოდა და ესეც მხოლოდ ცოლის ნებასურვილს გადმომცემდა?

მადლობა კი ვუთხარი, მაგრამ ადგილიდან არ ვიძროდი. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. სასაცილო, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. დავრჩენილიყავი თუ წამოვსულიყავი აღარ ვიცოდი. უფროსმა ფურცლებს დახედა და მუშაობა განაგრძო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომაჩვენა თავი. წამოვდექი: „დიდი მადლობა მიპატიჟებისათვის", — ჩავილაპარაკე და ის იყო გამოსვლა დავა-

პირე, რომ უფროსმა კვლავ ამოიმხედა და გულგრილად მითხრა: „ერთი სიტყვით, როგორც კი დროს გამონახავთ, გელოდებით. თუმცა შეიძლება“... და სათქმელი აღარ დაუმთავრებია.

ჩემს ოთახში დავბრუნდი. ისევ უფროსზე ვფიქრობდი. ეტყობა, მოხუცებულობისაგან საოცრად მარტოდ გრძნობდა თავს და იმის შიშით, „ვაითუ აღარავის ვჭირდებიო, საკუთარ თავში იკეტებოდა და მთლიანად მუშაობაში ჰკლავდა დროს. ახლოს, რა თქმა უნდა, არ ვიცნობდი ჩემს უფროსს, არც არავითარი სურვილი არ გამაჩნდა უფრო მეტად ჩავწვდომოდი და გამეგო მისი. ან რა საჭირო იყო, მისი პრობლემებიღა მაკლდა სადარდებლად. რაში მაინტერესებს უცხო ადამიანები, როცა საკუთარი პრობლემებიც მყოფნის. მე მხოლოდ ნემსებისა და აბების გამოწერა შემიძლია ავადმყოფებისათვის. დანარჩენი კი მედიცინას არ ეხება, მოძღვარი კი არა ვარ, სხვები ვამშვიდო და ვაწყნარო, არ მეხერხება თანაგრძნობა და უაზრობადაც მიმაჩნია. მე ჩემი პრობლემებისთვისაც არ ვიკლავ თავს. თანაც ცხოვრება მეტი კი არაფერია, ბოლომდე უნდა ზიდო შენი პრობლემები და მათთან ერთად მოკვდე. უფროსი თაობისაგან გამიგონია: „გასაჭირს თვალებში უნდა ჩახედო და უფრო გაგიიოლდებაო ცხოვრება“. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება კი სულ სხვას მეუბნება, რისაც გეშინია ადამიანს, სწორედ ის მოგიღებს ბოლოს. მაშ, რაღა საჭიროა ყოველ წამს ამაზე ფიქრი? ჩემის აზრით, სხვა ადამიანს მაინც ვერ დაეხმარები. ეს არაა ციინიზმი, პირიქით, შეიძლება სრული ჭეშმარიტებაცაა. ან რა საჭიროა უიმედო ავადმყოფის ნუგეში. საშინელებაა, ზოგჯერ ექსპერიმენტებსაც კი ვატარებთ ასეთ ადამიანებზე, არა და, ვიცით, რომ მაინც მოკვდება. განა არ სჯობია განუხორციელებელი იმედების ლოდინს, წყნარად და უშფოთველად მოკვდეს?! არადა, ჩვენს ეპოქაში რატომღაც ჩვეულებად გადაქცევიათ ყველაფერში რაღაც ცვლილება შეიტანონ. ცნობიერებადაკარგულსაც კი ავადმყოფად თვლიან და ცდილობენ განკურნონ, როგორმე დაუბრუნონ ცნობიერება. როცა მშვენიერად ვიცით, რომ ყოველ ფსიქიკადარღვეულ ადამიანს მოშლილი აქვს საკუთარი თავისა თუ შინაგანი სამყაროსადმი ჯანმრთელი ხედვა. სწორედ ესაა მათი სნეულების მიზეზიც. დიახ, ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა დამასნეულებელი მედიცინა. ესე იგი, მედიცინა დამლუპველ- მეცნიერებად იქცა. რას მოგვცემს ცნობიერებადაკარგულისთვის ცნობიერების დაბრუნება?! საერთოდ, განდევნა, დაკარგვა, ეს ხომ ფსიქიკის დამცველი რეაქციაა, რაც გვეხმარება ემოციებისა თუ განსაცდელისაგან თავდაცვაში. ზოგჯერ ცოცხალი ორგანიზმი თავისთავად დევნის იმას, რაც მას სიკვდილისაგან გადაარჩენს: ესაა ჯანმრთელი და ბუნებრივი რეაქცია. აბა, რა საჭიროა მკვდრის გაცოცხლება, გვამების ამქვეყნად მობრუნება. ისინი ხომ მაინც ვერ შესძლებენ ცხოვრებას. ბოლოს და ბოლოს მთელი ცივილიზაციაც ამ დაკარგვა-გამოდევნებაზეა დაფუძნებული. ადამიანთა ერთად ცხოვრებაც მხოლოდ ამითაა მიღწეული, მათ შესძლეს თავიანთ თავში ჩაეკლათ გარკვეული გრძნობები და სწრაფვა. თუმცა კაცობრიობას მართლაც ჭირდება ფსიქიატრის ყურადღება, რადგან მხოლოდ კაცობრიობამ, ბუნებრივი ინსტინქტების გამოდევნისა და ჩახშობის ხარჯზე, შესძლო მიეღწია ერთობისათვის და წარმოშვა დღევანდელი ცივილიზებული ადამიანი.

ინდივიდების თანაარსებობა მოითხოვს, რომ თითოეული ინდივიდის სული შიგნიდან საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრედ იქცეს, რომელშიც შესანიშნავად ჩაიმარხება ის, რაც ამ ინდივიდს დაღუპვით ემუქრება.

მეც ხომ ყოველდღე ვკლავ ჩემში უამრავ განცდასა და ემოციას. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში, მე რომ ყოველ ჩემს გრძნობას გამოვლინების უფლება მივცე, გავიტანჯები, და სრულიად დავითრგუნები. ერთი სიტყვით, რომ არა ეს უნარი, მეორე დღეს ალბათ საერთოდ ვერ წამოვდგებოდი საწოლიდან. მართლაც გვჭირდება გისოსები ამ ქაოსისაგან თავდასაცავად. უბრალო ნაკვნეტიც კი საკმარისია, რომ სისხლად დავიცალოთ. ადამიანთა უმრავლესობა ვერ იტანს ცოცხალი, მფეთქავი გულის დანახვას. მაშინვე გულისრევა ეწყება და ტუდად ხდებიან. არადა, ეს ხომ ჩვეულებრივი, თითქმის მექანიკურად მომუშავე კუნთია, ხორცისა და შედედებული სისხლისაგან რომ შედგება და მოხერხებულადაა მოთავსებული ადამიანის სხეულში, ქონისა და კანის საბურველში. ამ კუნთს უმთავრესი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. სწორედ აქ იყრის თავს საუკეთესო გრძნობები, რომელთაც სამზეოზე გამოტანით, ჩვენივე ხელით ვსპობთ, რაც გვანადგურებს და შეურაცხგვყოფს. გამომზეურებით რას გავხდებით, ჩვენ ხომ უმწეონი ვართ. რადიაციული ნარჩენებიც ხომ ასეა? როგორი მცირე დოზითაც არ უნდა იყოს, მაინც საშიშია. არავინ იცის, როდის გამოავლენს თავს. მისგან განთავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი სადღაც სიღრმეში ჩავმარხავთ, ან წყალში ჩავძირავთ. მხოლოდ ასე მიეცემა შეუქცევად დავიწყებას.

ჩვენ შევეჩვიეთ ზედაპირულ ცხოვრებას. გონებამ და ცივილიზაციამ მიგვიყვანა ამ ზღვრამდე.

ერთხელ ჩემმა კოლეგამ ასეთი რამ მომიყვა: „ვიღაც ოცდათოთხმეტი წლის, ნორმალური სქესობრივი შესაძლებლობების კაცს ფსიქოანალიტიკური ლიტერატურიდან ამოუკითხავს, რომ არსებობს სხვადასხვა ანომალიები. და მას შემდეგ საკუთარ თავშიც დაუწყია მსგავსი ანომალიების ძიება და სულიერად საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილა. და იქამდე მივიდა, რომ ეჭვების ნიადაგზე, მართლაც განიცითარა კასტრაციის კომპლექსი (დაკოდვა). იგი აღარანაირად არ ემორჩილებოდა თერაპიას". ამ ამბავს ექიმები სამედიცინო ანეკდოტად იყენებდნენ.

ერთი ასეთი ანეკდოტიც ვიცი: ექიმთან მისულა კაცი, იმპოტენციას უჩიოდა. „გიჩაროდეთ, როგორც იქნა, განთავისუფლებულხართ", — დაუმშვიდებია იგი ექიმს.

საერთოდ არ მეცინება ასეთ ანეკდოტებზე, ალბათ ესეც თვითკრიტიკის შედეგია. ის რაღა ანეკდოტია, გაანალიზება რომ სჭირდება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამგვარი რაღაცები არც მაღელვებს. შეიძლება ჩემი გულგრილი დამოკიდებულება ყველაფრისადმი მეტნაკლებად მიცავს კიდეც.

ერთი კვირა იყო, ჰენრი არ მენახა. პრაღაში იყო წასული. შემპირდა, იქიდან გადმოგირეკავო, მაგრამ ისე გავიდა მთელი კვირა, არაფერი გამიგია მისი. იმ ღამეს მორიგე ვიყავი. ჩემს კოლეგასთან ერთად მიმღებში ვიჯექი და ხელფასზე ვლაპარაკობდით: „მე და ჩემს ცოლს ჩვენ-ჩვენი ფული გვაქვს. თუ ვასესხეთ ერთმანეთს, უნდა დროულად და უკლებლივ დავუბრუნოთ კიდეც. ცოლქმრის ამგვარი დამოკიდებულება ფინანსურ საკითხთან რატომღაც ბევრს გაუმართლებლად მიაჩნია. ჩემის აზრით კი აქ არაფერია ცუდი, თანამედროვე ქორწინება ურთიერთობის უფრო დახვეწილ ფორმებს გულისხმობს. ზოგიერთისათვის კი, როგორც ძველად ამტკიცებდნენ, ქორწინებაში ძირითადი მაინც სქესობრივი ურთიერთობაა". ამ ლაპარაკში ვიყავით, ჰენრიმ რომ შემოაღო კარი. ერთმანეთს წარვუდგინე. სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხულობისაგან ორივე თავშე-

კაეებულად იღიმებოდა. ბოლოს ისევ მე გადმომხედეს იმედის თვალით. შეიძლება რამოდენიმე წლის წინ რაიმე ბანალური ფრაზით გამეფანტა ეს უხერხულობა, მერე კი ისევ თავად მენერვიულა ამ ფრაზაზე. ახლა ჭკვა ვისწავლე, თავს აღარ ვიწუხებდი, საკუთარი თავის სულელურ მდგომარეობაში ჩაგდებას და დამცირებას, ისევ დუმილს ვამჯობინებდი. თუმცა ვიცოდი, ამ დუმილით კიდევ უფრო ვძაბავდი სიტუაციას. მაგრამ რა ვქნა, ასე მერჩივნა.

ჰენრი აქეთ-იქით იყურებოდა და ოთახს ათვალიერებდა. ჩემმა კოლეგამ ჩაახველა. ხელს აღარ შეგიშლითო, ჩაიბურდღუნა. თვალი ჩამიკრა და გავიდა. „ვინ არის? — იკითხა ჰენრიმ და ისე რომ, პასუხსაც არ დალოდებია, დააყოლა: რაღაც არ მომწონს ეს კაცი". ხმას არ ვიღებდი.

ჰენრიმ პრაღის ამბები მომიყვა. ბოდიშიც მომიხადა, ვერ დაგირეკეო: „სასტუმროში შეკვეთას არ ღებულობდნენ, ფოსტაში ლოდინის თავი კი არ მქონდა. ახლა პირდაპირ აეროპორტიდან მოვდიეარ შენთან". ყავა და საჭმელი შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა.

ღამის თორმეტის ნახევრამდე არავის შეეუწუხებივართ. მედდები, ეტყობა, თავადაც უძღვებოდნენ საქმეს.

ტახტზე ვიყავი წამოწოლილი. ჰენრი გვერდით მეჯდა და რაღაცებს მიყვებოდა. რას ლაპარაკობდა, არც ვიცი, მხოლოდ მისი ხმა მესმოდა. მერე ახლოს მომიჩოჩდა და კოფთაზე ღილების შეხსნა დამიწყო, მაგრამ მკაცრად გავაფრთხილე: ახლავე მეწყვიტე და სახლში წადი-მეთქი. ღამით აქ აკრძალულია უცხო პირთა დარჩენა. ჰენრიმ ყური არ ათხოვა ჩემს სიტყვებს: „ხვალ არ მივდიეარ სამსახურში და დავრჩები", — განმიცხადა მან.

თუმცა სჯობია გამოეტყდე. ჰენრის გვერდით უფრო მშვიდად ვგრძნობდი თავს. გარედანაც არ მაწუხებდა ხმაური და ეროი პირობა ჩამეძინა კიდეც.

შუაღამის გასაყარზე გულის ნეკროზით დაავადებული ქალი მომიყვანეს. „უკვე რამოდენიმე დღეა მჯდომარეს სძინავს. კარდიოგრამაც გადავულეთ, ტკივილგამაყუჩებელი ნემსებიც გავუკეთეთ, მაგრამ არაფერი შველის", — შემომჩივლა ქმარმა. რამენაირად რომ გამეგო ნეკროზის მიზეზი, დელიკატურად ვკითხე ქალს: „ოჯახში ან სამსახურში რაიმე უსიამოვნებას ხომ არ შეხვედრიხართ?" ქალმა იუკადრისა: „მსგავსი პრობლემა არ გამაჩნია. მე ყველგან ვუყვარვარ და პატივს მცემენ. ასე რომ, სიმულიანტობისათვის არ მცალია". „კი, შეიძლება, ქალბატონო, მაგრამ თქვენი გულის ტკივილი ნერვიული მოშლილობითაა გამოწვეული", — კვლავ გავუმეორე მე, რაზეც ქალი გაშმაგებული წამოხტა და იყვირა: „არავის მივცემ ჩემი შეურაცხყოფის უფლებას!" „ეს არც განმიზრახავს ქალბატონო", — ჩავილაპარაკე ჩემთვის და აბები გამოვუწერე. მაგრამ მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ უშველიდა, თუმცა არც ავნებდა. „სხვა ექიმს მიემართავ", — მომახალა ქალმა და გავიდა. არ შევწინააღმდეგებივარ. ქმარი კი იდგა ულონოდ და აღარ იცოდა რა ექნა: „ჩემს ცოლს ალბათ ვერც ერთი ექიმი ვერ უშველის". გარედან მოისმა ქალის კივილი, ქმარს ეძახდა.

„ჰო, ჰო", — გამოეხმაურა ქმარი და კართან რომ მივიდა, ისევ გამომხედა დაფიქრებულმა, თითქოს რაღაცას მეკითხებაო.

„დამშვიდდით, თქვენი მეუღლე გამოჯანმრთელდება, ზედმეტად ნუ აღელდება, ცხოვრების პირობებიც უნდა შეიცვალოს. ჩვენი შესაძლებლობები ამ შემთხვევაში ნაკლებად დაგეხმარებათ".

„არ ვიცი, ეყოფა კი ამისთვის ძალა?“ — ჩაილაპარაკა მან, მადლობა გადამიხადა, ხელი ჩამომართვა და კაბინეტიდან გავიდა.

შუალამისას სასწრაფო მანქანით რამოდენიმე მთვრალი მოიყვანეს. ხელფეხმოტეხილებიც იყვნენ მათ შორის. მოსაცდელში დასხეს. დროდადრო მათი ყვირილი შემოდიოდა კაბინეტში. გასინჯვის შემდეგ ზოგი პოლიციაში წაიყვანეს, ზოგიც სახლში გაუშვეს.

პირველის ნახევარზე პოლიციამ კიდევ სამი ნასვამი მოიყვანა და გვთხოვეს, მათი სისხლი შეგვემოწმებინა ალკოჰოლზე. ერთი ნასვამთაგანი უშვერი სიტყვებით იგინებოდა და იმუქრებოდა, თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმეო. მეორე კი ციებაშეყრილივით ცახცახებდა. ამ უკანასკნელმა, სახელოების აკეცვა რომ ვთხოვე, ჩამჩურჩულა, ხუთას მარკას მოგცემთ, ოღონდ დამეხმარეთო. „გაჩუმდით!“ — დავუყვირე ხმამაღლა. შეშინებულმა მაშინვე იქვე მდგომ პოლიციელს გადახედა, მაგრამ ის ჩვენსკენ არც იყურებოდა.

როცა ეშუშაობდი და ჰენრი იქ იყო, ყურადღება მეფანტებოდა. მისთვის ველარ ვიცლიდი. ამიტომ ვთხოვე, სახლში წასულიყო. გამომშვიდობებისას ვაკოცე და შევპირდი, დილითვე დაგირეკავ-მეთქი.

ამ ორი კვირის წინ ჰენრი მთელ მორიგეობაზე დარჩა ჩემთან. აინტერესებდა, რა მევალებოდა მთელი ღამის განმავლობაში. სწორედ იმ დღეს კოლეგამ მთხოვა და სასწრაფო დახმარების მანქანაზე მომიწია მორიგეობა. შუალამისას ქარხნის კლუბში გამოგვიძახეს. გვეგონა, სერიოზული რამ მოხდა. ადგილზე მისულებს სხვა სასწრაფო მანქანაც დაგვხვდა.

ქარხნის სასადილოში ცეკვები გაემართათ. ყარაულმა დანახვისთანავე გაგვიღო კარი. მეორე სართულიდან მუსიკის ხმა ჩამოდიოდა. რამოდენიმე ბიჭი ფანჯრიდან იყურებოდა და ხელით რაღაცას გვანიშნებდა. მაგრამ მუსიკის ხმაში არაფერი გვესმოდა.

დაზარალებულები დაბლა გასახდელში ისხდნენ. პირველად მოსულ სასწრაფო დახმარებას უკვე გაეკეთებინა ყველაფერი, ჩვენ საჭირო აღარც ვიყავით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც შევთავაზე ჩემს კოლეგას დახმარება. მანაც გამაცნო საერთო მდგომარეობა. საგანგაშო არაფერი იყო. მხოლოდ ორი მათგანი უნდა წაგვეყვანა პოლიკლინიკაში რენდგენის გადასაღებად. რამოდენიმე ახალგაზრდამ, ეტყობოდა, მორიგეები იყვნენ, სკამიდან წამოაყენეს მთვრალები და ხელის კვრით მიიყვანეს გასასვლელამდე.

ჰენრიმ მაღლა ასვლა მოისურვა. და ჩვენც უკან მივყევით. მარცხნივ ბუფეტი იყო. მაშინვე გვეცა ცხვირში ცხელი სარდელებისა და ამჟავებული ლუდის სუნი. გამყიდველი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის, თავმოტვლეპილი კაცი იყო. მოკლე შორტები ეცვა და შიშველ ტანზევე შემოეცვა ჭუჭყიანი ხალათი.

მუსიკის ხმას მივყევით და საცეკვაო დარბაზში ამოვყავით თავი. კართან შევჩერდით და შიგნით შევიხედეთ. დარბაზი მთლად ჩაებნელებინათ. მხოლოდ სცენა იყო განათებული ფერად-ფერადი ნათურებით. მუსიკა გამაყრუებლად ხმამაღლა ჟღერდა. ახალგაზრდები ბოთლებით სავსე მაგიდებს მისჯდომოდნენ. ზოგნი რიგებს შორის მოჩვენებებივით დაბორიალობდნენ. ერთი-ორმა თავი ვერ შეიკავა და წაიქცა კიდეც. ცენტრში რამოდენიმე წყვილი ცეკვავდა. სიბნელეს რომ შევაჩვიე თვალი, მაშინლა შევამჩნიე, რომ მხოლოდ გოგონები ცეკვავდნენ. ბიჭები მათ საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. ისხდნენ უაზროდ და სვამდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მუსიკოსები შესასვენებლად ლერეფანში გამოვიდნენ. მუსიკის შეწყვეტისთანავე დარბაზიდან საშინელი ღრიანცელი გამოიჭრა.

დარბაზიდან გამოვედით. მარჯვენა საფეთქელი საშინლად მტკიოდა. ფანჯარასთან მომღერალი ქალი იდგა ვიღაც კაცთან ერთად. ქალი გამოძწვეულად იყო შელებილი, ბრჭყვიალა კაბა ეცვა და აქაურ ჩაჯინსულ ახალგაზრდებს შორის შემთხვევით შემოფრენილ პეპელას ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოგეწონათ ჩვენი სიმღერა?“ — მკითხა მან.

„როგორ გითხრათ, გამაძლიერებლები მუსიკას ფარავდნენ“.

„მართალს ამბობთ, — დამეთანხმა იგი, — მაგრამ იმათ ასე სურთ და“... დარბაზზე მიმითითა.

„რატომ არ ცეკვავენ?“ — იკითხა ჰენრიმ.

„რა ვიცი, აბა. ცეკვით არასოლეს ცეკვავენ. მოდიან და სვამენ მხოლოდ“, — გულგრილად მიუგო მომღერალმა.

„მაშ, რიღასთვის მოდიან?“ — გაუკვირდა ჰენრის.

მომღერალს ჩაეცინა და ხელში რომ წითელი ღვინის ბოთლი ეკავა, ჩვენც გამოგვიწოდა. თვითონაც ასევე, ბოთლიდან სვამდა. „არა, გმადლობთ, სამუშაოზე არ შეიძლება“, წელან რომ შეგვხვდნენ, ის მორიგე ახალგაზრდები ამოდიოდნენ კიბეზე. ერთ-ერთი მოგვიახლოვდა, ასე თვრამეტი წლის ბიჭი იქნებოდა.

„მოხდა რამე? — და თავადვე დააყოლა: — არაფერიც არ მომხდარა...“ თან თავმომწონედ ჩაგვიკრა თვალი. მერე კი მეგობრებთან ერთად დარბაზში შევიდა. თვალი გავაყოლეთ. სიბნელეში ძლივს მიიკვლევდნენ გზას, ხან რას წამოედნენ და ხან რას. ყველა მაგიდას ჩამოუარეს. რამოდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ ვიღაც მთვრალი სულ ხელის კვრით გამოაითრიეს გარეთ, ერთი ალიყურიც უთავაზეს და კიბისკენ უბიძგეს. თან სიცილი დააყარეს. ის თვრამეტი წლის ბიჭი ისევ მოგვიახლოვდა, თვალი ჩაგვიკრა და თავმომწონედ გვკითხა: „ხომ ოპერატიულად ვმუშაობთ?“ — და კვლავ დარბაზში დაბრუნდა.

„მორიგეები არიან, — აგვიხსნა მომღერალმა. — ეგენი რომ არ იყვნენ, ღმერთმა უწყის, მართლა რა მოხდებოდა აქ“.

„წარმომიდგენია“ — დაეთანხმე მეც.

„ადვილი არაა აქ მუშაობა, ძალიან მიძნელდება“, — შემომჩივლა მან.

„მაინც სად იმუშავებდით?“

„არ ვიცი, მაგრამ სადღაც სხვაგან. მთელი უბედურება ისაა, რომ ერთ ნორმალურ ადამიანს ვერ შეხვდები აქ. სმის მეტი არაფერი აინტერესებთ. მერე ერთი ღამისთვის გოგოსაც გამოიჭერენ და ამითაც კმაყოფილდებიან“.

გვერდით რომ მუსიკოსი ედგა, შეეპასუხა, მაგრამ მომღერალმა მაშინვე შეაწყვეტინა: „რა, მართალს არ ვამბობ? აბა, ვინაა აქ ნორმალური, ვისთან შეიძლება დალაპარაკება? თქვენ ხომ გესმით, რასაც ვამბობ?“ — მომმართა მან.

მომღერალი ჩემი ხნისა იქნებოდა, მაგრამ ისე იყო შელებილი, რომ უფრო ასაკოვანს ჰგავდა.

დაბლა ჩავედით. ჩვენს მანქანასთან ორი პოლიციელი იდგა.

„რა უნდათ ამ ბიჭებს, რისთვის მოდიან?“ — ჰკითხა მათ ჰენრიმ.

„არც არაფერი, რა უნდა უნდოდეთ დალევის მეტი“.

„დალევა და აყალმაყალის ატეხვა“, — დაემოწმა მეორეც და ორივემ გაიცინეს.

„მასეც არაა ალბათ. შეიძლება რაღაცის იმედით მოდიან. რაღაცას ეძებენ და ვერ უპოვიათ“.

პოლიციელებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. მანქანაში რომ ჩავსხედით, ერთ-ერთმა პოლიციელმა ჰკითხა ჰენრის: „თქვენ ექიმი ბრძანდებით?“

ის იყო, ვუთხარი, დიახ-მეთქი, რომ ჰენრიმაც უპასუხა, არაო. ჰო თუ არა? — გაგვიმეორა მან შეკითხვა.

„ჩემი ქმარია“, — ავუხსენი მე.

„თქვენ ხომ იცით, ქმრებს არა აქვთ ამ მანქანით მგზავრობის უფლება“. პასუხი აღარ გაგვიცია მათთვის. მანქანა დაიძრა. ამის მერე ორი სხვა გამოძახებაც მქონდა. ორჯერვე თან გამომყვა ჰენრი. ცოტა არ იყოს იმედგაცრუებული დარჩა, უფრო მეტს მოელოდა. რას ვიზამთ, არც თუ ისე მომხიბვლელია ჩვენი საქმე.

ამიტომაც ვთხოვე დღეს, რომ წასულიყო. ვიცოდი მაინც გაბეზრდებოდა. კლინიკის წინ ვიდექი და ჰენრის მანქანას გავიცქეროდი. ცივდა, მთლად ვკანკალებდი. ულრუბლო ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი; ისეთი დაღლილი ვიყავი, სისხლი მაწვებოდა თავში, ვცდილობდი ღრმად ჩამესუნთქა სუფთა ჰაერი. ცოტა ხანს ვიდექი და ისევ შენობაში შევედი.

თავი მეცხრე

ოქტომბრის შუა რიცხვებში ქალაქ G-ში გავემგზავრეთ. ორი დღე თავისუფალი მქონდა და არ მინდოდა დავრჩენილიყავი ბერლინში.

მოულოდნელად გადავწყვიტე ყველაფერი. ოთხშაბათ საღამოს ქალაქ G-ს სასტუმროში გადავრეკე და ოთახი შევუკვეთე.

ძნელია ასახსნელად რატომ გავემგზავრე მაინცდამაინც ამ ქალაქში, თუმცა რა, ბავშვობა ხომ აქ გავატარე. თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა ჩვენი ოჯახი სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. მას მერე არც ვყოფილვარ იქ.

წინა დღით სამსახურში დავურეკე ჰენრის, ქალაქიდან გასვლას ვაპირებმეთქი. „შეიძლება მეც გამოგყვე?“ — მკითხა მან. ჯერ უარი ვუთხარი, ვიცოდი, მოსაწყენი იქნებოდა მისთვის. მაგრამ მერე ისევ თვითონ შევთავაზე: „თუ წამოხვალ, მოხარული ვიქნები“.

„არ გეშინია, მოგონებებმა თუ წარსულის აჩრდილებმა საბედისწერო როლი რომ ითამაშოს შენს ცხოვრებაში? ვაითუ მკვდრეთით აღსდგნენ?“ — გამეხუმრა ჰენრი.

„შენ წარმოიდგინე, მაგაზე სულ არ მიფიქრია. არც კი ვიცი, საერთოდ, რისთვის მივდივარ ამ ქალაქში. მაგრამ აქ ამ ჩემს ბუნაგში, რომელთანაც არაფერი მაკავშირებს, უფრო მეშინია დარჩენა, ვიდრე იქ წასვლა“.

„იქნებ სხვაგან წავსულიყავით, უაზრობაა წარსულის გაცოცხლება, ეს შენ არაფერს შეგმატებს“.

„კი მაგრამ, მე მაინც მინდა კიდევ ვნახო ჩემი ბავშვობის ქალაქი და მოგონებები სინამდვილეს შევადარო“.

შევთანხმდით, რომ საუზმის შემდეგ წავიდოდით. მეორე დილით ცხრა საათისთვის გამომიარა ჰენრიმ. გზაში მთხოვა: „მომიყევი რაიმე შენს ბავშვობაზე“. როგორც მახსოვდა, ისე ავუწერე ჩემი ქალაქი, სახლი, გავიხსენე რაღაცრაღაცები ჩემს მშობლებზე, დაზე, სკოლის მეგობრებზე, სიყვარულზე და სხვადასხვა საიდუმლოებებზე.

იმდენი ვიცინეთ გზაში, რომ მშობლიური ქალაქის ნახვის მოულოდნელი

სურვილი აღარ მეჩვენებოდა უცნაური და ახსნა-განმარტებების მოძებნასაც აღარ ვცდილობდი.

ქალაქ G-ში შესვლისთანავე, როგორც კი ნაცნობ ქუჩებს მოვკარი თვალი, გული შემეკუმშა. და რამენაირად რომ განვმუხტულიყავი, სულ სხვა თემაზე წამოვიწყე ლაპარაკი. ჰენრიმ მკითხა: „სასტუმრომდე როგორ მივალ?" მაგრამ მეც დამვიწყებოდა და ვიდრე „ოქროს ღუზამდე" მივაღწევ, რამდენიმეჯერ შეგვეშალა გზა.

დიდხანს მოგვიწია ადმინისტრატორის ლოდინი. როგორც იქნა, გამოჩნდა ერთი მსუქანი გოგო. მან თავიდანვე უნდობლად შემოგვხედა და ყოველ ჩვენს შეკითხვაზე უგულოდ გვიპასუხა. ორადგილიანი ოთახები თავისუფალი არ აღმოჩნდა და ორი ერთ ადგილიანი ავიღეთ. ვიდრე ანკეტებს შევავსებდით, დაჟინებით გვიყურებდა. მერე გასაღებები გადმოგვცა და დაფაზე ჩამოკიდებულ დღის წესრიგზე მიგვითითა. ანკეტები გამოგვართვა, ყურადღებით ჩაიკითხა; თაროდან დიდი წიგნი გადმოიღო და ჩვენი მონაცემები ჩაიწერა.

უკვე კიბეზე ავდიოდით, რომ უცბად თავში გამიელვა აზრმა, გამეგო, კიდევ ვინ იყო სასტუმროში გაჩერებული. მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, ადმინისტრატორმა ვერ გამიგო და უკმეხად მიპასუხა: „რამოდენიმე მივლინებითაა ჩამოსული, დანარჩენები კი როგორც თქვენ".

ვთხოვე სარეგისტრაციო წიგნი ეჩვენებინა, მაგრამ მან წიგნი დახურა და უჯრაში ჩადო, თავისი დაწითლებული ხელები მაგიდაზე შემოაწყო და გულგრილად ამომხედა. მაშინვე მივხვდი, რასაც მეუბნებოდა მისი თვალები, სანამ აქედან არ წახვალ, ფეხს არ მოვიცვლიო.

„რას ეხვეწებოდი იმ ადმინისტრატორს?" — დაინტერესდა ჰენრი. შეცბუნებულმა გავუღიმე და ავუხსენი რაც მაწუხებდა: „ვიფიქრე, იქნებ ჩემი ბავშვობის მეგობართაგან ვინმე ყოფილიყო აქ. ჩემი ჩამოსვლის მიზეზსაც ამაში ვეძებდი. ეგ კი არა, ასეთმა აზრმაც გამიელვა ერთ წამს, რომ მთელი სასტუმრო ჩემი თანაკლასელებით იქნებოდა გადაჭედილი, რომლებიც ასევე მოგონებებმა ჩამოიყვანეს აქ. იქნებ სისულელეებსაც ვროშავ, მაგრამ საინტერესო კი იქნებოდა, არა"?

საღამოსათვის ქალაქში გავისეირნეთ. ჩემს წარმოსახვებთან შედარებით ყველაფერი უფრო სხვანაირი მეჩვენებოდა. არა და, თითქოს არაფერი შეცვლილიყო. ძველი სკოლის წინ, სასაქონლო მაღაზიის თავზე ჯერ კიდევ შემორჩენილიყო სიძველისაგან გაცრეცილი აბრა წარწერით: „საქონელი კოლონიებიდან, აღმოსავლური ხილი, იმპორტი".

ასე მეგონა, უჩინმაჩინის ქუდით დავიარებოდი ქალაქში. მე ვხედავდი და ვცნობდი ყველაფერს, მაგრამ მე არავის და აღარაფერს ვახსოვდი უკვე. ოცდაათი წელი გავიდა მას მერე, რაც აქ აღარ ვყოფილვარ. ქალაქი არ შეცვლილა, ისეთივე დარჩა, მაგრამ ჩემთვის მაინც უცხოდ გამოიყურებოდა, და ეს მხოლოდ მე ვიცოდი. იქნებ შეცვლითაც შეიცვალა რამე, მაგრამ მე ვერ ვამჩნევდი ამ ცვლილებებს. სწორედ ასეთად წამომედგინა, როგორადაც დამამახსოვრდა თოთხმეტი წლის გოგონას, თავისი ბავშვური ოცნებებითა და გრძნობებით. ეს კი ის გოგონა იყო, რომელთანაც მაკავშირებდა და აღარც მაკავშირებდა რაიმე.

გადავწყვიტეთ სასტუმროში გვესადილა და ბაზართან, საფუნთუშეში შევედით ნამცხვრის საყიდლად. ახალგაზრდა ქერათმიანმა გოგონამ თავაზიანად გვკითხა, რას ინებებთო. საფუნთუშეში დახლები კი ახალი გაეკეთებინათ, მაგრამ კედლები ისევ ძველებურად კაფელის იყო. მარჯვენა კარი, ადრე საცხობში

რომ გაეყავდით, ახლა დაკეტილი იყო. მეორე თეთრფარდებიანი კარს იქით საფუნთუშის მეპატრონე ცხოვრობდა. მახსოვს, დროდადრო თვითონ მაღაზიის მეპატრონის ცოლი გამოდიოდა და თუ ვინმე ნაცნობს დაინახავდა, ურიგოდ ემსახურებოდა. ქერათმიანმა გოგონამ მოხერხებულად და სწრაფად შეიხვია ნამცხვარი და გამომიწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სად შეიძლება დიასახლისის ნახვა?" — ვკითხე მე.

„ერთი წამით", — თქვა მან და ფარდებიან კარზე დააკაკუნა.

კარი ოდნავ გაიღო. გამყიდველმა რაღაც უთხრა შიგნით მდგომს, რა, ვერ გავიგონე, მაგრამ ამის შემდეგ შიგნიდან ორმოცდაათი წლის ფაშფაშა ქალი გამოვიდა. თმა მუქწითლად ჰქონდა შეღებილი, ერთი კულული დაეტოვებინა მხოლოდ თეთრად. საშინაო ხალათი ეცვა. გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა: „გისმენთ".

მე ხმას არ ვიღებდი. ქალი კი იდგა და გაოგნებული მომჩერებოდა.

„გნებავთ რამე?"

„არა, მაპატიეთ, გეთაყვა", — თავი გავიქნიე უაზროდ. ფული გადავუხადე, ავიღე ჩემი ნამცხვარი და ქუჩაში გავედი. გამყიდველმა და მაღაზიის ახალმა მეპატრონემ თვალი გამომაყოლეს.

იქაურობას როგორც გავშორდი, ჰენრიმ მთხოვა, დავმშვიდებულიყავი.

„მახსოვს, ბავშვობაში ათ პფენინგად გვაძლევდა ნამცხვარს. სადილობის შემდეგ ყოველთვის აქ მოვდიოდით". ჰენრიმ თანაგრძნობით გადააქნია თავი. საღამომდე აღმა-დაღმა დავბორიალობდით ქალაქში. მიულბერგის მთაზეც ავედით, ძველი წისქვილიც ვნახეთ, ქალაქის თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობა დავათვალიერებინე ჰენრის. მათ შორის შილერის ოთახი და ლუიზენის ქვაცმერე ბისმარკის ბაღში გავისეირნეთ, სადაც შადრევანი და პატარა ზოოპარკიც იყო. ამ ზოოპარკში ახლა მხოლოდ შველები, არჩვები და თუთიყუშები შემორჩენილიყვნენ. გალია, ადრე თეთრი ბუ რომ სახლობდა, ახლა ცარიელი იყო. გამიკვირდა, ასე გაღარიბებული რომ დამხვდა ზოოპარკი. არადა, რამდენი კიდევ სხვა ცხოველი ბინადრობდა აქ! რა ვიცი, იქნებ მოგონებები მღალატობდა, მაგრამ მე მაინც სხვანაირი ზოოპარკი მახსოვდა.

ჰენრის ისე მოეწონა ბაღი, რომ გაიხუმრა კიდეც: „სიამოვნებით ვიმუშავებდი ასეთ ზოოპარკში მებალედ ან ყარაულად".

გზაში საკანცელარიო მაღაზიასთან ერთი ბავშვიანი ქალი შემოგვხვდა. მაშინვე ვიცანი ლუსია ბრემი. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ჰენრიმ შეშაჩნია და ხელი მომიჭირა.

„არ გინდა", — ჩაილაპარაკა მან ჩუმად. თუმცა ხმაში მაინც ეტყობოდა, რომ დაჟინებით მთხოვდა.

ჩემზე წინდახედული გამოდგა. მართლაც არ ღირდა ემოციებს აყოლა.

თითქოს ლუსია ბრემმაც შეამჩნია ჩემი მზერა და გამომხედა. მე გავუცინე. თვალს არ მაშორებდა. უფრო დამშვენებულიყო. ბავშვური, გულუბრყვილო სახე დანაზებოდა და დახვეწოდა. მაგრამ მის გამოხედვაში კვლავ უმწეობა იკითხებოდა. რატომღაც ეს გამოხედვა ადრე ყალბი და მლიქვნელური მეჩვენებოდა. მაგრამ ახლა ნაოელი ჩასდგომოდა თითქოს.

ჩემმა ღიმილმა გააოცა ლუსია. ერთ ხანს მაკვირდებოდა კიდეც, მერე კი შებრუნდა და წავიდა.

„ლუსია ჩემზე ორი მერხით წინ იჯდა. — მივუბრუნდი ჰენრის. — კლასში არავის არ უყვარდა. რატომ, თავადაც არ ვიცოდით, უბრალოდ რაღაც არ მო-

გვწონდა მისი. ხან ერთთან ცდილობდა დამეგობრებას, ხან მეორესთან, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ყველა კლასში ხომ თავისი დაუწერელი კანონი არსებობს, და ჩვენც ეს ჩვენივე კანონი გვიკრძალავდა მასთან მეგობრობას. ამ კანონის დარღვევას ვერავინ ვბედავდით და სიმართლე რომ ვთქვა, არც ვეუნდოდა. მახსოვს, ერთადერთს მას არ ჰქონდა სპორტული ფორმა, და ფიზკულტურის გაკვეთილზე ეარდისფერ ტრუსში უწევდა ვარჯიში. ერთხელ ღერძზე ვარჯიშისას, ვიღაც გოგომ ტრუსი ჩახადა, შეშინებული ლუსია სირცხვილისაგან ლეიბზე დავარდა. ყველამ სიცილი ავტეხეთ, მასწავლებელიც იცინოდა. სასაცილოდ იკლაკნებოდა საცოდავი ლუსია, რათა, როგორმე მისწვდომოდა ტრუსს. ძაგრამ ადგომას ვერ ახერხებდა. ხელის ვულს იფარებდა, წვალობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ბატონმა ებერტმა ორი თითით აიღო ტრუსი და ისეთ სიმაღლეზე დაიჭირა, რომ ლუსია მაინც უნდა ამდგარიყო ფეხზე. როგორც იქნა, იკადრა ბატონმა ებერტმა და ხელი გაუშვა ტრუსს. ლუსია დასწვდა და სასწრაფოდ ამოიცვა. ჩემდა გასაოცრად არც კი ატირებულა. გაბრაზებითაც არავისზე გაბრაზებულა. დამორცხვებული იდგა და პირფერულად შემოგვცქეროდა, თითქოს ჩვენს სიყვარულს თხოულობდაო. ქლესა იყო და არავის უყვარდა".

ბატონ ებერტისა ყველას გვეშინოდა. სპორტში ძლიერებიც კი ძრწოდნენ მის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მას უყვარდა ძლიერი მოწაფეები. ვაი მას, ვინც იმედს გაუცრუებდა, აღარ პატიობდა. მისი სალანძღავი სიტყვები იყო საფრთხობელა და ბოთე. დამარცვლით, თვითკმაყოფილი გამოსცრიდა ხოლმე ამ სიტყვებს. თუ რომელიმეს მიმართავდა ასე, დანარჩენები სიმწრისაგან ვიცინოდით. ეიცოდით, ჩვენი რიგიც დადგებოდა. მაგრამ დაცინვა ისე გვაუძლურებდა, რომ სრულიად უბრალო ილეთსაც კი ვეღარ ეაკეთებდით. როცა ბატონი ებერტი აბუჩად გვიგდებდა და დაგვცინოდა, ამით მხოლოდ ჩვენს სპორტულ შესაძლებლობებს როდი უსვამდა ხაზს, იგი ამით პირდაპირ ჩვენს თავმოყვარეობაზე მოქმედებდა. გოგონებს საფრთხობელას გვეძახდა, ბიჭებს — ბოთეს. მოგვიანებით მივხვდი, რატომაც.

უფროს კლასებში ვინ იყო ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი, აღარ მახსოვს, თუმცა ჩემთვის ესეც ბატონი ებერტის ასოციაციას იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაც, ქალაქიც და მასწავლებელიც უკვე სხვა იყო. ამ ახალ მასწავლებელსაც ჰყავდა რჩეული გოგონები, რომელთაც ყოველდღე აიძულებდა იატაკზე ეკოტრიალათ. თითოს რამოდენიმეჯერ ამეორებინებდა ვარჯიშს, თვითონ კი იდგა და კმაყოფილი მისჩერებოდა. დანარჩენი მოსწავლეები, საბედნიეროდ, მეც მაშინ იმ დანარჩენებში ვითვლებოდი, — მთელი გაკვეთილი სკამზე ვისხედით და მათ შევცქეროდით. ჩუმ-ჩუმად ვიცინოდით. ჩვენი თანაკლასელები გვეცოდებოდნენ, მაგრამ ცოტა არ იყოს გვშურდა კიდეც მათი, როცა ვხედავდით, რა ალერსიანად ებაასებოდა ჩვენი მასწავლებელი თავის რჩეულებს. ხანდახან ხელის შეხების უფლებასაც აძლევდა თავს.

კარგა ხანს სკოლის დამთავრების შემდეგაც ძალზე განვიცდიდი ჩემს მოუქნელობასა და არასპორტულობას. მრცხვენოდა, რომ მე საფრთხობელად მთვლიდნენ. ერთხელ ერთ მეგობარსაც გავანდე ჩემი გულისტკივილი და აღმოჩნდა, რომ მასაც და კიდევ ბევრ სხვასაც აწუხებდათ იგივე პრობლემა. როგორც ჩანს, ყველა ჩვენგანს ჰყავდა ბავშვობაში „ბატონი ებერტი". და თავის თავზე ჰქონდა გადატანილი დაცინვის მომშხამველი ნექტარი. გახსენებაც კი შზარავს, იმდენჯერ განმიცდია მარცხი ფიზკულტურის გაკვეთილზე, იმდენი ტკივილი თუ სირცხვილი, სულიერი ტრავმა მოუტანია ამ გაკვეთილს ჩემთვის.

შეიძლება ამაში იყოს რაღაც სუბიექტურიც, იქნებ აკვიატებული, ან ეგზალტირებული. რადგან პრობლემებისა თუ სირთულეების ჭეშმარიტი შეფასება შეუძლებელია ღრმა გააზრების გარეშე, მით უმეტეს ამგვარი საკითხისა. მე კი მოკლებული ვარ საღ აზრს და ისევ სკოლის ლეიბზე დანარცხებულად მიმაჩნია თავი.

ჰენრი ყურადღებით მისმენდა და მიღიმოდა: „არ გინდა, ...

საღამოს კინოში წავედით. სასტუმროში, ან რესტორანში ჯდომას ისევ ეს ვამჯობინეთ. მერე „შავ ლომში", რომელიც უფრო ლუდხანას ჰგავდა, სამსამი ულუფა გულიაში შევუკვეთეთ. პური ბევრი მოვატანინეთ. ყველაფერი დაკეტილი იყო და სასტუმროში დაბრუნება არ გვინდოდა. წვნიანს წყლის გემო ჰქონდა და ცარიელ პურს მივადექით. ყველა იქ მყოფი ლუდს შეექცეოდა და ჩვენ შემოგვცქეროდა. მათ შორის ნაცნობები ვერ აღმოვაჩინე.

კინოთეატრის სალაროში ლოდინმა მოგვიწია. ბილეთების გამყიდველმა გვითხრა, კინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებ, თუ ხუთი მაყურებელი მაინც შეგროვდებითო. კინოთეატრის წინ ორი არასრულწლოვანი იდგა. ჩვენ მოსაცდელში ვიდექით და სიგარეტს ვეწეოდით.

ცხრის ხუთი წუთი იქნებოდა, ორი ყმაწვილი შემოვიდა გოგონებთან ერთად, ოთხი ბილეთი უნდოდათ, მაგრამ მოულოდნელად ერთმა გოგომ განაცხადა, გადავიფიქრე, აღარ შემოვდივართ. და ფოიედან გაკარდა. მეორე გოგოც თან გაჰყვა. მაგრამ ერთ-ერთი ბიჭი დაედევნა და რამოდენიმე წუთში თმით მოათრია სალაროსკენ. ბილეთების ყიდვაზე ბიჭებიც უარზე იდგნენ და გოგონებიც, ბოლოს ისევ გოგონებმა გადაიხადეს ფული.

კინოდარბაზი სულ არ იყო შეცვლილი, ისევ ისეთი წითელ გადასაკრავიანი სკამები, მწვანე კედლები. ჯერ ისევ სალაროსთან ვიდექით, კინომექანიკოსმა რომ ფილმის გაშვება დაიწყო, დარბაზშიც არ ჩაექროთ შუქი. ესპანური ფილმი გადიოდა. კარგად კი იყო გადაღებული, მაგრამ შინაარსი ჰქონდა ისე უინტერესო, რომ შუა ფილმიდან გამოვედით. იმ ოთხ ახალგაზრდას ხომ საერთოდ არ ეცალათ ფილმისთვის, კოცნით იყვნენ გართულნი.

ფოიეს კარი დაკეტილი დაგვიხვდა და მოლარეს დავუძახეთ. ამ უკანასკნელმა უკმაყოფილოდ გადმოგვხედა, რადგან ჩვენ რომ არა, ალბათ ამ ფილმს არც გაუშვებდნენ და ახლა უკვე სახლშიც იქნებოდა.

სასტუმრო დაეკეტათ უკვე. ჩვენს ზარზე მორიგე გამოვიდა და გასაღებები მოგვცა. ჯერ მხოლოდ ცხრა საათი იყო, მაგრამ ისე მეძინებოდა, რომ მაშინვე გამოვემშვიდობე ჰენრის.

ვერაფრით ვერ მოვისვენე, ერთ საათში ავდექი და ისევ დაბლა ჩავედი. ღამის მორიგეს სამი ბოთლი ღვინო ვთხოვე. ჯერ უარი მითხრა, გვიანიაო, მაგრამ ათი მარკა შევთავაზე და როგორც იქნა, დავითანხმე. ნომერში დავბრუნდი და სავარძელში მოვკალათდი. ვიცოდი, მაინც ვერ დავიძინებდი.

რა უაზრობა იყო აქ ჩამოსვლა, ჰენრიც სულ ტყუილად ჩამოვიყვანე. საკუთარი შეცდომების გადალახვას ალბათ მარტო უფრო ადვილად შევძლებდი. წარსულს რა დააბრუნებს. ჩვენ მხოლოდ მოგონებების ნაფლეთები გვრჩება, ისიც დამახინჯებული და გაყალბებული. რაღა საჭიროა წარსულთან ხელახლა დაბრუნება, როცა მაინც ველარაფერი შეცვლის ძველ ოცნებებსა და მოგონებებს, როგორადაც ჩაგვებეჭდა, ასეთად გვემახსოვრება ბოლომდე. დღეს აღარ არსებობდა ჩემი მშობლიური ქალაქი, ახლანდელმა ქალაქმა დიდი ხანია გადაივიწყა იგი. მხოლოდ ქვად ქცეულ მოგონებებშიღა თუ აღიდგენ ძველს, წვი-

მისაგან უკვალოდ წაშლილ წარსულს. უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილია, ველარ დაბრუნდები მშობლიურ სახლში. ჩვენს უკან მხოლოდ ნანგრევებია და იქ დაბრუნებულსაც გაქვავება მოელის.

ჩვენი სკოლა საწყობად გადაეკეთებინათ. მის მოპირდაპირე მხარეს კი ახალი შენობა აეგოთ. მინდოდა, ფანჯრებიდან მაინც შემეჭყიტა ჩემს საკლასო ოთახში, მაგრამ მინები ჭუჭყისაგან ისე იყო დაბინდული, რომ ჩემი სახელა მოჩანდა მხოლოდ. ზემო სართულის ფანჯრები მთლად დაელურსმათ. ეს ის კედლები იყო, სადაც ოდესღაც ჩემს თანაკლასელებთან ერთად ყოვლისშემძლე მასწავლებლების სიყვარულისა და კეთილგანწყობის მოხვეჭას ვცდილობდი. ახლა კი მთლად ჩამონგრეულიყო.

მახსოვს თითქმის ყველა გოგო ერთ მასწავლებელზე ვიყავით შეყვარებული. ეს იყო ბატონი გერშკე, ისტორიას გვასწავლიდა. ზაფხულში, პაპანაქება სიცხეშიც კი პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილი დადიოდა. საოცრად სამართლიანი იყო, რაც ჩვენთვის, ბავშვებისთვის შეფასების საუკეთესო კრიტერიუმად ითვლებოდა. მისი ხათრით ყველა ვსწავლობდით. მოსაბეზრებელ დამატებით ლიტერატურასაც კი ვკითხულობდით, რომ როგორმე მისი შექება დაგვემსახურებინა. მეექვსე კლასში ვიყავით, ბატონი გერშკე უკვალოდ რომ გაქრა. სკოლაში ხმები დაირხა, მეცხრე კლასელი გოგო შეაცდინაო. თავზარი დამეცა. არ მესმოდა სიტყვა „შეცდენის" მნიშვნელობა. მე მეგონა, ის გოგო სცემა, აწვალა. და ამან შემზარა. ჩემი გულის ტკივილი ერთ თანაკლასელსაც კი გავუზიარე. დამცინა: „სულელო, ისტორიის მასწავლებელმა კი არ სცემა ის გოგო, პირიქით". მაინც ვერ გავიგე ეს „პირიქით". ვიდრე არ განმიმარტა, ბატონ გერშკეს შეუყვარდაო ის გოგო.

„აი თურმე რა ყოფილა", — ჩავილაპარაკე ჩემთვის. ვითომცდა ყველაფერი გავიგე. ცოტა არ იყოს შემშურდა კიდეც იმ მეცხრეკლასელი გოგონასი. თუმცა ეს შური კი არა, სურვილი იყო, რომ მალე გავზრდილიყავი, და ბატონ გერშკეს ჩემთვისაც მოექცია ყურადღება. და მხოლოდ დამატებითი ლიტერატურის წაკითხვით არ დამემსახურებინა მისი შექება. მინდოდა, გარეგნობითაც მოვწონებოდი.

მაინც ვერ გაიგე, რა იყო ცუდი იმაში, რომ მასწავლებელს მოსწავლე შეჰყვარებოდა. და დედას ვკითხე. დედაც თავისებურად შეეცადა ჩემს გათვითცნობიერებას, მაგრამ ამ ამბით შეშინებულმა ისე გადაამლაშა, რომ მთლიანად ჩაკლა, ჩაახშო ჩემში საუკეთესო ოცნებები და თვით იმის სურვილიც კი, რომ როდისმე გავზრდილიყავი. ადრეულ ასაკშივე გამიჩნდა კომპლექსი მამაკაცთან ურთიერთობაში. დედამ ამიხსნა, რომ არასოდეს არ უნდა მიეკარებოდი მამაკაცს, თუ მის სიყვარულში არ დავრწმუნდებოდი. და ვისაც შევუყვარდებოდი, ბოლომდე მისთვის უნდა შემეწირა სიცოცხლე. თექვსმეტი წლის ვიქნებოდი, პირველად რომ გავბედე და ბიჭს ვაკოცნინე. მაგრამ რა დამავიწყებს, სახლში დაბრუნებული როგორ ვიხეხებოდი წყლის ქვეშ.

სამედიცინოზე ვსწავლობდი უკვე და არდადეგებზე შინ ჩავედი. გამიკვირდა, როცა ჩვენს ოჯახში ჩემი პატარა დის, თექვსმეტი წლის გოგონას მეგობარი გავიცანი. ეს იყო ორმოცი წლის, გაჭაღარავებული კაცი, რომელსაც ხელზე ჯერ კიდევ მოუჩანდა ქორწინების ბეჭდის ნაკვალევი. გაოგნებული შევცქეროდი ჩემს მშობლებს, ასე ბუნებრივად, ჩვეულებრივ ამბად რომ მიიჩნიეს და მიიღეს, თავიანთი უმცროსი ქალიშვილის, თითქმის მამის ტოლი კაცი. თითქოს სადღაც გამქრალიყო, მთლიანად განთავისუფლებულიყვნენ ჩემი მშობლები იმ

შიშისაგან, ბავშვობაში რომ დამატეხეს თავს. რამაც კარგა ხანს დამიმახინჯა შეხედულებები მამაკაცთან ურთიერთობაზე.

მას მერე არც ისტორიის მასწავლებელი, არც ის მეცხრე კლასელი გოგონა აღარ გამოწენილან სკოლაში. გოგონა მშობლებთან ერთად სხვა ქალაქში გადასახლდა. მასწავლებელი კი, როგორც თქვეს, დააპატიმრეს. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ის რეაბილიტირებულ იქნა და სხვა ქალაქში [illegible] მასწავლებლად. იმ გოგონას ყველაფერი თვითონ შეუთხზავს.

ამ ამბავმა ძალზე ააფორიაქა ჩვენი მასწავლებლები, და ყველა მიგვახვედრა, რომ მხოლოდ მოსწავლეებს არ გვჭირდებოდა მათგან თავდაცვა. მასწავლებლებსაც ჰქონიათ თურმე ჩვენთან მოსარიდებელი და საბოდიშო.

ორი წლის განმავლობაში ერთი დამრიგებელი გვყავდა, ქალბატონი ნიჩკე. არ მავიწყდება მისი ავადმყოფურად გამხდარი, ფერუმარილიანი სახე. ეს მარტოხელა მოხუცებული ქალი მოკრძალებულად იჯდა ჩვენს წინ და მთელი გრძნობით გვიკითხავდა პოეზიასა თუ პროზას. ძალასა და სულს არ იშურებდა, მშვენიერების აღქმის უნარი რომ გაელვიძებინა თითოეულ ჩვენთაგანში. მაგრამ ჩვენ სკოლამ რატომღაც მოსმენისა და თავდაჭერის მხოლოდ ერთი მანერა გამოგვიმუშავა, ისიც დაშინების მეთოდი — გვესწავლა ვალდებულების გამო. ქალბატონ ნიჩკეს კი არავის დაშინება არ შეეძლო, მისგან შორს იყო სიმკაცრე, ამიტომაც ვტანჯავდით. ის კი ძალიან განიცდიდა, როცა მის მიერ წაკითხულ რომანტიკულ ლექსებზე სულელურ რეპლიკებს ვესროდით და უგერგილოდ ეხუმრობდით. დასჯით არ გვსჯიდა, მაგრამ გვაგრძნობინებდა, როგორ ვუკლავდით გულს ჩვენი უგუნური და დაუფიქრებელი საქციელით. ის არ მალავდა თავის განცდებს, იმ იმედით, რომ შეგვრცხვებოდა, რაღაცას გამოაღვიძებდა ჩვენში. მაგრამ ჩვენ არ გვესმოდა მისი.

მხოლოდ ერთადერთხელ ჩამოვარდა ურთიერთგაგება ჩვენსა და ამ უცნაურ მოხუცს შორის. ეს იყო იმ დღეს, ტანკი რომ შემოვიდა ქალაქში. შეშინებულები ყველანი ფანჯარას მივცვივდით. ქალბატონი ნიჩკე არც განძრეულა, იჯდა მაგიდასთან და ცივებაშეყრილივით ცახცახებდა. გარს შემოვეხვიეთ, ვცდილობდით დავხმარებოდით, მაგრამ ვერაფრით ვერ მოგვყავდა გონს. ორი მოსწავლე შიშისაგან ისტერიულად კოდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ, როგორც იქნა, დამშვიდდა ქალბატონი ნიჩკე, მაგრამ სიმწრისაგან ოფლი ჩამოსდიოდა შუბლზე და მთლად დაუძლურებული, ღონემიხდილიღა იყო. შეეთავაზეთ სახლში გაგაცილებთ-თქო, მაგრამ არ უნდოდა უმასწავლებლოდ დაეტოვებინა კლასი და ვიდრე შემცვლელი არ გამოუჩნდა, თავი არ მიგვანება. მხოლოდ ამის - მერე დართო ნება ორ გოგონას, სახლამდე მიეცილებინათ. მოგვიანებით შევიტყეთ მიზეზი, რატომაც გამოიწვია ტანკმა მასში ასეთი რეაქცია. ომის დროს დაბომბვაში მოყოლილა მისი ოჯახი და სარდაფში ჩამარხულანო. თავად არასოდეს მოუყოლია ამის შესახებ. ამ ამბის მერე ცოტა ხანს კი ვიკავეთ თავი და წყნარად ვისხედით მის გაკვეთილზე, მაგრამ მომხდარი მალე დაგვავიწყდა და, ჩვენ, ეს უუფლებო მოსწავლეები, სხვა ძლევამოსილი მასწავლებლების ჯინს მასზე ვიყრიდით. სწორედ მასზე, ვინც თითოეულ ჩვენთაგანში, უკვე ჩამოყალიბებულ, უჩვეულო პიროვნებას ხედავდა.

იმ დღეს, როცა ქალაქში ტანკი შემოვიდა, ყველანი ფანჯარაზე ავცვივდით და გავყვიროდით, ტანკი, ტანკიო. მუხლუხოების გამაყრუებელი ღრჭიალი და ჩხარუნი თანდათან ახლოვდებოდა. გაკვეთილების შემდეგ სახლში რომ წავსულიყავით, ეიცოდით, აღარ გამოგვიშვებდნენ, არადა, გვაინტერესებდა, რა

მოხდებოდა. ქალაქში ერთადერთი ტანკი შემოვიდა და ცენტრალურ მოედანზე გაჩერდა. უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ტანკის ლულა პირდაპირ ძეგლისკენ იყო მიმართული. იმ დღეს ჩვენც პირველად ვნახეთ ომში დაღუპულთათვის დადგმული ეს ძეგლი. აქამდე მშვიდობის მტრედებითა და დროშებით შემკული ფიცარნაგი ჰქონდა გარს შემოვლებული. მხოლოდ ერთ-ორ დღით ჩამოეხსნათ ეს ფიცრები ვიღაც უცხოებს და სამზეოზე გამოეტანათ ბრონზით დადგმული მონუმენტი.

ჩვენც ხალხში ვიდექით და ტანკს ეუთვალთვალებდით. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. აქა-აქ ჩურჩული გაისმოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ტანკიდან ახალგაზრდა რუსის ბიჭმა ამოყო თავი. მშვიდად მიმოიხედა, თავი დაგვიკრა და გადმოძვრა. ერთი პოლიციელი მიუახლოვდა. მათ რაღაც ანიშნეს ერთმანეთს ხელით და ბოლოს ორივემ ტანკის ქვეშ შეიხედა. აშკარად რაღაც უნდოდა ჯარისკაცს, მაგრამ ვერ აგებინებდა. მერე ისევ ტანკში ჩაძვრა და ლუკიც დაიხურა. მალე ყველას მოგვბეზრდა და დავიშალენით.

ტანკი მხოლოდ სამი დღით გაჩერდა ჩვენს ქალაქში. და ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ბიჭები ამტკიცებდნენ ღამით ისროლეს და სახლის კედლები ჩამოანგრიესო, მაგრამ უფროსები ეჩხუბებოდნენ: რა სისულელეებს როშავთ, როცა დაზიანებული მხოლოდ ძეგლის ფიცარნაგიაო.

მეორე დღეს მამისაგან შევიტყვე, რომ მეწაღის ცოლი დაუჭერიათ. ეჭვობდნენ, რომ ფიცარნაგის ჩამოსანგრევად მას მიუცია ცული. რაიონის ცენტრში ქმარიც გამოიძახეს, მაგრამ ის ორ დღეში უკან დააბრუნეს.

ქარხანაში, სადაც მამა მუშაობდა, ჯერჯერობით ნორმალური სიტუაცია იყო, მაგრამ მამა რატომღაც მაინც ნერვიულობდა, სახლში სულ ჩხუბობდა. მე და ჩემს დას განუწყვეტლივ გვარიგებდა: ზედმეტი არაფერი დაგცდეთო, ნურავის ნურაფერს შეეკითხებით, ახლა ასეთი დროაო. მე არ მესმოდა რა ხდებოდა, ან რატომ არ შეიძლებოდა ამ ყველაფერზე ლაპარაკი. მაგრამ უფროსები ტანკის ხსენებასაც რომ ერიდებოდნენ, ვგრძნობდი, რაღაც იყო საშიში. და მეც გაჩუმებას ვამჯობინებდი. მეშინოდა, უფროსების საიდუმლოებაში ჩარევით კვლავ არ განმახლებოდა საზარელი სიზმრები, ამიტომაც მივეჩვიე დუმილს.

თუმცა ჩემს მეგობარ კატარინასთან ყველაფერზე ვლაპარაკობდი. სულ ერთად ვიყავით, ქუჩაში თუ სახლში, ენას არ ვაჩერებდით, არაფერს ვუმალავდით ერთმანეთს. კატარინას მამა ომში დაელუპა. იგი წისქვილთან ახლოს, ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა დედასთან და თავის სამ ძმასთან ერთად. დედა და ორი ძმა მამაჩემთან მუშაობდნენ ქარხანაში, რომელიც მაშინ ერთადერთი ქარხანა იყო ჩვენს ქალაქში.

მე და კატარინა სკოლის შემდეგაც ერთად ვიყავით; გაკვეთილებსაც ერთად ვამზადებდით და მერე ხელიხელჩაკიდებულნი საათობით დავეხეტებოდით ქალაქის ქუჩებში, კინოშიც მივდიოდით. ხან კი მის ოთახში ვისხედით და ლაპარაკში ისე გარბოდა დრო, რომ ვერც ვამჩნევდით.

ზოგჯერ მისი ძმებიც ერთვებოდნენ ჩვენს საუბარში. ყოველივის თავაზიანად მეპყრობოდნენ, მაგრამ ცოტა არ იყოს ქედმაღლურად და ირონიულად მიცქეროდნენ, როგორც თავიანთა უმცროსი დის მეგობარს. მგონი სამივე ძმაზე ვიყავი შეყვარებული. მომწონდა მათთან ყოფნა, მათი ყურადღება. მაგრამ ჩემი სიმორცხვით ძალიან ვიტანჯებოდი და უხერხულობაში ვვარდებოდი. მეც მინდოდა კატარინასავით უფროსი ძმები მყოლოდა.

კატარინა და მისი ნათესავები მორწმუნენი იყვნენ და ხშირად ჩვენი საუბ-

რის თუმაც რელიგია იყო. ისე მომწონდა ბიბლიაში მოთხრობილი ზღაპრული ამბები, რომ უდიდესი პატივისცემით განვიმსჭვალე რელიგიისადმი. კატარინას გამო საღვთო გაკვეთილებსაც ვესწრებოდი. აქ გავიგე პირველად ქრისტეს ტანჯვა-წამების ამბავიც. რელიგიის მასწავლებელმა ბიბლიის ილუსტრირებული წიგნიც მაჩუქა.

მე და კატარინა შეთანხმებულები ვიყავით, ყველაფერი ერთნაირად გვქონოდა: ჩაცმულობა, ვარცხნილობა, იმაზეც კი ერთად ვმსჯელობდით, ქალწულმა თუ არა ღმერთი, გვერწმუნა თუ არა რელიგიის ჭეშმარიტება. და ბოლოს ისიც დავთქვით, რომ როცა თოთხმეტი წელი შეგვისრულდებოდა მაშინ გადაგვეჭრა ეს საკითხი. თუმცა ორივემ კარგად ვიცოდით, რას გვიქადდა ჩვენი გადაწყვეტილება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, დადებითი თუ უარყოფითი. რადგან ერთ შემთხვევაში ჩემებს გავუცრუებდი იმედს და მეორე შემთხვევაში — მისიანებს.

მამას არ მოსწონდა, რელიგიით რომ დავინტერესდი, მაგრამ დედა არწმუნებდა, ეს ასაკობრივია და გაუვლიხო.

ზაფხულამდე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ჩემი და კატარინას დათქმული დრო დადგებოდა, მამამ გადაჭრით მომთხოვა, თავი დამენებებინა ყველაფრისათვის, რაც რელიგიასთან და ეკლესიასთან მაკავშირებდა. კატარინასთან მეგობრობაზეც მეფიქრა; მამას ეშინოდა, ამ მეგობრობას ცუდი ზეგავლენა არ მოეხდინა ჩემს მომავალზე. რას გულისხმობდა ამაში, არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ განიცდიდა და ცდილობდა რამენაირად დავერწმუნებინე. არაფრის გაგონება არ მინდოდა. ვერ წარმოვიდგინა კატარინას გარეშე არსებობა.

იმ დღეებში კატარინას თავსაც რაღაც ხდებოდა. გაკვეთილების შემდეგ სახლში გაეუარე. ატირებული დამხვდა. მან საიდუმლოდ გამანდო, რომ მისი უფროსი ძმისთვის ბრიგადირობა ჩამოურთმევიათ იმ მიზეზით, რომ ქრისტიანული ახალგაზრდობის ჯგუფს განეკუთვნებოდა. მეორე ძმაც ამავე მიზეზით გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან. ფაბრიკის ხელმძღვანელობაზე გულმოსულნი ვერც მისი ძმები მალავდნენ აღშფოთებას. აქვე გავიგე, რომ მთელს რაიონში ათეისტური კამპანია ყოფილა გაჩაღებული. იმ წუთას მათ წინაშე რატომღაც დამნაშავედ ვიგრძენი თავი, რადგან მე ურწმუნოთა ოჯახს ვეკუთვნოდი.

რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა პატარა ძმამაც დაამთავრა სკოლა, სამივე ძმა სადღაც გაქრა. არ ვიცი, არ შეეძლო თუ არ უნდოდა, მაგრამ ამის შესახებ კატარინა არაფერს მეუბნებოდა. ხხვებისაგან შევიტყვე, რომ მისი ძმები დასავლეთ გერმანიაში გადასულიყვნენ. მაშინ კი ეელარ მოვითმინე და კატარინას ვკითხე. ისიც დამემოწმა, მართალიაო. ქვემო საქსონიაში კატარინას ძმებს არენდით აუღიათ მიწა და მეურნეობისათვის მოუკიდიათ ხელი.

მშობლები ყოველდღე იმას მეხვეწებოდნენ, როგორმე დამენებებინა თავი კატარინასათვის. არც მასწავლებლები ჩამორჩებოდნენ მათ და ცდილობდნენ პირდაპირ თუ გადაკვრით აეხსნათ, რომ ეს მეგობრობა სახეიროს არაფერს მოიტანდა.

ამ წელს რაიონის ცენტრში წარსაგზავნად რამოდენიმე საუკეთესო მოსწავლე შეარჩიეს. მე და კატარინა კლასში ყველაზე კარგ მოსწავლეებად ვითვლებოდით და ვიმედოვნებდით, რომ ჩვენ გაგვაგზავნიდნენ.

ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილების შედეგად შეგვარჩიეს მე და ერთი ბიჭი. კატარინაზე კი განაცხადეს, რომ ის მხოლოდ რვა კლასს დაამ-

თავრებდა, რადგან ვერ აკმაყოფილებდა მაღალი კლასისთვის შესაბამის მოთხოვნილებებს.

მთელი დღეები ეტიროდით მე და კატარინა. დედამისი მამშვიდებდა და მარიგებდა: „არ ღირს, შვილო, კატარინას გამო შენც ნუ იტყვი უარს“. მე კი არ მინდოდა დავმორჩილებოდი მასწავლებლებისა და მშობლების ამ უსამართლო გადაწყვეტილებას და ამით კატარინას დავშორებოდი.

მე და კატარინამ სამუდამო ერთგულება შევფიცეთ ერთმანეთს, მაგრამ სულ რალაც ნახევარ წელში დაუძინებელ მტრებად ვიქეცით.

მერვე კლასში კატარინა კანტორის ვაჟს დაუახლოვდა. ის ჰამბურგში სწავლობდა საეკლესიო მუსიკას და არდადეგებზე ჩამოდიოდა ხოლმე სახლში. კატარინა იშვიათად იცლიდა ჩემთვის. თუ მოიცლიდა, ისიც მხოლოდ იმ ბიჭზე მელაპარაკებოდა. ვგრძნობდი, ჩვენს შორის გაუცხოების წუთები დგებოდა. ჩვენს სიყვარულში კი უნდობლობა და ეჭვი ისადგურებდა. მე და კატარინას მეგობრობაში უამრავი ბზარი გაჩნდა. ერთის მხრივ ჩემი მშობლებისა და მასწავლებლების უკმაყოფილება, მეორეს მხრივ კი კატარინას გულნატკენი დედა, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობამ სარწმუნოების გამო ასე დაუჩაგრეს გოგო და საერთოდ, გზა-კვალი აურიეს მის შვილებს. დღე ისე არ გავიდოდა, მე და კატარინას არ გვეჩხუბა. ერთმა უაზრო ჭორმა ხომ საბოლოოდ დააგვირგვინა და გულსატკენი წერტილი დაუსვა ჩვენს მეგობრობას. თანაკლასელმა გოგონამ რალაც ამბავი მიუტანა კატარინას და მანაც მაშინვე დაიჯერა ისე, რომ არაფერი უკითხავს ჩემთვის. და ალარც მე შევეცადე უარმეყო ეს ჭორი. დამთავრდა ჩვენი მეგობრობა, რომელიც ბოლო ხანებში ისედაც ვალდებულების გამოდა იყო შენარჩუნებული. ახლა მხოლოდ ზიზღმა გადაფარა ორი გოგონას ძომაკვდინებლად მტკივნეული სიყვარული. რამოდენიმე კვირის შემდეგ ხმაც ავიმაღლე კატარინაზე, ისიც მთელი კლასის წინაშე.

გაკვეთილების შემდეგ დაგვტოვეს და მორიგი აგიტაცია ჩაგვიტარეს, რომ თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირში შევსულიყავით. ერთადერთმა კატარინამ განაცხადა უარი ამ კავშირში შესვლაზე. მასწავლებელი უკვე მერამდენედ ჩაგვჩიჩინებდა ერთსა და იმავე მოსაბეზრებელ ფრაზებს. გვენანებოდა უქმად გაცდენილი დრო, ერთი სული გვქონდა, სახლში წავსულიყავით. და ამიტომ თუთიყუშებივით იმას ვიმეორებდით, რასაც გვეუბნებოდნენ. გაფითრებული და დაძაბული იჯდა კატარინა, უჭირდა მასწავლებლების საყვედურებზე პასუხის გაცემა. ახალგაზრდობის კავშირში შესვლა ხომ მშვიდობის მხარდამჭერ საქმედ ითვლებოდა, თავად კატარინაც ირწმუნებოდა, მეც მშვიდობის მომხრე ვარო. მასწავლებლები კი ულმობელი ლოგიკით უმტკიცებდნენ, რომ ასეთი საქციელი იგივე იყო, რაც ომის პროპაგანდა. ამიტომაც დუმდა კატარინა დამარცხებულივით.

კატარინას სიჯიუტის გამო უაზროდ გვეკარგებოდა დრო და ბრაზი მოგვდიოდა მასზე. მეც ველარ მოვითმინე, გამწარებული წამოვდექი და ისეთი ირონიით წამოვაწყე საკუთარი მეგობრის რელიგიურ შეხედულებებზე ლაპარაკი, რომ ყველა ვაცინე. უმსგავსოდ, ამაზრზენად მოვიქეცი. ჩემმა სიტყვებმა კატარინა მოთმინებიდან გამოიყვანა, მერხიდან წამოიჭრა, მომვარდა და სილა გამაწნა. ინსტინქტურად მეც მოვუქნიე ფეხი, წვივში მოხვდა. ტკივილისაგან ორივემ ვიკიულეთ. მასწავლებელმა ჟურნალში შენიშვნა ჩაგვიწერა. ეს შენიშვნაღა იყო საბოლოო, მე და კატარინას რომ გვაკავშირებდა. ისე ვარცხნილობაც ამ ბოლო ხანებში სხვადასხვაგვარი გვქონდა.

იმავე ზაფხულს კატარინა და დედამისი ქვემო საქსონიაში გადავიდნენ ძმებთან საცხოვრებლად. ეს რომ გავიგე, შვება ვიგრძენი, მამასაც კი განვუცხადე სიამაყით, კატარინამ თავის რესპუბლიკას უღალატა-მეთქი.

მახსოვს ახალი სასწავლო წლისთვის წითელი ტყავის ჩანთა მიყიდეს მშობლებმა.

ახლა კი ვიჯექი ქალაქ G-ს ერთადერთ სასტუმროში და ლუდს ვეახლებოდით. სავარძლის წინ, ისედაც გაცრეცილ, გაქუცულ ხალიჩაზე ლუდი დამეღვარა. საოცარი თავგანწირვით მიყვარდა კატარინა, მას მერე ველარავინ შევიყვარე ასე გულწრფელად.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი ოჯახიც გადავიდა ქალაქ G-დან. რაიონის ცენტრში ყოველდღე მატარებლით მიწევდა მგზავრობა, რაც საშინლად მქანცავდა. ამას გარდა მამასაც უკეთესი სამსახური შესთავაზეს მაგდენბურგის მანქანათმშენებლობის ქარხანაში. ამიტომაც გადავწყვიტეთ გადასვლა.

სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ყოფილა ჩვენი მოულოდნელი გამგზავრების მიზეზი, რაც მხოლოდ ორი წლის შემდეგ შევიტყვე დედისგან. ქალაქ G-ში ცხოვრობდა მამას ბიძაშვილი ბიძია გერჰარდი. ის ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. ჩვენი გადასვლიდან ერთი თვით ადრე ის დააპატიმრეს. ოთხი თვის მერეღა შევიტყვეთ რომ ბიძია გერჰარდს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ბიძია გერჰარდი მამაზე უფროსი იყო. ომის შემდეგ ცოლი მალევე დაეღუპა და მარტო ცხოვრობდა. ჭორები დადიოდა, თითქოს ცოლმა თაი მოიკლაო. დედას რომ ეკითხე, ასე მიპასუხა: „არა, შვილო, ტრაგიკულად დაიღუპა. მაშინ ომი იყო და ‘ათასი რამ’ ხდებოდა“.

ბიძია გერჰარდი პენსიონერი იყო. ნახევარ დღეს ფოსტაში მუშაობდა. იჯდა ჯიხურში და საფოსტო მარკებს, გაზეთებს ყიდდა. პატარაობაში ხშირად დავდიოდი მასთან. ათასგვარი გასართობები იცოდა, მეთამაშებოდა, ხან ძველებურ სიმღერებს მიმღერებდა აკორდეონზე. მახსოვს, ხუთი წლის რომ ვიყავი, შეშინებული ვამბობდი, ვაითუ ვერ გავთხოვდე-მეთქი. ის კიდევ დამცინოდა და მახელებდა ხოლმე: „უყურეთ ერთი ამ საბრალოს, როგორ განიცდის, ქმარი რომ არ ჰყავს. თვალი გაახილე, მოდაზე ჩაიცვი და გეყოლება“. მე კი ვტიროდი და ვიდრე ტკბილეულს არ მომცემდა, არ ვჩუმდებოდი. როცა წამოვიზარდე, „შვიათადღა მივდიოდი მასთან, თუმცა ურთიერთობა კელავ გულითადი გექონდა. თორმეტი წელი რომ შემისრულდა, ბიძიამ ანდერძით თავის ერთადერთ მემკვიდრედ გამომაცხადა.

ბიძია გერჰარდი ბაბუასავით იყო ჩემთვის, თვითონაც შეილობილივით, უფრო შვილიშვილივით მეპყრობოდა. ყოველ დაბადების დღეზე მჩუქნიდა ფულს. მშობლებს არ სიამოვნებდათ ჩვენი ასეთი ურთიერთობა, მაგრამ ამას ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას. სამოცდათორმეტი წლის ასაკში ბიძია დააპატიმრეს.

სასამართლომ ოთხი კაცის მკვლელობის თანამონაწილედ გამოაცხადა იგი. ომის დამთავრებიდან ექვსი წლის შემდეგ ბიძიამ ყველაფერი მოუყვა მამას. ამიტომაც უსაყვედურა მოსამართლემ მას, რატომ აქამდე არ განაცხადე მთავრობაშიო, მაგრამ მამას ასეთი პასუხი მიუცია: „გერჰარდი ჩემი ბიძაშვილია და თანაც უკვე მოხუცია“.

ვერაფრით ვერ გამეგო რამ უბიძგა ბიძიას ამ საქციელზე, ის ხომ საოცრად კეთილი და უწყინარი ადამიანი იყო, ცოტათი გულჩვილიც. მაგრამ ნაცის-

ტებმა ალბათ ისე დააშინეს, რომ ველარ გაუძლო და დაბეზღა თავისი მეგობრები.

ამ ამბის გაგონებამ თავზარი დამცა. და რატომღაც მას მერე ჩემი წუხილი ფაშისტების საშინელ ქმედებებზე, ანა ფრანკის დღიურზე დაღვრილი ცრემლებიც კი გაყალბებული მეჩვენებოდა. მეგონა, იმის უფლებაც არ მქონდა, აღვშფოთებულიყავი და თანაგრძნობა გამომეხატა ნაცისტების მსხვერპლთა ხსოვნისადმი, როგორც ნაცისტი დამნაშავის ნათესავს. მასწავლებლებმა და მშობლებმა ალარ იცოდნენ, რა ეღონათ. ყოველნაირად ცდილობდნენ ყურადღება არ მიექცეათ ჩემი თვითგვემისათვის. მეთორმეტე კლასში ვიყავი, როცა ერთმა თანაკლასელმა გოგონამ განმიცხადა: „არ მოგბეზრდა ეგ შენი მეტიჩრული გამოხტომები? რა დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე!“ ამაზე ვიჩხუბეთ კიდეც მე და ამ გოგომ, მაგრამ ის დღე იყო და ის დღე, ამ საკითხზე წერას და ლაპარაკს საერთოდ შევეშვი. და როცა არ უნდა ჩამოვარდნილიყო ომზე ლაპარაკი, ყოველთვის გაჩუმებას ვამჯობინებდი. მივხვდი, ყველას ის სტანჯავდა, რაც აუხსნელი და დაუვიწყარია, და რალა საჭირო იყო მათთვის ჩემი წუხილის შემოხვევა. იქნებ ყოველივე ამანაც განაპირობა, რომ მე დუმილს შეეჩვიე.

სამი წლის შემდეგ ბიძია გერჰარდი დაიღუპა. მამამ მემკვიდრეობაზე უარი თქვა და ბიძიას ავეჯი და ნივთები ქალაქ G-ს სასარგებლოდ აუქციონზე გაიყიდა.

რაც მეტხანს ვიჯექი სასტუმროს ოთახში, მით აუტანელი მეჩვენებოდა იგი. კედლებზე ისე იყო ჩამოხეული შპალერი, შეხედვისაც კი მეშინოდა, რომ მწერები არ დამენახა. დაწოლისას რალაც სველზე მომიხვდა ფეხი, ჩემი დაღვრილი ლუდი თუ იყო, მაგრამ მაინც შემზარა და აბაზანაში მთელი საათი ვიბანდი ფეხს. არა, ალარაფერი მაკავშირებს ამ ქალაქთან. მივხვდი, უაზრო ახირება იყო ჩემი აქ ჩამოსვლა.

მეორე დღეს საუზმეზე მთლად გამომშრალი, უგემური პური მოგვიტანეს. ყავასაც საშინელი გემო ჰქონდა. არა და, ჯიბრზე ორჯერ მოვიდა ჩვენთან ადმინისტრატორი, ხომ არაფერი გნებავთო, მაგრამ რას ვეტყოდით, სახელოდან ხელის პროთეზი მოუჩანდა და ისეთი შემზარავი შესახედი იყო, ერთი სული გვქონდა, მალე გასცლოდა ჩვენს მაგიდას. „შეგვიძლია წავიდეთ“, — მივუბრუნდი ჰენრის და ვთხოვე თავი შეეკავებინა ზედმეტი კომენტარებისათვის. „ნერვიულობისაგან ისედაც არ მძინებია მთელი ღამე“. ამას რომ ვეუბნებოდი, ვცდილობდი თავაზიანი ვყოფილიყავი, არ მინდოდა მეწყენინებინა მისთვის. მაგრამ არ იყო საჭირო ზედმეტი ახსნა, მან ყველაფერი მშვენივრად გამიგო.

სასტუმროს ფული გადავიხადეთ და წამოვედით. მთელი დღე თავისუფალი გვქონდა და გადავწყვიტეთ ვიორტლიკში შევჩერებულიყავით. შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდი იყო. უამრავი ჩამოსული ირეოდა პარკში. და ეს ხმაურიანი მოფუსფუსე ადამიანები ფრინველთა გუნდებივით ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ.

სხვა მხრივ სასიამოვნო სიმშვიდე იყო. ვახშმობის მერე ცოტა წამოწვიმა, მაგრამ მალევე ინათა. მზესთან ერთად ტურისტებიც გამოიშალნენ. პალმების ბალიდან გროტენში წავედით. ელბის ნაპირზე გაეისეირნეთ. აქ კი მარტონი აღმოვჩნდით. ლაბადებიანადვე წამოვწექით სველ ბალახზე და მზეს მიეფიცხეთ.

„ბავშვობის წლებიდან ყველაზე მეტად რა გახსენდება?“ — ვკითხე ჰენრის. „არასოდეს მიფიქრია მაგაზე“. „ზოგჯერ, — განვაგრძე ისევ მე, — მოულოდნელად ამრდილივით გვატყდება თავს წარსული“. „მე ალბათ ვამონაკლისი ვარ“, — გამაღიმა ჰენრიმ. „რატომ?“ — გავიკვირვე მე.

ჰენრი ჩემსკენ გადმოიწია და თვალებში ჩამხედა: „იმიტომ, რომ არავითარი აზრი არა აქვს, პირიქით, ცხოვრებას გვიროულებს. [illegible] შეეიწუხო მასეთი სისულელეებით. ასე რომ, მაგ მხრივ [illegible]“. „ვერ დავიჯერებ“, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ჰენრიმ გაიცინა, მაკოცა და მითხრა: „შენი ნებაა, როგორც გინდა ისე იფიქრე, მაგას მაინც შეგუებული ვარ. რატომღაც ქალები ჩემგან ღრმა აზრებს ელოდებიან, მე კი მათ ყოველთვის იმედს ვუცრუებ“.

ელბის ნაპირს მიეუყვებოდით. შებინდებისას უკან დავბრუნდით. ვიღრე მანქანამდე მივაღწევდით, მთლად ჩამობნელდა. წყვდიადი ჩამოწვა, ველარაფერს ვხედავდით. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ მოსჩანდა. სიბნელეში ერთმანეთს ვაწყდებოდით.

ქალაქში ეროადერთი რესტორანიღა იყო ღია, მაგრამ ისიც ასეთი გადაჭედილი, რომ იძულებული გავხდით სადგურის ბუფეტში გვეეახშმა. სალათა და ყველი შევუკვეთეთ. ჰაერი ლუდისა და სიგარეტის სუნით იყო გაჟღენთილი. დაახლოებით ათი საათისათვის ბერლინისაკენ წამოვედით.

მანქანებით გადაჭედილ ტრასაზე კინაღამ შემხვედრ მანქანას შეეეჯახეთ. როგორც ყოველთვის ახლაც სწრაფად მიდიოდა ჰენრი, მოულოდნელად მოსახვევიდან მანქანა გამოვარდა. შიშისაგან ვიკივლე. გაოგნებული საჭეს მივვარდი, მინდოდა მარჯვნივ გადამეყვანა მანქანა, მაგრამ უცბად სახეში გამარტყა ჰენრიმ. შემხვედრ მანქანამ დაამუხრუჭა და გზიდან გადავარდა. ჩვენ გვერდზე ჩავუქროლეთ. უკან რომ მოვიხედე, მძღოლი მანქანიდან გადმოდიოდა, თან ერთი ხელი ისევ სიგნალზე ეჭირა. მალე მანქანაც და მძღოლიც თვალს მიეფარნენ. ჩვენ კი ისევ ტრასაზე მივქროდით, თითქოს სიბნელეს ვავურბოდით.

ორივე ვდუმდით. მე შიშისაგან ინსტინქტურად მივვარდი საჭეს, ისე რომ, ჰენრი გააზრებასაც ვერ მოასწრებდა. რატომღაც მგონია, მას ანგარიშმიუცემლად, თავისდა უნებურად არ გაურტყამს ჩემთვის.

მივქროდით და ღამის წყვდიადს მანქანის ფარებითაც ძლივს მივარღვევდით. ბოდიში რომ არ მოიხადა ჰენრიმ, ჩემთვის უკეთესიც იყო. მართალია ეგი არ განეკუთვნებოდა მამაკაცთა იმ კატეგორიას, ცოლებსა თუ საყვარლებს რომ სცემენ, მაგრამ ყველა მამაკაცს აქვს ასეთი წუთი, განსაკუთრებით სტრესულ მდგომარეობაში, როცა შეუძლიათ დაარტყან ქალს. მამაკაცის წინაშე მაინც ცდილობენ თავი შეიკავონ, ქალებთან და ბავშვებთან კი ნერვებს ვერ ითკებენ. მაგრამ ამის მიზეზი სრულიად არ გახლავთ ის, რომ ჩვენ ქალები სუსტი არსებანი ვართ, არც მათ თავშეკავების უნარზეა ლაპარაკი. უბრალოდ, მამაკაცები თანასწორთა შორის თანასწორნი გახლავან და ერთმანეთზე ხელს ვერ აიღებენ, ყოველ შემთხვევაში, ასე დამამცირებლად. ასე მხოლოდ მხეცებს ექცევიან. მამაკაცები ურთიერთშორის ღირსების შემლახველ ელემენტარულ კანონებს ხუმრობისასაც კი იცავენ. ჭეშმარიტი მამაკაცი მეორე მამაკაცზე არაფრით არ აღმართავს ხელს, თუ ეს უკანასკნელი თავდაცვისათვის არაა მზად. ესაა რაინდული ორთაბრძოლის წესები, რომელიც მხოლოდ სეკუნდანტების მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს.

ქალს კი აგდებულად ეპყრობიან, ძალლივით სცემენ და მათ ეს მართებულად მიაჩნიათ. მამაკაცებს ჰგონიათ ამით მოარჯულებენ ქალს და გონს მოიყვანენ.

ესაა მამაკაცის საუკუნეობრივი სენი: დაბადებიდანვე თანდაყოლილი უპირატესობის გრძნობა. ზოგჯერ ზედმეტად თავაზიანი და გულისხმიერი მამაკაციც კია ამ სენით დაავადებული. მაგრამ ასეთი მამაკაცები, ჩვეულებრივ, თავიანთი საქციელით აღშფოთებულნი და გაოგნებულები მაშინვე ბოდიშს იხდიან. მახსოვს ერთხელ ჰინერმაც გამარტყა, და იმავე წამს მომიბოდიშა: „მაპატიე, მოთმინებიდან გამოვედი და თავი ველარ შევიკავე", რაზეც გამეცინა და ამით კიდევ უფრო გავაღიზიანე. ჰინერმა მართალი მითხრა, ასეთ დროს მამაკაცები მართლაც გონს კარგავენ და თავადაც არ იციან რას აკეთებენ. მხოლოდ მოშინაურებულ მტაცებლებს შეუძლიათ უმიზეზოდ, სრულიად მოულოდნელად გაგლიჯონ თავიანთი საყვარელი არსება. მამაკაცი კი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მაინც გრძნობს თავის უპირატესობას ქალზე, ამიტომაც არიან ასე თამამნი. შეიძლება ლაპარაკსა თუ ფიქრებში თანასწორუფლებიანადაც გაღიარონ, მაგრამ სულის სიღრმეში, მათ მაინც აქვთ თავიანთი ღირსების, სიამაყისა თუ თავმოყვარეობის ანგარიშმიუცემელი შეგრძნება.

მახსენდება, ერთ საღამოს ჩემს მეგობარ შარლოტას რომ შევუარე, მიხაილი სასიწარკვეთილი დამხვდა. როცა ამიხსნა, რაც მოხდა, თავადაც გამიკვირდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ამ გულისხმიერ, დამთმობ და ყოვლისგამგებ მამას ბავშვის ცემა შეეძლო. ასე მეგონა, ჭიანჭველასაც ვერ დაადგამდა ფეხს. თავისი საქციელით შეშფოთებული მიხაილი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა საკუთარ თავს. კალთაში ჩაესვა ბავშვი, ეფერებოდა და პატიებას სთხოვდა. საოცრად შემზარა ამ სცენამ. მიხაილი მართლაც გულწრფელად წუხდა, მაგრამ ამ დროს საკუთარი თავი უფრო ებრალებოდა, რადგან ბავშვის ცემით მას საკუთარი ღირსება შეელახა. მან თავისივე ხელით მოსპო საკუთარ თავში ის, რასაც ყველაზე მეტად სცემდა პატივს და მტარვალი აღმოაჩინა. სწორედ ამაზე მოსთქვამდა მიხაილი. გულისამაჩუყებელი სიტყვებით ეხვეწებოდა, ემუდარებოდა ბავშვს პატიებას და ცდილობდა, როგორმე დაებრუნებინა შელახული ღირსება. საბრალო, საცოდავი მამაკაცები.

ჰენრი ხმას არ იღებდა. ბერლინამდე ისე ჩავედით, სიტყვაც არ დაგვცდენია. ალბათ ასეც იყო საჭირო.

კარამდე მიმაცილა ჰენრიმ. იდგა ჩემს წინ და შეცბუნებული მიღიმოდა. ერთმანეთს ძილი ნებისა ვუსურვეთ და დავშორდით.

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ამ სილას, ალბათ ვერც ვაპატიებ. რომ გითხრათ, განსაკუთრებით კი არ განვიცდიდი, სასაცილოც კი იქნებოდა, ოცდაცხრამეტი წლის ქალს ასეთი სისულელეებით შემეწუხებინა თავი. გვინდა თუ არა, წვიმაში ყველა ვსველდებით და უნდა შევეგუოთ ამას. ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით, ყველაფერი თავისი დინებით მიდის, ყველაფერს თავისი გზა აქვს. ან რა საჭიროა რაიმე საბაბის ძებნა ჩხუბისა და ისტერიკისათვის. სჯობია, ისევ დავრჩე ისეთად, როგორიც ვიყავი: თავაზიანი, თბილი, სრულიად ნორმალური ქალი. განა რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული?!

ოთახში დახუთული ჰაერი იდგა და ვიდრე სავარძელში ჩავჯდებოდი, ფანჯარა გამოვაღე.

მეათე თავი

ნოემბერში ორი კვირა ვიავადმყოფე. ხერხემალმა შემაწუხა. საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ მტკიოდა. არაფერი დამიკლია: ვარჯიშები, გალვანური თერაპია თუ წყალქვეშა მასაჟები, მაგრამ ოდნავი შვებაც კი არ მოიცა. ასაკი მაინც თავისას აკეთებს: ძვლები დეფორმირდება, ხრტილები ერთმანეთს შორდება, ხორციც დეგენერაციას განიცდის, ამიტომაცაა ეს დაავადება მუსიური. რატომღაც კაცობრიობა უკუგანვითარების ისტორიულ ციკლს ჰგავს. ადამიანის ორგანიზმის რეგრესიული განვითარება ხომ დიდი ხანია იმითაა შენიღბული, რომ დაავადებული ორგანოებისათვის არსებობს შემცვლელი ხელოვნური ორგანოები: გულის ელექტროსტიმულატორი, ხელოვნური ფილტვები, ოქროს კბილები, ხელოვნური სინთეტიკური პროთეზი, ძვლების ნაცვლად ვერცხლის ფირფიტები. ერთი სიტყვით, კაცობრიობის განვითარება განუსაზღვრელ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზეა დაფუძნებული. ალბათ მომავალში შობადობაც კი ხელოვნურად იქნება უზრუნველყოფილი. შეიძლება მალე ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების შემცვლელიც კი მოიგონონ, დანარჩენი კი მაგნიტიზმს მიანდონ.

ვიდრე ჩემს კუთვნილ დღეებს ავიღებდი, ბიულეტენზე გავედი, ტკივილებს ველარ ვუძლებდი. ბევრს ვსეირნობდი, ყოველ დილა საათობით საცურაო აუზში ვბანაობდი. საუზმობის შემდეგ მუსიკას ვუსმენდი, რაც მთელ დღეს სიმშვიდის შენარჩუნებაში მეხმარებოდა. იმ დღეებში ოქრომჭედლის ძებნაში მთელი ქალაქი შემოვიარე, ჩემი ოქროს ჯაჭვი მინდოდა შემეკეთებინა. მაგრამ ყველგან უარს მეუბნებოდნენ, შეკეთება სხვა სამუშაოებზე უფრო შრომატევადიათ. ორჯერ ჰენრისაც შევუარე სამსახურში. პირველად ძალიან გაუკვირდა, რადგან არასოდეს მიესულვარ მასთან.

თავის კოლეგასთან ერთად გამოვიდა და სამივენი სანაპიროზე ერთ-ერთ კაფეში შევედით. ჰენრის თანამშრომელი ბატონი კრემერი საკმაოდ საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა, გვაცინებდა და თვითონაც გულიანად იცინოდა. აშკარად ვგრძნობდი მოვეწონე. საკმარისი იყო ხმა ამომელო, მაშინვე ჩუმდებოდა და მე მისმენდა. კრემერი თავაზიანად შეეცადა გაეგო, რა ურთიერთობა გვქონდა მე და ჰენრის. ყოველ შემთხვევაში მე ასე ჩავთვალე მისი შემოთავაზებული წინადადება, ერთად შევხვედროდით ახალ წელს. ჰენრის სარეზერვო ადგილი ხვდა წილად. იქნებ ჰენრის არც ესიამოვნა საყვარელთან ერთად რომ ნახა თანამშრომელმა, მაგრამ კაფედან რომ გამოვდიოდით, ჰენრიმ დემონსტრატიულად მომკიდა ხელი — ეს იყო პირველი და ალბათ აშკარა დადასტურებაც ჩვენი ურთიერთობისა, რაც თავისი კოლეგისათვის იყო გამიზნული. ბატონმა კრემერმა კეთილად ჩაიღიმა და გამომშვიდობებისას ისე გადახედა ჰენრის, თითქოს არჩევანს უწონებსო. ასეთი მზერა ღვინისა და ცხენების შეფასებისას აქვთ ხოლმე. ჰენრიმ იმაზე გადაისვა ხელი, ვითომ ვერც შეამჩნია ეს მზერა. მოვილაპარაკეთ, ახალ წელს ერთად შევხვედროდით, თუმცა მაშინვე ვიცოდი, იმ დღეს ბერლინში არ ვიქნებოდი. არაფერია, როგორღაც გადაიტანდა ამას ბატონი კრემერი.

ქალაქში ვსეირნობდით და მაღაზიის ვიტრინებს ვათვალიერებდით. ჰენრი ანერვიულებული ჩანდა. აუტანელი ქარი იყო და მტვერი თვალებში გვეყრებოდა. ერთ-ერთ აფიშასთან შევჩერდით და ჰენრის ვკითხე: „თეატრში ხომ არ შევსულიყავით?“ თუმცა აფიშაზე ვერაფერი ვნახე საინტერესო და ბოლოს შევთავაზე, სადმე გვესადილა ერთად; „იცი, დრეზდენში უნდა წავიდე დღესვე,

უფროს ეაეს სკოლაში ვერ ჰქონია კარგად საქმე და, ცოლმა მთხოვა, ჩამოდით". ძლივს ამოღერღა ჰენრიმ.

„რატომ თავიდანვე არ მითხარი, შეგიძლია ახლავე წახვიდე". სადგურამდე მიეაცილე. გზაში მოულოდნელად ცოლზე წამოიწყო წუწუნი. „ალრე ჩემთან არასოდეს ულაპარაკია მასზე. „ამ ბოლო ხანებში ხშირად მირეკავს, ათას მიზეზს იგონებს, რომ ჩავიდე და ვნახო. ეტყობა, თავის მეგობრებან ერეკეებელ ... ...

გვერდზე მოჰქცეოდა. „კი, მართალი ბრძანდებით, მაგრამ რა უნდა გააკეთოს მაგისთვის ადამიანმა, რომ ასეთი დისციპლინა გამოიმუშავოს? — დავინტერესდი მე. — განა მე არ ვწუხვარ ჩემს მოუწესრიგებლობაზე, მაგრამ ამ ავადმყოფობას ვერავითარი ნემსი ან წამალი ვერ უშველის. მე ვერ ვხედავ გამოსავალს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძალიან გაგიჭირდებათ თქვენც და მთელს თქვენს თაობასაც", — ხანგრძნობით შემომხედა უფროსმა. „გაგვიჭირდება, მაგრამ საშველი სადაა, რომ არ ვიცი?" — მივუგე მე.

„დისციპლინას გამომუშავება უნდა, შვილო". „კი მაგრამ, ეგ ხომ ყალბი იქნება და მალევე დაიმსხვრევა", — შეეპასუხე მე. უფროსი თავისას არ იშლიდა, ვარჯიშით და საკუთარ თავზე მუშაობით ყველაფერს მიაღწევო. ვგრძნობდი, უკმაყოფილო იყო ჩემით. თუმცა ეს მე არ მაღელვებდა. ხანში შესული ადამიანი იყო და უფლება ჰქონდა დაეერიგებინე. მით უმეტეს, რომ სიმპათიით ვიყავი განმსჭვალული ამ მოხუცისადმი.

მერე კი შეცვალა თემა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად სჭარბობდა მასში პედაგოგი, რომ ბუნებრივი საუბარი აღარ გამოგვდიოდა. წასვლისას ველარ მოვითმინე და მაინც ვკითხე: „ჩემთან რაიმე თხოვნა ან საქმე ხომ არ გაქვთ?" მაგრამ ისე გავაკვირვე ამ შეკითხვით, რომ მითხრა: „ნუთუ გგონიათ, ჩემი სტუმრობა მაინცადამაინც რაიმე მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული?" დაუფიქრებლად მაშინვე ვუპასუხე, დიახ-მეთქი.

„თუმცა თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამჯერად ისე შემოგიარეთ", გაიცინა მან და თან დასძინა — კარგი იქნება, თუ თქვენც გვესტუმრებით, ხომ იცით, ჩემს მეუღლეს..."

„ვიცი და მალეც გინახულებთ".

იმ დღეს უფროსის სტუმრობა მაინც გამოცანად დარჩა ჩემთვის.

ფლეგმა, ცოტა უცნაური და უხეშიც კია ჩემი უფროსი, მაგრამ მე მაინც სასიამოვნო მოხუცად მიმაჩნია. ეს იყო ძველი სკოლის წარმომადგენელი — უამრავი თავისებურებით, რაც თუნდაც მის საიდუმლო და ხანმოკლე ვიზიტებშიც გამოიხატებოდა. ჩაცმულობაშიც კი იკვეთებოდა მისი უცნაურობა — კორექტული პიჯაკი და შესაფერისი ოდეკოლონი. მიხაკებიც ხომ მომიტანა, თავად შეარჩია ალბათ ჩემთვის.

ჭურჭელს ვრეცხავდი და თან ვიხსენებდი, რას არ უგონებდნენ კოლეგები ჩვენს უფროსს. ეს ის ადამიანები იყვნენ, თავად უფროსსაც რომ არ ეხატებოდა გულზე. იქნებ მართლაც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პიროვნება იყო ამ ადამიანში, ან იქნებ ეს სტუმრობაც მისი დისციპლინიდან გამომდინარე გამოხტომა თუ ახირება იყო?

სამსახურში გასვლამდე ერთი დღით ადრე დამირეკა დედამ. ის იყო სამზარეულოში მოვამთავრე ნივთების გადაადგილ-გადმოადგილება, რომ ტელეფონის ზარიც გაისმა. პოლიკლინიკაში უოქვამთ, ავად არისო და უნდოდა გაეგო, ახლა როგორ ვგრძნობდი თავს. „რატომ ამდენ ხანს არ ჩამოხვედი ჩვენთან?" — მკითხა ბოლოს დედამ. დავამშვიდე და შეეპირდი, შობისთვის აუცილებლად გინახულებთ-მეთქი. „მარტო ჩამოხვალ?" — იკითხა დედამ და ისე, რომ პასუხსაც არ დალოდებია, თავადვე დაამატა, — შენი მეგობარიც ჩამოიყვანე". ვიდრე ყურმილს დაკიდებდა, სამჯერ დამემშვიდობა, სამჯერვე რაღაც გაახსენდა, ბოლოს მამისგან მოკითხვაც გადმომცა და კიდევ ერთხელ დამემშვიდობა.

საღამოს ჰენრიმ თავის მეგობრებთან წამიყვანა სტუმრად. ჩემის აზრით, ინსტიტუტის მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ. საოცრად უაზრო და მოსაწყენი ატმოსფერო შეიქმნა. ერთმანეთთან სასაუბრო არაფერი გვქონდა. ძირითადად სატელევიზიო გადაცემაზე ვლაპარაკობდით. აღარ შემეძლო იქ დარჩენა და წამოვედი. ჰენრის გამოცილება უნდოდა, მაგრამ უარი ვუთხარი. მეორე-ღლეს პოლიკლინიკაში დამირეკა და მითხრა, შენს მერე კიდევ უფრო აუტანელი გახდა იქ ყოფნაო. ჩემი წამოსვლის გამო მის მეგობრებსაც უკმაყოფილება გამოუთქვამთ. „არადა, ისინი საგანგებოდ მოემზადნენ ამ საღამოსთვის“, — დაამატა ჰენრიმ.

დეკემბრის მეორე კვირას მიხაილმა, შარლოტას ქმარმა დამირეკა, შენთან აუცილებელი საქმე მაქვსო. ხმაზე ეტყობოდა, აღელვებული იყო. მამამისის გამო მიხაილს რაღაც გაუგებრობაში გაუყვია თავი. მეზობლებს ოთახის ხელში ჩაგდების მიზნით, მისი აქ არყოფნით უსარგებლიათ და მამამისი მოხუცებულთა სახლში ჩაუბარებიათ. სწორედ ამ საკითხზე იყო იგი ახლა ჩემთან მოსული. პირადად არ ვიცნობდი იმ ექიმს, ვისაც ეს საკითხი ეხებოდა, მაგრამ მაინც დავურეკე. ავუხსენი ვითარება და ვთხოვე, ხელახლა გადაესინჯა ეს საქმე. როგორც ამ ექიმისაგან შევიტყვე, მეზობლებს განუცხადებიათ, ამ სახლში მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდაო. როცა შესამოწმებლად მისულან, მოხუცი მართლაც მარტო წოლილა უჭმელ-უსმელი, დაულაგებელ, გაყინულ სახლში. ერთი სიტყვით, მოხუცის წასაყვანად ყველა წინაპირობა გვქონდა, ამიტომაც დაუფიქრებლად მოვაწერეთ ხელი, — ამიხსნა ექიმმა.

თავად მოხუცს თუ უნდოდა წამოსვლა-მეთქი, დავინტერესდი მე. მაგრამ ექიმმა ხაზგასმით აღნიშნა, როცა რომელიმე მოხუცს ამგვარ მდგომარეობაში ვნახულობთ, თანხმობას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვსო.

მიხაილს ესმოდა ჩვენი საუბარი და მთხოვა, ექიმისათვის კიდევ ერთხელ განმემარტა, რომ ეს ყველაფერი მეზობლების მოწყობილი იყო, რომლებმაც შვილის აქ არყოფნით ისარგებლეს. ასეთი რამ მართლაც ხდება, — დამემოწმა ექიმი. ზოგჯერ განცხადებები ანონიმურია, ან სხვისი ხელითაა მოწერილი. ამიტომ ასეთი კონკრეტული შემთხვევები მკაცრად მოწმდება შესაბამისი ორგანოების მიერ.

ექიმმა მთხოვა ყურმილი მიხაილისათვის გადამეცა: „თუ გნებავთ, ახლავე გაიყვანეთ მამათქვენი“, — შესთავაზა ექიმმა. ჯერ შეყოყმანდა მიხაილი, მაგრამ მერე შეთანხმდნენ, მამას ან თავისთან გადაიყვანდა, ან ყოველდღე შეივლიდა მასთან.

როგორც კი ყურმილი დაკიდა, შვებით ამოისუნთქა მიხაილმა და ჩაილაპარაკა: „იმედია, ექიმი აღარ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას“. მაშინვე ის გაეიფიქრე, შევძლებდი კი როდისმე მამაჩემის ან დედაჩემის ჩემთან გადმოყვანას?! ეს ჩემთვის უმძიმესი იქნებოდა და ალბათ შეუძლებელიც.

მიხაილის წასვლისთანავე გადავურეკე მშობლებს. ყურმილი მამამ აიღო და ცოტა არ იყოს, დავიბენი. მე ხომ მიხაილის ამბავმა ამიფორიაქა სული. მოვიკითხე, როგორა ხარ-მეთქი. ყველაფერი წესრიგშიაო, მითხრა მამამ და რადგან არც ერთს გვქონდა სათქმელი და არც მეორეს, მალევე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

დეკემბრის შუა რიცხვებში აცივდა, თოვლიც მოდიოდა, მიწას ეფინებოდა, მაგრამ მალევე დნებოდა. ქუჩები მთლად ატალახიანებული და მოლიპული იყო. ამ ჩამოქუფრულ ამინდში ცა ნაცრისფერ ბამბას დამსგავსებოდა. ჩემს ოთახში კი მეტისმეტად ცხელოდა. რადიატორებში წყალი კი დავამატე, მაგრამ ამანაც

არ უშველა. მეშინოდა, ასეთ სითბოზე ტარაკანები არ გაჩენილიყო. მახსოვს, ერთ წელს მთელ სადარბაზოს მოედო ტარაკანები. ვიდრე გაზი არ გაუშვეს, მანამ არ გაწყდა. მას მერე აღარ გამოჩენილან, მაგრამ ახლა სიფრთხილის მიზნით ყოველ კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებდი.

ყოველ წელს შობისთვის დედა ამანათს მიგზავნიდა. ამჟამადაც მივიღე. შიგ ბარათიც იყო, თაფლისკვერებს მთლად გაექონიანებინათ და ნაწერი ძლივს იკითხებოდა. შობისთვის გელოდები, შენი დაც შემპირდა, ჩამოვალო. ბოლოს მეკითხებოდა საშობაოდ რა გიყიდოვო? რვეულის ერთი ფურცელი ბოლომდე გაევსო. ოცდაათი წელია სკოლა დავამთავრეთ, მაგრამ დედას ისე ჰქონდა ჩვეულად რვეულის ფურცლებზე წერა, რომ დღემდე სახლში გამოულევლად ჰქონდა რვეული.

შაბათს, შობის წინა დღეს, რაღაც ხმაურმა გამოიღვიძა. ძლივს მოვეგე გონს. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, ჩიტები იყვნენ. ჩვენი სახლის გარშემო არასოდეს შემიმჩნევია ჩიტები, საიდან მოდიოდა ეს ხმა ვერ გამეგო. გვიანლა გამახსენდა ფრაუ რუპრეხტის ჩიტები და შვება ვიგრძენი. უეცრად ისევ დამკრა თავში, რატომ სხვა დროს არ მომხვედრია ყურში ჩიტების ასეთი გნიასი? და თითქოს გონება გამინათდაო, სწრაფად წამოვხტი საწოლიდან, ჩავიცვი და ქალბატონ რუპრეხტთან გავედი. კარზე დავრეკე, მაგრამ არაფინ გამომეხმაურა. მერე კაკუნი ავტეხე. გვერდით კარი გამოიღო და მეზობელმა მკითხა, რა მოხდაო, რაღაც ჩავილაპარაკე გაურკვევლად და შინ შევბრუნდი. შეეცადე დავმშვიდებულიყავი, მაგრამ ვერ ვისვენებდი. ჩიტების გნიასი არ წყდებოდა. მეჩვენებოდა, თითქოს სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაჰკიოდნენ. „რაღაც მოხდა — ტვინს მიღრღნიდა ეს აზრი, — ნამდვილად რაღაც მოხდა“.

სკამზე ჩამოვჯექი და ანგარიშმიუცემლად სიგარეტს მოვუკიდე. „კი მაგრამ, რა უნდა მომხდარიყო? — ვიმშვიდებდი თავს, — ეს ყველაფერი ნერვების ბრალია. ჩიტები ალბათ სხვა დროსაც ხმაურობდნენ და ვერ ვამჩნევდი. ახლა პირველად მივაქციე ყურადღება და განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭე“.

მაინც ვერ მოვისვენე. სიგარეტი ჩავაქრე, სამზარეულოში გავედი, ელექტროღუმელი გამოვრთე და სახლიდან გავედი. ლიფტით ჩავედი დაბლა და სახლმმართველის ოთახს მივაშურე. კარი თვითონ სახლმმართველმა გამიღო. უპერანგო თეთრი ბალნით დაფარულ ტანზე შარვლის გადასაჭერები ეკეთა. ვთხოვე, ზემოთ ამომყოლოდა და ქალბატონი რუპრეხტის ბინა გაეღო. თან შევეცადე ჩემი აღელვების მიზეზიც ამეხსნა.

„თქვენი მღელვარება არავითარ უფლებას არ მაძლევს სხვისი ბინა გავაღო“, — მიპასუხა მან უხეშად. არ ვეშეებოდი, ვიცოდი სხვაგვარად მაინც ვერ დავწყნარდებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. ოთახში შებრუნდა, სამუშაო ხალათი გადაიცვა და გამომყვა. ლიფტში განმიცხადა მთელ პასუხისმგებლობას თქვენ იკისრებთ, მე ამისთვის არ მიხდიან ფულსო. ლიფტშივე შევთავაზე სახლმმართველს ხუთი მარკა და კმაყოფილი დამრჩა. მადლობა გადამიხადა და თან თავი იმართლა, ამიტომ კი არ მითქვამსო.

ქალბატონი რუპრეხტის პატარა შესასვლელში ჩიტების საჭმლისა და ნესტიანი ქვიშის საშინელი სუნი გვეცა. როგორ შეიძლება ასეთი რამ?! — ჩაიბურდღუნა სახლმმართველმა, სუნს გულისხმობდა ალბათ.

ოთახის კარი რომ შევაღეთ, დავინახეთ, ქალბატონი რუპრეხტი სავარძელში იჯდა და სარკესავით გამჭვირვალე პატარა თვალებით პირდაპირ ჩვენ შემოგვცქეროდა. სახლმმართველი მოჰყვა ბოდიშებს დაუკითხავი სტუმრობი-

სათვის და უცბად ხმა ჩაუწყდა. „ეშმაკმა დალახვრის! — გამოსცრა მან ცივად, — მკვდარია“. ოთახში მძიმე სუნი იდგა. სახლმმართველმა მკაცრად გადმოიხედა.

ჩიტები მოუსვენრად ჟივჟივებდნენ და თავგზააბნეულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ გალიას. ზოგიც ლონეშეხდილი გალიის ფსკერზე [illegible] ქვიშაში ეყარა. სახლმმართველმა აივნის კარი გამოაღო. შეეცადა [illegible] დამეხუჭა მიცვალებულისათვის, მაგრამ ქუთუთოები ისე ჩაკარგულიყო თვალების ღრმულში, რომ არაფერი გამომცოდა. სხეული მთლად გასციებოდა. „ხელი არაფერს ახლოთ“, — გამაფრთხილა სახლმმართველმა.

მინდოდა ჩიტებისათვის წყალი გამომეცვალა, საჭმელი დამეყარა, მაგრამ სახლმმართველმა არაფრით არ დამრთო ნება. ოთახიდან გამომაგდო, კარი საგულდაგულოდ გადაკეტა. ირიბად გადმოიხედა და მითხრა, თავად მივხედავ ყველაფერს, უკვე მაქვს ამის გამოცდილებაო. მერე მკითხა, მიცვალებულის ახლობელთაგან ვინმეს ხომ არ იცნობთო. არა-მეთქი, ვუპასუხე. სახლმმართველმა ჯიბიდან დაგრეხილი, დანესტიანებული სიგარეტი ამოიღო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოუკიდა.

ნაშუადღევს პოლიცია და სასწრაფო მოვიდა. ამასაც დერეფნიდან შემოღწეული ხმებით მივხვდი. გვამის გამოტანისას სანიტრები კარს მოაწყდნენ. ვიფიქრე, ჩემი დახმარება ხომ არ სჭირდებათ-მეთქი და გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ მალევე გადავიფიქრე.

ჩემი ოთახის კარი შემოსასვლელში რომ გადიოდა, ღიად მქონდა და ყველა სიტყვა თუ ფაჩუნი მესმოდა. ამგვარი იყო ქალბატონი რუპრეხტის უკანასკნელი გამოძშვიდობება თავის მეზობლებთან.

ვიღაც კაცი, ალბათ სანიტარი ხმამაღლა ჩხუბობდა დერეფანში. სამი დღეა მოხუცი მოკვდა, ნუთუ ვერავინ გაიგო?! თავს არავინ იწუხებს. არა და, ყველას ეს ბედი უწერია ამ სახლში.

სადამის სახლმმართველმა მომაკითხა. მითხოვა, ვიდრე რაიმეს მოვავვარებ, თუ შეგიძლიათ, ქალბატონ რუპრეხტის ჩიტებს მოუარეთო. გასაღებები მომცა, ამავე დღეს შევედი: გავურეცხე ჩიტებს წყლის ჭურჭელი, ახალი წყალი ჩავუსხი. სულ ოცდასამი ჩიტი იყო. ორი თუთიყუში მომკვდარიყო. გაზეთში გადავახვიე, რომ წასვლისას წამეღო და ნაგავში გადამეყარა.

ყველაფერ ამას ერთი საათი მოვუნდი. ცოტა არ იყოს, უსიამოვნო შეგრძნება მქონდა. ასე მეგონა, უცბად საიდანღაც შემოვიდოდა ქალბატონი რუპრეხტი და ახსნა-განმარტებების მიცემა დამჭირდებოდა, რისთვის ვიყავი მის სახლში. ვწუხდი, რომ ვერ დავუხუჭე მიცვალებულს თვალები. თვალდახუჭული მიცვალებულები ნაკლებ საზარლად გამოიყურებიან.

ყველაფერი რომ მოვამთავრე, ავიღე გაზეთში გახვეული თუთიყუშები და ლიფტის გვერდით სანაგვეში ჩავყარე. სახლში რომ დავბრუნდი, დიდხანს ვიხეხავდი ხელებს ჯაგრისით.

ორი დღის შემდეგ სახლმმართველმა გასაღები გამომართვა. „ხომ არაფერი იცით ქალბატონი რუპრეხტის დაკრძალვის თაობაზე?“ — დავინტერესდი მე. ნათესავები ჯერ არ გამოჩენილან, ამიტომ ავეჯს დროებით სარდაფში ჩავიტანთ. ცოტა ხნით ჩიტებს თქვენთან ხომ არ შეინახავდით, თუნდაც რამოდენიმეხი. — მოხოვა სახლმმართველმა. და როცა ვუპასუხე, წასვლას ვაპირებ-მეთქი, გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა: „გასაგებია, არავის უნდა მიცვალებულის ჩიტები“. გასვლისას კიდევ ვკითხე: „გვამი სად იმყოფება ამჟამად?“ სადაც საჭიროა, მომიგო უკმეხად და გავიდა.

მესმოდა, როგორ საქმიანობდა გვიანობამდე ფრაუ რუპრეხტის სახლში სახლმმართველი. ვერ ავიტანე და როგორმე რომ ჩამეხშო ეს ხმები, ტელევიზორი ჩავრთე. კარგია გასაღები რომ წაიღო, არავითარი სურვილი არ მქონდა, ყოველდღე ძევლო სხვის სახლში და შეზრუნა ჩიტებზე, როგორც სახლმმართველმა თქვა „მიცვალებულის ჩიტებზე". ეს ჩიტები ფრაუ [illegible] ეკუთვნოდა და მისთვისვე უნდა გაეყოლებინათ.

შობამდე ორი დღით ადრე საჩუქრებისთვის გავედი მაღაზიებში. ვიყიდე ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვები, სხვადასხვა სასმისები და საკმაზები. გამყიდველმა ჩემი შენაძენი სანოვაგის შეკვრა რომ გადმომცა, მკითხა, კიდევ ხომ არაფერს ინებებთო. მგონი, არა-მეთქი, ვუპასუხე და ფული გადავიხადე.

ჩემი აზრით, უსაჩუქროდ არავინ დამრჩენია. გამოსვლისას გამყიდველმა ბედნიერი შობა მისურვა.

ყოველი შემთხვევისათვის მაინც ამოვიღე ბლოკნოტი, მინდოდა კიდევ ერთხელ გადამეხედა ნაცნობების სიისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, მართლა ხომ არავინ გამომრჩა-მეთქი. უწინ ვცდილობდი თითოეულისათვის რაიმე განსაკუთრებული მეყიდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრით აღარ ვიწუხებდი თავს. რაც ხელთ მომხვდებოდა, იმითაც ვკმაყოფილდებოდი. თანაც ვერაფრით ვერ წარმოვიდგინა, რა უნდა იყოს ეს ინდივიდუალური, თითოეულის ხასიათისათვის მახასიათებელი საჩუქარი. ჩემთვის რომ ეჩუქებინათ ამგვარი რამ, ალბათ ნამდვილად აღტაცებდი. ასეთი საჩუქარი საკუთარი პიროვნების ამოცნობაშიც დამეხმარებოდა. დღემდე მაინტერესებს, რას წარმოვადგენ, მაგრამ ვერ გამიგია. სტატისტიკის მიხედვით იქნებ კიდევ ოცდაათ წელს ვიცოცხლო, თუმცა არა მგონია, საკუთარი პიროვნების ამოცნობამ გამიადვილოს ამ ოცდაათი წლის გაძლება. როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც მაქვს შიში, არ შევიშალო, ჭკუიდან არ გადავდგე. საკმარისია, ყური მოვკრა ასეთ შემთხვევას, რომ მაშინვე ჩემს თავზე გავიფიქრო: „ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს მეც ასე დამემართოს. დაზღვეული არავინაა. სიგიჟემდე პირდაპირი გზა კი სწორედ ესაა: ღრმად ჩაიხედო და გაიაზრო, სინამდვილეში ვინ ხარ შენ". თანამედროვე ფსიქიატრიაში კი არსებობს წინსვლები, მაგრამ პაციენტი მაინც ბევრია. საოცრად ცუდად ვარ განწყობილი ფსიქიატრიისა და ნეიროქირურგიისადმი. ვფიქრობ, თუ მოვინდომებთ, ყველა მოვძებნით ჩვენს თავში სივიეის რაიმე სინდრომს".

შობის წინა დღეს მე და ჰენრიმ რესტორანში ვისადილეთ. ვიცოდი, შობისთვის თავისიანებთან აპირებდა წასვლას, მაგრამ ვცდილობდი ამ თემაზე არც ერთს არ გველაპარაკა. გამომშვიდობებისას ჰენრიმ პატარა შეხვეული ჩამიდო ხელში. „არ გინდა, გთხოვ, ძალიან გთხოვ", — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს, მხოლოდ გავუღიმე.

ვიდრე ჰენრი ნესტისა და ჭუჭყიანი ასფალტის მტვერში არ ჩაიკარგა, მანამდე გავცქეროდი მანქანის სარკიდან, ვხედავდი, როგორ იდგა, ქუდი კეფაზე მოეგდო და მიყურებდა.

თავი მეთერთმეტე

შობის მეორე დღესვე მოწყენილობამ შემიპყრო, ფოტოაპარატი ავიღე და სახლიდან გავედი. დედამ რომ გაიგო, სადაც მივდიოდი, გაკვირვებულმა და ცოტა არ იყოს განაწყენებულმა, მითხრა: „ჩვენს მხარეს რაც გადასაღებია, ხომ ყველაფერი გადაღებული გაქვს, ნეტა რაღა უნდა გადაიღო". „ბუნება ცვალება-

დია, დედა“, — შევეპასუხე მე. ასეა თუ ისე, დედამ გამიგო, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო ჩემი სახლიდან წასვლისა და აღარ ჩამძიებია, რითაც ჩემი მადლიერების გრძნობა დაიმსახურა. ვთხოვე, არაფერი გამატანო-მეთქი, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა, ყავა და კარაქიანი პური ჩამიდო.

შინ მართლაც ვერ ვჩერდებოდი. შობა დღეს უკვე [illegible] მშობლებთან რომ ჩავედი. ყველაფერი გაემზადებინათ, ნაძვის ხეც [illegible] ციცოდი, მთელ დღეს გადაყვებოდა მამა ნაძვის ხის მოროვას, ამიტომაც მოვუწონე, მინდოდა, მესიამოვნებინა მისთვის. ჩემი საშობაო საჩუქრებით ისე გაიხარეს, რომ ერთ წამს ვინანე კიდეც, რატომ უფრო კარგი რამ არ შევარჩიე-მეთქი, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ საჩუქრები ძვირი და იშვიათი იყო, რაც ცოტას არ ნიშნავდა ჩემი მშობლებისათვის.

იმ ღამეს სამივემ მივირთეთ ღვინო. ბავშვობიდანვე მახსოვს, ყოველთვის ასე ვხვდებოდით დღესასწაულებს. დედას, ეტყობა, ღვინო მოერია და უმიზეზოდ დაიწყო ტირილი. თუმცა ზოგჯერ ცრემლებისათვის არც არავითარი საბაბი არ არის საჭირო. მოგვიანებით ტელევიზორს მივუსხედით. ვატყობდი, დედას ლაპარაკი უნდოდა ჩემთან, მაგრამ იმის შიშით, რომ მამას ხელი არ შეშლოდა ტელევიზორის ყურებაში, ხმას ვერ იღებდა.

მამამ მალევე გამორთო ტელევიზორი, რადგან არც ერთ არხზე ნორმალური გადაცემა არ იყო და გვერდზე მომიჯდა სალაპარაკოდ: როგორ მიდის შენი საქმეები, რა ხდება ახალი?“ მეც ყველანაირად შევეცადე გამეხსენებინა და მომეყოლა ყველაფერი, რაც დააინტერესებდათ და გაახარებდათ ჩემს მოხუცებს.

არ მინდოდა, პირველი გავსულიყავი დასაძინებლად, რომ არ მეწყენინებინა მათთვის. გვიანობამდე შემოვრჩით.

შუალამისას ჩემმა დამ დარეკა. შობამდე ორი დღით ადრე დაურეკავს და გაუფრთხილებია დედა, შობის მეორე დღეს ჩამოვალო. მხიარული ხმა ჰქონდა, ეტყობოდა, ცოტა ნასვამიც იყო. სათითაოდ მივედით ყურმილთან და მივულოცეთ შობა. ბოლოს მე ველაპარაკე: „მიხარია, ხვალ რომ გნახავ“, — დავსძინე მე, რაზეც მან გაიცინა და მითხრა: „ხვალ სურპრიზი გელოდება“ და ვიდრე გამოვეშშვიდობებოდი, პირობა ჩამომართვა, არ გავუბრაზდებოდი. და ისე სწრაფად დაკიდა ყურმილი, რომ ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი.

მეორე დღეს სადილობისას ჩემი და ირენეც მოვიდა, მას ჰინერი მოჰყვა. ნამდვილად არ მოველოდი აქ ჰინერთან შეხვედრას. დედასაც გაუკვირდა, თუმცა მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ რაღაც გაირკვეოდა მე და ჰინერს შორის. ის ხომ ყოველთვის ამაყობდა ჩვენით, ჩვენი წარმატებებით, ასე ადვილად რომ ვიხვეჭდით ორივე, რადგან პატივმოყვარენი ვიყავით. ერთი სიტყვით, სამაგალითო ცოლ-ქმრად ვითვლებოდით, ისეთი, ყველა დედა რომ ისურვებდა თავისი შვილისათვის. ამიტომაც ვერ წარმოედგინა, ვერანაირად ვერ გაეცნობიერებინა დედას ჩვენი დაშორება. ეს არ თავსდებოდა მის გონებაში. არადა, რამდენჯერ გაუფრთხილე, ჩვენს საქმეში ნუ ერევი-მეთქი.

თუმცა არანაკლებ გააოცა იმ ფაქტმაც, რომ ჰინერი ირენესთან ერთად მოვიდა. ორივე კი დაპატიჟა, მაგრამ თუ ერთად მოვიდოდნენ, ამას უკვე რას წარმოიდგენდა! შეეატყვე, მამასაც გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ირენე მასწავლებლად მუშაობდა როსტოკში, ქმარი ინჟინერი ჰყავდა. თავიდანვე ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. ჩვენთანაც კი არ ერიდებოდა ირენე და ბოთეს ეძახდა თავის ქმარს. გაუთავებელი წყენა და უკმაყოფილება ჰქონდათ ოჯახში. ჩვენ არასოდეს ჩავრეულვართ მათ საქმეში და საერთოდაც ისე გვეჭი-

რა თავი, ვითომც ვერაფერს ეამჩნევდით. ხუთი წლის გოგო ჰყავდათ და ისიც მისდა საუბედუროდ მამას ჰგავდა.

რა მოატყუა ქმარს ირენემ, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, დედას ასე განუცხადა: „ქმარ-შვილი როსტოკში დავტოვე, მარტო მინდოდა შევხვედროდი ამ შობას“.

ეროვნული

დედამ ჰინერი და ირენე ერთად რომ დაინახა, სახეზე [illegible] ლაქებმა დააყარა. მაგრამ ჩხუბი და ნერვიულობა მას არ სჩვეოდა, მით უმეტეს, რომ ვერც ხვდებოდა, რა ხდებოდა. ცდილობდა როგორმე შეენარჩუნებინა სიმშვიდე და არავისთვის მოეკლო თავისი ყურადღება. მხოლოდ ლოყები ულაჟლაჟებდა წითლად.

მოსვლისას ლოყაზე მაკოცა ჰინერმა; მალე სადილად დავსხედით. საკმაოდ ბუნებრივი საუბარი ჩამოვარდა მაგიდასთან. მამამ ჩვეულებრივ გამოიკითხა თავისი შვილიშვილის და სიძის ამბავი.

სამზარეულოში რომ გავედით, ირენემ სთხოვა დედას: „თუ ჰანესმა დარეკოს, ნურაფერს ეტყვი, მაპატიე, დედა, მაგრამ ასეა საჭირო. მოგვიანებით თავად ავუხსნი ყველაფერს“. დედამ, ისე რომ სახეზეც არ შეუხედავს მისთვის, თავი დაუქნია და თან შეუჩერებლივ განაგრძობდა ჭურჭლის რეცხვას, ეტყობოდა, ნერვიულობდა.

ჭურჭელი მე გავიტანე ოთახში. ჰინერი სავარძელში იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. დამინახა თუ არა, ფეხზე წამოიჭრა და შეეცადა მომხმარებოდა. დაბნეული ჩანდა: „როგორა ხარ, შენი საქმეები როგორ მიდის?“ — როგორც იქნა, წამოიწყო მან. პასუხი რომ არ მიიღო, თავადვე განაგრძო, სექტემბერში მთავარ ექიმად გადამიყვანესო. გამიკვირდა, ჰინერი ადრე სულ იმას ჩიოდა, საავადმყოფოში არასასურველი პერსპექტივები მაქვსო. ყოველთვის ბრაზობდა, ვერა და ვერ დამაწინაურესო. მოკლედ, ბოლმასა და ღვარძლს ანთხევდა. ჰინერმა, ეტყობა, სახეზე შემამჩნია რაღაც და მიზეზსაც მიხვდა: „ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ ამჟამად ყველაფერი სხვაგვარადაა, ეს ბოლო ორი წელია, უფროსთანაც კარგ ურთიერთობაში ვარ, საერთაშორისო კონგრესებზეც თან მივყავარ და საავადმყოფოშიც ძალიან მაფასებენო“. „პარტიაში თუ შეხვედი?“ — დავინტერესდი მე. კიო, მითხრა და მაშინვე დასძინა, არც მთლად ისეა საქმე, შენ რომ გგონია. ვიდრე მაგ ნაბიჯს გადავდგამდი, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონეო.

„მე არაფერიც არ მგონია“, — შევაწყვეტინე მაშინვე. ჰინერი ისევ დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მზერა რომ დაიჭირა, მკითხა, ხომ არ ბრაზობო?“ „რა მაქვს გასაბრაზებელი?“ — გავიკვირვე მე. „შენს დასთან ერთად რომ მოვედი“. „კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?“ „ძალიან კარგი, თუ ასე მშვიდად შეხვდი ამ ამბავს. არასოდეს მეპარებოდა ეჭვი შენში. ჩვენ ყოველთვის შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს“.

„რაც შეეხება გაგებას, მაგაზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ შენი და ირენეს ამბავი მე არ მეხება. ეგ თქვენი საქმეა“. ჰინერი წამოდგა, ლოყაზე მომეფერა და დაამატა: „მართლაც რომ გაგებული ადამიანი ხარ“.

სამზარეულოში რომ დავბრუნდი, ჩემი და ახველებდა, დედაჩემს ნამტირალევი თვალები ჰქონდა. ხმაც არ ამომიღია, ჭიქების გამშრალებას შევუდექი. ისევ დედამ დაარღვია სიჩუმე: „არ დაგავიწყდეთ რომ შობაა, ნუ დავუმძიმებთ ერთმანეთს გულს“. უცბად მომიტრიალდა ჩემი და და მკითხა: „შენც მასე ფიქრობ, რომ მე წავართვი ჰინერი?“

„საიდან მოიტანე, ჩვენ უკვე კარგა ხანია დავშორდით ერთმანეთს. მე აღარაფერი მაკავშირებს მასთან. ასე რომ, მშვიდად შეგიძლიათ იძინოთ ერთად“.

„საქმე მხოლოდ ეგ არაა, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი“. — უკმეხად მოშიგო ირენემ.

„შენი არ ვიცი, მაგრამ ჰინერისათვის რაცაა მთავარი, შე ნუ მასწავლი“. ამ სიტყვებზე კი თავი ველარ შეიკავა ჩემმა დამ და ატირდა, ბრაზი მოშივიდა საკუთარ თავზე. რატომ მოვექეცი ასე?! რა საჭირო იყო [illegible]ან რა ჩემი საქმე იყო, რა ურთიერთობაში იქნებოდნენ ჰინერი [illegible]ლოდა ბოდიში მოშეხადა, რაღაც ამეხსნა, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა. ის უკვე გაბოროტებული იყო. დედა კვლავ შეეცადა ჩვენს დამშვიდებას: არ გინდათ, ნუ ჩაიმწარებთ შობა დღესო.

ყველანი ჩუმად ვისხედით და ყავას შევექცეოდით. მარტო დედა ლაპარაკობდა, ხან ერთ ნათესავზე ყვებოდა რაღაცას, ხან მეორეზე. ირენე გაბუტული იჯდა, ჰინერი კი უხერხულად გრძნობდა თავს. ახლაღა მიხვდა მამაჩემი რაც მოხდა. ჰინერი და ჩემი და რომ გამოემშვიდობნენ მამას, ეს უკანასკნელი საშინლად გაფითრდა. შემეცოდა, უწინ ალბათ მოთმინებიდან გამოვიდოდა, მაგიდაზეც დაარტყამდა მუშტს, მაგრამ ეს მხოლოდ უწინ. ახლა კი გულში იკლავდა ყველაფერს. ჩუმად იჯდა ტელევიზორთან და აღარავის გვაქცევდა ყურადღებას. შევამჩნიე, ნერვიულობისაგან მთლად გათეთრებოდა ხელები.

იმ ღამეს ადრე დავწექით. მეორე ოთახიდან მესმოდა, როგორ ეხვეწებოდა დედა მამას: „ჰმა ამოიღე, ადამიანო, თქვი, რას ფიქრობ?“ მაგრამ მამა ხმას არ იღებდა.

ვიწექი და ვფიქრობდი, რა დარჩა ჩემი და ჰინერის ურთიერთობიდან-მეთქი? ისე გავიდა ეს წლები, არც კი გამხსენებია იგი, ჩვენ სამუდამოდ გავუცხოვდით ერთმანეთისათვის. მაგრამ ჩემს დაზე, ცოტა არ იყოს, მაინც ბრაზი მიმდეოდა. შეურაცხყოფილად ვთვლიდი თავს.

მომდევნო დღეშაც. მართალია მოწყენილობაში, მაგრამ მაინც მშვიდად ჩაიარა. ვახშმად დეიდა გერდა და ბიძია პაულიც მოვიდნენ. მე კი დედის დაჟინებული თხოვნით ჩემს სამსახურეობრივ საქმეებზე ეყვებოდი.

მოგვიანებით ჩემი დის ქმარმა ჰანსმა დარეკა. ყურმილი დედამ აიღო, თავისი შვილიშვილი მოიკითხა და თან ხელით მანიშნა, მოდი, შენც დაელაპარაკეო. უარის ნიშნად ხელი გავუქნიე და დეიდა გერდა ოთახიდან გავიყვანე, კარიც გამოვიხურე, რომ სიცრუის თქმის არ შერცხვენოდა დედას. დედაც მალევე მოგვყვა უკან.

ყველას გადმოგვცა ჰინერის მოკითხვა. მაშინ მამას გავხედე, თავიც არ აუწევია, მივხვდი, რაც ხდებოდა მის გულში.

მეორე დილით ავიღე ჩემი ფოტოაპარატი და ბუნებაში გავედი. ისე ცივდა, ლამის გავითოშე. კაფეც კი არსად იყო, რომ შევსულიყავი. შებინდებამდე დავბრუნდი შინ.

რისთვის ჩამოვედი მშობლებთან? ჩვენ ხომ აღარაფერი გვაკავშირებდა ერთმანეთთან? არა და, ვიცოდი, მომავალ წელსაც ჩამოვიდოდი. და ასე იქნებოდა მანამ, ვიდრე სიკვდილი არ გაგვყრიდა. ყოველ ჩამოსვლამდე ვსაყვედურობდი თავს: „რატომ ჩამოდიხარ?“ მაგრამ სიმამაცე არასოდეს არ მეყოფოდა, რომ რიდისმე გამეწყვიტა ჩემს მშობლებთან ურთიერთობა, რომელმაც უკვე კარგა ხანია დაკარგა აზრი.

საოცარი ის იყო, რომ მე და ჩემს მშობლებს წარსულთანაც კი სხვადასხვაგვარი მოგონებები გვაკავშირებდა. ერთ ღამეს მარტონი რომ დავრჩით, უამრავი რამ გავიხსენეთ ქალაქ G-ში გატარებულ წლებზე. და გამიკვირდა, როცა აღმოჩნდა, რომ ის წლები, მე რომ მძიმედ და აუტანლად მესახებოდა და

თავს ყველაზე უბედურად ვთვლიდი, ჩემი მშობლებისათვის სანატრელი და ბედნიერი ყოფილა. ჩვენ არასოდეს გვესმოდა ერთმანეთის.

ერთი სიტყვით, იმ საღამოს სასიამოვნო მოგონებებმა გაიტაცეს ჩემი მშობლები. დედა კმაყოფილი ჩანდა. თუმცა მისმა ერთმა კითხვამ: ხვალისთვის რა გეგმები გაქვსო? — კინაღამ ყველაფერი გააფუჭა. არ ეხიამოვნა, როცა გაიგო, რომ სურათების გადასალებად ვაპირებდი წასვლას.

ვიდრე დასაძინებლად გავიდოდით, ერთმანეთს გადავეხვიეთ, გადავკოცნეთ. უწინ გვჩვეოდა ასე, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინ იყო, რომ ახლა დაუჯერებელიც კი გვეჩვენებოდა.

კვირას ჰენრი ჩამოვიდა. მას კუბოკრული, ყავისფერი პიჯაკი ეცვა, თავზე ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა. პირველად ვნახე ასე ჩაცმული, კინაღამ სიცილი ამიტყდა. ვუთხარი კიდეც, მეორეხარისხოვანი შოუს კონფერანსიეს გავხარ-მეთქი. რაზეც, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა მითხრა: „რა ვიცი, აბა, ჩემი საგარეო პიჯაკი ესაა, შთაბეჭდილების მოხდენა მინდოდა". შინ რომ შევდიოდით, ხელი მომხვია და ყურში ჩამჩურჩულა: „ერთი სული მაქვს, როდის დავწვებით".

დედას ძალიან გაეხარდა ჰენრის ჩამოსვლა. ჩათვალა, რომ ეს უწინდებურად დედა-შვილის კარგი ურთიერთობის საწინდარი იყო. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ დედა-შვილს ერთიმეორისაგან დამალული არაფერი ჰქონდათ. ასე რომ, ეს ფაქტი დედამ ნდობის ნიშნად მიიჩნია. გვერდიდან არ შორდებოდა ჰენრის, ხან რას სთავაზობდა, ხან რას. თან წამდაუწუმ ეკითხებოდა, კიდევ ხომ არაფერს ინებებთო. ეტყობა, ჰენრიმ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

„რას საქმიანობთ?" — დაინტერესდა მამა და როცა ჰენრის სერიოზული და აზრიანი პასუხი მოისმინა, შევამჩნიე, კმაყოფილი დარჩა. მამასთვის ისე მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკა და სამსახური, რომ არ უყვარდა ამ საკითხებზე აგდებული ლაპარაკი. ახალ თაობას უნდობლად უყურებდა, უპასუხისმგებლობაში ხდებდა ბრალს. მისი აზრით, ახალი თაობა იმასაც დაკარგავდა, რაც ძველმა თაობამ მოიპოვა. მამას არც დედა ჩამორჩა და ახლა მან ჰკითხა ჰენრის: „დაქორწინებული ხართ?" „კი, ორი შვილიც მყავს", — გულახდილად უპასუხა ჰენრიმ. ნერვიულობისაგან ენა ჩაუგარდათ ჩემს მშობლებს. მერე კი აუხსნა ჰენრიმ, გაყრილები ვართო, მაგრამ ეს უკვე ნაკლებ უშველიდა წახდენილ საქმეს. საბრალო მოხუცები, რამდენი იმედგაცრუება შეხვედათ ამ ახალ წელს!

საღამოს ბრიჯი ვითამაშეთ. დედა თითქოს გამოცვალესო, ყოველნაირად ცდილობდა თავი მოეწონებინა, რაიმეთი მოენადირებინა გული თავისი შესაძლო და მომავალი სიძისათვის. დედას მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა, ბედნიერი ენახა თავისი ქალიშვილი. ბედნიერება კი მას თავისებურად ესახებოდა.

„სად გავუშალოთ ჰენრის, სასტუმრო ოთახში ხომ არ აგიღებს?" — მკითხა მოგვიანებით დედამ და როცა ვუთხარი, ჰენრი ჩემთან დაწვება-მეთქი, აღარაფერი უთქვამს.

იმ ღამეს ჰენრიმ თავის ცოლზე შემომჩიელა: „მემუქრება, რატომ, თავადაც ვერ გამიგია. არადა, ასე განმიცხადა, გაყრას არ მოგცემო". „კი მაგრამ, ეგ შენ ძალიან გადარდებს?" — ვკითხე მე.

„ვერ გეტყვი, უბრალოდ, თავადაც ვერ გავრკვეულვარ. მხოლოდ ერთადერთი რამ ვიცი ნათლად, რომ ბავშვებს ვერ მივატოვებ".

გვერდი-გვერდ ვიწექით და სიგარეტს ვეწეოდით. ორივეს ჩვენ-ჩვენი მტანჯველი და მოულოდნელობებით აღსავსე საფიქრალი გვქონდა.

მეორე დღეს, ვიდრე მე და დედა სამზარეულოში ვფუსფუსებდით, მამამ სახლის უკანა მხარეს, ფარდულში გაიყვანა ჰენრი და იქ საქმიანობდნენ. სადილობის შემდეგ ქალაქში გავისეირნეთ მე და ჰენრიმ. ნათელი, მზიანი ამინდი იყო. ღამით კი თოვდა, მაგრამ დადებით არ დაუდვია. თოვლქყაფს მთლად აეტალახებინა ქუჩები. სახლების წინ სოფლის ახალგაზრდობას მოეყარა თავი. რიცა ჩავუარეთ, რალაც გაიხუმრეს და თან გაიქცნენ.

თბილოდა და პალტოები გახსნილი გვქონდა. მოულოდნელად ჰენრიმ მკითხა: „ჩემგან რას მოელი?“ მე ვერ გავიგე მისი შეკითხვა და გაოცებულმა შევეკითხე.

„მაინტერესებს, რას ფიქრობს ჩვენს შემდგომ ურთიერთობაზე“.

„არაფერსაც არ ვფიქრობ“.

„ძალიან კარგი, არ მინდა იმედი გაგიცრუო, ან თავად დავრჩე იმედგაცრუებული“.

„სავსებით გეთანხმები“.

„ძალიან კარგი,“ — ჩაილაპარაკა ჰენრიმ მრავალმნიშვნელოვნად.

ეკლესიაში შევედით და ბოლო მერხზე დავსხედით. წირვა მიდიოდა. ჩვენს გარდა რამოდენიმე ხანში შესული ადამიანიც იჯდა. მღვდელი განუწყვეტლივ ჩვენსკენ იყურებოდა. ისეთი შეგრძნება გაგვიჩნდა, რომ ხელს ვუშლიდით. ჩვენ იქ უცხონი ვიყავით და წამოვედით.

უკან რომ ვბრუნდებოდით, უამრავი წყვილი შემოგვხვდა გზაზე. ქალებს ქურქის ქვეშ გრძელი კაბები ეცვათ, თმაში ბურბუშელები ჩაემაგრებინათ. ყველა შემხვედრი გვესალმებოდა და გვილოცავდა, ჩვენც თავს ვუკრავდით.

სახლთან ახლოს, უკვე ჩვენს შესახვევთან, ერთი ქალი იდგა და ხმამაღლა მოსთქვამდა. სახეზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. თან განუწყვეტლივ ხელჩანთას იცემდა ფეხებში. იქვე მოშორებით დაბალი კაცი იდგა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ქალს. მაგრამ არც ქალი აკლებდა.

გვერდით რომ ჩავუარეთ, ჰენრიმ ახალი წელი მიულოცა მათ. მაგრამ კაცმა ისე, რომ გამომეტყველებაც კი არ შესცვლია, მიაძახა: „მიდი რა, შენს გზაზე გაიარე“.

საღამოს ბიძია პაული და დეიდა გერდა გვესტუმრნენ, მოგვიანებით კი ირენე და ჰინერიც შემოგვიერთდნენ. საკმაოდ ბევრი დავლიეთ. ბიძია და მამა გაუთავებლად კამათობდნენ. მოულოდნელად ჰინერი წამოდგა და ჩემთან განმარტოებით საუბარი მოისურვა.

სამზარეულოში გავედით. ჰინერი დუმდა და იძულებული ვიყავი ისევ მე წამომეწყო. „რა გინდოდა?“ „ნუთუ მართლა შეგიძლია შეიძულო შენი და?“ ჰინერის თქმით ჩემი და თავს დამნაშავედ და უბედურად გრძნობდა. „ეგებ რაიმე იღონო? ოდესღაც ხომ შენც გიყვარდი და არც შენი მშობლები იყვნენ ჩემით უკმაყოფილონი. რა გასაკვირია, რომ მე და შენს დასაც შეგვიყვარდა ერთმანეთი. ეგებ შეურიგდე შენს დას? თქვენ არ უნდა დაგმოთ ჩვენი სიყვარული“.

ის იყო პირი დავალე, რომ მეთქვა, პირიქით, ძალიან მოხარულები ვიქნებით-მეთქი, მაგრამ დროულად ჩავიკმინდე ენა.

„ნუთუ ასე შევიცვალე?“

ოთახში რომ დავბრუნდით, ირენემ ისე დამორცხვებულმა გადმომხედა, გული მომიკვდა და გავულიმე. მან შვებით ამოისუნთქა. თერთმეტი საათისათვის ირენე და ჰინერი გამოგვემშვიდობნენ, სხვაგან ეართ წასასვლელებიო.

შუაღამისას შამპანური გავხსენით და კიდევ ერთხელ მივულოცეთ ერთმანეთს ახალი წელი. ბიძია პაულმა გადამკოცნა და დეიდა გერდამ აიხირა, გინ-

და თუ არა ჰინერმაც მაკოცოსო. ეს უკანასკნელიც შეცბუნებული დაემორჩილა მის მოთხოვნას. საოცრად კმაყოფილი დარჩა დეიდა. მერე აივანზე გავედით, ჰენრიმ რაკეტები და პეტარდები გაუშვა. სპეციალურად შეეძინა ბერლინში, ალბათ უამრავი ფულიც დახარჯა. ახლა კი იდგა და ჩემთვის გასაოცარი ბავშვური აზარტით, ერთიმეორის მიყოლებით ისროდა.

დედას სავარძელშივე ჩაეძინა და მშვიდად ფშვინავდა. უკვე პირველი იქნებოდა, საწოლში რომ ჩავწვინე. დამჯერად კი გამომყვა, მაგრამ დაჟინებით მიმტკიცებდა, არ მეძინებაო. ცოტა ხანში მეც დავწექი. უკვე ძილბურანში ვიყავი, ჰენრი რომ შემოვიდა და ალერსი დამიწყო, მაგრამ მე ავბუზღუნდი, დაღლილი ვარ და მეძინება-მეთქი და შემეშვა.

მეორე დილით გვიან ვისაუზმეთ და მერე ჩვენს გზას დავადექით. ჰენრიც თავის მანქანით იყო. ხან გამისწრებდა, ხან ჩამომრჩებოდა, უნდოდა შეჯიბრში გამოვეწვიე, მაგრამ ვერ ამიყოლია.

საფოსტო ყუთში მისალოცი ბარათები დამხვდა. ერთი წერილი შარლოტა კრამერისაგან იყო, თავისთან მეპატიჟებოდა ახალ წელს.

საღამოს რესტორანში წავედით მე და ჰენრი. მინდოდა მის ცოლზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მაგრამ უგუნებოდ იყო და აღარ ჩავძიებივარ. ბოლოს და ბოლოს ეს მისი პრობლემა იყო და ვერაფრით დავეხმარებოდი.

დილით ადრე პოლიკლინიკაში წავედი. ვიდრე ავადმყოფების მიღებას დაიწყებდი, კარლას ენა არ გაუჩერებია, მაგრამ რას ყვებოდა, ერთი სიტყვაც არ გამიგია.

თავი მეთოერმეტე

მომდევნო თვეებმაც გახუნებულ ერთფეროვნებაში ჩაიარა. სამსახურიდან ისეთი დაღლილი ვბრუნდებოდი, რომ არაფრის გაკეთების თავი აღარ მქონდა. ცოტას თუ წავიკითხავდი ან ტელევიზორს ვუყურებდი. კვირაში ორ-სამჯერ ჰენრის ვხვდებოდი, საოცრად შევეჩვიე მას და საკმაოდ ნორმალურადაც მიდიოდა ჩვენი ურთიერთობა. ხანდახან ვცდილობდი მთელი კვირა არ მენახა; მეგონა, ასე გადავარჩენდი ყოველდღიური ჩვეულებრივობისაგან. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯეროდა.

ქალბატონი რუპრეხტის ბინაში ამჟამად სხვა ცხოვრობდა. მგონი, არმიის ოფიცერი იყო. იშვიათად თუ ვხვდებოდი მას, ისიც ლიფტთან.

თებერვალში ორმოცი წელი შემისრულდა. არც კი ველოდი, ისე მესტუმრა დედა. ნახევარი დღე სადგურში გაუტარებია, რომ თუნდაც ორი საათით მაინც ყოფილიყო ჩემთან. საჩუქრად კოფთა მომიტანა. კაფეში წავედით. ლაპარაკისას დედამ სასხვათაშორისოდ მამცნო: „ამ ზაფხულს შენს დას და ჰინერს ნიშნობა აქვთ. ირენეს იმედი აქვს, იქნებ იმ დროისთვის გაყრის საქმე მოაგვაროსო". ცოტა არ იყოს, უაზრობად მომეჩვენა ნიშნობის მოწყობა. თუმცა ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მერე მამას ჯანმრთელობაზე დაიწყო დედამ წუწუნი, ამ ბოლო ხანებში თავს ვერ გრძნობსო კარგად. „ჰენრიმ რა გაჩუქა?" — მკითხა მოულოდნელად დედამ და როცა ვუთხარი, არც კი იცის, რომ დღეს დაბადების დღე მაქვს-მეთქი, გული ეტკინა, იფიქრა, ნამდვილად დაშორდნენ ერთმანეთსო, მაგრამ მაშინვე დავამშვიდე, მაგ მხრივ ყველაფერი წესრიგშია-მეთქი. ყველაზე მეტად დედის ბოლო შეკითხვამ დამაფიქრა: „რა ექნა, მამის სიკვდილის მერე?" ალბათ უნდოდა მეთქვა, ჩემთან გადმოდი საცხოვრებლად-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვუპასუხე. დედამ ძალიან იტაცა პირ-

ზე ხელი, თუმცა რა სისულელეებს ვროშავ, ცოცხალ კაცზე ამის თქმა ხომ დიდი ცოდვაა.

ხალამის სადგურში გავაცილე. ბაქანზე ვიდექი და გავყურებდი. მინის მიღმა იჯდა მოხუცი ქალი და სევდიანი, მორიღებული ღიმილით ჩემს თანავრძნობას ითხოვდა.

შინ რომ დაებრუნდი, შევეცადე, თვალი გადამევლო ჩემი ცხოვრებისათვის; ნუთუ ორმოცმა წელმა განვლო უკვე, — არაფრით არ თავსდებოდა ეს ჩემს თავში. მთელი ეს წლები ხომ რალაცას ველოდი, მინდოდა რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში. რა, რომ გეკითხათ თავადაც არ ვიცოდი, მაგრამ ოცნება მქონდა ასეთი.

მარტში გაზაფხულის დროზე გადავედით. საათის ისრები ერთი საათით წინ გადავწიეთ. ამას თუ ჩავთვლით ამ თვეში ჩემი ცხოვრების ყველაზე ამაღელვებელ და უჩვეულო მოვლენად. ისე კი, პირად ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ყოველდღიურობაში ხომ დაირღვა რალაც, თუნდაც ჩვეული დროის მექანიზმი. შემოდგომით ისევ უკან გადავწვეთ საათის ისრებს და ჩემი ცხოვრებაც კვლავ ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

თავისუფალ დღეებში ვიღებდი ჩემს ფოტოაპარატს და ქალაქგარეთ გავდიოდი. მაგრამ სულ უფრო და უფრო მიჭირდა ჩემთვის საინტერესო პეიზაჟების შერჩევა. ასე მეგონა, ყველა მასალა ამოვწურე-მეთქი. ხანდახან მქონდა ასეთი წუთები, როცა ვერაფერს ვეღარ ვიღებდი და ხელმოცარული ვბრუნდებოდი შინ. ყოველი ასეთი დაბრუნება პიროვნულ დამარცხებად მიმაჩნდა და უფრო მძაფრად ვგრძნობდი ჩემი ფოტოების არარაობას.

იშვიათად დავდიოდი მეგობრებთან, მაგრამ ამასაც ვნანობდი, რადგან ვგრძნობდი, ნაკლები საერთო მქონდა მათთან. იქნებ ვშიშობდი კიდეც, ვაითუ ხშირი შეხვედრით, მათი ბედის თანამონაწილე გავმხდარიყავი. ვიცი, უამრავი რამ არსებობს, რის გამოც ურთიერთობენ ადამიანები ერთმანეთთან, მაგრამ ეს მე არ მეხება, არც არაფერში მეხმარება, პირიქით, მამძიმებს კიდეც. მე ხომ სანაგვე ყუთი არა ვარ, რომ ყველამ ვისაც მოესურვება, შიგ ჩაყაროს თავისი ყოველდღიური, აბსურდული ცხოვრებისაგან თავსდატეხილი პრობლემები. ამისთვის მე მაინც არ გამოვდგები. ანასთანაც ამიტომ ვცდილობ საათზე მეტი არ ვილაპარაკო. და ყოველთვის ისეთ ადგილზე ვუნიშნავ შეხვედრას, მაგალითად, კაფეში, რომ ანამ ვერ შესძლოს თავისი ემოციების გადმოფრქვევა. ასეთ ადგილებში ანა უფრო თავშეკავებულია. სახლში კი არასოდეს მივსულვარ მასთან და არც ვაპირებ (თუკი, რალა თქმა უნდა, ჩემი მორიგეობა სასწრაფო დახმარების მანქანაზე არ დაემთხვეოდა იმ დღეს, როცა ცოლ-ქმარში დაგროვილი ბალდამი ორივეს კრიზისამდე მიიყვანდა).

აქამდე უფროსთან სტუმრობისაგან თავდაღწევას ვახერხებდი. მეშინოდა, რაიმე ხათაბალაში არ გამეყო თავი. ვაითუ ამ ხშირ სტუმრობას მის პრობლემებში ჩარევა მოჰყოლოდა. მერე კი ის მცირე, მაგრამ მაინც ამბივალენტური სიყვარული თუ სიმპათია, ამ მოხუცისადმი რომ გამაჩნდა, სასაცილო თანაგრძნობაში გადამეზრდებოდა. ან რა აზრი ჰქონდა, მე ხომ მაინც ისე ვერ გავიგებდი მის პრობლემებს, როგორც საჭირო იყო. პრობლემები ჩვენ ყველას გვაქვს: ანასაც, ჩემს მშობლებსაც, ჰინერსაც, ჩემს დასაც, ჰენრისაც (დღესაც, როცა ჰენრი აღარაა ამქვეყნად, მისი პრობლემები მაინც დარჩა, უბრალოდ, სხვებს გადაულოცა). მე რაში მაინტერესებს, ვიცოდე, ვის რა პრობლემა აქვს. მხოლოდ ქალბატონ რუპრეხტს აღარ აქვს პრობლემა.

არასოდეს მქონია ჰენრისთან მის პრობლემებზე ლაპარაკი. კი, ერთი-

ორჯერ მითხრა რაღაც მინიშნებით, ზოგიც თავად მივხვდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ორივენი გავურბოდით ამ თემას. ერთადერთი კითხვა, როცა ვხვდებოდით, ეს იყო: „როგორ ხარ?!“ პასუხიც, რაღა თქმა უნდა, შეესაბამებოდა ჩვენი დუმილის ხელშეკრულებას, ან რა საჭირო იყო, დაგვემძიმებინა ერთმეორისათვის გული ჩვენ-ჩვენი გასაჭირით? რატომ უნდა ჩაგვემწარებინა ის საამოვნება, რასაც ერთად ყოფნა გვგვრიდა? მით უმეტეს, რომ გადაუჭრელ პრობლემებზე ფიქრი არაფერს შემატებდა ჩვენს ურთიერთობას. როცა არ უნდა გვეკითხა ერთმანეთისათვის, ყოველთვის კარგად გვქონდა ორივეს საქმე. რატომღაც ასე მიგვაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეცდილობდით მიგვეგნო ჩვენი საიდუმლო კუნძულისათვის ადამიანთა პრობლემების ამ უნაპირო ზღვაში. თითქოსდა ფარიკით გვქონდა ეს კითხვა-პასუხი: „როგორა ხარ?“ „კარგად, მშვენივრად ვგრძნობ თავს“. თუ არა ხარ კარგად, დარჩი სახლში და მარტომ რამდენიც გინდა იმდენი იღრიალე ოთხ კედელ შუა. მე ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ არც უბედურად მიმაჩნია თავი. კმაყოფილი ვარ ჩემით და ესეც კმარა.

საგსებით მაძლევს ხელს მე და ჰენრის დუმილის ხელშეკრულება. ეს ჩვენს ურთიერთობას უფრო უშუალოს და დაუძაბავს ხდის.

თებერვალ აპრილს ჰენრი დაიღუპა. დაღუპვამდე სწორედ ორი დღით ადრე ვნახე, სამსახურში ვიყავი მასთან. მეორე დღეს კი ქალბატონი ლუბანი მოვიდა ჩემთან და ეს ამბავი შემატყობინა. საიდან გაიგო ეს ყველაფერი, იქნებ მითხრა კიდეც, მაგრამ ვერ გავიგე. კარშიევე გავშეშდი: „სამწუხარო ამბავი უნდა გითხრათ, ბატონი ზომერი დაიღუპა. ვიფიქრე, თქვენ აუცილებლად უნდა გცოდნოდათ“. არასოდეს დამაეიწყდება ქალბატონი ლუბანის მზერა, რომელშიც თანაგრძნობაც გამოსჭვიოდა და ხარბი ცნობისმოყვარეობაც. იგი შეეცადა ოთახში შემოსულიყო, მაგრამ გაოგნებული ვიდექი კარში და არ ვინძრეოდი, მისი ლაპარაკიც არ მესმოდა. უნდოდა თანაგრძნობის ნიშნად ხელი მოეხვია და ოთახში შემეყვანა, მაგრამ მე მისი ხელი მოვიშორე. „ხომ ვერაფრით დაგეხმარებით?“ — არ მეშვებოდა ქალბატონი ლუბანი. „მადლობთ, არა“, — ვუპასუხე და კარი მივუჯახუნე.

საკარძელში ჩავესვენე. სიგარეტს ვეწეოდი და ქალბატონი ლუბანის ნათქვამზე ვფიქრობდი. თუმცა ფიქრის თავიც აღარ მქონდა. რა მელონა, არ ვიცოდი, რაც მითხრეს, იმაში ერთი წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი. გადამოწმების სურვილიც კი არ გამჩენია. ჰენრის სიკვდილი მოულოდნელად, თავზარივით დამეცა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ არ გამკვირვებია. არა, რაიმე შიში ან წინათგრძნობა კი არ მქონია, მაგრამ თითქოს მაინც მზად ვიყავი ამისთვის. ასე რომ, ამ ამბავს არც გავუოგნებივარ, არც სასოწარკვეთაში ჩავუგდივარ, თუმცა ეს მე არც მჩვეოდა.

ჰენრი მოკლეს.

ჰენრის მეგობარს, ბატონ კრემერს დავურეკე. ერთხელ მყავდა ეს კაცი ნანახი, მახსოვს, მაშინ მოეწონე და არშიყობაც დამიწყო. მერე, რამოდენიმეჯერ სამსახურში რომ დავურეკე ჰენრის, ტელეფონზეც შემხვდა.

კრემერისაგან მინდოდა გამეგო, როდის კრძალავდნენ ჰენრის. „ჯერ გვამს არ გვაძლევენო“, — მითხრა მან. შიშისაგან ხმა ჩამიწყდა. „ხომ არ გაითიშა?“ —იკითხა მან. ნაჩქარევად გამოვემშვიდობე და შევთანხმდით, რომ რესტორანში შევხვდებოდით სამსახურის შემდეგ.

პირველმა მე დავინახე რესტორანში შემოსული კრემერი, თვალებით მეძებდა, ერთხელ თითქოს შეხვდა კიდეც ჩვენი მზერა ერთმანეთს, მაგრამ ვერ

მიცნო და მე ხელი დაეუქნიე (ამჟამად აღარ უცდია გაარშიყება), სახეზე ნერვიული ღიმილი დასთამაშებდა, შეცბუნებული ჩანდა. მისი შეცბუნების მიზეზიც მალე გავიგე. ჰენრი კრემერის თვალწინ მოუკლავთ. ერთად ყოფილან ლუდხანაში. ვიღაც ბიჭებს სიცილი აუტეხიათ ჰენრის ფარფლებიან ქუდზე. თავიდან ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა ერთ-ერთ მათგანს ხელი წაუვლია მისი ქუდისთვის, ველარ მოუთმენია და ის ბიჭი გარეთ გაუყოლია. ქუდი მე გადმომცა, — განაგრძობდა კრემერი, — თავად კი იმ ბიჭებთან ერთად გარეთ გავიდა. მეც გავყევი. ჰენრი და ის ბიჭი ერთიმეორის პირისპირ გაჩერდნენ, დანარჩენებმა კი წრე შემოარტყეს. ჰენრიმ მაღლა ასწია დამუშტული ხელები და მოწინააღმდეგის წინ, ადგილზევე იწყო ხტუნვა. ის ხომ ადრე მოკრივე იყო. „თქვენ რა, არ იცოდით?" მართლაც პირველად მესმოდა. „ჰენრი საკმაოდ პროფესიონალურად მოძრაობდა, მაგრამ ბიჭები დასცინოდნენ მას. მერე ალბათ მოთელვის მიზნით, ჰენრიმ ჰაერში რამოდენიმეჯერ მოიქნია მუშტი. მაგრამ სწორედ ამ დროს მოწინააღმდეგემ რაღაც დაარტყა და ჰენრი მოცელილივით დაეცა. აღარც განძრეულა. იმ ბიჭს კასტეტი აღმოაჩნდა ხელში. მაშინვე მივვარდი, მადრამ ჰენრი თვალდახუჭული იწვა და მარცხენა საფეთქლიდან სისხლი მოსდიოდა. მეგონა, გონი დაკარგა-მეთქი, მაგრამ უკვე მკვდარი ყოფილა. უცბად რომელიღაცამ დაიძახა, ბიჭებო, გავიქცეთო, მე კი მომაძახეს, ენას კბილი დააჭირე, თორემ შენც მიგაყოლებთო. ლუდხანიდან სეირის საყურებლად გამოსულ ხალხს ვთხოვე პოლიციისთვის და სასწრაფოსთვის გამოეძახათ, მე კი ვიდექი გაშეშებული. გვიანღა მივხვდი, რომ ჰენრი უკვე მკვდარი იყო. იმავე დღეს დამკითხა პოლიციამ, მეორე დილითაც დამიბარეს, ის ბიჭები დაუჭერიათ და უნდა ამომეცნო. ბიჭი, რომელმაც ჰენრის დაარტყა, ტიროდა. ასე ჩვიდმეტი წლის იქნებოდა ალბათ. დანარჩენებიც ოც წელზე მეტის არც ერთი არ იქნებოდა. ერთმა პოლიციელმა, გამოცილებისას მკითხა, თქვენ რატომ არ ჩაერიეთ ჩხუბშიო? მაგრამ მართლა ისე უცბად მოხდა ეს ამბავი, რომ ვერაფერი მოვასწარი. ჰენრი იღიმებოდა, არც კი აპირებდა ბიჭებთან სერიოზულ ჩხუბს. ახლა კი, რაღა თქმა უნდა, ვკიცხავ საკუთარ თავს, მაგრამ მენდეთ, მართლაც და, რის გაკეთება შემეძლო მე?"

„მე მესმის თქვენი", — შევეცადე დამემშვიდებინა იგი. კრემერმა ისეთი თვალებით გადმომხედა, თითქოს მართლაც შემეძლო დანაშაული ჩამომეხსნა მისგან, დანაშაული, რომელიც თავადვე აიღო თავის თავზე. რა თქმა უნდა, კრემერისათვის მძიმე იყო ამ ამბის დავიწყება, ვერც ვერასოდეს დაივიწყებდა ალბათ.

ორივე ვდუმდით. ნერვიულობისაგან კრემერი ჭიქას ატრიალებდა ხელში, მერე თავის ხელებს დააშტერდა და ჩაიბურდღუნა: „დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ეს ჩემთვისაც დიდი უბედურებაა". თავი დავუქნიე, დაკრძალვის თაობაზე ისევ არაფერი იცოდა. პოლიცია ჯერ არ იძლეოდა გვამს. შეიძლება რამოდენიმე კვირასაც გაგრძელებულიყო ასე. გამომშვიდობებისას მთხოვა კრემერმა, კიდევ ერთხელ შევხვდეთ, ჩვენ ხომ საერთო მეგობარი დაკარგეთო. შესაბრალისი სახე ჰქონდა კრემერს. „ეს ჩვენ არ გვიშველის", — ვთქვი და ისე სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, თითქოს მეშინოდა, კრემერი არ დამწეოდა. უკვე სუნთქვა მეკვრიდა. რას გავურბოდი?! თავადვე სასაცილოდ მომეჩვენა ჩემი საქციელი.

მთელი დღეები ჰენრიზე ვფიქრობდი. მინდოდა გამეხსენებინა მასზე რაიმე, მაგრამ ჩემი მოგონებები მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვანი და გაფანტული იყო. სამსახურში კი დავდიოდი, მაგრამ რაც არ უნდა მეკეთებინა, ჰენრიზე

ფიქრი არ მშორდებოდა. გაზეთებში არაფერს წერდნენ ამ მკვლელობაზე, არც ველოდი, რადგან საქმე უკვე დახურულად სცნეს და გამოსარკვევიც აღარაფერი იყო.

მაისის შუა რიცხვებში, დალუპვიდან ერთი თვის შემდეგ დაკრძალეს ჰენრი. დაკრძალვაზე წასვლის სურვილი არ მქონდა, მაგრამ მაინც წავედი. ბოლო ხანებში საშინლად დაორგუნვილად ვგრძნობდი თავს, მაგრამ რატომღაც საკუთარი თავი უფრო მებრალებოდა, ვიდრე ჰენრი. ასე მეგონა, ოფოქის მიღალატეს, მიმატოვეს. იძულებული ვიყავი კვლავ შევგუებოდი მარტო ცხოვრებას.

მაისის ბოლოს ჰენრის ოთახში ვიღაც მოხუცი შეასახლეს. პირველად საშინელი გრძნობა დამეუფლა, როცა დავინახე, როგორ გაიღო ჰენრის სახლის კარი და იქიდან ხანში შესული კაცი გამოვიდა.

მოხუცს ქრონიკული კატარი ჰქონდა. დერეფანში რომ გამოდიოდა, ყოველთვის მესმოდა მისი მშრალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხველა. ჩვენს სართულზე მცხოვრებ მოხუც ქალბატონთან მეგობრობდა. თითქმის ყველგან ერთად დადიოდნენ, თან თავიანთ განუყრელ ხელჩანთასა და პატარა სარწყავს დაატარებდნენ.

თავი მეცამეტე

ახლა უკვე ნახევარი წელი იყო გასული ჰენრის სიკვდილიდან. თითქოს შეეჩვიე მარტო ცხოვრებას. მშვენივრად მიდის ჩემი საქმეები, ყოველ შემთხვევაში, მე არა ვარ უკმაყოფილო. სასაყვედურო რა მაქვს?! ხუთ წელიწადში უფროს ექიმადაც დამნიშნავენ, თავად უფროსი დამპირდა. ნამდვილად მომიწევს უფროსთან სტუმრობა და ალბათ ყველაფერი მშვენივრადაც ჩაივლის. რა ჩემი საქმეა, თუ სამსახურში ჩვენი უფროსი არავის ეხატება გულზე. ზოგი ამპარტავანს, დოგმატიკოსსა და ცინიკოსსაც უწოდებს. მაგრამ მე მაინც უცნაური გრძნობა გამაჩნია ამ მოხუცისადმი. შეიძლება მისი სიმკაცრე ნიღაბი იყო, რომელიც უადვილებდა კოლეგებთან ურთიერთობას. ვიმედოვნებდი, ჩვენს შორის არსებული დისტანცია ბოლომდე შენარჩუნდებოდა. ჩემი უფროსი არასოდეს დამორჩილდებოდა სენტიმენტალიზმს და თავის პრობლემებში არ გამხვევდა. ამას კი ნამდვილად ვერ ავიტანდი.

აღფრთოვანებული ვარ-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ არც მთლად უკმაყოფილო ვარ ჩემი სამსახურის. სიძნელეებსა და სანერვიულოს კი ვაწყდები, მაგრამ არც სიამოვნება მაკლია. თუმცა ჩემთვის ერთფეროვნება უფრო მოსაბეზრებელია. იმედია, ერთ ოც წელს კიდევ გავუძლებ ჩემს სამსახურს.

ოცნებები, რაღა თქმა უნდა, აღარ გამაჩნია, ალბათ იმიტომ, რომ ვიცი, მაინც არ ამისრულდება. მაგრამ ამ ბოლო ხანებში შიშმა შეშიპყრო და სრულიად დამთრგუნა.

იმედია, კლიმაქსს მშვიდობიანად გადავიტან. აი, რაც შეეხება სიცხეს, ნამდვილად არ მიყვარს. ძალიან ცუდად ვხდები სიცხეში. ამისი წარმოდგენაც კი მზარავს, მაშინვე სულიერად ვიფიტები. ასეთ დღეებში ყოველთვის გავურბივარ ხალხს და სახლში ვიმალები.

ჩემი ოცნებაა, სადმე ლამაზ მხარეში ვიმოგზაურო, მაგრამ შევძლებ კი ამას როდისმე, არ ვიცი. ისე, სიამოვნებით წავიდოდი რომში ან პროვანსში. კიდევ ძალიან მინდა კანადისა და ცენტრალური აფრიკის რომელიღაც ქვეყნის ნახვა. ამ ადგილებზე მე ჩემი წარმოდგენები მაქვს. მაგრამ შეიძლება ჩემი წარმოდგენები მცდარია და იქ ჩასულს სულ სხვა სურათი გადამეშალოს. თუმ-

ცა ვნახოთ, იქნებ რა ხდება, და კიდევ მელიორსის ამ ქვეყნების ნახვა. მაგრამ ამ ათ წელიწადში თუ მოვასწრებ, თორემ მერე მოხუცებულობაში ხომ არც სურვილი, არც ძალა აღარ მექნება ამისთვის.

ხანდახან ბავშვის აყვანაზეც მიფიქრია. ადრე თავად მინდოდა გამეჩინა, მაგრამ ყოველთვის რაღაცის მეშინოდა. ამ ბოლო ხანებში კი ობოლი გოგონას აყვანის სურვილი ამეკვიატა. წარმოიდგენია, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ეს ხომ მთლიანად შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. მაგრამ რომ დავფიქრდები, ვხვდები, რომ გოგონაც ისევ და ისევ ჩემი ბედნიერებისათვის მჭირდება. ისე დაკარგა ცხოვრებამ ჩემთვის აზრი, რომ მინდა რაიმეთი შეივსოს. ასე რომ, ეს არაა ჩემი სენტიმენტალობით გამოწვეული სურვილი. სულაც არა. ბავშვი მე ახალი იმედების მომცემად მესახება. ვშიშობ, რომ ეს უფრო იძულებითი თანაცხოვრების მოძებნას ჰგავს. ამიტომაც არ მიმაჩნია ჩემი ეს სურვილი მართებულად და კეთილშობილურად. მე საკმაოდ ძლიერი ვარ, მარტოც შევძლებ ცხოვრებას. ჩემთვის უცნობია სულიერი კრიზისი. ნერვებიც სავსებით წესრიგში მაქვს (კლინიკაში სქელკანაანად მთვლიან. ზოგი არაკეთილად განწყობილი კოლეგა კი გულქვადაც შნათლავს. ალბათ როდისმე თავი რომ მოვიკლა, ყველასთვის გამოცანად დარჩება). მაგრამ ღირს კი ბავშვის აყვანა მოუპოვებელი სიყვარულის სანაცვლოდ? ან იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ძაღლი ვიყოლიო. სანაცვლო სანაცვლოს მაგიერ.

თუმცა ბავშვის აყვანა მაინც ოცნებად დამრჩება. რადგან ყველა ადამიანში ეძალება სევდა თუ განცდა იმ შესაძლებლობებზე, რასაც გრძნობს საკუთარ თავში და სურს გაიღოს სხვისთვის, მეორე ადამიანისათვის, რომელიც შენს გვერდითაა. მე ნოსტალგიას განვიცდი დაკარგული ნიჭისა და გამოუხატველი სიყვარულის გამო. მე მენატრება კატარინა, ჩემი ბავშვობის სიყვარული, ასეთი მეგობრობა მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ. ოცდახუთი წელი იქნება, რაც კატარინა აღარ მინახავს და ყველაფერს გავიღებდი, ოღონდ არ ყოფილიყო ეს განშორება. ჩვენ ბავშვობის გამო გავხდით ასე დაუნდობლები. და ეს განხეთქილება, რაც ჩვენს შორის მოხდა, გამოუსწორებელ საშინელებად მიგვაჩნია, მაგრამ გამოსწორება ალბათ შეიძლებოდა. რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ ველარავის შევიყვარებდი ასე თავდავიწყებით. მე მტკივა ეს დანაკარგი. არც ერთი განშორება არც ჰინერთან, არც ჰენრისთან არ ყოფილა ჩემთვის ასეთი კატასტროფა. მე ყოველთვის ძნად ვიყავი იმისთვის, რომ რიდისმე დავკარგავდი მათ. მე ყოველთვის გონებით ვმოქმედებ, სწორედ ეს მხდის უფრო დამოუკიდებელს და ალბათ მარტოხელასაც. ჩემი გამჭრიახობით ყოველთვის წინასწარ ვგრძნობდი ყველაფერს და მაოცებდა, არავითარ უბედურებას არ შეეძლო ჩემი ცხოვრების დანგრევა, ამისთვის მე ყოველთვის მზად ვიყავი, რადგან საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილებაც მქონდა. ჩემი ალღო ყოველთვის მკარნახობს, საიდან მომელის იმედგაცრუება და დროულად ვშველი თავს. და ისე მაქვს ამაზე გამახვილებული გონება, რომ ზოგჯერ იქაც კი ვხედავ იმედგაცრუებას, საიდანაც არავითარი საფრთხე არ მომელის. და ამ ჩემი სიფრთხილით იქამდე მიმყავს საქმე, ვიდრე ყველაფერში იმედგაცრუებას არ აღმოვაჩენ. მე დრაკონის სისხლში ვარ განბანილი და ცაცხვის ფოთოლიც კი არ მქონდა, რომ დავეფარე. ალბათ ამ ტყავიდან ველარასოდეს გამოვაღწევ. და ჩემს ბავშვურ სიყვარულთან ერთად, კატარინაზე სევდით შიგ ჩავიხრჩვები. ჩაკირულივით ვარ ჩემს ტყავში, ჩემს ჯავშანში.

როგორ მინდა განვთავისუფლდე შიშისა და უნდობლობის კორიანტელისაგან. როგორ მინდა დავიბრუნო კატარინა.

მაგრამ ჩემი შეულწევადი ტყავი, ჩემივე ურყევი ციხესიმაგრეა.

საკუთარი თავის სარჩენი ფული რომ არ შემომაკლდება, ამის იმედი მაქვს. რა თქმა უნდა, დიდი მოთხოვნილებების მე არ გახლავარ, მაგრამ ისევაც არაფერში შევიზღუდავ.

არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მეშინია, ვინმე არ მოეკლა ან სამუდამოდ არ დავასახიჩრო. არა, პოლიკლინიკაში ამისი საფრთხე არ არსებობს. მაგრამ ვაითუ მანქანა დავაჯახო ვინმეს. თუმცა ამ შემთხვევაშიც ისევ და ისევ საკუთარი თავი მადარდებს. რადგან ასეთი რამ ძალაუნებურად შეცვლიდა ჩემი ცხოვრების ჩვეულ წესრიგს და ამას მე ვერ შევეგუებოდი.

ამ ბოლო ხანებში ჩემი გადაღებული ფოტოებისადმიც გამიჩნდა შიში, ყოველი მხრიდან შემომცქეროდა: ტყე, მდელო, უსიცოცხლო გამხმარი ხეები, ეს უსულო ბუნება, რომელიც თავად შევქმენი. ერთი პირობა ვიფიქრე სამსახურში, ჩემს კაბინეტში გავაკრავ-მეთქი კედლებზე, მაგრამ გადავიფიქრე, კარლას შეკითხვებიღა მაკლდა. შიშით შევყურებდი ამ უსულო ბუნებას, თავის თავში დასამარებით რომ მემუქრებოდა. დღითიდღე მიმძაფრდება იმის განცდა, თითქოს ბუნებას მივაყენე ტკივილი. მე ხომ შევაჩერე, სიცოცხლე მოვუსწრაფე ბუნების ამ პეიზაჟებს და ყოველგვარი იმედები წავართვი: ჭკნობის, გაყვავილების, სუნთქვის. მაგრამ მე კვლავაც განვაგრძობ ფოტოების გადაღებას, მაინც რაღაცას მაძლევს, მშველის პრობლემებთან შეჭიდებაში. ალბათ კიდევ მომწონს კარადებისა და თაროების გადავსება ახალი ფოტოებით. ჩემი სიკვდილის შემდეგ კი რაც უნდა ის უქნიათ, თუნდაც დაუწვიათ, მაგრამ ახლა კი მჭირდებიან მე ისინი (მგონი რამდენს მიკურთხებს სახლმმართველი?).

ჰენრის დაკრძალვიდან რამოდენიმე დღის შემდეგ კრემერი მოვიდა ჩემთან, ჰენრის ფართოფარფლებიანი ქუდი მომიტანა: ამ ქუდის ადგილი შენთანაა. მადლობა გადავუხადე. არც კი შეძიპატიჟია სახლში. მისი წასვლისთანავე გავიტანე ქუდი და სანაგვეში ჩავაგდე. წამითაც ვერ გავაჩერებდი ჩემთან. ძველი ქუდიღა აკლდა ჩემს სახლს.

ზაფხულში ისევ ზღვაზე წავედი. ფრედი და მარიაც მოვინახულე. ყველაფერი ძველებურად დამხვდა. იმ წითელთმიანი გოგონას ნახვაც მინდოდა, მაშინ მე და ჰენრიმ რომ ვნახეთ, მაგრამ იქ აღარ დამხვდა. ცოლ-ქმარმაც არაფერი იცოდა მის შესახებ. გული დამწყდა, მაგრამ ეს მაინც არ ჰგავდა იმ გულის ტკენას, კატარინას სიშორით რომ განვიცდიდი.

ისე რა მიჭირს, მაინც კარგად ვცხოვრობ. ღღეს დედამ დამირეკა, დავპირდი, აუცილებლად მოგინახულებ-მეთქი.

ხასიათსაც არ ვემდური, ყოველთვის ვინარჩუნებ წონასწორობას. სამსახურშიც პატივს მცემენ. ნერვებს არასოდეს ვყვები, მომავლის გეგმებიც გამაჩნია. ახალი საყვარელიც მყავს. თებერვალში ალბათ ახალ მანქანასაც შევიძენ. საზარელი სიზმრებიც კი არ მაბეზრებს თავს. ასაკთან შედარებით, ახალგაზრდულად გამოვიყურები. პარიკმახერი საკუთარი მყავს, ასე რომ, წინასწარი ჩაწერაც არ მჭირდება. ჩემი მკერავითაც კმაყოფილი ვარ, შესანიშნავად იცნობს ჩემს სტილს. ძალიან კარგი გინეკოლოგი მყავს. დარწმუნებული ვარ, საჭიროების შემთხვევაში საუკეთესო საავადმყოფოშიც მომათავსებდნენ და საუკეთესო ექიმებსაც დამახვევდნენ. როგორიც არ უნდა იყოს, მე მაინც მომწონს ჩემი ბინა. ერთი სიტყვით, საკუთარი ტყავი წესრიგში მაქვს, არც ჯანმრთელობას ვუჩივი, მაშ, რაღა უნდა მინდოდეს?! რაც მინდოდა მაქვს კიდეც; რისი მიღწევაც შემეძლო, მივაღწიე. ასე რომ, მშვენივრად ვგრძნობ თავს!

რენდოლფ ბორნი

თარგმნა ნანა ახობაძემ

კულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი

წინა თაობის ერთ-ერთმა პოპულარულმა და აღიარებულმა მწერალმა მეთიუ არნოლდმა ჩამოაყალიბა შეხედულება ჩვენი სამყაროს კულტურასა და მის მიზანდასახულებაზე. რას წარმოადგენს ეს მიზანდასახულება? — შევიცნოთ ყოველი საუკეთესო, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას, ჩავწვდეთ გარდასულ ცივილიზაციათა შედეგრებს, აღვზარდოთ აზროვნება და გამოვიმუშავოთ ყველა საუკუნის დიად მიღწევათა შეფასების კრიტერიუმი, — აი, ეს გამოკვეთილი იდეალი ილანდებოდა წყვდიადიდან, რომელიც „კულტურის" გაურკვეველ გაგებას ახლდა. ამერიკელთათვის ამ იდეალს განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა გააჩნდა, რამეთუ იგი დემოკრატიული იდეალიც იყო და ყოველ ენერგიულსა და მოთმინების უნარით აღჭურვილ ადამიანს ნებას რთავდა საკუთარი გონისა და სულიერი ძალისხმევის წყალობით ადვილად დაუფლებოდა იმ ფენომენს, არნოლდმა მაგიური სიტყვა „კულტურა" რომ უწოდა. იდეალს რაოდენობრივი გაგებაც აქვს, რადგან კულტურა იქცა ფასეულობათა სფეროდ, რომელიც ესთეტიკურ ტკბობასა და თაყვანისცემას არ გამორიცხავს, მაგრამ მაინც ფასეულობათა სფეროდ რჩება, რადგან თანდათან აგროვებს გონებრივ სიმდიდრეს, და ბოლოს და ბოლოს ადამიანის წინაშე გადაიხსნება მოციმციმე ქვეყნად, რაც იმას მოასწავებს, რომ მან უკვე შეიცნო ყოველი საუკეთესო, კალმით, ფუნჯით თუ საჭრეთლით რომ შექმნილა.

არ ვიცი, როგორ გამოეხმაურა ბრიტანული პუბლიკა არნოლდის მჭევრმეტყველებას, მაგრამ თუ მანამდე რესკინის წინასწარმეტყველურ გააფთრებას არ შეუძრწუნებია, საეჭვოა, არნოლდის მტკიცე ლოგიკას აელელვებინა. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით ვიცი ერთი გარემოება — განვითარების პროცესში მყოფი ჩვენი სულიერი ისტორიისათვის ახალ მოძღვრებას, — ამერიკის ნაპირებს რომ მოადგა სწორედ მაშინ, როცა ჩვენში ერთობ სწრაფი ტემპით მატულობდა „შეძლებულ" ადამიანთა რაოდენობა, იმ ადამიანებისა, რომელთაც, როგორც იტყვიან, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავისი შეზღუდულობა და გაფაციცებული შესჩერებოდნენ ახლად აღმოჩენილი ევროპის ფართო კულტურულ ჰორიზონტებს, — მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვა.

ამერიკელის სახე ანუ „თავისუფლების მიწის" მკვიდრის სახე ვიქტორიანული ეპოქის პირმშოა, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ინგლისის ყოველკვირეულებსა და ახალბედა ჟურნალისტთა სტატიებში, თუმცა, როგორც ცოცხალი ინდივიდი, კარგა ხანია გადაშენდა და მისი ადგილი დაიკავა ახალმა ტიპმა,

რომლის სიამაყე „თავისუფლების მიწის“ უკიდეგანობით კი არა, ევროპეიზმით იზომება.

90-იან წლებში ჩვენი კოლეჯების მასწავლებლებმა და მხატვრებმა იგრძნეს ევროპული პეწის შეძენის აუცილებლობა, რითაც უნდა გაემართლებინათ საკუთარი არსებობა. ჩვენ მოვისესხეთ გერმანული განათლების სისტემა. ჩვენმა მილიონერებმა ხელი მოჰკიდეს სურათების შეგროვებას და ოკეანისგაღმა ხელოვნების მუზეუმების დაარსებას. დავიწყეთ სკოლის პედაგოგების ექსპორტი ევროპაში, სადაც მიემგზავრებიან ისინი საზაფხულო არდადეგების პერიოდში. პარიზში, ბერლინსა და მიუნჰენში გამოიზარდნენ ჩვენი მხატვრებისა და მუსიკოსების ლეგიონები, თანდათან მოძრაობა იქცა ბობოქარ მდინარებად. ამგვარად, ევროპის მისტიკური შეგრძნება, რაც ჰენრი ჯეიმსს, თუ მას დაეუჯერებთ, სიყრმეშივე ჰქონდა, ნიჭიერი ამერიკელი ახალგაზრდობის საკუთრება გახდა. დიახ, ახალგაზრდობა სულიერ შამშილს გრძნობდა საკუთარ სამშობლოში და გატაცებით ოცნებობდა კულტურის ევროპულ ნადიმზე. მალე მეტნაკლებად ნიჭიერი ახალგაზრდობის კვალს გაჰყვა ბურჟუაც და ევროპა ისე შემოვიდა მოდაში, დღეს ყველა თავმოყვარე კაცი საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, ერთხელ მაინც მოინახულოს მისი დიდებულება.

ცხადია, ამ გამოცოცხლებული ემიგრაციის სტიმულის როლი „კულტურისადმი“ გამოკვეთილმა მოთხოვნილებამ თუ არა, ყოველ შემთხვევაში რეალურმა წყურვილმა და არნოლდის ნათლად ჩამოყალიბებულმა იდეამ ითამაშა. ამ იდეის თანახმად, კულტურა ასე თუ ისე სესხებადია და ევროპულ საგანძურთან უშუალო კონტაქტით შესაძლოა ჩვენც გადმოგვეფინოს ცოტაოდენი მადლი იმ სიუხვისა, რასაც ხელოვნება ქმნის. ამიტომ ჩვენი მილიონერები განსაცვიფრებელი სიძვირის ფასად იძენდნენ ხელოვნების ნიმუშებს იმათთვის, ვისაც ოკეანის იქით წასვლა არ უხერხდებოდა და ყოველივეს, რაც სურათების გალერეებში გამოიფინებოდა, აურაცხელი ოდენობით ეზიდებოდნენ სამშობლოში.

ჩვენ ნებისმიერ ფასად უნდა შეგვეძინა კულტურა, ამიტომ არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ აღმოვაჩინეთ მისკენ მიმავალი მაგისტრალური ხაზი. დავადექით ამ გზას და დასახული მიზნის გარდა გზადაგზა ვერაფერს ვამჩნევდით. ბუნებით მგრძნობიარე ადამიანებმა ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სულიერი საზრდოს მაგვარი რალაც მართლა იპოვეს და მის დასაუფლებლად ტემპიც დასახეს, ხოლო ბრბო, ფეხისწვერებზე შემდგარი, მათ ნაკვალევს გამოუდგა.

ეს ჩვენი კულტურული პროვინციალიზმი აკვირვებდა და დღესაც აკვირვებს ევროპას. ინგლისში „კულტურას“ უკიდურესად მსუბუქად უცქერენ და ამერიკელის სუნთქვაშეკრული საუბარი შექსპირსა, ტენისონსა თუ ბრაუნინგზე მათ შეცბუნებას იწვევს. ფრანგიც გაოცებული ადევნებს თვალს ხალხის ნაკადს, პარიზში რომ ესწრება ლექციას თემაზე „როგორ შევიცნოთ ევროპა“, ანდა მოზრდილ ჯგუფებს, ლუვრის დარბაზებში რომ იჭედებიან. ევროპელი მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის იმით, რომ მას ისე უცქერენ, როგორც უზარმაზარი მუზეუმის მფლობელს. როცა მას კულტურაზე გაესაუბრები, შეამჩნევ, რომ საუკუნეთა მიღწევებზე, კლასიკის გაანალიზებაზე მეტად თანამედროვე ლიტერატურა, ფერწერა, მუსიკა აინტერესებს და არჩევს, — ზუსტად დამსახურებისამებრ შეაფასოს თანამედროვეთა შრომა. განსწავლული ადამიანი, როგორც წესი, ამჯობინებს იკამათოს, ვთქვათ, ცოცხალი ძაღლის შესახებ და არკი მოუაროს მკვდარი ლომის საფლავს. ფრანგი ლიტერატორი უმჯობესად მიიჩნევს დაწეროს წიგნი რომელიმე ფრანგი მწერლის ფსიქოლოგიაზე, ხოლო

ანგლოსაქსი — გამოსცეს კიდევ ერთი გამოკვლევა შექსპირზე. ფრანგის დამოკიდებულება კულტურული ფასეულობებისადმი გამსჭვალულია ბუნებრივი, ყოველდღიური მოთხოვნილებით, მასთან სიახლოვით; ის სულაც არ განიცდის იმგვარ წმიდა თრთოლვას, როგორითაც ჩვენ, ამერიკელები მივეახლებით სხვათა ხელოვნებას და განვსჯით ჩვენი კულტურის ერეტიკოსებს.

საკუთარი კულტურისადმი ევროპელის დამოკიდებულება შეიძლება ეფოს აღტაცებული, კრიტიკულ-მოკრძალებული, მაგრამ არა უხერხული. რაც უმთავრესია, ის თავს არასოდეს გრძნობს უხერხულად სხვა ქვეყნის კულტურის წინაშე; ფრანგი მოისმენს მხოლოდ ფრანგულ მუსიკას, წაიკითხავს ფრანგულ ლიტერატურას და ნებისმიერი უცხო ქვეყნის ფერწერაზე მაღლა დააყენებს საკუთარს. მას ვერც გაუგია ჩვენი აგზნებული მისწრაფება სხვა ხალხების კულტურათა შეცნობისა, ჩვენი მოკრძალებული თავმდაბლობა ხელოვნებისადმი, თუ იგი რაიმეთი მაინც არ გამოხატავს ჩვენს იდეალებსა და იმპულსებს.

ამერიკის ჭეშმარიტ პატრიოტს ჩვენი კულტურული პროვინციალიზმი რამდენადმე დამცირებულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან ევროპის დამოკიდებულება ევროპისადმი ჩვენი ამ მხურვალე, უცვლელი ინტერესის პასუხად სულაც არ არის ასევე მხურვალე და უცვლელი. ევროპა ჩვენთვის — ისტორიის აღთქმული ქვეყანაა, ქვეყანა მდიდარი ტრადიციებისა, ხელოვნებისა და მიწიერი სიუხვისა, ქვეყანა ყოველივე საუკეთესოსი, რაც კი ადამიანის გონით შექმნილა. რას წარმოადგენს ევროპელისათვის ამერიკა? — რასობრივი ქაოსის, ცათამბჯენებისა და ყალთაბანდობის, მილიონერებისა და ბოსების ქვეყანას. როდესაც რომელიმე ფრანგი ფილოსოფოსი ჩამოვა ჩვენში, ჩვენ მოუთმენლობისაგან ავენთებით, რათა მოვისმინოთ თანადროული ევროპული აზროვნების ფველა ძირეულ მიმდინარეობათა განმარტება, მაგრამ როდი ვაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ის არაფერს გვეკითხება ჩვენს ფილოსოფიაზე, არ ისწრაფვის, გაერკვეს დღევანდელი ამერიკული აზრის მიმდინარეობებში? სრულიადაც არა! ჩვენი პროვინციალიზმი არა გვრთავს ნებას, მივაქციოთ მისი ყურადღება ამერიკის აზრს, — ეს აზრი არც არსებობს მისთვის. ჩვენი რეკლამის გენია, ასეთივეგად შთამბეჭდავი და მომგებიანი, თუკი საქმე საპონსა და ბისკვიტებს შეეხება, სუსტდება და უფერულდება, როდესაც მის წინაშე დგება ამოცანა გაავრცელოს მთელს მსოფლიოში ჩვენი ინტელექტუალური და სულიერი პროდუქციის ღირსება. თუმცა კი, ეჭვი არ არის, ეს პროდუქცია მნიშვნელოვანწილად ფასეულია ყოველდღიური მოხმარების საქონელზე. მაგრამ ჩვენი პროვინციალიზმი გვაიძულებს, გავთავისუფლდეთ მისგან ერთობ იაფად და ევროპისთვის მიპყრობილი მოთმინებით აღჭურვილი მზერის სანაცვლოდ დავჯერდეთ ოგნორირებას, ჩვენი ინტერესების ერთგვარი ზიზღით პარაზიტულ ინტერესებად გამოცხადებას.

დამსახურებულადაც! ჩვენმა მიზანმა და კულტურის იდეალმა მართლა გვაქცია პარაზიტებად. ჩვენი მეთოდი აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდა. ხომ ჭეშმარიტებაა, რომ დამოკიდებულება იმ კულტურისადმი, რომელიც ჩვენ ესოდენ გამანადგურებელი ენთუზიაზმით აღვიქვით, შედეგია იმავე ბარბაროსობისა, რისგანაც შეძრწუნებული უკუიქცა მისი შემოქმედი. ჩვენ რომ ამგვარად არ აღგვექვა იგი, არავისთვის საეჭვო აღარ იქნებოდა, რომ კულტურა სულაც არ გახლავთ გარეგნულ ობიექტთა სასიკეთო ნაცნობობა, არამედ შინაგანი, მუდმივად მარეგულირებელი გემოვნებაა, რომელსაც ხელეწიფება ცინცხლად და ზუსტად აღიქვას და მკაცრად შეაფასოს ყოველივე, რაც ჩვენს ცნობიერებაში და გრძნობათა სამყაროში ხდება. სავსებით ნათელია, ასეთ მკაცრ გემოვნებას

ვერ შეიძენ — ვერ მოახერხებ მტკივნეულად მიადევნო საკუთარი. აღქმა სხვა ადამიანთა განსჯას, თუნდაც ძალიან ავტორიტეტულნიც ოყვნენ ისინი. მოცემული მეთოდი ნიშნავს განსჯის უნარის ჰიპნოზს და არა სულიერ მეთხოვნალებათა ჭეშმარიტ განვითარებას.

არნოლდის დეფინიციის ფარულ საყრდენად, უეჭველია, ითვლება წარმოდგენა იმაზე, რომ, თუკი ჩვენ ვისწავლით, ჩავწვდეთ „საუკეთესოს", — დაეუფლებით კიდეც გემოვნებისა და შეფასების საერთო პრინციპებს, და მაშინ შექსპირის ჩვენეული აღქმა რაღაც სასწაულით გადაიზრდება მისტერ ჯ. ლუის დიკინსონის შეუდარებელი ხელოვნებით აღფროთოვანებაში. უდავოა, ეს წარმოდგენა თავდაყირა აყენებს ფსიქოლოგიურ პროცესს. შორეულისა და ეიადის აღქმის ჭეშმარიტი უნარი გამომუშავდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აზრის ზუსტად და მაღალი გემოვნებით გამოთქმა ახერხებს განასხვავოს კარგი და ცუდი, ჭეშმარიტი და ნაყალბეი თანამედროვე ხელოვნებისა და ლიტერატურის მოვლენებში. განყენებულის, უცხოს აყვანა სტანდარტის რანგში — ნიშნავს მოვაბოშოთ ჩვენი გაზანტებული გემოვნება და სამუდამოდ ვთქვათ უარი საკუთარ კულტურაზე.

კულტურისათვის ანგლოსაქსური ბრძოლის ყველა სფეროში მძვინვარებს „საუკეთესოს" ვირუსი. განა საგულისხმო არ არის ამ თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ჩვენში ინგლისური ლიტერატურის მასწავლებლებს არ სურთ გააანალიზონ უკანასკნელი ლიტერატურული მეტრის — რობერტ ლუის სტივენსონის გარდაცვალებისშემდგომ შექმნილი ნაწარმოებები? არნოლდის დოქტრინის შესატყვისად, ისინი ელოდებიან, ვიდრე ჩვენი თანამედროვეების შემოქმედება არ გაიელის ეგრეთწოდებული დროის გამოცდას, ანუ ელიან ავტორიტეტულ ობიექტურ შეფასებას, რომელსაც გულდაჯერებით დაეყრდნობიან. ისე გამოდის, თითქოს რელიგიიდან და პოლიტიკიდან განდევნილმა ავტორიტარულობის პრინციპმა თავი კულტურის სფეროს შეაფარა. „საუკეთესოს" ტირანი აღარიბებს ჩვენს გემოვნებას, რამეთუ „საუკეთესო" ყოველთვის იმყოფება სიახლესა და ცხოვრების უშუალობაზე ჩვენი ბუნებრივი რეაქციების მიღმა. „საუკეთესოს" ემორჩილება აღქმის სპონტანურობა. მორჩილად რომ მიგვიპყრია მზერა წარსულ საუკუნეებსა და სხვა ქვეყნებზე, ამით საიმედოდ ვიცავთ საკუთარ თავს იმ შინაგანი გემოვნების გამოელენისაგან, რომელიც თვით წარმოადგენს ჭეშმარიტ „კულტურას".

აქედან გამომდინარე, ევროპული ცივილიზაციის წინაშე ჩვენი კულტურული პროვინციალიზმი გვექცევა ძირითად დაბრკოლებად, შევქმნათ ამერიკული კულტურა. ცხადია, ამას რომ ვამბობ, როდი ვამტკიცებ, თითქოს ჩვენი ხელოვნება არ უნდა მდიდრდებოდეს სხვა ცივილიზაციათა მიღწევებით — წარსულისა იქნება ის, თუ დღევანდელისა. თვით ევროპის წარსული კულტურაც ხომ აქტიური ურთიერთგამდიდრების საფუძველზე აღორძინდა, მაგრამ ჩვენი განსწავლის ხანა უკვე დასრულდა. დადგა დრო — შევქმნათ საკუთარი ნიმუშები. ანგლოსაქსური წარმომავლობის წყალობით ისედაც ვითვლებით „გარდასულ საუკუნეთა მემკვიდრეებად" და ნახევარი საუკუნის მანძილზე ევროპულმა კერპთაყვანისმცემლობამ ყველაფერი მოგვცა, რისი მოცემაც კი შეიძლებოდა. მაგრამ, კვლავ ევროპისკენ რომ ვაპარებთ მზერას, ძველებურად ვაგრძელებთ ასე თუ ისე ნიჭიერის ჩახშობას, რასაც ადგილობრივი გენია წარმოშობს. ხომ ტრაგედიაა ის გარემოება, რომ ამერიკელმა მხატვარმა, საკუთარი ტალანტი რომ ირწმუნოს, აღიარება საზღვარგარეთ უნდა მიიღოს? ჩვენი უუნარობისა თუ მოუნდომებლობის გამო შევაფასოთ იგი, კულტურული პროვინცი-

ალიზმისა და საზღვარგარეთული მეტრებისადმი ერთგულების გამო ვაიძულებთ ხელოვანს, იყოს დამოკიდებული უცხო ქვეყნის კლიენტურაზე, ვაიძულებთ იცხოვროს საზღვარგარეთ, — იქ, სადაც ადამიანებს ჩვენზე მეტად სწამთ თავისი უნარი — შეაფასონ ხელოვნების ნაწარმოები და ამისათვის არლიყს არ საჭიროებენ.

ამ დამამწუხრებელი გარემოების გამოსწორების ერთადერთი გზა არსებობს — აღვზარდოთ ახალი, ეროვნული თვითშეცნობის ამერიკული გრძნობა. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ცხოვრებისა და იდეალების სილამაზის, ენერგიისა და გულწრფელობის გამჭრიახი ანალიზი, ისეთი ანალიზი, როგორიც ახასიათებთ ფრანგებს. ფრანგული კულტურა შთაგონებულია ისევე ძველი პრინციპებითა და საზომებით, როგორიცაა თავად ხელოვნება. მათ აქვთ საკუთარი „კლასიკა", რომელსაც არაფერი აქვს საერთო ინგლისურ თუ არნოლდისეულ მეტრის გაგებასთან. ყოველი თაობა, კლასიკური ნაწარმოების აპრობირებას რომ ახდენს, ეძებს მასში ტიპიურ ფრანგულ თვისებებს და ინახავს ისე, როგორც ძვირფას მემკვიდრეობას. ეს კულტურული პატრიოტიზმი არის ყველაზე უფრო უვნებელი შოვინიზმის სახეობებს შორის და ამიტომაც, უდავოდ, დიდ საჭიროებას წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარებისათვის. ის არ შეიძლება იყოს მეტისმეტად აგზნებული და გადაჭარბებული. საერთაშორისო სამხატვრო გამოფენა, ნიუ-იორკში რომ მოეწყო ამასწინათ, რომლის მიზანდასახულებაც აშკარად ის იყო, დაენახვებინა ამერიკელი მხატვრებისათვის, რა დაბლა დგანან ისინი ფრანგ მხატვრებთან შედარებით, მაჩვენებელია გემოვნების შემაძრწუნებელი დეგრადაციისა და მიუღებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის. პირმოთნე თვითდამცირებას შეუძლია, გადაგვაქციოს უილაჯო მიმბაძველებად, და არ გვრთავს ნებას — შევინარჩუნოთ, დავიცვათ, გადავარჩინოთ ჩვენს განკარგულებაში მყოფი გენიალობისა და თვითმყოფადობის საშუალებანი ერთადერთი გზით — არ მოვწყდეთ, მუდმივად ვაკვირდებოდეთ მათ.

თანამედროვე ევროპის ტალანტებს შორის, მეტიც ნახევარი საუკუნის გენიათაშორისაც კი ძნელია მოიძიო ნიჭიერებით უფრო დაჯილდოებული პოეტი — ვიდრე უოლტ უიტმენია, უფრო დიდი ფილოსოფოსი, — ვიდრე უილიამ ჯეიმსია, ემერსონსა და ტოროზე ნიჭიერი ესეისტი, მაკდოუელზე გამოჩენილი კომპოზიტორი, სენტ-გოდენზე ნათელი სკულპტორი. ეს სახელები ნებისმიერ ქვეყანაში სპეციალისტებისა და მოყვარულების ყურადღების ცენტრში მოექცეოდა, ეროვნული სულის სიმბოლოებად გამოცხადდებოდა, მათ გარშემო ატყდებოდა მსჯელობის ორთაბრძოლები. მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეეძლო დაბადებულიყო სხვა ქვეყანაში თავისი სამშობლოს გარდა... თუ ზოგიერთი მაინც სწავლობდა საზღვარგარეთ, არაფერი დაშავებულა. მათი შემოქმედება, ამის მიუხედავად, ამერიკის თვითმყოფადობას გამოხატავს; გამოხატავს ამერიკულ იდეალებსა და თვისებებს, ჩვენს დემოკრატიას, მოახელშენეთა სულიერ ენერგიასა და შემართებას, ამხანაგობის ჩვენეულ გრძნობას, ჩვენი ლანდშაფტების დინამიზმსა და უკიდეგანობას, ჩვენს გულითადობას. მაკდოუელის მუსიკაში, უიტმენის პოეზიაში, ჯეიმსის ფილოსოფიაში მე ვხედავ, ვეცნობი ერის სულს, რომელიც გამსჭვალულია უბრწყინვალესი სიზუსტითა და სიცხადით, ისინი არ ჩამოუვარდებიან ევროპის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, ის კი არადა, უფრო გვაღელვებენ, რამეთუ მათში ასახულია ამერიკის დღევანდელი ინტერესებისა და მისწრაფებების არსი.

ამ თვისებათა დაძაბული გაცნობიერება, ამ თვისებათა შეგრძნება დასახელებულ ოსტატთა ნაწარმოებებში, ამ თვისებათა მოძიება თვით ნაკლები მას-

შტაბის მხატვართა და მოაზროვნება ნამუშევრებში, რომლებიც არანაკლებ ისწრაფვიან გამოხატონ ამერიკის სული — აი, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ კულტურის აყვავებას. ნუ გავიმსჭვალებით აღფრთოვანებული გრძნობით იმის დანახვაზე, როგორ ავსებენ ძველი ხელოვნების ნიმუშებით ერის მუზეუმებს ჩვენი ყოჩაღი მილიონერები — ავსებენ უძველესი საჭურვლითა და ფაიფურით; არამედ დროებით, თვალმოუშორებლივ ვუცქიროთ საკუთრივ ჩვენი ხელოვნების მოვლენებს, განვმარტოვდეთ საკუთრივ ჩვენს ტალანტებთან და განვავითაროთ გულმოდგინედ და გატაცებით ის მიღწევები, რაც უკვე გაგვაჩნია ჩვენი კულტურული პროვინციალიზმის მიუხედავად. მხოლოდ ასე შევინარჩუნებთ ამერიკის სულს და მომავალ თაობებს გადავცემთ იმ თვისებებს, ჩვენს სიძლიერეს რომ შეადგენს. მხოლოდ ასე შევძლებთ დაეიკავოთ ჩვენთვის განკუთვნილი ღირსეული ადგილი მსოფლიო კულტურათა შორის, თუკი, რა თქმა უნდა, იმასაც გავიცნობიერებთ, რომ ამის ღირსნი ვართ. ჩვენ ვერანაირად ვერ შევძლებთ, უკვდავყოთ ჩვენი იდეალები ოდენ ლიტერატურისა და ხელოვნებისა და ვერც მსოფლიო გაგვიგებს, თუ ჩვენი ხელოვნება არა. მაშ, ბოლოს და ბოლოს, როდისღა უნდა გავიგოთ, რომ „კულტურა“ — ზეციერის მსგავსად — ჩვენშია, ჩვენი ხალხის სულშია და არა უცხოეთის საგამოფენო დარბაზებსა და წიგნსაცავებში? როდისღა ვისწავლოთ, ვიყოთ ამაყნი? განა დადასტურებული ჭეშმარიტება არაა, რომ მხოლოდ სიამაყეა ნაყოფის მომცემი?

ალექსანდრ კრავჩუკი

პოლონურიდან

თარგმნა ამბროსი ბრიშიკაშვილმა

ნაწილი მეორე

კლეოპატრა და ცეზარი

კლეოპატრა და გიბულუსის ვაჟები

კლეოპატრასა და მისი მეუღლისა და ძმის მეფობის მეორე წელს, 50 წლის შემოდგომაზე უბედურება მოხდა. ნილოსის წყალმა ჩვეულებრივ დონეს ვერ მიაღწია. სიცოცხლის ადიდებულმა წყალმა დამუშავებული მინდვრები ვერ დაფარა და მასზე ნოყიერი შლამი ვერ დატოვა. ამ მოვლენაში ხალხმა ღვთის რისხვა დაინახა და უბედურების მაუწყებლად ჩათვალა. ეს მართლაც ასე იყო. მოუსავლიანობა სიძვირესა და შიმშილს მოასწავებდა. მდინარის წყლის მაქსიმალური ადიდება შემოდგომის დასაწყისს ემთხვეოდა, შემდეგ წყალი თანდათან დაბლა იწევდა. პირველი მოსავალი ბელლებში გაზაფხულზე შეჰქონდათ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ 43 წლის გაზაფხული მძიმე იქნებოდა როგორც მოსახლეობისათვის, ისე ახალგაზრდა წყვილისათვის, რომელიც პასუხისმგებელი იყო ხალხის ბედ-იღბალზე.

50 წელს ალექსანდრიაში ისეთი ამბები მოხდა, რომელთაც პოლიტიკურ არენაზე შეიძლებოდა იმაზე უფრო დამღუპველი შედეგები მოჰყოლოდა, ვიდრე ნილოსის წყალმარჩხობას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისათვის.

სირიის პროვინციის ნაცვალად მაშინ დანიშნული იყო მარკუს ბიბულუსი — სახელდობრ იგი, ვისაც ათი წლის წინ ცეზართან ერთად კონსულის თანამდებობა ეჭირა და პრინციპულად, თუმცა ამაოდ, ეწინააღმდეგებოდა თავისი კოლეგის წამოწყებებს. ბიბულუსი იმისი წინააღმდეგიც იყო, ექვსი ათასი ტალანტის ფასად ცეზარმა ხელი რომ შეუწყო ფლეიტისტს ეგვიპტის ტახტზე ასვლაში. ამჟამად კი, როგორც სირიის ნაცვალს საქმე ჰქონდა პართელებთან, რომლებიც აღმოსავლეთიდან, ევფრატის სანაპიროების მხრიდან ქმნიდნენ საფრთხეს. ამიტომ ბიბულუსმა გადაწყვიტა, თავისი ლეგიონები ეგვიპტიდან გამოყვანილი რაზმებით გაეძლიერებინა. იქ ხომ ჯერ ისევ იყვნენ ჯარისკაცები, რომლებიც, როგორც გვახსოვს, გაბინიუსმა ხუთი წლის უკან დატოვა ტახტზე მის მიერ დასმული მეფის დასაცავად. ნილოსისპირა ქვეყანაში მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ბევრი მათგანი დაქორწინდა კიდეც და ოჯახს მოეკიდა. ძნელი არ იყო მათთვის ეგვიპტეში ცხოვრება, რადგან ადრე დანიშნული ხელფასები არავის შეუკვეცია. სასახლის კარი ცდილობდა მათი კეთილგანწყობილების შენარჩუნებას, რადგან ისინი ერთგვარ დასაყრდენად გადაიქცნენ მოსახლეობის მღელვარების ასალაგმავად. ჯარისკაცები ხან მდიდრებს ავიწროებდნენ და ხანაც კერპი გლეხების გამოსვლებს ახშობდნენ. მათი რიგები განუწყვეტლივ ივსებოდა სხვადასხვა ჯურის არამზადებითა და მინებით, რომლებიც იმპერიიდან გარ-

1. გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საუნჯე" № 3—4.

ბოდნენ. საყოველთაოდ იყო ცნობილი, ვინც ეგვიპტეში სამსახურს მოისურვებდა, თავშესაფარიც უზრუნველყოფილი ექნებოდა და ვერც ვერავინ დასჯიდა. ეგვიპტის მთავრობა, როგორც წესი, დევნილებს არავის უბრუნებდა უკან.

ამიტომ გასაგებია, რომ ამ „გაბინიუსელებმა", — ყოფილი წინამძღოლის სახელის მიხედვით ასე ეძახდნენ მათ, — უხალისოდ მიიღეს წინადადება რომის პროვინციაში გაწვევის თაობაზე. მათ კარგად იცოდნენ, თუ რა ელოდათ: [illegible] სებური დისციპლინა, საბანაკო ცხოვრება და გახუნწყვეტელი [illegible] ისთვის უნდა მიეტოვებინათ დიდი ქალაქის ცხოვრების მომხიბვლელობანი, დაშორებოდნენ ოჯახებს, ხელი აეღოთ შეძენილ ქონებაზე? იმისათვის, რომ სირიის უკიდეგანო და გადახრუკულ უდაბნოში ებრძოლათ, თანაც ვისთან? პართელების სახელის ხსენებაც კი ძრწოლას იწვევდა მათში. ზუსტად სამი წლის წინ, 53 წელს, მათ გამანადგურებელი მარცხი მიაყენეს რომის არმიას, რომელმაც გადალახა ევფრატი. თანაც რომაელებს მარკუს კრასუსი სელმძღვანელობდა, ერთ-ერთი ტრიუმვირი, რომელსაც ძალზე ეწადა თავის კოლეგებს სამხედრო დიდებაშიც გათანასწორებოდა. განთქმული ფინანსისტი საკმარ სტრატეგიულ გამოცდილებას ვერ ფლობდა. მან ლეგიონებიც დაღუპა და საკუთარი თავიც. პართელებმა იგი ალყაში მოიმწყვდიეს და მოკლეს. მასთან ერთად დაიღუპა მისი შვილიც, პუბლიუსი, რომლის ქვრივი, კორნელია, მცირე ხნის შემდეგ ცოლად გაჰყვა პომპეუსს.

მაგრამ მხოლოდ ეს მიზეზი როდი მოქმედებდა გაბინიუსელთა გუნება-განწყობილებაზე. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმითაც, რომ მათ საომრად იწვევდა სწორედ ბიბულუსი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ფლეიტისტისადმი; არადა, ეს მეფე ხომ უშუალოდ გაბინიუსელებმა აიყვანეს ტახტზე!

სამწუხაროდ, ჯარისკაცთა ეგვიპტიდან გაწვევის მისია ბიბულუსმა თავის ორ ვაჟიშვილს მიანდო. როდესაც ისინი სამხედრო ბანაკში გამოცხადდნენ, რათა ბრძანება გაეცნოთ ჯარისკაცებისათვის, ატყდა აურზაური და ორივე ყმაწვილი დახოცეს.

ცხადია, ამ ამბებმა აღაშფოთა კლეოპატრა. უახლოესი პროვინციის ნაცვლის შვილები დიდგვაროვანი რომაელი მოქალაქენი იყვნენ, რომელთა სიკვდილს სერიოზული შედეგები უნდა მოჰყოლოდა. დედოფალი ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მომხდარი ამბით ძლიერ იყო შეძრწუნებული: მისი ბრძანებით ორი უშუალო დამნაშავე შეიპყრეს და სირიის ნაცვალს გაუგზავნეს. მაგრამ ყველასათვის გასაოცრად ბიბულუსმა ცნობა მომხდარი ტრაგედიის შესახებ აუღელვებლად მიიღო. დამნაშავეები უკანვე, ალექსანდრიაში დააბრუნა, ხოლო იქაურ სასახლის კარს მოკლედ აუწყა:

— ამ დანაშაულზე მსჯავრის დადება ჩემი კი არა — სენატის საქმეა.

მრავალი წლის მანძილზე არ ავიწყდებოდათ სტოიკურად აღზრდილის ეს დიდსულოვნება; მეორე დღეს ბიბულუსი, როგორც ყოველთვის, მშვიდად შეუდგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

მოუსავლიანობა

ასე ჩაწყნარდა მკვლელობის საქმე. გაბინიუსელები, რომლებიც სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის მიზეზად იქცნენ, რამდენიმე თვის შემდეგ, 49 წლის გაზაფხულზევე გამოადგნენ კლეოპატრას. როგორც მოსალოდნელი იყო, წყლის სიმეჩხრემ წინა წლის შემოდგომაზე მოუსავლიანობა გამოიწვია. გაზაფხულის მოსავალი მწირი

იყო. ცოტაოდენი ხორბალი აიღეს ეგვიპტის შუა რაიონებში და ფაიუმის ოაზისში. საფრთხე შეექმნა დედაქალაქის სურსათით მომარაგებას. არადა, მოსახლეობა არაერთხელ გამოვიდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრბოს მიერ პტოლომეუს XI მოკვლა სერიოზული გაფრთხილება იყო. ამიტომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. ქუჩებში გამოაკრეს განცხადებები, რომელსაც ხელს კლეოპატრა და მისი ძმა და მეუღლე აწერდნენ. სამეფო წყვეტილებებიდ, რომ შუა ეგვიპტეში მოწეული ხორბლის გაყიდვა მხოლოდ ალექსანდრიაში შეიძლებოდა. ვინც ამ კანონს ხელყოფდა, სიკვდილით დაისჯებოდა.

ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მოუსავლიანობამ აჯანყებები გამოიწვია, ძირითადად კი მოსახლეობის პროტესტმა პასიური წინააღმდეგობის ფორმა მიიღო. გლეხები თავიანთ მიწებს ტოვებდნენ და უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ კანონებს. ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად დამსჯელი რაზმები გამოიძახეს. აი, მაშინ, როგორც სხვა დროსაც არაერთხელ, გაბინიუსელებმა აჩვენეს, რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.

მოსახლეობის მიერ წინააღმდეგობის გაწევის ამგვარი ფორმა ეგვიპტეში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ისეც ხდებოდა, რომ როდესაც მოსახლეობას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ატანა აღარ შეეძლო, მთელ რეგიონებს სტოვებდა. მხოლოდ ქურუმები რჩებოდნენ ტაძრებში, რათა ღვთის სამსახური არ შემწყდარიყო. ისინი, ვინც უკეთესი ცხოვრების ძიებაში მინდვრებიდან გამორბოდა, ქალაქს აფარებდნენ თავს, უპირველეს ყოვლისა კი, ალექსანდრიაში მირბოდნენ. ბევრი მათგანი ავაზაკთა რაზმებსაც უერთდებოდა და ქვეყნისათვის ხდებოდა საშიში. ზოგიერთი მრავალი წლის მანძილზე დაუსჯელიც დაპარპაშებდა, რადგან უდაბნო და ჭაობები ნილოსის დელტაში მოხერხებული სამალავი იყო მათთვის. ფართოდ გავრცელებული ავაზაკობა ადმინისტრაციის უუნარობასა და გლეხთა მღელვარებაზე მეტყველებდა და მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ბანდიტები მოითხოვდნენ, ყოველ სოფელს ხარკი გაეღო მათთვის. მეორე მხრივ, გადასახადებისა და ხარკის აკრეფაზე არც სახელმწიფო ამბობდა უარს. ამრიგად, სოფლისა და მცირე ქალაქების მოსახლეობას ორმაგი ტვირთი უნდა ეზიდა.

გაპარტახებული მეურნეობა, ახალგაზრდა წყვილს მემკვიდრეობად რომ ერგო, საეჭვალო მდგომარეობაში იყო. ეკონომიკური რეგრესი ეგვიპტეში უკვე რამდენიმე თაობის წინაც შეინიშნებოდა. ქვეყნის სახალხო მეურნეობის გაჩანაგებასთან ერთად უკაცრიელდებოდა დასახლებებიც. არადა, სახელმწიფოს უფრო და უფრო მეტი სახსრები სჭირდებოდა, რადგან მას რომაელებიც უნდა გამოეკვება. გადასახადებზე მოთხოვნილება არათუ იკლებდა, არამედ იზრდებოდა. სამუშაო ძალა კი თანდათან მცირდებოდა. წარმოიშვა ჯადოსნური წრე, რომელიც არ იძლეოდა სიღატაკისაგან თავის დახსნის საშუალებას. ამის შესახებ იუწყებიან არა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტები, არამედ არქეოლოგიური გათხრებიც. ზოგიერთ რეგიონში დასახლებული ადგილები იმაზე მეტად შემცირდა, ვიდრე პტოლომეუსების დინასტიის დასაწყისში შეინიშნებოდა.

ცხადია, ნილოსის წყალდიდობის დაბალი დონე ადამიანების ნებაზე არ ყოფილა დამოკიდებული. მსგავსი უბედურებები ქვეყანას უფრო გონიერი მეფეების მმართველობის პერიოდებშიც ატყდებოდა თავს. გასაოცარი სხვა რამეა, რაზედაც მეტყველებს სასოწარკვეთილებით ნაკარნახევი ბრძანება კლეოპატრასი და მისი ძმისა და მეუღლისა. უდიდესი ქალაქის ხორბლის ბეღლები ცარიელი იყო. რატომ? როგორ

მოხდა ეს? ეგვიპტეს ხომ უხსოვარი დროიდან მოსდგამდა ტრადიცია, რომლის ძალითაც დაცარიელებული პურის ბეღლები მოსავლიანი წლების ხარჯზე ივსებოდა, რათა მოუსავლიან წლებში შიმშილობა არ ჩამოვარდნილიყო.

ახალგაზრდა სამეფო წყვილის დანაშაული არ იყო, რომ ქვეყანაში არ აღმოჩნდა ხორბლის მარაგი. ზუსტად 49 წლის გაზაფხულზე ეგვიპტის მეგობრისა და მოკავშირის — რომის მოთხოვნით იმპერიაში ალექსანდრიიდან ხორბლის [illegible] რაოდენობა გაგზავნეს. რომმა ეგვიპტე აიძულა აგრეთვე დაეტოვებინა [illegible] ნაწილი.

ეს ყველაფერი რომის იმპერიაში მოვლენების დრამატულ განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

ნილოსი და რუბიკონი

ეგვიპტის სამეფო კარი კმაყოფილი ადევნებდა თვალს სიტუაციის დაძაბვას რომში. განსაკუთრებით კი — განხეთქილების გაღრმავებას ორ პოლიტიკურ ლიდერს შორის. ტრიუმვირატმა არსებობა ფაქტიურად იმ მომენტიდან შეწყვიტა, როდესაც 53 წელს კრასუსი პართელების ხელით დაეცა. ტრიუმვირატის ორი გადარჩენილი წევრი ამიერიდან ერთმანეთს დაუფარავი ეჭვით უყურებდა. პომპეუსის პოზიცია ცეზარის მიმართ, შეიძლება ითქვას, მტრულიც კი იყო. სარდალს, რომელიც რომის ლეგიონის არწივებს ოდესღაც აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში — კავკასიონიდან იერუსალიმამდე დააქროლებდა, ვერ აეტანა ცეზარის მიერ გალიაში, რეინს იქით, ბრიტანეთში მოპოვებული წარმატებები, რადგან ამ წარმატებებს პომპეუსის ტრიუმფების დაჩრდილვა შეეძლოთ. ამიტომ დაუახლოვდა პომპეუსი სენატს, რომელიც, როგორც ვიცით, თავიდანვე უნდობლად იყო განწყობილი ცეზარის მიმართ. ახალი კოალიციის შედეგები მალე გამომჟღავნდა. გალიის დამპყრობს ნაცვალობის ვადა არ გაუგრძელეს, ხელი შეუშალეს აგრეთვე მის განმეორებითს მცდელობას კონსულობისათვის. ეს კი კატასტროფას უმზადებდა ცეზარს, რადგან, თუ იგი პროვინციასა და ლეგიონებს გამოეთხოვებოდა, უჩინო პიროვნება გახდებოდა და საშიშ წინააღმდეგობას პირდაპირ ხახაში ჩაუვარდებოდა. ზოგი პოლიტიკოსი მას ბრალად სდებდა სენატის ნებადაურთველად გალებთან ომის წამოწყებას და მის დასჯას მოითხოვდა. დასჯა კი მოასწავებდა სამშობლოდან გაძევებას, ფინანსურ კრახს და წერტილის დასმას მისი მიზნებისათვის.

ცეზარი ყოველივე ამას ნათლად ხედავდა და პომპეუსს არაერთხელ გაუწოდა ხელი შესარიგებლად. გულწრფელად სურდა მოლაპარაკება. თანახმა იყო, წასულიყო ყოველ საქმიან კომპრომისზე. პომპეუსს კი, რომელიც გრძნობდა სენატის მხარდაჭერას, თავი ქედმაღლურად ეჭირა და შეთანხმების მიღწევას ერიდებოდა.

ეს ყველაფერი ხელს აძლევდა ალექსანდრიას. რომს, რომელიც მხოლოდ თავისი საქმეების მოგვარებით იყო გართული, არ შეეძლო ეგვიპტისათვის მოეცალა. ამიტომ ნილოსისპირა ქვეყანა საკუთარი ბედის ანაბარა დარჩა. ეგვიპტის მისუსტებულ სახელმწიფოსაც მეტი რა უნდოდა? მას მხოლოდ წყნარი არსებობა ეწადა.

კლეოპატრა და მისი წარჩინებულნი საკმაოდ გულგრილად უმზერდნენ, ვინ გაიმარჯვებდა — პომპეუსი თუ ცეზარი. პირველი ფლეიტისტის ანდერძის მცველი, გარდაცვლილი მეფის უკანასკნელი ნების აღმსრულებელი და მისი შვილების მფარ-

ველი იყო. შეგობრულად ეპყრობოდა პტოლომეუსებს ცეზარიც — ათი წლის უკან მან მილიონები სწორედ აქედან გაიტანა.

მაგრამ 49 წლის დასაწყისში ალექსანდრიაში შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა:

ცეზარმა გადმოლახა მდინარე რუბიკონი და სწრაფად წამოვიდა ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ. პომპეუსმა უკან დაიხია, რადგან იტალიაში საკმარისი ძალები არ გააჩნდა. მას ადრიატიკის ზღვა უნდა გადაეცურა.

რომის იმპერიაში გაჩაღებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა მრავალი საზრუნავი წამოჭრა ალექსანდრიის სასახლის კარის წინაშე. ცხადი იყო, რომ თითოეული მხარე დახმარებას მოითხოვდა — ეგვიპტე კი, ცხადია, ეცდებოდა ნეიტრალური დარჩენილიყო და კეთილგონივრულად დალოდებოდა ძმათაშორისი ომის უკანასკნელ შედეგებს. მას ამოძრავებდა იდუმალი იმედი, რომ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს სისხლისაგან დაწრეტდნენ, მოსპობდნენ და საძირკველგამოთხრილი იმპერია თავისიეე ნანგრევებს დაემხობოდა. პტოლომეუსებს, ისევე როგორც სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მესვეურთ, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ ეფიქრათ ნამდვილ დამოუკიდებლობაზე და იმაზეც, როგორ დაებრუნებინათ უკან ცირენაიკა და კიპროსი, რომლებიც უკანასკნელ ხანს წაართვეს მათ რომაელმა დამპყრობლებმა.

ალბათ ასეთი აზრები და სურვილები უტრიალებდათ თავში ეგვიპტელ წარჩინებულთ და, შესაძლოა, თავად კლეოპატრასაც. თუმცა, ვინ გაბედავდა ამის გაცხადებას? მოვლენები კი თანდათან უფრო დრამატულად ვითარდებოდა.

კლეოპატრა და პომპეუსის ვაჟი

49 წლის დასაწყისში სენატთან ერთად პომპეუსი საბერძნეთსა და მაკედონიაში იმყოფებოდა. იგი სრულიად არ ფიქრობდა ბრძოლის შეწყვეტას, პირიქით, ყოველის მხრიდან თავს უყრიდა ხალხს, ხომალდებს, ფულს. მართალია, სწრაფად დაკარგა დედაქალაქიც და იტალიაც, მაგრამ კარგ განწყობილებაზე იყო და საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. განსაკუთრებით ის ფაქტი აიმედებდა, რომ თავის განკარგულებაში ჰყავდა ძალზე მდიდარი და ხალხმრავალი აღმოსავლეთის პროვინციები.

პომპეუსის შტაბ-ბინიდან აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში გაიგზავნა მოთხოვნა გადაუდებელი დახმარების შესახებ. სარდალმა თხოვნით მიმართა, როგორც პროვინციების ნაცვლებს, ასევე დამეგობრებულ სახელმწიფოებსა და ხალხებს, რომლებიც ფორმალურად რომზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. უპირველეს ყოვლისა კი, ეგვიპტეს მიაპყრო თავისი ყურადღება, და ალექსანდრიაში უფროსი ვაჟიშვილი, თავისი სეხნია, გნეუს პომპეუსი გაგზავნა. ჩვენთვის ცნობილი არაა, რა მოთხოვნები წაუყენა მან ალექსანდრიის მფლობელთ, მაგრამ ვიცით, რა მიიღო. სარდლის ვაჟიშვილმა უკან გამოცურა ეგვიპტის 50 სამხედრო ხომალდის თანხლებით, რომლის გემბანზე 500 მებრძოლი იმყოფებოდა. ისინი გაბინიუსელთა შორის შეარჩიეს (ამჯერად მათ წინააღმდეგობის გაწევა ველარ გაბედეს). ტრანსპორტის გარდა თან ხორბლის მარაგიც მოჰქონდათ.

უნდა ვიეარაუდოთ, რომ ყმაწვილი პომპეუსი თავიდან გაცილებით მეტს მოითხოვდა. გასაკვირია, რომ ისეთმა მდიდარმა და ვრცელმა ქვეყანამ, როგორიც ეგვიპტე იყო, ასე მცირე რაოდენობის ჯარისკაცები მისცა — და ისიც არა საკუთა-

რი, არამედ გაბინიუსის ყოფილი ჯარისა, რომლებსაც რომი ადრეც მოითხოვდა. მკვიდრი ეგვიპტელები საერთოდ არ გაუგზავნიათ.

მართალია, რომაელებს დიდი წარმოდგენა არ ჰქონდათ ეგვიპტელთა ბრძოლისუნარიანობაზე, მაგრამ მაშინ სხვა ქვეყნები ასე ხელმოჭერილი არ იყვნენ რომის მიმართ: რომაელები იღებდნენ ყველაფერს და მიჰყავდათ ყველა, მოქმედების უნარდაკარგულ ადამიანებსაც კი იყენებდნენ: ყარაულებად და მენიჩბეებად.

თუკი ვერწმუნებით ძველი დროის ისტორიკოსს, პლუტარქეს, შემდგომში კლეოპატრა სიამოვნებით იხსენებდა გნეუს პომპეუსს, ვითომდაც იმიტომ, რომ შეძლო მისი მოხიბვლა. როგორც ჩანს, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ცეზარის წინააღმდეგ გამართულ ომში ეგვიპტის მონაწილეობა ასე უმნიშვნელო იყო. დედოფლისაგან მოხიბლულმა პომპეუსმა თანაგრძნობით მოისმინა მისი ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ მოუსავლიანობის შედეგად ეგვიპტეს დამშეული მოსახლეობის მღელვარება ემუქრებოდა და არ შეეძლო წესრიგის დამცველთა გარეშე დარჩენილიყო.

ამ მოლაპარაკების ორივე მონაწილე დაახლოებით თანაბარი ასაკისა იყო: ვაჟი 25 წლის, ხოლო მანდილოსანი 20-ისა. ისტორიკოსები, ტრადიციულად, ერთხმად მიუთითებენ, რომ კლეოპატრა არასოდეს ყოფილა კლასიკური სილამაზის პატრონი. ახლა ძნელია ამის შესახებ მსჯელობა, რადგან არ შემონახულა მისი ნამდვილი გამოსახულება. მაგრამ ივივე ისტორიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ დედოფალი მრავალმხრივ მომხიბლავი პიროვნება იყო: მას ჰქონდა ბრწყინვალე ინტელექტი, ცოდნის დიდი მარაგი, თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ენაზე, ხოლო მისი ხმა ძლიერ მელოდიური იყო. კლეოპატრას მიაჩნდა, რომ პოლიტიკური მიზნის მიღწევა არა მხოლოდ — საკონფერენციო დარბაზში, კამათის გზით, არამედ — მრავალი სხვა ხერხითაც შეიძლებოდა. თავისი ამგვარი შეხედულება პოლიტიკაზე დედოფალმა არაერთხელ დაამტკიცა.

მრავალი ანტიკური მწერალი გვამცნობს, რომ კლეოპატრა მხურვალე ტემპერამენტით გამოირჩეოდა. დედოფლის ამორალურობის გადმოცემების გაბათილება ძნელი არაა იმ არგუმენტით, რომ ესაა მტრების მიერ შეთხზული ცილისწამება, რომელთაც სურდათ, ჩირქი მოეცხოთ მისთვის საზოგადოების თვალში. მაგრამ მეორე მხრივ, არც ის უნდა დავივიწყოთ, მაშინ ყველამ კარგად იცოდა, რომ ალექსანდრია თავაშვებული ეროტიზმის ცენტრი იყო და სასახლის კარი, როგორც მრავალი ახალი ლიონისეს რეზიდენცია, ქალაქს ამ მხრივ მშვენიერ მაგალითს აძლევდა. ანდა რა მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენმა საყვარელმა გაიზიარა კლეოპატრას სარეცელი! არსებითია ის, რომ, როდესაც საქმე დიდ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეხებოდა, ივი არასოდეს ყოფილა საკუთარი ვნებების მონა.

ეგვიპტის ფლოტი, რომელიც ყმაწვილმა პომპეუსმა ალექსანდრიიდან მოიყვანა, მასვე დაუმორჩილეს. ხოლო მთლიანად მთავარსარდლობა ფლოტისა, რომელიც ადრიატიკის ზღვასა და იონიის სრუტეში იდგა, ცეზარის დაუძინებელ მტერს, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მარკუს ბიბულუსს ევალებოდა. მთელს ფლოტში გაერთიანებული იყო 500-ზე მეტი ხომალდი, რომლებსაც აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში მოუყარეს თავი. ასეთი ძლიერი ფლოტისათვის ცეზარს დაპირისპირება არ შეეძლო. და მაინც, ამდენი ხომალდის ერთად თავმოყრა ფუჭი ღონისძიება აღმოჩნდა! 49 წლის ზვიან შემოდგომაზე ცეზარმა იტალიიდან ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გასცურა და ჯარები დირახიუმთან, დღევანდელი ალბანეთის სანაპიროზე გადმოსხა.

დაიწყო სამოქალაქო ომის ახალი ეტაპი.

კლეოპატრას გაძევება

48 წლის ცხელ ზაფხულში ეგვიპტის ფლოტი ადრიატიკის ზღვიდან ალექსანდრიის ნავსადგურში დაბრუნდა. რადგან, როგორც კი მოვიდა ცნობა, ჩრდილოეთ საბერძნეთში, ფართალოსთან, პომპეუსმა მარცხი განიცადაო, ყველა ხომალდი, რომელიც ბიბულუსის სარდლობით ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, [illegible] ადგილზე [illegible].

ეგვიპტის ფლოტი დანაკლისის გარეშე დაბრუნდა უკან. თუ დიდი გმირობა არ ჩაუდენია, არც ზარალი მოსვლია და მთავარი ეს იყო. ხომალდებმა ის იყო ნავსადგურში ჩაუშვეს ღუზა, და მეზღვაურები ჯერ არც კი იყვნენ ნაპირზე გადასული, რომ უჩვეულო ამბავი მოისმინეს:

სამოქალაქო ომი ეგვიპტეშიც გაჩაღებულიყო — სამეფო გვარის ცოლ-ქმრულ წყვილს შორის. პტოლომეუს XIII ქვეყნიდან გააძევებინა თავისი და და მეუღლე. კლეოპატრა პალესტინაში გაიქცა. იქ მან ჯარები მოაგროვა და ეგვიპტისაკენ დაიძრა. მეფე და მისი მომხრე დიდებულები ახლა ეგვიპტის საზღვრებთან, ციხე-სიმაგრე პელუსიონთან იდგნენ და კლეოპატრას გზას უღობავდნენ ქვეყნისაკენ.

მოვლენების ამგვარი შემობრუნება ალექსანდრიაში ალბათ არავისთვის არ იყო მოულოდნელი. შინაური განხეთქილებები, ბოროტმოქმედებანი და ომებიც კი — მიუხედავად ცოლ-ქმრული ხელშეკრულებებისა, არაიშვიათი ამბავი იყო პტოლომეუსების დინასტიაში. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასაკობრივ სხვაობასაც კლეოპატრასა და მის მეუღლესა და ძმას შორის. კლეოპატრა უკვე დაქალებული იყო, მისი ქმარი კი — ცამეტი წლის ბიჭი. მამის სიკვდილის შემდეგ მათი მფარველობა სასახლის ტრიუმვირატს ჰქონდა დავალებული: საჭურის პოთინეს, რიტორიკის მასწავლებელს თეოდოტს და ჯარების სარდალს — ახილასს. მაგრამ კლეოპატრა მალე მივიდა იმ აზრამდე, რომ იგი უკვე ზრდასრული პიროვნებაა და ხელეწიფება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. სამ დიდებულს ეს ამბავი, ცხადია, ხელს არ აძლევდა: მათ ხომ იმედი ჰქონდათ, რომ ჯერ კიდევ მრავალ წელს უნდა ემართათ სახელმწიფო, ვიდრე პტოლომეუსი სრულწლოვანი შეიქნებოდა.

ამიტომ ამ სამ დიდებულსა და კლეოპატრას შორის გარდუვალი გახდა კონფლიქტი. იმის ძიებას, თუ შექმნილ სიტუაციაში რომელ მათგანს უფრო მეტი ბრალი ედება, აზრი არა აქვს. იმ ხანებში გაბატონებული იყო აზრი, რომ სამოქალაქო ომი დაიწყო დედოფლის მიზეზით, რომელიც მეტისმეტად პატივმოყვარე იყო და არა მხოლოდ იმას ცდილობდა, ტახტიდან გადაეყენებინა თავისი ძმა და მეუღლე, არამედ — მოეკლა კიდეც (ამის შესახებ იუწყებიან ანტიკური ხანის ისტორიული ძეგლები), მაგრამ როგორ დავადგინოთ, რომ ასეთი ხმები იმ პარტიის დაყრილი არ იყო, რომელიც კლეოპატრას ებრძოდა და სურდა, დედოფლის წინააღმდეგ ეგვიპტის მოსახლეობა ამგვარად აემხედრებინა? ოცდათორმეტი წლის წინ ახალგაზრდა პტოლომეუს XI საკუთარი ცოლი, მასზე უფროსი დედოფალი ბერენიკა მოკლა. ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ახლაც, გავრცელდა ხმები, და, თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მსგავსი დანაშაული უნდა განმეორებულიყო. დანაშაულის მსხვერპლი გახდებოდა მცირეწლოვანი ბიჭი, მკვლელობას ჩაიდენდა მისი უფროსი და და მეუღლე. შემდგომ წლებში მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ კლეოპატრას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეეძლო ამის გაკეთება.

ალექსანდრიის მკვიდრი დედოფლის თანამედროვენიც ვერ გაერკვნენ სასახლის ინტრიგების ქსელში. ამ მიზეზით არასოდეს არ გახდება ცნობილი სასახლის კარზე წარმოშობილი განხეთქილების დეტალები. შეუძლებელია იმისი გარკვევაც, რატომ გააძევეს კლეოპატრა ეგვიპტიდან, ნაცვლად იმისა, რომ მოეკლათ, როგორც მსგავს

შემთხვევებში იქცეოდნენ პტოლომეუსები და როგორც ამას ფხიზელი განსჯა კარნახობდა მათ. ან იქნებ კლეოპატრა, რაკი დაინახა რომ მისი გავლენა ეცემოდა და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, წინდახედულად გაიქცა?

ეგვიპტის მოსახლეობამ საკმაოდ გულგრილად მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მეფის და და მეუღლე გაძევებულ იქნა. ჩანს, საკმარისი პოპულარობით არ სარგებლობდა იგი. თანაც, საჭიროა იმისი აღიარებაც, რომ უკანასკნელი წლების ამბებს არ შეიძლებოდა არ შეელახა დედოფლის ავტორიტეტი. სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ დედოფალი ყველას თვალწინ ცდილობდა მოეხიბლა ყმაწვილი პომპეუსი. მის მტრებს შეეძლოთ საბაბად გამოეყენებინათ ეს და ეყვირათ, რომ დედოფალმა რომაელებს ორმოცდაათი სამხედრო ხომალდი გაუგზავნა იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ასეთი მძიმე სიტუაცია იყო შექმნილი. ალბათ იმასაც დააბრალებდნენ, რომ დედოფალს სრულიადაც არ აწუხებდა ხალხის ინტერესები და მხოლოდ ძლიერ მოკავშირეზე ფიქრობდა, ანუ ფლეიტისტის დამღუპველი პოლიტიკის გაგრძელებას ცდილობდა.

ეჭვგარეშეა, რომ კლეოპატრას წინააღმდეგ გამოვიდოდნენ ასევე გაბინიუსელი ჯარისკაცებიც, მაშასადამე, ქვეყანაში არსებული ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალა; რადგან ბიბულუსის ვაჟების დახოცვის შემდეგ დედოფალმა მკვლელობის ჩამდენნი სირიის გამგებელს გაუგზავნა, ალბათ მასვე მიაწერდნენ მთელს პასუხისმგებლობას პომპეუსის არმიისათვის სუთასი მხედრის გაგზავნის გამოც. ყოველივე ამის გამო გაბინიუსელები უაღრესად ერთგულნი რჩებოდნენ ახალგაზრდა მეფისა და ზიზღით აღვსილნი გამოდიოდნენ კლეოპატრას წინააღმდეგ.

მაინც საით გაიქცა დედოფალი? სად და ვისთან უნდა ეძებნა დახმარება? რა ხერხებით ცდილობდა მის მოპოვებას? ამგვარ კითხვებზე ისტორიული წყაროები თითქმის არავითარ პასუხს არ იძლევიან. ალბათ ცდილობდა ეგვიპტეში პალესტინის მხრიდან შეჭრილიყო და ამიტომაც იმ მიდამოებში აგროვებდა მებრძოლთ. ან იქნებ ნაბატელ არაბებს შორის ანდა სირიის მოსაზღვრე პატარ-პატარა სამთავროებში ცდილობდა მომხრეების პოვნას, სადაც ყოველთვის საკმარისად მოიძებნებოდა ყოველგვარი ჯურის ავანტიურისტები? სამხედრო ძალა, რომელიც მან ამ მცდელობის შედეგად მოაგროვა და ეგვიპტისაკენ წაიყვანა, არ შეიძლებოდა მცირე ყოფილიყო, რადგან მეფის ახლობლებმა აუცილებლად მიიჩნიეს, დედოფლისათვის დიდი არმიის საშუალებით გადაეღობათ გზა ქვეყნის საზღვრებთანვე. აქ, ზღვის ქვიშიან სანაპიროზე, ორივე მხარის ჯარები რამდენიმე დღის მანძილზე უმოქმედოდ იდგნენ: მაგრამ მათკენ უკვე მიექანებოდა ქარიშხლისაგან გამოტყორცნილი საშიში ტალღა, რომელიც შორეული საბერძნეთის ფარსალოსის მინდვრებიდან დაიძრა.

ფარსალოსიდან გაქცევა

48 წლის ცხელი ზაფხულის დღეს, ჩრდილოეთ საბერძნეთში, ფარსალოსთან ბრძოლაში ცეზარმა გაანადგურა პომპეუსის უდიდესი, მაგრამ ცუდად ორგანიზებული არმია.

შებინდებულზე, როდესაც ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ცეზარის ჯარისკაცები თავიანთ ბანაკებს დაუბრუნდნენ, პომპეუსი ცხენს მოახტა და ოთხი ჯარისკაცის თანხლებით გაქუსლა.

მინდორზე ჯერ ბინდი ჩამოწვა, შემდეგ წკვარამი ღამეც დადგა, მაგრამ ისინი შეუჩერებლივ მიაჭენებდნენ ცხენებს. კრინტის დაძვრასაც კი ვერავინ ბედავდა,

რადგან კარგად ესმოდათ, რა სევდიან ფიქრებს შეეპყრო ახლა მათი სარდალი. ოცდათოთხმეტი წლის მანძილზე პომპეუსი მხოლოდ დაფნის გვირგვინებს იმკიდა: მტერს მტერზე ანადგურებდა იტალიაში, აფრიკაში, აზიაში, იუდეაში. მეკობრეებისაგან გაათავისუფლა მთელი ხმელთაშუა ზღვა — დასავლეთის ნაპირებიდან აღმოსავლეთის სანაპირომდე. მის სახელს პატივს მიაგებდნენ კავკასიისა და პირინეის მცხოვრებნიც. ახლა კი მკაცრმა და დაუნდობელმა ბედმა, თეთქმის სიცოცხლის ზღურბლს მიღწეულს, შეურაცხმყოფელი დამარცხება აგემა. ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ პომპეუსი იმპერიის ერთ-ერთი განმგებელი და უდიდესი არმიის სარდალი იყო. ახლა კი, როგორც გაქცეული მონა, მტერს ემალებოდა.

გზაზე მათ რესპუბლიკის განადგურებული არმიიდან გადარჩენილი სხვა ლტოლვილებიც შეუერთდნენ, ასე, ოცდაათ კაცამდე მოგროვდა. განთიადისას ისინი ლარისას ციხის კედლებს მიუახლოვდნენ. ციხე-ქალაქის მცხოვრებნი ყვირილით უხმობდნენ, თავშესაფარს სთავაზობდნენ. მაგრამ პომპეუსის ბრძანებით მხედრებს ჭენება არ შეუწყვეტიათ. ჩანს, ეშინოდა, რომ მუხთალ ბერძნებს გამარჯვებულისათვის არ გადაეცა ისინი.

ლტოლვილები ჯერ მდინარე პენეის ნაპირებს მიუყვებოდნენ, ხოლო შემდეგ დაეშვნენ მის განშტოებაზე, ოსსისა და ოლიმპოს კლდეებს შორის, ძლიერ მოქანცულნი და მოწყურებულნი. თასიც კი არ ჰქონდათ, რომ წყალი დაელიათ. ოქროსა და ვერცხლის მავიდის ჭურჭელი ზოგ სხვა ძვირფას ნივთთან ერთად გამარჯვებულთა გასახარად ფარსალოსის ველებზე დარჩა. ერთ ადგილას პომპეუსი ცხენიდან ჩამოხდა, მიწაზე დაემხო და ლატაკი მწყემსივით მდინარის წყალს ტუჩებით დაეწაფა.

ღამე პენეის შესართავის ახლოს, ზღვის ნაპირზე გაატარეს, მეთევზის ქოხში. ინათა თუ არა, პომპეუსი მომცრო სამდინარო ნავში ჩაჯდა. მას მხოლოდ რამდენიმე კაცი ახლდა. მონებს, რომელთაც უკანასკნელ წუთებამდე უერთგულეს, უბრძანა, ცეზართან დაბრუნებულიყვნენ, თან დაარწმუნა, რომ იგი არაფერს ავნებდა მათ.

ნაპირის სიახლოვეს ნავი ძალზე ნელა გაემართა წინ. მალე ცხადი შეიქნა, რომ ამგვარად შორს ვერ წავიდოდნენ. მაგრამ მოულოდნელად სატრანსპორტო ხომალდს მოჰკრეს თვალი და ყვირილითა და მოსასხამების ქნევით მისი მოხმობა იწყეს.

ხომალდის კაპიტანი რომაელი აღმოჩნდა. თუმცა, პომპეუსს არასოდეს არ დალაპარაკებოდა, გარეგნულად მშვენივრად იცნობდა მას. უკანასკნელ ღამეს კაპიტანს სიზმარი ენახა, რომლის შესახებაც თავისი ხელქვეითებისათვის ეამბნა:

— ძილში პომპეუსი ვნახე, ცოცხალი. მაგრამ არა ისეთი ამაყი, როგორც ხშირად მინახავს, რალაც მოტეხილი და დამცირებული ჩანდა.

კაპიტანს სიზმრის თხრობა ჯერაც არ დაემთავრებინა, რომ ერთ-ერთმა მეზღვაურმა წამოიძახა:

— ნაპირთან ნავია! მენავეები რალაცას ყვირიან და მოსასხამების ქნევით ნიშანს იძლევიან!

პომპეუსი და მისი ამხანაგები ხომალდზე უაღრესი პატივისცემით აიყვანეს. მოსამსახურეების გარეშე დარჩენილ სარდალს ერთ-ერთი მისი ყოფილი პრეტორი ემსახურებოდა. მან სარდალს სანდლები გახადა და ფეხები დაბანა.

მთელი ღამის განმავლობაში მათი ღუზაჩაშვებული ხომალდი ქალაქ ამფიპოლისის ახლოს მაკედონიის სანაპიროზე იდგა. პომპეუსმა ქალაქის დიდებულები იხმო. ფულის მოგროვება დაავალა მათ და ისიც უბრძანა, რომ ქალაქის ყველა ყმაწვილი კაცი მისთვის ფიცის მისაცემად გაეყვანათ. ნუთუ ახალი არმიის შექმნაზე ფიქრობდა? მაგრამ მალე მოახსენეს, რომ ცეზარის ჯარისკაცები ახლოვდებოდნენ. იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ განეგრძო გზა.

კორნელი

ორი დღის შემდეგ მათი ხომალდი კუნძულ ლესბოსს მიადგა. იქ, ქალაქ მიტილენში პომპეუსს მისი მეუღლე კორნელია და უფროსი ვაჟიშვილი — სექსტუსი ელოდნენ.

კორნელიას მტკიცედ სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ტრიბუნალი გამარჯვების სასიხარულო ამბავს მიიღებდა. დარახიუმთან გამარჯვების ამბავი ხომ მან მცირე ხნის უკან შეიტყო. ბოლოს პომპეუსისაგან ისე მოქანცული და გაწამებული შიკრიკი მოვიდა, რომ ჩვეულებრივი სალმის მიცემაც კი დაავიწყდა. მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა შესძლო:

— პომპეუსი სხვის ხომალდზე იმყოფება. იჩქარე, ნახო იგი.

კორნელიას გული წაუვიდა. როდესაც გონს მოვიდა, სასწრაფოდ გაეშურა ნავსადგურისაკენ. პომპეუსის მკლავებში ისევ დაკარგა გონება. შემდეგ ტირილით წარმოსთქვა, რომ ყველა მომხდარი უბედურება მისი ბრალია, იგია დაწყეველილი ბედისა, მისი პირველი ქმარი ხომ, პუბლიუს კრასუსი, პართელების ხელით მოკვდა, მეორე კი, რომელიც სულ ახლახანს ხუთას ხომალდს მეთაურობდა, ასლა სხვის გემს თავშეფარებული გარბის.

— ჯერ კიდევ კრასუსამდე უნდა მოვმკვდარიყავი, — განაგრძობდა ქალი მოთქმას. — ჯობდა, მისი სიკვდილისთანავე თავი მომეკლა, როგორც ვაპირებდი.

პომპეუსის ოჯახი გემზე მოთავსდა. თუმცა გზის გაგრძელება ძლიერ ეჩქარებოდათ, მაგრამ პირქარმა ორ დღეს შეაყოვნა ისინი. ამასობაში სხვა ხომალდებიც შემოუერთდნენ და ფლოტილიამ გეზი სამხრეთისაკენ აიღო, აზიის სანაპიროს გაყოლებით. ისინი მხოლოდ წყლისა და სურსათის მარაგის ასაღებად ჩერდებოდნენ. მალე სამხედრო გემების ესკადრა შემოხვდათ, რომელზედაც სენატორთა ჯგუფი იმყოფებოდა. კილიკიის სანაპიროზე დიდი სამხედრო თათბირი გაიმართა.

აქამდის პომპეუსი და მისი თანამგზავრები მხოლოდ ერთი აზრით გარბოდნენ: რაც შეიძლება სწრაფად და შორს. ახლა აუცილებელი იყო დაესახათ მიზანი. სიტუაცია, როგორც თანდათან გამოირკვა, არც ისე უიმედო იყო: სამხედრო ფლოტის ძირითადი ბირთვი თითქმის უვნებლად იყო გადარჩენილი. ასევე უვნებელი იყო სახმელეთო ჯარების ბევრი ქვედანაყოფიც. მაგრამ ისინი ძლიერ შორს იყვნენ დარჩენილები. სად ეძებნათ, როგორ მიეღწიათ იქამდე? როგორ მოეყარათ თავი ლაშქრისთვის? პომპეუსი უკვე მიმხვდარი იყო თავის პრინციპულ, სტრატეგიულ შეცდომას და აღიარა:

— გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა საჭირო იყო არა ხმელეთზე, არამედ ზღვაზე, მე კი შევყევი საბერძნეთის სიღრმეში და ბრძოლა იქ მივიღე, სადაც არ შემეძლო ფლოტის გამოყენება.

როდესაც შეეკითხნენ, საით უნდა წასულიყვნენ ახლა, მან გასაოცარი პასუხი გასცა: პირდაპირ პართელებთან! ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება საფუძველს როდი იყო მოკლებული.

სინამდვილეში პართია რომისათვის ყოველთვის წარმოადგენდა საფრთხეს. ხუთი წლის წინ მათთან ბრძოლაში დაეცა მარკუს კრასუსი და მისი ვაჟი — პუბლიუსი. მაგრამ ახლა ცეზარის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარების მიცემა მხოლოდ პართელებს შეეძლოთ. თუმცა ამას უანგაროდ არ იზამდნენ და ფეშქაშად რომელიმე აზიურ პროვინციას, ანდა სახელდობრ იმ პროვინციებს მოითხოვდნენ, რომლებიც იმპერიას ბოლო ხანებში შესძინა პომპეუსმა. ამჯერად შეიძლებოდა იმ მიწების პარ-

თელებისათვის დათმობა, რათა ცეზართან ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ისინი კვლავ უკან დაებრუნებინათ.

მაგრამ სარდლის ამ წინადადებას მოთათბირეთა უმრავლესობამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, რადგან მათ, უბრალოდ, ეშინოდათ პართელებისა. ამ პროექტის წინააღმდეგ განსაკუთრებით მტკიცედ გამოვიდა ბერძენი თეოფანე, რომელიც წლების მანძილზე პომპეუსის ბრწყინვალე გამარჯვებების ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობას ასრულებდა. თავისი წინადადება მან ასე დასაბუთა:

— უაზრობაა ჩვენი სიცოცხლე პართელების ვერაგ მეფეს მივანდოთ, თუკი შეგვიძლია სამი დღის შემდეგ ეგვიპტეში მივიდეთ. ახალგაზრდა მეფე პტოლომეუსი მადლიერი უნდა იყოს პომპეუსისა მამამისისათვის აღმოჩენილი დახმარების გამო. სასახლის კარიც ალბათ კეთილმოსურნედ უნდა იყოს ჩვენდამი განწყობილი. ეგვიპტე მდიდარი ქვეყანაა. დიდი სიძნელის გარეშე მივიღებთ იქ სურსათს, ხომალდებს, ფულს. ბოლოს და ბოლოს როგორ ჩავუგდოთ პართელებს ხელთ კორნელია, როდესაც მათ მოკლეს მისი მამამთილი და ქმარი?

პომპეუსს ეს არგუმენტები სარწმუნოდ მოეჩვენა. ამიტომ ჯერ კუნძულ კვიპროსისაკენ გაცურეს, საიდანაც თავდაპირველად სირიაში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ხოლო შემდეგ — ნაპირების გაყოლებით, სამხრეთისაკენ, ეგვიპტემდე უნდა მიეცურათ. მაგრამ კვიპროსის საპორტო ქალაქ პაფოსთან შეჩერების დროს შეიტყვეს, რომ სირიის დედაქალაქში, ანტიოქიაში მცხოვრები რომაელები პომპეუსის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. ისინი შეიარაღებულიყვნენ და განეცხადებინათ, რომ პომპეუსს არ შეუშვებდნენ პორტში. რომაელები წინააღმდეგნი იყვნენ აგრეთვე პომპეუსის იმ მომხრეების ქალაქში შეშვებისაც, რომლებიც მეზობელ სამთავროებში აფარებდნენ თავს. ყოველივე ამას პომპეუსისადმი მტრობით კი არ იქმოდნენ, არამედ — ცეზარის შიშით, რადგან უკვე საყოველთაოდ გამხდარიყო ცნობილი, რომ გამარჯვებული პომპეუსს ელვისებური სისწრაფით დასდევნებოდა.

ამიტომ იძულებულები შეიქნენ პირდაპირ ალექსანდრიისაკენ აეღოთ გეზი. ამ დროს (პომპეუსმა ეს კვიპროსში შეიტყო) ეგვიპტეში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მეფე პტოლომეუსი პელუსიონის ციხესთან იდგა და თავის დას და მეუღლეს გზას ულობავდა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა, უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. პომპეუსს მოახსენეს, რომ ცეზარის ხომალდები პირდაპირ კვიპროსისაკენ მოცურავდნენ. რომაელ ვაჭრებსა და მრეწველებს, რომლებიც კუნძულზე საქმიანობდნენ, პომპეუსმა გამოართვა ფული, შეიარაღა და ხომალდებზე აიყვანა მათი ხალხი, დაახლოებით ორი ათასი კაცი და ასეთი მცირე ფლოტით პელუსიონისაკენ გაცურა.

თათბირი ეგვიპტის ფარაონთან

ცხადია, პომპეუსს მიაჩნდა, რომ ეგვიპტის კანონიერი მეფე მცირეწლოვანი პტოლომეუსი იყო და არა მისი და, ქვეყნიდან გაძევებული კლეოპატრა. ანდა რას მოიგებდა, თუნდაც უმიწაწყლო დედოფლის მხარე დაეჭირა? იგი იძულებული გახდებოდა დედოფალთან ერთად ჯერ ალექსანდრია აეღო. მას კი თავად ესაჭიროებოდა დახმარება. ამიტომ პომპეუსის მცირე ფლოტმა ღუზა პელუსიონთან ჩაუშვა, სადაც პტოლომეუსი იყო დაბანაკებული. პომპეუსმა მეფეს გაუგზავნა ელჩები, რომლებიც დაუყოვნებლივ იქნენ მიღებული. მის უდიდებულესობას ცამეტი წლის მეფეს მათ მოკლედ მოახსენეს:

— ბედი ცვალებადია. ზუსტად ათი წლის წინ მამაშენმა ტახტი დაკარგა და

იძულებული გახდა, უცხოეთში გადახვეწილიყო. რომში, სადაც მან ინება ჩასვლა, პომპეუსმა სტუმართმოყვარულად მიიღო იგი და დახმარების ხელი გაუწოდა. მისი წყალობით მეფემ კვლავ დაიბრუნა ძალაუფლება. მამამენი დიდად აფასებდა მეგობრობას, რომელიც მასსა და პომპეუსს შორის დამყარდა. ამიტომაც დანიშნა თავისი ანდერძის შემსრულებლად რომაელი ხალხი და ამ დოკუმენტის ეგზემპლარი პომპეუსს გადასცა შესანახად. ახლა მშვენიერი შემთხვევა გეძლევათ მადლობის გადასახდელად. პომპეუსი ითხოვს ალექსანდრიაში მიღებასა და სურსათით, ხომალდებითა და ფულით დახმარებას. არ დაგავიწყდეს, რომ, მართალია, ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ აურაცხელ ძალებსა ვფლობთ, რომლებიც, საბედნიეროდ, ჩვენგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი. როგორც კი ამ ძალებს შევაგროვებთ, ყველაფერი შეიცვლება. შენ კი მოიპოვებ არა მხოლოდ პომპეუსის, არამედ მთელი რომაელი ხალხის მადლობას!

სიტყვის მოსმენის შემდეგ ელჩებს სთხოვეს, პასუხისათვის მოეცადათ. ელჩებად წარგზავნილი რომაელები თავისუფლად დასეირნობდნენ ბანაკში, სადაც მათი გამოჩენა გაოცებას იწვევდა. ეგვიპტელ ჯარისკაცებს შორის ბევრი იყო აგრეთვე გაბინიუსელი. მრავალი მათგანი წლების მანძილზე იბრძოდა პომპეუსის სარდლობით და ამიტომ ახლა ცნობისმოყვარედ კითხულობდნენ:

— როგორ დამარცხდა პომპეუსის არმია? ახლა რა სიტუაციაა? რა განუზრახავს სარდალს, რომელიც აქამდე დამარცხებული არავის უნახავს?

მხოლოდ ბრძოლისა და გაქცევის ამბების მოყოლით არ იზღუდებოდნენ ელჩები. ისინი ცდილობდნენ, საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ეს წინასწარ გამიზნული სტრატეგიული მანევრი იყო. უფრო მეტიც, პირდაპირ მოუწოდებდნენ ამჟამად ეგვიპტის სამსახურში მყოფ რომაელ ჯარისკაცებს, რომ კვლავაც დაემტკიცებინათ ერთგულება თავიანთი ყოფილი სარდლისათვის.

ცნობამ, რაც ხდებოდა ეგვიპტელთა ბანაკში, უმალვე მიაღწია სამეფო საბჭომდე, სადაც იხილებოდა პომპეუსის საკითხი, და არაკეთილსასურველი ეფექტი მოახდინა. იქნებ სახელდობრ ამ ცნობამაც გადაწონა პომპეუსის ბედი? მის მსვლელობაში ხომ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები და აზრები ეჯახებოდა ერთმანეთს?!

ერთ-ერთი პირველი მოკამათეთაგანი იყო აკორეოსი, მემფისელი ქურუმთუხუცესი. ამ სახელით, რომელიც ალბათ რომელიღაც ეგვიპტური თანამდებობის დამახინჯებაა, ნამდვილად პშერნი-პტაჰი, ტა-იმჰოტეპის ქმარი გამოდიოდა. მისი აზრით, სამართლიანობა მოითხოვდა, სათანადოდ შეეფასებინათ პომპეუსის დამსახურება მეფის ოჯახის წინაშე. სხვა ორატორები კი წინადადებას იძლეოდნენ, არ მიეღოთ პომპეუსი და არავითარი დახმარება არ აღმოეჩინათ მისთვის. მათი მსჯელობა საღი და სამართლიანი იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამოქალაქო ომი რომის საშინაო საქმეა და ეგვიპტე ვალდებულია, დაიცვას თანმიმდევრული ნეიტრალიტეტი.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საჭურისმა პოთინემ. მან მკაცრად გააკრიტიკა ქურუმთუხუცესის პოზიცია. მისი არგუმენტაცია ცინიკური, მაგრამ დამაჯერებელი იყო. ასი წლის შემდგომ რომაელმა პოეტმა ლუკანმა, ალბათ სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, აღადგინა პოთინეს სიტყვა, რომელსაც შემდეგი შინაარსი აქვს:

მეფე ყოველთვის უნდა იდგეს ბედისა და ღმერთების მხარეს. ეს ნიშნავს, რომ პატივი მიაგოს იმას, ვისაც ბედი უმართლებს, და უგულვებელყოს უბედურებაში ჩაცვივნული ადამიანები, რადგან სამართლიანობა და ანგარება შორიშორს არიან ერთმანეთისაგან, ისევე როგორც ვარსკვლავები და დედამიწა, როგორც წყალი და ცეცხლი. ხელმწიფის პრესტიჟი ეცემა მაშინ, როგორც კი იგი იწყებს სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფოს მართვას. მრავალი ციხე-სიმაგრის და-

ცემის მიზეზი მისი მპყრობელის კეთილსინდისიერება და პატიოსნება გამხდარა. ყოველგვარი ხელისუფლება რომ ეზიზღება ხალხს, ეს ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა. მაშ, რაღა ემსახურება ძას ფარად და ხმლად? დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.

ბოლოს, მიმართა რა უშუალოდ მეფეს, პოთინემ დაასრულა:

— მეფეო! პომპეუსი, უბრალოდ, უგულვებელგყოფს შენ, მცირეწლოვნების გამო. იგი ფიქრობს, რომ შენ ვერ გაბედავ უკან გააბრუნო იგ ბანი ქვეყნის საზღვრებიდან. ჩვენთვის ერთი რამაა ნათელი: ეგვიპტე რომაელთა შემოჭრისაგან უნდა დავიცვათ. ის, რაც არ ეკუთვნოდა პომპეუსს ომის დროს, არ უნდა გახდეს მისი დამარცხებლის ნადავლი. სარდალს, რომელსაც მთელმა სამყარომ ზურგი შეაქცია, გაქცევის ყველა გზა მოჭრილი აქვს. ახლა იგი ეძებს ქვეყანას, რომელიც მასთან ერთად გადაიჩეხება უფსკრულში. ვის გაურბის პომპეუსი? არა მხოლოდ ცეზარს. მას შიშის ზარს სცემენ ის სენატორებიც, ყორნების ლუკმა რომ გახდნენ ფარსალოსის ველზე. ეშინია იმ ბალხისა, რომელთა სისხლის ზღვაც დააყენა, და მეფეებისა, რომლებიც ასევე თან გადაიყოლა დამარცხების უფსკრულში. რაკი უკვე აღარავის სურს მისი მიღება, იგი მოადგა ჩვენს ქვეყანას, — რამეთუ ეგვიპტე ჯერ არ დაუღუპავს!

საჭიროა, კარგად ავწონ-დავწონოთ ჩვენი სახელმწიფოს ძალები და შესაძლებლობები. წაქცეულმა პომპეუსმა მთელი რომი დაიყოლა ქვეშ. მაშ, რანაირად შეგვიძლია საყრდენად გამოადგე მას შენ, მეფევ? ნუთუ შეგიძლია სიცოცხლე დაუბრუნო ფარსალოსთან დაცემულ ჯარისკაცებს? ან იქნებ გსურს, რომ ეგვიპტესაც მოსწვდეს ომის ქარცეცხლი? აქამდე მონაწილეობა არ მიგვიღია ომში, ნუთუ მიემხრობი პომპეუსის ბანაკს, მაშინ, როდესაც მას მთელი სამყარო განუდგა?

თუმცა, რა შინაარსის სიტყვაც არ უნდა წარმოეთქვათ მეფის მრჩევლებს, ცნობამ, პომპეუსის ელჩები ეგვიპტელ ჯარისკაცებს იბირებენო, მეხის ჩამოვარდნასავით იმოქმედა. რადიკალური ღონისძიებების გატარების მომხრეთა არგუმენტებმა მეტი დამაჯერებლობა შეიძინეს. პოთინეს შემდეგ გამოსულმა მეფის აღმზრდელმა, რიტორიკის მასწავლებელმა თეოდოტიმ უფრო მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა:

— უარით გავაბრუნოთ უკან პომპეუსი, — ეს ისევე საშიშია ჩვენთვის, როგორც ის, რომ მივიღოთ იგი და მხარი დავუჭიროთ. თუ მას დახმარებას აღმოვუჩენთ, ამით ცეზარის რისხვას დავიტეხთ თავს, ხოლო თუ არ მივიღებთ მას, მაშინ ორ მტერს გავიჩენთ: ერთი შეგვიზიზღებს იმიტომ, რომ უკუვაგდეთ, ხოლო მეორე — იმიტომ, რომ იძულებული გავხადეთ კიდევ უფრო შორს დაედევნოს თავის მტერს. ყველაზე უკეთესად მაშინ მოვიქცევით, თუ რომის სამოქალაქო ომის ბედს ჩვენ გადავწყვეტთ. დიახ, გამარჯვების სასწორი ჩვენ ცეზარის მხარეს უნდა გადავწონოთ. ამისათვის საკმარისია, უბრალოდ, თავიდან მოვიშოროთ პომპეუსი. ამით ცეზარსაც მოვიმადლიერებთ და პომპეუსის მხრიდანაც საფრთხე აცილებული გვექნება.

ეგვიპტის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით ეს შეხედულება ყველაზე უფრო სწორი იყო. რანაირად შეეძლო პტოლომეუსს, რომელიც თავის დას და მეუღლეს ებრძოდა, წინააღმდეგობა გაეწია ცეზარისათვის, რომელიც დევნილს ფეხდაფეხ მოსდევდა? მეფე კლეოპატრასა და რომის ჯარების მარწუხებში აღმოჩნდებოდა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ასეთ სიტუაციაში ცეზარი ადვილად შეუთანხმდებოდა კლეოპატრას და ეგვიპტის მეფედ მას აღიარებდა.

ეგვიპტელებს ერთი გამოსავალიც ჰქონდათ: პომპეუსი დაეტყვევებინათ და ცეზარისათვის მიეგვარათ. მაშინ მართალია, თავიდან აირიდებდნენ მკვლელობისა-

თვის პასუხისმგებლობას, სამაგიეროდ, ცეზარი აღმოჩნდებოდა მძიმე სიტუაციაში. მაგრამ, როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე პოლიტიკოსებს, რომლებიც ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე თავის მოწონებას ცდილობენ, ეგვიპტელმა დიდებულებმა მეტისმეტად გამოიდეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პომპეუსის სიკვდილი

სამეფო საბჭოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა ახილასს, რომელმაც დასახმარებლად თან წაიყვანა სალვიუსი და გაბინიუსელ ჯარისკაცთა მეთაური სეპტიმუსი. ოდესღაც ორივენი პომპეუსის არმიაში იბრძოდნენ, ახლა კი ახილასს პომპეუსის ხაფანგში გაბმაში უნდა მიხმარებოდნენ.

ხომალდის გემბანზე პომპეუსის ირგვლივ შეგროვილიყვნენ დიდებულები, რომლებიც სარდალს ახლდნენ. ყველა შეშფოთებული და გაოცებული იყო. ნაპირის მხრიდან მცირე ნავი უახლოვდებოდათ. რაშია საქმე? ასე იღებენ სახელოვან სტუმარს? ზევრმა აზრი გამოთქვა, უკეთესი იქნება, თუ ნავს აღარ მოვუცდით და ცურვას განვაგრძობთო.

ამასობაში ნავიც მოახლოვდა. სეპტიმუსი ფეხზე წამოდგა და სარდალს ლათინურად მიესალმა:

— სალვე, იმპერატორ!

ახილასი პომპეუსს ბერძნულად მიესალმა და ნავში ჩაიპატიჟა.

— ხომალდის გამოგზავნა გვსურდა, — თქვა მან, — მაგრამ აქ წყალი მეტისმეტად თავთხელია და ცურვას ვერ შეძლებდა!

სწორედ ამ დროს პომპეუსმა და მისმა თანამგზავრებმა შენიშნეს, რომ ეგვიპტელთა რამდენიმე ხომალდი საომრად ემზადებოდა. ხოლო ზღვის მთელი სანაპირო ქვეითმა ჯარისკაცებმა დაიჭირეს. რისა ნიშანი იყო ეს — საზეიმო მიღებისა თუ ვერაგული თავდასხმისა? მაგრამ გაქცევას უკვე აზრი აღარ ჰქონდა; უნდობლობის გამომჟღავნება შეიძლებოდა ბრძოლის ატეხის საბაბი გამხდარიყო.

პომპეუსმა გადაწყვიტა ნავზე გადასულიყო. იგი გამოეთხოვა ატირებულ კორნელიას და გაყოლა უბრძანა ორ ცენტურიონს, თავის ერთ-ერთ აზატს ფილიპეს და ერთგულ მონას — სკვითეს.

ახილასმა მისაშველებლად ქვევიდან გამოუწოდა ხელები. პომპეუსი ნავში ჩახტა, ცოლისა და ვაჟიშვილისაკენ შებრუნდა და ბერძნულად წარმოსთქვა სოფოკლეს იამბური ტაეპი:

„ის, ვინც ფეხს შედგამს მეფის კარზე, მეფის მონაა,
თუნდაც მოვიდეს დაბადებით თავისუფალი“.

ხომალდიდან ნაპირამდე მანძილი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ცურვის განმავლობაში მისთვის ერთი სიტყვაც არავის უღირსებია. მან პირველმა დაარღვია სიჩუმე და სეპტიმუსს შეეკითხა: „თუ არ ვცდები, შენ ჩემი ყოფილი თანამოლაშქრე უნდა იყო?“ თანხმობის ნიშნად სეპტიმუსმა მხოლოდ თავი დაუქნია. სარდალს აღარ უცდია საუბრის გაგრძელება. მან დაიწყო კითხვა ბერძნულად დაწერილი სიტყვისა, რომლითაც მეფისათვის უნდა მიემართა.

სანამ ნავში მსხდომნი ნაპირს უახლოვდებოდნენ, კორნელია რომაელ დიდებულებთან ერთად ხომალდიდან მღელვარედ ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას. როცა დაინახა, რომ მისადგომ ნაპირთან მეფის მრავალი კარისკაცი მო-

გროვდა, თითქოს იმიტომ, რომ პომპეუსი პატივით მიეღოთ, შვებით ამოისუნთქა. მაგრამ იმ დროს, როდესაც პომპეუსმა ხელი ჩასჭიდა ფილიპეს, რათა უფრო ადვილად წამომდგარიყო, სეპტიმუსმა მას ზურგში მახვილი ჩასცა; შემდეგ სალვიუსმა და ახილასმაც იშიშვლეს მახვილები. პომპეუსმა ორივე ხელით სახეზე ტოგა ჩამოიხურა და ხმის ამოუღებლად, მხოლოდ კვნესით ხვდებოდა მახვილთა დარტყმებს.

პომპეუსის მკვლელობის მაყურებელთ სოფალდზე შემაძრწუნებელი ყვირილი აღმოხდათ. ბრძანებისთვისაც აღარ მოუცდიათ, ისე აუშვეს ღუზა და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას. მძლავრმა ქარმა ხელი შეუწყო ლტოლვილებს. ეგვიპტელები იძულებული შეიქნენ ხელი აეღოთ დევნაზე.

პომპეუსი თავისი დაბადების წინა დღეს მოკვდა. იგი 58 წლის უნდა გამხდარიყო. მას თავი მოჰკვეთეს და მეფეს მიართვეს. გაშიშვლებული სხეული კი ნაპირზე გადაისროლეს და იმათ დაუტოვეს, ვისაც ამ სანახაობით დატკბობა სურდა. აზატი ფილიპე გაუნძრევლად იდგა გვამთან, ვიდრე ხალხმა გული არ იჯერა მისი ცქერით. შემდეგ პომპეუსის ტანი ზღვის წყლით განბანა და თავისი ტუნიკით შემოსა. ბევრი ძებნის შემდეგ ნაპირზე მოაგროვა პატარა ნავის ნამტვრევები და დამკრძალავი კოცონი დაანთო. კოცონის დანთებაში შველოდა ერთი უცნობი მოხუცი, რომელსაც ოდესღაც პომპეუსის არმიაში ემსახურა.

ცეზარის რელაცია

ჩანაწერებისათვის ობიექტური ხასიათის მისაცემად, ანტიკურ ხანაში გავრცელებული ტრადიციის თანახმად, საკუთარ დღიურში თავის ლაშქრობებსა და ბედზე ცეზარი მესამე პირში საუბრობს. ამ სტილისტურ ხერხს წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან გალებთან ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ამბავი უაღრესად სუბიექტური და ტენდენციურია. ამ დასკვნის სისწორეში ყველაზე უკეთ მაშინ დავრწმუნდებით, თუ მის ჩანაწერებს პირველ პირში გადავიტანთ. იგივე მეთოდი დაგვეხმარება აგრეთვე უკეთ გავერკვეთ მომხდარ მოვლენებში. აი, რას ამბობს ცეზარი თავისი მესამე წიგნის — „მოგონებები სამოქალაქო ომზე", დასასრულს:

აზიაში მხოლოდ რამდენიმე დღე დავყავი. ვავიგე თუ არა, რომ პომპეუსი კვიპროსზე უნახავთ, მაშინვე გავიფიქრე, რომ იგი ეგვიპტისაკენ გასწევდა. პომპეუსსა და იქაურ სამეფო კარს შორის ხომ კარგი ურთიერთობები არსებობდა და მოსალოდნელი იყო, ეგვიპტე პომპეუსს სურსათით უზრუნველყოფდა. თან მახლდა ორი ლეგიონი: ერთი თესალიიდან წამოვიყვანე, მეორე — საბერძნეთიდან გამოვიძახე. ამას გარდა, თან მყავდა რვაასი ცხენოსანი, მახლდა ათი როდოსული და რამდენიმე აზიური ხომალდი. ორივე ლეგიონში სამი ათას ორასი კაცი იყო; დანარჩენები ჭრილობებისაგან იყვნენ დასახიჩრებულნი; გრძელი გზითა და ხანგრძლივი ლაშქრობებით მოქანცულებმა ვერ შეძლეს გამომყოლოდნენ. მიუხედავად ამისა, წარმატებით გადალახული მრავალი ბრძოლის გამო, დიდი ნდობა მქონდა ჯარისკაცებს შორის მოპოვებული და ამიტომ არ შევყოყმანებულვარ ამ ლაშქრობის წამოსაწყებად. მიმაჩნდა, რომ არც ერთ ქალაქში არავითარი საფრთხე არ გველოდა.

პომპეუსის სიკვდილის ამბავი ალექსანდრიაში შევიტყვე. ხომალდიდან გადმოსვლისთანავე მომესმა ჯარისკაცების ყვირილი, რომლებიც მეფეს ქალაქის დასაცავად დაეტოვებინა. ჩემ გარშემო საშიში ბრბო შეჯგუფდა. ოურმე იმას გაელიზიანებინა, რომ ვბრძანე, ლეგიონების წინ წკეპლის კონებით ლიქტორებს გაევლოთ. ბრბო გაჰყვიროდა, ამგვარი პროცესია მეფის ღირსებას ლახავსო. ეს მღელვარება დაწყნარ-

და, მაგრამ შემდეგ მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში ხშირად ირღვეოდა წესრიგი და ქალაქის სხვადასხვა უბნებში მრავალი ჩემი ჯარისკაცი იქნა მოკლული.

ყოველივე ამან მაიძულა, აზიიდან გამომეძახებინა ორი ლეგიონი, რომლებიც პომპეუსის ყოფილი ჯარისკაცებისაგან შეადგინეს უკანასკნელ ხანებში. მე თავად იძულებული გავხდი დავრჩენილიყავი ქალაქში, რადგან ძლიერმა ტრიბუნალმა ქარებმა ცურვის საშუალება არ მომცა. ეს ქარები ძალზე შემაფერხებელია ყველასთვის, ვისაც ალექსანდრიიდან გაცურვა სწადია.

ამავე დროს დავიწყე მეფესა და დედოფალს შორის არსებული დავის გადაწყვეტა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაც იყო, მით უმეტეს, რომ ზუსტად კონსულობის დროს სენატისა და რომაელი ხალხის ნებით დაიდო ხელშეკრულება მამა-პტოლომეუსთან. ამიტომ გახვაცხადე, მეფესა და მის დას ჯარები დაეთხოვათ და დავა ჩემი ტრიბუნალის წინაშე არა იარაღით, არამედ ლეგალური გზით გადაეწყვიტათ.

მეფის მცირეწლოვნების გამო სახელმწიფო საქმეებს მისი აღმზრდელი, საჭურისი პოთინე წყვეტდა. იგი თავდაპირველად წყენას გამოსთქვამდა თავის მომხრეებთან იმის გამო, რომ უცხოელი იწვევდა მეფეს სასამართლოზე. შემდეგ ძეფის მოხელეებს შორის მოძებნა ხალხი, რომლებიც სიამოვნებით დაეხმარებოდნენ განზრახული გეგმის აღსრულებაში. პელუსიონიდან ალექსანდრიაში სასწრაფოდ გამოიძახა ჯარები, რომელთაც სარდლად ახილასი დაუნიშნა. პოთინე წერილებით თუ შუამდგომლების მეშვეობით თავისი და მეფის სახელით ურჩევდა და ასწავლიდა ახილასს, როგორ მოქცეულიყო.

ანდერძით მამა-პტოლომეუსმა თავის მემკვიდრეებად დანიშნა უფროსი ვაჟი და უფროსი ქალიშვილი. იმავე ანდერძში მეფემ რომაელ ხალხს აფიცა ყველა ღმერთები, რომ ზუსტად აღესრულებინათ მისი ანდერძი და რომთან დადებული ყველა ხელშეკრულება. შემდეგ ანდერძის ერთი ეგზემპლარი გაგზავნა რომში, რათა ხაზინისათვის ჩაებარებინათ, მაგრამ რომის მოსახლეობის მღელვარების გამო შეუძლებელი შეიქნა მისი ხაზინისათვის მიხდობა. ამიტომ ეს ეგზემპლარი პომპეუსთან დარჩა. ტექსტის მეორე ეგზემპლარი, დალუქული სახით, ალექსანდრიაში ინახებოდა.

როდესაც ჩემი თანდასწრებით და-ძმის საქმე ირჩეოდა, როგორც მათი საერთო მეგობარი და მოკავშირე, ძლიერ ვცდილობდი სამეფო წყვილის შერიგებას. ამ დროს მოულოდნელად შევიტყვე, რომ ეგვიპტის ჯარები ალექსანდრიისაკენ მოიწევდნენ.

ჩემი ჯარები ისე მცირე იყო, რომ არც კი შეიძლებოდა მათი ქალაქის ციხის კედლებს გარეთ საბრძოლველად გაყვანა. მხოლოდ ერთი გამოსავალიღა დამრჩენოდა: ქალაქის სტრატეგიულ წერტილებში განმელაგებინა ისინი და ფხიზლად მედევნებინა თვალი, როგორი განზრახვა ედო გულში ახილასს. მე ბრძანება გავეცი, რომ ყველა ჯარისკაცი საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო. იმავე დროს მეფე დავითანხმე თავის მოხელეთაგან ყველაზე უფრო გავლენიანი პიროვნებები ახილასთან გაეგზავნა და მისთვის ჩემი მოთხოვნები წაეყენებინა. ელჩებად შეარჩიეს დიოსკერიდესი და სერაპიონი. ეს პიროვნებანი უკანასკნელ ხანებში რომში იყვნენ ელჩებად წარგზავნილები და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მამა-პტოლომეუსთან.

როგორც კი წარგზავნილები ახილასის წინაშე გამოცხადდნენ, მან იმის გაგებაც კი არ ისურვა, რა საქმისათვის იყვნენ მოსულნი და მაშინვე მათი ციხეში ჩაყრა ბრძანა, ხოლო შემდეგ კი დახოცვა. სასიკვდილოდ დაჭრილი ერთ-ერთი ელჩი თავისიანებმა გამოიყვანეს ახილასის ბანაკიდან და ამგვარად გადაარჩინეს სიკვდილს. მეორე კი დაიღუპა.

ამ შემთხვევის შემდეგ ძალას არ ვზოგავდი, რომ მეფე ჩემი ზედამხედველობიდან არ გასულიყო, რადგან იგი ქვეშევრდომთა შორის დიდი გავლენითა და ავტო-

რიტეტით სარგებლობდა. თანაც მეწადა, ალექსანდრიის მოსახლეობას საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ეს ბრძოლა წამოიწყეს ცალკეულ ადამიანთა მცირე ჯგუფებმა, თანაც არამზადებმა და არა — მეფემ.

ამასობაში იმ აზრამდე მივედი, რომ არ შეიძლებოდა ახილასის რიცხვმრავალი ჯარისა და მათი სამხედრო სრულყოფილების უგულვებელყოფა. მას იარაღქვეშ ოცი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა; მთავარ ძალებს წარმოადგენდნენ ყოფილი ბანდიტელები, რომელთაც უკვე მიეღოთ ადგილობრივი ცხოვრების წესი, ალექსანდრიული ალვირახსნილობა, უკუეგდოთ ძველებური დისციპლინა და დაევიწყებინათ, რომ ისინი რომაელი ჯარისკაცები იყვნენ. უმეტესი მათგანი დაოჯახებულიყო და შვილებიც ჰყავდათ. მათ შეერთებოდა არამზადებისა და მეკობრეთა რაზმები სირიიდან, ქილიკიიდან და სხვა მოსაზღვრე ქვეყნებიდან; მათ შორის საკმაოდ ბევრნი იყვნენ სიკვდილმისჯილნი და გაძევებულნი.

ისტორიკოსის რელაცია

აი, ასე ეღერს ცეზარის მონათხრობი — ნათლად, მოკლედ და ლოგიკურად. მისეული თხრობის ერთი შეხედვით მშვიდი მანერა ნდობას იმსახურებს. მოვლენათა მსვლელობაც თითქოს გასაგებად და ბუნებრივად არის წარმოდგენილი.

ცეზარი ალექსანდრიაში მცირე ძალებით მივიდა პომპეუსის სიკვდილიდან მცირე ხნის შემდეგ. ზუსტ თარიღებს ტექსტი არ იძლევა, მაგრამ სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ეს მოხდა ოქტომბრის პირველ დღეებში (იმდროინდელი კალენდრის მიხედვით). ადგილობრივი მოსახლეობა ძალზე მტრულად შეხვდა სარდალს, რამაც იგი აიძულა ალექსანდრიაში მცირე ახიიდან ორი ლეგიონი გამოეძახებინა. თავად ვერ შეძლო ქალაქის დატოვება, რადგან ძლიერი ტროპიკული ქარები ქროდა. იგი მოწადინებული იყო შეერიგებინა სამეფო წყვილი, ოღონდ მის სამშვიდობო მცდელობას წინ აღუდგა მცირეწლოვანი მეფის აღმზრდელი — პოთინე. იგი მეფის თანადგომით პელუსიონის გარეუბნიდან ალექსანდრიაში მოიხმობს ახილასის ჯარებს, რომელიც ისე გაშმაგებით შიისწრაფის ცეზართან შესაბმელად, რომ მისი ელჩების მოსმენაც კი არ სურს. ამგვარ სიტუაციაში ცეზარი აწესებს მკაცრ ზედამხედველობას მეფეზე და აძლიერებს ქალაქის დაცვას.

ეს მოვლენები შედარებით მოკლე ხანში განვითარდა: ოქტომბრის დასაწყისიდან ნოემბრის პირველ დღეებამდე.

ცეზარის რელაციის წაკითხვის შემდეგ, რომელიც ერთი შეხედვით, ასე მიუკერძოებელი და დამაჯერებელი ჩანს, რაღაც ეჭვები, უკიდურეს შემთხვევაში, კითხვები, გვებადება იმასთან დაკავშირებით, რასაც იგი გვერდს უვლის. მაგალითად, იგი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ სად იყო და რას აკეთებდა ამ ერთი თვის მანძილზე კლეოპატრა: დედაქალაქში თუ — უწინდებურად ეგვიპტის საზღვარზე, პელუსიონთან, და როგორ შეხვდა იგი ცეზარის მცდელობას, შეერიგებინა და-ძმა.

აქედან ჩანს, რომ საჭიროა ცეზარის რელაციის შეპირისპირება სხვა წყაროებთან. ამავე მოვლენების ყველაზე უფრო ფართო აღწერას ისტორიკოსი კასიუს დიონი იძლევა. იგი, მართალია, ამ ამბებიდან ორი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ნდობას იმსახურებს, რადგან მნიშვნელოვნად ადრინდელსა და იშვიათ დოკუმენტებს, დღიურებსა და ქრონიკებს ეყრდნობა. უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც კი შესაძლებელია ამ ავტორის რომის ისტორიის შემოწმება (იგი ბერძნულად წერდა), ნაშრომი დიდ ნდობას იმსახურებს.

აი, რას წერს კასიოს დიონი ცეზარის ალექსანდრიაში შესვლასა და მისი იქ შეჩერების პირველი დღეების შესახებ:

„ცნობამ, რომ პომპეუსი ეგვიპტისაკენ მიდიოდა, ცეზარი შეაძრწუნა, მას ეშინოდა, რომ დამარცხებული სარდალი ამ ქვეყანას ხელში ჩაიგდებდა და თავის ძალებს განამტკიცებდა. ამიტომ მაშინვე გამოედევნა, მაგრამ ვერ შეძლო ცოცხალ პომპეუსს დასცემოდა თავს. ამიტომ გაცურა გაბედულად ალექსანდრიისაკენ, ფეიქარი, მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, რადგან მნიშვნელოვნად გაასწრო თავის მთავარ ძალებს. იგი ალექსანდრიაში მანამდე შევიდა, ვიდრე მეფე პტოლომეუსი პელუსიონიდან დაბრუნდებოდა. რადგან უკანასკნელ ხანებში ალექსანდრია დიდ მღელვარებას მოეცვა, ამიტომ ცეზარმა ვერ გაბედა ხმელეთზე გადასვლა. ღუზაჩაშვებული მისი ხომალდი ნაპირთან იდგა. სარდალი იცდიდა მანამდე, ვიდრე მეფის მიერ გამოგზავნილი პომპეუსის თავი და ბეჭედი არ ნახა. მხოლოდ მაშინღა გადავიდა ნაპირზე. რომაელთა ჯარისკაცებს წინ ლიქტორები მიუძღოდნენ, ამიტომ ალექსანდრიელები ძალზე მტრულად შეხვდნენ; ბოლოს, როცა ცეზარი მეფის სასახლეში აღმოჩნდა, ძალზე კმაყოფილი დარჩა. რომაელი ჯარისკაცების ნაწილს ალექსანდრიელებმა იარაღი აპყარეს, რამაც ისინი აიძულა, კვლავ ხომალდზე ასულიყვნენ და ასე ღუზაჩაშვებულნი მდგარიყვნენ მანამდე, ვიდრე ცეზარის დანარჩენი ფლოტიც არ მიცურდა ნავსადგურში.

პომპეუსის თავს რომ უყურებდა, ცეზარი ტიროდა და მწარედ მოთქვამდა. მან გაიხსენა, რომ გარდაცვალებული მისი სიძე იყო. ჩამოთვალა ყველა ის საქმეები, რომლებსაც ოდესღაც ერთად უძღვებოდნენ; რაც შეეხება პომპეუსის მკვლელებს, მათ მიმართ არათუ რაიმე მადლიერება გამოიჩინა, არამედ, პირიქით, მკაცრად დასჯა ისინი. შემდეგ ბრძანა, პომპეუსის თავი გაეპატიოსნებინათ, კარგად დაებალზამებინათ და დაეკრძალათ. თვალთმაქცობა რომ არა, მისი ამგვარი საქციელი უდიდესი პატივისცემის ღირსი იქნებოდა. ცეზარი ხომ თავიდანვე უკიდურესად ცდილობდა, ხელში ჩაეგდო მთელი ძალაუფლება, პომპეუსი ეჯავრებოდა როგორც მოწინააღმდეგე და მოქიშპე. მის წინააღმდეგ რა ბერსს აღარ მიმართავდა, ომშიც კი გამოიწვია, რომ მისი დამარცხების შემდეგ თავად გასულიყო პირველ ადგილზე; ეგვიპტეშიც ხომ მის საბოლოოდ გასანადგურებლად ჩავიდა, რადგან იგი ჯერაც ცოცხალი ევულებოდა.

ამ რწმენით, რომ პომპეუსის სიკვდილის შემდეგ ველარ გაუბედავდნენ წინააღმდეგობის გაწევას, სარდალი დიდი ხნით შეჩერდა ეგვიპტეში. აქ იგი ფულს აგროვებდა და თან პტოლომეუსსა და კლეოპატრას შორის დავას არჩევდა. ეგვიპტის მოსახლეობა ძალზე აღელვებული იყო მისი ექსპლუატაციითა და გამოძალვით. განსაკუთრებით ის აშფოთებდათ, რომ ცეზარი ტაძრებსაც კი არ ინდობდა. არადა იმდროინდელ სამყაროში ეგვიპტელები განსაკუთრებული რელიგიური ფანატიზმით გამოირჩეოდნენ. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ რელიგიურ საფუძველზე ერთმანეთს შორის შუღლი და მტრობა ჰქონდათ, რადგან სხვადასხვა რწმენის მიმდევრები იყვნენ.

გარდა ამისა, ეგვიპტელები შიშობდნენ, რომ მათ მეფედ არ დამჯდარიყო კლეოპატრა, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა ცეზარზე. ყველაფერმა ამან ერთად ეგვიპტელთა აჯანყება გამოიწვია.

რაც შეეხება კლეოპატრას, მისი ამბავი ასე წარმოგვიდგება:

თავდაპირველად კლეოპატრა თავისი უფლებების დაცვას ცეზარის წინაშე შუამავლების საშუალებით ცდილობდა. შემდეგ, როდესაც შეატყო, თუ რა ძალზე დახარბებული იყო იგი ლამაზ ქალებს, მიმართა წინადადებით:

ვინაიდან ჩემი ელჩები სათანადოდ ვერ წარმოადგენენ ჩემს საქმეებს, მიმაჩნია, რომ ჩვენი შეხვედრა აუცილებელიაო.

კლეოპატრა მეტისმეტად მომხიბლავი და სანდომიანი არსება იყო. მას მიმადლებული ჰქონდა მომაჯადოებელი ხმა და ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა. ერთგვარი სიამოვნება იყო მისთვის ცქერაც და მისი მოსმენაც. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ადვილად ხიბლავდა ყველას, სიყვარულით მაძღარ და ხანშიშესულ მამაკაცებსაც კი.

როდესაც ცეზარმა ამ შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა, კლეოპატრა იმგვარად მოირთო და მოიკაზმა, რომ არც თავისი ღირსების გრძნობა დაეკარგა და თან თანაგრძნობაც გამოეწვია ბედის უკუღმართობით ჩაგრულისადმი. ქალაქის ქუჩებში იგი მალულად მიიპარებოდა ღამით და ისე მიაღწია სასახლემდე, რომ პტოლომეუსს და მის ხალხს არაფერი გაუგიათ. როგორც კი თვალი ჰკიდა და მისი ხმა გაიგონა, ცეზარი მაშინვე მოიხიბლა. მყის კაცი გაგზავნა პტოლომეუსთან და შეეცადა, შეერიგებინა და-ძმა. სულ ახლახანს კლეოპატრას მსჯავრმდებელი ცეზარი მის დამცველად გადაიქცა.

ამ ამბავმა ისე გააცოფა ყმაწვილი პტოლომეუსი, რომ ეგვიპტელ დიდგვაროვანთ ყვირილით მივარდა, გაყიდული ვარო. მან დიადემაც კი მოიძრო და მრისხანედ მოისროლა.

არეულდარეულობა შეიქმნა. ცეზარის ხალხმა მეფე ძალით მოაშორეს იქაურობას, მაგრამ ეგვიპტელები დიდხანს არ დაწყნარებულან — ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც უტევდნენ მეფის სასახლეს და, ალბათ, აიღებდნენ კიდეც (რომაელებს საკმარისი ძალები არა ჰყავდათ თავის დასაცავად), რომ უკანასკნელ ჟამს შეძრწუნებული ცეზარი არ გამოსულიყო მოიერიშეთა წინაშე. იგი უსაფრთხო ადგილას დადგა და ხმამაღლა ამცნო ალექსანდრიელებს, რომ შეასრულებდა მათს ყოველ მოთხოვნას.

ცოტა მოგვიანებით დიქტატორი სიტყვით გამოვიდა ალექსანდრიელების წინაშე და კლეოპატრასა და პტოლომეუსის თანდასწრებით წაიკითხა მათი მამის ანდერძი. მასში ნათქვამი იყო, რომ ეგვიპტური წეს-ჩვეულების მიხედვით და-ძმას ერთად უნდა ეცხოვრა და ემეფა რომაელი ხალხის მფარველობის ქვეშ. შემდეგ ცეზარმა განაცხადა:

— როგორც დიქტატორი, მე წარმოვადგენ რომაელ ხალხს. ამიტომ ჩემი მოვალეობაა, შევასრულო მათი მამის ნება-სურვილი.

და და-ძმა ტახტზე დასვა. ამავე დროს, უმცროს და-ძმას, მეფის ასულ არსინოესა და უფლისწულ პტოლომეუს-უმცროსს კუნძული კვიპროსი მისცა. იმჟამად ცეზარი ისე იყო შეშინებული, რომ არათუ არაფერი არ მიითვისა ეგვიპტის საკუთრებიდან, არამედ პირიქით, ისიც კი მიუმატა მას, რაც იმპერიას ეკუთვნოდა.

ალექსანდრიელები მაშინლა დაწყნარდნენ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და კვლავ ატყდა მღელვარება, რომელიც ომში გადაიზარდა. ეს ამბავი ასე მოხდა:

სახელმწიფო ქონებას საჭურისი პოთინე განაგებდა. მან წააქეზა ეგვიპტელები ამბოხებისაკენ, რადგან მუდმივ შიშში იყო, არ დაეჭირათ და პასუხი არ მოეთხოვათ მისთვის. ამან აიძულა, საიდუმლო მოლაპარაკება გაემართა ახილასსთან, რომელიც კვლავ პელუსიონთან იდგა. შეთქმულება თანდათან მთელ ჯარს მოედო. ჯარისკაცები სთელიდნენ, რომ დამამცირებელი იყო შეესრულებინათ ქალის ბრძანებები; თანაც მათ მიაჩნდათ, რომ ცეზარმა ორივე და-ძმას მხოლოდ იმიტომ მისცა ძალაუფლება, რომ ხალხი დაემშვიდებინა, თორემ, როგორც კი ხანი გავიდოდა, მხოლოდ კლეოპატრას გაამეფებდა. ჯარისკაცები დარწმუნებული იყვნენ, რომ ადვილად გაუსწორდებოდნენ რომაელთა რაზმებს და ალექსანდრიისაკენ უდიდესი აღტკინებით დაიძრნენ.

ცეზარი შეაშინა მათმა რაოდენობამ და ენერგიამ და ამიტომ ელჩები გაუგზავნა ახილასს, ოღონდ არა თავისი, არამედ — პტოლომეუსის სახელით. ელჩებმა ეგვიპ-

ტელთა სარდალს გადასცეს მეფის ბრძანება, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება. მაგრამ ახილასმა ნათლად განცვრიტა, ვისგანაც მოდიოდა ბრძანება და არა თუ არ დაემორჩილა მას, არამედ კიდევ უფრო შეიზიზღა ცეზარი, როგორც მსდალი პიროვნება. მან მოიწვია სამხედრო საბჭო, სადაც განადიდა პტოლომეუსი და მკვეთრად გააკრიტიკა ცეზარი და კლეოპატრა. ბოლოს იწყო ჯარისკაცთა წაქეზება ელჩების წინააღმდეგ, თუმცა ორივე მისი თანამემამულეები [illegible] ამას. იგი განზრახ ჩადიოდა: ეწადა, თავისი ხალხი დანაშაულის გზით დაეკავშირებინა [illegible] ნეთთან და ამ გზით აეძულებინა, განევრძოთ რომაელებთან ომი.

პლუტარქეს რელაცია

პლუტარქე ცეზარსა და პომპეუსს შორის ატეხილი სამოქალაქო ომიდან მთელი საუკუნით გვიან დაიბადა. მან დიდხანს, თითქმის ოთხმოც წელს იცოცხლა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მეცნიერებასა და განსაკუთრებით, ფილოსოფიას შესწირა. მისი პირადი წერილები, ახლა რამდენიმე ტომად რომაა გამოცემული, უპირატესად ეთიკური, რელიგიური, ლიტერატურული ხასიათის ესსეები და ტრაქტატებია. მორალით დაინტერესება ამ მწერლის ისტორიული ხასიათის შრომებშიც კი განსაცვიფრებელია. სახელგანთქმულ ბერძენ და რომაელ პიროვნებათა ბიოგრაფიები პლუტარქემ დაწერა არა იმდენად იმისათვის, რომ თავისი თანამედროვეებისათვის გაეცნო წარსულის ცნობილი ისტორიული მოღვაწენი, არამედ იმის საჩვენებლადაც, თუ რა დიდ გავლენას ახდენდნენ ამ პიროვნებათა ხასიათები საზოგადოების ბედ-იღბალზე. პლუტარქე არ მიისწრაფოდა, მოეცა იმ მოვლენების ამომწურავი დახასიათება, რომლებშიც უხდებოდათ ცხოვრება მის გმირებს. ზოგჯერ მას ბრწყინვალე ისტორიულ ამბებზე მეტად აინტერესებდა ეროი შეხედვით წვრილმანი, ანეკდოტური ნიუანსები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება ისტორიული პირის პორტრეტის უფრო საინტერესოდ დახატვა ანდა თვალსაჩინო ზნეობრივი გაკვეთილის მოწოდება.

ეს მწერალი თავის „პარალელურ ბიოგრაფიებს“ მდიდარ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, მაგრამ თავისუფლად ექცეოდა მათ. ამ ბიოგრაფიებიდან იგი ბევრ რასმე უვლიდა გვერდს, ბევრ რასმე ამარტივებდა და ხშირად უბრალო შეცდომასაც კი (განსაკუთრებით ქრონოლოგიური ხასიათისას) უშვებდა. „პარალელური ბიოგრაფიების“ ყველა ღირსება და ნაკლი თავს იჩენს აგრეთვე ცეზარის ბიოგრაფიაშიც. ალექსანდრიის ომების აღწერა კი ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება. აი, ამ რელაციის ფრაგმენტიც:

„ალექსანდრიაში ცეზარი პომპეუსის სიკვდილის შემდეგ მივიდა. აქ თეოდოტემ პომპეუსის თავი მიართვა, მაგრამ ცეზარმა პირი მიიბრუნა და როცა დამარცხებული სარდლის ბეჭედი აიღო ხელში, თვალებზე ცრემლი მოადგა. რაც შეეხება პომპეუსის მეგობრებსა და ხელქვეითებს, რომლებიც ამ ქვეყანაში გაიფანტნენ და შემდეგ მეფის მიერ იქნენ დატყვევებულნი, ცეზარმა ყველა მათგანი შეიწყალა და თავის მხარეს გადაიბირა. რომში, თავის მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილში, იგი წერდა: პირადად მე გამარჯვებების ყველაზე უფრო დიდ სიტკბოს იმაში ვგრძნობ, რომ კვლავაც დავიხსნა განსაცდელისაგან ჩემი თანამემამულეები, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ იბრძოდნენო.

ალექსანდრიაში გაჩაღებულ ომზე ზოგიერთი ამბობს, რომ იგი აუცილებელი იყო; ეს ომი კლეოპატრას სიყვარულმა გამოიწვია და ცეზარისათვის სამარცხვინო და საკმაოდ სახიფათოც გამოდგა. ზოგიერთები კი ბრალს სდებენ ეგვიპტის მეფის კარისკაცებს, განსაკუთრებით კი უაღრესად დიდი გავლენის მქონე პოთინეს, რო-

მელმაც მცირე ხნის წინათ სიცოცხლეს გამოასალმა პომპეუსი. მანვე გააძევა ეგვიპტიდან კლეოპატრა და ახლა ცეზარს უგებდა ფარულად მახეს. აი, ამის გამო თავის დასაცავად, ამბობენ, ცეზარი მაშინ მთელი ღამეები ბადიმობდაო. პოთინე უკვე აშკარად აუტანელი გახდა. იგი თავისი ლაპარაკითა და მოქმედებით დიდ სიძულვილსა და უპატივცემულობას ამჟღავნებდა ცეზარისადმი. კეისრის [illegible] მისი წყალობით მხოლოდ გამხმარი პური ეძლეოდათ. უკმაყოფილო [illegible] პოთინე ქედმაღლურად პასუხობდა, რომ იმას დასჯერებოდნენ, რასაც აძლევდნენ და მადლობელიც ყოფილიყვნენ. აი, როგორ მიმართავდა მათ პოთინე:

— ეს იკმარეთ, რადგან სხვისას ჭამთ!

პოთინეს სადილობისას ხისა და თიხის ჭურჭელი მიჰქონდა სამეფო მაგიდასთან და მიზეზად ამას იდებდა: ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი ყველა ცეზარმა წაიღო ვალშიო. პოთინე მას ურჩევდა დროულად წასულიყო ეგვიპტიდან და იმ საქმეებისათვის მოეკიდა ხელი, რომლებიც საშური იყო. თან ჰპირდებოდა:

— მეორედ მოსვლისას ხელგაშლილი შეგეგებებიო.

ამაზე ცეზარი პასუხობდა:

— მე ახლა ყველაზე ნაკლებად ეგვიპტელი მრჩევლების საჭიროებას განვიცდიო.

ამის შემდეგ ცეზარმა ფარულად გამოიწვია კლეოპატრა იმ ქვეყნიდან, სადაც გაძევებული იყო. თავის მეგობართაგან კლეოპატრამ მხოლოდ ერთი, აპოლიდორე სიცილიელი გაიყოლია თან, ჩაჯდა პატარა ნავში და უკვე საღამო ჟამს სასახლეს მიადგა. რაკი სხვაგვარად არ შეეძლო სასახლეში შესვლა, კლეოპატრა საძინებელ ტომარაში ჩაძვრა და შიგ მთელი ტანით გაიჭიმა. აპოლიდორემ ტომარა ღვედით შეკრა და სასახლის კარიდან პირდაპირ იმ ოთახში შეიტანა, რომელშიც ცეზარი ცხოვრობდა. ამბობენ, ცეზარი კლეოპატრას ამ პირველივე ფანდმა მოხიბლაო. შემდეგ კი მისი სიმკვირცხლით, ქცევითა და მშვენიერებით მთლიანად დატყვევებულმა ცეზარმა კლეოპატრა ძმასთან შეარიგა იმ პირობით, რომ მასთან ერთად კლეოპატრასაც ემეფა.

ამ შერიგების აღსანიშნავად დიდი ლხინი გაიმართა. ღრეობის დროს ცეზარის მონა დალაქმა, რომელიც თავისი სილაჩრით ამქვეყნად ყველა მხდალს დაჩრდილავდა და შიშით ატანილი გაუგებარს არაფერს არ ტოვებდა, შეიტყო, რომ სტრატეგოს ახილასა და საჭურის პოთინეს მიერ მოწყობილი იყო ცეზარის საწინააღმდეგო შეთქმულება. გაიგო თუ არა ეს, ცეზარმა მამაკაცთა დარბაზის გარშემო მცველები დააყენა. პოთინე მოკლეს; რაც შეეხება ახილასს, იგი ეგვიპტის მხედრობის ბანაკში გაიქცა და ცეზარის წინააღმდეგ სასტიკი ომი წამოიწყო. ცეზარი იძულებული შეიქნა თავისი მცირერიცხოვანი ძალებით გამკლავებოდა ამოდენა ქალაქსა და ეგვიპტის დიდ მხედრობას.

რა უყვარდა ბეზმარიტად კლეოპატრას?

როგორც ეს ხშირად ემართება პლუტარქეს, ალექსანდრიის შესახებ მის მიერ მოწვდილი ცნობები მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ შეცდომებს შეიცავს. საქმე ეხება პოთინეს სიკვდილს. ეჭვგარეშეა, მის მკვლელობას ძალზე დრამატული სახე უნდა ჰქონოდა — შერიგებული სამეფო წყვილის საპატივცემულოდ გამართული საზეიმო ნადიმის დროს ცეზარი თითქმის ნადიმის დასასრულს იგებს შეთქმულების ამბავს. ლეგიონერები მყისვე იშიშვლებენ ხმლებს და სუფრას გარს ერტყმიან. მუხანათი პოთინე, სასიკვდილოდ დაჭრილი, მარმარილოს იატაკზე ეცემა და სისხლს ანთხევს.

მხოლოდ ახილასი შესძლებს თავისი უსაზღვრო გაბედულების წყალობით დაუსხლტეს ლეგიონერების რკინისებურ რკალს.

სინამდვილეში კი, — აქ ჩვენ ნამდვილად უნდა ვენდოთ ცეზარის დღიურებს, — ახილასი საერთოდ არ ყოფილა სასახლეში. იგი ხომ ამ ამბების დასაწყისიდანვე პელუსიონთან იდგა თავისი ჯარით, ხოლო პოთინე წერილების მეოხებით უკავშირდებოდა მას. ეს მართლაც ასეა, შეიტყო თუ არა ცეზარმა პოთინეს ვერაგული განზრახვა, მაშინვე ბრძანა მისი მოკვლა. გამორიცხული არც ისაა, რომ ამ ამბებში რაღაც როლი ცეზარის დალაქმაც ითამაშა. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ნადიმის დროს მოკლეს, ოღონდ ყველაფერი ეს მოხდა უფრო მოგვიანებით, როდესაც ომი უკვე მძვინვარებდა.

სამაგიეროდ, სარწმუნოა პლუტარქეს მიერ დატოვებული აღწერა ცეზარის შეხვედრისა კლეოპატრასთან. ამასვე ადასტურებს დიონის რელაციაც. თუმცა, არსებობს ორივე ვერსიას შორის რაღაც მცირე განსხვავებაც: დიონის მიხედვით, შეხვედრის ინიციატივა კლეოპატრამ წამოაყენა, მაშინ, როდესაც პლუტარქე ამტკიცებს, დიქტატორმა გამოიძახაო დედოფალი. მაგრამ ეს საკითხი ისე მნიშვნელოვანი არ არის იმ ფაქტთან შედარებით, რომელიც ამავე დროს სრულიად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ: კლეოპატრამ მაშინ პირდაპირ გასაოცარი გაბედულება გამოიჩინა. თუმცა, მშვენივრად ესმოდა, რომ სასიკვდილო რისკზე მიდიოდა, მაინც გაბედა და თითქმის მარტო წავიდა ქალაქში და შეაღწია სასახლეში, სადაც ყოველ ნაბიჯზე იყვნენ ჩასაფრებული მოსისხლე მტრები. ნავსადგურში ანდა საგუშაგო ჯიხურთან რომ დაეჭირათ, ისე მოკლავდნენ, კაციშვილი ვერ გაიგებდა.

თუ დედოფალი ასეთ დიდ რისკზე წავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩანს, ცეზარი თანდათან უფრო პტოლომეუსისა და მისი მომხრე დიდებულების მხარეს იჭერდა. ანდა, რატომ უნდა მოქცეულიყო სხვაგვარად? მაშინ ჯერ კიდევ ხომ არ იცნობდა კლეოპატრას და სრულიადაც არ ანაღვლებდა მისი ბედი. პტოლომეუსმა და მისმა ხალხმა კი დაიმსახურეს და უჩვენეს თავისი კეთილგანწყობილება! რა განცხადებებიც არ უნდა გაეკეთებინა ოფიციალურად ცეზარს, ფაქტი ის იყო, რომ პომპეუსის თავი მისთვის ღვთიური საჩუქარი იყო. ეს კარგად ესმოდა კლეოპატრას. ამიტომ ხსნის ერთადერთ შანსად ისღა რჩებოდა, დიქტატორს პირადად შეხვედროდა და მოლაპარაკებოდა. ამგვარ გადაწყვეტილებასთან ერთად ისიც დაამტკიცა, რომ ხელისუფლება სიცოცხლესაც კი ერჩია.

ეს გაბედული გამგზავრება ალექსანდრიის სასახლეში ხელთ გვაძლევს გასაღებს, გავიგოთ კლეოპატრას ბევრი შემდგომი მოქმედებაც მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებში. დედოფალი ყოველთვის და ყველაფერზე მაღლა ხელისუფლებისადმი სიყვარულსა და პატივმოყვარეობას აყენებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ, როდესაც ხელისუფლებისათვის ბრძოლა წააგო, თავიც მოიკლა.

ბრძოლა აღმოსავლეთის პორტისათვის

თავის დღიურებში ცეზარი ამტკიცებს, რომ მან უგულებელყო შექმნილი სახიფათო სიტუაცია და დარჩა ალექსანდრიაში იმიტომ, რომ ძლიერმა ტროპიკულმა ქარებმა — ეთესიებმა — პორტის დატოვების საშუალება არ მისცა. სხვა რა მიზეზის დასახელება შეეძლო მას, — სახელმწიფო მოღვაწეს, დიქტატორს, რომის გამგებელს? განა წარმოუდგენელი არ იქნებოდა, რომ დღიურებში ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განეცხადებინა:

— ალექსანდრიაში კლეოპატრას გამო დავრჩიო. მას ხომ სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ, ეგვიპტე რომ დამეტოვებინაო, მის გამო შევებრძოლე ახილასს, თუმცა თავდაპირველად ისე ჩანდა, იგი ჩვენს ერთ მუჭა ძალებს პირველსავე დარტყმაზე გაანადგურებდაო. მისი გულისთვისვე უარვყავი იმპერიის ინტერესები, თუმცა ჩემი მტრები კვლავ აგროვებდნენ ძალებს სხვადასხვა პროვინციებში და ბრძოლისათვის ემზადებოდნენო.

მიუხედავად ცეზარის წინდახედულებისა, ალექსანდრიის ომის ნამდვილი მიზეზი მალე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. რაზედაც სარდალი ასე მორცხვად დუმდა, ის მოვლენების სხვა დამკვირვებლებმა შეავსეს. მათმა ცნობებმა საუკუნეებს გაუძლო კასიოს დიონისა და პლუტარქეს წიგნების მეშვეობით. ამ წიგნებში, როგორც ვნახეთ, უაღრესად წვრილმანი ამბებიც კი არაა უყურადღებოდ დარჩენილი. მათი მეოხებით ვიგებთ, რომ ცეზარს თვალებზე ცრემლები მოადგა, როდესაც პომპეუსის მოჭრილი თავი დაინახა. როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, თავის დღიურებში ცეზარს კრინტიც კი არ დაუძრავს, რა შთაბეჭდილება დასტოვა მასზე ამგვარმა შემაძრწუნებელმა სანახაობამ. სამაგიეროდ, ახილასისათვის გაგზავნილი ელჩების ბედის ასე ლაკონური დახასიათება ვამოწვეული იყო ნაკლებ საქმები მიზეზებით. სინამდვილეში ხომ ახილასის ასეთი საქციელი ძალზე უცნაური იქნებოდა. ამ დრამატულ ამბავს უაღრესად ზედმიწევნით გადმოგვცემს დიონ კასიოსი. კერძოდ, ეგვიპტელის საქციელი რომ შეგვაზაროს, ცეზარი წერს, ახილასმა ბრძანა, ადგილზევე დაეხოცათ წარგზავნილები, ისე, რომ არც კი მოუსმინა მათ, რა ამბავი მიიტანესო. სინამდვილეში კი, როგორც ამას დიონ კასიოსი წერს, ახილასმა განჭვრიტა ცეზარის გეგმა და სასწრაფოდ სამხედრო თათბირი მოიწვია, რომლის გადაწყვეტილებითაც დახოცილ იქნენ ეგვიპტელი ელჩები. ეს ახილასს არ გაუკეთებია. ამის ჩასადენად მან თავისი ხალხი წააქეზა, რადგან სურდა, ისინი დანაშაულის ჩადენით ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი მასზე.

როგორ განვითარდა მოვლენები, როდესაც ახილასის ჯარები ალექსანდრიაში შეიჭრნენ? ამის შესახებ სიტყვა თავდაპირველად თავად ცეზარს უნდა მივცეთ. ამ შემთხვევაში მისი დღიურები, მიუხედავად ზოგიერთი მოვლენისათვის მისთვის დამახასიათებელი გვერდის ავლისა, ყველაზე უფრო საინტერესო და უშუალო წყაროა:

ახილასმა, რომელიც დარწმუნებული იყო თავისი ჯარების უპირატესობაში და უგულებელყოფდა ჩემს მცირერიცხოვან ჯარს, მთელი ალექსანდრია დაიკავა, გარდა ქალაქის იმ გარეუბნებისა, სადაც ჩემი ჯარისკაცები იყვნენ გამაგრებულნი. იგი პირველივე იერიშით შეეცადა შემოჭრილიყო ჩემს ბინაში, მაგრამ ქუჩებში განლაგებულმა კოჰორტებმა მოიგერიეს მისი დარტყმები. ამავე დროს ძალზე გაშმაგებული ბრძოლები მიმდინარეობდა ნავსადგურშიც. ჩვენი ჯარი გაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად, რადგან სხვადასხვა ადგილებში გვიხდებოდა ბრძოლის წარმოება. მტერი განსაკუთრებით ცდილობდა დაეკავებინა სამხედრო ხომალდები, რომელთა შორის იყო აგრეთვე ის ორმოცდაათი ხომალდიც, უკანასკნელ ხანს რომ გაუგზავნეს პომპეუსს და ფარსალოსთან ბრძოლის შემდეგ უკან დაბრუნდნენ სამშობლოში. ეს ხომალდები აღჭურვილი იყვნენ ყველაფრით, რაც კი აუცილებელი იყო ცურვისთვის. მათ გარდა ნავსადგურში იდგა ოცამდე იალქნიანი გემიც, რომლებიც უცვლელად იქ იდგნენ, რათა ქალაქი ზღვიდან დაეცვათ. მტერს მიზნად ჰქონდა, ხელში ჩაეგდო ისინი და ფლოტით სარგებლობის საშუალება მოესპო ჩემთვის, თავად კი პორტშიც და ზღვაზეც გაბატონებულიყო. ამგვარად, იგი შესძლებდა გადაეჭრა ჩვენთვის სამხედრო ძალების შევსებისა და სურსათის მიღების საშუალება.

ბრძოლები უაღრესად გამძაფრდა. ვასაგებიც იყო, რადგან ერთი მხარისათვის

ამ ბრძოლის ბედზე იყო დამოკიდებული სწრაფი გამარჯვება, ხოლო მეორე მხარისათვის — თავის გადარჩენა. ბოლოს ჩვენ ვიგდეთ ხელთ უპირატესობა და მაშინვე ვბრძანე, პორტსა და სრუტეში მდგარი ყველა გემი დაეწვათ. მცირე ძალებით ჩვენ არ შეგვეძლო მათი დაცვა. ამის შემდეგ ჯარისკაცები დაუყოვნებლივ ფაროსზე გადავიყვანე.

ფაროსი — არქიტექტურის საოცრება, ძლიერ მაღალი ციხე კუნძულზე, რომელმაც მისცა მას სახელი. ეს კუნძული ალექსანდრიის პირდაპირ მდებარეობს და სახელდობრ მისი წყალობით წარმოსდგა ამ ქალაქის ცნობილი ნავსადგური. მაგრამ წინა მეფეებმა ზღვაში ააგეს 900 ნაბიჯის სიგრძის დამბები და კუნძული ქალაქს ამგვარად დაუკავშირეს. ფაროსზე ალექსანდრიელებს აქვთ სახლები და ამრიგად კუნძულზე ქალაქისოდენა დასახლებაა განლაგებული. მისი მცხოვრებნი მეკობრეებივით ძარცვავენ ყოველ ხომალდს, რომელსაც კი გზა შეეშლება და კურსიდან გადაუხვევს, ანდა ქარიშხალი აიძულებს აქეთ გამოცურვას. მათი ნების გარეშე არც ერთ გემს არ შეუძლია პორტში შესვლა, რადგან სრუტე ძალზე ვიწროა. ამისი კი ძალიან მეშინოდა. ამიტომ, როდესაც მტერი ბრძოლაში იყო გართული, ჯარისკაცები ფაროსზე გადავსხი, დავიკავე იგი და იქ რაზმები განვალაგე. ამის წყალობით ხომალდებს შეეძლოთ უშიშრად მოეწოდებინათ ჩემთვის ხორბალი და საბრძოლო ძალაც. მე ხომ ყველა ახლომახლო პროვინციაში მქონდა დაგზავნილი მოთხოვნა დახმარების შესახებ.

ქალაქის სხვა ადგილებში ბრძოლის ბედი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო. ვიწრო ქუჩები აძნელებდა მოწინააღმდეგის განდევნას. მცირე იყო დახოცილთა რიცხვიც. დავიკავე უმნიშვნელოვანესი პუნქტები და ღამის განმავლობაში კარგად გავამაგრე ისინი. ქალაქის იმ უბნებში, რომლებიც მე მეჭირა, მდებარეობდა სამეფო სასახლე, რომელშიც თავიდანვე ვიმყოფებოდი, და ასევე მისი მიმდებარე თეატრი. ეს შენობა ერთგვარი ციხე-სიმაგრე გახდა ჩვენთვის. თეატრი თავისუფლად უკავშირდებოდა ნავსადგურსაც და სახელმწიფო გემთსაშენსაც. ეს სიმაგრეები რამდენიმე დღის განმავლობაში ისე გავამაგრე, რომ შემეძლო მისი კედლად გამოყენება, რათა მტერს საშუალება არ ჰქონოდა ვეიძულებინე ბრძოლაში ჩემი ნების გარეშე ჩავბმულიყავი.

იმ ხანებში გარდაცვლილი მეფის ყმაწვილმა ასულმა არსინოემ სასახლე მიატოვა და ახილასს შეუერთდა და მასთან ერთად ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს. არსინოეს იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მეფე გახდებოდა. მაგრამ მალე ახილასთან უსიამოვნება მოუვიდა იმის გამო, ვის უნდა ეხელმძღვანელა ომისთვის. ამ გარემოებამ ორივეს უკარნახა, კიდევ უფრო ხელგაშლილნი გამხდარიყვნენ ჯარისკაცების მიმართ. ორივე ცდილობდა, მათი კეთილგანწყობა გულუხვობით მოეპოვებინა.

ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი ფრონტის გალმა მხარეს. პოთინე კი კვლავ აგზავნიდა ნდობით აღჭურვილ ხალხს ახილასთან და აქეზებდა, მტკიცედ ებრძოლა. ის ხალხი ჩვენ შევიპყარით და პოთინე სიკვდილით დავსაჯეთ.

ადრინდელი რელაციის მსგავსად, ცეზარის ეს რელაციაც ზოგიერთ დამატებით განმარტებას საჭიროებს, განსაკუთრებით სამ პუნქტში:

უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია კუნძულ ფაროსის საკითხი. ვინც ზემოთ გადმოცემული მოვლენების აღწერა წაიკითხა, დარწმუნებულია, რომ ცეზარმა მთელი კუნძული დაიკავა. მაგრამ საბრძოლო მოქმედებების შემდგომი განვითარებიდან ნათლად ჩანს, რომ რომაელებმა თავდაპირველად მხოლოდ ფაროსის კონცხი დაიკავეს. მართალია, კუნძულის ეს ნაწილი სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვან ადგილს

წარმოადგენდა, რადგან იქ იდგა უდიდესი შუქურა, რომელიც აღმოსავლეთის მთელს პორტში შესასვლელს კეტავდა, მაგრამ საკმაოდ დიდი ფართობი, კუნძულის ძირითადი ნაწილი, სადაც მთავარი დასახლება იყო განლაგებული, კვლავ მტრის ხელთ რჩებოდა. ამის წყალობით ეგვიპტელები გაბატონებულები იყვნენ ნავსადგურის დასავლეთ ნაწილში.

მეორე შენიშვნა ხანძრის წარმოშობის მიზეზებს ეხება.

ცეზარი აღიარებს, რომ მან შეგნებულად ბრძანა ცეცხლისთვის მიეცათ გემთსაშენსა და ნავსადგურში მდგარი ხომალდები, რადგან მას არ ჰყავდა ჯარისკაცების საკმარისი რაოდენობა, რომ ხომალდები მის ხელთ ყოფილიყო. ზოგიერთი ანტიკური ხანის მწერალი წერს, რომ ცეცხლმა შთანთქა ნაწილი ალექსანდრიის განთქმული ბიბლიოთეკისა, რომელიც ყველაზე დიდ წიგნთსაცავად ითვლებოდა ანტიკურ სამყაროში. პტოლომეუსების გულუხვობის წყალობით იგი ბერძნული ლიტერატურის თითქმის ყველა მიღწევას შეიცავდა. ოღონდ ბიბლიოთეკის დაწვის ეს მტკიცება არის შემდგომი პერიოდისა და თანაც ზოგიერთ უზუსტობასაც შეიცავს. კარგად არის ცნობილი, რომ მთელი მომდევნო საუკუნის მანძილზე, არაბების შემოსევამდე, ალექსანდრიის ბიბლიოთეკა კვლავ ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ბიბლიოთეკად იმდროინდელ სამყაროში. ალბათ შეცდომას ან რაღაც გაზვიადებას აქვს ადგილი, ცეცხლმა ალბათ დაწვა პაპირუსების გრაგნილების რაღაც რაოდენობა და თანაც არა ბიბლიოთეკაში, არამედ — სანაპიროზე მდებარე რომელიმე წიგნთსაცავში.

მესამე საკითხი ყველაზე საინტერესოა. ცეზარის რელაციის წამკითხველს ბუნებრივად უნდა დაებადოს ეჭვი:

რომაელთა მიმართ ალექსანდრიის მოსახლეობა ძირითადად მტრულად იყო განწყობილი. ამასთან ქალაქელთა ნაწილი რომაელთა მიერ გამაგრებულ ადგილებში, სასახლისა და თეატრის მიდამოებში დარჩა. რატომ მოიქცნენ ისინი ასე პასიურად? რანაირად დაიმორჩილა ცეზარის რამდენიმე ათასმა კაცმა მოსახლეობა, რომლის რაოდენობაც რამდენიმე ათასეულს შეადგენდა? თუ ამ უბნებში მცხოვრები ალექსანდრიელებიც აჯანყდებოდნენ, რომაელებს ხომ რამდენიმე საათის მანძილზე აღგვიდნენ პირისაგან მიწისა? მაგრამ ისინი არ ამბოხებულან. რით უნდა აიხსნას ეს?

პასუხი ძალზე უბრალოა. უბნები, სადაც ცეზარი გამაგრდა, დასახლებული იყო ებრაელებით, რომლებიც რომაელთა სარდლის მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილი. მათ ცეზარი მიაჩნდათ პომპეუსის დაუძინებელ მტრად და დამმარცხებლად, იმ პომპეუსისა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დაიპყრო იერუსალიმი და წაბილწა მისი წმიდათაწმინდა ტაძარი. ცეზარს კი, მის დამმარცხებელს, სთვლიდნენ სამართლიან შურისმაძიებლად და ღვთის ნების აღმსრულებლად.

ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ებრაელთა მეგობრულმა განწყობილებამ იხსნა ცეზარი და კლეოპატრა ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ წუთებში. ბედის საოცარი განაჩენით პომპეუსის მიერ თხუთმეტი წლის წინ გადადგმულმა დაუდევარმა ნაბიჯმა სიცოცხლე შეუნარჩუნა მას, ვინც დაღუპა იგი.

არსინოე და განიმედი

„სამოქალაქო ომის“ ტექსტი, ანუ ცეზარის დღიურები, მთავრდება იმით, რომ პოთინეს ნიღაბი ახადეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ავტორს, უეჭველია, განზრახული ჰქონდა გაეგრძელებინა თხრობა, მაგრამ 44 წლის 15 მარტს შეთქმულთა ხანჯლებმა წერტილი დაუსვეს მის სიცოცხლესა და საქმეებს.

სამაგიეროდ, შემონახულია კასიოს დიონის რელაცია, რომელიც საკმაოდ ვრცლად წარმოგვიდგენს არსინოესა და განიმედის ამბავს:

„საჭურისმა განიმედმა შეძლო არსინოე სასასლიდან გაეტყუებინა და ეგვიპტელთა მხარეს გადაებირებინა. რომაელებმა სათანადოდ არ იზრუნეს მეფის ასულზე. ეგვიპტელებმა კი იგი მყისვე დედოფლად ცნეს, და ახლა რომ ხედავდნენ, მათი წინამძღოლი პტოლომეუსების გვარის წარმომადგენელი იყო, უფრო მხნედ იბრძოდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ ცეზარს ეშინოდა, პოთინეს თავად მეფეც არ მოეპარა და ბრძანა, მოეკლათ საჭურისი. ყრმა მეფეს ძალზე მკაცრად ექცეოდნენ, მასთან ერთიერთობაში ყოველგვარი ცერემონიალი უკუაგდეს. ამან ეგვიპტელები აღაშფოთა. მათი რიგები განუწყვეტლივ იზრდებოდა, ხოლო რომაელები არავითარ სამხედრო დახმარებას არ იღებდნენ. ყოველივე ამით უაღრესად შეწუხებული ცეზარი რაღაც ღონისძიებებს იღებდა, რათა ცოტათი მაინც დაემშვიდებინა ალექსანდრიელები. მან ბრძანა, ყრმა მეფე გადაეყვანათ შემაღლებულ ადგილზე, საიდანაც იგი ყოველის მხრიდან კარგად გამოჩნდებოდა და მის ნალაპარაკევსაც გაიგებდნენ. შემდეგ უბრძანა მას, ხმამაღლა ეთქვა ხალხისათვის, რომ მას არავინ არ ვნებდა, სურდა, წერტილი დასმოდა ომს, რომ საშშვიდობო ხელშეკრულებას თავად შეადგენდა. ყოველივე ეს პტოლომეუსს თავისით რომ განეცხადებინა, შეძლებდა ალექსანდრიელების დარწმუნებას და ისინიც ხელს აიღებდნენ ბრძოლაზე. მაგრამ ალექსანდრიელები მიხვდნენ, რომ ყველაფერი ცეზარმა მოაწყო, ამიტომ პოზიციები არ დაუთმიათ.

მცირე ხნის შემდეგ არსინოეს მიმდევრებს შორის შუღლმა იფეთქა. განიმედმა შესძლო ახილასის სიკვდილის პროვოცირება. მან იგი გამოაცხადა მოღალატედ, რომლის მიზეზითაც მათ ვითომ დამარცხება იწვნიეს აღმოსავლეთის პორტისათვის გამართულ ბრძოლაში, და თავის თავზე აიღო ეგვიპტელთა ჯარების უმაღლესი სარდლობა“.

ყველაზე სრულ სურათს ეგვიპტის დედაქალაქში გამართულ ბრძოლებზე გვაწვდის არა კასიოს დიონი, არამედ პატარა, ლათინურ ენაზე დაწერილი ნაშრომი — „ალექსანდრიის ომი“, რომელიც გვეკლინება ცეზარის დღიურების გაგრძელებად, მაგრამ ცეზარი ნამდვილად არ არის მისი ავტორი. ცხადია, ის დაწერილია ამ მოვლენების თანამედროვის, შესაძლოა, ცოცხალი მოწმის ან მონაწილის მიერ. გამორიცხული არ არის, დაწერილი იყოს რომაელი ოფიცრის მიერაც. ახალი დროის ზოგიერთი მეცნიერი მას მოიხსენიებს აულიუს ხირტუსად, რომელიც, როგორც ცნობილია, არის დამასრულებელი ცეზარის მოგონებებისა გალებთან ომზე. მაგრამ ამ ნაშრომის ავტორობის საკითხი გარკვეული არ არის და დღესდღეობით ღიად რჩება.

ნაშრომი იწყება ცეზარის თავდაცვითი ღონისძიებების აღწერით ალყის პირველ დღეებში. ვიგებთ, თუ რომელ ქვეყნებს მიმართა დიქტატორმა დახმარებისათვის; რა სახის ფორტიფიკაციული სამუშაოები ჩაატარა პორტში; კერძოდ, ბრძანა ზოგიერთი ადგილის გაძლიერება, ზოგიერთ უბნებში სახლების ძირფესვიანად დანგრევა. ამ სამუშაოების მთავარი მიზანი იყო ალექსანდრიის ნილოსისპირა რაიონები მოეკვეთა ქალაქის ძირითადი უბნებისაგან. აქ მას ექნებოდა მტკნარი წყალი და ასევე საძოვარი ცხენებისათვის. მაგრამ ამ მიზანს მთავარსარდალმა ვერ მიაღწია.

ტრაქტატის ავტორი სათანადოდ აფასებს ალექსანდრიელების მიერ გამოჩენილ ენერგიას. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: ალექსანდრიელები მოქმედებდნენ შეუპოვრად და მიზანშეწონილად. ყველა ქვეყანაში, რომლებიც ეგვიპტეს ესაზღვრებოდა, დაგზავნეს ელჩები ფულისა და ჯარისკაცების შესაკრებად. ქალაქში დიდძალ იარაღსა და დიდი რაოდენობით ჯარისკაცებს მოუყარეს თავი. ამასთანავე ქალაქში ააშენეს იარაღის მძლავრი სახელოსნოები. შეაიარაღეს ყველა სრულასაკოვანი მონა, რო-

მელთაც მათი შეძლებული ბატონები ყოველდღიურად აძლევდნენ სურსათსაც და ფულსაც. ეს შეიარაღებული ხალხი ალექსანდრიელებმა რაზმებად დაყვეს და ამგვარად ქალაქის მოშორებით მდებარე რაიონებიც გაამაგრეს. გამოცდილ ჯარისკაცთა შეიარაღებული კოჰორტები მათ დააყენეს ქალაქის ცენტრში, რათა შესძლებოდათ ყოველ წუთს სწრაფად მიხმარებოდნენ საფრთხეში ჩავარდნილ რაზმებს. ყველა ქუჩა და ჩიხი მიწაყრილებით იყო ჩახერგილი. მიწაყრილების სიმაღლე ორმოცი ფუტისა იყო. ქალაქის სამხრეთი ნაწილი კი განმტკიცებული იყო ათსართულიანი კოშკებით. ააგეს აგრეთვე მოძრავი კოშკები, ამდენივე სართულის სიმაღლისა. ბორბლებზე შემდგარ ამ კოშკებს ცხენებს შეაბამდნენ ხოლმე და ადგილიდან ადგილზე გადაანაცვლებდნენ.

უჩვეულოდ მდიდარი და კარგად მომარაგებული ქალაქი თავის მცხოვრებთა ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მისი მკვიდრნი კი, რომლებიც აზრიანობითა და მოხერხებულობით გამოირჩეოდნენ, აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც კი საჭიროდ დაინახავდნენ და თანაც ისე მოხერხებულად, რომ კაცს ეგონებოდა, თითქოს ჩვენებმა მიპბაძეს მათ მუშაობაში. ამავე დროს ისინი თავადაც ბევრს იგონებდნენ. ამგვარად თავიანთ სიმაგრეებსაც იცავდნენ და ჩვენს სიმაგრეებსაც შეუპოვრად უტევდნენ. მიტინგებსა და შეკრებებზე მათი წინამძღოლები ამგვარი სიტყვებით გამოდიოდნენ:

რომაელი ხალხი თანდათან ეჩვევა იმ აზრს, რომ ხელში ჩაიგდოს ჩვენი სამეფო. რამდენიმე წლის უკან გაბინიუსი იდგა აქ თავისი ჯარებით. აქვე გამოეშურა თავის დასაცავად პომპეუსი; ახლა კი ცეზარი მოვიდა ჯარებით და პომპეუსის სიკვდილმა სულაც არ შეუშალა ხელი, მათი წინამძღოლი გამხდარიყო. თუ მას ეგვიპტიდან არ გავაძევებთ, სულ მოკლე ხანში ჩვენი სამეფო რომის პროვინციად გადაიქცევა. თანაც რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა გავაკეთოთ ეს, ვიდრე ცეზარს ზღვის გაღმიდან დახმარება არ მიუღია.

ამასობაში, როგორც უკვე ითქვა, ვეტერან ჯარისკაცთა მეთაურს, ახილასსა და მეფის ასულ არსინოეს შორის შუღლი ჩამოვარდა. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს აბამდნენ, ვინაიდან ორივე მათგანს ხელისუფლების მთლიანად ხელში ჩაგდება ეწადა. თავისი აღმზრდელის საჭურის განიმედის დახმარებით არსინოემ დაასწრო ახილასს და მისი მოკვლა ბრძანა. ახილასის სიკვდილის შემდეგ აბსოლუტური ძალაუფლება არსინოეს ჩაუვარდა ხელში. ეგვიპტელთა ჯარების მთავარსარდლობა კი მიიღო განიმედმა, რომელიც ჯარისკაცებისადმი კიდევ უფრო გულუხვი გახდა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენს ისეთივე სიფრთხილით ხელმძღვანელობდა, როგორც ახილასი".

ბრძოლა ზღვისთვის

თითქმის მთელი ალექსანდრიის მიწისქვეშეთი, — აგრძელებს თავის თხრობას „ალექსანდრიული ომების" ავტორი, — დაქსელილია არხებით, რომლებიც სათავეს ნილოსიდან იღებენ. ისინი სასმელად სასიამოვნო წყალს აწოდებენ ალექსანდრიელთა სახლებს, რადგან ნილოსის წყალი არხში მდინარებისას თანდათან იწმინდება. ამ წყლით სარგებლობენ სახლების მესაკუთრენი. უშუალოდ ნილოსიდან ამოღებული წყალი ისეთი შლამიანი და ამღვრეულია, რომ მრავალ სხვადასხვა სახის დაავადებას წარმოშობს. მაგრამ ქალაქის ღარიბობა და საერთოდ მთელი მოსახლეობა იძულებულია იმით დაკმაყოფილდეს, რადგან მთელს ქალაქში ერთი წყაროც კი არ არის; მდინარე ქალაქის იმ მხარეს დარჩა, რომელიც ალექსანდრიელთა განკარგულებაში აღმოჩნდა. ამან განიმედს ჩააგონა აზრი, რომ შესაძლებელი იყო რომაელთათვის

არხი გადაეკეტათ და უწყლოდ დაეტოვებინათ ჩვენები, რომლებიც თავდაცვითი ნაგებობების დასაცავად ქალაქის ცალკეულ კვარტალებში იყვნენ განლაგებულნი და წყლით არხებიდან და კერძო სახლების წყალსატევებიდან სარგებლობდნენ.

განიმედის გეგმა მიღებულ იქნა და ეგვიპტელები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მნიშვნელოვან, მაგრამ უაღრესად მომქანცველ საბუშაოს. განიმედმა, უპირველეს ყოვლისა, ბრძანა, ამოექოლათ მიწისქვეშა არხები და ამგვარად შეეწყვეტათ წყლის მიწოდება იმ რაიონებისათვის, რომლებიც ცეზარს ეჭირა. შემდეგ მისი განკარგულებით მანქანებითა და ლატანებით იწყეს წყლის ენერგიული ამოხაპვა ზღვიდან. წყალს შეუსვენებლივ უშეებდნენ იმ მხარეს, საითაც ცეზარის ჯარისკაცები იყვნენ განლაგებულნი. ამის შედეგად რომაელების მიერ დაკავებული რაიონების მიმდებარე შენობების მცხოვრებლებმა ჭებიდან თანდათან უფრო მლაშე წყლის ამოღება იწყეს. წყლის გემოს ამგვარი ცვლილებები მათ ძალზე უკვირდათ და გაოცებული იყვნენ. ისინი თავიანთ თავსაც აღარ უჯერებდნენ, რადგან ქვემოთ მცხოვრებლები ამბობდნენ, წყალს ძველებური გემო და ხარისხი აქვსო. ამიტომ მათ ერთად მიჰყვეს ხელი წყლის შედარებასა და იმის შემოწმებას, თუ რა განსხვავება იყო წყლებს შორის გემოში. მაგრამ მცირე ხანში მტრის მახლობლად მცხოვრებთა წყალი საერთოდ უვარგისი შეიქნა გამოყენებისათვის, ხოლო მათს ქვემოთ სულ ახლოს მდებარე სახლებში წყალი თანდათან მლაშდებოდა და უვარგისდებოდა.

ამ ფაქტმა ყოველგვარ დაეჭვებას საფუძველი გამოაცალა და ჯარისკაცები ენით აუწერელმა შიშმა მოიცვა. ზოგმა საყვედურებიც აკადრა ცეზარს, ხომალდში ჩასხდომის შესახებ ბრძანების გაცემას აყოვნებო. სხვებს კი ეშინოდათ უფრო უარესისა, რადგან გაქცევისათვის ეგვიპტელთაგან მალული სამზადისი შეუძლებელი იყო; რომაელები ეგვიპტელთა სიახლოვეს იმყოფებოდნენ და თუკი ეს უკანასკნელნი გამოედევნებოდნენ, ხომალდებზე თავის შეფარებასაც კი ვერ მოასწრებდნენ.

ცეზარის მიერ დაკავებულ უბნებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა. ისინი არ გაასახლეს საკუთარი სახლებიდან, იმიტომ რომ თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს რომაელთა ერთგული იყვნენ და თავისიანებს არ თანაუგრძნობდნენ. მაგრამ ვინც იცნობს ამ ხალხს და მათ ხასიათს, არ დაეჭვდება, რომ მათ ყოველგვარი მუხანათობის ჩადენა შეუძლიათ.

ცეზარი ცდილობდა თავისი ხელქვეითები დაემშვიდებინა, გაემხნევებინა და შიში გაეფანტა. ამიტომ მან ასე განაცხადა:

— თუ ჭებს გავთხრით, ნამდვილად ვიპოვით მტკნარ წყალს, რადგან ზღვის წყალს ბუნებისაგან ბოძებული აქვს მტკნარწყლიანი ძარღვები. იმ შემთხვევაში კი, თუ ეგვიპტის სანაპიროები განსხვავებული აღმოჩნდება სხვა სანაპიროთაგან, ჩვენ ხომ შეუფერხებლად შეგვიძლია გავცუროთ ზღვით? ჩვენი მტერი კი ფლოტს არ ფლობს. მაშ, ვინ დაგვიშლის, თუნდაც ყოველდღე თითო ხომალდი გავგზავნოთ წყლისათვის, — გინდ დასავლეთით, გინდ აღმოსავლეთით? არ მოხდება, რომ პირქარმა ორივე მიმართულებით შეაფერხოს გემების ცურვა. გაქცევაზე კი ნურავინ იფიქრებს! ნურც ის, ვინც პირველ რანგს იკავებს, ნურც ისინი, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სიცოცხლე აფიქრებთ. ჩვენ ახლაც გვიჭირს მტრის იერიშების შეკავება, როდესაც სიმაგრეებს ვართ შეფარებული და თუ სიმაგრეებს დავტოვებთ, მათი მოგერიება უფრო გაგვიჭირდება, რადგან მათ ჩვენზე მეტი ჯარისკაცებიც ჰყავთ და უკეთეს პოზიციებზეც არიან განლაგებულნი. გემებში ჩასხდომაც ძნელი აღმოჩნდება, რადგან დიდ დროს მოითხოვს, განსაკუთრებით — ნავებიდან. ამასობაში კი ალექსანდრიელები ჯიდევ უფრო აქტიურად იმოქმედებენ, მათ ხომ კარგად იციან აქაური კუთხე-კუნჭულები. წარმატებები კი ფრთებს შეასხამს მათ და მედგრად დაიძრებიან წინ, ჩვენზე ადრე დაიკავებენ შემაღლებულ ადგილებს და ხელს

შეგვიშლიან გემებისაკენ გაქცევაში. ამიტომ, უკეთესია, მოიშოროთ თავიდან ამგვარი აზრები და მხოლოდ ერთი მიზანი დაისახოთ: მტერზე გამარჯვება!

ასეთი სიტყვის შემდეგ ყველა გამხნევდა. ბოლოს ცეზარმა ცენტურიონებს უბრძანა, დროებით დაეტოვებინათ ყველა სამუშაო და მთელი ყურადღება ჭების ამოთხრაზე გადაეტანათ; ეს სამუშაო ღამითაც არ უნდა შეწყვეტილიყო. ძალების მთელი დაძაბვით შეუდგნენ მუშაობას და, მართლაც, ერთი ღამის განმავლობაში დიდი რაოდენობის მტკნარი წყალი იპოვეს.

ამრიგად, ალექსანდრიელთა რთული და შრომატევადი მაქინაციები მცირე დროის განმავლობაში იქნა ლიკვიდირებული.

37-ე ლეგიონის გამოჩენა

თანახმად „ალექსანდრიული ომების" ავტორისა, წყლის გამო გამართულ ბრძოლას შედეგად მოჰყვა ერთი დრამატული ამბავიც, რომელმაც კინაღამ მარცხი არ აგემა რომაელებს, ბოლოს კი მათივე წარმატებით დამთავრდა:

„ორი დღეც კი არ იყო გასული მტკნარი წყლის პოვნიდან, რომ აფრიკის ნაპირებს ალექსანდრიიდან ცოტა მოშორებით მიადგა ფლოტი, რომელზედაც მოთავსებული იყო 37-ე ლეგიონი დომიციუს კალვინუსის მეთაურობით. მიიღო თუ არა ცეზარის სასოწარკვეთილი მოწოდება, იგი მაშინვე აქეთ გამოეშურა. ეს ლეგიონი შემდგარი იყო პომპეუსის ყოფილი, ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცებისაგან. მათ მოჰქონდათ პური, ყველა სახის იარაღი და ცეცხლმსროლელი მანქანები. მაგრამ ფლოტის ეკიპაჟმა პირქარის გამო, რომელიც რამდენიმე დღის მანძილზე უბერავდა, ვერ შეძლო ალექსანდრიის პორტში დროულად შესვლა. ეს ადგილები საერთოდ ძალზე მოსახერხებელია ღუზის ჩაშვებისა და რეიდზე დგომისათვის. მაგრამ, რადგან ეკიპაჟი აქ დიდხანს გაჩერდა, მათ სასმელი წყალი შემოაკლდათ. კალვინუსმა ცეზარს მალემსრბოლი გემი გაუგზავნა და ეს ამბავი შეატყობინა.

ცეზარმა მოისურვა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ ხომალდზე დაჯდა და ფლოტს უბრძანა, უკან გაჰყოლოდა. ჯარისკაცები თან არ წაუყვანია, რადგან ვარაუდობდა, რომ შორ მანძილზე მოუწევდა გაცურვა და არ უნდოდა სიმაგრეები დაუცველი დაეტოვებინა. ეგრეთწოდებულ ხერსონესს რომ მიაღწია, მეხოფეები წყლისთვის ნაპირზე გადასხა, მაგრამ წყლის ძიებაში ზოგიერთი მეხოფე ძალზე დაშორდა გემს და მტერს ჩაუვარდა ხელში. ალექსანდრიელებმა დატყვევებულთაგან შეიტყვეს, რომ ფლოტს თავად ცეზარი უძღვოდა წინ და გემბანზე ჯარისკაცები არ ჰყავდა, მიღებულმა ცნობამ მათ გაუღვიძა იმედი, რომ თავად ბედი უგზავნიდა მშვენიერ შემთხვევას თავი გამოეჩინათ. ამიტომ ალექსანდრიელებმა ხომალდებში ჩასხეს შეიარაღებული ხალხი, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო და ესკადრილიით ზღვაში გავიდნენ უკან დაბრუნებული ცეზარის შესახვედრად.

იმ დღეს ორი მიზეზის გამო ბრძოლას გაჩაღება არ ეწერა: ჯერ ერთი, ცეზარს გემბანზე ჯარისკაცები არა ჰყავდა, და მეორეც, ეს ამბავი ხდებოდა დღის ათი საათის შემდეგ, ხოლო ღამე იმისთვის იქნებოდა ხელსაყრელი, ვინც უკეთ იცნობდა იქაურობას. ამასთან ერთად ძალა ეკარგებოდა ისეთ ფაქტორსაც, როგორიცაა ჯარისკაცთა გამხნევება, რადგან გამხნევება მაშინ, როდესაც შეუძლებელია ერთმანეთისაგან გამოირჩეს გამბედაობა და ლაჩრობა — უმაქნისია. ამიტომ სარდალმა ბრძანა, ყველა გემი მიეთრიათ ხმელეთზე, იმ ადგილას, სადაც მათ, როგორც თვითონ ვარაუდობდა, მტერი ვერ მიუდგებოდა.

ცეზარის ფლოტის მარჯვენა ფლანგზე მიცურავდა ერთი როდოსული ხომალდი,

რომელიც მთავარ ძალებს ძლიერ ჩამოშორდა. როდესაც ეს მტერმა შენიშნა, თავი ვერ შეიკავა და ოთხი გემბანიანი და რამდენიმე ღია ხომალდით გაშმაგებით ეკვეთა მას. ცეზარი იძულებული გახდა ხომალდს დახმარებოდა, რათა მტერს სამარცხვინოდ არ გაენადგურებინა ეკიპაჟი, თუმცა სარდალი აღიარებდა, რომ ყოველგვარ უბედურ შემთხვევას, რომელიც მათ შეემთხვევათ, სავსებით იმსახურებდნენ.

ამასობაში ატყდა ბრძოლა, რომელშიც როდოსელები ძალზე ცხარედ იბრძოდნენ: ისინი საერთოდ ყოველთვის გამოირჩეოდნენ გამოცდილებითა და გაბედულებით, ხოლო ახლა — განსაკუთრებით; ბრძოლის არავითარი სიმძიმე მათ აღარ აჩერებდა, ოღონდ კი აეცილებინათ იმის შესახებ ლაპარაკი, რომ ეს მათი ბრალია, რომაელებმა ამდენი ზარალი რომ განიცადეს... ბრძოლის საბოლოო შედეგები რომაელთათვის უაღრესად ხელსაყრელი გამოდგა. ტყვედ იქნა ჩაგდებული მოწინააღმდეგის ერთი კვადრიონი. მეორე — ჩაიძირა, ორის ეკიპაჟი დაიხოცა. გემებზეც მრავალი ჯარისკაცი დახოცეს. ღამეს რომ არ შეეწყვიტა ომი, ცეზარი ხელთ იგდებდა მტრის მთელ ფლოტილიას.

თუმცა პირქარი უბერავდა, მაგრამ მისი ქროლვა ძლიერი არ ყოფილა. ცეზარმა შეძლო ალექსანდრიის პორტში შეეყვანა 37-ე ლეგიონის თითქმის ყველა ხომალდი.

ბრძოლის საბოლოო შედეგებმა მტერი უაღრესად დაამწუხრა. მათ დაინახეს, რომ ისინი დაამარცხა არა მხოლოდ რომაელ ჯარისკაცთა სიმტკიცემ, არამედ ნავიგაციის უკეთ ცოდნამაც — არადა, სახელდობრ ამ თვალსაზრისით მიაჩნდათ ალექსანდრიელებს თავი შეუდარებლად. ახლა მათ ისე ეშინოდათ ზღვიდან რომაელთა დესანტის გადასხმისა, რომ ნავსადგურის თავდაცვით საქმეებს შეუდგნენ. ეს ნავსადგური კუნძულ ფაროსის დასავლეთ მხარეს მდებარეობდა და ქალაქთან კაშხალი აერთებდა. ნავსადგურს ეუნოსტოსი ერქვა. აღმოსავლეთის პორტი კი, რომელსაც სხვაგვარად დიდ პორტს ეძახდნენ, როგორც ითქვა, უკვე ცეზარის ხელთ იყო.

ერთ-ერთი სამხედრო თათბირის დროს განიმედმა განაცხადა, რომ არამარტო ახლებით შეცვლიდა ხომალდებს, არამედ, საერთოდ გაზრდიდა ხომალდთა საერთო რაოდენობას. ამ განცხადებამ ეგვიპტელები საკუთარი ძალებისადმი უდიდესი რწმენითა და იმედით აღანთო. ისინი უმალვე შეუდგნენ ძველი ხომალდების შეკეთებას. მუშაობდნენ ძალების უაღრესი დაძაბვით და თავგამეტებით. და თუმცა პორტსა და ვერფებში ასზე მეტი სამხედრო ხომალდი დაუზიანდათ, ხელი მაინც არ აუღიათ ფლოტის განახლებაზე. მათ კარგად იცოდნენ, რომ ცეზარი ვერ მიიღებდა სამხედრო დახმარებას და სურსათ-სანოვაგეს, თუკი ისინი ზღვაზე უპირატესობას მოიპოვებდნენ. ალექსანდრიელები ხომ დაბადებით მეზღვაურები იყვნენ, ზღვისპირა ქალაქის მკვიდრთ ბავშვობიდანვე ზღვასთან ჰქონდათ საქმე. ამიტომ გასაგებია, ძალზე ცდილობდნენ, სარგებლობა ენახათ ამ ბუნებრივი და ადგილობრივი უპირატესობიდან, რადგან ხედავდნენ, რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს პატარა გემებითაც კი. ამრიგად, ეგვიპტელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ფლოტი აღედგინათ.

ნილოსის ყველა შესართავთან საპორტო გადასასადის ასაკრეფად განლაგებული იყო სასაზღვრო ხომალდები. ალექსანდრიის სამეფო ვერფებში კი იდგნენ ძველი ხომალდები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ნაოსნობისათვის აღარ გამოიყენებოდა. მათ ეს ხომალდები შეაკეთეს, სასაზღვრო ხომალდები კი ალექსანდრიაში ჩაიყვანეს. რადგან არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის ნიჩბები, მათ სახურავები აჰხადეს პორტიკებს, სკოლებსა და სხვა სახელმწიფო შენობებს და ლატნები ნიჩბებად გამოიყენეს. ხოლო აღჭურვილობის ნაწილი ბუნებრივი მოხერხებულობის წყალობით მოიპოვეს, ნაწილიც — ქალაქის საწყობებიდან აიღეს. ბოლოს და ბოლოს ისინი ხომ შორეული ცურვისათვის არ ემზადებოდნენ, მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რასაც აუცილებლობა კარნახობდათ. წინასწარ იცოდნენ, რომ ბრძოლები პორტში გაჩაღდებოდა.

ასე რომ, რამდენიმე დღის განმავლობაში, მიუხედავად ყოველგვარი მოლოდინისა, მათ 22 კვადრირემი და 5 კვინკვერემი გამოიყვანეს. ამ გემებს შეუერთეს რამდენიმე მცირე წყალწყვის გემი და რამდენიმე უიალქნო ნავიც და პორტში საცდელი ცურვა მოაწყვეს, თითეული გემის ვარგისიანობაში რომ დარწმუნებულიყვნენ. გამოცდის შემდეგ მათზე საიმედო ჯარისკაცები დასხეს და ასე, ყოველმხრივ მომზადებულები, ბრძოლის მოლოდინში იყვნენ.

ცეზარს სულ 34 სამხედრო ხომალდი ჰყავდა. მათ შორის მხოლოდ 10 კვადრირემი და რამდენიმე კვინკვერემი იყო. მაინც ჰქონდა თავისი ჯარისკაცების სიმტკიცის იმედი, იცოდა მტრის შესაძლებლობებიც, და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადა.

ბრძოლა დასავლეთის პორტში

ბოლოს რომაელთა ფლოტმა კურძელ ფაროსს შემოუარა და მტრის პირდაპირ გაჩერდა. მარჯვენა ფრთაზე ცეზარმა გახალაგა როდოსული გემები, მარცხენაზე — პონტოსი. ისინი ერთმანეთს დაახლოებით ოთხასი ნაბიჯით დააშორა, რათა თავისუფალი მანევრირების საშუალება ჰქონოდათ. დანარჩენი გემები პირველი ხაზის უკან რეზერვში იდგნენ. ყოველ სარეზერვო გემს მინიშნებული ჰქონდა, ფრონტის ხაზის რომელი გემისათვის უნდა ედევნებინა თვალი და საჭიროების შემთხვევაში, — მიხმარებოდა.

დაუყოვნებლივ გამოიყვანეს და განაწყვეს თავიანთი ფლოტი ალექსანდრიელებმაც. ფრონტის ხაზზე მათ ჰყავდათ 22 გემი, ხოლო დანარჩენებს კი, როგორც სარეზერვო გემებს, უკანა ხაზი ეჭირათ. ამას გარდა, მათ გამოიყვანეს დიდი რაოდენობით მცირე წყალწყვის გემები და ნავები და ცეცხლმსროლელი ისრებითა და საწვავი ნივთიერებებით აღჭურვეს ისინი — იმ იმედით, რომ მათი მრავალრიცხოვნობა და ცეცხლის დაშენის უნარი მტერს დააშინებდა.

ორ ფლოტს შორის ზღვა სავსე იყო მეჩეჩებით, დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი ჯასასველელი, რომელიც აფრიკას ესაზღვრებოდა (ალექსანდრიელები სთვლიან, რომ მათი ქალაქის ნახევარი მიეკუთვნება აფრიკას, ხოლო მეორე ნახევარი — აზიას). მოწინააღმდეგეები იცდიდნენ, ორივე ცდილობდა მეჩეჩებს შორის პირველი არ გასულიყო, რადგან ცხადი იყო, ის, ვინც პირველი გავიდოდა, დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, როგორც თავისი ფლოტის განლაგების, ასევე უკან დახევის დროსაც.

როდოსელთა ფლოტს ხელმძღვანელობდა ევფრანოსი, რომელიც, როგორც ავტორი წერს, მამაცობითა და შეუდრეკელობით თანამემამულეებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბერძნებს. საზღვაო საქმის ცოდნითა და ვაჟკაცობით განთქმული იყო. ამიტომაც აირჩიეს როდოსელებმა იგი თავიანთი ფლოტის სარდლად. რომ შენიშნა, ცეზარი ჭოჭმანობდა, ევფრანოსმა უთხრა:

— შენ, ცეზარ, ვფიქრობ, გეშინია ამ მეჩეჩებში შესვლა, რადგან იძულებული იქნები მანამდე ჩაება ბრძოლაში, ვიდრე ფლოტის პოზიციებზე განლაგებას მოასწრებდე. მოგვანდე მაგ საქმის გაკეთება ჩვენ, როდოსელებს! არ გაგიმტყუნებთ ნდობას! მტრის დარტყმას შევაკავებთ, ვიდრე დანარჩენი ძალებიც მოგვეშველებოდეს. ძალზე სამარცხვინოდ მიმაჩნია, მტერი ასე დიდხანს იწონებდეს თავს ჩვენ თვალწინ.

პასუხად ცეზარმა გააქნევა იგი და ბრძოლის დაწყება უბრძანა.

როდესაც როდოსელთა ოთხმა გემმა მეჩეჩებს მიაღწია, მტრის გემები მყისვე გარს შემოერტყნენ და იერიში მიიტანეს მათზე. როდოსელებმა პირობა არ გატეხეს

და მტრის იერიში მოიგერიეს. თანაც ძალზე მოხერხებული პოზიციებიც დიკავეს. ნაოსნობაში მათი დაოსტატება მართლაც გასაოცარი იყო. არც ერთი გემი მტრის გემს გვერდით არ მოექცა, ყველა პირისპირ მიდიოდა. ამასობაში ჩვენმა დანარჩენმა გემებმაც გაცურეს და ბრძოლაში ჩაებნენ. ტერიტორიის სიმცირის მიზეზით მებრძოლი მხარეები იძულებულები გახდნენ ბრძოლის სამხედრო ხელოვნების პრინციპები მიეტოვებინათ და ბედის გადაწყვეტა სიმამაცისათვის მიეტოვებინათ.

ამ დროს ალექსანდრიაში რომაელებმა, და თვით მკვიდრმა ალექსანდრიელებმაც შეწყვიტეს მუშაობა, ბრძოლა და ყველაზე მაღალი სახლების სახურავებს მიაშურეს, რათა იქიდან ეცქირათ ბრძოლის მსვლელობისათვის და უკვდავი ღმერთებისათვის თანამემამულეებისათვის გამარჯვების მინიჭება გამოეთხოვათ.

რომაელებმა ტყვედ იგდეს თითო კვინკორემი და ბირემა ჯარისკაცებითა და მენიჩბეებით და ჩაძირეს მტრის სამი ხომალდი, თვით მათი არც ერთი გემი კი არ დაზიანებულა. მტრის დანარჩენმა გემებმა თავს უშველეს ქალაქისაკენ გაქცევით. იქ თავი შეაფარეს კაშხალსა და მასზე მდებარე მაღალ ნაგებობებს და რომაელებს საშუალებას არ აძლევდნენ, მიახლოებოდნენ.

ბრძოლა კუნძულსა და კაშხალზე

მტრისაგან კვლავ უკუგდება იყო მოსალოდნელი, ამიტომ ცეზარმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მთელი კუნძული ხელთ ეგდო. მას უნდა დაეპყრო კაშხალიც, რომელიც კუნძულს ქალაქთან აერთებდა. ამ კაშხალს ბერძნულად პერსტადიონი ეწოდებოდა, რადგან მისი სიგრძე შვიდი სტადიონია, ანუ დაახლოებით 900 ნაბიჯი. რამდენადაც ალექსანდრიის სიმაგრეების რომაელთა გარნიზონები უპირატესად მზადყოფნაში იყო, მთავარსარდალი ფიქრობდა, კუნძულისთვისაც დაერტყათ და ქალაქში პოზიციები ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ.

ამ მიზნით მან ნავებსა და კარჭაპებზე დასხა ათი კოჰორტა ლეგიონერებისა მსუბუქად შეიარაღებულ რჩეულ ჯარისკაცებთან და შედარებით საიმედო გალელ მხედრებთან ერთად. კუნძულის გაღმა მხარეზე კი იალქნიანი ფლოტით მიიტანა იერიში, რომ მტრის ძალები გაეფანტა; ცეზარი დიდ ჯილდოს შეპპირდა ყველას, ვინც პირველი დაადგამდა ფეხს კუნძულზე.

კუნძულელები თავიდან წარმატებით იგერიებდნენ დარტყმებს ორივე ფრონტზე. ალექსანდრიის მოსახლეობა სახურავებიდან იბრძოდა, მათი ჯარისკაცები კი ისეთ ციცაბო ნაპირზე იყვნენ გამაგრებულნი, სადაც ასვლა არაფრით არ შეიძლებოდა. ვიწრო გასასვლელს ისინი ნავებითა და სამხედრო გემებით იცავდნენ, რომლებითაც მარჯვედ და სწრაფად მანევრირებდნენ. როგორც კი რომაელებმა ეს ადგილები შეისწავლეს და ფონი მოსინჯეს, მტკიცედ გადავიდნენ ნაპირებზე და ვაკე ადგილებში მედგრად შეუტიეს მტერს. ფაროსელები მყისვე უკუიქცნენ, მიატოვეს პორტის დაცვა და მთელი სისწრაფით გაეშურნენ უკან საკუთარი სახლების დასაცავად. ოღონდ ვერც იქ შესძლეს გამაგრება. თავზარდაცემულები კაშხალიდან ზღვაში ცვიოდნენ და მიცურავდნენ ქალაქამდე, რომელიც დაახლოებით ცხრაასი მეტრით იყო დაშორებული. ზოგიერთი მათგანი ტყვედ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ცეზარმა ჯარისკაცებს კუნძულელთა სახლების გაძარცვის ნება დართო. კუნძულის მიმდებარე, ფაროსელების მიერ მიტოვებულ ხიდთან განლაგებული ფორტი გაამაგრა და შიგ გარნიზონი ჩააყენა. უფრო მტკიცე ხიდს, რომელიც ქალაქს ესაზღვრებოდა, ალექსანდრიელები იცავდნენ. მაგრამ ცეზარმა მეორე დღეს მასაც შეუტია, რადგანაც ხედავდა, რომ მისი ჯარისკაცების მიერ ორივე ხიდის დაკავება

ხელს შეუშლიდა ალექსანდრიული გემების ზღვაში გასვლასა და იქიდან რომაელთა ხელთ არსებული პორტისათვის დარტყმას. მსროლელი იარაღითა და ისრებით, რომლებიც ამ პუნქტს სამხედრო ძალით იცავდნენ, მან უკვე მოასწრო მტრის იძულება. დაეტოვებინა სიმაღლეები და ქალაქში შერეკა ისინი. შემდეგ ხმელეთზე გადასხა დაახლოებით სამ-სამ კოჰორტამდე ჯარისკაცი, რადგან იმ ადგილებში სრულიად მეტის საშუალებას არ იძლეოდა. დანარჩენი ძალები ხომალდებზე იყო ბრძოლა მზადყოფნაში.

ამის შემდეგ ცეზარმა ბრძანა, ხიდზე მიწაყრილი მოეწყოთ, ხოლო ხიდის თაღის კამარების ღია ადგილები, სადაც ხომალდები გადიოდნენ, ქვებით ჩაეხერგათ. ისე რომ, ნავსაც კი აღარ შეეძლო გასულიყო მასში. მაშინ ალექსანდრიელთა მთელი ძალები ქალაქიდან გამოვიდნენ და ხიდის წინ შედარებით ფართო ადგილზე მოგროვდნენ. იმავდროულად კაშხალს მიაყენეს გემები, რომელთაც, ჩვეულებრივ, ხომალდების გადასაწვავად გზავნიდნენ-ხოლმე. ასე რომ, რომაელები იბრძოდნენ ფორტიდან და კაშხალიდან, მტერი კი — მოედნიდან და გემებიდან.

ვიდრე ცეზარი ბრძოლით იყო დაკავებული და ჯარისკაცებს ამხნევებდა, რომაელთა სამხედრო ხომალდებიდან კაშხალზე აიფრა ბენიჩბეებისა და მეზღვაურების შეიარაღებული რაზმები. მათი ნაწილი უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო მოქმედებდა, ნაწილი კი — ბრძოლის წყურვილით. თავდაპირველად მათ დაიწყეს ბრძოლა, რათა მოწინააღმდეგის გემები კაშხალიდან უკუექციათ და, მიუხედავად იმისა, რომ ქვებითა და შურდულებით იბრძოდნენ, წარმატებასაც მიაღწიეს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც, ბრძოლის ადგილიდან ცოტა მოშორებით, დაუცველ ფლანგზე, ალექსანდრიელებმა გაბედეს და ჯარისკაცთა მცირე რიცხვი გადასხეს, რომაელებმა სირბილით იწყეს უკუქცევა. ამით გათამამებულმა ალექსანდრიელებმა რიცხობრივად უფრო დიდი რაზმების გადასხმა იწყეს თავიანთი გემებიდან და ენერგიულად დევნიდნენ მათ. რომაელთა სამხედრო ხომალდებზე დარჩენილნი კიბეების ზევით აზიდვასა და უკან გაცურვისათვის მზადებას შეუდგნენ, რათა მტერს ხელთ არ ეგდო ხომალდები.

რომაელთა სამი კოჰორტის ჯარისკაცები, რომლებიც ხიდსა და კაშხალის თავში იდგნენ, ამ ამბის დანახვაზე შიშმა აიტანა, უკნიდან ესმოდათ ყვირილი და ხედავდნენ, როგორ ილტვოდნენ მათი თანამებრძოლნი, ფრონტიდან კი მტრის დარტყმები უნდა მოეგერიებინათ. ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ხიდზე მოწყობილი სიმაგრეები მიატოვეს და უწესრიგოდ გარბოდნენ ხომალდებისაკენ. მათმა ნაწილმა მიაღწია შედარებით ახლო მდგარ ხომალდებამდე, მაგრამ ხალხის სიმრავლისა და სიმძიმის გამო ხომალდები ჩაიძირა. ჯარისკაცთა ნაწილი შეეცადა წინ აღდგომოდა მტერს, მაგრამ არ იცოდა, როგორ; ისინი ალექსანდრიელებმა გაჟლიტეს. მხოლოდ ზოგიერთები გადარჩნენ, რადგან მიაღწიეს ცურვისთვის გამზადებულ ხომალდებამდე.

ცეზარი ცდილობდა გაემხნევებინა და შეეკავებინა ჯარისკაცები ხიდთან და სიმაგრეებთან, მაგრამ თვითონაც საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. ამიტომ, როდესაც შენიშნა, ყველანი უკან გარბოდნენ, მანაც საკუთარ ხომალდს შეაფარა თავი. თან იმდენი ხალხი გაპყვა, რომ არათუ ხომალდის გაცურება, ადგილიდან დაძვრაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა. როცა მიხვდა, რამიც იყო საქმე, გადახტა თავისი ხომალდიდან და მოშორებით მდგარ გემებამდე მიცურა. აქედან მან თავის ქანცგამოცლილ ხალხს ნავები გაუგზავნა და ამგვარად იხსნა ზოგიერთები სიკვდილისაგან. ხომალდი კი ხალხთან ერთად ჩაიძირა.

ამ ბრძოლაში დაახლოებით ოთხასი ლეგიონერი და ამაზე მეტი მეზღვაური და მენიჩბე დაიღუპა. ალექსანდრიელებმა ამ ადგილას ფორტი დადგეს და ძლიერი სა-

ბრძოლა მოწყობილობით აღჭურვეს. ხოლო ზღვიდან ქვები ამოყარეს და თავიანთი გემებისათვის გასასვლელი მოასუფთავეს.

„ალექსანდრიული ომების“ საფუძველზე ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ კუნძულ ფაროსისა და კაშხალისათვის წარმოებული ბრძოლის მიმდინარეობა. სხვა ანტიკური წყაროები მხოლოდ გაკვრით ეხებიან ამ ამბებს, თუმცა ძალზე მსატვრულად გადმოგვცემენ ცეზარის გადარჩენის დეტალებს. კერძოდ, სვეტონიუსის მიხედვით, მხედართმთავარმა დაახლოებით ორასამდე მეტრი გაცურა [illegible] რომ მარცხენა ხელი ცურვისას არ გამოუყენებია, წყალზემოთ ეჭირა, რადგან შიშობდა წყალს არ დაესველებინა მნიშვნელოვანი საბუთები. რაც შეეხება მეწამულ ტოგას, მისი კალთები კბილებით ეჭირა, მტერს ნადავლად რომ არ დარჩენოდა. დიონ კასიოსი კი წერს, რომ ცურვისას ცეზარს ხელში ეჭირა საბუთები; ხოლო ტოგა სარდალმა წყალში მოისროლა, რადგან ცურვაში ხელს უშლიდა და სანიშნეც იყო მტრისათვის. ცეზარის ტოგა ალექსანდრიელებმა წყლიდან ამოიღეს და გამოფინეს გამარჯვების ძეგლთან, რომელიც ბრძოლების ადგილზე დაიდგა.

მეფის გაშვება

„ალექსანდრიული ომების“ ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ დამარცხებამ ვერ დაჯაბნა რომაელი ჯარისკაცები, პირიქით, დიდი ენერგია შესძინა და ბრძოლისათვის აღანთო. ცეზარის გამხნევებაც აღარ იყო უკვე საჭირო.

ალექსანდრიელები, — განაგრძობს ავტორი, — ხედავდნენ, რომ რომაელებს წარმატება ძალას მატებდა, ხოლო წარუმატებლობა — მამაცობას. ბოლოს ცეზარს ელჩები მიუგზავნეს და სთხოვეს, მეფე გაეთავისუფლებინა და თავის თანამემამულეებთან გაეშვა. თავიანთ მოთხოვნას ელჩები ასე ასაბუთებდნენ:

— მოსახლეობას მეტისმეტად მობეზრდა ქალის დროებითი მმართველობა და განიმედის მკაცრი ტირანია. ახლა ისინი მზად არიან, დაემორჩილონ კანონიერი მეფის ბრძანებებს; და, თუ მეფის ნებით იძულებულები შეიქნებიან შეეიდნენ ცეზარის მფარველობის ქვეშ და მასთან მეგობრული კავშირი დადონ, უკვე აღარაფრის შიში აღარ ექნება, ამით მოისპობა მათი წინააღმდეგობაც.

ცეზარი კარგად იცნობდა ამ მატყუარა და ცრუ ხალხს, მაგრამ მიზანშეწონილად ჩათვალა დათანხმებოდა მათს თხოვნას იმ იმედით, რომ თუ მათ ამჯერად მართლა სურდათ რასაც მოითხოვდნენ, მაშინ გაშვებული მეფე ახლა მაინც ცეზარის ერთგული დარჩებოდა; ხოლო თუ სურთ ჰყავდეთ მეფე, როგორც ბელადი ომის წარმოებისათვის, მაშინ ცეზარს გაცილებით უფრო საპატიო და ღირსეული საბაბი ექნებოდა ეომა მეფესთან, ვიდრე აკანტიურისტებისა და გაქცეული მონების ხროვასთან, რომელთაც გოგო და საჭურისი ხელმძღვანელობდნენ. ამიტომ ცეზარმა პტოლომეუსი გამოიძახა და წაახალისა:

— უპირველეს ყოვლისა, გმართებს იზრუნო სამეფოს კეთილდღეობისათვის და შეიბრალო შენი მშობლიური და სახელგანთქმული ქალაქი, რომელიც უკვე განადგურებულია ნგრევისა და ხანძრებისაგან. გონს მოიყვანე შენი ქვეშევრდომები და იხსენი ისინი; დაამტკიცე შენი ერთგულება რომაელი ხალხისა და ჩემ მიმართ, მე კი გენდობი და გგზავნი რომაელი ხალხის ბეიარაღებულ მტერთან. ამ ლაპარაკისას ცეზარს მეფის მარჯვენა ხელი თავის მარჯვენაში ეჭირა. მერე დაემშვიდობა ყმაწვილ მეფეს, რომელიც თავისი ხალხივით მეჩვეული იყო წრეგადასულ ცბიერებას, ივი არწმუნებდა ცეზარს, არ გაეშვა, რადგან, როგორც ამბობდა, ტახტზე ჯდომაზე ძვირფასი მისთვის ცეზარის ცქერა იყო. ბიჭის ცრემლებით აღელვებულმა ცეზარმა

დაამშვიდა და მალე შეხვედრა აღუთქვა. მაგრამ მან, თითქოს გალიიდან გაუშვესო, ცეზარის წინააღმდეგ ენერგიულად გააჩაღა ომი. როგორც ჩანს, ცრემლები, რომლებიც გამომშვიდობებისას ღაპაღუპით სცვიოდა, სიხარულისა იყო. ცეზარის მრავალი ლეგატი, ცენტურიონი და ჯარისკაცი ხარობდა, რომ ცეზარის უზარმაზარ გულკეთილობას ცბიერმა ბიჭმა ასე დასცინა, თითქოს ცეზარს მართლა ლმობიერება გამოეჩინოს და უმაღლესი პრაქტიკული მოსაზრებებით არ ეხელმძღვანელოს.

ეგვიპტელებს ახლა უკვე ჰყავდათ ბელადი, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ამით ისინი უფრო ძლიერები არ გამხდარან და არც რომაელები დასუსტებულან. განსაკუთრებით სამწუხარო ის იყო, რომ ჯარისკაცებმა წუწუნი დაიწყეს მეფის სიყმაწვილისა და სისუსტის გამო. მოქმედებების წარუმატებლობაში დარწმუნებულებმა, იმ ხმების გავლენით, ცეზარის მისაშველებლად სახმელეთო გზით სირიიდან და ქილიკიიდან ძლიერი სამხედრო ძალები მოისწრაფიანო, რის შესახებაც თვითონ ცეზარმა არაფერი იცოდა, ალექსანდრიელებმა გადაწყვიტეს, ცეზარისათვის გამოგზავნილი სურსათისათვის, რომელიც ზღვით მოდიოდა, გზა გადაეჭრათ. ამ მიზნით ალექსანდრიის აღმოსავლეთით, კანოპთან, ხელსაყრელ პოზიციებზე განალაგეს სანაოსნოდ მომზადებული გემები და მოთმინებით დაუწყეს ლოდინი სატვირთო ფლოტილიას. როცა ამის შესახებ ცეზარს მოახსენეს, მან ბრძანა, მოემზადებინათ და შეეიარაღებინათ მთელი ფლოტი, მისი ხელმძღვანელობა კი ტიბერიუს ნერონს დააკისრა. ესკადრილიაში იყვნენ როდოსის ხომალდებიც ევფრანორის ხელმძღვანელობით, რომლის მონაწილეობის გარეშეც არც ერთი საზღვაო ბრძოლა არ იმართებოდა. მაგრამ ბედი უპირატესად უბედურებას უმზადებდა ზუსტად იმათ, რომლებიც აქამდე განსაკუთრებულ პატივში ჰყავდა. ახლა იგი ევფრანორს ძველებურად აღარ ანებივრებდა.

სახელდობრ, როდესაც ხომალდები კანოპთან მიცურდნენ და ერთმანეთის პირისპირ საბრძოლოდ განლაგდნენ, ევფრანორმა, ჩვეულებისამებრ, პირველმა შეუტია მტერს და წყალში ჩაძირა მოწინააღმდეგის კვადრირემი. მაგრამ როდესაც მეტისმეტად შორ მანძილზე გაეკიდა მოწინააღმდეგის მეორე გემს, ხოლო დანარჩენი ხომალდები სათანადო სისწრაფით ვეღარ მიჰყვნენ, ალექსანდრიელებმა ალყაში მოაქციეს და ვინც ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო გამოირჩეოდა, თავისი უძლეველი კვადრირემით დაიღუპა.

სამხედრო დახმარება

იმდროინდელი კალენდრის მიხედვით 47 წლის თებერვალი ანდა მარტი იდგა. თითქმის ნახევარ წელზე მეტი იყო გასული, რაც ბრძოლები გრძელდებოდა, მაგრამ არც ერთი მხარე გადამწყვეტ უპირატესობას არ ფლობდა. განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად როგორც ხმელეთზე, ისევე წყალზე, ცეზარის არმია ძალზე შეთხელდა.

საბედნიეროდ, ხმები, რომლებიც ალექსანდრიელთა ყურს უფრო ადრე მისწვდა, მართალი აღმოჩნდა. სასახლის მცველებს დახმარება უახლოვდებოდათ. პალესტინის სანაპიროს გასწვრივ სირიიდან და ქილიკიიდან სამხედრო დახმარება ხმელეთით მოდიოდა. და, გასაკვირია, რომ ეს არ ყოფილა რომაელთა ლეგიონები! ამ მრავალეროვან არმიაში შედიოდნენ სირიელები, ფინიკიელები, არაბები, ბერძნები და იუდეველები. რომაელები კი იქ ძალზე ცოტანი იყვნენ. იმ ქვეყნებისა და ქალაქების მცხოვრებლები, რომლებიც ევფრატსა და სინას ნახევარკუნძულს შორის იყვნენ განლაგებულნი, უგზავნიდნენ დახმარებას ცეზარს და ძირითადად იმაზე ზრუნავდნენ,

რომის მბრძანებლის კეთილგანწყობილება მოეპოვებინათ. რადგან ამ ტერიტორიის მცხოვრებთ ძალზე ეჯავრებოდათ ეგვიპტელები.

არც ამ არმიის მეთაური და ორგანიზატორი, ცეზარის დასახმარებლად რომ მოისწრაფოდა, არ ყოფილა რომაელი. იგი იყო მითრიდატე, რომელიც მცირე აზიის ქალაქ პერგამოსში დაიბადა. მის ძარღვებში ირანული და ბერძნული სისხლი ჩქეფდა, დედის მხრიდან კი იგი კელტიც იყო. მითრიდატე აღიზარდა და განათლება მიიღო პონტოს მეფის სასახლეში, თავისი სეხნიის, მეფე მითრიდატეს კარზე: პონტოსა და პერგამოსის ოჯახებს ნათესაური კავშირი ჰქონდათ. პონტოს მეფე სამჯერ შეებრძოლა რომს; მესამედ შებრძოლების შედეგად მან დაკარგა თავისი სამეფო და თავშესაფარი ეპოვა ყირიმში, სადაც ყველასგან მიტოვებულმა თავი მოიკლა. მისი ყრმა აღსაზრდელი, პერგამოელი მითრიდატე კი შეურიგდა რომაელთა ბატონობას. როდესაც რომის იმპერიაში სამოქალაქო ომი ატყდა, იგი პომპეუსის ბანაკში მოხვდა. ამიტომ შემდეგ, როდესაც პომპეუსი დამარცხდა, ძალიან ცდილობდა გამარჯვებულის კეთილგანწყობილების მოპოვებას. მითრიდატე ცეზარს მიეკედლა და, პომპეუსს ადევნებული, 48 წლის შემოდგომაზე ალექსანდრიაში ჩავიდა. ცხადია, მან შესძლო მოეხვეჭა ცეზარის ნდობა, რადგან ეგვიპტეში სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე მთავარსარდალმა იგი მისაშველებლად გაგზავნა. მითრიდატე ცეზარის მეგობართაგან ყველაზე სანდო აღმოჩნდა. ამიტომაც ცეზარის ერთგული „ალექსანდრიული ომების" ავტორი არ იშურებს ლამაზ ეპითეტებს პერგამოსელი უფლისწულის შესამკობად.

სამაგიეროდ, იგივე ავტორი სრული დუმილით უვლის გვერდს იუდეველი ანტიპატრის დამსახურებას, თუმცა ანტიპატრი ათას ხუთასი აბჯროსანით შეუერთდა მითრიდატეს კორპუსებს და პირველი აიჭრა ციხე-სიმაგრე პელუსიონის კედლებზე. ხოლო ცოტა მოგვიანებით, როდესაც რომაელთა ჯარები ეგვიპტის ტერიტორიაზე მიდიოდნენ, რომაელთა მხარეზე გადაიბირა ქვეყნის ებრაული მოსახლეობა.

პელუსიონიდან მითრიდატე პირდაპირ ალექსანდრიაში არ წასულა. მან აირჩია მიხვეულ-მოხვეული, გრძელი, თუმცა იოლი გზა. იმ ადგილს რომ მიაღწია, სადაც მდინარე ორ ტოტად იყოფა, ანუ სადაც იწყება ნილოსის დელტა, ქალაქ მემფისის მიდამოებში მითრიდატეს ჯარები ნილოსის გალმა ნაპირზე გადავიდნენ და მდინარის დასავლეთი ტოტის გასწვრივ გაემართნენ ალექსანდრიისაკენ. გზად მითრიდატემ გაიმარჯვა ეგვიპტის არმიის ძლიერ ძალებზე. ამ ცნობამ ჩქარა მიაღწია როგორც პტოლომეუსამდე, ასევე — ცეზარამდე. ცხადი იყო, რომ ომის შედეგები დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, შეერთდებოდნენ თუ არა ცეზარისა და მითრიდატეს ჯარები, ამიტომ ორივე — პტოლომეუსიც და ცეზარიც — საჩქაროდ გამოვიდა ალექსანდრიიდან. მიუხედავად იმისა, რომ მეფე გაცილებით მოკლე და მარჯვე გზას დაადგა, — იგი გემებით მიცურავდა ნილოსზე, ხოლო ცეზარი ნილოსის ნაპირებს სახმელეთო გზით მიპყვებოდა, — ცეზარმა მაინც მოახერხა გაესწრო პტოლომეუსისაოვის და მითრიდატეს ჯარებს შეუერთდა.

მეფის სიკვდილი

„მეფე თავისი ჯარით შეჩერდა ბუნებრივად კარგად დაცულ ადგილას; მის ერთ მხარეს ნილოსი მიედინებოდა, ხოლო მეორე მხარეს კი — ჭაობები იყო გაშლილი. მათ შორის მთის კალთა აზიდულიყო. ყოველივე ამის გამო რომაელებს მხოლოდ ერთი მხრიდან შეეძლოთ მისდგომოდნენ ეგვიპტელთა ბანაკს.

ეგვიპტის მეფის ბანაკსა და იმ გზას შორის, რომელსაც ცეზარი მიუყვებოდა,

ძალზე მაღალ და ფრიალ კლდეებში პატარა მდინარე მიიკლაკნებოდა. იგი ნილოსს უერთდებოდა. ეს მდინარე მეფის ბანაკიდან შვიდი მილით იყო დაშორებული. როდესაც მეფემ შეიტყო, რომ ცეზარი ამ გზას მიჰყვებოდა, მდინარისაკენ გაგზავნა თავისი კავალერია. მათვე გააყოლა კარგად აღჭურვილი და სპეციალურად შერჩეული ქვეითი ჯარიც, რათა ცეზარისათვის საშუალება არ მიეცათ გადალახა მდინარე.

გერმანელ კავალერისტთა ნაწილმა, რომელიც ფონის ძიებაში მდინარეს ზევით აუყვა, მდინარე იმ ადგილას გადაცურა, სადაც ნაპირი შედარებით დაბალი იყო. რომაელმა ლეგიონერებმა გადალუნეს მდინარის პირას მდგარი ხე, რომელიც წყალზე გადაწოლილი კენწეროთი მდინარის გაღმა ნაპირს მისწვდა. ეს ხე ტოტებითა და მიწით დაფარეს, ისე რომ, ჯარი სიძნელის გარეშე გადავიდა მასზე და ეგვიპტელებს შეუტია. მოულოდნელმა თავდასხმამ ისეთი თავზარი დასცა მტერს, რომ მთავარმა ძალებმა უკანმოუხედავად გაქუსლა. მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია საკუთარ ბანაკს, უმეტესობა დაუნდობლად გაჟლიტეს რომაელმა ჯარისკაცებმა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ცეზარმა გადაწყვიტა სწრაფი მოქმედებით არეულდარეულობა შეეტანა მოწინააღმდეგის რიგებში, ამიტომ პირდაპირ მათი ბანაკისაკენ დაიძრა. მაგრამ რაკი ეგვიპტელთა ბანაკი ძლიერ იყო გამაგრებული, მიწაყრილზე კი კარგად შეიარაღებული უამრავი ჯარისკაცი ეყენათ, ცეზარი მიხვდა, რომ გზითა და ბრძოლით დაქანცული მებრძოლები ვერ შესძლებდნენ სწრაფ შეტევას და ბრძანება გასცა, კარავი მტრის ბანაკიდან დაშორებით დაეცათ.

სისხამ დილით ცეზარმა დიდი ძალებით შეუტია მტერს და მალე ხელთ იგდო მცირე ფორტი, რომელიც მეფემ თავისი ბანაკის მიმდებარე სოფელში გაამაგრა. ამ ფორტზე ცეზარმა იმიტომ წარმართა მთელი ძალები (მიუხედავად იმისა, რომ ფორტის აღება მცირე რაზმებითაც შეიძლებოდა), რომ მოულოდნელი თავდასხმით თავზარი დაეცა მტრისათვის, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ შეეტია მთავარი ბანაკისათვის. მალე ჯარისკაცები იმავე შემართებით, ფორტიდან უკუქცეულებს რომ დაედევნენ, მისწვდნენ ბანაკის სიმაგრეებს და იწყეს მისი აღება. იმ ადგილას, სადაც ბანაკს შედარებით ადვილი მისადგომი ჰქონდა, ყველაზე დიდი რაოდენობით იდგნენ სულ დარჩეული მცველები. კარგად იცავდნენ თავს ისინიც, რომლებიც ნილოსის მხარეს იმყოფებოდნენ და დიდ ზიანსაც აყენებდნენ რომაელებს, რადგან ეს უკანასკნელნი ორი მხრიდან განიცდიდნენ დარტყმას, ფრონტის ხაზიდან და ზურგიდან.

ცეზარი ნათლად ხედავდა, რომ მისიანები ყველაფერს აკეთებდნენ გამარჯვებისათვის, მაგრამ ბრძოლის ძნელი პირობების გამო ბევრს ვერაფერს ხდებოდნენ. მალე შენიშნა, რომ ეგვიპტელთა ბანაკის ზედა მხარე თითქმის გაშიშვლდა დამცველთაგან. ალბათ ფიქრობდნენ, რომ ამ უბნის აღება შეუძლებელი იყო რომაელთათვის, რადგან ბუნებრივად კარგად იყო დაცული. ისინი დაეშვნენ ქვევით, ბრძოლის ასპარეზზე, ზოგი იმ სურვილით, რომ ბრძოლაში მიეღოთ მონაწილეობა, ხოლო ზოგი კი — უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო.

ცეზარმა მაშინვე უბრძანა სამ კოჰორტას, რომლებიც მამაცობითა და სამხედრო საქმის ცოდნით ტოლს არავის უდებდნენ, შემოევლოთ მტრის ბანაკისათვის და ზევიდან დაერტყათ. იქამდე რომ მიაღწიეს, მცველთა ძლიერ მცირე რიცხვი დახვდათ და გაშმაგებით დაეძვერნენ. შეძრწუნებული ეგვიპტელები ყვირილითა და იარაღის ჟღარუნით აირ-დაირივნენ. ამან რომაელი მოიერიშენი კიდევ უფრო აღანთო ბრძოლის ჟინით. მათ ბანაკის ზედა მხარე დაიკავეს და დაიწყეს გამოქცეულების ჩეხვა. ბევრი ალექსანდრიელი მიწაყრილიდან პირდაპირ წყალმარჩხ მდინარეში ხტებოდა. უწინ გაქცეულებმა მდინარის თხელი წყალი თავიანთი სხეულებით დაფარეს და დანარჩენებს გაუადვილეს წყალზე გადასვლა და გაქცევა.

ცნობილია, რომ მეფე ბანაკიდან გაიქცა და თავი შეაფარა ხომალდს, რომელიც

მაშინვე ჩაიძირა, რადგან მასზე თავის გადასარჩენად უამრავი ეგვიპტელი ავიდა. ასე დაიღუპა პტოლომეუსი.

ოლონდ ახალგაზრდა მეფის სიკვდილის შესახებ „ალექსანდრიული რომების" ავტორის ეს ლაკონიური ცნობა მოითხოვს შევსებას, რომელსაც ანტიკური ხანის სხვა ავტორები გვაწვდიან. პლუტარქე, უბრალოდ, იმ აზრს ადგას, რომ პტოლომეუსის სიკვდილის გარემოებანი საიდუმლოებითაა მოცული. სამაგიეროდ, სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მეფის სხეული ბრძოლის დამთავრებამდე შემდეგ მდინარის ქვიშაში იპოვეს და ამოიცნეს მოვარაყებული აღჭურვილობით, რომელიც შემდეგ ალექსანდრიელებს უჩვენეს, როგორც რომაელთა სრული გამარჯვების უტყუარი საბუთი.

გამარჯვებულის განკარგულებანი

ცეზარი ალექსანდრიაში ახლა იმ მიხვეულ-მოხვეული გზებით აღარ დაბრუნებულა, რომლითაც მითრიდატეს შესახვედრად გაემურა. ახლა იგი ქალაქისაკენ პირდაპირი გზით მიდიოდა და თანაც იმ უბნებზე გავლით, რომლებიც ჯერჯერობით ისევ მტრის განკარგულებაში იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ მეფის დამარცხებისა და სიკვდილის ცნობით თავზარდაცემული ქალაქელები თავშიც აღარ გაივლებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ამაში იგი ისე ძლიერ იყო დარწმუნებული, რომ არმიის მთავარი კორპუსის წინ კავალერიის სათავეში მოექცა.

ცეზარი არ მოტყუებულა. ბრბო მის შესაგებებლად ქუჩებში გამოვიდა. ისინი იარაღს ჰყრიდნენ და სტოვებდნენ სიმაგრეებს, იმ სიმაგრეებს, ასე შეუპოვრად რომ იცავდნენ მრავალი თვის მანძილზე. ახლა, იმ ტანსაცმელში გამოწყობილი ალექსანდრიელები, ჩვეულებრივ მლოცველები მოწყალებას რომ თხოულობენ, ცეზარს შებრალებას ევედრებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ მასთან ხატებითა და საკულტო საგნებით — ეგვიპტელები ასე იქცეოდნენ დამარცხების ანდა ზეიმის დროს.

პირდაპირ მტრის პოზიციებზე გავლით ცეზარმა გეზი აიღო სამეფო სასახლისაკენ, სადაც მან ასე დიდხანს გაუძლო ალყას. თავისიანები მას დიდი ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ.

ეს იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 47 წლის 27 მარტს.

მცირე ხნის შემდეგ დიქტატორმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება ეგვიპტის მომავლის შესახებ. ბევრი ეგვიპტელი და რომაელი ელოდა, რომ ეგვიპტე, ესოდენ შეუპოვარი და მდიდარი ქვეყანა, იმპერიის ახალი პროვინცია გახდებოდა. ასეთი გეგმები რომში უკვე რამდენიმე წლის წინ დაისახა და მათი ავტორი ხომ სახელდობრ ცეზარი იყო! თანაც უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცეს, რომ ეგვიპტელებს ეზიზღებოდათ რომაელები. ამდენად, აღარავითარი საფუძველი აღარ რჩებოდა იმისა, რომ მათთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. მაგრამ გამარჯვებულმა განსაცვიფრებელი კეთილგანწყობილება გამოიჩინა.

უპირველეს ყოვლისა, მან დაადასტურა, რომ პტოლომეუს XII ანდერძი კვლავაც პასუხისმგებლობას აკისრებს რომაელ ხალხს და, მაშასადამე, პირადად მასაც, როგორც რომაელი ხალხის წარმომადგენელს. ყმაწვილი მეფის პტოლომეუს XIII ტრაგიკული სიკვდილი, ცხადია, აიძულებს, ანდერძში ზოგიერთი ცვლილების შეტანას. ახლა კლეოპატრასთან ერთად, როგორც მისი მეუღლე, იმეფებს კლეოპატრას უმცროსი ძმა, რომელიც ათი წლისაა. სამაგიეროდ, მეფის ასული არსინოე, რომელიც თავისი დის წინააღმდეგ იბრძოდა, დასტოვებს ეგვიპტეს და რომში გაემგზავ-

რება. თანახმად რამდენიმე თვის წინ გაცემული დაპირებისა, კვიპროსი კვლავ ბრუნდებოდა პტოლომეუსების კვერთხქვეშ.

რა იყო მიზეზი ცეზარის ამ კეთილგანწყობილებისა იმ ქვეყნის მიმართ, სადაც კინადამ სიცოცხლეს გამოესალმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლეოპატრა და ომი

„ალექსანდრიის ომების" ავტორი მხოლოდ ერთ ადგილას მოიხსენიებს კლეოპატრას: ცეზარმა თავისი გამარჯვების შემდეგ სამეფო გადასცა პტოლომეუსის უმცროს ვაჟიშვილს და მის უფროს ქალიშვილს, კლეოპატრას: „რომელიც მისი ერთგული დარჩა და მისი ბანაკიდან არ გასულა". მაშასადამე, ანონიმური მწერალი დედოფლის საქციელსა და როლს რამდენიმე თვეს გაგრძელებული ალყის განმავლობაში ისეთივე დელიკატური დუმილით უვლის გვერდს, როგორც თავად ცეზარი.

ოღონდ სავსებით ცხადია, რომ კლეოპატრას არ შეეძლო იმ დრამატული მოვლენების პასიური მეთვალყურე ყოფილიყო, რომელიც მის გარშემო თამაშდებოდა. ეს ომი ხომ მის გამო, მისი მიზეზით და მისი საკითხის მოსაგვარებლად გაჩაღდა. იმ დღეებში, როდესაც ერთი მუჭა რომაელები გაშმაგებით უკუაგდებდნენ ათასობით ალექსანდრიელის, ახილასისა და განიმედეს ჯარისკაცების შეტევებს, ხომ უნდა აეღელვებინა იგი სამეფოს მომავალს, ასევე საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც. დაძაბულად უნდა ედევნებინა თვალი პორტსა და ქუჩებში სისხლიანი შეტაკებების ცვალებადი პერიპატიებისათვის! მღელვარე რომ უნდა ყოფილიყო კლეოპატრას რეაქცია, ეს უეჭველი და გასაგებია. ოღონდ, შეიძლებოდა ესეც გვეკითხა — ნუთუ ზოგჯერ მაინც არ ერეოდა დედოფალი პოლიტიკურ ბრძოლებსა და ინტრიგებში? ბრძოლები ხომ ორ პარტიას შორის ალექსანდრიაში მიმდინარეობდა არა მხოლოდ იარაღით ხელში და არა მხოლოდ — ბარიკადებსა და ხომალდებზე. შეკითხვები, რომლებიც აქ წამოიჭრება, უნდა დარჩეს პასუხის გაუცემლად რაიმე წყაროს, ანდა თუნდაც არაპირდაპირი ცნობების უქონლობის გამო. მიუხედავად ამისა, ასეთი კითხვების დასმა მაინც საჭიროა. მაშასადამე:

რა პოზიცია ეჭირა კლეოპატრას თავისი დის, არსინოეს, მტრის ბანაკში გაქცევის მიმართ? ნუთუ ეს ფაქტი მისთვის სრული მოულოდნელობა იყო? ან იქნებ პირიქით — წინასწარვე ინფორმირებული იყო, მაგრამ დუმდა ცეზართან ერთად ან იქნებ დას ბალულად ეხმარებოდა კიდეც სასახლიდან გასხლტომაში, თანაც სრულიად საიდუმლოდ როგორც რომაელების, ასევე, თავად არსინოესაგანაც? ამაში საკვირველი არაფერი იქნებოდა, რადგან ამ ხერხით დას სახელს უტეხდა რომაელთა მთავარსარდლის თვალში და ერთხელ და-სამუდამოდ იშორებდა ტახტის პოტენციურ მოქიშპეს. პტოლომეუსის ქალიშვილები ხომ პატივმოყვარეობით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ! ხელისუფლებისათვის ბრძოლაში შეეძლოთ ყოველგვარ დანაშაულზე წასულიყვნენ. არსინოემ ეს დაამტკიცა კიდეც, როდესაც მთავარსარდლობისათვის ბრძოლაში ახილასი იდუმალი მკვლელობის გზით მოიშორა თავიდან. ამიტომაც იყო, რომ ცეზარმა, გამარჯვების შემდეგ, მეფის ასულს გადაუწყვიტა ეგვიპტე დაეტოვებინა, რომში წასულიყო და ცეზარის ტრიუმფალური შესვლა რომში დაემშვენებინა. მართალია, ამით მეფის ასულის ღირსება მცირდებოდა, მაგრამ ამ გზით ქალიშვილს არსებითად სიცოცხლე შეუნარჩუნა. რადგან ძნელი არაა იმის მიხვედრა, თუ რა ბედი ელოდა არსინოეს, თუკი თავისი დის კეთილმოწყალების იმედით ალექსანდრიაში დარჩებოდა.

ახლა პოთინეს სიკვდილი? თავიდან იგი კლეოპატრას მტერი იყო, შეურიგებელი და ვერაგი, მისი გაძევების ერთ-ერთი ინიციატორი. დედოფალი ალბათ ყოველ ღო-

ნეს ხმარობდა, რათა მისთვის ნიღაბი აეხადა, ანდა გაეშავებინა რომაელთა თვალში. ცეზარი ამტკიცებდა, რომ მოკლა პოთინე, რადგან დაიჭირა მისი საიდუმლო მოციქულები ახილასთან და გამოააშკარავა ყველა მისი ინტრიგა. საფუძველი არა გვაქვს ამაში ეჭვი შევიტანოთ. სამაგიეროდ, ყურადსაღებია ის, თუ რადგორი იყო კლეოპატრას მონაწილეობა პოთინეს ღონისძიებათა გახსნაში: ცეზარი და მისი ხალხი თვითონ ხომ ვერ მიხვდებოდნენ სასახლის საიდუმლოებებს. არ [illegible] ქალაქს, მის მოსახლეობასა და წეს-ჩვეულებებს. კლეოპატრას მეგობრებისა [illegible] დახმარების გარეშე ნამდვილად ვერ დაიჭერდნენ პოთინეს თამაშში. შესაძლოა ისიც, რომ რაღაც მტკიცებები მის წინააღმდეგ დედოფალმა შეთხზა კიდეც.

ბოლოს რჩება საკითხი ყმაწვილი პტოლომეუსის გაშვებისა და ცეზარის მიერ მისი ალექსანდრიელთა მხარეს გადაგზავნისა. ძნელი წარმოსადგენია, ასეთ მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტისას დიქტატორს კლეოპატრასთან არ ეოთბირა. საქმე ხომ მის ძმას, ქმარსა და თანამპყრობელს ეხებოდა! და კვლავ თავს იჩენს დაეჭვება, მსგავსი იმისა, რომელიც არსინოეს გაქცევას უკავშირდება. დედოფალი ალბათ წინასწარ ჭვრეტდა, რომ თავისუფლებამოპოვებული პტოლომეუსი უღალატებდა რომაელთა საქმეს — და მასაც ზუსტად ეს ეწადა! ცეზარი შეიძლება აეღელვებინა და შეეცდინა ბიჭის ცრემლებს. ქალიშვილი კი, და თანაც ალექსანდრიელი, სასახლის ინტრიგებისა და დანაშაულობების ატმოსფეროში აღზრდილი, შემდგომში ნამდვილად იხსენებდა ამ სცენას და ირონიულად ეღიმებოდა. მიუხედავად ამისა, არ იხსნა სარდალი შეცდომისაგან. ვინ იცის, იქნებ მხარსაც უჭერდა პტოლომეუსს და ცეზარს არწმუნებდა, რომ ნდობოდა მეფეს. სურდა, ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოეშორებინა მისი ცხოვრების დამამძიმებელი პიროვნება.

47 წლის 23 ივნისს და, მაშასადამე, ალექსანდრიის ომის დამთავრებიდან ზუსტად სამი თვის შემდეგ, კლეოპატრას ვაჟი შეეძინა. ცხადია, მას პტოლომეუსი დაარქვეს. იგი დინასტიის მე-15 წარმომადგენელი იყო. საინტერესოა მისი მეორე სახელი: ცეზარი. შემდგომში თავისი დედის განკარგულებით ბიჭი კიდევ ორ მშვენიერ ზედმეტ სახელს ატარებდა: ფილოპატორსა და ფილომეგორს. ხოლო ალექსანდრიელებმა მას უბრალო და მოკლე სახელი შეარქვეს — ცეზარიონი ანუ პატარა ცეზარი.

დიქტატორის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ მისი ახლო მეგობარი მარკუს ანტონიუსი ოფიციალურად განაცხადებს სენატის წინაშე, რომ ცეზარმა თავისად სცნო კლეოპატრას ბავშვი. მართალია, ოცდაერთ წლის შემდეგ რომში გამოჩნდა დოკუმენტი, რომელიც სასტიკად უარყოფდა ცეზარისა და ეგვიპტელი უფლისწულის მამაშვილობას, მაგრამ ეს დოკუმენტი იმ პერიოდში შეადგინეს, როდესაც სახელმწიფო პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობდა წარმოედგინა კლეოპატრა, როგორც რომის მტერი. მაშასადამე, სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესები მოითხოვდა იმ შეხედულების გაბათილებას, რომ შესაძლოა დიქტატორი ოდესმე დანებებოდა ეგვიპტის დედოფლის მომხიბვლელობას. მაშ, ვინ იყო პტოლომეუს ცეზარის მამა? კლეოპატრას ძმა და მეუღლე, პტოლომეუს XIII ხომ არა, რომელსაც დედოფალი 48 წლის გაზაფხულიდან ებრძოდა! არც მით უმეტეს მისი უმცროსი ძმა, პტოლომეუს XIV, რომელსაც კლეოპატრა ცეზარის მოთხოვნით 47 წლის გაზაფხულზე მისთხოვდა, როდესაც ბიჭი დიდი-დიდი თერთმეტი წლის იქნებოდა.

როგორც თარიღებიდან და ფაქტებიდან გამომდინარეობს, ბრძოლის ყიჟინა და სასახლის დანაშაულებრივი ინტრიგები ხელს ვერ უშლიდა რომანის განვითარებას. იგი დაიწყო იმ მომენტიდან, როდესაც დიქტატორის განსაცვიფრებლად საძილე ტომრიდან ახალგაზრდა გოგო გადმოხტა. და რომანი არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როდესაც 47 წლის მარტის ბოლოს ალექსანდრიაში შეწყდა იარაღის ჩახაჩუხი.

ცეზარი და კლეოპატრა 47 წლის გაზაფხულზე

„ამგვარად, საქმეების მოგვარების შემდეგ ცეზარი სირიისაკენ დაიძრა“.

„ალექსანდრიის ომების“ ავტორის ეს წინადადება იმ ამბებს მოსდევს, როცა დიქტატორმა ტახტზე დასვა კლეოპატრა და მისი უმცროსი ძმა. მაშასადამე, ამბავს იმგვარად წარმოადგენს, თითქოს მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ცეზარმა და ეგვიპტეში ხელისუფლების სათავეში დასვა რომის მიმართ ლოიალურად განწყობილი მთავრობა, ხოლო თავად მალევე მიატოვა ეგვიპტე. ცეზარის მიერ ეგვიპტის დატოვების მაუწყებელი წინადადება ასრულებს ალექსანდრიის მოვლენების აღწერას. შემდეგ საუბარი ეხება სრულიად სხვა ქვეყნებს: მცირე აზიას, ილირიას, ესპანეთს და სხვ. ყველა ამ ქვეყანაში და აგრეთვე აფრიკის ქვეყნებში მოვლენები ამასობაში ცეზარისათვის არახელსაყრელად ვითარდებოდა. ყველაზე საშიში სიტუაცია მცირე აზიაში შექმნილიყო: მითრიდატეს ვაჟიშვილს, ფარნაკს, მამის ყოფილი სამეფოს უკან დასაბრუნებლად ჯარების შეკრება და წვრთნა დაეწყო. ამიტომ გასაგებია, რომ არასასიამოვნო ცნობების მიღების შემდეგ დიქტატორმა სასწრაფოდ დატოვა ეგვიპტე და სირიაზე გაელით მცირე აზიისაკენ გაეშურა.

იბადება კითხვა: მართლა ასე უცებ დატოვა ცეზარმა ქვეყანა, სადაც ბრძოლითა და სიყვარულით აღსავსე უჩვეულო დღეები განიცადა? მთავარსარდლისადმი პატივისცემით გამსჭვალული „ალექსანდრიის ომების“ ავტორი განგებ დუმილით ხომ არ უვლის გვერდს ზოგიერთ ეპიზოდს?

47 წლის გაზაფხულზე ციცერონი იტალიის საპორტო ქალაქ ბრუნდუზიაში იმყოფებოდა. იქ ელოდა იგი ცნობას აღმოსავლეთიდან ისევე მოუსვენრად, როგორც — იმპერიის ყველა მცხოვრები. ამ დროს დიქტატორთან იგი უკვე შერიგებული იყო და მიაჩნდა, რომ ამჟამად რომში ასეთი არასასურველი მდგომარეობის გამო ცეზარის დაბრუნება აუცილებელი იყო. ეგვიპტიდან კი ძალზე ძუნწად მოდიოდა რომში ცნობები. ცეზარის უკანასკნელი წერილი, რომელიც ყველაზე ბოლოს მიიღეს იტალიაში, ჯერ კიდევ 48 წლის დეკემბერში იყო გამოგზავნილი. 47 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში ჭეშმარიტად ცნობილი გახდა, რომ ალექსანდრიაში ბრძოლები დასრულებულიყო. ცეზარი კი არსად ჩანდა. თავისი მეგობრის, ატიკასადმი მიწერილ წერილში ციცერონი ბოროტად შენიშნავს:

„იგი იმდენ ხანს დაკავდა ალექსანდრიაში, რომ, ვგონებ, რცხვენია კიდეც ამის შესახებ წერა“. ეს წინადადება განგებ იყო ფორმულირებული ორმნიშვნელოვნად.

ხუთ იელისს კი ციცერონი თავის მეგობარს წერდა:

„დადის ხმები, რომ ცეზარმა დატოვა ალექსანდრია. თუმცა, ეს ხმები თავიდან ნაკლებ სარწმუნო იყო, მაგრამ შემდეგ მრავალი სხვა ცნობით დადასტურდა“.

თუ ვივარაუდებთ, რომ ეგვიპტიდან რომში წერილის მიღებას ერთი თვე მაინც სჭირდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცეზარი ალექსანდრიიდან ივნისის დასაწყისში გამოვიდა. ეს ჭეშმარიტად ასეც მოხდა. ერთ-ერთი ქრონიკიდან ცხადი ხდება, რომ იგი 28 ივნისს სირიის ანტიოქიაში შეჩერდა. ამრიგად, ყველა თარიღის გათვალისწინებით დგინდება, რომ ალექსანდრიაში ომის დამთავრებასა და ცეზარის ეგვიპტიდან გამგზავრებას შორის ორ თვეზე მეტმა ხანმა გაიარა! ცხადია, რომ განკარგულებების გაცემა ასეთ დიდ დროს არ მოითხოვდა. მაშ, რას აკეთებდა ცეზარი ამდენი ხნის მანძილზე, როდესაც მრავალ ქვეყანაში მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას? რატომ კრინტსაც არა სძრავს „ალექსანდრიის ომების“ ავტორი დროის ასეთი დიდი პერიოდის შესახებ?

ამ დელიკატურ ისტორიკოსს სხვები შეეშველნენ. ისინი გვამცნობენ, რომ ეს ორი თვე ცეზარმა კლეოპატრასთან ერთად ნილოსის სათავეებისაკენ, თითქმის ეგ-

ვიპტის სამხრეთ საზღვრამდე სამოგზაუროდ გამოიყენა. ამ მოგზაურობისას მათ თან ახლდათ ოთხასი გემისა და ნავისაგან შემდგარი ფლოტი. მოგზაურობის მიზანს ეგვიპტის წარსული დიდების მთავარი ნაშთების მონახულება შეადგენდა. მოგზაურობისას ცეზარი და კლეოპატრა ერთ გემზე იმყოფებოდნენ.

ეგვიპტის არქეოლოგიურ რუკაზე შეიძლება უაღრესი სიზუსტით აღვნიშნოთ ამ შემეცნებითი და სამეჯნურო ექსკურსიის ძირითადი ეტაპები. ეგვიპტის არქიტექტურისა და სკულპტურის ბევრმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე თითქმის ისევე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იხილეს ისინი ცეზარმა და კლეოპატრამ. ხოლო იმ ძეგლებიდან კი, რომლებიც ოცი საუკუნის მანძილზე განადგურდა, შემორჩა ან ცხადი კვალი ანდა სრულყოფილი აღწერილობა.

ვერც დრომ და ვერც ადამიანურმა ძალამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა გიგანტური პირამიდებისათვის. დღემდე დგანან ისინი ისეთივე ქედუხრელნი და დიდებულნი, როგორც მაშინ, მათ ძირას რომის დიქტატორი და ეგვიპტის დედოფალი რომ იდგნენ. პირამიდები რომ დაეთვალიერებინათ, ისინი უნდა შეჩერებულიყვნენ მემფისში, სადაც ღირსეულ წყვილს ქურუმთუხუცესი პშერენი-პტაჰი მიეგებებოდა. ზუსტად ის ქურუმთუხუცესი, რომელმაც ოცდაათი წლის წინ, ჯერ კიდევ ბიჭმა, გვირგვინი დაადგა კლეოპატრას მამას, პტოლომეუს-ფლეიტისტს. ეს წელი მის ცხოვრებაში ბედნიერი იყო ისევე, როგორც ოცდაათი წლის წინანდელი. ბედნიერი იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქი თავიანთი სტუმრობით ეგვიპტის დედოფალმა და რომაელმა დიდებულმა გააბედნიერეს. მცირე ხნის წინ პშერენი-პტაჰს სიზმარში ძე ღვთისა, იმპოტეპი გამოეცხადა და ნაოცნებარი ვაჟი აღუთქვა. ოღონდ იმ პირობით, რომ ქურუმთუხუცესს ღმერთის ტაძარში სამხატვრო სამუშაოები უნდა შეესრულებინა. პშერენი-პტაჰის ცოლი უკვე ფეხმძიმედ იყო.

მოგზაურობა ნილოსის სათავეებისაკენ

მემფისში ყოფნისას კლეოპატრა და ცეზარი ალბათ მოინახულებდნენ ყველა დიდ ტაძარს, რომლებიც ქალაქსა და მის გარეუბნებში იყო აღმართული. მაშასადამე, ისინი პტაჰის, იმპოტეპისა და ხარ აპისის ტაძრებსაც ეწვეოდნენ. პატივს რომ მიაგებდა წმინდა ხარს, ცეზარი ალექსანდრე ბრწყინვალეს ბაძავდა. მოკლე ხანში დაამტკიცებს კიდეც, რომ უკვე მაშინ ფიქრობდა მსოფლიოს დამპყრობლის მაგალითისათვის მიებაძა. ალბათ სერაპიონიც უმასპინძლებდა ღირსეულ წყვილს. პტოლომეუსების დინასტიის მეფეები ხშირად მიდიოდნენ იქ; ზოგიერთი მათგანი კი მრავალგზის სტუმრებია იმ ადგილებს.

ეგვიპტის სამხრეთში მოგზაურობის შემდგომი ეტაპი გახდა ფაიუმის ოაზისის მონახულება. ოდესღაც, თითქმის ოცი საუკუნის წინ, კლეოპატრას ეპოქამდე, XII დინასტიის ფარაონები იქ სასახლეებს, ტაძრებს და პირამიდებს აგებდნენ. როგორც ვიცით, ოაზისი იყო აგრეთვე ღვთაება ნიანგის, სუხოსის კულტის ცენტრიც. კლეოპატრას დროს უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს შეიძლება ჯერ კიდევ ჰქონდათ დიდებულების პრეტენზია, მაგრამ დღეს მათგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებიღაა შემორჩენილი, რადგან განსხვავებით ეგვიპტის სხვა რაიონებისაგან, სადაც არქიტექტურულ ძეგლებს უმეტესად ქვისგან აგებდნენ, ფაიუმში არქიტექტორები უფრო ხშირად გამოუწვავი თიხის აგურს ხმარობდნენ.

ზემო ეგვიპტედ წოდებული უდაბნოს კლდოვან ნაპირებს შორის გაწოლილი ნილოსის ვიწრო და გრძელი ველი ორივე მხარეს თითქმის დაფარული იყო არქიტექტურული ძეგლებითა და მონუმენტური ქანდაკებებით. მორწმუნე მეფეები და

დიდებულები თაობიდან თაობამდე აფართოებდნენ და ამშვენიერებდნენ მათ. მოგზაურები ყურადღების ღირს ყოველ ადგილს რომ შეჩერებულიყვნენ, ამისათვის თვეები და წლებიც არ ეყოფოდათ. მაგრამ ზოგი ადგილისათვის გვერდს ავლა მაინც არ შეიძლებოდა. ასეთებს კი, უპირველეს ყოველისა, ქალაქი აბიდოსი მიეკუთვნებოდა. ეგვიპტური რწმენის თანახმად, იქ დაკრძალული იყო ერთერთი ყველაზე წმინდა რელიქვია: თავი ღმერთ ოსირისისა, რომელიც მოკლეს [illegible] ხეთხმა; ხოლო ცოლისა და დის, ისიდას წყალობით აღსდგა მკვდრეთით. ამის შედეგად აბიდოსი გახდა უდიდესი რელიგიური ღღესასწაულების ადგილი. მრავალი პილიგრიმი მიისწრაფოდა მისკენ. უძველეს ხანაში არა მხოლოდ ფარაონები, არამედ უბრალო მოკვდავნიც ცდილობდნენ, რომ ამ ადგილებში საკუთარი სამლოცველო თუ არა, თუნდაც ცარიელად დასარჩენი მეორე სამარე მაინც ჰქონოდათ, რათა ღვთის წყალობის მეოხებით გაადვილებოდათ აღდგომა საიქიოში, რომელიც ოსირისის საუფლო იყო. ოღონდ უკანასკნელი პტოლომეუსების ხანაში აბიდოსის დიდებულება უკვე წარსულს ჩაბარებოდა. აქ არათუ ახალ ნაგებობებს აღარ აშენებდნენ, ძველებსაც აღარ პატრონობდნენ. მაგრამ რაც იქ საუკუნეების მანძილზე შემონახულიყო, განცვიფრებას იწვევდა.

სამაგიეროდ დენდერამ, რომელიც აბიდოსის სამხრეთით მდებარეობდა, სახელდობრ პტოლომეუსების ხანაში და ამ დინასტიის წყალობით მოიხვეჭა ბრწყინვალება. ჰატჰორს, რომელიც სიყვარულის, ცეკვისა და მუსიკის ღმერთს წარმოადგენდა, აქ უდიდესი ტაძარი ჰქონდა. მისი გაფართოება და რესტავრაცია ფლეიტისტის გამეფებამდე ათი წლით ადრე დასრულდა, თუმცა წვრილმანი სამუშაოები, განსაკუთრებით დეკორაციული, აქ რომაელთა ბატონობის დროსაც კი გრძელდებოდა.

და მაინც ყველა ტაძარს, რომლებიც კი მოინახულეს კლეოპატრამ და ცეზარმა მაშინდელი მოგზაურობის დროს, თავისი სიდიადითა და სიმშვენიერით ტოლს არ უდებდა ამონის ტაძარი თებეში.

თებეში, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, გაშლილი იყო „მკვდართა ქალაქი". ნილოსის დამრეცი ნაპირების სიახლოვეს, რომლის იქითაც უდაბნო იწყებოდა, ტაძრები აღემართათ ფარაონთა სადიდებლად; ამ ტაძრებში, კლდის სიღრმეებში გამოთხრილ აკლდამებში მუმიები განისვენებდნენ. ერთ-ერთი უმშვენიერესი ტაძარი მიძღვნილი იყო ქალღმერთ ჰატჰოროს-ძროხისადმი; ეს ტაძარი პირველი პტოლომეუსების დროს აღემართათ. მაგრამ მაშინაც და შემდგომაც დამთვალიერებელთა ყურადღებას აქ თითქმის ოცი მეტრი სიმაღლის ორი ქანდაკება იქცევდა. ორივე ტახტზე მჯდომს ფარაონი ამენჰოტეპ III წარმოადგენდა. ქანდაკებები ტაძრის შესასვლელში იდგა. ბერძნების მტკიცებით ეს ქანდაკებები ტროასთან აქილევსის ხელით დაღუპული ეთიოპელთა ლეგენდარული უფლისწულის მემნონის ქანდაკებები იყო. სწორედ ამიტომ მათ მემნონის კოლოსებს უწოდებდნენ.

ნილოსზე სამხრეთისაკენ ცურვისას ცეზარსა და კლეოპატრას შეეძლოთ ხარ ბუხისის მონახულებაც. ჩანს, მისი სახელობის ტაძარმა დედოფლის კეთილგანწყობილება მოიპოვა, რადგან მოგვიანებით კლეოპატრამ ბრძანება გასცა, აქ საკურთხეველი აეგოთ ღმერთ მონტის მეუღლისათვის. საკურთხევლის ბარელიეფი წარმოადგენს ქალღმერთის მშობიარობის რეალისტურად გამოსახულ სურათს. ეს სურათი განსაკუთრებულ ახსნას იძენს, თუ გავიხსენებთ, რომ ჰერმონტისში კლეოპატრა ფეხმძიმობის უკანასკნელ პერიოდში იმყოფებოდა. ამიტომ, შესაძლოა, ქორწინების ერთგვარი გაგრძელება იყო ეს საკურთხეველი, აგებული მშობიარობის ბედნიერი დასასრულის მიზეზით.

ყოველ ადგილას, სადაც კი ღეზას უშვებდა მათი ხომალდი, ღირსეულ წყვილს, დადგენილი წესისა და თანამდებობრივი იერარქიის დაცვით, უამრავი ხალხი ესალ-

მებოდა. ამგვარი წესრიგი ჩვენთვის ცნობილი ხდება სხვადასხვა დოკუმენტიდან. ხელისუფლების გვერდით მოსახლეობის სათავეში ყოველთვის იდგნენ ქურუმები. მათ უკან — ჯარში მყოფი ბერძნები, ანდა სამხედრო ვალდებულნი, ალბათ თხემით ტერფამდე შეჭურვილნი. მათ შემდეგ ბერძენთა ოჯახობანი, უფრო მოშორებით — სხვადასხვა წარმოშობის მოსახლეობა, რომლებიც ეგვიპტის მკვიდრი მცხოვრებნი არ იყვნენ. მხოლოდ შემდგომღა მოეყარა თავი უბრალო ხალხს ამ ეგვიპტელ გლეხებს და მონებს.

დედოფალი წარმოადგენდა არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, არამედ ცოცხალ ღმერთსაც, ისიდას განსახიერებას. ამიტომაც ყველგან ცნობილი ტაძრების რიტუალური წესით იღებდა ღვთაებრივ პატივისცემას. ქურუმები სწირავდნენ მსხვერპლს, უკმევდნენ გუნდრუკს და ლოცვასა და ხოტბას აღავლენდნენ. უდიდესი ტაძრების ჩრდილში დედოფალი მოკვდავთა ბრბოს ფონზე ბრწყინავდა. რომაელის გულში კი, რომელიც თავის ცხოვრებაში პირველად ხედავდა ასეთ ღვთიურ პატივისცემას ადამიანი-ღმერთის მიმართ, იბადებოდა აზრი: ხომ არ აჯობებდა, თავისი ხელისუფლებაც ამგვარი ბრწყინვალების შარავანდით შეემოსა?

რომაელთა გარნიზონი

როდესაც ცეზარმა ეგვიპტე დატოვა, კლეოპატრას მარტის უნდა ემეფა, რადგან დედოფლის ათი წლის ძმას ყურადღების ღირსადაც არავინ სთვლიდა. მან მიაღწია მიზანს, რომლისკენაც ამდენი ხნის მანძილზე ასე შეუპოვრად ისწრაფვოდა! თანაც რა ძვირად დაუჯდა პატივმოყვარული ზრახვის — ერთპიროვნული მმართველობის მიღწევა. რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელებულმა ომმა დაანგრია დედაქალაქი და მოშალა ქვეყნის სახალხო მეურნეობა, რომელიც არც მანამდე ბრწყინავდა მაინც და მაინც. ალექსანდრიელებს მიაჩნდათ, რომ კლეოპატრა უცხო სახელმწიფოს ნებითა და ქვეყანაში დაბანაკებულ უცხომიწელთა ჯარების მხარდაჭერით მეფობდა. ალექსანდრიის გარეთ, შესაძლოა, მდგომარეობა სხვაგვარი იყო. ეგვიპტელები დედაქალაქში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას შედარებით გულგრილად ეკიდებოდნენ, რადგან მათი მდგომარეობა სულაც არ შეცვლილა იმით, რომ ქვეყანას ახლა პტოლომეუს XIII ნაცვლად კლეოპატრა და პტოლომეუს XIV მართავდნენ. შესაძლოა აგრეთვე, რომ დედოფლის განსაკუთრებულმა რელიგიურმა პოლიტიკამ, რაც ქალ-ღმერთ ისიდასადმი უჩვეულო თაყვანისცემაში გამოვლინდა, მას ერთგვარი სიმპათიებიც მოუპოვა მკვიდრ ეგვიპტელებში, ქურუმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ცეზარმა ეგვიპტეში სამი ლეგიონი დატოვა. ეს ლეგიონები ცოცხალი შეხსენება იყო ეგვიპტელთა დამარცხებისა და, უბრალოდ, თავიანთი იქ ყოფნითაც კი დედოფლისადმი მოსახლეობის ზიზღს აძლიერებდნენ. ამ ლეგიონებმა მნიშვნელოვნად დაამძიმეს აგრეთვე სახელმწიფო ხაზინა.

ლეგიონების სარდლად ეგვიპტეში ცეზარმა ვინმე რუფიონი დანიშნა. იგი ცეზარის ყმადყოფილის ვაჟი იყო და, მაშასადამე, ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ იერარქიაში მონაზე მხოლოდ ერთი საფეხურით მაღლა იდგა. მრავალი რომაელი თვლიდა, რომ ამგვარი დანიშვნა დიქტატორის გაუგონარი თავხედობის გამოვლინება იყო. რომის რესპუბლიკის არსებობის მანძილზე ხომ ურყევ წესად იყო მიღებული, რომ მცირე ლეგიონებსაც კი საზოგადოების უმაღლესი ფენების წარმომადგენლები სარდლობდნენ. რუფიონის მთავარსარდლად დატოვებას შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინა კლეოპატრასათვისაც.

მაგრამ ცეზარმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. რუფიონი მის სახლს, მის „გვარს“ მიეკუთვნებოდა და „გვარის“ უფროსთან მას, როგორც ყმადყოფილს, მტკიცე კავშირები აკავშირებდნენ. ამიტომ ღალატზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სარდლის დაბალი საზოგადოებრივი წარმოშობა თავიდანვე გამორიცხავდა იმის საშიშროებას, რომ იგი საკუთარი პოლიტიკის გატარებას შეეცდებოდა. სამაგიეროდ, თუკი ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც იყო ეგვიპტე, სამხ. ლეგიონის სათავეში დადგებოდა ვინმე დიდგვაროვანი, რომელიც, ცხადია, მალე მოიპოვებდა დედაქალაქში დიდ ავტორიტეტსა და პატივისცემას, რჩებოდა იმისი საფრთხე, რომ ის მოისურვებდა, ზოგიერთი საკითხი დამოუკიდებლადაც გადაეწყვიტა. არც ის იყო გამორიცხული, რომ რაიმე გარემოების გავლენით ომიც კი წამოეწყო ცეზარის წინააღმდეგ. მან ხომ თავად უჩვენა იმისი შესანიშნავი მაგალითი, რამდენიმე ლეგიონზე დაყრდნობით როგორ შეიძლებოდა მთელი იმპერიის მმართველობის ხელში ჩაგდება. რაც შეეხება კლეოპატრას, ზუსტად ეს მორიდებული ოჯახის კაცი იყო ყველაზე საიმედო კლეოპატრას მიმართაც.

რომაელი არისტოკრატი ხომ თამამად გაუსწორებდა თვალს დედოფალს და შესაძლო იყო, მოსწონებოდა კიდეც. ყმად ყოფილის ვაჟის მიმართ კი ამგვარი ეჭვის შეტანაც არ შეიძლებოდა.

ამრიგად, დამოუკიდებელი მმართველობა, რომლისკენაც კლეოპატრა ასე შეუპოვრად მიისწრაფოდა, ილუზორული აღმოჩნდა; რაღა დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო, როდესაც საკუთარ ქვეყანაში იძულებული იყო ანგარიში გაეწია უცხო არმიის სარდლისათვის? აქამდე ძალაუფლებით ტკბობის მთავარი დაბრკოლება სასახლის კარზე აღზრდილი და თავისებურად (ეჭვგარეშეა!) ქვეყნისა და დინასტიის ერთგული პოთინე იყო. ახლა კი საჭირო გახდა ყველაფრის კარგად აწონ-დაწონა, რათა არ ეწყენინებინა რომაელი რუფიონისათვის, რომელიც მხოლოდ თავისი სახელმწიფოსა და გვარის წინამძღოლის ინტერესებზე ფიქრობდა.

კლეოპატრასა და ცეზარის ტრიუმფი

ეგვიპტეში ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ომის ჭრილობების მოშუშება, დანგრეული მეურნეობის აღდგენა, მოსახლეობის ნდობის დაბრუნება ხელისუფლების მიმართ. მაგრამ, ეტყობა, კლეოპატრა მაინცდამაინც არ ფიქრობდა ამგვარ საქმეებზე. ყველა თავის მოვალეობასა და ამოცანაზე მაღლა იგი ერთ სურვილს აყენებდა: შეენარჩუნებინა ცეზართან კავშირი!

სხვაგვარად როგორ შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ დიქტატორთან განშორებიდან ჯერ ერთი წელიც არ გასულიყო, რომ თავისი სამეფო მიატოვა და შორეულ იტალიაში — რომში გასწია, რათა იქ ითქმის ორ წელს დარჩენილიყო?

ალექსანდრიიდან გამგზავრების შემდეგ ცეზარს მრავალი ლაშქრობის ჩატარება მოუწია. მან ჯერ კიდევ 47 წელს მცირე აზიაში გაანადგურა ფარნაკი, რომლის სახელმწიფოც ყირიმში პერგამოსელმა მითრიდატემ ჩაიბარა. ეს წყალობა მან ცეზარისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენით დაიმსახურა. თუმცა, მართალია, დიდხანს აღარ დასცალდა საკუთარი ხელისუფლებით ტკბობა, რადგან სულ მალე მტრის ხელით დაეცა. ამის შემდეგ დიქტატორი მცირე ხნით რომში დაბრუნდა, მაგრამ მალევე კვლავ გაემგზავრა; ამჯერად აფრიკაში, სადაც სენატის ერთგული ძლიერი არმია იდგა. იგი მრავალგზისი ლაშქრობის შემდეგ ცეზარმა მხოლოდ 46 წლის გაზაფხულზე დაიმორჩილა. სარდალი ტრიუმფით მოევლინა რომს. ერთი თვის სრულიად სხვადასხვა დღეებში მან ოთხი ტრიუმფი გადაიხადა.

თავდაპირველად და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ცეზარმა გალიის დამორჩილების აღსანიშნავად ტრიუმფი იზეიმა 58-50 წლებში. ცეზარის ტრიუმფში მოჰყავდათ გალთა აჯანყების მეთაური, ვენცინგეტორიქსი, რომელიც მცირე ხნის შემდეგ, რომაელთა ჩვეულებისამებრ, მიწისქვეშა ციხეში მოაშთეს. რომაელები განაცვიფრა ტრიუმფის დროს მოწყობილმა უჩვეულო ილუმინაციებმა. [illegible] როდესაც ცეზარი კაპიტოლიუმზე ადიოდა, მას გზას უნათებდა სპილოებზე [illegible] დამაგრებული უამრავი ჩირაღდანი.

შემდგომი ტრიუმფი, ეგვიპტისა, მნახველებში გაორებულ გრძნობას იწვევდა. ისინი, ერთი მხრივ, ხარობდნენ, რომ მსოფლიოს უმშვენიერესი ქალაქი იძულებული გახდა ერთ შუჭა რომაელ ჯარისკაცებს დამორჩილებოდა და, მეორე მხრივ, მათ სიბრალულს იწვევდა ტყვექმნილი მეფის ასული არსინოე. იგი მეორე ტყვესთან — განიმედესთან ერთად მოჰყავდათ. სადღესასწაულო მსვლელობას ასევე მატებდნენ ბრწყინვალებას ახილასი და პოთინე, რადგან ტრიუმფატორებს მათი გამოსახულებები მოჰქონდათ. მიუხედავად ასეთი დამცირებისა, მეფის ასულს მაინც ბედნიერად უნდა ეგულვა თავი, მასაც ვენცინგეტორიქსის ბედი რომ არ ერგო: ცოცხალი დარჩა. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, განიმედიც დაესრჩვეს.

ტრიუმფალური მსვლელობისას ლეგიონერები სახუმარო ლექსებით აქილიკებდნენ ცეზარისა და კლეოპატრას მიჯნურობას. ეს ოდინდელი რომაული ჩვეულება იყო — ტრიუმფის დროს ჯარისკაცებს შეეძლოთ სარდალი გაეგბასრათ. ამ ჩვეულებას ალბათ საფუძვლად ედო ის ცრურწმენა, რომ ასეთი ბასრობით სარდალს ღმერთების შურისგებას აარიდებდნენ. თუმცა არ შემონახულა სიმღერები ცეზარსა და დედოფალზე, მაგრამ თუ მსგავსი ქმნილებების შინაარსისა და კილოს მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელთა ფრაგმენტებიც ჩვენთვის ცნობილია, ისინი ძალზე ფრივოლური უნდა ყოფილიყო, დაახლოებით ასეთი:

»ცოლებს გაუფრთხილდით, ხალხო,
ჩვენ მოგვყავს მელოტი მუსუსი“.

ხალხს მოსწონდა, რომ ცეზარი, თუმცაღა ძალაუფლებისა და დიდების თავბრუდამხვევ მწვერვალზე იდგა, დაცინვას ირონიით იგერიებდა. სამაგიეროდ, საეჭვოა, რომ ასევე დიდსულოვნად მიეღო ეს ბასრობა კლეოპატრას.

მესამე ტრიუმფი, რომლითაც ფარნაკის დამორჩილებას ზეიმობდნენ, მაყურებელთა მახსოვრობას შემორჩა უდიდესი დაფის წყალობით, რომელზედაც მხოლოდ სამად-სამი სიტყვა ეწერა: „Veni. Vidy. Vici.“ (მიველ. ვნახე. დავამარცხე). სახელდობრ, ასე ამცნო ცეზარმა სენატს მცირე აზიაში თავისი გამარჯვების ამბავი.

დაბოლოს, მეოთხე, აფრიკული ტრიუმფი; ყველაზე საინტერესო დეტალი, რომლის გახსენებასაც ცეზარი ძალზე ერიდებოდა, ამ ტრიუმფს ახლდა. და თუმცა, უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა, რომ ცეზარმა აფრიკაში რომის არმიაზე მოიპოვა გამარჯვება, ტრიუმფის ოფიციალურ საბაბად მაინც ნუმიდიის მეფის დამორჩილება იქნა გამოცხადებული. მეფეს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ივი იტალიაში იზრდებოდა. ოცი წლის შემდეგ კი ცეზარის მემკვიდრემ მავრიტანიის ტახტზე დასვა და ცოლად კლეოპატრას ქალიშვილი შერთო.

ვინ იცის, იქნებ ზუსტად აფრიკის ეს კამპანია იყო იმის მიზეზი, ეგვიპტის დედოფალი ასე სასწრაფოდ რომ გაეშურა რომისკენ. იმ ხანებში ჭორები იყო გავრცელებული, თითქოს ამ ლაშქრობის დროს ცეზარს მეფის ასული ევნოე შეუყვარდაო. ეს ქალიშვილი მავრიტანიის მეფის ბოგუდას ასული გახლდათ. კლეოპატრას ნამდვილად სწყუროდა გაეგო, სინამდვილეს შეესაბამებოდა თუ არა ეს ხმები. დედოფალი აინუნშიც არ აგდებდა იმას, რომ ცეზარი ცოლიანი კაცი იყო. ცეზარის მეუღლეს,

კალპურნიას, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატყუებდა, გულწრფელად უყვარდა იგი და მისი ერთგული იყო. ეს ქალი მეტისმეტად განსხვავდებოდა მაშინდელი რომაელი ჭალბატონებისაგან, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ ქმრებს და უფრო ხშირად კი — საყვარლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლეოპატრა რომში

კლეოპატრას რომში ვიზიტის ოფიციალურ მიზანს ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა. ამიტომაც იმპერიის დედაქალაქში დედოფალი თავის ძმასთან, ქმართან და თანამფლობელთან — პტოლომეუს XIV ერთად ჩავიდა. ბიჭი მაშინ 12 წლისა თუ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში რომაელთა ლეგიონები იდგნენ, კლეოპატრას მაინც ეშინოდა თავისი ძმის ქვეყანაში დატოვება. დედოფლის მტრებს შეეძლოთ ბიჭი თვითმმართველად გამოეცხადებინათ და კვლავ სამოქალაქო ომი ატეხილიყო. კლეოპატრას თან მიჰყავდა ასევე თავისი ერთი წლის ბიჭუნა. უკვე აღარავინ აღარ ეჭვობდა, რომ ჩვილი ცეზარის შვილი იყო, თუმცა ოფიციალურად ამის შესახებ ლაპარაკს ერიდებოდნენ.

სამეფო ოჯახი რომში შესაფერისი პატივით იქნა მიღებული. დიქტატორმა მათ რეზიდენციად გამოუყო საკუთარი ვილა, რომელიც ტიბროსის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქიდან მოშორებით, იანკულუმის ბორცვზე მდებარეობდა.

ეგვიპტის მონარქიული წყვილი რომში გაჩერდა 46 წელს, ტრიუმფალური ზეიმების დასრულების შემდეგ. მათი ჩამოსვლა წინასწარ ისე იყო დაგეგმილი, რომ კლეოპატრა რომში არ დასწრებოდა საადღესასწაულო ზეიმებს, რომლებითაც მისი საყვარელი და მასპინძელი, ცეზარი, ეგვიპტეზე გამარჯვებას ზეიმობდა. მაშინ ხომ იგი ბორკილდადებულს ნახავდა თავის დას, არსინოეს, რითაც ალბათ გაიხარებდა, მაგრამ სრულიად გასაგები პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით დედოფალი დაზოგეს; აარიდეს ამ სანახაობას.

უკვე თავად კლეოპატრას იმპერიის დედაქალაქში გამოჩენას ძლიერი და ამავე დროს არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება უნდა გამოეწვია. რას არ ლაპარაკობდნენ ცეზარის ალექსანდრიულ რომანზე! ხალხის მახსოვრობაში ჯერ კიდევ ცხადად შემონახულიყო ჯარისკაცთა სიმღერები და ხუმრობები! სამაგიეროდ, პირდაპირ სკანდალად გადაიქცა ამავე წლის 26 სექტემბერს გამართული ზეიმი. ცეზარმა, რომელსაც წლების მანძილზე ქურუმთუხუცესის თანამდებობა ეჭირა, იმ დღეს ტაძრის გახსნის საზეიმო ცერემონიალი შეასრულა, იმ ტაძრისა, რომელიც მისივე თანხმობით აშენდა იულიუსთა გვარის საწყისის დამდების ქალღმერთ ვენერას სახელზე. ძველი ლეგენდის თანახმად, იულიუსების და, მაშასადამე, ცეზარის გვარი სახელდობრ მისგან, სიყვარულის ქალღმერთისაგან მომდინარეობდა. ტაძრის აშენების აღთქმა დიქტატორმა ფარსალოსის ველებზე დადო, ვიდრე მისი და პომპეუსის ჯარები ერთმანეთს შეეტაკებოდნენ. ერთ-ერთი შემდგომდროინდელი ისტორიკოსი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

„შუაღამისას ცეზარმა მსხვერპლი შესწირა მარსსა და ვენერას, მათი გვარის წინაპართ და აღუთქვა, თუ გამარჯვებას მას მოუტანდნენ და მათი წყალობით იგი თავის მიზანს მიაღწევდა, მაშინ, მადლიერების ნიშნად, რომში მათი სახელობის ტაძარს ააგებდა. როდესაც ცას ელვა მოსწყდა ცეზარის ბანაკის მხარეს და პომპეუსის ბანაკის თავზე ჩაქრა, პომპეუსის მომხრეებმა ეს თავის სასარგებლოდ ახსნეს. ხოლო ცეზარმა ეს მოვლენა ასე მიიღო: მისი გამარჯვების შედეგად პომპეუსის დიდება ჩაქრებოდა“.

ერთი შეხედვით, აღთქმის აღსრულება კეთილშობილური და ტრადიციის შესა-

ტყვისი საქმე უნდა ყოფილიყო. მაშ, რამ გამოიწვია მდგომარეობის გამწვავება? ამ ტაძარში, ღმერთქალის ქანდაკების გვერდით, იდგა კლეოპატრას მშვენიერი ოქროს გამოსახულება. მაშასადამე, უცხო სახელმწიფოს მპყრობელი ქალი, რომლის წინააღმდეგაც მცირე ხნის წინ ცხარე ბრძოლები წარმოებდა, ცეზარმა თითქმის ქალღმერთის სიმაღლემდე აღამაღლა.

რამ აიძულა დიქტატორი საკუთარი გრძნობები ასე სააშკარაოზე გამოეტანა? განა ცეზარს არ მოეხსენებოდა, თუ როგორ გააამწვავებდა მდგომარეობას ამითაც ის ქალისა, რომლის საყვარლობის შესახებაც ყველამ იცოდა? ყველაზე უფრო სწორი ალბათ ასეთი ახსნა შეიძლება იყოს: რადგან კლეოპატრა ცეზარის ვაჟის დედა იყო და საკუთარ ქვეყანაში ისიდას განასახიერებდა, რომში მას ასეთივე თაყვანისცემა უნდა მიეღო ქალღმერთ ვენერასთან ერთად, რამეთუ იულიუსების ღვთიური გვარის წარმომადგენელთა ძარღვებში დედოფლის სისხლიც ჩქეფდა.

ქალღმერთ ვენერასადმი მიძღვნილი ზეიმიდან ორიოდე თვის შემდეგ ცეზარი იძულებული გახდა რომი დაეტოვებინა. იგი იტალიიდან წავიდა 46 წლის გვიან შემოდგომაზე. მას ახალი ლაშქრობები ელოდა; ამჯერად — ესპანეთში.

კლეოპატრა და მსოფლიო მონარქია

პირინეის ნახევარკუნძულზე პომპეუსის ვაჟების — სექტუსისა და გნეუსის მეთაურობით ცეზარის მტრების რაზმები იყვნენ თავშეყრილნი. გნეუსს კლეოპატრა სამი წლის წინ გაეცნო. იგი მაშინ ალექსანდრიაში იმისათვის ჩავიდა, რომ დახმარება მიეღო ცეზარის წინააღმდეგ. ყმაწვილი კაცი, როგორც ცნობილია, მოიხიბლა დედოფლის სიტურფით. რომაელ დიდებულებს შორის იგი პირველი მსხვერპლი შეიქმნა კლეოპატრასი და ეგვიპტის დედაქალაქი მხოლოდ 50 ხომალდისა და ერთი მუჭა ჯარისკაცების ამარამ დასტოვა. ახლა ის იბრძოდა, რათა მამის სიკვდილისათვის ეძია შური.

მიუხედავად ცეზარის წასვლისა, კლეოპატრა თავის სამეფოში არ დაბრუნებულა, რომში დარჩა. ალბათ ვარაუდობდა, რომ ცეზარის ლაშქრობები დიდხანს არ გასტანდა და ერთ მშვენიერ დღეს მოვიდოდა ცნობა: Veni. Vidy. Vici. მაგრამ საომარი მოქმედებები ესპანეთში მრავალ თვეს გაგრძელდა. გადამწყვეტი ბრძოლა მუნდოსთან მხოლოდ 45 წლის გაზაფხულზე გაიმართა. პომპეუსის ვაჟებმა გაქცევით უშველეს თავს. გნეუსი ამის შემდეგ მალე მოკვდა; ხოლო უმცროსი, სექტუსი, კიდევ მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა და იბრძოდა. მაგრამ ცეზარმა მტრის განადგურების შემდეგაც ვერ შეძლო რომში დაბრუნება. მას თავდაპირველად ესპანეთის, ამ უაღრესად მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყნის საქმეები უნდა მოეწესრიგებინა. ცეზარმა იტალიის მიწაზე მხოლოდ 45 წლის სექტემბერში დადგა ფეხი, ხოლო რომში ტრიუმფალური მარშით შესვლა ოქტომბრამდე ვერ მოახერხა. ამგვარად, კლეოპატრასა და ცეზარის განშორება ცხრა თვეზე მეტი ხნის მანძილზე გრძელდებოდა.

ბოლოს და ბოლოს ცეზარმა იმას მიაღწია, რომ მთელი იმპერია მის ხელთ იყო! როგორც სამარადჟამო დიქტატორი — ერთპიროვნულად და განუყოფლად მართავდა მას. ახლა, შინაურ ოპოზიციასთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, შეეძლო შედგომოდა კიდევ უფრო გაბედული საომავლო გეგმების აღსრულებას. ამ გეგმებში კლეოპატრას, თუ გადამწყვეტი არა, ალბათ მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. შესაძლოა, ჯერ კიდევ ესპანეთში ლაშქრობის დროს ცეზარმა წერილობით შეატყო-

ბინა ამის შესახებ დედოფალს. ყოველ შემთხვევაში, დიქტატორის დაბრუნების შემდეგ, მალევე ამბავი გახმაურდა, და თითქმის საჯაროზე გამოვიდა.

უახლოეს მომავალში ცეზარს განზრახული ჰქონდა მოეწყო უდიდესი ლაშქრობა აღმოსავლეთში. თავდაპირველად დაკიის დაპყრობა ეწადა; ეს ქვეყანა დუნაის ქვემო წელში მდებარეობდა, დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე. შემდეგ მას უნდა გაელაშქრა პართელების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე მრავალი წლის მანძილზე არბევდნენ იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებს. ამ ლაშქრობების წარმატებით დასრულების შემდეგ შეიქმნებოდა უდიდესი სახელმწიფო, რომელიც ატლანტიკიდან ინდოეთამდე იქნებოდა გადაჭიმული. იგი ალექსანდრე მაკედონელის მონარქიაზე უფრო ვრცელი იქნებოდა, რადგან ეს უკანასკნელი დასავლეთის ქვეყნებს არ მოიცავდა.

ცხადია, მსოფლიო იმპერიის წყობა არსებითად უნდა განსხვავებული ყოფილიყო იმისაგან, რის მიხედვითაც მართავდნენ რესპუბლიკურ რომს. წარმოუდგენელიც კი იყო, ასეთ უზარმაზარ სახელმწიფოში ძველებურად ემოქმედათ იმ კანონებს და კელავინდებურად დარჩენილიყვნენ ის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც ქალაქი-რომის მოთხოვნილებებიდან წარმოჩნდა. ცეზარი სრულიადაც არ ფარავდა იმას, რომ რესპუბლიკური წყობა მიაჩნდა არა მხოლოდ მოძველებულად, არამედ პირდაპირ უსიცოცხლოდ. იგი დაუფარავად აცხადებდა:

— რესპუბლიკა, ეს მხოლოდ ცარიელი სახელია სხეულისა, სახის თვინიერ!

მხოლოდ აღმოსავლეთის ტიპის მონარქია შეესაბამებოდა დიქტატორის გეგმებსა და პატივმოყვარეობას. ამავე დროს მრავალი ნიშნის მიხედვით ჩანდა, რომ იგი მისწრაფოდა, მეფედ გამოეცხადებინათ. მაგრამ ჭკვიანსა და ეშმაკ პოლიტიკოსს განზრახული ჰქონდა ისე წარემართა საქმეები, რომ გარეგნულად თავად მიემართა ხალხს თხოვნით მისთვის, სამეფო გვირგვინი დაიდგიო. ოღონდ ხალხმა, რომელიც ყველგან და ყოველთვის უფრო კეთილგონიერია, ვიდრე ეს მმართველებს ჰგონიათ, ამ შემთხვევაში საოცარი დაუდევრობა, მოუწადინებლობაც კი გამოიჩინა; თუმცაღა, ცეზარის მეგობრების მხრიდან არ მოჰკლებია წაქეზება და მითითებები.

ცეზარის აზრით, მომავალი სამეფოს გამგებლის ცოლი უნდა გამხდარიყო კლეოპატრა, ვის ძარღვებშიც ძველი დინასტიის მეფური სისხლი დიოდა; ტახტზე ცეზარის გვერდით მჯდარ ეგვიპტის მპყრობელს უნდა წარმოედგინა აღმოსავლეთისა და ბერძნული ქვეყნები მსოფლიო მონარქიისა. მათი შვილი კი, პტოლომეუს-ცეზარი, ნამდვილი მემკვიდრე იქნებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ხალხების ძალისა და ტრადიციებისა.

მიუხედავად ასეთი გეგმებისა, ცეზარს განზრახული არ ჰქონდა კალპურნიასთან განქორწინება. ამიტომ, როგორც ეს აღიარა მოგვიანებით მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა, მან შეიმუშავა პროექტი დებულებისა, რომლის თანახმადაც მას, მსოფლიო მონარქიის მპყრობელს, ნება ეძლეოდა პოლიგამიისა, „მთამომავლობის გამრავლების მიზნით". ეს დებულება იმავდროულად ნებას რთავდა ოფიციალურად ელიარებინა კლეოპატრასაგან უკვე დაბადებული ბავშვი.

შეიძლება გაგვიკვირდეს, ასე დიდხანს რატომ გაჩერდა კლეოპატრა თავისი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ. ეგვიპტე ხომ უკანასკნელი ამბების შემდეგ მზრუნველობას მოითხოვდა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ამ გარემოებას, მაშინ დედოფლის გულგრილობა ეგვიპტისადმი გასაგები გახდება. რამდენადაც იგი მსოფლიო იმპერიის დედოფალი და მპყრობელი უნდა გამხდარიყო, შეეძლო, ესოდენ ბრწყინვალე მიზნისათვის უგულებელეყო ერთი ქვეყნის ბედი. ეგვიპტე და განსაკუთრებით ალექსანდრია ძალზე ბევრს მოიგებდნენ მსოფლიო მონარქიის შექმნით, რომლის დედაქალაქადაც, როგორც ეს უკვე ითქვა, უნდა ქცეულიყო ალექსანდრია. ანუ ის ალექსანდრია, რომლის დაპყრობაც მცირე ხნის წინ იზეიმა რომაელმა სარ-

დალმა, დაიკავებდა რომის ადგილს, ეგვიპტე კი — იტალიისას! კლეოპატრასათვის ეს იქნებოდა უსისხლო და სრული გამარჯვება, რომელიც პარადოქსულად შეცვლიდა ყოველივეს.

ახლა, ამ ამბებიდან ოცი საუკუნის გასვლის შემდეგ, როდესაც ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს გეგმები ფანტასტიკურად გვეჩვენება; ოღონდ მაშინ, იმ უჩვეულო დღეებში, როდესაც მთელი იმპერია ცეზარის ფეხებთან ეგო, ეს გეგმები სრულიად სხვა შუქზე წარმოსდგებოდა. არც მათი რეალისტობა მოჩანდა შეუძლებლად შორეულად. ყოველ შემთხვევაში, კლეოპატრა სულიერულად იღებდა მათ, დარწმუნებული ცეზარის მხარდაჭერასა და მფარველობაში. ცნობილ რომაელ დიდებულებთანაც კი ისე იქცეოდა, როგორც დედოფალი და მპყრობელი. ეს საკუთარ თავზე იწვნია ციცერონმა.

კლეოპატრა და ციცერონი

„მე მეზიზღება დედოფალი. ამინიუსმა, რომელსაც დაკისრებული აქვს მის მიერ მოცემული პირობის აღსრულება, კარგად იცის, რომ მაქვს ამის სრული უფლება. მე მას ვთხოვე მეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება და ამის შესახებ მიტინგზეც კი განვაცხადე. რაც შეეხება სარას, გარდა იმისა, რომ იგი ულირსი ადამიანია, ჩემს მიმართ ქედმაღლურადაც მოიქცა: იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე ჩემს სახლში და ჩემს ზრდილობიან შეკითხვაზე, თუ რა სურდა, უხეშად მომიგო: ატიკას ვეძებო. ხოლო ის, თუ როგორ უხეშად მომექცა დედოფალი ტიბრისპირა პარკში, არ ძალმიძს გავიხსენო ტკივილების გარეშე".

რათა მივხვდეთ, რაოდენ განრისხებული იყო ციცერონი, უნდა გავიხსენოთ, რომ წერილი, რომლის ფრაგმენტიც აქ მოვიტანეთ, დაწერილია უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, რაც კლეოპატრა რომიდან გაემგზავრა. როგორც ჩანს, დრომაც ვერ განკურნა წყენა. თავად ამბავი, რომლის შესახებაც ციცერონი ზოგადად ლაპარაკობს, ალბათ შემდეგში მდგომარეობდა:

45 წელს ან შესაძლოა 44 წელსაც კი, შორსმჭვრეტელი და წინდახედული ციცერონი დედოფალს მის აგარაკზე ესტუმრა; მას სურდა, პირადად წარსდგომოდა მანდილოსანს, რომელიც დიქტატორის უაღრესი ყურადღებით სარგებლობდა. სტუმრობის საბაბად მან გამოიყენა თხოვნა რომელიღაც იშვიათ წიგნზე, რომელიც ძლიერ სჭირდებოდა ფილოსოფიური ტრაქტატის დასასრულებლად, რომელზედაც იმხანად მუშაობდა. დედოფალს შეეძლო ებრძანებინა, ეს წიგნი მისთვის ჩამოეტანათ ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან. ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ხომ ყველაფერი ინახებოდა; რაც კი ოდესმე ბერძნულ ენაზე დაწერილა. აუდიენციის დროს კლეოპატრა კეთილგანწყობით დაეთანხმა სენატორის თხოვნას და ერთ-ერთ თავის დიდებულს, ამონისს, დაავალა, ეზრუნა მის შესრულებაზე. ხოლო მან კი, მიუხედავად დაპირებისა, არაფერიც არ შეუსრულა! დედოფლის თანმხლებმა მეორე დიდებულმა კი, სარამ, როდესაც ციცერონის სახლში მივიდა, სახლის პატრონი კი არ იკითხა, არამედ ციცერონის მეგობარი — ატიკა.

იმ პერიოდში ციცერონი მართლაც რომ ძალზე ბევრს კითხულობდა და წერდა. რომში უკვე აღარ არსებობდა ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც აქამდე ასე იტაცებდა მას. ახლა გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა სენატის სხდომებსა და სახალხო საკრებულოებზე, არამედ — დიქტატორის კერძო აგარაკის ოთახებში. ახლა ცეზარის ყმადყოფილები უფრო მეტს ნიშნავდნენ, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწეები. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ასეთ სიტუაციაში პატივმოყვარე და განათლე-

ბული ადამიანი ერთადერთ ნუგეშს ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ მუშაობაში ეძიებდა. ამავე დროს სურდა, რომ ეს გონებრივი მოღვაწეობა საზოგადოებისათვის სასარგებლოც ყოფილიყო. თავის ახალ ნაწარმოებში, რომელსაც „ტუსკულუმური საუბრები" უწოდა, იგი წერდა:

„როდესაც ბოლოს და ბოლოს სრულიად თუ მნიშვნელოვნად გავთავისუფლდი სენატორისა და ადვოკატის მოვალეობისაგან, ბრუტუს, შენგან მხურვალედ წახალისებული, დავუბრუნდი მეცნიერულ ინტერესებს, რომლებიც ჩემს სულში არსებობდა, თუმცა ყოველდღიური საქმეები განვითარების საშუალებას არ აძლევდა. ეს დაინტერესება, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უკუგდებული, კვლავ გაცოცხლდა ჩემში. და ვინაიდან ყოველგვარი მეცნიერების ცნებებსა და პრინციპებს, რომლებიც ჭეშმარიტ პროგრესს ეხება, შეიცავს ფილოსოფიად წოდებული სიბრძნის მეცნიერება, ამიტომ, განვიზრახე ამ მეცნიერების ლათინურ ენაზე წარმოდგენა".

ეს სიტყვები ციცერონის ნაშრომის შესავალიდან არის მოტანილი. ნაწარმოების სცენარი თამაშდება ავტორის აგარაკზე, ტუსკულუმში, რომის ახლოს, ალბანიის მთების კალთებზე რომ მდებარეობდა; იქ ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ციცერონის მეგობრები: მარკუს ბრუტუსი, ტრებატიუსი, კურტიუსი. იქ ხშირად მიდიოდა აგრეთვე მისი სიძეც, დოლაბელა. ვითომდა ტუსკულუმში მომხდარი საუბრები ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების შესახებ ციცერონმა ხუთ წიგნში წარმოადგინა. სრულიად შესაძლებელია, რომ სახელდობრ ამ წიგნზე მუშაობისას მიმართა ციცერონმა თხოვნით ეგვიპტის დედოფალს ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან რომელიღაც ძველი მოაზროვნის ტრაქტატის ჩამოტანის თაობაზე. არსებითად, „ტუსკულუმური საუბრები" ხომ მხოლოდ პარაფრაზირებაა და პოპულარიზაცია სხვადასხვა ბერძნული ფილოსოფიური სკოლების პრინციპული დებულებებისა.

„ტუსკულუმური საუბრების" პირველი საუბარი ეხება სულის უკვდავების პრობლემას. თავის ნაშრომში ციცერონი იმ შეხედულებას ადგას, რომ სხეულის სიკვდილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანის მოელი არსებისათვის წერტილის დასმას. ამის საპირისპიროდ მასთან მოსაუბრის სიტყვებში ის აზრია გატარებული (და მას იზიარებს კიდეც მოსაუბრეთა უმრავლესობა), რომ სიკვდილი ბოროტებაა, რამეთუ მას არარაობამდე დავყავართ. ეს სევდიანი აზრი გამოხმაურებაა შორეულ ეგვიპტეში ქურუმთუხუცესის პშერენი-პტაჰის მეუღლის ტა-იმჰოტეპის სიტყვისა, შესახებ არყოფნისა, ეპიტაფიად რომ წააწერა მეუღლის საფლავის ქვას.

მარტის იდა და კლეოპატრა

44 წლის აპრილს ციცერონი თავის მეგობარს, ატიკას სწერდა: „ჩემთვის სრულიადაც არ არის საწყენი დედოფლის გაქცევა". და მცირე ხნის შემდეგ, იმავე წლის 11 მაისს ეკითხებოდა მას: „მსურს უფრო მეტი ვიცოდე დედოფლისა და იმ ცეზარის შესახებ".

იმ დროისათვის კლეოპატრა და „ის ცეზარი", ანუ მისი ბიჭუნა, უკვე ეგვიპტეში იყვნენ, ვინაიდან ტიბროსის პირას, სადაც თითქმის ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ, მათ აღარ დაედგომებოდათ. რომში დიდხანს გაჩერება, შესაძლოა, სახიფათოც კი გამომდგარიყო ორივესათვის, რადგან მათ უკვე დაკარგეს ძლიერი მფარველი. მსოფლიო მონარქიის მომავალი მპყრობელი, მომავალი მეუღლე და თანამპყრობელი კლეოპატრასი, 15 მაისს განგმირული დაეცა სენატის სხდომათა დარბაზში. შეთქმულთა ხანჯლებმა მას ოცდასამი ჭრილობა მიაყენა. მკვლელებს, რომელთა შორისაც დიქტატორის ბევრი მეგობარი ერია, მეთაურობდნენ მარკუს ბრუ-

ტუსი და გაიუს კასიუსი. მათ მოკლეს ცეზარი, რადგან ეწადათ, გადაერჩინათ რესპუბლიკა ანუ რომის იმჟამინდელი წყობა. იმ მიზეზთა შორის კი, რომელმაც შეთქმულება დააჩქარა, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კლეოპატრას საკითხს: გრძნობას, რომელიც დიქტატორს მის მიმართ ამოძრავებდა და ასევე შიშს, რომ ახლო მომავალში იგი გახდებოდა მფლობელი იმპერიისა, იმ იმპერიისა, რომლის დედაქალაქადაც ალექსანდრია უნდა ქცეულიყო. ასე რომ, მარტის იდა გარკვეულად კლეოპატრას დანაშაულიც იყო — მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე დამღუპველად მოქმედებდა დედოფლის უაღრესად სასიცოცხლო ინტერესებზე.

ეგვიპტის დედოფლისათვის ცეზარის სიკვდილი ნიშნავდა არა მხოლოდ ყველა, ერთი შეხედვით ფანტასტიკური გეგმისათვის წერტილის დასმას (რეალიზაციისათვის აგრე მომზადებულს). ახლა საქმე იმის გადარჩენას ეხებოდა, რასაც დედოფალი ფლობდა და, შესაძლოა, თვით სიცოცხლის შენარჩუნებასაც კი. კლეოპატრამ იცოდა, რომ რომში, განსაკუთრებით სენატორებს შორის, ბევრი მტერი ჰყავდა. რამდენ მათგანს აწყენინა თავისი ქედმაღლური საქციელით! ციცერონი გამონაკლისი არა ყოფილა. საკუთარ ქვეყანაში კი, და განსაკუთრებით ალექსანდრიაში, მოსახლეობის ნაწილის მტრული განწყობილების მოლოდინი უნდა ჰქონოდა. არც ის იყო გარკვეული, დაიცავდა თუ არა მას ეგვიპტეში განწესებული სამი ლეგიონი ისე, როგორც ცეზარის დროს, თუ ისინიც დაემორჩილებოდნენ რომიდან მოსულ ბრძანებას, რაც ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი — მოეკლათ დედოფალი, რათა ეგვიპტე, როგორც ახალი პროვინცია, იმპერიას შეერთებოდა. კლეოპატრას მოძულე სენატორებს ადვილად შეეძლოთ გაეტარებინათ ბრძანება, რომლის გარშემო კამათიც მამამისის სიცოცხლეშივე მიმდინარეობდა.

მხოლოდ ერთ ფაქტს შეეძლო კლეოპატრას დამშვიდება: სიტუაცია ნათელი არ იყო თვით რომში. შეთქმულებს მიაჩნდათ, რომ საკმარისი იყო მოეკლათ დიქტატორი (მას ტირანს უწოდებდნენ), რომ ყველაფერი ძველებურ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა, რაც მათი გაგებით ნამდვილი თავისუფლება იყო. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ არსებობდა მოკლულის ერთგული დაჯგუფება, ხოლო სენატმა კი კარგად იცოდა, თუ ვისი მხარე დაეჭირა და რა მოემოქმედა. ცეზარის დაკრძალვის დღეს, 20 მარტს, საქმე არეულობამდეც კი მივიდა. დიქტატორის მკვლელები სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მალე ისინი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ იტალია.

იმ ხანებში ციცერონი რომში არ იმყოფებოდა. კლეოპატრას გაქცევის შესახებ მან მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში შეიტყო. აქედან გამომდინარეობს, რომ დედოფალს რომი მარტის იდაში არ დაუტოვებია. იგი, ალბათ, მიუხედავად არსებული სახიფათო მდგომარეობისა, ერთხანს კიდევ შეჩერდა რომში, რათა მოვლენების მსვლელობისათვის თვალყური ედევნებინა. ოღონდ სამგლოვიარო ცერემონიალი დედოფალს ბოროტ მოულოდნელობას უმზადებდა. ფორუმზე ანტონიუსმა ცეზარის ანდერძი წაიკითხა — თავის მთავარ მემკვიდრედ ცეზარს დის შვილიშვილი, გაიუს ოქტავიანე, 19 წლის ბიჭი დაენიშნა, რომელიც ასევე თავის ვაჟიშვილად ეღიარებინა. სამაგიეროდ ანდერძში საერთოდ არ იყო მოხსენიებული დიქტატორის ნამდვილი ვაჟიშვილი, იმდროისათვის სამი წლის — პტოლომეუს ცეზარი!

ამგვარი გვერდის ავლა კი — რაც კლეოპატრამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა

სცოდნოდა — გამომდინარეობდა იმ უბრალო ფაქტიდან, რომ ცეზარი, რომაელი და რომაელთა დიქტატორი, თავის რომაულ ანდერძში ვერ შესძლებდა საერთოდ გაეთვალისწინებინა პიროვნება, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით სრულიად სხვა სამყაროს ეკუთვნოდა. არ შეეძლო ამის გაკეთება პოლიტიკურ, და ნაწილობრივ ფორმალურ მიზეზთა გამო. ამიტომ გეგმებიც, რაც დედოფალ [illegible] ვაჟთან (თავის ერთადერთ ვაჟთან!) იყო დაკავშირებული, ცეზარს განზრახული ჰქონდა სრულიად სხვა გზითა და სხვა ხერხებით, რომის კანონმდებლობის გვერდის ავლით, ლეგალურად განეხორციელებინა.

ყოველდღიურად ცხადი ხდებოდა, რომ იმპერიაში სამოქალაქო ომის ხანძარი უნდა ავარდნილიყო — ცეზარის მემკვიდრეობის მისათვისებლად. უკვე შეიძლებოდა აგრეთვე მთავარი ძალების განსაზღვრაც, რომლებიც ერთმანეთს შეეჯახებოდა. ესენი, უპირველეს ყოვლისა, ცეზარის მკვლელები და სენატის მომხრეები იყვნენ. ბევრნი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თუმცა თავს რესპუბლიკური წყობის ერთგულებად ასაღებდნენ, მაგრამ სინამდვილეში, დიქტატორის ადგილის დაკავებას ცდილობდნენ. მხედველობაში იყო მისაღები აგრეთვე ცეზარის შვილობილი გაიუს ოქტავიუსი, რომელსაც ამიერიდან ოქტავიანეს ეძახდნენ. მას თავდაპირველად თუმცა უგულვებელყოფდნენ, მაგრამ ცეზარის ანდერძმა იგი მნიშვნელოვან პირად აქცია.

კლეოპატრას მეტი დაყოვნება აღარ შეეძლო. მდგომარეობა აიძულებდა ეგვიპტეში დაბრუნებულიყო და იქ დალოდებოდა ქარიშხლის ჩაცხრომას.

(დასასრული იქნება)

ლასლო ეცე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა

ვერდის რომ დღიურები ეწერა

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან უნგრეთში ზედიზედ გამოიცა მეტად ორიგინალური წიგნები, რომელთაც გამოსცლოდათ ეხვეოდა მიიჭცეს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, რადგან თვით სახელწოდებანი წიგნებისა აღძრავდა ცხოველ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას — „ბახს რომ დღიურები ეწერა"..., „მოცარტს რომ დღიურები ეწერა"..., „ვერდის რომ დღიურები ეწერა"... და ა. შ. სათაურებიდანვე ჩანს, რომ ეს წიგნები დღიურები არ არის, მაგრამ რაკი შედგენილია მხოლოდ და მხოლოდ პირადი წერილებისა და სხვა დოკუმენტური მასალების მიხედვით და, დღიურების დარად, ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — წლიდან წლამდე, დღიდან დღემდე — გადმოგვიშლის დიდი კომპოზიტორების მღელვარე ცხოვრებას, მათ თაეიდან ბოლომდე გასდევთ ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი უშუალობა და დინამიზმი. მკითხველი შორიდან, წლების გადასახედიდან კი არ გასცქერის დიდი ადამიანების უკვე განვლილ ცხოვრებას, არამედ კვალდაკვალ მისდევს მოვლენებს, თითქოს თავად ხდება ამ ბობოქარი დღეების მომსწრე და მონაწილე; ეს წიგნები უკვე განვლილი ცხოვრების ცივ ანალიზს კი არ გვთავაზობენ, არამედ შენს თვალწინ მომხდარ მოვლენებს ცოცხალი ემოციებით მუხტავენ...

ეფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს სწორედ ასეთი ცოცხალი ემოციებით დამუხტულ ცხოვრებას კომპოზიტორისა, რომლის მუსიკა ასე შეყვარა და გაითავისა ჩვენმა ხალხმა.

მთარგმნელი

I

წინასიტყვაობის მაგივრად

ვერდის არასოდეს უწერია დღიურები და არც მოგონებების წერა განუზრახავს. „არასოდეს, არასოდეს არ დავწერ მოგონებებს. ის არ კმარა, რომ მუსიკალური სამყარო ამდენი ხანია მოთმინებით ისმენს ჩემს მუსიკას, ახლა ჩემი პროზის კითხვაც მივუსაჯო?!" (გერმანული გამომცემლობის „დოიჩე ფერლასანშტალტის" დირექტორს, შტუტგარტი, 1895 წ. 21 ივნისი).

წერილებს კი ბევრსა სწერდა ვერდი. მათ შორის შეხვდებით ავტობიოგრაფიული ხასიათისას. მაგრამ სასტიკი წინააღმდეგი იყო თავისი წერილების პუბლიკაციისა.

რა საჭიროა კომპოზიტორის წერილების გამოქვეყნება? ეს წერილები ხომ ნაჩქარევად, დაუდევრად იწერება, ისე რომ ავტორი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს მათ, განა საკმარისი არ არის, რომ მის მუსიკას სტვენით ხვდებიან? არა, ბატონო! ო, ეს წყეული დიდება! რა ძვირი უჯდებათ თავიანთი პოპულარობა ამ საწყალ, გამოჩენილ, პაწაწუნა, დიდ ადამიანებს. არც ცოცხლებს და არც მკვდრებს ერთი ბეწო მოსვენება არა აქვთ" (არივაბენთან მიწერილი წერილიდან, 1880 წ. 18 ოქტომბერი).

მიუხედავად ამისა, უკვე 1913 წელს (ანუ კომპოზიტორის გარდაცვალების 12 წლის შემდეგ) მაინც გამოქვეყნდა ნაწყვეტები ვერდის პირადი წერილებიდან, რომლებიც შემდეგშიაც ბევრჯერ დაიბეჭდა. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან მუსიკის გარდა, თუ არა პირადი წერილები და მისი ახლობლების მოგონებანი, სხვა ვერაფერი დაგვიხატავს ასე მართლად და დამაჯერებლად ვერდის, როგორც ადამიანისა და ხელოვანის, პორტრეტს. ეს წერილები შუქსა ჰფენენ დიდი კომპოზიტორის ბუნების ყველაზე უფრო დამასასიათებელ თვისებებს: მარად ჭეშმარიტების ძიებას, თავისუფლების დაუცხრომელ წყურვილს და, რაც მთავარია, მის ადამიანურ ღირსებებს.

ესენი გვისსნიან ხელოვანის ორ ყველაზე დამახასიათებელ თვისებას: ჯერ ერთი იმას, რომ ვერდი სიცოცხლის ბოლომდე ვლეხად დარჩა და მეორეც — დაბადების პირველი წუთიდან გენიოსი იყო.

მაგრამ ხელოვანის დღიური (გინდ ნამდვილი იყოს და გინდ მოგონილი), რა უჩვეულოდ ბრწყინვალე ცხოვრებაზეც არ უნდა მოგვითხრობდეს, მისივე ქმნილებების გარეშე უფერული, მკვდარი მასალაა. მხოლოდ ვერდის მუსიკას შეუძლია ბრწყინვალება და სიცოცხლე შემატოს ამ სტრიქონებს.

მეორე მხრივ, როცა კომპოზიტორის პიროვნებასა და ცხოვრებას საფუძვლიანად იცნობთ, მისი მუსიკით განცდილი სიამოვნებაც უფრო ღრმა იქნება.

ამის რწმენამ დაგვაწერინა ეს წიგნი.

●

ვერდი უდიდესი იტალიელი კომპოზიტორი კი არ არის მხოლოდ (რადგან კომპოზიტორთა შორის ის ყველაზე უფრო იტალიელია), არამედ მოცარტს და ვაგნერთან ერთად, ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია სცენური მუსიკის, ოპერისა.

მაგრამ სანამ ფარდა აიხდებოდეს და ჩვენ წინ ეს გრძელი, სხვადასხვა ამბებით მდიდარი ცხოვრება გათამამდებოდეს, პროგრამაში ჩავიხედოთ და მონაწილეებს გავეცნოთ.

ვერდის ცხოვრების მთავარი მოქმედი პირები არიან: მამა, **კარლო ვერდი** (1785-1867), წვრილვაჭარი, სოფელ ლე რონკოლეში დუქნის მფლობელი, და დედა **ლუიჯია უტინი** (1787-1851) — ფეიქარი; წერა-კითხვა არც ერთმა არ იცოდა.

მფარველი, მოგვიანებით სიმამრი — **ანტონიო გარეცი** (1787-1867), ბაყალი და ღვინის ვაჭარი ქალაქ ბუსეტოში, მოყვარული მუსიკოსი.

მასწავლებლები: **ფერდინანდო პროვეზი** (1770-1833) — პარმელი კომპოზიტორი, ქალაქ ბუსეტოს მთავარი მუსიკოსი.

ვინჩენცო ლავინია (1776-1836) — საოპერო კომპოზიტორი, დაამთავრა ნეაპოლის კონსერვატორია, მუსიკის მასწავლებელი მილანში.

პირველი მეუღლე: **მარგერიტა გარეცი** (1814-1840).

მეორე მეუღლე: **ჯუზეპინა სტრეპონი** (1815-1897) — გამოჩენილი მომღერალი, სოპრანო.

მოწაფე: **ემანუელე მუციო** (1821-1890) — კომპოზიტორი, დირიჟორი.
ლიბრეტისტები: **თემისტოკლე სოლერა** (1821-1890) — ფერარელი პოეტი.
ფრანჩესკო მარია პიავე (1810-1878) — ვენეციელი პოეტი, ვერდის ალფრთოვანებული თაყვანისმცემელი, გამოჩენილი ლიბრეტისტი.
სელვატორე კამარანო (1801-1852) — დიდად განათლებული ნეაპოლელი პოეტი, მთარგმნელი.
ანტონიო სომა (1809-1864) — დრამატურგი, გაზეთის რედაქტორი. მეგობარი პატრიოტი.
ანტონიო გისლაცონი (1824-1893) — მომღერალი, „აიდას" ლიბრეტოს ავტორი.
არიგო გოიტო (1842-1918) — ნიჭიერი კომპოზიტორი, პოეტი, მთარგმნელი.
პირველი იმპრესარიო: **ბარტოლომეო მერელი** (1794-1879) — მილანის თეატრის „ლა სკალას" და ვენის თეატრის „კერტნერტორის" ანტრეპრენიორი.
გამომცემლები: **ჯოვანი რიკორდი** (1785-1853) — მუსიკოსი, ნოტების გადამწერი, მილანის გამომცემლობის დამაარსებელი.
ტიტო რიკორდი (1811-1888) — ჯოვანის ვაჟი.
ჯულიო რიკორდი (1840-1912) — ჯოვანის შვილიშვილი, მწერალი და კომპოზიტორი.
პირველი გამოჩენილის ინტერპრეტატორები:
ანჟელო მარიანი — დირიჟორი და კომპოზიტორი (გენუაში, ბოლონიაში).
ფრანკო ფაჩო (1840-1891) — დირიჟორი და კომპოზიტორი (მილანში).
ედუარდო მასკერონი (1859-1941) — დირიჟორი და კომპოზიტორი.
ტერეზა შტოლცი (1834-1902) — მსოფლიოში ცნობილი ჩეხი მომღერალი, სოპრანო.
მარია ვალდანი (1844-1920) — მსოფლიოში ცნობილი ვენელი მომღერალი, მეცო-სოპრანო, მოგვიანებით ჰერცოგ მასარის მეუღლე.
ვიქტორ მორელი (1847-1923) — გამოჩენილი ფრანგი ბარიტონი.
ფრანჩესკო ტამანიო (1850-1905) — სახელგანთქმული იტალიელი ტენორი.
მეგობრები: **ანდრეა მაფეი** (1798-1885) — პოეტი; და მისი მეუღლე — გრაფის ასული კლარა.
ემილია მოროზინი (1804-1875) — მილანელი დიდგვაროვანი მანდილოსანი.
ოკრანდინო არივაბენე (1805-1887) — მწერალი, ჟურნალისტი, მაღალი კულტურის ადამიანი.
ჯუზეპე პიროლი (1815-1890) — იურისტი-პროფესორი, სახელმწიფო მოღვაწე.
ჯულიო კარკანო (1812-1882) — მწერალი, მთარგმნელი.
ვინჩენცო ლუკარდი — რომაელი მოქანდაკე.
ჩეზარე დესანკტისი — ნეაპოლელი ეჭვარი, მეცენატი.
სპინელი—კარარა (1814-1886).

ძნელი ახალგაზრდობა (1813—1840).

1813

ნაპოლეონის იმპერიის ერთ განაპირა კუთხეში, პალმების გადაღმა, პარმასა და პიაჩენცას შორის მდებარე ტაროს ოლქში, მდინარე პოს ნოყიერ ველზე, პატარა ქალაქ ბუსეტოს მეზობლად მდებარეობს სოფელი ლე რონკოლე. აქ ერთ უბრალო სახლში

10 ოქტომბერს დაიბადა ჯუზეპე ვერდი.

11 ოქტომბერს სოფლის მიქაელ-მთავარანგელოზის ეკლესიის წიგნში ჩაიწერა ასეთი სიტყვები: „მე, კაროლუს არკარიმ, სოფელ რონკოლეს მღვდელმა, დღეს დილით მოვნათლე ყრმა, რომელიც წუხელ, რვა საათზე დაიბადა. ყრმის მშობლები ჩვენი მრევლის ცოლ-ქმარია: კარლო ვერდი, ძე იოზეფისა და ცოლი მისი ალოზია უტინი; ბავშვს დავარქვით იოზეფ, ფორტუნინუს, ფრანცისკუს...“.

12 ოქტომბერი. ეს მოვლენა აღნუსხულია ქალაქ ბუსეტოს ეკლესიის საბუთის მიხედვით ბავშვის სახელია ჟოზეფ-ფორტუნინ-ფრანსუა.

ბავშვი იტალიელი, იტალიის სოფელში დაბადებული, მაგრამ მისი სახელი არც ერთ საბუთში არ არის მოხსენებული იტალიურად — ჯუზეპე, საეკლესიო ენა ყველგან და ყოველთვის ლათინურია. ხოლო იტალიაში სახელმწიფო ენა იმხანად ფრანგული იყო.

მაგრამ „ხალხთა დიდმა ბრძოლამ“, რომელიც 16-19 ოქტომბერს ლაიპციგის მახლობლად გაიმართა, ისტორიის ბორბალი შემოატრიალა. ნაპოლეონის იმპერია დაიშალა.

1814

რუსეთ-ავსტრიის მოკავშირე ჯარები გააფთრებით უტევენ ფრანგებს, რომელთაც ალპებსგადაღმა იტალიის პროვინციები დაუპყრიათ. პარმის საპერცოგოს ვენის კონგრესი მარია-ლუიზას გადასცემს. რონკოლელებმა, ისევე როგორც ბევრმა სხვამ, თავად გამოსცადეს გააფთრებული ბრძოლების საშინელება. ქალები და ბავშვები (მათ შორის ვერდის დედაც თავის პატარა ბიჭთან ერთად) ეკლესიას აფარებენ თავს. ამ ისტორიული მოვლენებით უნდა აიხსნას, თუ რატომ არევია თარიღი დედას და ამიტომ თვით ვერდისაც, რომელიც ისე მოიყარა სამოცდა სამი წლისა, რომ თავის დაბადების დღედ 1814 წლის 9 ოქტომბერი მიაჩნდა.

1815-1822

კარლო ვერდის დუქნისა და ოსტერიას (პატარა სასადილო) მწირი შემოსავალი ძლივს არჩენს ოჯახს. ავადმყოფობა უმცროსი ქალიშვილის — ჯუზეპა ფრანჩესკასი, რომელიც 1816 წლის 20 მარტს დაიბადა, კიდევ უფრო მეტ საფიქრალს უჩენს მშობლებს.

ბიჭი, ჯუზეპე, ღვთის წყალობით, ჯანმრთელია. ცხოვრობს ისე, როგორც ყველა სოფლელი ბიჭი. მისი მთავარი გასართობია ყურისგდება მოხეტიალე მუსიკოსებისა, რომლებიც ზოგჯერ მამამისის ოსტერიაშიც შედიან, ან არა და, ორგანის მოსმენა, რომლის ხმაც მახლობელი ეკლესიიდან მოესმის. ექვსი წლის ჯუზეპე წერა-კითხვისა და მუსიკის სწავლას იწყებს. მისმა პირველმა მუსიკის მასწავლებელმა, ადგილობრივმა ორგანისტმა — მოხუცმა პიეტრო ბაისტროკიმ განსაკუთრებული ნიჭიერება შეატყო ბავშვს და სიამოვნებით ამეცადინებს. მამაც, მწირი შემოსავლის მიუხედავად, რამდენადაც შეუძლია, ხელს უწყობს შვილის მუსიკალურ განვითარებას.

1820 წელს მამა ერთ დანჯღრეულ სამაგიდო სპინეტს[1] უყიდის. ჯუზეპე ნიჭთან ერთად დიდ შრომისმოყვარეობასაც ამჟღავნებს; და ამით უნდა აიხსნას, რომ სტეფანო კავალეტი, რომელიც 1821 წელს ძველ სპინეტს შეაკეთებს, გასამრჯელოს არ გამოართმევს. სპინეტში იგი ქაღალდის ფურცელს ჩადებს, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა და რა შეაკეთა, და იქვე მიაწერს: „ჩემთვის ისიც კარგი გასამრჯელოა, როცა ვხედავ, რა ბეჯითად სწავლობს ყმაწვილი ჯუზეპე ვერდი ამ ინსტრუმენტზე“.

1. სპინეტი — ეროგვარი კლავიშიანი საკრავი, მცირე ზომის კლავესინი.

მალე ნათელი ხდება, რომ ლე რონკოლეში ვერდი მეტს ვეღარაფერს ისწავლის. ბაისტროკი უკვე ხედავს, რომ მოწაფე მას არაფრით არ ჩამორჩება. კარლო ვერდი ყურად იღებს ბაისტროკისა და ანტონიო ბარეცის შეკონებას და შვილს სწავლის გასაგრძელებლად, ბუსეტოში აგზავნის, მეზობელ პატარა ქალაქში, რომლის მოსახლეობა ორიათასს არ აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1823

შემოდგომაზე კარლო ვერდი შვილს პატიოსანი ხარაზის, პუნიატეს, სახლში აბინავებს.

ნოემბერში ჯუზეპე მეცადინეობას იწყებს გიმნაზიაში, რომელსაც დონ პიეტრო სელეტი ხელმძღვანელობს. თავისუფალ დროს ბიჭი გულმოდგინედ ვარჯიშობს სპინეტზე, კვირაობით და უქმე დღეებში ლე რონკოლეში მიდის და იქ — თუმცა მცირე გასამრჯელოს საფასურად — ეკლესიის ორგანისტობას ასრულებს, რადგან პიეტრო ბაისტროკის გარდაცვალების შემდეგ ამ ადგილზე აღარავინ აუყვანიათ.

1825

შემოდგომიდან ვერდი სისტემატურ მეცადინეობას შეუდგება ბუსეტოს მუსიკალურ სკოლაში. მისი მასწავლებელი ფერდინანდო პროვეზი ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს. მაგრამ სელეტი ბავშვს მღვდლის კარიერისთვის ამზადებს, რადგან ეს ლუკმაპურით მაინც უზრუნველყოფს.

1826-1827

მოხდა ისე, რომ ერთხელ ეკლესიის ორგანისტი სადღაც წავიდა და წირვის დროს იგი ვერდიმ შეცვალა. სელეტიმ რომ მოუსმინა და კომპოზიციაში მის პირველ ცდებს გაეცნო, ასე უთხრა: „განაგრძე მუსიკაში მეცადინეობა... შენ შიმშილით სიკვდილი ნამდვილად არ გელის“.

ბარეცის სახლში ვერდის პირველად ეძლევა საშუალება ფორტეპიანოზე დაუკრას და მონაწილეობა მიიღოს ფილარმონიის ორკესტრის რეპეტიციებში. იგი ეცნობა სხვა მუსიკალურ საკრავებსაც და თანდათან მათზე დაკვრასაც ეჩვევა. შინ კი პარტიტურებს სწავლობს, რომლებიც პროვეზიმ ათხოვა.

1828

აღდგომა დღეს ბუსეტოს თეატრში პირველად აჟღერდა საჯაროდ ვერდის მუსიკა: ფილარმონიის ორკესტრმა შეასრულა ვერდის უვერტიურა როსინის „სევილიელი დალაქისათვის“ (იმ დროს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სხვათა შორის, როსინიმ თვითონვე „ისესხა“ თავისივე უვერტიურა ოპერიდან „ელიზაბეთი, ინგლისის დედოფალი“, რომელსაც წარმატება არა ჰქონია).

პირველი წარმატება ძალას მატებს ვერდის და მეტი სიბეჯითით განაგრძობს მუშაობას: ბარეცის ანსამბლს იგი უწერს მარშებს სასულე ორკესტრისათვის, არიებს, დუეტებს, საფორტეპიანო პიესებს და ბოლოს ქმნის თავის პირველ დიდ ნაწარმოებს — რვანაწილიან კანტატას ალფიერის ლექსებზე, სოლო ბარიტონისა და ორკესტრისათვის.

1829

შემოდგომაზე პროვეზი განაცხადებს: ვერდის სწავლა დამთავრებულიაო. ამ დროიდან ყმაწვილი ჯუზეპე მის ასისტენტად მუშაობს.

24 ოქტომბერი. ვერდი მეზობელ სოფელში მონაწილეობს კონკურსში ორგანისტის ადგილისათვის:

„იმასთან დაკავშირებით, რომ სორანიეს სამრეველო ეკლესიის ორგანისტი სინიორ ფრონდინი ამ დღეებში საკუთარი სურვილის მიხედვით ანებებს თავს სამსახურს, მის ადგილს ითხოვს სოფელ რინკოლეს მცხოვრები ჯუზეპე ვერდი; რაღა თქმა უნდა, მას შემდეგ, როცა იგი ჩაბარებს სათანადო დასტურსა თუ საჯარო გამოცდებს“.

თავის თხოვნას ვერდიმ პროვეზის რეკომენდაცია დაურთო: „მე, ქვემორე ხელის მომწერი, ვადასტურებ სრულ ჭეშმარიტებას, რომ ოთხი წლის განმავლობაში ვერდი სწავლობდა ჩემთან მუსიკის თეორიასა და პრაქტიკას; ახლა მას უკვე შეუძლია დაიკავოს ორგანისტის ადგილი, როგორც წირვის დროს, ისე სხვა შემთხვევაშიც, როცა საჭირო იქნება მუსიკალური თანხლება“.

მაგრამ ორგანისტის ადგილი სხვას შეხვდება; ისე რომ, ვერდის სურვილი, საფუძვლიანად დახმარებოდა მშობლებს, ვერ ასრულდა; ჭაბუკი ბუსეტოში რჩება და სწავლას განაგრძობს. აქ გაეცნობა რომანტიკული ლიტერატურის გამოჩენილ ძეგლს — მანცონის რომანს — „დანიშნულები“. ქმნის მუსიკას.

1830

18 თებერვალი. პროვეზი ქალაქ ბუსეტოს თავს დაპატიჟებს მუსიკალურ-ლიტერატურული საზოგადოების მიერ გამართულ კონცერტზე, რომელიც ბარეცის სახლში გაიმართა. აქ უნდა აჟღერდეს ვერდის ახალი ნაწარმოებები. პროვეზი იტყვის: „კონცერტზე ქალაქის უმაღლესი ხელისუფლების დასწრება... გამამხნევებელი იქნება გენიოსისთვის, რომლის დაბადების მოწმენი ჩვენა ვართ, და რომელიც მალე სამშობლოს საუკეთესო სამკაული გახდება“.

ახალგაზრდა კომპოზიტორის ნიჭი სულ უფრო და უფრო იფურჩქნება, მისი პოპულარობა დღითი დღე იზრდება. ბარეცი თავისი უფროსი ქალიშვილის, მარგერიტას, მუსიკალურ განათლებას მიანდობს ვერდის.

1831

14 მაისი. ვერდი ბარეცის ოჯახში გადასახლდება: წინა ღამით იქვე, მეზობლად, ვიღაც გაძარცვეს და მოკლეს კიდეც, ბარეცის ცოლი დაფეთებულია — ბავშვების გამოც და ქმრის გამოც, რომელიც ქალაქში ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად ითვლება; ბარეცის ცოლი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა კაცი თუ ეყოლებათ სახლში, ყაჩაღებისგან ერთგვარად დაცული იქნებიან.

იმავე დღეს კარლო ვერდი თხოვნას წარუდგენს ქალაქ ბუსეტოს საქველმოქმედო ფონდის „მონტე დი პიეტას“ ხელმძღვანელობას; სტიპენდიას თხოულობს შვილისთვის, რათა მან „საფუძვლიანად სრულყოს თავისი ცოდნა მუსიკის ხელოვნებაში, რაშიაც უკვე გამოამჟღავნა განსაკუთრებული ნიჭი — როგორც შემსრულებელმა და როგორც კომპოზიტორმა“. მამა მოწადინებულია, შვილი მილანის კონსერვატორიაში გაგზავნოს.

მარგერიტა ბარეცის და ვერდის შეუყვარდათ ერთმანეთი. ბარეცი უწონებს ქალიშვილს არჩევანს და, ახალგაზრდებს რომ ცხოვრება არ გაუჭირდეთ, თვითონვე კისრულობს ხარჯებს ვერდის სწავლის გაგრძელებისათვის.

14 დეკემბერი. ბარეცი კარლო ვერდისთან ერთად ხელახლა წერს თხოვნას და პარმის ჰერცოგის ქალს მარია-ლუიზას წარუდგენს; თან დაურთავს პროვეზის ახალ რეკომენდაციას.

1832

14 იანვარი. „მონტე დი პიეტას“ საზოგადოება ოთხი ხმით ორის წინააღმდეგ მხარს უჭერს ვერდის კანდიდატურას პირველივე გამოთავისუფლებული სტიპენდიანტის ადგილზე.

10 თებერვალს პარმაში შინაგან საქმეთა მინისტრი ხელს აწერს, ხოლო

13 თებერვალს ქალაქ ბუსეტოს თავმა გამოაცხადა გადაწყვეტილება: ოთხი წლის განმავლობაში ვერდი მიიღებს სტიპენდიას — სამას ლირას. ოღონდ პირველ ნაწილს მხოლოდ 1833 წლის ნოემბერში მისცემენ. ბარეცი დახმარების ხელს გაუწვდის ვერდის და ავანსს აძლევს, რათა ჯუზეპე წელიწადნახევარი არ გაცდეს.

22 მაისი. რადგან ვერდი „საზღვარგარეთ“ მიდის, პარმაში გაუფორმეს, მის სიცოცხლეში პირველი, პასპორტი.

მაისის ბოლოს ვერდი მამასთან და პროვეზისთან ერთად მილანში ჩადის. ამ დიდმა ქალაქმა, თავისი 130 ათასი მცხოვრებით, მოაჯადოვა ვერდი. იგი დაბინავდა პროფესორ ჯუზეპე სელეტისთან, ვერდის ბუსეტოელი მასწავლებლის ძმისშვილთან.

ივნისის დამდეგს პროვეზი თავის მოწაფეს ჩააბარებს ვიოლინოს მასწავლებელს, სამოცდათხუთმეტი წლის ალექსანდრო როლას.

22 ივნისი. ვერდის „ლომბარდიისა და ვენეციის საიმპერატორო და სამეფო მთავრობის“ სახელზე შეაქვს თხოვნა, რომელშიც

„სთხოვს, მილანის საიმპერატორო-სამეფო მუსიკალურ კონსერვატორიაში მიიღონ იმ პირობით, რომ სწავლისა და კვების ფულს თვითონ გადაიხდის... იმედი აქვს, კონსერვატორიაში შესასვლელ გამოცდებზე აღმოაჩნდება ამ სასწავლებლის წესდების მეათე პარაგრაფით გათვალისწინებული სიჭიერება და მიიღებს ამავე პარაგრაფით გათვალისწინებულ შეღავათებს, რაც ასე საჭიროა დაწესებულ წლოვანებაზე უფროსი სტუდენტისათვის: იგი ახლა 18 წლისაა“.

ივნისის მიწურულს ვერდი აბარებს კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდას. საგამოცდო კომისიის წევრები არიან: კომპოზიტორი ფრანჩესკო ბაზილი — კომისიის თავმჯდომარე, კონტრაპუნქტის მასწავლებელი პიანტანიდა, ფორტეპიანოს კლასის ახალგაზრდა მასწავლებელი ანჟელერი და როლა.

2 ივლისი. ბაზილი კონსერვატორიის დირექტორს, გრაფ სორმონის, ატყობინებს: „სენიორ ანჯელერის აზრით, ვერდის ცუდადა აქვს დაყენებული ხელი, რისი გამოსწორებაც 18 წლის ჭაბუკისთვის ძნელი იქნება. რაც შეეხება გამოსაცდელის მიერ წარმოდგენილ საკუთარ კომპოზიციებს, სავსებით ვეთანხმები სენიორ პიანტანიდას, რომ... თუ ვერდი სერიოზულად და მოთმინებით შეისწავლის კონტრაპუნქტის წესებს, დროთა განმავლობაში შესძლებს წარმართოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც, ეტყობა, ბუნებითა აქვს მიმადლებული, და ამრიგად, კომპოზიციაში წარმატებას მიაღწევს“. მაგრამ, რაკი ვერდი დაწესებულ ასაკზე მეტი ხნისაა, თან დიდი ნიჭიც არ გააჩნია, კომისია რეკომენდაციას არ აძლევს კონსერვატორიაში მისაღებად. სასწავლებელი ისედაც გადატვირთულია, თანაც ვერდი უცხოელად ითვლება.“

9 ივლისი. დირექტორის მოხსენების საფუძველზე გენერალ-გუბერნატორი უარს ეუბნება ვერდის კონსერვატორიაში ჩარიცხვაზე.

10 ივლისი. როლა მოკლედ ატყობინებს ვერდის კომისიის გადაწყვეტილებას: „კონსერვატორიაში შესვლაზე ფიქრს მოეშვით. სჯობს მუსიკის მასწავლებელი იშოვოთ ქალაქის მუსიკოსებს შორის. მე გირჩევთ ან ლავინიას ან ნეგრის“.

უარი გულს უტეხს ვერდისა და მის მშობლებს. მაგრამ ბარეცის ურყევად სწამს ვერდის ნიჭისა და მომავლისა. იგი გადაწყვეტს, შემდეგშიაც არ მოაკლოს ფინანსური დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ხარჯი ახლა უფრო ძვირი

დაუჯდება. ბარეცი კისრულობს აგრეთვე ბინის ქირის, ტანსაცმლის, ოპერის აბონემენტების და ნოტების ქირის საფასურის გადახდასაც.

ივლისის დამლევს ვერდი იწყებს სისტემატურ მეცადინეობას ეინშენცო ლავინიასთან.

8 აგვისტო. ჯუზეპე სელეტი პირველ შედეგებს ატყობინებს ბარეცის: „ჯუზეპეს უკვე ხუთი გაკვეთილი ჩაუტარდა... ლავინია ძალიან ფურადღებიანია ამ და დოქტორ ფიჯერის განგვიცხადა: ვერდი ბევრს მუშაობს და წარმატების იმედი უნდა ჰქონდესო".

1833

22 თებერვალი. „როგორც მაესტრო ლავინია ამბობს: ვერდი ძალიან ბეჯითობს, თვითონვე ვხედავ, როგორ თავაუღებლად მუშაობს დილიდან საღამომდე", — სწერს სელეტი ბარეცის.

ლავინია გაუთავებლად აწერინებს თავის მოწაფეს კანონებსა და ფუგებს; ისინი ერთად განიხილავენ კორელის, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენისა და მენდელსონის სიმფონიურ და კამერულ ნაწარმოებებს. განსაკუთრებით საფუძვლიანად შეისწავლიან ჰაიზიელოს სტილს. „ლა სკალას" თეატრში ვერდი ისმენს მერკადანტეს, ლუიჯი რიჩის და დონიცეტის ოპერებს.

26 ივლისს ბუსეტოში გარდაიცვალა ფერდინანდო პროვეზი.

9 აგვისტოს ლა რონკოლეში გარდაიცვალა ვერდის უმცროსი და ჯუზეპინა.

აგვისტოს დამდეგს მილანს გრიპის ეპიდემია მოედო. ვერდისაც შეეყარა გრიპი.

20 აგვისტო. სელეტი პირველად შესჩივლებს ბარეცის: „ვერდი მეცადინეობს, მაგრამ შენ უნდა შეუცუცხუნო, რომ უფრო იბეჯითოს. როგორმე წელს უნდა მორჩეს სწავლას; მართალი გითხრა, ჩემი ოჯახური მდგომარეობაც ისეთია, რომ აგვისტოს მერე ველარ გავაჩერებ ჩვენთან".

22 ნოემბერი. ჯოვანი ფერარის (გუასტალიდან) თხოვნა შეაქვს, რათა გარდაცვლილი პროვეზის მაგივრად დირიჟორად და ორგანისტად დანიშნონ.

ნოემბრის მიწურულს ვერდიც წერს ასეთივე თხოვნას. ამას ბარეცი აიძულებს, რომელსაც ისევე, როგორც გარდაცვლილ პროვეზის, ძალიან უნდა თავისი აღზრდილი პროვეზის ადგილზე იხილოს ორგანისტად. მაგრამ ვერდის აღარ შეაქვს თხოვნა, რადგან დააჯერეს, რომ ამ ადგილისათვის გამართულ კონკურსში იგი გაიმარჯვებს.

11 დეკემბერი. ლავინია რეკომენდაციას აძლევს ვერდის: „გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ ამ წუთამდე კმაყოფილი ვარ ვერდის ბეჯითობით და ალღოთი, რასაც იგი ჩემთან მეცადინეობის დროს იჩენს. ასე თუ განაგითარებს თავის ნიჭს კიდევ ერთი წლის განმავლობაში, იგი შეძლებს უხელმძღვანელოს ფილარმონიულ საზოგადოებას და გახდეს კომპოზიტორი".

1834

მრავალ პატარა პიესასთან ერთად ვერდი წერს ორ სიმფონიას, რომლებიც ვიწრო წრეში შესრულდა. ახალგაზრდა კაცი თანდათან ეჩვევა მილანს და ეფუძნება იქ. იგი უმეგობრდება პიეტრო მასინის — ფილარმონიული საზოგადოების ხელმძღვანელს, მუსიკის დიდ მოყვარულს.

აპრილში ფილარმონიული საზოგადოების ერთ-ერთ რეპეტიციაზე დირიჟორი არ მოვიდა და მასინი ვერდისა სთხოვს, მის მაგივრად ჩემბალოს პარტია შეასრულოს ჰაიდნის ორატორიაში „სამყაროს შექმნა". ვერდიმ ჩემბალოს პარტიაც კარ-

გად შეასრულა და ორკესტრსაც უდირიჟორა, თან ისე კარგად, რომ კონცერტზედაც მას მიანდეს დირიჟორობა.

ამის შემდეგ მან არაერთხელ იდირიჟორა ფილარმონიის თეატრშიც, არისტოკრატულ „კაზინოშიც" და სხვაგანაც. ახლა უკვე დიდგვაროვანი მფარველები გამოუჩნდებიან. ერთი მათგანი, გრაფი რენატო ბორომეო კანტატას დაუგვეთხ ვერდის. მასინი კისრულობს კანტატისათვის ლიბრეტოს შოპოვებას.

15 მაისი. ვერდი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება, შინ გვიან ბრუნდება და ამას მოთმინებიდან გამოჰყავს სელეტი, იგი აგვისტომდე აღარ დაიცდის: „დღეს ვერდი ახალ ბინაზე გადადის", — ატყობინებს სელეტი ბარეცის.

18 ივნისი. ბუსეტოს პროტოიერეი ჯან ბერნარდო ბალარინი კონკურსს არც კი გამოაცხადებს, ისე დანიშნავს ჯოვანი ფერარის ტაძრის ორგანისტად და საეკლესიო გუნდის ლოტბარად.

იმავე დღეს ვერდი მოულოდნელად ბუსეტოში ბრუნდება. მილანიდან მისი წასვლა გაქცევას უფრო ჰგავს: მან უარი უთხრა ბინის პატრონს და მასწავლებელსაც არ გამომშვიდობებია (მას იმედი გაუცრუა ლავინიამ: ერთხელ, როცა ლავინია ვერდის ინსტრუმენტირებას ასწორებდა თავისი კერპის პაიზიელოს სტილის მიხედვით, ვერდიმ უცებ გაიფიქრა, რომ მასწავლებლისა და მისი გზები გაიყარა: მაესტრო უკან იხედებოდა, მოწაფე კი წინ; სხვათა შორის, სწორედ ამიტომ იყო, რომ ვერდის ბევრი თავისი პიესა არც კი უჩვენებია მასწავლებლისათვის).

28 ივნისი. ფილარმონიის ორკესტრის მუსიკოსებთან ერთად ვერდი საჩივრით მიმართავს პარმის მმართველს იმის გამო, რომ ბალარინიმ კონკურსი არ გამოაცხადა.

პარმიდან პასუხი იგვიანებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერდი და მისი მომხრეები ცდილობენ დააჩქარებინონ. ამასობაში მდგომარეობა ბუსეტოში სულ უფრო და უფრო მწვავდება. ორკესტრი ბოიკოტს უცხადებს ფერარის, ისე რომ იძულებული ხდებიან, მუსიკოსები სხვა ქალაქებიდან მოიწვიონ. ეკლესიის მსახურებს ვერდის სახელის გაგონებაც არ უნდათ. ქალაქი ორ ბანაკად გაიყო. „ვერდიელების" რევოლუციურად განწყობილი პარტია და „ფერარისტების" კონსერვატიული პარტია ისე გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ ნამდვილი ომი გაიმართა მათ შორის. დღე ისე არ გავა, რომ არ იდავონ, არ იჩხუბონ, ზოგჯერ ქუჩებშიაც კი ხელჩართული ბრძოლები იმართება. ბალარინის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სან დომინოს ეპისკოპოსი ბორგო პარმის შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ „მზადდება რევოლუცია". ვერდი ძალიან შეწუხებულია ამ პროვინციული დავით.

ივლისში ვერდი ლიბრეტოს სთხოვს მასინის. ამაზე ჯერ კიდევ მილანში ჰქონდათ მოლაპარაკება.

5 აგვისტო. ვერდი თავის გეგმებს აცნობს ლავინიას:

„... მასინის მივწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. თუ სადმე შეხვდებით, გაახსენეთ, რომ მომწეროს იმ ლიბრეტოს შესახებ, რომელიც ტოსკას უნდა დაეწერა ჩემთვის".

ზაფხულსა და შემოდგომაზე ვერდი, ფილარმონიის მუსიკოსებთან ერთად, კონცერტებს მართავს ბუსეტოში და მის მახლობლად. ამასთან მის ნაწარმოებებსაც ხშირად ასრულებენ. ვერდის პოპულარობა დღითი დღე იზრდება.

15 დეკემბერი. ვერდი მილანში ბრუნდება სწავლის დასამთავრებლად.

1835

22 იანვარი. პარმის მინაგან საქმეთა მინისტრი ხელს აწერს გადაწყვეტილებას: ეკლესიის ორგანისტად ფერარის დანიშვნა მას კანონიერად მიაჩნია და ბრძანებას უჭერს. ხოლო რაც შეეხება ფილარმონიის საზოგადოების დირექტორის თანამდებობას, ისევე, როგორც მასწავლებლის ადგილს, ამაზე ბრძანებს, რომ კონკურსი გამოცხადდეს. „ფილარმონისტების" ბანაკი ზეიმობს, ხოლო ფერარის მომხრენი პროტესტს აცხადებენ.

25 ივნისი. მარია-ლუიზას განკარგულებით, ფილარმონიის საზოგადოების დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით — ან, უფრო სწორად, მისი ხელფასის საკითხის გადასაწყვეტად — უნდა დაინიშნოს ბუსეტოს საქალაქო გამგეობის რიგგარეშე თათბირი. თათბირს, ქალაქის თავის გარდა, არც ერთი დაინტერესებული პირი არ უნდა დაესწროს. ამასთან მან არ მიიღო ვერდისა და „ფილარმონისტების" მიერ ერთი წლის წინ შეტანილი საჩივარი, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, იმ მოტივით, რომ ეკლესიის ორგანისტის დანიშვნა ეკლესიის კომპეტენციაში შედის. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ბალარინის არავითარი კანონი არ დაურღვევია.

მილანში გატარებულ წლის პირველ ნახევარს ვერდი სწავლის დასრულებას ანდომებს. დროდადრო შეივლის ხოლმე ლავინიასთან, მაგრამ უფრო ხშირად „ლა სკალაში" და კაფეებში ნახავთ.

როსინის, დონიცეტის, ბელინის ოპერებში ვერდი ამჩნევს იმას, რაც ლავინიამ ვერ შეასწავლა: ორკესტრირების ხასიათს, სასცენო მუსიკის თავისებურებას. კაფეებში კი, ამ კულტურული ცხოვრების ცენტრებში, იგი სასარგებლო კავშირებს ამყარებს. აქ დაუმეგობრდება, მაგალითად, „ლა სკალას" პირველ ვიოლინოს ვინჩენცო მერიგის, რომელსაც დიდი თეატრალური გამოცდილება აქვს და პრაქტიკულ რჩევებს აძლევს ვერდის; აქვე ხვდება პოეტ ანტონიო პიაცას, მისი პირველი ოპერის ლიბრეტისტს.

25 ივლისი. ვერდი ბუსეტოში ბრუნდება და თან ორი მნიშვნელოვანი ქალალდი მიაქვს. ერთი მათგანია პიაცას ლიბრეტო (სხვადასხვა დასახელებები, რომლებიც წერილებში გვხვდება — „ლორდი ჰამილტონი", „როჩესტერი", „ობერტო" — ეტყობა, ერთსა და იმავე ნაწარმოებს, უფრო სწორად, მის სხვადასხვა ვარიანტებს ეხება), მეორე — ლავინიას რეკომენდაციაა, სადაც იგი ქებით მოიხსენიებს ვერდის, წერს, რომ მან უკვე დაამთავრა კონტრაპუნქტის შესწავლა, ბოლოს კი დასძენს: „... მიმაჩნია, რომ ვერდის ისევე კარგად შეუძლია შეასრულოს თავისი საქმე, როგორც ნებისმიერ ღირსეულ კაპელმეისტერს".

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამ რეკომენდაციაზე მნიშვნელოვანი ლავინიას მტკიცე დაპირება იყო, რითაც მან თავისი მოწაფე გამოისტუმრა: თუ ვერ მოახერხებ შეებრძოლო ინტრიგებს, რაც ბუსეტოში მოგელის, ნუ დაღონდები, მე გიშოვი კარგ ხელფასიან სამსახურს — მონცში ახლახან გათავისუფლდა ეკლესიის ორგანისტის ადგილი.

28 ივლისი. „ვწერ ოპერას... იმედი მაქვს, სანამ შენ მილანში დაბრუნდებოდე, ყველა ნომრის მონახაზი უკვე მზად მექნება. შემატყობინე ყველა მომღერლის შესახებ, რომელიც ამ ბოლო ხანებში აკადემიაში[1] მოგისმენია, რათა მათი ხმების დიაპაზონები გავითვალისწინო" (ვერდის წერილიდან მასინისადმი).

---

1. XVIII—XIX — საუკუნეში აკადემიას ეძახდნენ მუსიკის შემსრულებელთა კონცერტებს, რომლებსაც მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება მართავდა, ავრეთვე მუსიკოსების კერძო კონცერტებს.

11 ოქტომბერი. რაკი ფილარმონიის საზოგადოების ხელმძღვანელის ხელფასი ბუსეტოში დაბალია, ფერარის მომხრეები კი თავიანთ ხრიკებს განაგრძობენ, ვერდი იძულებულია მონცში სცადოს ბედი. მაგრამ მისი მომხრე ფილარმონისტები ენერგიულად ეწინააღმდეგებიან ამას, და ვერდიც ყოყმანობს, ვერ გადაწყვეტია.

11 დეკემბერი. მონცის ქალაქის მმართველობის დაჟინებით, ლავინია პირდაპირ პასუხს მოითხოვს ვერდისაგან: „ჰო თუ არა!"

15 დეკემბერი. ვერდის პასუხი იწყება ციტატით დანტედან („ჯოჯოხეთი", IV, 4).

„ახალი ვნებანი — ახალი წამებულნი". როცა ვიფიქრე, ჩემს უბედურებას, როგორც იქნა, ბოლო მოეღო და ამიერიდან მშვიდად და პატიოსნად შემიძლია, ლუკმა პური მოვიპოვო-მეთქი, ერთბაშად ფსკერზე აღმოვჩნდი, სადაც მხოლოდ წყვდიადსა ვხედავ. გასულ შაბათს მილანში ჩამოსვლას ვაპირებდი და ერთი დღით ადრე კაცი გავგზავნე პარმაში პასპორტის ჩამოსატანად. მაგრამ, გაიგეს თუ არა ბუსეტოში, წასვლას აპირებსო, ერთი ამბავი ატყდა. „ფილარმონისტების" მოწინააღმდეგეები ზეიმობდნენ და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ თავიანთ მტრებს. ჩემი გულდაწყვეტილი მომხრეები კი მე და ბარეცის მოგვდგნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ფილარმონისტებმა" შემახსენეს, რა თავგამოდებით მიჭერდნენ მხარს, რა შეურაცხყოფა გადაუტანიათ ჩემ გამო; წამომძახეს, რა სიკეთე მიყო ჩემმა ქალაქმა, და ისიც დამაყვედრეს, ახლაც ჩვენივე ნებით ვიკისრეთ ვალდებულება, წლიური ხელფასი ათას ფრანკამდე გაგიზარდოთო; ბოლოს, ჩემი უარით გაგულისებულებმა, დაშინებაც დამიწყეს, დამემუქრნენ კიდეც, თუ მაინც არ დაიშლი და წასვლას დაიჟინებ, ძალით დაგტოვებთ ბუსეტოშიო.

მაინც არ დავიშლიდი, მაშინვე წამოვიდოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თითქმის მთელი ქალაქის სიძულვილი ჩემს კეთილისმყოფელ ბარეცის დაატყდებოდა. არც დაყვედრება, არც დაშინება არ დამაკავებდა, რადგან იმ მცირე სტიპენდიის გამო, რასაც „მონტე დი პიეტას" საზოგადოება მაძლევდა მილანში სწავლის დროს, თავს ხომ ვერ დავიმცირებ, მონად ხომ ვერავის გავუხდები! მაშინ იძულებული ვიქნები, ეს სიკეთე გულუხვობად კი არა, სიმდაბლედ ჩავთვალო. მხოლოდ ამ ერთი მიზეზის გამო დავრჩი ბუსეტოში. ახლა კი ჩემს დიდ მსხვერპლს ახალი გულისტკივილი დაემატა: იმის შეგნება, რომ ამდენი შეგაწუხეთ და არც კი შემიძლია გამოვიყენო თქვენი სიკეთე. ეს მიკლავს გულს. ნეტა კი შემეძლოს და ახლავე დიდი სიხარულით გამოვასწორებდი ამას... მაგრამ რაც უკვე გითხარით, იმას ვერაფერს დავუმატებ თავის გასამართლებლად"...

(ვერდიმ მართლაც მსხვერპლი გაიღო, შინ რომ დარჩა: მონცში სამჯერ მეტი ექნებოდა ხელფასი).

1836

23 იანვარი. ქალაქის თავი აცხადებს კონკურსს ბუსეტოს ფილარმონიის საზოგადოების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ხელფასი — 657 ლირა წელიწადში.

27-28 თებერვალი. პარმაში, სასახლის ორგანისტი მაესტრო ჯუზეპე ალინოვი, ბუსეტოს ორგანისტის თანამდებობაზე შესარჩევად სცდის კონკურსის მონაწილეებს. პრეტენდენტებმა, ეტყობა, ადრევე გაიგეს, რა ტალანტის პატრონი იყო ვერდი, და ორი მათგანი სულაც არ გამოცხადებულა კონკურსზე, მესამემ კი უარი თქვა გამოცდაზე. ფერარის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, ვერდის გასჯიბრებოდა.

29 თებერვალი. ვერდი ბარეცის სწერს გამოცდების შედეგს:

„შაბათს... ალინოვიმ... გამომცადა შემდეგ საგნებში: ფორტეპიანოზე დაკვრა,

სიმღერა, პარტიტურის კითხვა და იმპროვიზაცია. ჯერ ჩემი ვარიაციები შევასრულე. ალინოვის ძალიან მოეწონა, და ცოტა ხნის შემდეგ თავიდან გამამეორებინა, რათა უფრო კარგად ალექვა. მერე შემომთავაზა დამეკრა ნაწყვეტები თეატრების სპექტაკლებიდან, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი, რადგან ამ მელოდიებს კარგად ვიცნობდი. გარდა ამისა, შევასრულე დონიცეტის ერთი კვარტეტი [illegible] ბისათვის, პარტიტურით, რომელშიაც უამრავი შეცდომა იყო; [illegible] ბაკეთეს, რათა დაკვრისას გამესწორებინა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ალინოვი ძალიან კმაყოფილი დარჩა... გუშინ დილის რვა საათზე მივედი ალინოვისთან; მომცა თემა ოთხსიმიანი ფუგისათვის, რომელიც საღამოს ექვსი საათის შემდეგ დავამთავრე...“

იმავე დღეს ალინოვიმ სხვების თანდასწრებით განუცხადა ვერდის: „აქამდე მკაცრი გამომცდელის როლს ვასრულებდი, ახლა კი მინდა თქვენი თაყვანისმცემელი გავხდე. ამ ფუგას დასრულებული მაესტროც მოაწერდა ხელს; ეს ფუგა დაბეჭდვას იმსახურებს. თქვენ ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეთ, ბუსეტო კი არა, პარიზი ან ლონდონიც არ იტყოდა უარს ასეთ მაესტროზე“.

5 მარტი. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ვერდი ინიშნება ბუსეტოს ფილარმონიის საზოგადოების ხელმძღვანელად.

14 მარტი. ქალაქის თავი ცხრა წლით სდებს ხელშეკრულებას ვერდისთან. ეს ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს მესამე და მეექვსე წლის დამლევს, ოღონდ ექვსი თვით ადრე. ვერდიმ მუდმივად უნდა იცხოვროს ბუსეტოში. მას ეკუთვნის ორი თვის შვებულება (სექტემბერ-ოქტომბერი). ვალდებულია კვირაში ხუთი დღე, დღეში სამ-სამი საათი მაინც ამეცადინოს მოწაფეები, აგრეთვე უხელმძღვანელოს ფილარმონიის ორკესტრის რეპეტიციებსა და კონცერტებს.

16 აპრილი. ვერდიმ ოფიციალურად დანიშნა ბარეცის ქალიშვილი მარგერიტა.

4 მაისი. ვერდი და მარგერიტა ბარეცი დაქორწინდნენ.

ზაფხულში. მთელი დღის მუშაობით დაღლილი ვერდი ბეჯითად მუშაობს კომპოზიციაში. ფილარმონიის ორკესტრის თხოვნით წერს მრავალ, მცირე ზომის პიესებს.

სექტემბერი. ვერდის პირველი ოპერის („როჩესტერი“) პარტიტურა თითქმის მზად არის, მხოლოდ ზოგი დეტალი აკლია.

14 სექტემბერი. მილანში გარდაიცვალა ვერდის მასწავლებელი ლავინია.

1837

26 მარტი. დაიბადა ვერდის პირმშო, გოგონა ვირჯინია.

სექტემბერ-ოქტომბერი. შვებულების დროს ვერდი ცდილობს მოახერხოს თავისი ოპერის დადგმა ჯერ მილანში, შემდეგ კი პარმაში, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდება.

3 ნოემბერს ვერდი მილანელ მეგობარს, მასინის, უზიარებს თავის უბედობას.

„სრულიად დათრგუნვილი, გულგატეხილი დავბრუნდი შინ; ერთი ბეწო იმედიც კი არ დამრჩა. საწყალ ახალგაზრდობას ისღა დარჩენია ისწავლოს! — ჯილდოს მაინც ვერ ელირსება. იქნებ შენ მოელაპარაკო მერელის და გაიგო, შეიძლება თუ არა, ჩემი ოპერა მილანის რომელიმე თეატრში დაიდგას? უპირველეს ყოვლისა, უთხარი, რომ ჩემი სურვილია, პარტიტურა გამოცდილმა მუსიკოსებმა განიხილონ. თუ ისინი დაიწუნებენ, მაშინ სულაც არ მინდა ამ ოპერის დადგმა. თუ ამ თხოვნას

შემისრულებ, დიდად დამავალებ. იქნებ როგორმე ამომათრიო ამ არარაობიდან; სამუდამოდ შენი მოვალე გავხდები. პიაცა ნახე და ერთად მოილაპარაკეთ...“

1838

წლის დამდეგს ვერდი წერს ექვს რომანსს (ორი მათგანი „ტორკატო ტასოს“ ლექსებზეა შექმნილი — იტალიური თარგმანის მიხედვით). ამ რომანსებს სტეფანეს მილანის პატარა გამომცემლობა „კანტი“. ეს ვერდის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებებია.

11 ივლისს დაიბადა ვერდის ვაჟი, იჩილიო.

12 აგვისტოს გარდაიცვალა ვერდის პირმშო, ვირჯინია.

ეს თავზარდამცემი უბედურება კიდევ უფრო განუმტკიცებს რწმენას ვერდის, რაც შეიძლება ჩქარა წავიდეს ბუსეტოდან. აქ რომ დარჩეს, მისი ოპერა ვერასოდეს იხილავს სცენას, მით უმეტეს, რომ ბუსეტოში განუწყვეტელი დავა მხოლოდ ნერვებს უწეწავს.

5 სექტემბერს ვერდი სწერს სიმამრს:

„მას შემდეგ, რაც ბუსეტოში ვცხოვრობ, სულ ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლებად შეგაწუხოთ და იმედი მაქვს, არასოდეს გამომიჩენია უტაქტობა. არც ახლა მაქვს ამის სურვილი, მაგრამ მაინც უნდა ჩავიდინო უტაქტობა. თქვენ იცით, რომ მე და გეტა გასართობად კი არ მივდიოართ მილანში, არამედ ჩემი ნაწარმოების გამო. წესით, იქ მთელი შვებულება უნდა გავატარო, მაგრამ ფული არ მეყოფა. ჩემი გამოანგარიშებით 120-130 ფრანკი კიდევ დაგვჭირდება. თუ სიკეთეს გამოიჩენთ და მასესხებთ ამ თანხას, როცა დავბრუნდები, ვალის გადასახდელად შემოგთავაზებთ ჩემს ერთი თვის ხელფასს; ჩეკს მოგართმევთ განსაზღვრულ თანხაზე, ხოლო დანარჩენი მე დამრჩება“.

8 სექტემბერი. ბარეცი ხელს გაუმართავს ახალგაზრდებს, და ვერდი მეუღლითურთ მილანში მიდის. მილანში დღესასწაულია: ავსტრიის იმპერატორ ფერდინანდ პირველის კორონაციის აღსანიშნავად გამოცხადებულია პოლიტიკური ამნისტია. იმპერატორისა და დედოფლის პატივსაცემად „ლა სკალაში“ საზეიმო სპექტაკლები იმართება. როსინის ოპერების გარდა ყველაზე მეტი წარმატება კორტეზის ბალეტ „ნაბუქოდონოსორსა“ ხვდა.

ვერდის ოპერის ლიბრეტო „ლა სკალას“ თეატრის გავლენიანი ანტრეპრენიორის, მერელის ხელში მოხვდება. იგი ავტორს ბევრ მნიშვნელოვან შესწორებას სთავაზობს და ჰპირდება, რომ ოპერა გაზაფხულზე, სხვა საქველმოქმედო სპექტაკლებთან ერთად, დაიდგმება სცენაზე. ანტრეპრენიორი ურჩევს, სცენარის შესასწორებლად ახალგაზრდა პოეტს, თემისტოკლო სოლერას მიმართოს.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ვერდი, მარგერიტასთან ერთად, ბუსეტოში ბრუნდება. ახალგაზრდა კომპოზიტორი ოპერის გადამუშავებას შეუდგება.

28 ოქტომბერს ვერდი მიმართავს ახალ ქალაქის თავს:

„კარგად ვხედავ, რომ ისეთი სარგებლობა ვერ მომაქვს ჩემი საწყალი ქალაქისათვის, როგორც მე მინდა. ვწუხვარ, რომ გარემოება ხელს მიშლის, ჩემი შრომის ნაყოფი ვაჩვენო ქალაქს, სადაც პირველად გამიმართეს ხელი, ჩემს ხელოვნებაში წარმატებისთვის მიმეღწია.

ოჯახზე ზრუნვა მაიძულებს, სხვაგან ვეძიო ის, რასაც მშობლიურ ქალაქში

ვერ მივაღწიე... ამიტომ გიცხადებთ, რომ 1839 წლის 10 მაისიდან ვეღარ ვიმსახურებ მუსიკაში ქალაქის მაესტროს თანამდებობაზე".

დეკემბრის დამდეგს ქალაქის თავი სინანულით ასრულებს ვერდის თხოვნას და ღრმა პატივისცემას გამოთქვამს ახალგაზრდა კომპოზიტორის მიმართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1839

6 თებერვალი. ვერდი ოჯახით მილანში გადასახლდა. აქ კომპოზიტორი, სოლერასთან ერთად, ამთავრებს ოპერა „ობერტოს" გადამუშავებას. მალე „ლა სკალაში" იწყება ამ ოპერის მომზადება, მაგრამ ერთი მომღერლის ავადმყოფობის გამო რეპეტიციები შეწყდება.

4 სექტემბერი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ვერდი ისევ სიმამრს მიმართავს:

„... ბინა ჯერ ვერ დავიქირავე, რადგან ყველა წინასწარ თხოულობს ფულს. მე კი ფული არა მაქვს და იძულებული ვარ, ისევ თქვენ შეგაწუხოთ... თანხა, რომელიც აუცილებლად მჭირდება, ჩემი გამოანგარიშებით, 350 ლირაა. თუ თქვენ არ გამომიწვდით ხელს, იმ კაცის მდგომარეობაში აღმოვჩნდები, რომელიც მიცურავს, უკვე ხედავს ნაპირს, ლამის ხელი მიაწვდინოს, მაგრამ... ძალა გამოცლილი კვდება".

ბარეცი ისევ ეხმარება ვერდის, მისი მეულლეც მალულად ხელს უწყობს ახალგაზრდებს.

ოქტომბერი. ვერდის შვილი, იჩილიო, ავად გახდება. ახლა ექიმისთვის და წამლებისთვის სჭირდებათ ფული.

22 ოქტომბერს იჩილიო გარდაიცვალა.

ოქტომბრის მიწურულს „ლა სკალაში" ისევ იწყება „ობერტოს" რეპეტიციები. ბავშვის სიკვდილით თავზარდაცემული ვერდი იძულებულია შინ მარტო დატოვოს დარდით განადგურებული მეუღლე, რათა შთააგონოს მსახიობები და თვალი მიადევნოს სპექტაკლზე მუშაობას.

17 ნოემბერს „ლა სკალაში" წარმატებით ჩატარდა ვერდის პირველი ოპერის „ობერტო, გრაფი სან ბონიფაჩოს" პრემიერა (ქალების როლები შეასრულეს: რაინერმა და შოუმ, კაცებისა — სალვიმ და მარინიმ).

კრიტიკოსების აზრი გაიყო: „...ვერდის ნაწარმოები შესანიშნავი ღირსებებით არის შემკული, მაგრამ, სამწუხაროდ, სიახლეებით არ გამოირჩევა („ფიგარო").

ჟურნალი „ლა ფამა" (უწყებანი): „მუსიკა ძალიან უახლოვდება ბელინის სტილს, მელოდია უხვად იღვრება, იქნებ ზედმეტადაც, რადგან იქ, სადაც ტექსტი თხოულობს ძალას და მგზნებარებას, ჟღერა ფერმკრთალი, ერთფეროვანი ხდება".

„მოდა": თავის სტილს, შთაგონებას ვერდი არავისგან არ სესხულობს: დონიცეტისა და ბელინისაგან ხომ ნამდვილად არა, წარმოიდგინეთ, არც მარ კანდანტესგან და მით უმეტეს, არც როსინისგან.

პრემიერას ვერდის ბუსეტოელი თაყვანისმცემლებიც დაესწრნენ ბარეცის მეთაურობით. მათთვის ეს დღე დღესასწაული იყო. სეზონის ბოლომდე ოპერა კიდევ თოთხმეტჯერ წარმოადგინეს.

მუსიკალური გამომცემელი ჯოვანი რიკორდი გამოსცემს ფორტეპიანოსათვის გადაკეთებულ „ობერტოს". ჰონორარს, 2 000 ლირას, ვერდი და მერელი იყოფენ. ამის შემდეგ იმპრესარიო ვერდის სთავაზობს ახალ ხელშეკრულებას: შეუკვეთოს სამ ოპერას, თითოეულს 4 000 ლირად. ვერდი თანახმაა.

1840

იანვარ-თებერვალი. ვერდი ეძებს ლიბრეტოს. ჯ. როსის ნაწარმოები „განდევნილი", რომელიც მერელიმ შესთავაზა, არ შეეფერება მის ჩანაფიქრს. ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ კომიკურ ოპერაზე. ლიბრეტოს საფუძვლად აირჩევს ფ. რომანის „ცრუ სტანისლავი ანუ მეფობის დღე".

მარტი. ვერდი ავად გახდა. ახალგაზრდა ოჯახი ხელმოკლეობას ებრძვის. ბერნის ქირის გადასახდელად მარგერიტა იძულებულია თავისი ძვირფასეულობა დააგირაოს.

ივნისი. მარგერიტა ენცეფალიტით დაავადდა.

18 ივნისს მარგერიტა გარდაიცვალა.

22 ივნისი. დამწუხრებული ვერდი ბარეცის მიჰყავს ბუსეტოში.

კომპოზიტორს აღარც ძალა შერჩა, აღარც რწმენა, და მერელის სთხოვს, გააუქმოს ხელშეკრულება, მაგრამ იმპრესარიო უარზეა.

ივლისის დამლევს ვერდი, რომელიც მშობლიურ სახლში ცოტა მომჯობინდა, მილანში ბრუნდება, რადგან მერელიმ სთხოვა, ოპერა დაემთავრებინა.

5 სექტემბერს „ლა სკალას" თეატრში გაიმართა „ცრუ სტანისლავის" პრემიერა (ქალის როლებს ასრულებდნენ — მარინი და აბადია; კაცებისას — სალვი, ფერლოტი, სკალესე და რიგერე).

„ეტყობა ამ „სტანისლავში" შთაგონება სულ შემოელია ვერდის" („ფიგარო").

ეს ოპერა „... ვერც გამოუვიდოდა მხიარული" („ლა ფამა").

კომპოზიტორი ისევ მოიცვა მელანქოლიამ. თვეობით ცხოვრობს ისე, თითქოს სულიერი დამბლა აქვსო.

17 ოქტომბერს მერელიმ განაახლა „ობერტოს" დადგმა. მას უნდა გამოაცოცხლოს ვერდი, სიმხნევე შთაუნერგოს, მაგრამ ვერაფერს გახდება და ბოლოს იძულებულია, დაუბრუნოს ვერდის ხელშეკრულება. „მე არ შემიძლია ძალით დაგაწერინო ოპერა, მაგრამ მაინც მჯერა შენი. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ისევ დაიწყო მუშაობა. მაშინ საკმარისი იქნება სეზონის დაწყებამდე ორი თვით ადრე შემატყობინო და სიტყვას გაძლევ, უმალვე დავდგამ შენს ოპერას".

დეკემბრის მიწურული. ერთხელ მერელი შემთხვევით შეხვდა ქუჩაში ვერდის და შესჩივლა: ნიკოლაი უარს ამბობს დაწეროს მუსიკა სოლერას შესანიშნავ ლიბრეტოზე „ნაბუქოდონოსორი", მიუხედავად იმისა, რომ კორტეზის ბალეტის წყალობით ეს თემა უკვე შეუყვარდა მსმენელს. ვერდი სთავაზობს როსის „განდევნილს", რომელიც ოდესღაც ვერდის მეორე ოპერისათვის დაიწერა. მერელი, პასუხის მაგივრად, ხელში აჩრის ვერდის „ნაბუქოდონოსორს" და ეხვეწება, წაიკითხე მაინცო.

„მივდიოდი ქუჩაში და გულს რაღაც გაურკვეველი ნაღველი შემოსწოლოდა — მთელი არსება ღრმა მწუხარებას და სევდას მოეცვა. მივედი სახლში და ლამის გაცეცხლებულმა დავაგდე ხელნაწერი მაგიდაზე. რვეული დავარდა და გადაიშალა. უნებურად შევაჩერე მზერა ჩემს წინ გადაშლილ ფურცელზე და ერთი სტრიქონი მეცა თვალში: „მაშ, გაფრინდი ფიქრო, ოქროსფერ ფრთებით"... გადავხედე შემდეგ სტრიქონებს და — ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე..."

დილისთვის ვერდიმ მთელი ტექსტი თითქმის ზეპირად იცის. მერელის კი დაუბრუნებს რვეულს, მაგრამ იმპრესარიო მაშინვე შეამჩნევს, რა ხდება ვერდის გულში, უსიტყვოდ ჩასჩრის რვეულს ჯიბეში და მაშინვე შინ გაისტუმრებს.

ვერდის მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღარაფერი დაეწერა, მაგრამ ამდენი

ტრაგიკული ამბებით სავსე წელი ჯერ გასულიც არ იყო, რომ ეს გადაწყვეტილება შეირყა.

„კატორღული შრომის წლები“ (1841-1850)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1841

იანვარ-სექტემბერი. „დღეს ერთი სტრიქონი, ხვალ მეორე, ერთხელ — ნოტი, მეორედ — სტრიქონი, და ასე თანდათანობით დაიწერა ოპერა“.

ოქტომბერი. ვერდი უცხადებს მერელის, რომ ოპერა დაამთავრა, თან დანაპირებს შეახსენებს და სთხოვს შეიტანოს სეზონის პროგრამაში, რომელიც 26 დეკემბერს იწყება. მერელი სთავაზობს: გაზაფხულამდე მოვიცადოთ, რადგან სამ ოპერაზე უკვე დადებული მაქვს ხელშეკრულება და მეოთხის დადგმა დიდი მატერიალური რისკი იქნება ჩემთვისო. მაგრამ ვერდი ჯიუტობს და მერელიც დეთანხმება.

21 დეკემბერს გამოაქვეყნეს თატრ „ლა სკალას“ ზამთრის სეზონის რეპერტუარი, მაგრამ „ნაბუქოდონოსორი“ მიგ არ არის! ვერდი მაშინვე მისწერს მერელის: იგი აღშფოთებულია იმბრესარიოს საქციელით.

22 დეკემბერი. მერელი მიიპატიჟებს ვერდის თავისთან. „განა ასეთი ტონით წერენ მეგობარს? — ეკითხება იგი. — ეშმაკმა დალახვროს! კეთილი, დავდგათ „ნაბუქო“... („ნაბუქოდონოსორის“ უფრო პოპულარული სახელწოდება). მაგრამ მე ვერ მოგამარაგებთ ვერც ახალი დეკორაციებით, ვერც ახალი ტანსაცმლით; ყველაფერი ეს როგორმე უნდა გადავაკეთოთ იმისგან, რაც საწყობში გვაქვს“. კიდევ ერთი პირობა: ვერდიმ უნდა აჩვენოს ეს ოპერა ჯუზეპინა სტრეპონის და დაითანხმოს, რომ მან იმღეროს მთავარი პარტია. ვერდი ესტუმრა სახელგანთქმულ მომღერალს, რომელიც დათანხმდა ემღერა მის ოპერაში.

23 დეკემბერი. ვერდიმ დაუკრა და მოასმენინა მთელი ოპერა სტრეპონის, ხოლო შემდეგ თავისივე არჩეულ ბარიტონს — რონკონის. ორივე კმაყოფილია თავისი პარტიით და ხალისით შეუდგებიან როლების დასწავლას.

26 დეკემბერი. სეზონის გახსნის დღეს, პირველსავე სპექტაკლზე გამოაცხადეს ახალი პროგრამა: დაიდგმება ახალი ოპერები: დონიცეტის „მარია პადილა“, ნინის „ოდალისკა“, ნიკოლაის „განდევნილი“ და ვერდის „ნაბუქოდონოსორი“.

1842

თებერვლის მიწურულს „ლა სკალაში“ იწყება „ნაბუქოს“ რეპეტიციები.

9 მარტი. „ნაბუქოს“ პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა (ქალის მთავარ როლებში — სტრეპონი და ბელინცაგი, კაცებისაში — რონკონი, მირალია, დერივისი).

„პირველი ოპერიდან მოყოლებული ვერდი შემოქმედებითად თანდათან მდიდრდება, მისმა სულიერმა სამყარომ თავისებური გზა გაიარა, იმდენად დიდი გზა, ზოგიერთ კრიტიკოსს კიდეც რომ არ უნდოდეს აღიაროს, ვერდის ახალი ოპერა დრამატული მუსიკის სფეროში პროგრესიაო, იმას მაინც ვერ უარყოფს, რა უშველებელი, ის კი არა და, უჩვეულო ნაბიჯია წინ გადადგმული მისი შემოქმედებითი ძალების განვითარებაში... ვერდის მელოდიების სამყარო ყოვლისმომცველი, ბუნებრივი, ნარნარი და ნათელია — არსად იგრძნობა ძალდატანება, ღვლარჭნილობა...“ („ლა გაზეტა და მილანო“).

„თემა სერიოზულია, დიადი, წარმოსახვის აღმძვრელი... და კომპოზიტორი

თითქმის გაუთანაბრდა მას სიდიადეში. მისმა მუსიკამ შესძრა მსმენელი, რამდენიმე ნომერს კი აღფრთოვანებული ტაში მოჰყვა („ფიგარო").

10-19 მარტი. სეზონის დამთავრებამდე ოპერა „ნაბუქო" კიდევ ექვსჯერ შესრულდა და ყოველ წარმოდგენაზე წარმატება მატულობდა. ეს, თავისი კონცეფციით ერთიანი დრამა, რომლის სტილი დიდი მწუხარებით გამოწვეულ [illegible] წლებში მომწიფდა, დიდი ნახტომი იყო ვერდის ადრე შექმნილ ორ ოპერასთან შედარებით. „ნაბუქოს" ვერ აჯობა ვერდის შემდეგმა ოპერებმა, სანამ „რიგოლეტო" არ შექმნა. „ნაბუქოს" წყალობით ვერდი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არარაობიდან ამაღლდა: ამ წარმატების შედეგი იყო, რომ ჯოვანი რიკორდიმ შესთავაზა ხელშეკრულება მისი ყველა ნაწარმოების დაბეჭდვაზე. მერელიმ შესთავაზა ხელშეკრულება-შეკვეთა ახალ ოპერაზე და მასვე მიანდო ჰონორარის რაოდენობის განსაზღვრა. სტრეპონის რჩევით, ვერდიმ 8 000 ავსტრიული ლირა მოითხოვა, იმდენი რამდენიც ბელინიმ მიიღო „ნორმაში"... მერელი დათანხმდა.

ზაფხულში ვერდი ჩადის ბოლონიასა და ბუსეტოში. იქიდან სწერს თავის მილანელ ნაცნობს ქალბატონ ემილია მორაზინის:

„ბოლონიაში 5-6 დღე გავატარე. როსინის სახახავად ჩავედი. ძალიან თავაზიანად მიმიღო და გულწრფელი მომეჩვენა ეს თავაზიანობა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. როცა გავიფიქრებ, რომ როსინი მსოფლიოში სახელგანთქმული ცოცხალი კომპოზიტორია, მზადა ვარ, თავიც მოვიკლა და ჩემთან ერთად ყველა სულელიც მოვკლა. ო, რა დიდებულია — იყო როსინი!"

21 ივლისი.

„ახალი ოპერა ჯერ არ დამიწყია, ლიბრეტო არა მაქვს", —

ასე გამოხატავს ვერდი თავისი უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზს მოროზინისადმი მიწერილ შემდგომ წერილში.

13 აგვისტო. მერელი „ნაბუქოთი" ხსნის ახალ სეზონს „ლა სკალაში". ნოემბრის თვემდე ეს ოპერა 57-ჯერ შესრულდა. ოპერაში ზოგიერთი ახალი მომღერალიც მონაწილეობდა.

შემოდგომაზე სოლერა ამთავრებს ახალ ლიბრეტოს. მისი სახელწოდებაა „ლომბარდიელები პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში".

ზამთარში ვერდი ხან მილანშია და ხან ბუსეტოში, ახალ ოპერას წერს.

●

გუნდს „ნაბუქოდან" „მაშ, გაფრინდი ფიქრო..." იტალიელი ხალხი ისე მღეროდა, როგორც სიმღერას სანუკვარ თავისუფლებაზე. ოჯახს ვერ ნახავდი იტალიაში იმ დროს, რომლის წევრიც ავსტრიის ციხეში არ მჯდარიყო; ან ციხეში იჯდა ან პოლიციას ემალებოდა. კარბონარების მოძრაობა ადგილს უთმობდა ასპარეზზე ახლადგამოსულ „ახალგაზრდა იტალიას", რომელსაც მაძინი ხელმძღვანელობდა. „ნაბუქოს" ავტორმა თავის ოპერაში პირველად გამოთქვა მშობელი ხალხის ფიქრები და მისწრაფებანი. ამის შემდეგ იტალიელი ხალხის განთავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლნი აღფრთოვანებით ელიან ვერდის ახალ ქმნილებებს.

იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობას სამი ლიდერი ჰყავდა — მაძინი, გარიბალდი და კავური. ისინი სხვადასხვა ხერხებით და გზებით იბრძოდნენ ერთიანი, დამოუკიდებელი იტალიისათვის. მათ სახელებს მიემატა მეოთხე სახელი — „ნაბუქოს" ავტორისა.

1843

იანვრის დამლევს მილანის ეპისკოპოსი, კარდინალი გაისრუკი პროტესტით მიმართავს პოლიციის უფროსს ტორესანის: იგი აღშფოთებულია „ლომბარდიელებით", რადგან ზოგ სცენაში დასცინიან საეკლესიო წესებს. მაგრამ ვერდი თავის აზრს იცავს. რამდენიმე უმნიშვნელო შესწორების გარდ: ტექსტი უცვლელი რჩება.

11 თებერვალს „ლა სკალაში" დიდი წარმატებით ჩაივლის „ლომბარდიელების" პრემიერა (მთავარ როლებში: მომღერალი ქალი ფრეცოლინი, კაცები — გუასკო და დერვისი). სეზონის ბოლომდე ეს ოპერა ოცდაშვიდჯერ იდგმება. „ო, სინიორ, ჩემო მოძმევ..." — ამ არიამ პოპულაროობით თითქმის გადააჭარბა გუნდს, — „მაშ, გაფრინდი ფიქრო..."

„ამ ნაწარმოებში, როგორც ნაწილობრივ წინა ქმნილებებშიც, ვერდიმ უკუაგდო მსუბუქი მელოდიები, რაც მანამდე ახასიათებდა იტალიურ მუსიკას. მან შეათავსა ფილოსოფიური აზრი დიდებულ ჰარმონიასთან და ნარნარ მელოდიასთან; უარი თქვა ღვლარჭნილობისა და სამკაულების ფუჭ სილამაზეზე და ხელოვნება დააყენა დრამატული სიმართლის გამოხატვის სამსახურში. უარყო რთული ტექნიკური საშუალებები და მტკიცედ გადაწყვიტა, დაუბრუნოს სიმღერას პირვანდელი უბრალოება, მომხიბლავი, ნათელი მუსიკალური ენა..." („ლა გაზეტა მუზიკალე დი მილანო").

„ერთი სიტყვით, მეტისმეტად ბევრია ერთმარცვლოვანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები; საერთოდ აქ აკომპანიმენტი უფრო ბატონობს, ვიდრე სიმღერა" („ფიგარო").

20 მარტი. ვერდი მიდის ვენაში „ნაბუქოს" პრემიერაზე.

4 აპრილი. შინ მიმავალი ვერდი ქალაქ უდინოდან წერილს სწერს ვენეციის თეატრის „ლა ფენიჩეს" გენერალურ დირექტორს, გრაფ მოჩენიგოს, რომელმაც ვერდის სთხოვა ოპერა თავისი თეატრისათვის:

„ნება მომეცით, რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო თქვენს წერილში ხაზგასმული პირობების შესახებ. სამწუხაროდ, თხუთმეტ დეკემბრამდე ვერ მოგაწვდით მთლიანად დამთავრებულ პარტიტურას. მაგრამ შემიძლია გამოგიგზავნოთ დასრულებული კომპოზიცია, იქიდან შეიძლება ყველა პარტიისა და გუნდის ამოწერა. რაც შეეხება ორკესტრირებას, ჩვეულებად მაქვს: ვამთავრებ მაშინ, როცა იწყება რეპეტიციები ფორტეპიანოსთან. სამწუხაროდ, ვერც ლიბრეტოს გადმოგცემთ, ვინაიდან ალბათ — ის კი არა და, ნამდვილად — ჯერ ვერ მივაგნებ ლიბრეტოს დამწერ პოეტს.

14 აპრილი. ვერდი ბუსეტოს გავლით ჩადის პარმაში.

17 აპრილი. პარმის თეატრში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ „ნაბუქოში" პირველად იმღერა ჯუზეპინა სტრეპონიმ.

3 მაისი. ვერდი პარმიდან სწერს მოჩენიგოს:

„მე ვერ მივიღებ იმ თანხას, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ ამა თვის პირველი რიცხვის წერილში შემომთავაზა. გამოვითვალე, რა დაჯდა „ლომბარდიელების" დადგმა, აგრეთვე ლიბრეტოს ფული, ვენეციაში ჩასვლა, იქ ცხოვრება, და ვხედავ, რომ ახალ ოპერაში იმაზე ბევრად ნაკლებ თანხას მიეიღებდი, ვიდრე „ლომბარდიელებში" გადამიხადეს. მომავალ წელს კი ეს თანხა აღარ დამაკმაყოფილებს. მე დავდგამ „ლომბარდიელებს", დავწერ ახალ ოპერას, სრულ პარტიტურას გადავცემ ანტრეპრიზის განკარგულებაში, ლიბრეტოს ფულსაც გადავიხდი, თეატრი კი 12 000 (თორმეტი ათას) ავსტრიულ ლირას გადამიხდის... წინასწარ გაფრთხილებთ, ამაზე ნაკლებ თანხაზე არაფრის დიდებით არ დავთანხმდები".

25 მაისი. მოჩენიგომ თანხმობა განუცხადა და ვერდი ახალ პირობებს დაუმატებს: „ახალი ოპერის შემსრულებლებს კომპოზიტორი თვითონ ამოარჩევს დასის წევრებისაგან“.

6 ივნისი. მილანში ჩასვლისთანავე ვერდი ვენეციაში გაგზავნის ხელმოწერილ ხელშეკრულებას. ამგვარად, ჯერ არც ლიბრეტისტი პყავს, არც თემა შეურჩევია...

11 ივნისი.

„ჩემი სურვილია ლიბრეტო გრანდიოზული იყოს და ამავე დროს ვნებებით სავსე, თანაც უნდა განსხვავდებოდეს „ნაბუქოსა“ და „ლომბარდიელებისაგან“. დიდი მგზნებარება და ბევრი მოქმედება უნდა იყოს ლიბრეტოში. და ეს ყველაფერი, რაც შეიძლება, მოკლედ“.

16 ივნისი. ვერდი ჯერჯერობით ორჭოფულად პასუხობს ფრანჩესკო პიავეს, რომელმაც ვენეციის თეატრის დავალებით მიმართა კომპოზიტორს.

8 აგვისტო. ვერდი პიავეს აცნობს თავის მოსაზრებას დრამატურგიაზე (ჯერჯერობით „კრომველის“ ლიბრეტოს შესახებ):

„თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ შთამბეჭდაობას ვერ მიაღწევ ამ ჟანრში, თუ მოქმედება არ იქნა; ამიტომ რაც შეიძლება ნაკლები სიტყვები...

მე არასოდეს ვბოჭავ პოეტის გენიას...

მართალია, ზოგჯერ გავბედავ და ჩავერევი ხოლმე, მაგრამ ამას ნაწარმოების საერთო ეფექტისათვის ვაკეთებ და არა ჩემთვის, რადგან ჩემთვის სულერთია — ვინდ დუეტი დამიწერია, გინდა არია ამა თუ იმ ლექსის ზომაზე. სიმოკლეს კი იმიტომ ვარჩევ, რომ მაყურებელს სურს ასე“.

27 აგვისტო. „კრომველის“ ლიბრეტოს შესახებ:

„გულწრფელად მიხარია, რომ მუშაობა დაამთავრეთ. ყველას გააცანით, ვისაც საჭიროა, და მერე გამომიგზავნეთ, რათა ჩქარა შევუდგე მუშაობას“.

5 სექტემბერი. მოჩენიგოსადმი წერილი პიავეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს:

„თეატრის მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, „კრომველი“, რა თქმა უნდა, ვერაფერი საინტერესო იქნება... ო, რომ შეიძლებოდეს „ერნანის“ დადგმა, მართლაც რომ შესანიშნავი იქნებოდა. მართალია, პოეტისათვის დიდი სამუშაოა, მაგრამ, ჯერ ერთი, მე ავუნაზღაურებ შრომას, და გარდა ამისა, ოპერა გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მსმენელზე“.

2 ოქტომბერი. ვერდი სწერს პიავეს, რომელიც მცირე წინააღმდეგობის შემდეგ თანახმა გახდა:

„მივიღე ორი ნაწყვეტი „ერნანიდან“. შესანიშნავი ლექსებია. ძალიან კმაყოფილი ვარ. ამგვარადვე თუ გააგრძელებთ, ბრწყინვალე პოემა გამოვა“.

ოქტომბერ-ნოემბერი. პიავე ლიბრეტოზე მუშაობს, ვერდი მუსიკას წერს და დროდადრო უამრავი ცვლილებების შეტანას სთხოვს პოეტს.

15 ნოემბერი. ვერდი თავის შეხედულებებს აცნობს თეატრ „ფენიჩეს“ მდივანს ბრენეს:

„როგორც თქვენი წერილიდან გავიგე, პიაველ ძალიანა სურს, როგორმე დამითანხმოს, რაც შეიძლება ნაკლები ცვლილებები შევიტანოთ დამთავრებულ ლიბრეტოში. მე არასოდეს არ შევაწუხებდი პოეტს, ჩემი გულისათვის ერთი სტრიქონი მაინც შეეცვალა. მე უკვე დავწერე მუსიკა სოლერას სამ ლიბრეტოზე და, თუ შევადარებთ ორიგინალს, რომელიც ჩემთან ინახება, დაბეჭდილ ლიბრეტოს, აღმო-

ჩნდება, რომ ლექსებში ძალიან ცოტა შესწორებაა შეტანილი, ისიც თვითონ სოლერას სურვილით.

მაგრამ სოლერამ უკვე ხუთი თუ ექვსი ლიბრეტო დაწერა, კარგად იცნობს თეატრს, მის ზემოქმედებას მაყურებელზე, და მუსიკალურ ფორმებს. სენიორი პიავე კი პირველად წერს ლიბრეტოს და, ბუნებრივია, ნაკლებად ერკვევა ამ საქმეში. აბა, რომელ ქალს შეუძლია ზედიზედ იმღეროს გრძელი კავატინა, დუეტი, ტრიოს ბოლო ნაწილი და მთელი ფინალი, როგორც „ერნანის" პირველ მოქმედებაში აქვს პიავეს?.. არ არსებობს ფილტვები, ასეთი დატვირთვა აიტანოს. ან რომელ კომპოზიტორს შეუძლია მუსიკა შექმნას რეჩიტატივის ას სტრიქონზე, როგორც მესამე მოქმედებაშია, და თავი არ მოაბეზროს მაყურებელს? „ნაბუქოსა" ან „ლომბარდიელების" ოთხ მოქმედებაში საერთოდ ვერ შეიკრიბება ას სტრიქონზე მეტი რეჩიტატივი... გთხოვთ, ეს ყველაფერი აუხსნათ პიავეს და დაარწმუნოთ. მართალია, მეც არა მაქვს დიდი გამოცდილება, მაგრამ ერთი წელიწადი გავატარე თეატრში, ყველაფერს ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი: ბევრი ნაწარმოები აიცდენდა მარცხს, მათში კარგად რომ ყოფილიყო განაწილებული ნომრები, გათვალისწინებული ეფექტები და უფრო ნათელი ყოფილიყო მუსიკალური ფორმები... ერთი სიტყვით, ლიბრეტისტსა და კომპოზიტორს მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ. ხშირად ხდება: საკმაოდ გრძელი რეჩიტატივი, ფრაზა, სენტენცია, რომლებიც მშვენიერნი იქნებოდნენ წიგნში და მოსათმენი დრამაში, ოპერაში სასაცილო ხდება ხოლმე".

1 დეკემბერს ვერდი მიემგზავრება ვენეციაში.

12 დეკემბერი.

„ვენეცია მშვენიერია, პოეტური, ღვთიური, მაგრამ... მე ვერ ვიცხოვრებდი აქ. „ერნანი" წინ მიიწევს და პოეტი ყველა ჩემს სურვილს ასრულებს".

26 დეკემბერი. „ლომბარდიელების" პრემიერა ვენეციაში. ამის შესახებ ვერდი სწერს გრაფის მეუღლე აპიანის:

„ოპერა გრანდიოზულად ჩაფლავდა, ეს იყო ჭეშმარიტად კლასიკური ფიასკო. ყველაფერი უარყვეს ან ძლივძლივობით მიიღეს, გარდა აჩრდილის კაბალეტასი. ასეთია ეს უბრალო, მაგრამ მართალი ისტორია, რომელსაც გიამბობთ უსიხარულოდ, მაგრამ არა გულისტკივილით".

29 დეკემბერი. ვერდი აპირებს „ფენიჩესთან" ხელშეკრულების დარღვევას, რადგან ერნანის პარტიის შემსრულებლად დანიშნეს მომღერალი, რომელიც არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. ავტორს არა სურს, რომ „ერნანისაც" „ლომბარდიელების" ბედი ეწიოს.

1844

10 იანვარს ვერონაში მომღერალი ქალი სტრეპონი მღერის „ნაბუქოში". კომპოზიტორიც ესწრება ოპერას.

თებერვალი. ვენეციაში საქმე კარგად ვერ მიდის: ვერდი ავადმყოფობს, ოპერის დადგმისთვის ხელრიანად ვერ ემზადებიან.

2 მარტი. ვერდი და პიავე იძულებულნი არიან პროტესტი განაცხადონ:

„ქვემორე ხელის მომწერებმა საფუძვლიანად აწონ-დაწონეს საქმის ვითარება და თქვენი ბრწყინვალების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ოპერა „ერნანის" დადგმა არ შეიძლება, სანამ კოსტიუმები და დეკორაციები მთლიანად არ იქნება

მზად. ეს მარტო ანტრეპრიზის ინტერესებში კი არ შედის — საერთოდაც საჭიროა, სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე და თავიდან ავიცდინოთ დამღუპველი მარცხი."

9 მარტი. დონიცეტი სწერს გრაფის მეუღლე აპიანის ვენაში:

„გწერთ, და ჯერ არც კი ვიცი, რა არტისტულ ბედს ეწიოს ჩვენი ვერდი. ღმერთსა ვთხოვ, ბედმა გაუღიმოს, რაშიც ეჭვი არ მეპარება. თქვენ კარგად მიცნობთ, ამიტომ ზედმეტი იქნება იმის თქმა, რომ ჩემი სურვილები გულწრფელია. თავის დასაცავად იმასღა დავუმატებ, რომ ყველგან ვაქებ ვერდისაც და მის ტალანტსაც, თავი რომ დავანებოთ ჩემს ძალიან მეგობრულ განწყობას ამ ადამიანისადმი."

ჯოვანინო ბარეცი ვენეციიდან სწერს მამას: „დღეს საღამოს უნდა ვიდღესასწაულოთ ვერდის ტრიუმფი და მსოფლიოში პირველი კომპოზიტორის გვირგვინი დავადგათ..."

საღამოს „ერნანის" პრემიერას (მონაწილეობდნენ ლეონე და გუასკო) მაინცდამაინც დიდი წარმატება არა ხვდა.

10 მარტს ვერდი ატყობინებს გრაფის მეუღლე აპიანის:

„წუხელ „ერნანის" საკმაოდ ნუგეშისმომცემი წარმატება ხვდა. ოპერაში რომ ემღერათ, არ ვიტყვი ბრწყინვალე, მაგრამ ისეთ მომღერლებს მაინც, ვისაც ინტონირება შეუძლია, „ერნანის" ისეთივე წარმატება ექნებოდა, როგორც „ლომბარდიელებს" და „ნაბუქოს" მილანში. გუასკოს ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი და ძლივს მღეროდა. ლეონე კი ისეთ შეცდომებს უშვებდა, რომ მეტი არ შეიძლება. ყველა ნომერს ასე თუ ისე უკრავდნენ ტაშს, გარდა გუასკოს კავატინასი."

ჯოვანინო ბარეცი უფრო დაწვრილებით წერს: „რვა საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არაფერი არ აღმოჩნდა ადგილზე. გუასკო მთელი საათი ყვიროდა და, რა თქმა უნდა, ჩაიხრინწა. მეორე და მესამე, მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის ორმოცდახუთი წუთი ვიცდიდით, იმიტომ რომ ყველაფერი ყირამალა იდგა. ღმერთმანი, ისეთი მუსიკა რომ არა ყოფილიყო, როგორც გუწინ გწერდი, სპექტაკლს ბოლომდე ვერ მივიყვანდით..."

მეორე წარმოდგენამ უკვე ნორმალურად ჩაიარა. ორკესტრმა და აღფრთოვანებულმა ხალხმა ვერდი სახლამდე გააცილა.

„სადარბაზოებში, ქუჩებში, დარბაზებში და გასართობ ადგილებში ყველას პირზე აკერია ახალი მელოდიები... მუსიკა სავსეა ტკბილი ჰანგებით, დახვეწილი თანაყღერით და ბრწყინვალე ინსტრუმენტირებით („გონდოლიორი").

14-20 მარტი. ვერდი ბუსეტოსა და პარმის გავლით მილანში ბრუნდება. კომპოზიტორი ლიბრეტოს ეძებს. „ლა სკალას" გარდა, რომის, ნეაპოლის, ფლორენციის და პადუის თეატრებიც აპირებენ შეუკვეთონ მას ოპერა.

21 მარტი. ვერდის წერილების ასლები გადააქვს რვეულებში. ეს ჩანაწერები ცნობილია სახელწოდებით „წერილების ასლები". აქ მას გადააქვს ყველაზე მნიშვნელოვანი წერილები. პირველად ჩაწერა ფლაუტოსადმი, ნეაპოლის თეატრ „სან კარლოს" ანტრეპრენიორისადმი, მიწერილი ბარათი. ამ წერილში ვერდი ჰპირდება ნეაპოლის თეატრს, რომ 1845 წლის დამლევამდე შექმნას ოპერა კამარანოს ლიბრეტოზე.

3-10 აპრილი. ვერდი დაესწრო „ერნანის" პრემიერას რომში და მოელაპარაკა თეატრ „არჟენტინას" ხელმძღვანელობას ახალი ოპერის თემაზე. მან აირჩია ბაირონის პოემა „ორი ფოსკარი".

12 აპრილი. ვერდი ახალი ოპერის, „ატილას", იდეას მიაწვდის პიავეს.

„გიგზავნი ვერნერის ტრაგედიის სქემას. აქ არის ორი შესანიშნავი, ეფექტებით სავსე ადგილი... წაიკითხე დე სტალის „გერმანია"... მე მგონი, აქედან კარგი რამ გამოვა. თუ ამას სერიოზულად მოეკიდები, ნამდვილად შენს საუკეთესო ლიბრეტოს დაწერ. მაგრამ მას ჩაკირკიტებული მუშაობა დასჭირდება."

15 აპრილი. ვერდიმ მოწაფე აიყვანა — ემანუილ მუციოს[illegible]ბარეცის ახალი პროტეჟე და ბუსეტოს საზოგადოება „მონტე დი პიეტას" [illegible]ა.

16 აპრილი. ნაწყვეტი პიავეს პასუხიდან რიკორდის წერილზე, რომელმაც ეტყობა უკვე იცოდა, რომ ვიქტორ ჰიუგომ ვერდის ოპერა „ერნანის" უწოდა პოემის დედნის „სულელური გაყალბება" და პიავეს სთხოვა ლიბრეტოს გადაკეთება: „თქვენგან შემოთავაზებული გადაკეთება ურთულეს საქმედ მიმაჩნია. მე შემიძლია შევცვალო მოქმედების დრო და ადგილი, მოქმედი პირები, ვითარება, მაგრამ ვნებებს ვერ შევცვლი. ვერდის მუსიკა ამ ვნებებიდან იბადება და, თუ ეს ამოვიღეთ, მუსიკაც გაუფასურდება..."

ახლა პიავე იძულებულია შეუდგეს „ორი ფოსკარის" ლიბრეტოს წერას, რადგან ვერდი აჩქარებს.

14-22 მაისი.

„ახლახან მივიღე „ორი ფოსკარი". დიდებული, უმშვენიერესი, უბრწყინვალესი დრამაა!.. მაგრამ მე ჩემს აზრს გულწრფელად გამოვთქვამ იმ მეგობრული გულწრფელობით, რაც ჩვენ შორის უნდა იყოს.

პირველი სცენა ძალიან კარგია, პირველი გუნდის ლექსები შესანიშნავია და, ალბათ, ხვალვე დავწერ ამის მუსიკას. მაგრამ, ჩემის აზრით, იაკობოს სუსტი ხასიათი აქვს და სცენური გამომხატველობაც აკლია... ეს როლი აუცილებლად უნდა გაასწორო.

ჩემის აზრით, ბაირონის პოემას აკლია სცენური ბრწყინვალება, რასაც ოპერისგან მოითხოვენ. იმტვრიე თავი და მიაგენი რაღაცას, რაც დიდ ხმაურს გამოიწვევს, განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში... თუ ღმერთი გწამს, დროზე გამომიგზავნე სქემა...

მესამე მოქმედებაც ისე გადააკეთე, როგორც მოვილაპარაკეთ, და ეცადე გუნდში დროდადრო შეიჭრას გონდოლიორის სიმღერა.

არ შეიძლება ეს საღამოხანს ხდებოდეს? რომ მზის ჩასვლის მშვენიერება ვაჩვენოთ?"

ამავე დროს, ვერდი ფიქრობს „ერნანის" მომავალ პრემიერაზე ვენაში. კომპოზიტორი სწერს დონიცეტის:

„მოულოდნელი სიამოვნება ვიგრძენი, როცა პერდონისადმი მიწერილი თქვენი წერილი წავიკითხე, რომელშიც თავაზიანად გვთავაზობთ დახმარებას ჩემი „ერნანის" რეპეტიციებზე. ყოველგვარი ეყმახის გარეშე და დიდი მადლიერებით მივიღე ეს თავაზიანი წინადადება; რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ჩემს ნოტებს სარგებლობის მეტს ვერაფერს მოუტანს დონიცეტის მზრუნველობა.

ამრიგად, იმედი უნდა ვიქონიო, რომ ამ ნაწარმოების სული გადმოცემული იქნება პრემიერაში" (დონიცეტი გრაფის მეუღლე აპიანის პირით მადლობას უხდის ვერდის ნდობისათვის).

მაისი. ვერდიმ ლა რონკოლეში მცირე მამული შეიძინა.

11 აგვისტო. ვერდი ესწრება „ერნანის" პრემიერას ბერგამოში (ელვირას როლი სტრეპონიმ შეასრულა).

სექტემბერი. „ორი ფოსკარი" მზადაა, ვერდი გემით ლივორნოს გავლით მიემგზავრება რომში — პრემიერაზე.

3 ნოემბერი. „ორი ფოსკარის" პრემიერა (მონაწილეობდნენ: ბარბიერი — ნინი და დე ბასიანი) ცივად მიიღეს, მაგრამ მომდევნო სპექტაკლებს უფრო კარგად შეხვდა მაყურებელი.

17 ნოემბერი. ვერდი მილანში ბრუნდება და იწყებს მუშაობას „ჟანა დ'არკზე" — ამ ოპერას იგი მერელის შეპირდა. მაგრამ სოლერა ლიბრეტოს აგვიანებს.

26 დეკემბერი. თეატრ „ლა სკალაში" — სუსტი რეჟისურით და მეტისმეტი ბრწყინვალეებით — განაახლეს „ლომბარდიელები". ვერდიმ გადაწყვიტა შეწყვიტოს კავშირი მერელისთან და ოპერა აღარ დაწეროს მისთვის.

1845

იანვრის დამლევს ვერდი ამთავრებს „ჟანა დ'არკს".

15 თებერვალი. „ლა სკალაში" „ჟანა დ'არკის" პრემიერამ (მონაწილეობდნენ ფრეცოლინი, პოჯეი, კოლინი) იმაზე ნაკლები წარმატებით ჩაიარა, ვიდრე ელოდნენ.

16 თებერვალი. ვერდი სწერს პიავეს:

„ოპერა ბედნიერად დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. უდავოა, ეს ოპერა ჩემს სხვა ოპერებზე უკეთესია".

„... გამოჩენილმა კომპოზიტორმა, რომელიც სწორედ დაუცხრომელი ძიებებისთვის უდიდესი ქების ღირსია, ამ ოპერაში არასაკმარისად გამოავლინა თავისი გენიალური შემოქმედებითი ფანტაზია, თუმცა ეს მუსიკა, ისევე როგორც მისი ბევრი ქმნილება, სავსეა ლამაზი ჰანგებით. გარდა ამისა, ბევრი მელოდიის სისადავისა და სიმშვიდის წყალობით, ის ჭეშმარიტი მშვენიერების ნორმებს უბრუნდება" („ლა გაზეტა დი მილანო").

12 მარტი. რიკორდიზე გაჯაერებული ვერდი მოლაპარაკებას გამართავს ლუკას გამომცემლობის ფირმასთან. კომპოზიტორი ჰპირდება მას, რომ 1848 წლის კარნავალისთვის დაუწერს ოპერას. ჰონორარს მოითხოვს 1 200 ნაპალეონდორს ოქროთი (დაახლოებით 24 000 ლირა).

21 აპრილი. ვერდი გადაღლილია, ავადმყოფობს, ისევ აწუხებს კუჭისა და ყელის ტკივილი. იგი შესჩივის დემალდიეს:

„მოუთმენლად ველი, როდის გავა ეს სამი წელი. ჯერ ექვსი ოპერა მაქვს დასაწერი და მერე — მშვიდობით".

25 აპრილი.

„სამწუხაროდ, უნდა შეგატყობინოთ, რომ დანიშნულ დროზე ვერ გადმოგცემთ ოპერას, რადგან ექიმებმა გამომიცხადეს, ერთი თვე მაინც უნდა დაისვენოო..." (სწერს ნეაპოლში ფლაუტოს).

27 მაისი. ვერდი ვენეციაში ისვენებს და იქვე იწყებს ლიბრეტოზე მუშაობას ნეაპოლისთვის. მას მოსწონს კამარინოს პოემა „ალზირა", რომელიც ვოლტერის მოტივებზე დაიწერა, და მხოლოდ ერთ ნაკლზე მიუთითებს:

„მაპატიეთ ამ შენიშვნისთვის, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზედიზედ სამი კავატინა ძალიან ბევრია?.."

12 ივნისი. ვერდის უსიამოვნება შეემთხვა: მან ოდესღაც მეგობრულ საუბარში რაღაც თქვა, ბუსეტოელებმა ეს თითზე დაიხვიეს და გამორჩენის მიზნით ლამის სახელი გაუტეხეს ვერდის სხვადასხვა მთავრობებთან. განაცხადეს: გვინდა ავაშენოთ ვერდის სახელობის თეატრი და შიგ კომპოზიტორის ბიუსტი დავდგათო. იმედი ჰქონდათ, რომ კარგ მატერიალურ დახმარებას მიიღებდნენ, რომ ვერდი თეატრის საზეიმო გახსნისთვის დაწერდა ოპერას და გამოჩენილ მომღერლებსაც მიიწვევდა. ვერდი ცდილობს ბარეცის დახმარებით ვნებათაღელვა დააცხროს:

„ვიმეორებ: მიმართვაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხსენებინათ ჩემი სახელი, მით უმეტეს, რომ პატივმოყვარე ადამიანად გამომიყვანეს, რომელიც თავს იკლავს, რათა თავისი სახელობის თეატრი გახსნან და შიგ მისივე ქანდაკება გამოჭიმონ. ძალიან გთხოვთ, რამე იღონოთ, რომ გეგმა მე არ გამომიგზავნონ და იძულებული არ გავხდე მოვიწონო...“

20 ივლისი. ვერდი ნეაპოლში მიემგზავრება.

30 ივლისი. ვერდი საოცარი ობიექტურობით სწერს მაფეის „ალზირას“ შესახებ:

„ოპერის ორკესტრირებასაც მოვრჩი. ოღონდ მოგვიანებით დაიდგმება, დაახლოებით ცხრა აგვისტოს. ამ ოპერაზე ვერავითარ აზრს ვერ გამოვთქვამ, რადგან თითქმის შეუმჩნეველად დავწერე, სრულიად ძალდაუტანებლად; წარმატებაც რომ არა ხვდეს, გული არ მეტკინება. მაგრამ თქვენ ნუ იღელვებთ, არ ჩაფლავდება. მომღერლები კარგად მღერიან და რაღაც კარგიც უნდა იყოს შიგ“.

12 აგვისტოს ნეაპოლში საკმაოდ კარგად ჩაიარა „ალზირას“ პრემიერამ (მთავარ როლში — ტადელინი). „უამრავი მაყურებელი, რომელიც მგზნებარე მოუთმენლობით ელოდა „ალზირას“, ზეიმობდა... ამ ძალიან მოკლე ოპერამ ტაშის გრიალში ჩაიარა. მაგრამ, მე მგონი, ბევრი ლამაზი ადგილი შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ფილიგრანული სამუშაო ადვილად ვერ აღიქმება ხოლმე“ („ლა გაზეტა მუზიკალე დი მილანო“).

„ჩემი პირველი საღამოები სპექტაკლები კი არა — შესლა-შემოხლაა. იძულებული ვარ ვებრძოლო: პარტიებს, ეშმაკს, ცრურწმენას; ეშმაკსაც წაუღია ესენი. „ალზირა“ ისევე მოეწონათ, როგორც ვენეციაში „ერნანი“ პირველ საღამოს. იმედი მაქვს, რაც დრო გავა, უფრო მოეწონებათ, და ვინ იცის, კიდევ როდემდე დარჩება რეპერტუარში. თუ არა ვცდები, როგორც ჩვეულებრივ, რამდენიმე ქალაქში დაიდგმება, თანაც მალე, რადგან, ჩემის აზრით, ეს ოპერა უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე „ორი ფოსკარი“.

21 აგვისტო. ვერდი დაემშვიდობა თავის ნეაპოლელ მეგობრებს (დე სანკტისს, მერელის, დელფიკოს, ფლორიკოს და ჯენოვეზის) და მილანში დაბრუნდა.

სექტემბრის დამდეგს ვერდი ბუსეტოში ყიდულობს სახლს და აწესრიგებს თავის სამეურნეო საქმეებს. იქვე ეწვევა პარიზელი ლეონ ესკიუდიე, რომელსაც უნდა იყიდოს უფლება ვერდის ნაწარმოებების საფრანგეთში გამოსაცემად. ეწვევა აგრეთვე ლონდონელი ანტრეპრენიორი ლამლი, რომელიც კომპოზიტორს სთხოვს დაუწეროს ახალი ოპერა ლონდონის სამეფო თეატრისათვის. ვერდი ორივესთან დადებს ხელშეკრულებას.

12 სექტემბერი.

„ამ დღეებში დავიწყებ ვენეციისთვის „ატილას“ შექმნას. რა საოცარი თემაა! ლექსები სოლერამ დაწერა და ძალიან კმაყოფილი ვარ... რა მშვენიერი იქნებოდა

„ატილა“ პარიზის გრანდ-ოპერაში!.. ნეტა, არ შეიძლება, ორი წლის შემდეგ რომ დადგათ იქ? იმ დროისათვის თავისუფალი ვიქნები და თუკი შესაძლებელი იქნება, ნამდვილად დაიდგას რომელიმე ჩემი ოპერა ამ თეატრში, მაშინ იტალიაში აღარაფერს ვიკისრებდი“ (ესკიუდიესადმი მიწერილი წერილიდან).

ოქტომბერი. ვერდი ხელშეკრულებას დებს ლუკას გამომცემლობასთან. „ალზირა“ რომში დამარცხდა.

დეკემბრის შუა რიცხვებში ვერდი მიემგზავრება ვენეციაში, რათა სამი თვის განმავლობაში უხელმძღვანელოს ჯერ კიდევ შავად დაწერილ, მაგრამ უკვე დამთავრებული „ატილას“ დასწავლას. თანაც ფრანგულ ენას სწავლობს.

„სტრენა თეატრალე ეუროპა“ 1846 წლის ნოემბერში აქვეყნებს ცნობას: „სტრეპონიმ გააუქმა ხელშეკრულებები იტალიურ თეატრებთან და ემზადება პარიზში გასამგზავრებლად; იქ განაგრძობს შემოქმედებას, როგორც მაესტრო (მასწავლებელი და პოპულარიზატორი) ჭეშმარიტი ბელ-კანტოსი...“

(გაგრძელება იქნება)

ბსჰაგვან შრი რაჯნეში

გერმანულიდან

თარგმნა **ლაშა დადიანმა**

არც ეს, არც ის[1]

ახლავე რომ ჩავხედოთ იმას, რას ატარებს თავის თავში მარცვალი, აუცილებელია მხედველობის სხვა თვისება. თუ გარედან უყურებთ, თქვენ ხედავთ სხეულს, მარცვლების გარსს. თუ უყურებთ შიგნით, მაშინ გარსი პრობლემა აღარაა — შიგნით თქვენც მარცვალი ხართ: თქვენ მიეკუთვნებით ამ არსებობას, გაიზიარებდით მისგან და ის აღიბეჭდა თქვენში. თუ შიგნით, სიღრმეში უყურებთ, მაშინ გარსი აღარ არის პრობლემა, მაშინ აღარ გჭირდებათ მასში ჩაწვდომა — თქვენ უკვე შიგნით ხართ.

ეს არის ის, რაც მედიტაციაა: ჩაწვდე მარცვლის არსს, შენს ბუნებას. იქ კი ჰყავის აზრი — იგი აყვავდება დაუყოვნებლივ, მას ესაჭიროება მხოლოდ თქვენი ყურადღება. თქვენ უგულებელჰყოფდით მას, გულგრილი იყავით მისადმი, დაფლული იყავით გარეგნული საგნებით - თქვენ ზურგით იდექით საკუთარი თავისვე მიმართ. აზრი კი მუდამ გიცდით თქვენ, სიცოცხლის აზრი თქვენში დაფარული რჩება, „ლოცვა-კურთხევა“ კი, უბრალოდ, განაგრძობს ცდას, ვიდრე თქვენ არ მობრუნდებით... ქრისტიანული სიტყვა „მოქცევა“ ნიშნავს „მობრუნე-

1. გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 3—4, 1996 წ.

ბას". არ ნიშნავს, ვაქციოთ ინდუისტი ქრისტიანად, ანდა მაჰმადიანი მოვაქციოთ ქრისტიანულ რწმენაზე — ეს ნიშნავს ცნობიერება მივმართოთ შიგნით.

> დავუბრუნდეთ ჩვენს თავს, საწყისს — ნიშნავს იპოვნო აზრი, მაგრამ გამოეკიდო გარეგნულ გამოვლინებებს — ნიშნავს დაივიწყო საწყისი, საფუძველი.

„გარეთ" მხოლოდ გარეგნული გამოვლინებებია, მოვლენებია. თქვენ არ შეგიძლიათ ჩაწვდეთ გარეგნულს მხოლოდ გრძნობის მეშვეობით — ასე მის მხოლოდ გარეგნულ გამოვლინებას ეხებით. მე არ შემიძლია თქვენი დანახვა — მე ვხედავ მხოლოდ თქვენს ტანს, თანაც არა მთლიანად, მხოლოდ ზედაპირს, კანის ზედაპირს. მე არ ვიცი, ხართ თქვენ იქ, თუ არა. შეიძლება, თქვენ მხოლოდ ავტომატი ხართ, რობოტი, ვინ იცის? ახლა უფრო, ვიდრე ადრე, შესაძლებელია ადამიანი იყოს რობოტი — ის შეიძლება შეიქმნას. და თუ თქვენ წინაშე რობოტია, ამას გარედან ვერ გაიგებთ, რადგან ისიც ახამხამებს თვალებს, გიპასუხებთ კიდეც, თუკი მიესალმებით, — იტყვის: სალამი, როგორ ხართ? ვერ გაიგებთ, ადამიანია, თუ რობოტი? გარედან, ზედაპირით ზუსტად ისეთივეა, როგორც ნებისმიერი ადამიანი, განსხვავება არ არის.

რობოტი ლაპარაკობს — და ინტელიგენტურად, ზოგჯერ უფრო ინტელიგენტურადაც, ვიდრე თქვენ: იგი ხომ მთლად „გაჭყიპულია" ინფორმაციებით და ეს ინფორმაცია უფრო ზუსტია და ვრცელი, ვიდრე თქვენი. ამტკიცებენ, ერთ პატარა კომპიუტერს შეუძლია იცოდეს იმდენივე, რამდენიც 500 სწავლულმა თავისი სიცოცხლის 50 წლის მანძილზე! რობოტი შეიცავს თავის „თავში" კომპიუტერს, რომელიც, ცხადია, „საზრდოობს" ბატარეით. თუ ეკითხებით, იგი გპასუხობს და მისი პასუხები არ არის ისეთი მერყევი, როგორიც თქვენი — ის არასდროს არ იქნება სულელი და ჩერჩეტი, ის მუდამ ბრძენი ადამიანი იქნება.

როგორ განვსაჯოთ, ვინ არის შიგნით? თქვენ არ შეგიძლიათ ჩაწვდეთ, შეგიძლიათ იაროთ მხოლოდ ირგვლივ და ახლოს, შეგიძლიათ მხოლოდ შეხედოთ ზედაპირს. შეგიძლიათ „წახვიდეთ შიგნით", სიღრმეში, მხოლოდ იქ შეგიძლიათ იყოთ დარწმუნებული წვდომის უნარიანობაში, — სხვაგან არსად.

მთელი ეს სამყარო შეიძლება იყოს მხოლოდ სიზმარი, ვინ იცის? შეიძლება მეზმანოს, რომ აქ ზიხართ და მე ვლაპარაკობ თქვენთან. თქვენ შეიძლება დაგესიზმროთ, რომ აქ ზიხართ და მე მისმენთ. არსებობს კი რაიმე კრიტერიუმი იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სიზმარი არ არის? ასეთი კრიტერიუმი არ არსებობს. დღემდე ვერავინ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ცხოვრება სიზმარი არ არის, რადგან სიზმარშიც რეალურად გვეჩვენება საგნები, მოვლენები, უფრო რეალურადაც კი, ვიდრე ცხადში, ვინაიდან, როდესაც გაიღვიძეთ, თქვენს გონებას უკვე შეეპარა ეჭვი, რეალური არის ყოველივე ეს თუ არა? სიზმარში კი გონებას არასოდეს არ ეპარებოდა ეჭვი — სიზმარში ყოველივეს ისე იღებთ და აღიქვამთ, თითქოს ყოველივე რეალური იყო.

ჩჟუან-ცზიზე ამბობენ, რომ ერთხელ დილით მან დაიწყო ქვითინი და ტირილი. შეიკრიბნენ მისი მოწაფეები და ჰკითხეს: ოსტატო, რას შვრები? რა დაგემართა? მან მიუგო: გასაჭირში ვარ. დამესიზმრა, ვითომ პეპელა ვიყავი... მოწაფეები შეეპასუხნენ: ასე რად განიცდი? შესაძლებელია ყველას დაესიზმროს, რომ ვიღაც იყო. რა არის ამაში ცუდი?

ჩჟუან-ცზიმ თქვა: საქმე ამაში როდია. მე შეწუხებული ვარ ეჭვით და ახლა აღარ ვიცი, რა დასკვნამდე მივიდე... მაშასადამე, ჩჟუან-ცზის დაესიზმრა, რომ პეპელა იყო. მაგრამ, იქნებ ახლა პეპელას ესიზმრება, რომ ის იქცა ჩჟუან-ცზიდ?

ვინ გადაწყვეტს ამას და როგორ? თუკი ჩუან-ცზის შეუძლია სიზმარში გახდეს პეპელა, მაშინ რატომ არ შეიძლება იყოს პირიქით: პეპელას, რომელიც ყვავილზე ზის, შეიძლება ესიზმრება, რომ იგი იქცა ბუდად.

პრობლემები არ არის, ეს მარტივი ამბავია. მაგრამ ჩუან-ცზის შექმნა მშვენიერი და საბაჩისო პრობლემა: როგორ შეიძლება იყოთ დარწმუნებული გარეგნულში, რომ ის სიზმარი არ არის? არსებობდნენ მრავალი ფილოსოფოსები, დამტკიცებას რომ ცდილობდნენ, მთელი სამყარო სიზმარიაო. არავის სჯერა ამ ფილოსოფიისა, — მაგრამ ვერც ვერავინ შეძლო მისი უარყოფა. დასავლეთში ბერკლი ამტკიცებდა, მთელი არსებობა სიზმარი არისო. მაგრამ არავის სჯეროდა მისი, თვითონაც არ სჯეროდა რეალურად ეს და მთელი მისი ცხოვრება ნათელჰყოფს, რომ იგი არ ოვლიდა ცხოვრებას სიზმრად. კაცს რომ შეურაცხყოფა მიაყენო, გაბრაზდება, ქვა რომ ესროლო, შეეცდება აიცდინოს; თუკი ხელს გაარტყამთ, ექიმთან გაიქცევა, რადგან სისხლი წამოუვა.

აი, როგორ ცდილობდა ერთხელ დოქტორი ჯონსონი ბერკლის თეორიის უარყოფას: ისინი მეგობრები იყვნენ. ერთხელ, როცა სეირნობდნენ, ბერკლიმ უთხრა: ახლა მე კი დავამტკიცე, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია და ეგრძნობ, ვერავინ შეძლებს ამის უარყოფას. ამ დროს დოქტორი ჯონსონი დაიხარა, ქვას დასწვდა და ბერკლის ფეხში ესროლა — მან ტკივილისაგან შეჰყვირა. ჯონსონმა უთხრა: ეს ქვა რეალურია. ბერკლიმ ჩაიცინა და მიუგო: ეს არ უარყოფს ჩემს ფილოსოფიას, რადგან ჩემი ყვირილი — მხოლოდ სიზმარია, რომელიც მესიზმრება, როგორ დაამტკიცებ, რომ სისხლი, რომელიც ფეხიდან მდის რეალურია, ხოლო სიზმარი კი არა?

ეს იმიტომ, რომ სიზმარშიც, როცა დაგარტყამენ, სისხლი წამოვა; თქვენ მრავალჯერ გიყვირიათ სიზმარში. კანკალებდით და ოფლს გასხამდათ, როცა კოშმარები გესიზმრებოდათ, პულსიც გიჩქარდებოდათ და თუნდაც სიზმარი „წაშლილიყო", საჭირო იყო რამდენიმე წუთი, რათა დამშვიდებულიყავით. თქვენ იცით, რომ სიზმარი დამთავრდა, უკვე გამოიღვიძეთ; მაგრამ გული კვლავ შფოთავს, როგორ დაამტკიცებ, რომ სისხლი, რომელიც ფეხიდან მდის, რეალური შეიძლება მოხდეს სიზმარში — არ არის საშუალება ამის უარყოფისა.

როდესაც გარეგნულს უყურებ, ყველაზე მეტი, რისი ნახვაც შეიძლება, გარეგნული გამოვლინებებია. საგანი, როგორც ასეთი, არ შეიძლება შეცნობილ იქნას ამგვარი ხერხით.

არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა, რომელშიც შეიძლება დარწმუნებული იყოთ, და ეს რეალობა — თქვენშია — შეიძლება დარწმუნებული იყოთ მხოლოდ თქვენი არსებით, სხვა არაფრით. და ერთ მშვენიერ დღეს განიმსჭვალებით რწმენით, რომ თქვენ **ხართ.** გახსოვდეთ, რომ თვით სიზმარშიც კი **ხართ:** შეგიძლიათ იქცეთ პეპელად — **მაგრამ თქვენ ხართ.** იმისთვისაც კი, რომ არსებობდეს სიზმარი, აუცილებელია, როგორც მინიმუმი, თქვენი არსებობა. ყოველივე შეიძლება სიზმარი იყოს, — მაგრამ არა თქვენ, რადგან თქვენ გარეშე თვითონ სიზმარსაც არ ძალუძს არსებობა. ცნობიერება აუცილებელია თვითონ სიზმრისთვისაც კი. შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ყოველივე სიზმარია, მაგრამ ვერ დაამტკიცებთ, რომ სიზმრის მნახველი სიზმარია — სიზმრის მნახველი რეალური უნდა იყოს, სხვაგვარად სიზმარს არ შეუძლია არსებობა. მხოლოდ ერთი რამ არის სამყაროში განსაზღვრული და ეს თქვენ ხართ, ეს თქვენი რეალობაა თქვენი არსების შიგნით. მიქცევა შიგნით, სიღრმეში, შინაგანისკენ, ნიშნავს განუსაზღვრელი სამყაროსაგან, გარეგნულ გამოვლინებათა სამყაროსაგან მოძრაობას რეალური სამყაროსაკენ.

ერთხელაც დადგება მომენტი, როცა შეიცნობთ, რომ თქვენ **ხართ,** შეიცნობთ ამ შინაგან განსაზღვრულობა-სიცხადეს — და თქვენ მყარი, მტკიცე ხდებით, იცვლება თქვენი ხედვა, მხედველობა, იცვლება თქვენი თვისება. მაშინ გარეგნული სამყაროდან თქვენ „გაგეხსნებათ" სხვა სამყარო — ეს სამყარო ღმერთია.

როდესაც თქვენ ჩაგენერგებათ, გაგიმყარდებათ განსაზღვრულობა და, როდესაც ღრმად შეხვალთ, ჩაეღრმავდებით ამ რეალობას, აბსოლუტურად განსაზღვრულ რეალობას, თქვენს მხედველობას, აღქმას სხვა თვისება მიენიჭება — თქვენ ხართ რწმენა, რელიგია. თქვენ უყურებთ — და სამყარო იცვლება: აღარ არის გარეგნული გამოვლინებები, არის მხოლოდ რეალობა, არის ის, რაც სინამდვილეშია. რა არის ეს — ის, რაც მართლაც რეალურია? ეს ფორმები არაა — ფორმები იცვლება, მაგრამ ის, რაც მოძრაობს ფორმებით, უცვლელია. თქვენ იყავით ბავშვი, ყრმა, გახდით მოხუცი — ფორმა განუწყვეტლივ იცვლებოდა; ყოველ მომენტში განუწყვეტლივ იცვლებოდა თქვენი სხეული. მაგრამ თუ „იყურებით", მიიქცევით შიგნით, თქვენი არსების სიღრმეში, თუკი „შიგნით ხართ" — თქვენ ასეთივე დარჩებით.

თქვენ იყავით პატარა უჯრედი დედის მუცელში — უჯრედი, უხილავი შეიარაღებული თვალისათვის; შემდეგ იყავით პატარა ბავშვი, ახალგაზრდა კაცი მრავალი ოცნებით აღსავსე, შემდეგ კი მოხუცი, სასოწარკვეთილი და დაღვრემილი, წაგებული. მაგრამ, თუკი იყურებით შიგნით, სიღრმეში — ყოველივე იგივე დარჩა; ცნობიერება არასოდეს იცვლება. თუკი შეიცნობთ, ჩაწვდებით თქვენს შინაგან სამყაროს, განცვიფრება შეგიპყრობთ: თქვენ ვერ შეიგრძნობთ, რომ მოხუცი ხართ, რადგან ცნობიერებისათვის ასაკი არ არსებობს. როდესაც თვალებს ხუჭავთ, არ შეგიძლიათ თქმა, ოცი წლისა ხართ, ორმოცის თუ სამოცის — რადგანაც მიეკუთვნებით სხეულს, გარსს; თქვენი რეალობა ასაკგარეშეა—ის არასოდეს არ დაბადებულა და არ მოკვდება. რადგან აბსოლუტის, მუდმივის, უძრავის ცენტრში იმყოფებით, თქვენი თვისება იცვლება. მხოლოდ ამ დროს შეგიძლიათ ჩაწვდეთ, მხოლოდ მაშინ იქცევით სარკედ, რომელშიც აირეკლება სინამდვილე. მაგრამ ჯერ საჭიროა იქცეთ ამ სარკედ... თქვენ ისე ღელავთ, ისე შემდრკალი ხართ, რომ ვერაფერს ასახავთ, ვერაფერს აირეკლავთ — თქვენ ამახინჯებთ. **გონება ამახინჯებს რეალობას.** ცნობიერება, წვდომა კი აღმოაჩენს მას.

> ღავუბრუნდეთ პირველსაწყისს, ჩვენს თავს —
> — ნიშნავს იპოვნო აზრი,
> მაგრამ გამოეკიდო გარეგნულ გამოვლინებებს, —
> ნიშნავს დაივიწყო საწყისი, საფუძველი.

მხოლოდ მაშინ ხორციელდება შინაგანი ნათელხილვა, როდესაც თქვენ აღსავსე ხართ შინაგანი სინათლით... სინათლე თქვენშია, მაგრამ თქვენ მას გარეთ „გამოაგდებთ." ის მიემართება თქვენი სურვილებისაკენ; სურვილები ფოკუსია, ხოლო სინათლე განაგრძობს მისკენ მოძრაობას. თუ თქვენ ძალიან გაქვთ მიდრეკილება კეთილდღეობისაკენ, ამ შემთხვევაში „დოვლათიანობისაკენ", მაშინ მთელი თქვენი არსება ფოკუსირებას ახდენს მასზე: თქვენ ხედავთ მხოლოდ ფულს და სხვას არაფერს. თქვენ ადამიანსაც კი ველარ ამჩნევთ, თუ ადამიანი ღარიბია, თქვენს გონებაში უბრალო კვალი არ რჩება მასზე, ხოლო თუ მდიდარია, კვალი რჩება. თუკი ის ძალიან მდიდარია, მაშინ იმახსოვრებთ მას, მაშინ ხდება მეხსიერების ფორმირება. თუკი ესწრაფვით ძალაუფლებას და ხვდებით ჰიტლერს, სტალინს ან მაოს — თქვენ შეხვდით ადამიანს, მაგრამ ადამიანი მეორადია, თქვენთვის პირველადია მისი ძალაუფლება. თუ ნიქსონი უკვე პრეზიდენტი აღარ არის, თქვენ ველარ შეძლებთ მის დანახვას — შეიძლება გვერდზე ჩაგიაროთ,

მაგრამ ის თქვენთვის ადამიანი აღარ არის. **თქვენ ხედავთ მხოლოდ იმას, რაც გსურთ.** თქვენი სურვილი — თქვენი ხედვაა, ზმანებაა და ნანახი ფოკუსირდება თქვენს სურვილზე.

როდესაც შინაგანი სინათლე, ხილვა მოიქცევა, „მობრუნდება" და მოქცევა შიგნით — ხდება ნათელხილვა. თქვენ აღსავსე ხართ სინათლით. თქვენ ხდებით სახლი „ნათურით", შინაგან სამყაროში სიბნელე აღარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

> შინაგანი ნათელხილვის მომენტში
> ხდება გასვლა გარეგნულ გამოვლინებათა და სიცარიელის
> საზღვრებიდან.

მოულოდნელად თქვენ სცილდებით გარეგნულ გამოვლინებათა და სიცარიელის საზღვრებს. მაშინ არაფერი არ არის გარეგნული და არაფერი არ არის ცარიელი — ყოველივე აღსავსეა ღვთაებრივით.

ყოველივე იმსჭვალება ღვთაებრივით — ყოველი ხე, ყოველი მდინარე, ყოველი ოკეანე სავსეა ღვთაებრივით, ღმერთი ყველაფერშია. თქვენ შეგიძლიათ უწოდოთ ამას ჭეშმარიტება, ანდა, რაც გაგესარდებათ — მაგრამ რეალური ყველგანაა.

როდესაც თქვენ რეალური ხართ, სამყარო რეალურია; როდესაც ცხოვრობთ **არარეალურ სურვილებში** — თქვენ ქმნით გარეგნულ გამოვლინებათა სამყაროს. როგორიც ხართ თქვენ, ისეთივეა თქვენი სამყარო. არსებობს იმდენივე სამყარო, რამდენიც ადამიანია, რადგან ყოველი ადამიანი თავის საკუთარ სამყაროში ცხოვრობს, ყოველი ადამიანი ქმნის სამყაროს თავის გარშემო. ეს ჩვენ მიერ შექმნილი პროექციებია.

> ცვლილებებს, რომლებიც, გვგონია, ხდება
> ცარიელ სამყაროში,
> ვუწოდებთ რეალურს
> მხოლოდ ჩვენი უვიცობის გამო.

თქვენ ამბობთ, რომ ვიღაცა მოხუცია. მოხუცებულობას, სიბერეს თქვენ რეალურს უწოდებთ, რადგან არ იცით, რა არის რეალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში არავინ არის ახალგაზრდა და არავინ არის მოხუცი, არავინ არის ბავშვი. შინაგანი უცვლელია, შეუქცეველია — იცვლება მხოლოდ გარეგნული ფორმა. ჩემი ტანსაცმელი ძველია — მიწოდებთ თქვენ მე მოხუცს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ტანსაცმელი ძველია? ჩემი ტანსაცმელი ახალია, სრულიად ახალი, ეს-ეს არის, მკერავისაგან წამოვიღე — მიწოდებთ ამის გამო ახალგაზრდას? თქვენ უწოდებთ ვიღაცას მოხუცს, ვიღაცას ახალგაზრდას, ვიღაცას ბავშვს, სხეულის გამო, ფორმის გამო, რომელიც გამუდმებით იცვლება. მაგრამ ისინი, ვინც ნათელხილვას მიაღწია, ამბობენ, რომ რეალობა უცვლელია, უმოძრაოა, რომ ის არასოდეს არ იცვლება. რამაკრიშნა მოკვდა. სიკვდილამდე სულ მცირე ხნით ადრე, როდესაც ექიმმა თქვა, იგი ველარ გამოჯანმრთელდებაო, რამაკრიშნას ცოლმა, შარდამ ტირილი დაიწყო. რამაკრიშნას უკანასკნელი სიტყვები იყო: ნუ ტირი, მე არ ვაპირებ სიკვდილს! ის, რასაც ექიმები ამბობენ; მხოლოდ ტანსაცმელს ეხება. იგი კიბოთი გარდაიცვალა. მაგრამ რამაკრიშნამ თქვა: რამდენადაც მე ვიცი, ჩემში არ არის კიბო. ის ეხება მხოლოდ ტანსაცმელს. ამიტომ გახსოვდეს: როდესაც ექიმები იტყვიან, რომ მე მოვკვდები, ნუ დაუჯერებ მათ, მე დამიჯერე: მე ვიცოცხლებ. და შარდა იყო ერთადერთი ქვრივი ინდოეთში, ინდოეთის მთელს ისტორიაში, რომელიც არასოდეს ყოფილა ქვრივი. როდესაც ქმრები კვდებიან, ინდოეთის ქვრივმა ქალებმა უნდა შეცვალონ ცხოვრების სტილი, თვითონ ცხოვ-

რების წესი, — მათ აღარ შეუძლიათ ჩაიცვან სხვადასხვა ფერის ტანსაცმელი, ატარონ სამკაული, რადგან არ არის ის, ვისთვისაც უნდა ატარონ.

მაგრამ შარდა განაგრძობდა იგივეს გაკეთებას, რასაც აკეთებდა, როდესაც რამაკრიშნა ცოცხალი იყო. ხალხი ფიქრობდა, ქალი შეიშალაო. მივიდნენ მასთან და უთხრეს: ახლა მოიცილე თავიდან ეს სამკაულები და [illegible], პირველ რიგში კი სამაჯურები. დაამსხვრიე ესენი! შენ ქვრივი ხარ!

შარდამ ჩაიცინა და უპასუხა, ვის უნდა დავუჯერო მე, თქვენ თუ რამაკრიშნას? მან ხომ მითხრა: მხოლოდ ტანსაცმელი მოკვდება, და არა მე. მე მისი ცოლი ვიყავი და არა მისი ტანსაცმლის. ჰოდა, ახლა თქვენ დაგიჯეროთ, თუ რამაკრიშნას?

მან რამაკრიშნას დაუჯერა და სულ ბოლომდე გათხოვილი დარჩა — და ცხოვრობდა ექსტაზში, რადგან დაჯერებამ მისი ტრანსფორმაცია მოახდინა. მან შეიცნო ის ფაქტი, რომ **სხეული არარეალურია.**

შარდა განაგრძობდა ძველებურ ცხოვრებას. ეს არანორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებდა — სულელი ხალხის სამყაროში, სადაც რეალურად ითვლებოდა ტანსაცმელი. ვინც ასე წინააღმდეგობრივად იქცევა, ხომ სულელად უნდა ჩაითვალოს. ქალი ყოველდამე შლიდა, აგებდა ლოგინს, შედიოდა რამაკრიშნას ოთახში და ამბობდა: რამაკრიშნა, ახლა წადი, ძილის დროა — იქ კი არავინ იყო. იგი ამზადებდა საჭმელს, ღიღინებდა და ისეთივე ბედნიერი იყო, როგორც ადრე; შემდეგ მიდიოდა და უძახოდა: მოდი, რამაკრიშნა, საჭმელი მზად არის. ქალი ჩაწვდა, მან შეიცნო და არა ერთი დღით, არამედ მრავალი წლით. რამაკრიშნას უბრალო ანდერძმა — მხოლოდ ტანსაცმელი მოკვდება და არა მეო — იგი წმინდა ქალად აქცია. იგი თავისთავად, დამოუკიდებლად გახდა ნათელმხილველი.

ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას;

უბრალოდ, შეწყვიტეთ — მისდიოთ, ჩაეჭიდოთ აზრს.

ეს არის ბიჯა, ძალიან ღრმა ალთქმა, ანდერძი: **ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას;** მხოლოდ შეწყვიტეთ — **მისდიოთ, ჩაეჭიდოთ აზრს.** როგორ შეგიძლიათ ეძიოთ ჭეშმარიტება? თქვენ დანაწევრებული, დამახინჯებული ხართ — როგორ შეგიძლიათ ეძიოთ ღვთაებრივი? სად მოძებნით, როგორ მოძებნით, რას გააკეთებთ? დიდი-დიდი გონებამ გაგიკეთოთ ტრიუკი, ფანდი: თქვენ შეიქმნით ჭეშმარიტებას, წარმოსახავთ, მოგეზმანებათ ჭეშმარიტება.

აი, რატომ ხედავენ ინდუისტები კრიშნას, როდესაც აღწევენ ღვთაებრივს, ხოლო ქრისტიანები იესოს, როდესაც ჩაწვდებიან ჭეშმარიტებას. მაგრამ ჭეშმარიტება არც ინდუისტურია, არც ქრისტიანული — არა კრიშნა, არა ქრისტე: ისინი ფორმებია, ტანსაცმლები. თქვენ აღსავსენი ხართ საკუთარი აზრებით — ქრისტიანულით, ინდუისტურით—და თქვენ ქმნით მათ, ახდენთ მათ პროექციას.

სენ-ცანი ამბობს: ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას. თქვენ არ შეგიძლიათ ეძებოთ. თქვენ არა ხართ მზად, რადგან გონება გაქვთ. ვინ ეძიებს? ყოველგვარი ძიება გონებას განეკუთვნება. ყოველგვარი ძიება გონებიდან გამომდინარეობს. ცნობიერება არასოდეს არ ეძებს — ის უბრალოდ არსებობს, არის მისი ყოფიერება — ეს სურვილის არქონაა, უსურვილობაა. ძიება სურვილია. თქვენ ეძებდით სამყაროში კეთილდღეობას, ძალაუფლებას, პრესტიჟს — და დამარცხდით. ახლა ეძებთ ღმერთს და ჭეშმარიტებას, მაგრამ დარჩით ისეთივე — თქვენში არაფერი არ შეცვლილა, მხოლოდ სიტყვები შეიცვალნენ: ადრე იყო ძალაუფლება, ახლა კი ღმერთი — მაგრამ თქვენ კვლავ იგივე მაძიებლად დარჩით.

ჭეშმარიტების მოძებნა შეუძლებელია. პირიქით, როდესაც ყოველგვარი ძიება წყდება, ჭეშმარიტება კარზე გიკაკუნებთ. როდესაც მაძიებელი აღარ არ-

სებობს, თქვენთან მოდის ჭეშმარიტება. როდესაც წყვეტთ, ბოლოს უღებთ ყველა სურვილს, როდესაც აღარ არსებობს განზრახვა, გულის წადილი სადმე წასვლისა, ან რაიმეს ძებნისა, პოვნისა, თქვენ უეცრად აღმოაჩენთ, რომ ნათელმხილველი გახდით. თქვენ აღმოაჩენთ, რომ ხართ სწორედ ის ტაძარი, რომელსაც ეძებდით. ანაზდად დგება შეცნობის მომენტი, რომ თქვენ ხართ კრიშნა, ხართ იესო. ეს არ არის მოჩვენება, ზმანება — თქვენ თვითონ ხართ ყველივეს სათავე, წყარო, თვითონ რეალობა. „ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას, შეწყვიტეთ, მისდაოთ, ჩაეჭიდოთ აზრს“ — ქრისტიანელს, ინდუისტურს თუ სხვას — ნუ ეჭიდებით აზრს. ნუ ინახავთ მეხსიერებაში ნაწერების შინაარსს, რადგან შეიძლება გახდეთ მცოდნე, მაგრამ არასოდეს იქნებით ბრძენი ადამიანი. თქვენ შეიძლება „აივსოთ“ ცოდნით და მრავალი ინფორმაციით, მაგრამ ყოველივე ეს იქნება უსულო და მოსაწყენი. აზრი არ არის ჭეშმარიტება და არც შეიძლება იყოს ის — აზრი გონებისაგან მომდინარეობს, ხოლო ჭეშმარიტება კი არა. ჭეშმარიტება წარმოჩნდება მაშინ, როცა გონება აღარ არის. აზრი — ცნობილია, ნაცნობია, ჭეშმარიტება კი უცნობი. როდესაც ცნობილი შეწყდება, თქვენ მოგვევლინებათ უცნობი. როდესაც თქვენ გარშემო არ არის ცნობილი, ნაცნობი, მაშინ წარმოჩნდება უცნობი. გონებით ვერ ჩაწვდებით ჭეშმარიტებას. ეს არის ერთადერთი, რაზეც ხელი უნდა აიღოთ, რაზეც უარი უნდა თქვათ: გონება, აზრებისათვის მიყოლა: ქრისტიანული, ინდუისტური, გიტა, ბიბლია, ყურანი. თქვენ გაქვთ, თან ატარებთ მხოლოდ ცოდნას, გონებას რომ განეკუთვნება და მისგან გამომდინარეობს — არა ცნობიერება, დაუკვირდით განსხვავებას: ცნობიერება — სარკეა, მასში ყოველივე აისახება ყოველგვარი წინასწარშექმნილი აზრის, ყოველივე ამოჩემების გარეშე; სარკე არ „იტყვის“: „ეს ქალი ლამაზია, მე ავსახავ, ავირეკლავ მას“, ანდა: „მე არ მომწონს ეს ქალი, არ ავსახავ მას, ის გონჯია“. სარკე არ მისდევს, არ ეჭიდება აზრს, ის უბრალოდ ასახავს — ეს მისი ბუნებაა.

გონება ფოტოფირფიტას ჰგავს — ისიც ასახავს, მაგრამ ასახავს მხოლოდ ერთხელ, შემდეგ კი იგი ეჩვევა, „ჩააცივდება“ ასახვას: ფოტოფირფიტა „დამალული“ კამერის უკან. გონება, ჭკუა — ასეთივე ფოტოფირფიტაა: იგი ასახავს და ეჩვევა ასახვას, შემდეგ თავის თავში ატარებს უსულო ინფორმაციას. ის მუდამ ატარებს ერთსა და იმავე ინფორმაციას. სარკე გამოსახავს — და კვლავ „ცარიელია“, კვლავ მზადაა მიიღოს. სარკე კვლავ მზად არის გამოსასახად და ის არაფერს ეჩვევა, არაფერს „ჩააცივდება“ — სარკეს არ გააჩნია აზრი. გონებაში კი აზრებია, აზრები და მხოლოდ აზრები; და აზრთა ამ სქელი კედლის გაუვალობის გამო შეუძლებელია ჭეშმარიტებაში ჩაწვდომა.

ჭეშმარიტება არსებობს. ეს თეორია არ არის — რეალობაა. ჭეშმარიტება განცდილი უნდა იქნას. თქვენ არ შეგიძლიათ იმსჯელოთ მასზე, იფილოსოფოსოთ, რაც უფრო მეტს იფილოსოფოსებთ, მით უფრო დასცილდებით სინამდვილეს, რეალობას, ჭეშმარიტებას. ცოდვილებს ზოგჯერ აქვთ პრობლემები, ფილოსოფიის დოქტორებს კი არასოდეს.

სენ-ცანი ამბობს:

ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას;
უბრალოდ შეწყვიტეთ მისდევა, ჩაეჭიდოთ აზრს.
ნუ დარჩებით გაორებულ მდგომარეობაში —
მუდამ მოერიდეთ ასეთ რამეს,
თუკი არის კვალი ამისა ან იმისა,
სწორის თუ არასწორის,

გონების არსი ჩაიკარგება უხერხულობა-შეცბუნებაში, დაბნეულობაში ეს ძნელია.

თუ შეგიძლიათ გაიგოთ ინფორმაციის უარყოფა, უკუგდება ეს — მაგრამ გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე ჩვეულებრივი ინფორმაციაა, ამოქმედდება თქვენეული ცნობიერება, გაგება კარგისა და ცუდისა. თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ: „ჩინებულია, მე აღარა ვარ ქრისტიანი, აღარა ვარ ინდუისტი, მაგრამ მორალი: კარგი და ცუდი...“ თქვენ ფიქრობთ, მორალი არ არის ქრისტიანული და არ არის ინდუისტური?

მორალი ჰუმანისტურია. თვითონ ათეისტიც მორალისტად რჩება. იგი არ მიეკუთვნება არავითარ რელიგიას, მაგრამ ისიც ფიქრობს, გულისხმობს ტერმინებში კარგსა და ცუდს. მორალი — ერთ-ერთი უღრმესი პრობლემაა მაძიებლისათვის. ჭეშმარიტმა მაძიებელმა უნდა უკუაგდოს ყოველგვარი კონცეფცია — ყველა ცუდი და კარგი.

ერთხელ პატარა ხომალდზე რამდენიმე კაცი მგზავრობდა, ანაზდად ოკეანე აბობოქრდა და ხომალდს ნაფოტივით აქანებდა იქით-აქეთ. ყველანი მუხლებზე დავარდნენ და ლოცვა დაიწყეს. მათ შორის იყო ერთი ცნობილი წმინდანი და აგრეთვე ცნობილი ცოდვილი. ცოდვილიც მუხლებზე დაემხო და შეჰღაღადა: ღმერთო, გვიხსენი! წმინდანი მივიდა მასთან და უთხრა: ცოტა ხმადაბლა! თუ ღმერთი გაიგებს, რომ შენც აქა ხარ, ვერც ერთი ჩვენგანი ცოცხალი ვერ გადარჩება, ყველანი ჩავიძირებით. ხმადაბლა! შეუძლია წმინდანს იყოს წმინდანი, თუ მას შეუძლია დაინახოს სხვა ადამიანში ცოდვილი? შეუძლია კი მას იყოს ჭეშმარიტი წმინდანი, თუ სხვას ცოდვილად მიიჩნევს? იგი შეიძლება იყოს დიდი მორალისტი — მაგრამ მას მიდრეკილება აქვს კარგისაკენ და ამიტომ ძრახავს, მსჯავრს სდებს სხვებს. რელიგიური ადამიანი კი ასე არ იქცევა, იგი უბრალოდ იღებს. იგი ძალზე თავმდაბალია, როგორ შეუძლია მას თქვას: „მე წმინდანი ვარ, შენ კი ცოდვილი?“ — იგი უბრალოდ განაძეებს, უკუაგდებს კარგის თუ ცუდის ყოველგვარ კატეგორიას.

ნუ დარჩებით გაორებულ მდგომარეობაში —
მუდამ მოერიდეთ მას,
თუკი არის კვალი ამისა ან იმისა,
სწორის თუ არასწორის,
გონების არსი ჩაიკარგება შეცბუნებაში, დაბნეულობაში.

დაფიქრდით — თქვენ ეს საკუთარი გამოცდილებიდან იცით. თუკი ძალიან ბევრს ფიქრობთ იმაზე, რომ იყოთ კარგი, მაშინ რა გამოდის? ცუდი თქვენში დარჩება — თქვენ ჩაახშობთ, ჩაკლავთ მას და თქვენი ზედაპირი „გაპრიალებული“, განწმენდილი იქნება, მაგრამ ღრმად შიგნით კი „დულილი“ დარჩება. ზედაპირზე თქვენ წმინდანი იქნებით, ცოდვილი კი ღრმად შიგნით იქნება დაფარული. იგივე ემართება ცოდვილსაც — ზედაპირზე იგი ცოდვილია, მაგრამ ღრმად შიგნით სიწმინდე სწყურია: ისიც ფიქრობს: „ეს ცუდია, მე უკუვაგდებ მას“. ისიც ცდილობს აჩვენოს, რომ ცოდვილი არ არის. ორივენი: წმინდანი და ცოდვილი — გაყოფილი, დანაწევრებული რჩებიან, მაგრამ განსხვავება დანაწევრებულობაში კი არ არის, არამედ მხოლოდ იმაში, თუ რა არის ზედაპირზე და რა არის დამალული. წმინდანს ყოველთვის ცოდვა წარმოუდგება. ეზმანება: მას ესიზმრება, იგი ხედავს ყველა იმ „ცუდს“, რომელიც თავის არსებაში, საკუთარ „მეში“ ჩაახშო. ეს უცნაური ფენომენია: თუ თქვენ ნახავთ წმინდანთა ზმანებებს, სიზმრებს, ისინი მოგეჩვენებათ ცოდვილი; ხოლო თუ ცოდვილთა ზმანება-წარმოდგენებს, — ისინი მუდამ მოგეჩვენებათ წმინდა. ცოდვილებს წარმოუდ-

გებათ, რომ წმინდანები არიან, ხოლო წმინდანებს ეზმანებათ ცოდვილებად ვიქეცითო — ჩახშობილი, დათრგუნული ზმანებებსა და წარმოდგენებში იჩენს თავს, ქვეცნობიერი აშკარავდება ზმანებებში, სიზმრებში, წარმოდგენებში. თუკი გაყოფილი ხართ, თქვენ ვერ ეზიარებით სათავეს, პირველწყაროს. ეს ზუსტად ისეა, როგორც ხე — დიდი ხე მილიონი შტოთი, ტოტით, რომლებიც გაყოფილია, დაყოფილია. თუკი ეჭიდებით, ებღაუჭებით ტოტებს, როგორ ეძიებთ ფესვებს? რაც უფრო უახლოვდებით, მით უფრო მცირდება ტოტები — და ბოლოს ხის ტანია, რომელიც განუყოფელია: ყველა ტოტი მასზეა, მაგრამ თვითონ იგი განუყოფელია, მთელია — ყოველივე მისგან გამომდინარეობს, მაგრამ იგი ერთიანად რჩება. და თქვენ უნდა მიაღწიოთ ამ ერთიანს, მთლიანს, განუყოფელს — ეს ფესვია, ეს წყაროა.

თუმცა ყოველგვარი გაორება გამომდინარეობს ერთიდან,
ნუ ჩაეჭიდებით — თვითონ ამ ერთსაც.

ნუ შექმნით ამისგან თეორიას და ნუ გამოეკიდებით მას, ნუ დაიწყებთ ბრძოლას, დაცვას, თუკი ვინმე უარყოფს მას...

სწორედ ასე მოხდა ინდოეთში. იქ არის არა — დუალიზმის სკოლა, შანკარა და მისი სკოლა. არადუალისტი ასე მსჯელობს: არსებობს მხოლოდ ერთი, არადუალური; მას მოაქვს დამამტკიცებელი საბუთები, კამათობს და იბრძვის, თუკი ვინმე დუალისტურ თვალსაზრისს იცავს; დუალისტი კი ასე თვლის: როგორ შეიძლება არსებობდეს ერთი? აუცილებელია მეორე, რათა არსებობდეს ერთი. შეგიძლიათ თქვენ შექმნათ მათემატიკა ერთი ციფრისაგან? არაა საჭირო ათი — მაგრამ ორი აუცილებელია. აინშტაინმა შეიმუშავა ეს: ის ცდილობდა გამოეყენებინა მხოლოდ ორი ციფრი — ერთი და ორი; გამოვიდა რიგი: ერთი, ორი... შემდეგ თერთმეტი, თორმეტი... შემდეგ ოცდაერთი — და ასე შემდეგ. არ არის აუცილებელი ცხრა ციფრი, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ იმუშაოთ მხოლოდ ერთი ციფრით.

დუალისტები ამბობენ, რომ არსებობა შეუძლებელია ერთით — თვითონ მდინარესაც ორი ნაპირი სჭირდება, რათა იდინოს. კაცი და ქალი სიცოცხლეს ანიჭებენ ბავშვს; სიცოცხლე და სიკვდილი გარდაუვალია, როგორც ორი ნაპირი სიცოცხლისათვის. ერთი — ეს ძალზე მონოტონურია: როგორ შეიძლება სიცოცხლე გამომდინარეობდეს მხოლოდ ერთიდან. დუალისტები ამბობენ: ორი; და არა — დუალისტები განაგრძობენ ბრძოლას დუალისტებთან.

თუკი თქვენ ნამდვილად გაიგებთ, რომ ყოველივე გამომდინარეობს ერთიდან — მაშინაც კი ნუ ჩაეჭიდებით ამას, რადგან ეს ჩაჭიდება ცხადყოფს, რომ თქვენ რაღაცის წინააღმდეგი ხართ; თუ ამბობთ, მე არადუალისტი ვარო, თქვენ დაცილდით რეალობას, რადგან, თუ არსებობს მხოლოდ ერთი, მაშინ როგორ შეგიძლიათ იყოთ დუალისტი, ან არადუალისტი? და რას გულისხმობთ არადუალიზმში, თუკი სინამდვილეში არ არსებობს დუალიზმი — რა არის მაშინ არადუალიზმი? ხმა აღარ ამოიღოთ! გაჩუმდით! სენ-ცანი — ის მართლაც არადუალისტია — ამბობს:

თუმცა ყოველგვარი გაორება, ორობა გამომდინარეობს ერთიდან,
ნუ ჩაეჭიდებით თვითონ ამ ერთსაც.
როდესაც „მე“ აღუშფოთებელია,
არაფერს ამქვეყნად არ შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება;
და როდესაც საგანს, არსებას არ შეუძლია შეურაცხყოფა,
იგი წყვეტს არსებობას ძველებურად.

ეს ძალზე მშვენიერია, შეეცადეთ დაიმახსოვროთ ეს: „როდესაც „მე“ აღუ-

შფოთებელია, არაფერს ამქვეყნად არ შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება; და როდესაც საგანს, არსებას არ შეუძლია შეურაცხყოფა, იგი წყვეტს არსებობას ძველებურად"!

დავუშვათ, ვიღაც შეურაცხგყოფთ. თუ თქვენ მართლაც „არსებობთ აღუშფოთებლად" — მაშინ შეუძლებელია თქვენი შეურაცხყოფა; შეიძლება ვცადოს ამის გაკეთებას, მაგრამ თქვენ არ შეიძლება იქნეთ შეურაცხყოფილი, არ ქმნიდებთ შეურაცხყოფას. და როდესაც არ მიიღებთ შეურაცხყოფას — შეურაცხმყოფელი მარცხდება.

ერთი ფსიქოანალიტიკოსი მეგობართან ერთად სეირნობდა. მათთან მიირბინა ერთმა პაციენტმა, შეშლილმა, რომელმაც ფსიქოანალიტიკოსს მაგრად სდრუზა ზურგში; იგი შეტორტმანდა და მიწაზე დაეცა, ხოლო შეშლილი გაიქცა. ექიმი გონზე მოვიდა და სეირნობა განაგრძეთ. მეგობარი გაოცდა. მან თქვა: შენ რა, არაფერს აპირებ? რაღაც უნდა გააკეთო, ეს აუცილებელია. ეს ადამიანი შეშლილია! ფსიქოანალიტიკოსმა მიუგო: ეს მისი პრობლემაა. ეს დარტყმა მისი პრობლემაა, არა ჩემი. მე რატომ უნდა ვინერვიულო?

იგი მართალია: თუ ვინმე ბრაზობს, რისხდება — ეს მისი პრობლემაა; თუკი ვინმე შეურაცხგყოფთ, ეს მისი პრობლემაა, თუ ილანძღება — ესეც მისი პრობლემაა. ამ დროს თქვენ აღშფოთებული არა ხართ, ე. ი. გული არ მოგდით. ხოლო თუ იმწამსვე გული მოგდით, — ეს ნიშნავს, რომ ვიღაცის ბრაზი, წყრომა და შეურაცხყოფა თქვენთვის უბრალო საბაბი იყო. თქვენ მზად იყავით, შინაგანად „დულდით" და მხოლოდ საბაბს ელოდით, რათა აღშფოთებულიყავით. „როდესაც „მე" აღუშფოთებელია..." და რიცა საწყისს დაუბრუნდებით, თქვენი გონება უკვე აღუშფოთებელია..." და როდესაც რაიმეს არ შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება, იგი წყვეტს არსებობას ძველებურად".

თვისება იცვლება დამოკიდებულების შეცვლით. ვიღაც შეურაცხგყოფთ და ეს ჩანს როგორც შეურაცხყოფა, იმიტომ რომ თქვენ შეურაცხყოფას გრძნობთ. მაგრამ როგორ შეიძლება ეს იყოს შეურაცხყოფა, თუკი შეურაცხყოფას არ გრძნობთ? როდესაც ვინმეს გული მოსდის — თქვენ ამას გრძნობთ როგორც გულისწყრომას იმიტომ, რომ აღშფოთებული ხართ. და თუ აღშფოთებული არა ხართ, თქვენ ვერ შეიგრძნობთ ამას, როგორც გულისწყრომას, რადგან შეიცვალა თქვენი ინტერპრეტაცია, რადგან ახლა სხვა ხართ. ვიღაცას სძულხართ თქვენ — დაარქმევთ ამას სიძულვილს? როგორ დაარქმევთ ამას სიძულვილს — ძველი სახელი არ მოქმედებს; ძველი გონება აღარ არსებობს. შეიძლება თანაგრძნობა კი გაგიჩნდეთ, სიბრალულიც კი იგრძნოთ; შეიძლება იფიქროთ: რა მოუვიდა ამ ადამიანს? რა ძლიერად იტანჯება იგი — და თანაც სრულიად უმიზეზოდ! თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ კიდეც ამ ადამიანს მდგომარეობიდან გამოსვლაში, რადგან, როდესაც ვინმე მრისხანებს, ბრაზობს, ჯავრობს, იგი წამლავს თავის სხეულს, წამლავს საკუთარ არსებას, იგი დაავადებულია. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას. თქვენ ხომ არ დაუწყებთ ბრძოლას იმას, ვისაც სიმსივნე აქვს — თქვენ ეხმარებით, ემსახურებით მას, მიგყავთ საავადმყოფოში.

ბუდასა და სენ-ცანისათვის თქვენი ბრაზი, წყრომა — სიმსივნეა თქვენს გონებაში; თქვენ გესაჭიროებათ თანაგრძნობა, გულშემატკივრობა; თქვენთვის აუცილებელია დიდი დახმარების აღმოჩენა. და როდესაც სამყარო უფრო ნათელმხილველური გახდება, განრისხებულ, მწყრომარე ადამიანს ჰოსპიტალში დაანწვენს, — მისი ოჯახი, მისი მეგობრები მიხვდებიან, რომ სიხულელეა ვაჯავრდე მასზე და „ებრძოლო" — მას ჰოსპიტალიზაცია ესაჭიროება. იგი უკვე ავადაა და

თუკი თქვენც მას ეწინააღმდეგებით, ეს სრულიად აბსურდულია; მაშინ როგორ-ღა დაეხმარებით მას?

ფიზიკური, სხეულებრივი ავადმყოფობისადმი ჩვენ თანაგრძნობით, ვიმ-სჭვალებით, გონებრივ, სულიერ სენს კი სიბრალულით არ ვეკიდებით. ეს იმი-ტომ, რომ, თუკი ვინმე ფიზიკურად ავადაა, არ აღიქვამთ ამას [illegible] ჩვენს შეურაცხყოფას: მაგრამ, როცა ვინმე გონებრივად არის ავად [illegible] თითქოს ეს ჩვენს წინააღმდეგაა მიმართული. ასეთი დამოკიდებულება იმიტომ არსებობს, რომ თქვენც ავად ხართ.

როცა თქვენ აღუშფოთებელი ხართ, ყველაფერი იცვლება, რადგან იცვლება თქვენი პოზიცია, დამოკიდებულება. მთელი სამყარო შეიცვალა, გადასხვაფერ-და — ეგი ძველებურად არსებობას წყვეტს.

როდესაც აღარ წარმოიქმნება განმასხვავებელი აზრები,
ძველი გონება წყვეტს არსებობას.

განსხვავება: კარგი, ცუდი, მიყვარს, არ მიყვარს — ეს არის თქვენი გონების საფუძველი. და თუ განსხვავება ქრება, — მაშინ აღწევთ საწყისს, პირველწყა-როს. და ეს პირველწყარო შეიცავს ყველა აზრს, ყველა ექსტაზს, ყველა ლოცვა-კურთხევას.

24 ოქტომბერი, 1974. წ.

5. სიცარიელის ერთიანობა

როდესაც ქრებიან აზრები — ობიექტები,
ქრება მოაზროვნე სუბიექტიც;
ისევე როგორც, როცა ქრება გონება —
ქრებიან ობიექტები.
საგნები არიან ობიექტები სუბიექტებისაგან, სუბიექტით,
გონებაც ასევეა საგნებისაგან, საგნებით.
ჩაწვდით მათს ურთიერთკავშირს, „გადაბმულობას"
და თავდაპირველ რეალობას — სიცარიელის ერთიანობას.
ამ სიცარიელეში ორი განუსხვავებელია,
და თითოეული შეიცავს თავის თავში მთელ სამყაროს.
თუ თქვენ არ დაიცილებთ ერთმანეთს და არ გააკეთებთ განსხვავებას
უხეშსა და ნაზს შორის,
აღარ შეგაცდენთ წინასწარშექმნილი აზრები და წარმოდგენები.

გარემომცველი სამყარო არსებობს თქვენით — თქვენ ქმნით მას, თქვენ ხართ შემქმნელი. ყოველი ცალკეული არსება ქმნის სამყაროს თავის გარშემო, ეს დამოკიდებულია მის გონებაზე. გონება, ტვინი შესაძლოა იყოს ილუზორუ-ლი, მაგრამ ეგი წარმომქმნელია — ქმნის ზმანებებს, ოცნებებს. და თქვენზეა დამოკიდებული: წარმოქმნათ ჯოჯოხეთი თუ სამოთხე. თქვენ არ შეგიძლიათ მიატოვოთ თქვენი სამყარო, ვერ დატოვებთ მას. სადაც არ უნდა წახვიდეთ, თქვენ შექმნით იგივე სამყაროს, რადგან სამყარო განუწყვეტლად გამომდინარე-ობს თქვენგან ისევე, როგორც ფოთლები ხისგან. თქვენ ცხოვრობთ არა ერთსა და იმავე სამყაროში, როგორც სხვები, რადგან არ გაქვთ ერთნაირი გონება. სწო-რედ აგერ თქვენს გვერდზე ვინმე შეიძლება ცხოვრობდეს სამოთხეში, თქვენ კი შეიძლება ცხოვრობდეთ ჯოჯოხეთში, მაგრამ თქვენ ვგონიათ, რომ ცხოვრობთ ერთსა და იმავე სამყაროში. მაგრამ როგორ შეიძლება ცხოვრობდეთ ერთსა და იმავე სამყაროში, თუკი ჭკუა-გონებანი განსხვავებულია?

ამიტომ, პირველი, რაც უნდა გავიგოთ, არის ეს: თქვენ არ შეგიძლიათ დატოვოთ სამყარო, ვიდრე ჭკუა-გონება არ გამქრალა. ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ქმნიან მანკიერ წრეს. თუკი არის გონება... — და გონება მუდამ თავისებურია, განცალკევებულია — სხვაგვარად იგი იქცევა გონებად მთავრული ასო „გ"-თი, და ისევ ერთი არის: იგი იქცა ცნობიერებად. გონება მუდამ თავისებურია, საკუთარი არსებითი თავის გარშემო — ეს თქვენი სამყაროა.

გონება წარმოშობს სამყაროს— და მაშინ სამყარო წარმოშობს გონებას: ეხმარება გონებას დარჩეს იგივე. ეს მანკიერი, ბიწიერი წრეა, მაგრამ მისი წყარო გონებაშია; სამყარო წარმოადგენს მარტოოდენ თანაპროდუქტს. გონება — სუბსტანციურია, სამყარო — მხოლოდ მისი აჩრდილი; და თქვენ არ ძალგიძთ გააქროთ, მოსპოთ აჩრდილი, მაგრამ თითოეული ცდილობს გააკეთოს ეს...

და როცა არ გაკმაყოფილებთ თქვენი ცოლი, ფიქრობთ, რომ სხვა ცოლი დაგაკმაყოფილებთ: თქვენ ცდილობთ შეცვალოთ სამყარო, მაგრამ თვითონ იგივე რჩებით. თქვენ, უბრალოდ, შემდეგ ცოლს გადააქცევთ წინას ზუსტ გამეორებად, კვლავ შექმნით საკუთარ სამყაროს, ხოლო ცოლი უბრალოდ, ეკრანი იქნება. თქვენ შეიძლება გაგაოცოთ ხალხის გამოცდილებამ, რომლებსაც მრავალჯერ ჰყავდათ ცოლი. ეს მართლაც უცნაურია და, ადამიანი, რომელიც იცნობიერებს ამ ფაქტს, საკუთარ თავს ეკითხება: როგორ ხდება, რომ ამოდენა, ვეებერთელა სამყაროში ყოველთვის ერთი და იმავე ტიპის ქალს გადავეყრები ხოლმე? თვით შემთხვევითობის დროსაც კი ეს შეუძლებელი ჩანს — ისევ, ისევ და ისევ! პრობლემა ქალში არ არის — პრობლემა გონებაშია. გონება ისევ და ისევ იზიდავს იმავე ტიპის ქალს, აპირობებს რა მსგავს სიტუაციას და მსგავსსავე ჯოჯოხეთს. ზუსტად იგივე ხდება ყველაფერში, რასაც აკეთებთ. მიიჩნევთ, თუ არა თქვენ, რომ უფრო ბედნიერად იცხოვრებთ, თუკი მოხვდებით სასახლეში? არა ხართ მართალი! ვინ აპირებს სასახლეში ცხოვრებას? თქვენ იცხოვრებთ იქ. და თუ ბედნიერი არა ხართ თქვენს ქოხში, მაშინ არც სასახლეში იქნებით ბედნიერი. სასახლეში თქვენ იცხოვრებთ — სასახლე არ არსებობს თქვენს გარეშე. თუ შეგიძლიათ ბედნიერად იცხოვროთ ქოხში, შეძლებთ ბედნიერად ცხოვრებას სასახლეშიც, რადგან თქვენ ქმნით სამყაროს თქვენს გარშემო. მეორე მხრივ, თუკი თქვენ გაღიზიანებთ ქოხი, მაშინ გაგაღიზიანებთ სასახლეც და თანაც უფრო მეტად, რადგან სასახლე — დიდი „საგანია". იგი ჯოჯოხეთად იქცევა: უფრო მორთულ-მოწყობილი, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთია, რადგან მორთული, მოკაზმული ჯოჯოხეთი სამოთხე როდია. თქვენ ძალდატანებით რომ გისროლონ სამოთხეში, შეეცდებით როგორმე გამოიძვრეთ იქიდან, თუ არადა იქ შექმნით თქვენს ჯოჯოხეთს.

მე მსმენია ერთ ადამიანზე, დიდ ბიზნესმენზე, ტანსაცმლის მწარმოებელზე, რომელიც გარდაიცვალა და რაღაცნაირად — რომელიღაც „ტექნიკური შეცდომის" გამო სამოთხეში შეავიდა. იქ შეხვდა თავის ძველ პარტნიორს, რომელიც ისევე სევდიანად გამოიყურებოდა, როგორც ამქვეყნად. ამიტომ ბიზნესმენმა ჰკითხა: რას ნიშნავს ეს? შენ სამოთხეში ხარ და ასე ნაღვლიანად კი გამოიყურები? პარტნიორმა მიუგო: აქ საუცხოოა, მაგრამ პირადად მე მაიამის ვამჯობინებ. და ბიზნესმენიც ასეთივე დასკვნამდე მივიდა რამდენიმე დღის შემდეგ; ისინი კვლავ პარტნიორებად იქცნენ და გადაწყვიტეს გაეხსნათ ტანსაცმლის მწარმოებელი საქმიანი საწარმო...

საითაც არ უნდა წახვიდეთ, იგივე მეორდება, რადგან თქვენ ქმნით სამყაროს თქვენს გარშემო, ხოლო შემდეგ ეს სამყარო ეხმარება გონებას, რომელმაც

იგი შექმნა. ვაჟი ეხმარება მამას, ეხმარება დედას — თქვენი აჩრდილი ეხმარება სუბსტანციას. და მაშინ გონება კიდევ უფრო ძლიერდება, და თქვენ კვლავ ქმნით იმავე სამყაროს იმავე სქემით.

საიდან დავიწყოთ ტრანსფორმაცია? როგორ შევიცვალოთ? ერთი შეხედვით თქვენ გეგონებათ, რომ უნდა შევცვალოთ სამყარო, რადგან ეს [illegible] ცვალნაილივ ჩანს თქვენ გარშემო — შევცვალოთ იგი! და ეს არის [illegible] თქვენ აკეთებდით მრავალჯერ: ცვლიდით ამას და იმას, ცვლიდით სახლებს, ცოლებს, ქმრებს, მეგობრებს — ცვლიდით, მაგრამ არასოდეს უკვირდებოდით იმ ფაქტს, რომ თქვენ მუდამ იგივე რჩებოდით. ჰოდა, მაშინ როგორღა შეძლებთ შეცვალოთ სამყარო? აი, რატომ წარმოიქმნა მთელს სამყაროში უარყოფის ყალბი, ცრუ ტრადიცია: სახლიდან გაქცევა, მონასტერში წასვლა, ჰიმალაიში წასვლა, სამყაროსაგან განდგომა. ჰიმალაიში ადვილად წახვალთ, მაგრამ ამით როგორ გაექცევით საკუთარ თავს? იქ თქვენ შექმნით იგივე სამყაროს — იგივეს! იგი შეიძლება გახდეს სავსებით მინიატურული, მაგრამ თქვენ გააკეთებთ იგივეს; დარჩებით ისეთივე, როგორიც ხართ.

გაცილებით უფრო ღრმა გამჭრიახობის წყალობით თქვენ მიხვდებით, რომ, თუკი შეცვლით გონებას, „მეს", მაშინ შეიცვლება სამყარო. სადაც არ უნდა იყოთ თქვენ, წარმოიქმნება სხვა სამყარო. ჩაუკვირდით უფრო და უფრო ღრმად და დარწმუნდებით, რომ, თუ ნამდვილად გსურთ იყოთ ამ სამყაროს გარეთ, რომელიც „გარს გარტყიათ", მაშინ უნდა უკუაგდოთ, უარყოთ გონება, რადგან, რა ლამაზიც არ უნდა იყოს თქვენი გარემომცველი სამყარო, იგი ადრე თუ გვიან ტვირთად გადაგექცევათ და თავს მოგაბეზრებთ. თუნდაც ეს სამოთხე იყოს, თქვენ დაიწყებთ ჯოჯოხეთის ძებნას, რადგან გონება საჭიროებს ცვლილებებს; გონებას არ შეუძლია „იცხოვროს" მარადიულად, არ შეუძლია ცვლილებების გარეშე, მას სწყურია ახალი კურიოზები, ახალი სენსაციები, ახალი მღელვარებანი. გონებისათვის შეუძლებელია დროის შეჩერება — გახდეს „უდროო".

აი, რატომ არ ძალუძს გონებას „იცხოვროს" „ახლა" და „აქ", რადგან „ახლა" არ არის დროის ნაწილი: იგი არასოდეს არ იცვლება, იგი მარადიულია. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ იგი უცვლელია, მუდმივია, მარადიულია — მაგრამ ის, უბრალოდ, ისეთია, როგორიც არის: აქ არაფერი არ ხდება — ეს სიცარიელეა. ბუდამ მას უწოდა „შუნია" — აბსოლუტური სიცარიელე, სადაც არაფერი არ ხდება, არავინ მოდის, არავინ მიდის; იქ არავინ არის, რადგან თუ იქ ვინმეა, მაშინ მოხდება ან ეს, ან ის. მაგრამ გონებას არ ძალუძს „იცხოვროს" მუდმივ „ახლაში", — მას სურს ცვლილებები და განაგრძობს იმედის ქონას ყოველივეს მიუხედავად, ყველაფრის საწინააღმდეგოდ. მთელი სიტუაცია უიმედოა, მაგრამ გონება თავისას განაგრძობს.

მოლა ნასრედინი მრავალი წლის განმავლობაში უმუშევარი იყო; მას სურდა ყოფილიყო მსახიობი, მაგრამ საამისო ტალანტი არ გააჩნდა. ყოველდღიურად იგი პუნქტუალურად მიდიოდა აგენტთან, იმედიანად აკაკუნებდა კარზე, შედიოდა და ეკითხებოდა: რამე ხომ არ შეცვლილა? ჩაწერილი ვარ სადმე? აგენტი მუდამ ერთნაირად უპასუხებდა: მე არაფერი არ შემიძლია, არავითარი საშუალება არ არის... გადიოდა დღეები, კვირეები, გადიოდა წლები — და მოლას კაკუნი ჩვეულებრივი ამბავი გახდა აგენტისათვის. ნებისმიერ ამინდში, მიუხედავად სეზონისა, აგენტი დარწმუნებული იყო: მოლა მოვა. მოლაც მოდიოდა და კვლავ იმედიანად ეკითხებოდა, აგენტიც კვლავ იმავეს ეუბნებოდა: ნასრედინ, მე არაფერი არ შემიძლია, არ არის არავითარი საშუალება. ერთხელ კაკუნი სხვანაირად გაისმა, ცოტა არ იყოს უფრო ნაღვლიანად და, როდესაც მოლა შემოვი-

და, აგენტს გაუკვირდა კიდეც, ისეთი სევდიანი იყო მოლა. მოლამ თქვა: მომისმინე, ორი კვირა არსად არ ჩამწერო, შეებულებაში ვაპირებ წასვლას. აი, როგორ ფუნქციონირებს გონება: იგი აგრძელებს იმედს, თქვენ უკაკუნეთ ზუსტად იმ კარებს, იმავე შეკითხვით და სურვილ-მისწრაფებით და იქ გხვდება შედეგ **არა.** რა მიიღეთ გონების წყალობით ამ **არების გარდა?** დიახ, ამ მეთოდით, ამ ხერხით, არ შეუძლია მოვიდეს. გონება — ეს ამაოებაა. გონება ჰგავს უდაბნოს, მასზე არაფერი არ ხარობს, არც შეიძლება რაიმემ იხაროს; მაგრამ გონება განაგრძობს იმედს. უდაბნო კი ოცნებობს და ოცნებობს მშვენიერ ბაღებზე, მორაკრაკე ნაკადულებზე, მდინარეებსა და ჩანჩქერებზე. თვითონ უდაბნოც ოცნებობს — და ეს გონების ოცნებაა, ზმანებაა.

ადამიანი სხვანაირი უნდა გახდეს. არ ღირს მეტი დროის დაკარგვა, არ ღირს უკაკუნო აგენტს კარებზე — თქვენ საკმაო ხანს იცხოვრეთ გონებით და ვერაფერს ვერ მიაღწიეთ ამით. განა ეს შესაფერისი მომენტი არ არის, რომ გავხდეთ უფრო შეგნებული და მიმხვედრი? თქვენ უკვე „დააგროვეთ" მრავალი უბედურება და ჯოჯოხეთი; და თუ მათ მიღწევებად თვლით — „საუცხოოა". თქვენ შეკრიბეთ მრავალი დარდი და გულისტკივილი, იმედის გაცრუება და საათაც არ უნდა გაეშუროთ გონებით — ყველგან რაღაც ხარვეზი იქნება.

მოლა ნასრედინს შვილი სკოლაში წავიდა. მასწავლებელი გეოგრაფიის გაკვეთილს ატარებდა, ლაპარაკობდა დედამიწის ფორმის შესახებ. მან მოლას ვაჟს ჰკითხა: იგი ბრტყელია? ბიჭმა უპასუხა: არა. მასწავლებელს იმედი მიეცა და უთხრა: მაშასადამე, მრგვალი ფორმისაა? მოლას ვაჟმა უპასუხა: არა. მასწავლებელი გაოცდა. მან თქვა: არის ორი შესაძლებლობა: იგი ან ბრტყელია, ან არადა მრგვალი; შენ კი ორივე შემთხვევაში უარს ამბობ, მაშასადამე, როგორია შენი ვარაუდი? ბიჭმა უპასუხა: მამაჩემმა თქვა, რომ იგი მრუდეა!

გონებისათვის ყოველივე მრუდეა — არა იმიტომ, რომ ყველაფერი მრუდეა, არამედ იმიტომ, ასე „ხედავს" გონება. ყოველივე, რაც დანახულია გონების თვალით, მრუდე ხდება, ეს ისეეა — როდესაც რაიმე სწორ ხეგანს ჩაუშვებთ წყალში, თითქოს იქ რაღაც ხდება: ჯოხი სწორი აღარ არის; ამოგაქვთ იგი წყლიდან — და ის კვლავ სწორი ხდება... და თქვენ იცით, რომ ჯოხი სწორი რჩება წყალშიც, მაგრამ თქვენი თვალები გაჩვენებენ, რომ იგი არასწორია. შეგიძლიათ გაიმეორეთ ეს ასჯერ და, თუკი ახლაც კი კარგად იცით, რომ ჯოხი სწორი რჩება, — წყლის გარეშე კვლავ ცრუ ინფორმაციას მოგაწვდით.

თქვენ უკვე უამრავჯერ შეიცანით, რომ უბედურება წარმოქმნილია გონების მიერ, მაგრამ კვლავ მსხვერპლი ხდებით, გონება კვლავ უბედურებას წარმოშობს, მას არ ძალუძს წარმოქმნას სხვა რამ, რადგანაც არ ხვდება რეალობას, იგი მხოლოდ ოცნებობს, ეზმანება — ესაა მისი ერთადერთი უნარი. მას შეუძლია მხოლოდ ოცნება, ოცნებათა დაკმაყოფილება კი ვერასდროს ვერ ხერხდება, რადგან, როგორც კი წარსდგებიან რეალობის წინაშე, ისინი იმსხვრევიან. და განაგრძობთ ცხოვრებას ოცნება-ზმანებათა შუშას სახლში — თქვენ არ ძალგიძთ პირისპირ შეხვდეთ რეალობას; როდესაც არ უნდა „მოვიდეს" რეალობა, სახლი იმსხვრევა, მრავალი თქვენი სახლი, რომლებშიც ცხოვრობდით; გონებით დაგაქვთ თქვენი სახლების ნანგრევები, ნამსხვრევები: სევდა, ნაღველი, რომელიც შედეგს წარმოადგენს.

გონებამ გაქციათ ასეთი გაღიზიანებული, გულჯავრიანი, მწყრომარე... მიდით ვინმესთან ახლოს, „გაუსინჯეთ მას გული" და აღმოაჩენთ, რომ იგი მწარეა: ასეეა სხვათა შეგრძნება თქვენ მიმართაც. რასთანაც არ უნდა მიხვიდეთ — ყოველივე მწარე ხდება. თუკი თქვენ გარკვეული მანძილის დაშორებით იმყოფე-

ბით, ყოველივე საუცხოოდ ჩანს. როდესაც ახლოს მიდიხართ, გონებანი ერთმანეთში შეაღწევენ, ერთმანეთით იმსჭვალებიან და ყოველივე მრუდდება — მაშინ არაფერი აღარ არის სწორი... ყოველივე ეს გაცნობიერებული უნდა იქნას როგორც საკუთარი განცდა და არა როგორც თეორია — სენ-ცანი ასე ამბობდა.

ყოველივე ეს გაცნობიერებული უნდა იქნას როგორც თქვენ მიერ განცდილი ფენომენი — აქ დახმარებას ვერ შეძლებს სენ-ცანი, ვერ [illegible] მე და ვერც სხვა. მხოლოდ უშუალო განცდისას იქცევა ეგი ჭეშმარიტებად, მხოლოდ მაშინ იწყებს ტრანსფორმაციას მრავალი რამ, მხოლოდ მაშინ უკუიგდება გონება.

და როდესაც გონება უარყოფილია, ყველა სამყარო ქრება, ქრებიან ობიექტები, ისინი წყვეტენ არსებობას როგორც ობიექტები. მაშინ არ იცით, სად თავლებით თქვენ და სად იწყება საგნები: ამ დროს ქრება, იშლება საზღვრები, ისინი აღარ არსებობენ. თავიდან ისე გრძნობთ, თითქოს ყოველივე არეულია, ბუნდოვანია — მაგრამ ნელ-ნელა თქვენ თავსდებით ახალ ფენომენში, რომელიც წარმოიქმნება გონების არყოფნისაგან. მაშინ ჩნდებიან ვარსკვლავები, მაგრამ ისინი თქვენი ნაწილია და არა ობიექტები; არიან ყვავილები და ხეები, მაგრამ ისინი ჰყვავიან თქვენში, თქვენ გარეთ ისინი არ არსებობენ. მაშინ თქვენ ცხოვრობთ მთლიანობაში. ბარიერი დაძლეულია. ბარიერი კი თქვენი გონება იყო. პირველად არ არის სამყარო, რადგან სამყარო წარმოადგენდა ობიექტების ჯამს. პირველად წარმოჩნდება სამყარო, სამყარო კი ნიშნავს ერთიანობას, მთლიანობას. გაიხსენეთ სიტყვა „უნი", — მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ უწოდოთ მას ქვეყნიერება, სამყარო, უნივერსუმი, თქვენთვის ეს „მულტივერსუმია" — მრავალი სამყარო და არა ერთი, ის ჯერ კიდევ არ გამხდარა ერთი. მაგრამ როდესაც გონება მოიხსნება, სამყაროები ქრებიან. მაშინ აღარ არსებობენ ობიექტები, საზღვრები ერთმანეთს შეერევიან და ხვდებიან: ხე იქცევა კლდედ, კლდე მზედ, მზე ვარსკვლავებად, ვარსკვლავი კი ქალად, რომელიც თქვენ გიყვართ — ყოველივე ერთმანეთს ხვდება და შეერევა. და თქვენ ცალკე აღარ ხართ: თქვენ ამაში ხართ, პულსაციას ახდენთ უშუალოდ გულთან. მაშინ ეს უნივერსუმია.

რას შვრებოდით თქვენ აქამდე?

ცდილობდით „მიგელოთ" საუკეთესო ოცნება და, ცხადია, ამაოდ გაისარჯეთ. გონების მთელი მცდელობანი აქეთკენაა მიმართული, მაგრამ ნუ გექნებათ იმედი, რომ გონებას შეუძლია მოგანიჭოთ საუკეთესო ზმანება. სიზმარი სიზმარია. თუნდაც იყოს საუკეთესო სიზმარი, ის ვერ დაგაკმაყოფილებთ, სიზმარი სიზმარია.

თუკი წყურვილს გრძნობთ, თქვენ გესაჭიროებათ რეალური წყალი და არა წყალი-ზმანება. თუ მოშიებული ხართ, თქვენ გესაჭიროებათ რეალური, ნიკოთიერი პური, მაგრამ არა პური — ოცნება. თქვენ შეგიძლიათ მოიტყუოთ თავი რამდენიმე წუთით — მაგრამ სანამდე? ეს ყოველ ღამეს ხდება: თქვენ მშიერი ხართ და გონება წარმოქმნის სიზმარს, რომ ჭამთ, მიირთმევთ დელიკატესებს. რამდენიმე წუთით ეს კარგია, რამდენიმე საათითაც კი, მაგრამ სანამდე? შეგიძლიათ დარჩეთ ამ სიზმარში მუდმივად? ეს გეხმარებათ ძილში — თორემ შიმშილი გაგაღვიძებთ და დაგეჭირდებათ ადგომა და საჭმელად წასვლა; ეს გეხმარებათ: თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ ძილი, რადგან გრძნობთ, რომ მიირთმევთ, და არ არის საჭირო სადმე წასვლა, მაგრამ დილით გეცოდინებათ, რომ თქვენმა გონებამ მოგატყუათ.

მთელი ცხოვრება ზუსტად ასეთი სიზმარია — თქვენ ცვლით ობიექტებით — ზმანებებით რეალობას და ამიტომ ყოველდღე ყოველივე იმსხვრევა, ყოველდღე ყოველივე ეჯახება რეალობას, რადგან რეალობა აგრძელებს დარტყმებს აქედან და იქიდან — თქვენ არ შეგიძლიათ მისი თავიდან აცილება. სიზმარი — ძალიან

სუსტი, მყიფე რამ არის: რეალობა უკაკუნებს და ამსხვრევს მას. და ეს კარგია; თქვენთვისვე სასიკეთოდ რეალობა ამსხვრევს, და ნაკუწ-ნაკუწ აქცევს მათ. მაგრამ თქვენ თავიდან იწყებთ ამ ნაკუწების შეგროვებას და ახალი სიზმრების წარმოქმნას. შეწყვიტეთ ეს! თქვენ მრავალჯერ შეიქმენით სიზმრები — არაფერია მიღწეული. უკვე საკმარისია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი გესმით და ხვდებით, რომ „ოცნებობია" უნდა შეწყდეს, ობიექტების სამყარო ქრება, სამყარო იქნება, მაგრამ არ იქნებიან ობიექტები. ამ დროს ყოველივე ცოცხლდება, ყოველივე სუბიექტური ხდება. რელიგიურ ადამიანთა გამონათქვამების აზრით, ყოველივე ღმერთია. რას ამბობენ ისინი? ღმერთი — უბრალოდ მეტაფორაა. არავინ ზის ზევით ზეცაში, რომელიც აკონტროლებს და მართავს. ღმერთი — უბრალო მეტაფორაა. მეტაფორა იმისა, რომ **ყოველივე სამყაროში არასაგნობრივია, — ისინი ჰერსონებია.** ღრმად შიგნით ისინი სუბიექტურები არიან. ყოველივე ცოცხალია და ფეთქავს და ეს პულსირება ნაწილობრივი პროცესი არ არის — ეს ერთიანის, მთლიანის პულსაციაა. თქვენ გრძნობთ გულისცემას — გულთან, გულის სიახლოვეს; მაგრამ თუკი ფიქრობთ, რომ ეს ცემა მხოლოდ გულშია, მაშინ ცდებით — მთელი სხეული პულსირებს. გული მხოლოდ ინდიკატორია, პულსირებს მთელი სხეული. აი, რატომ არის, რომ როდესაც გული ჩერდება, სხეული მკვდარია — პულსირდება სინამდვილეში არა გული, არამედ მთელი სხეული პულსირდება გულით: გული მხოლოდ ინდიკატორი იყო. მთლიანობა პულსირებს თქვენით: თქვენ უბრალოდ ინდიკატორი ხართ. სამყარო პულსირებს და სცემს თქვენით და თქვენში: თქვენ არა ხართ და არის სამყარო. მაგრამ სამყარო — ობიექტების ჯამი არ არის — ეს სუბიექტურობაა: იგი ცოცხლობს როგორც პიროვნება, იგი ცოცხალია, ცნობიერია; იგი მექანიკური ორგანიზმი არ არის, ის ორგანული მთლიანობაა...

ახლა შეეცადეთ ჩაწვდეთ სენ-ცანის სიტყვებს:

> როდესაც ქრებიან აზრები — ობიექტები,
> ქრება მოაზროვნე სუბიექტიც;
> ისევე როგორც, როდესაც ქრება გონება —
> ქრებიან ობიექტები
> საგნები არიან ობიექტები სუბიექტისაგან, სუბიექტით,
> გონებაც ასევეა საგნებისაგან, საგნებით.

საგნები გარშემო არსებობენ თქვენით — თქვენ იზიდავთ მათ. თუ გრძნობთ თქვენ გარშემო ჯოჯოხეთს — სწორედ თქვენ შექმენით ეს. ნუ ბრაზდებით და ნუ იწყებთ მასთან ბრძოლას, ეს უშედეგოა. თქვენ მოიზიდეთ იგი, თქვენ „მოიწვიეთ" ის, თქვენ გააკეთეთ ეს და მუდამ გახსოვდეთ, რომ ყოველივე, რაც თქვენ გარშემოა, დამკვიდრებულია, ფესვგადგმულია თქვენს გონებაში — მიზეზი მუდამ გონებაა. გონება პროექტია, გარშემო კი მხოლოდ ეკრანებია: იმუშავეთ გონებაზე, ნუ მუშაობთ ეკრანებზე.

მაგრამ აქ წარმოიქმნება პრობლემა, რადგან ფიქრობთ, რომ თქვენ ხართ გონება — როგორღა უნდა უკუაგდოთ იგი?

თქვენ ფიქრობთ, რომ ამქვეყნად შეიძლება ყოველივე შეცვალოთ, ხელმეორედ შეღებოთ. უკუაგდოთ — მაგრამ როგორ უნდა უკუაგდოთ საკუთარი თავი? თქვენ გაუიგივდით საკუთარ გონებას, ტვინს — ესაა ყველა პრობლემის არსი. მაგრამ თქვენ არა ხართ გონება, თქვენ გონების გარეთ ხართ. და მედიტაციის მიზანია მოგცეთ თქვენ ცოდნა და სტიმული იმის გასაცნობიერებლად, რომ თქვენ არა ხართ გონება. თუნდაც გონება გაჩერდეს სულ რამდენიმე წამითაც, თქვენ მაინც არსებობთ. გარდა ამისა, თქვენ გაცილებით ამაღლდით — სავსე

ხართ ყოფიერებით. როდესაც გონება ჩერდება, თითქოს დრენაჟმა მუშაობა შეწყვიტაო, რომელიც თქვენ გამუდმებით გაშრობდათ (გწრეტდათ), ანაზდად თქვენ ენერგიით ივსებით, გრძნობთ მეტ მასშტაბურობას და ძალ-ღონეს, თუკი თქვენ წამითაც გაიცნობიერეთ: მე ვარ — თქვენ მიაღწიეთ ჭეშმარიტების ღრმა შუაგულს. მაშინ ადვილად უკუაგდებთ გონებას. თქვენ არა ხართ გონება, სხვაგვარად როგორ უკუაგდებთ თავს? თავიდან უკუგდებულ უნდა იქნას კვლევა, შემდეგ შესაძლებელია აგრეთვე გონების უკუგდებაც.

გურჯიევის ერთ-ერთი მეთოდი იმაში გამოიხატება, თუ როგორ გაუხდეთ გაუიგივებელი. როდესაც გეუფლებათ სურვილი, დააკვირდით მას, უთხარით საკუთარ თავს: საუცხოოა, მე მივადევნებ თვალყურს, საითკენ იწევს ეს გონება. და იგრძნობთ დისტანციას — თქვენ უყურებთ მას. ვინ არის ეს მაყურებელი, ვინ არის ეს დამკვირვებელი? ზოგჯერ თქვენ გავიწყდებათ, უერთდებით, ერწყმით სურვილს, თქვენს ზმანებათ რომ წარმოშობს. განეწყვეთ ხელახლა, დააკვირდით სურვილს კიდევ ერთხელ: ის თავისთავად მოძრაობს; აზრი — ღრუბელია თქვენი არსების ცაზე. უბრალოდ შეხედეთ, თვალყური მიადევნეთ მას. გახსოვდეთ: თუ შეგიძლიათ გაუიგივებელი იყოთ თუნდაც წამის მონაკვეთში, მაშინ სურვილი არ არის იქ, თქვენ კი აქ, არის დისტანციაც — და ანაზდად წარმოიქმნება ნათელხილვა, თქვენ სინათლე გეუფლებათ.

ახლა იცით, რომ გონება მუშაობს თავისთავად — ეს არის მექანიზმი, რომელიც შეგიძლიათ უკუაგდოთ. ახლა შეგიძლიათ ისარგებლოთ გონებით და შეგიძლიათ არ ისარგებლოთ — ახლა თქვენ პატრონი ხართ, არა მონა. მექანიზმმა თავისი ადგილი დაიკავა და ახლა, როცა თქვენ უკვე განსხვავდით მისგან, შესაძლებელია მისი უკუგდება. მედიტაცია, მდუმარე ჯდომა, გონებაზე დაკვირვების წარმოება — დიდ დახმარებას გაგიწევთ. არა ძალდატანება — უბრალოდ ჯდომა და ხედვა, დაკვირვება. უბრალოდ თვალყური მიადევნეთ, როგორც უყურებენ ცაში მოფრთხიალე ფრთოსნებს. ამ დროს არაფერს არ აკეთებთ, არც იმას უფიქრდებით, სად და რისთვის მიფრინავენ ისინი. ეს თქვენ არ გაღელვებთ, არ გეხებათ — ისინი ფრენენ თავისთვის და თავისთავად. აზრებიც ასეთი ფრთოსნები არიან — ისინი მოძრაობენ თავისთავად. ზოგჯერ აზრები გადმოგეცემათ გარშემო მყოფი ხალხისაგან, ზოგჯერ კი პირიქით. აი, რატომ არის, რომ ერთი რომელიმე ადამიანის თანდასწრებისას შეიძლება იგრძნოთ უცაბედი სევდა, სხვა ადამიანთან ყოფნისას კი პირიქით, ენერგიის მოზღვავებას და ბედნიერებას განიცდით. უბრალოდ ვინმეს შეხედვა, მის გვერდით ყოფნა — და რაღაც იცვლება თქვენს განწყობილებაში. ეს ხდება კავშირში საგნებთან, ადგილმდებარეობასთან, საზოგადოებასთან. რომელიღაც სახლში თქვენ გიპყრობთ რაღაცნაირი გულგატეხილობა, დაღვრემილობა, სხვა სახლში კი შვებას გრძნობთ, თითქოს ფრთები გესხმებათ, უწონობის მდგომარეობაში ხართ. თქვენ მოხვდით ადამიანების გარემოცვაში — და თქვენს თავს რაღაც ამბავია, რაღაც შეიცვალა; თქვენ აღმოჩნდით სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში და კვლავ რაღაც იცვლება.

სატსანგის არსი იმაში გამოიხატება, რომ იყოთ ოსტატთან, რომელსაც არა აქვს აზრები. უბრალოდ იყავით მასთან და — როდისმე მისი არაგონება „კარზე მოგიკაკუნებთ". ეს მოხდება რომელიმე მომენტში — ამას წინასწარ ვერ გამოიწვევ, საჭიროა უბრალოდ ლოდინი, ლოდინი და დაკვირვება. აქ ძალდატანება შეუძლებელია, რადგან ეს აზრი არ არის. აზრი საგანია. ის შეიძლება მოგცენ, მოგაწოდონ. არა — აზრი — ეს არა — საგანია, მისი მოცემა შეუძლებელია.

აზრს აქვს თავისი საკუთარი მოძრაობა და მიმართულება.

როდესაც ადამიანის გვერდით ხართ, რომელსაც ძალზე ბევრი აზრები აქვს,

იგი გავსებთ თავისი აზრებით — თავისი გონებიდან თქვენში სცლის თავის აზრებს; თუნდაც უბრალოდ თქვენ გვერდით იმყოფებოდეს, არა აქვს მნიშვნელობა, ლაპარაკობს იგი თუ არა. აზრები ნაპერწკლებივით სცვივიან მისი თავიდან და თქვენ იჭერთ მათ. ზოგჯერ იცნობიერებთ კიდეც, რომ სხვისი აზრი მოდეთ; მაგრამ უფრო ხშირად თქვენ უბრალოდ ივსებით აზრებით, იგიყლეფებით მასთან. ვიღაც გაბრაზდა — და თქვენ რაღაც იგრძენით შიგნით: ეს თქვენი ნეტარმა არ არის; ვიღაცამ ანტიპათია გამოხატა და ამან იმოქმედა თქვენზე. ყოველივე გადამდებია: გონება, აზრები — ეს ყველაზე გადამდები ავადმყოფობაა ამქვეყნად, ვერც ერთი გრიპი ვერ შეედრება მას.

თუ თქვენ უნარი გაქვთ ხედვის, შეგიძლიათ დაინახოთ ნაპერწკლებიც კი, ადამიანის თავიდან რომ სცვივა, — ისინი სხვადასხვა ფერისანი არიან. აი, რატომ იყო, რომ ძალიან ბევრმა მისტიკოსმა გაიცნობიერა აურა. დაღვრემილი, სევდიანი ადამიანი გარშემორტყმულია სევდიანი აურით და შეგიძლიათ დაინახოთ კიდეც იგი, თუკი თქვენი თვალები სუფთაა. მაშინ თქვენ უნარი გაქვთ დაინახოთ, როცა ბედნიერი ადამიანი გიახლოვდებათ; თუნდაც ვერ ხედავდეთ მას, ის თქვენ უკანაა, თქვენ ანაზდად შეიგრძნობთ რაღაცნაირ ბედნიერებას, გარშემო რომ ხდება.

აზრები — თქვენი საკუთრება არ არის, აზრები — თქვენ არა ხართ და, როდესაც ადამიანი კვდება, აზრები ირგვლივ იფანტება. მიუახლოვდით მომაკვდავს, დაუკვირდით — ეს თავისთავად განცდას წარმოადგენს: უბრალოდ იჯექით და თვალყური მიადევნეთ, რა „ემართება" თქვენს გონებას. გაიცდებით: აზრები, რომლებიც არახოდეს გაგაჩნდათ, აზრები, რომლებიც თქვენთვის უცნობია, — მოულოდნელად ამოქმედდნენ. როდესაც ადამიანი კვდება, იგი მიმოფანტავს თავის აზრებს გარშემო, როგორც მომაკვდავი ხე მიმოფანტავს თავის თესლებს: იგი (ხე) პანიკაშია, სანამდე მოკვდება, მან უნდა მიმოფანტოს თესლები, რათა ამოვიდნენ სხვა ხეები. თუ თქვენ გაცნობიერების უნარი გაქვთ, მაშინ არ არის პრობლემები. აღარ იმოქმედებს თქვენზე დაღვრემილობა ან სევდა, რადგან გეცოდინებათ, რომ ეს დროებითი შეგრძნებაა, რომ იგი ისევ „წავა" და თქვენც არასდროს აღარ უიგივდებით მას. თქვენ, ალბათ, გიგრძვნიათ როდისმე ის, როცა, მაგალითად, ეკლესიაში შესულხართ. ადამიანები ლოცულობენ და იმწამსვე სხვანაირად გრძნობთ თავს. მათი მხურვალე ლოცვის ხილვისას თქვენც ცეცხლი გენთებათ გულში და გრძნობთ ანაზდეულ შინაგან ცვლილებას.

იყავით ფხიზელნი!

დააკვირდით, როგორ შემოდიან აზრები თქვენში, როგორ უიგივდებით და უერთდებით. ისინი ისე სწრაფად მოძრაობენ, ისეთი დიდი სიჩქარით, რომ არაფერი შეედრება ამ სიჩქარეს — აზრის სიჩქარეს. მას არ ესაჭიროება დრო, რაიმეს რომ მიაღწიოს, ერთი უსასრულობიდან იგი მეორეში ხვდება, მისთვის არ არსებობს სივრცე. თქვენ არ შეგიძლიათ ამიტომ დაინახოთ ორი აზრი ცალცალკე.

დაჯექით, დახუჭეთ თვალები და შეანელეთ ყველა პროცესი ორგანიზმში: სუნთქვა ნელდება, პულსი ნელდება, სისხლის წნევა კლებულობს. თქვენ ყველაფერს ანელებთ და დუნდებით, ეშვებით — რადგან, როცა ყოველივე ნელდება, მაშინ აზრებიც უნდა შენელდნენ — ყოველივე ეს ხომ განუყოფელი მთლიანობაა. როდესაც ყოველივე შენელდება და იკლებს, იკლებენ აზრებიც. აი, რატომ არის, რომ ღრმა ძილში აზრები ჩერდება — ყოველივე ესოდენ შენელებულია, აზრი კი ისეთი სწრაფი რამაა, რომ ხდება წყვეტა: პროცესი აღარ გრძელდება — აზრი

ქრება. ღრმა ძილში, რამდენიმე საათით, ორი საათით მაინც, აზრი ჩერდება, რადგან თქვენ მთლიანად მოდუნებული, მოშვებული ხართ.

მოეშვით და უბრალოდ თვალ-ყური მიადევნეთ, რადგან სააზროვნო პროცესი ნელდება. თქვენ შეგიძლიათ შენიშნოთ შუალედები. ორ აზრს შორის არის ინტერვალი. — ამ ინტერვალში არის ცნობიერება. ორ ღრუბელს შორისაც ინტერვალია. ამ ინტერვალში ლურჯი ზეცაა. შეანელეთ სააზროვნო პროცესები და დააკვირდით ინტერვალებს; გააშახვილეთ ყურადღება ინტერვალზე, არა ღრუბლებზე; ნუ უყურებთ ფიგურას, უყურეთ ფონს. თუ მე აქ დავდგამ დაფას, დიდ, კედლისოდენა გრიფელის დაფას, ალვნიშნავ მასზე თეთრ წერტილს და შემდეგ შეგეკითხებით, რას ხედავთ-მეთქი, 99%-ით დარწმუნებული ვარ, თქვენ ვერ დაინახავთ დაფას — დაინახავთ თეთრ წერტილს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ ფიგურას და არა ფონს. დაფა ხომ ასე დიდია, მაგრამ თქვენ იტყვით: მე ვხედავ პატარა თეთრ ლაქას. უზარმაზარი დაფა არა სჩანს, მაგრამ თითქმის უჩინარი პატარა თეთრი ლაქა კი მოჩანს დაფაზე. ეს გონების ფიქსირებული კანონია: ვუყუროთ ფიგურას და არა ფონს, ვუყუროთ ღრუბელს და არა ცას; ვუყუროთ აზრს და არა ცნობიერებას.

გონების ამგვარი განწყობა უნდა შეიცვალოს, მიაქციეთ მეტი ყურადღება ფონს, ვიდრე აზრის ფიგურას — და უფრო მიუახლოვდებით რეალობას. მედიტაციის დროს ეს განუწყვეტლივ უნდა აკეთოთ. გონება ძველი ჩვეულების მიხედვით ფიგურას მიაპყრობს ყურადღებას; თქვენ უბრალოდ კვლავ მოახდინეთ გადასვლა — უყურეთ ფონს.

ჩვენ აქ-ვართ — თქვენ აქ ხართ და მე ვარ აქ. მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ ორგვარად. მე შემიძლია ვუყურო ფონს — იქ ხეებია, მცენარეები, სიმწვანე, ცა, უზარმაზარი სამყარო; ყოველივე ეს თქვენი ფონია. ანდა მე შემიძლია გიყუროთ თქვენ: თქვენ ფიგურები ხართ. მაგრამ თქვენი გონება მუდამ ფიგურას უყურებს. აი, რატომ ხდება, რომ, როდესაც ახლოს მიდიხართ ისეთ ადამიანთან, როგორიც სენ-ცანია, ბუდა ან იესო, გრძნობთ, რომ მათი თვალები არ გიყურებენ თქვენ: თქვენ, უბრალოდ, ფიგურები ხართ, ხოლო ისინი ფონს უყურებენ, მათი შინაგანი განწყობა სხვანაირია, განსხვავებულია. თქვენ შეიძლება იგრძნოთ, რომ მათი თვალები ცივია, რადგან ისინი ყურადღებას არ გაქცევენ. თქვენ უბრალოდ ღრუბელი ხართ. როდესაც ბუდა გხედავთ, — თქვენ ხართ, მაგრამ როგორც ფონის მხოლოდ პატარა ნაწილი; ფონი ვეებერთელაა, თქვენ კი მხოლოდ წერტილი ხართ.

მაგრამ თქვენ გსურთ, რომ ეინმე გიყურებდეთ, როგორც პატარა წერტილს ისე, თითქოს სამყარო ხართ, თითქოს არაფერი არ არსებობს თქვენ გარდა. ბუდას სიყვარული ცივად გეჩვენებათ, თქვენ გჭირდებათ მხურვალე სიყვარული: თვალები, მოპყრობილი რომ არიან თქვენკენ და რომლებიც იეიწყებენ მთლიანობას. ბუდასათვის ეს შეუძლებელია: მხოლოდ პატარა წერტილი ხართ და თქვენი ადგილი გაქვთ. რაც უნდა ლამაზი იყოთ, თქვენ უზარმაზარი ფონის მცირე ნაწილი ხართ — შეუძლებელია თქვენთვის მთელი ყურადღების მოპყრობა. აი, რატომ გრძნობს თავს ეგო დამცირებულად, თავმოყვარეობაშელახულად ბუდას წინაშე — მას მთელი ყურადღება სურს: შემომხედეთ, მე სამყაროს ცენტრი ვარ.

მაგრამ თქვენ არა ხართ სამყაროს ცენტრი. სინამდვილეში სამყაროს ცენტრი არ არსებობს, რადგან ცენტრი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სამყარო შემოფარგლულია. თუკი ეს შემოსაზღვრული, შემოფარგლული წრეა, მაშინ ცენტრი შესაძლებელია — მაგრამ სამყარო არ არის შემოფარგლული წრე. იფიქრო წრეზე — ეს აბსურდია. არ არსებობს ცენტრი სამყაროში, იგი არსებობს

ყოველგვარი ცენტრის გარეშე — და იგი მშვენიერია ამით; აი, რატომ ფიქრობს ადამიანი, რომ ის ცენტრია, სამყაროში რომ ცენტრი იყოს, მაშინ ეს შეუძლებელი იქნებოდა.

აი, რატომ არ მიიღებენ მაჰმადიანები, ქრისტიანები და იუდეველები ინდუისტურ მტკიცებას: მე ვარ ღმერთი — **„ახამ ბრახმასი“**. ისინი [illegible] აბსურდია. რას ლაპარაკობ? მხოლოდ ღმერთია ცენტრი, არავინ [illegible] სხვა არ არის ცენტრი. მაგრამ ინდოელებს შეუძლიათ იოლად, თავისუფლად ამტკიცონ: „მე ვარ ღმერთი“. ამით ისინი ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ცენტრი, ანდა ყოველი ცენტრია; მაგრამ როდესაც პრეტენზიას აცხადებთ, რომ მთელი ყურადღება თქვენზე იყოს, — ეს გონების ძველი ჩვეულებაა — უყუროს არა ფონს, არამედ მხოლოდ ფიგურას. მედიტაციაში ფიგურიდან უნდა გადახვიდეთ ფონზე, ვარსკლავებიდან ცაზე. რაც უფრო ხშირად ხდება ეს გადასვლა, ეს გადანაცვლება, მით უფრო ნათლად იგრძნობთ, რომ თქვენ გონება არა ხართ; მით უფრო ძლიერად იგრძნობთ, რომ შეგიძლიათ გონების უკუგდება. ეს ისევეა, როგორც ტანსაცმლის გახდა — შეგიძლიათ იგი იოლად მოიცილოთ. მაგრამ ამისათვის საჭიროა გაიგოთ, რომ თქვენ ფონი ხართ და არა ფიგურა.

როდესაც ეს გონება უკუგდებულია, ამბობს სენ-ცანი, მაშინ ობიექტური სამყარო უბრალოდ ქრება. რას გულისხმობს იგი? მხედველობაში აქვს მას ის, რომ როდესაც ღრმა მედიტაციაში ხართ (როცა თქვენ მიაღწიეთ მიზანს — უკუაგდეთ გონება) ეს ხეები, რომელთაც თქვენ ხედავთ, გაქრება? ანდა აღარ იქნება ეს სახლი და თქვენ აღარ იჯდებით აქ? თუკი მე მივაღწიე მიზანს, ქრება თუ არა ეს სკამი, რომელზეც მე ვზიავარ? — არა. ობიექტი ქრება როგორც ობიექტი — არც ეს სკამი, არც ხე არ გაქრება, ისინი დარჩებიან, მაგრამ აღარ იქნებიან შემოფარგლულები. ახლა მათ არა აქვთ საზღვრები — ახლა ეს სკამი ხვდება, უერთდება მზეს და ცას: ფიგურა და ფონი ერთიანი ხდება, მათი ინდივიდუალობა დაკარგულია, ისინი აღარ არიან ობიექტები, რადგან თქვენ აღარა ხართ სუბიექტი.

კრიშნამურტს აქვს ლამაზი ფრაზა: ღრმა მედიტაციაში დამკვირვებელი ხდება დასაკვირვებელი. ეს მართალია. მაგრამ ეს შეიძლება აბსურდულად მოგეჩვენოთ. გულისხმობს კრიშნამურტი, რომ, თუ თქვენ უყურებთ ყვავილს, მაშინ ყვავილი ხდებით? — მაშინ როგორღა დაბრუნდებით სახლში; და ვიღაცას შეუძლია მოგწყვიტოთ; აქ თავს იჩენს აგრეთვე მრავალი სხვა პრობლემა.

„დამკვირვებელი ხდება დასაკვირვებელი“ ნიშნავს ეს, რომ თქვენ ხდებით ყვავილი? არა, არ ნიშნავს და მაინც რაღაც აზრით — კი. თქვენ არ ხდებით ყვავილი იმ აზრით, რომ შეიძლება თქვენი მოწყვეტა, ხელში აღება, რომ თქვენ ადამიანი აღარა ხართ. მაგრამ, როცა აღარ არის გონება, მაშინ აღარ არის არავითარი საზღვარი, რომელიც გამოგაცალკევებდათ ყვავილისაგან, ანდა ყვავილს თქვენგან. თქვენ ორივენი გახდით სუბიექტური ტბა — თქვენ გაიხსენით და შეხედეთ. თქვენ დარჩით თქვენადვე, ყვავილი ყვავილად, მაგრამ არის გახსნა.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს ზოგჯერ ხდება რამდენიმეჯერ და რამოდენიმე მომენტში — როდესაც გიყვართ ადამიანი. ეს იშვიათად ხდება, რადგან ადამიანური გონება არასოდეს გტოვებთ თქვენ — სიყვარულის დროსაც კი — აგრძელებს რა თავისი მახასიათებელი სისულელეების ჩადენას, ქმნის რა თავის სამყაროს; იგი არ აძლევს საშუალებას თავის საყვარელს მიაღწიოს ფონს — ეგო მუდამ ხელს უშლის. მაგრამ ზოგჯერ ეს ხდება. ცხადია, ეს უნდა ხდებოდეს და ეს ხდება — მაგრამ თქვენგან დამოუკიდებლად; ეს თვითონ ბუნებრიობაა და თუნდაც გონებამ ყველა ზომა მიიღო — რეალობა ზოგჯერ „გეჯახებათ“ თქვენ. იგი ანა-

ხდეულად აღწევს თქვენში, სპონტანურად და სრულიად მოულოდნელად, როდესაც არა ხართ ფხიზლად, არა ხართ მობილიზებული, როდესაც ფიქრებში ხართ წასული, ანდა თავდავიწყებას ხართ მიცემული, ან კიდევ რაიმეთი ხართ დაკავებული — ამ დროს უეცრად ფანჯარა იღება და რეალობა იჭრება თქვენს არსებაში, თუმცა სრულიადაც არ უყურებთ ფანჯარას... ეს ხდება სიყვარულის რამდენიმე მომენტში: დამკვირველი ხდება დასაკვირველი. ეს ძლიერი მედიტაციაა: თუ გიყვართ ადამიანი, დაჯექით მის გვერდით და ერთმანეთს უყურეთ თვალებში ისე, რომ არაფერზე არ იფიქროთ, არც მასზე, არც არაფერზე, საერთოდ ბროცესს რომ წარმოქმნის — უბრალოდ უყურეთ ერთმანეთს თვალებში. და ამ დროს ხდება რამდენიმე გაელვება, — როდესაც დამკვირველი ხდება დასაკვირველი. თვალები — ეს ძშვენიერი კარებია, რათა „შეხვიდეთ" ერთმანეთში. რატომ ვამბობ, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ სიყვარულში? იმიტომ, რომ მხოლოდ სიყვარულის დროს არა ხართ ფხიზლად, თქვენ მოდუნებული, დაუძაბავი ხართ. როდესაც სხვისი არ გეშინიათ — თქვენ „ნებას აძლევთ" თავს იყოთ ძშვიდად, „გაიხსნათ" ბოლომდე. სხვა შემთხვევაში თქვენ მუდამ ფხიზლად ხართ, რადგან არ იცით, რას იზამს სხვა, გავნებთ თუ არა იგი რაიმეს. და თუ ფხიზლად არა ხართ, ამ ვნება-ზიანმა შეიძლება ღრმად შეაღწიოს თქვენში, სიყვარულში. თქვენ შეგიძლიათ უყუროთ ერთმანეთს თვალებში.

რამდენიმე ნაპერწკალი, გაელვება — როდესაც ფონი და ფიგურა ერთმანეთში გაიხსნებიან და ეს თქვენზე უღრმეს შთაბეჭდილებას მოახდენს. უეცარი წამი: თქვენ არა ხართ და მაინც ხართ და სადღაც სიღრმეში მოხდა შეხვედრა. ნამდვილი მედიტატორისთვის ეს ხდება ბუნებრივად სამყაროსთან მიმართებაში. არა ის, რომ ის ხდება ხე — მაგრამ იგი მაინც იქცევა ხედ: როდესაც ის ხესთანაა, მაშინ საზღვრები აღარ არის; და როდესაც ის მიქცეულია ამ უსაზღვრო სამყაროსაკენ, მაშინ იგი მოძრაობს უსაზღვროდ. აი, რას გულისხმობს სენ-ცანი შემდეგ სიტყვებში: როდესაც გონება ქრება, ქრებიან ობიექტები. როდესაც ქრებიან ობიექტები — ქრებით თქვენ, ქრება ეგო; ისინი დაკავშირებულები არიან.

ჩაწვდით ამ ორის კავშირს
და თავდაპირველ რეალობას — სიცარიელის ერთიანობას.

თქვენი გონება და გარეგნული ობიექტები შეერთებულია, მათ შორის ხიდია. თუკი ერთი ნაპირი ქრება — ხიდი ვარდება, ხიდთან ერთად კი ქრება მეორე ნაპირიც. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ერთი ნაპირის არსებობა მეორის გარეშე — ამაშია დაკავშირებულობის, „გადაბმულობის" აზრი. და მაშინ არის ერთიანობა — სიცარიელის ერთიანობა. მაშინ თქვენ ცარიელი ხართ და ყვავილიც ცარიელია — რადგან არ არის საზღვრები და როგორღა შეიძლება იყოს მაშინ ცენტრი? ეს ერთ-ერთი უღრმესი აღმოჩენათაგანია ბუდასი, და მხოლოდ ბუდისტებმა თქვეს ეს ესოდენ საუცხოოდ: ისინი ამბობენ, რომ როცა არ არის **ატმან,** არ არის სული. ეს ძალზე ძლიერად იქნა დამახინჯებული, რადგან ინდუიზმი ამბობს, რომ ყოველივე დაფუძნებულია ატმანზე, სულზე, უმაღლეს სულზე.

ბუდა ამბობს: თუ არ არის საზღვარი, როგორ შეიძლება არსებობდეს სული? როდესაც არ არის საზღვარი და გონება სრულიად მრუდე გახდა, როგორ შეიძლება არსებობდეს „მე"? იმიტომ რომ „მე" გონებაა. როგორ შეგიძლიათ თქვენ თქვათ: „მე ვარ", როცა არსებობს მხოლოდ ერთიანი, მთლიანი? როდესაც ფიგურა და ფონი გამთლიანდნენ, ერთიანი გახდნენ, როგორ შეგიძლიათ თქვათ — „მე ვარ"?

ეს არის ბუდას სიცარიელე — ანატტა, ეს საუცხოო სიტყვაა. ანატტა — „არა თვითონ", „არა — თვითონობა". თქვენ „აღარ ხართ" — და მაინც ხართ,

სინამდვილეში პირველად არსებობთ როგორც მთლიანობა, მაგრამ არ არსებობთ როგორც ინდივიდუალობა, თქვენ კუნძული აღარა ხართ — არსებობთ როგორც სიცარიელის უზარმაზარი სივრცე. ასევეა ყვავილი, ხე, ჩიტები, ცხოველები; ასევეა კლდე, ვარსკვლავები და მზე. როდესაც თქვენი „თვითონ" ქრება, „თვითონობა" ქრება ყველგან. რადგან ეს „თვითონ, ეს ინდივიდუალობა არსებობდა საშყაროში, არსებობდა თქვენი შეშლილობა, უგუნურება, აღარ არსებობს.

სენ-ცანი ამბობს: როდესაც არის სიცარიელე — არის მთლიანობაც. თუკი ხართ თქვენ — როგორღა იქნება მთლიანობა, ერთიანობა? თვითონ თქვენი განცალკევებული არსებობა წარმოქმნის გაყოფას, განაწილებას (მთლიანობა აღარ არის მთლიანობა — იგი იყოფა, ნაწილდება, რაც ბონების თვისებაა). მაჰმადიანები ამბობენ, რომ უყვართ ინდუისტები, რომ ისინი ძმები არიან; ქრისტიანები ამბობენ, რომ უყვართ ინდუისტები. ყველანი ძმები არიან, მაგრამ როგორ შეგიძლიათ თქვენ იყოთ ძმა, როცა თქვენ ქრისტიანები ხართ, როცა თქვენ — იუდეველი ხართ. თქვენი შეზღუდულობა — შემოფარგლულობა, თქვენი საზღვარი შეიცავს და განსხეთქილებას შეიცავს. უკიდურეს შემთხვევაში თქვენ შეიძლება აიტანოთ ერთმანეთი, მაგრამ თქვენ არ შეიძლება იყოთ ერთიანი, მთლიანი. და სიტყვა „ძმა" საქმეს არ შველის — არავინ ისე არ მტრობს ერთმანეთს, როგორც ძმები. როცა ვამბობ: მე ინდუისტი ვარ — მე ამით გამოვეყოფი მთელს. როდესაც ვამბობ, რომ მე ვარ მძლავრი, ძლიერი — მე ამით გამოვეყოფი, ვცილდები სამყაროს. ეს ის არის, რასაც ამბობს სენ-ცანი: „იყავით ბუნებრივნი, ჩვეულებრივნი — ნუ გამოეყოფით სამყაროს, ნუ მიუყენებთ საკუთარ თავს ზუსტ განსაზღვრებებს, მიჰყევით ცხოვრების დინებას, მუდამ მზად იყავით შეხვედრისა და „გალნობა-გალღობისათვის".

ჩაწვდით ამ ორის კავშირს
და თავდაპირველ რეალობას — სიცარიელის ერთიანობას.
ამ სიცარიელეში ორი განუსხვავებელია...

ორი არ შეიძლება იყოს განსხვავებული სიცარიელეში — ისინი არ შეიგრძნობა როგორც განცალკევებული ერთმანეთისაგან. ისინი ცალ-ცალკეა, მაგრამ ეს სხვა ცალკეობაა; თქვენ შეგიძლიათ განასხვავოთ ისინი, მაგრამ — ეს განსხვავება არ არის. ეს ისეა, როგორც ტალღები ოკეანეში — თქვენ შეგიძლიათ ისინი განასხვავოთ: ტალღა ტალღაა და არა ოკეანე, მაგრამ ის მაინც ოკეანეა. ოკეანე ირხევა მასში, ოკეანე პულსირებას ახდენს მასში; ის ცალკეა როგორც ფორმა და არ არის ცალკე როგორც არსებობა. თქვენ რჩებით ცალკე და მაინც არა ხართ ცალკე — ამაშია ძირითადი პარადოქსი, რომელსაც განიცდის ადამიანი, როდესაც აქვს ანატტას მდგომარეობა.

...და ყოველი შეიცავს თავის თავში სამყაროს, ცალკეულის დაკარგვით თქვენ იძენთ მთელს. თქვენ მუდამ ვეშინიათ დაკარგვისა. თქვენ მუდამ ფიქრობთ, თუ თავს დავკარგავ, თუკი მე დავიკარგები — მაშინ აღარ ვიქნები; რაღას შეიძენ, რის მოპოვებას შეეძლებ მაშინ? თქვენ კარგავთ თავს და იღებთ მთელს — თქვენ არაფერს არ კარგავთ, გარდა თქვენი უბედურებისა, გაღიზიანებისა, განგაშისა. ეს გაქვთ, თქვენ რომ დაკარგოთ? თქვენ არაფერი გაქვთ დასაკარგავი გარდა თქვენი ტანჯვა-წვალებისა, მონობისა. მაგრამ ყოველი შეიცავს თავის თავში მთელ სამყაროს. როდესაც თქვენ კარგავთ — თქვენ იქცევით მთელ სამყაროდ, ყოველივე თქვენია. თქვენ სულიერად უქონელი ხართ, ლატაკი ხართ თქვენივე თავის გამო. შეგიძლიათ იყოთ იმპერატორი, თქვენი ბონება კი თქვენივე უქონლობას, სიღარიბეს განაპირობებს.

მე მომეხსენება ერთი სუფიური ამბავი, ეს ერთ-ერთი უძველესი სუფიური რჩევა-დარიგებაა, ქადაგებაა: იმპერატორის სასახლეს ერთი გლახა მიადგა. სწორედ ამ დროს იმპერატორი ბალში იყო და ყური მოკრა, თუ რა უთხრა გლახამ მეკარეს, რომელსაც სურდა მოწყალება გაეღო მისთვის: მე ერთი პირობა მაქვს. მე ყოველთვის ვიღებ წყალობას ბატონისაგან და არა მსახურებისაგან. იმპერატორი კარებისაკენ გაემართა, რათა შეეხედა გლახასათვის — ეს ალბათ სხვანაირი გლახაა, რადგან გლახები პირობებს არ აყენებენ. როგორ შეგიძლიათ წამოაყენოთ პირობა, თუკი თქვენ გლახა ხართ? ამიტომ იმპერატორი დაინტერესდა მოსულით — და იგი აღმოჩნდა განსაკუთრებული გლახა. მანამდე არასოდეს უნახავს იმპერატორს ასეთი იმპერატორული იერსახის მქონე ადამიანი. იგი განასახიერებდა დიდებულებას, კეთილშობილებას. ტანსაცმელი შემოფხრეწილი ჰქონდა, ნახევრად შიშველი იყო, მაგრამ მისი სამათხოვრო გუდა ძალზე ძვირფასი რამ იყო. ახლავე გეტყვით, თუ რატომ. იმპერატორმა ჰკითხა: ეს რა პირობაა? გლახამ მიუგო: ეს იმას ნიშნავს, რომ მსახურები თვითონ არიან მათხოვრები, მე კი არ მსურს უდიერობა გამოვიჩინო ვინმეს მიმართ. მხოლოდ პატრონს შეუძლია გასცეს მოწყალება. როგორ შეიძლება გააკეთოს იგივე მსახურმა? ამიტომ, თუკი შენ მზად ხარ, შეგიძლია გასცე — და მე მივიღებ მას. მაგრამ მე შენც გიყენებ პირობას და ის ასეთია: ჩემი გუდა მოლიანად უნდა გაავსოს. გლახას პატარა სამათხოვრო გუდა ჰქონდა. იმპერატორს ჩაეცინა და თქვა: — შენ მგონი, მთლად დალაგებული ვერ ხარ. შენ რა, ფიქრობ, რომ მე ვერ შეკვლებ შენი მათხოვრული გუდის შევსებას? და მან უბრძანა თავის მინისტრებს მოეტანათ ძვირფასი თვლები და გლახის გუდა გაევსოთ. მაგრამ ისინი ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — რამდენი არ ავსეს გუდა ძვირფასი თვლებით (ისინა ცვლიდნენ მასში ისე, რომ ჩქამსაც არ გამოსცემდნენ), ისინი უბრალოდ თვალთაგან ქრებოდნენ. მათხოვრის გუდა კი ისევ და ისევ ცარიელი რჩებოდა.

იმპერატორი ძნელ მდგომარეობაში ჩავარდა. მისი დიდება დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მას, დიდ იმპერატორს, მთელი მსოფლიოს მპყრობელს, არ შეუძლია გლახაკის გუდის ავსება! მან უბრძანა: მოიტანეთ ყველაფერი — გუდა უნდა აივსოს! რამდენიმე დღე აცარიელებდნენ მის საგანძურს — მაგრამ გუდა ცარიელი რჩებოდა. ბოლოს არაფერი აღარ დარჩა — იმპერატორი მათხოვრად იქცა, მან ყველაფერი დაკარგა. იგი მათხოვრის წინ მუხლებზე დაემხო და უთხრა: ახლა მეც გლახაკი ვარ და მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: გამიმხიელე ამ ჯადოსნური გუდის საიდუმლო!

გლახაკმა უპასუხა: აქ არაფერია განსაკუთრებული. უბრალოდ, იგი ადამიანის გონებისაგანაა გაკეთებული. განსაკუთრებული არაფერი.

ყოველი ადამიანური ჭკუა, გონება — ჩვენი მათხოვრული გუდაა. თქვენ აგრძელებთ მის ავსებას, მაგრამ იგი ცარიელი რჩება. ავდებთ მასში მთელ სამყაროს, სხვა სამყაროებს — და ისინი ქრებიან ისე, რომ ჩქამსაც არ გამოსცემენ; თქვენ აგრძელებთ მიცემას, გონება კი სულ ითხოვს და ითხოვს.

მიეცით სიყვარული, მაგრამ, თუ გლახაკის გუდა თქვენ ხელთაა — სიყვარული გაქრება; მიეცით მთელი ცხოვრება, მაგრამ მათხოვრის გუდა გიყურებთ თქვენ უწინდებური გაუმაძღარი თვალებით: იგი კვლავ ცარიელია და ეს არის მისი ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი — ის არასოდეს არ არის სავსე. აქ უბრალო ლოგიკაა. თქვენ არაფერიც არ მიგიცია.

თქვენ მიაღწიეთ მრავალ და მრავალ რამეს — მაგრამ ყოველივე ეს გაქრა გლახას გუდაში. გონება თვითდამშლელი, თვითდამრღვევი პროცესია. იქამდე, ვიდრე იგი არ გაქრება, თქვენ გლახად რჩებით. ყოველივე, რისი მიღწევაც საერ-

თოდ შეიძლება, ამაო იქნება, რადგან ცარიელი დარჩებით. მაგრამ, თუკი გახსნით გონებას, თქვენ აღიესებით სიცარიელის წყალობით. ვიდრე ხართ, თქვენ რჩებით გლახად, თუ არა ხართ, თქვენ ხდებით იმპერატორი. არის ერთი საუცხოო ინდური სიტყვა „სვამი", რომელიც ნიშნავს ადამიანს, რომელმაც საკუთარი „მე" უკუაგდო იმდენად, რომ ის მეტი „აღარ არის": იგი გახდა მფლელი სამყარო, ყოველივეს მფლობელი, მათ წინაშე თვითონ იმპერატორებიც მაოცრებენ რჩებიან — ისინი განაგრძობენ ნატვრას, თხოვნას და ტანჯვას.

თქვენ მალე მიიღებთ ერთიანს, როგორც ეს სინამდვილეშია, ისე, რომ არ აქსოვთ მასში გონებას და არ ხდებით მსაჯული — თქვენ უბრალოდ ამბობთ: „ეს ასეა". არის ვარდი — „ეს ასეა", არის ეკლები — „ეს ასეა"; არის წმინდა — თქვენ ამბობთ „ეს ასეა", არის ცოდვილი — თქვენ ამბობთ: „ეს ასეა". მთლიანობამ, მთელმა იცის, — და არავის სხვას არ შეუძლია იცოდეს, — რატომ არსებობს ცოდვილი; ამას თავისი მიზეზები აქვს — მაგრამ ამ საიდუმლოზე მთლიანობა იზრუნებს, არა თქვენ. ამას ვერ გადაწყვეტთ, თუკი თქვენი თავის და გონების ამარა დარჩებით. თქვენი თავის მეოხებით შეგიძლიათ იყოთ დიდი ფილოსოფოსი და გექნებათ მრავალი პასუხი — მაგრამ არც ერთი ჭეშმარიტი; თქვენ გექნებათ მრავალი თეორია, მაგრამ არც ერთი მათგანი ჭეშმარიტი არ იქნება.

მაგრამ, თუკი თვითონ გახდებით საიდუმლოება — მაშინ გაიგებთ, მაშინ გეცოდინებათ. მაგრამ ეს ცოდნა ისეთია, რომ მას სიტყვებით ვერ გადმოსცემ; ეს ცოდნა ისეთი პარადოქსია, რომ აკავშირებს, აერთებს ყველა ენას; ეს ცოდნა ისეთი წინააღმდეგობრივია — მაშინ ხომ წინააღმდეგობები კარგავენ საზღვრებს — რომ ვერავითარი სიტყვები ვერ გადმოსცემენ ამას. ფიგურა — სიტყვაა, ხოლო ფონი — სიჩუმე. ამ ცოდნაში ფიგურა და ფონი ხდებიან მთლიანი, ერთიანი, მდუმარება და სიტყვაც მთლიანი. როგორ შეძლებთ ამის გამოთქმას?

აი, რატომ ლაპარაკობს სენ-ცანი ამის შესახებ, მან იცის, რომ ამის გამოთქმა შეუძლებელია, რადგან, რაც არ უნდა თქვათ, — იძულებული ხართ შეამჩნიოთ განსხვავება, შეარჩიოთ სიტყვები. როდესაც რაიმე უნდა თქვათ, თქვენ უკვე ამჯობინებთ, უპირატესობას ანიჭებთ ამას მეორესთან, სხვასთან შედარებით — და უკვე „საქმეში" ერევა" გონება. არავინ შეეცადა ეთქვა ეს სენ-ცანზე უკეთესად, იგი აქ შეუდარებელია. ვერ ნახავთ ვერავის, ასე საუცხოოდ რომ აქსოვდეს დუმილს სიტყვებში. იგი მართლაც დიდი ოსტატია, დუმილის ოსტატი, და სიტყვის ოსტატი. მან ჩააქსოვა ამ სამყაროში რაღაც ისეთი, რაც არ მეეკუთვნება ამ სამყაროს, მან გაჟღინთა ეს სიტყვები თავისი განცდების ღრმა დუმილით.

ყური დაუგდეთ ამ სიტყვებს. და მარტო კი ნუ მოისმენთ, შეიწოვეთ კიდეც ისინი. მიეცით საშუალება ამ სიტყვებს შეჟონოს თქვენს არსებაში, გულში, ნუ დაიმახსოვრებთ მათ — შევიდნენ ეს სიტყვები თქვენი სისხლის მიმოქცევაში, აქციეთ ისინი თქვენს სისხლხორცეულ ნაწილად. სვით და ჭამეთ, გაიორგანულეთ და დაიეიწყეთ ისინი. ამ სიტყვებში უზარმაზარი ძალაა, რომელიც თქვენს სრულ ტრანსფორმაციას აპირობებს.

25 ოქტომბერი, 1974 წ.

(დასასრული იქნება)